

# მაცნე

675-ფ  
1973

ფილოსოფიის  
ფსიქოლოგიის  
ეკონომიკისა და  
სამართლის სერია

94

3.1973



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 საზოგადოებრივ მეცნიერებათა  
 განყოფილება

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР  
 Отделение общественных  
 наук

19.305

კ. შარტავა ს. ბ. ს. გ. სხვ. სსრ  
 ს. ბ. კობახიძის ბიბლიოთეკის  
 ბიბლიოთეკა

თბილისი-1973 ТБИЛИСИ





МАЦНЕ



ВЕСТНИК

Серия философии,  
психологии,  
экономики и права

3.1973

# გაცნა



ფილოსოფიის  
ფსიქოლოგიის  
ეკონომიკისა და  
სამართლის სერია

3.1973

პ. შარტავა ს. ბ. ს. გ. ს. ბ. ს. ბ.  
სამხრეთ-აღმოსავლეთი

სარედაქციო კოლეგია: ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი),  
ა. ბოჭორიშვილი, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე), პ. გუგუშვილი,  
გ. თევზაძე, ი. მიქელაძე, ა. ფრანგიშვილი, თ. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Чавчавадзе Н. З. (редактор),  
Бочоришвили А. Т., Григолава В. В. (зам. редактора), Гугушвили П. В., Тевзадзе Г. Б.,  
Микеладзе И. С., Прангишвили А. С., Церетели Т. В.

## შ ი ნ ა რ ს ი

### ფილოსოფია

ო. ჰომეპი, სოციალური შემეცნების თავისებურების საკითხი . . . . .	7
მ. ბიჭაძე, ახალგაზრდობის მეცნიერულ-ათვისტური აღზრდა . . . . .	19
ბ. გობუაძე, მნიშვნელობის თეორიის სიმნელები და მათი დამღვევის გზები . . . . .	30
ბ. შუშანაშვილი, კანტის ანტინომიები . . . . .	54
ბ. ჯოლოსაძე, ცნობიერების შედარებითი დამოუკიდებლობის შესახებ . . . . .	74
დ. ზუზუბაძე, იბრეალურის ეთიკური გააზრებისათვის პლატონის ფილოსოფიაში . . . . .	84

### უსიქოლოგია

ა. ფრანგიშვილი, სწავლა და განწყობა . . . . .	89
ა. ბარკალაია, მნიშვნელობის წვდომის თავისებურება შიზოფრენიით დაავადებულებთან . . . . .	96

### ეკონომიკა

ს. ყოყოლაშვილი, მეურნეობრივი რეფორმა საბჭოთა მეურნეობებში . . . . .	105
დ. პავლიაშვილი, მეხილეობის განვითარება საბჭოთა საქართველოში . . . . .	118
ა. ბრეგვაძე, ლ. მინდორაშვილი, ნავთობის მრეწველობა საქართველოში . . . . .	132
ნ. ლორთქიფანიძე, მართვის არსი . . . . .	148
ს. ბუაჩიძე, ოპერაციათა სისტემების პროექტირების შესახებ მათი ფუნქციონირების კომპლექსური კრიტერიუმის თვალსაზრისით — „ოპერაციათა სანგბმლივობა, იმედიანობა და ღირებულება“, II. . . . .	144

### სამართალი

ბ. ჭვანიძე, გავროს წესდება და საერთაშორისო სამართლის განვითარების პრობლემა . . . . .	151
ბ. ნადარეიშვილი, ფეოდალური საოჯახო სამართლის ძირითადი პრინციპები . . . . .	164

### კუბლიკაცია

იოკან ბოტფრიდ კერდერი, გამოკვლევა ენის წარმოშობის შესახებ (გერმანულიდან თარგმნა ლ. რამიშვილმა) . . . . .	179
--	-----

### კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ბ. ყორანაშვილი, რეცენზია წიგნზე „ისტორიზმის პრინციპი სოციალური მოვლენების შემეცნებაში“ . . . . .	190
ლ. ჯანაშია, საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკა — ეროვნული სახელმწიფოებრიობის მთავარი ფორმა . . . . .	194

## СОДЕРЖАНИЕ

### ФИЛОСОФИЯ

О. И. ДЖИОЕВ, Проблема своеобразия социального познания . . . . .	7
М. А. БИЦАДЗЕ, Научно-атеистическое воспитание молодежи . . . . .	19
Г. И. ГОГУАДЗЕ, Трудности теории значения и пути их решения . . . . .	30
Г. И. ШУШАНАШВИЛИ, Антиномии Канта . . . . .	54
Г. Н. ДЖОЛОХАВА, Об относительной самостоятельности сознания . . . . .	74
Д. Ш. ЗУМБАДЗЕ, Этическое осмысление ирреального в свете платоновской философии . . . . .	84

### ПСИХОЛОГИЯ

А. С. ПРАНГИШВИЛИ, Учение и установка . . . . .	89
А. Л. БАРКАЛАИЯ, Особенности постижения значения у больных шизофренией . . . . .	96

### ЭКОНОМИКА

С. В. ЦОЦОЛАШВИЛИ, Хозяйственная реформа в совхозах . . . . .	105
Д. ПАВЛИАШВИЛИ, Развитие плодоводства в советской Грузии . . . . .	118
А. И. БРЕГВАДЗЕ, Л. А. МИНДОРАШВИЛИ, Нефтяная промышленность в Грузии (1921—1932 гг.) . . . . .	132
Н. ЛОРТКИПАНИДЗЕ, Сущность управления . . . . .	148
С. П. БУАЧИДЗЕ, О проектировании систем операций в аспекте комплексного критерия их функционирования — «длительность, надежность и стоимость операций», II . . . . .	144

### ПРАВО

Г. Е. ЖВАНИЯ, Устав ООН и проблема развития международного права . . . . .	151
Г. Н. НАДАРЕИШВИЛИ, О некоторых особенностях феодального семейного права . . . . .	164

### ПУБЛИКАЦИЯ

ИОГАН ГОТФРИД ГЕРДЕР, Трактат о происхождении языка (Перевод с немецкого) Л. Рамишвили . . . . .	179
--	-----

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Г. В. ҚОРАНАШВИЛИ, Рецензия на книгу «Принцип историзма в познании социальных явлений». М., «Наука», 1972 . . . . .	190
Л. ДЖАНАШИА, Советская Союзная Республика — основная форма национальной государственности . . . . .	194

## ფილოსოფია

ოთარ ჯიქვიძე

### სოციალური შემეცნების თავისებურების საკითხი

მეცნიერების შესახებ ამბობენ, რომ ის დემოკრატიულია: ფაქტები მასში თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, როგორც წარმოშობისაც არ უნდა იყვნენ ისინი. ეს მართლაც ასეა, როცა საქმე რეფერენდუმამდე მივა, — მანამდე კი საპარლამენტო ბრძოლისათვის ფართო ასპარეზია გაშლილი და ამ ბრძოლაში მეცნიერული პრობლემები სრულიად არ არიან ერთნაირ პირობებში; იმისდა მიხედვით, თუ როგორი ამინდი დგას, ზოგჯერ ის საყოველთაო აღფრთოვანებით უსმენენ, ზოგს კი იმთავითვე უნდობლად უყურებენ და მოითხოვენ მისგან წარმოადგინოს რწმუნებანი, — დასაბუთოს პაექრობაში თავისი მონაწილეობის უფლებამოსილება.

სოციალური შემეცნების პრობლემის მდგომარეობა, თავისებურია, — ის პრივილეგირებულ ვითარებაშია, რამდენადაც მეცნიერული მეთოდოლოგიის, მეცნიერების თვითრეფლექსიის ნაწილს შეადგენს: მეცნიერების შესახებ მეცნიერული პრობლემების აქტუალურობა ხომ დღეს აღარავის ეეჭვება; მაგრამ მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ბევრს ეჩვენება, რომ სოციალური შემეცნების პრობლემა იმას ეხება, თუ როგორ არის შესაძლებელი საზოგადოებრივი მოვლენების შესწავლაზე მათემატიკურ-ბუნებისმეტყველური მეთოდების გავრცელება. რაც შეეხება სოციალური შემეცნების თავისებურების პრობლემას, ის თეთრ ყორნად გამოიყურება ინტეგრაციისაკენ მეცნიერებათა ტენდენციის ფონზე და, ასეთ ვითარებაში, მას საგანგებო გამართლება სჭირდება. წინამდებარე სტატიის ამოცანაც ამაში მდგომარეობს: მასში სოციალური შემეცნების თავისებურება კი არ იქნება დახასიათებული, არამედ ამ თავისებურების შესახებ საკითხის დასმის უფლებამოსილება იქნება დასაბუთებული.

ინტეგრაციისაკენ მეცნიერებათა ლტოლვა განსაკუთრებით ჩვენს საუკუნეში გამოიკვეთა, მაგრამ ის უფრო ადრე ჩაისახა; კ. მარქსი ჯერ კიდევ 1844 წ. ხელნაწერებში ამტკიცებდა: „Человек есть непосредственный предмет естествознания... А природа есть непосредственный предмет науки о человеке... Общественная действительность природы и человеческое естествознание, или естественная наука о человеке, это — тождественные выражения“<sup>1</sup>. აღამიანის შესახებ მეცნიერებისა და ბუნებისმეტყველების ეს რადიკალური გაიგივება ჯერ კიდევ აბსტრაქტულ-ფილოსოფიურ დონეზეა მოცემული: მარქსი აქ არსებითად თავის ჰუმანისტურ პოზიციას გამოხატავს, სახელდობრ იმას, რომ აღამიანი უნდა იყოს ამოსავალი **სამყაროს** გაგებისათვის.

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Из ранних произведений, М., 1956, стр. 596.



ჩვენს დროში მეცნიერებათა ერთიანობის მოთხოვნას უფრო კონკრეტული სახე აქვს. ეს გასაგებია: გაიზარდა ურთიერთკავშირი მეცნიერების დარგებს შორის, ჯერ კიდევ 30-ან წლებში გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი კ. მგერელიძე წერდა: „დრომოქმული ხელოვნური საზღვრები, რომლებიც ჩინური კედლების მსგავსად მყოფენ მეცნიერებებს ერთმანეთისაგან, უნდა დაირღვეს. ცალკეული სპეციალობის ვიწრო ჰორიზონტის გარღვევა ჩვენი კვლევითი პრაქტიკის ლოზუნგი უნდა გახდეს, თუ არ გვინდა, რომ მეცნიერული აზრი ჩაკეტილ ფორმალიზმის დახშულ ჩარჩოებში, რომლის ხვედრი მუდმივი უნაყოფობაა“<sup>2</sup>, მეცნიერების განვითარების ამ ტენდენციას თუ გავითვალისწინებთ, მსჯელობა ცოდნის რაიმე დარგის თავისებურების შესახებ, კერძოდ — სოციალური შემეცნების თავისებურების შესახებ, შეიძლება ანაქრონიზმად მოგვეჩვენოს; მით უფრო, რომ სოციალური, კერძოდ — ისტორიული შემეცნების თავისებურების მტკიცება, საკმაოდ მყარი ასოციაციით არის დაკავშირებული იდეალიზმის ისეთ ცნობილ მიმდინარეობებთან, როგორცაა ნეოკანტიანელობა და „სოცოცხლის ფილოსოფია“. მართალია, იდეალისტურ ფილოსოფიაში ისეთი მიმდინარეობებიც არსებობენ, რომლებიც სოციალური შემეცნების თავისებურებას კი არ ამტკიცებენ, არამედ „მეცნიერების უნიფიცირებული ენის“ მოთხოვნის ლოზუნგით უარყოფენ საზოგადოებრივი შემეცნების ყოველგვარ სპეციფიკურობას — ასეთია, მაგალითად, ნეოპოზიტივიზმი, — მაგრამ, როგორც ჩანს, საზოგადოებრივი მეცნიერების ზოგიერთ წარმომადგენელზე ნეოკანტიანელობასთან დაახლოების საფრთხე იმდენად თავზარდამცემ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ სხვა საშიშროებას ის ვეღარ ამჩნევს.

არა აქვს აზრი იმაზე მსჯელობას, თუ რომელი უკიდურესობაა უარესი. თუკი ამაზე მაინც ვიმსჯელებდით, უნდა გვეთქვა, რომ ის საფრთხეა უარესი, რომელსაც ვერ ამჩნევენ; უფრო მნიშვნელოვანი კი იმის გაცნობიერებაა, რომ მეცნიერული პრობლემების გადაწყვეტა არ შეიძლება იმაზე ორიენტირებით, თუ ვისთან გვაახლოებს ან ვისგან გვაშორებს ესა თუ ის პასუხი. საზრუნავი უნდა იყოს პრობლემის სწორი გადაწყვეტა. როგორც სპინოზა იტყოდა, ჭეშმარიტება თავის თავსაც გამოავლენს და შეცდომასაც.

უფრო რთულია ინტეგრაციისაკენ მეცნიერებათა მისწრაფებისა და შემეცნების სფეროების სპეციფიკის ურთიერთობა, მაგრამ აქაც არ არის ძნელი იმის გააზრება, რომ მეცნიერებათა დაახლოება ერთმანეთთან, მათ შორის დრო-მოქმული საზღვრების მოშლა არ ნიშნავს იმას, თითქოს მეცნიერებანი კარგავენ სახეს, რომ ზედმეტი ხდება მათ შორის შრომის განაწილება. მეცნიერებათა კლასიფიკაცია დღეს შორს არის იმ გამარტივებული გაგებისაგან, რომელიც ობიექტური სინამდვილის გარკვეულ „ნაკვეთს“ მიუზომავს ცოდნის თვითეულ დარგს. მეცნიერებანი თავისუფლად იჭრებიან ერთმანეთის ტერატორიაზე, მაგრამ ეს არ აუქმებს განსხვავებებს მათ შორის. გასული საუკუნის ბოლოს და ჩვენი საუკუნის დასაწყისში, როდესაც ერთი მეცნიერების საკვლევ მოვლენებს მეორის კანონზომიერებით ხსნიდნენ, ლაპარაკობდნენ გარკვეულ „იზმებზე“; მაგალითად: ლოგიკის კანონების დაყვანა ფსიქოლოგიურ კანონზომიერებაზე ფსიქოლოგიზმად იყო მიჩნეული, საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერების დაყვანა ბიოლოგიურ კანონებზე — ბიოლოგიზმად და ა. შ. შეცდომა იქნებოდა იმის ვარაუდი, რომ მეცნიერებათა ინტეგრაციის ეპოქაში, მეცნიერებათა მიერ ერთმანეთის მეთოდებისა და შედეგების ფართოდ გამოყენების ეპოქაში დასაშვებია ერთი სფეროს კანონზომიერებათა დაყვანა მეორეზე; ლოგიკის კანონების დაყვანა ფსიქოლოგიურზე დღესაც ფსიქოლოგიზმი იქნება, ხოლო ადამიანის ფსიქოლოგიის დაყვანა ბიოფიზიკურ კანონზომიერებაზე — ბიოლოგიზმი და მექანიციზმი.

<sup>2</sup> К. Р. Мегрелидзе, Основные проблемы социологии мышления, Тб., 1973, стр. 16..

მეცნიერებათა დახლოების ტენდენციის შედეგად გამოვლენილია ის, რაც ნამდვილად აერთიანებს მათ, და ამით მნიშვნელოვანწილადაა აცილებული მეცნიერებათა აღრევა; მნიშვნელოვანწილად, მაგრამ არა მთლიანად: დღეს ექვს ვარეშა, მავალითად, ხელოვნების ფსიქოლოგიის საჭიროება, მაგრამ ფსიქოლოგიზმი ესთეტიკაში თუ ხელოვნების კრიტიკაში კვლავ ცალმხრივ, თვალსაზრისს წარმოადგენს. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ-ფსიქოლოგიურ გამოკვლევებს დიდი მნიშვნელობა აქვთ სოციოლოგიისათვის, ფსიქოლოგიზმი სოციოლოგიის ერთ-ერთი მთავარი მტერია ისევ. არაფსიქოლოგიური მოვლენების ფსიქოლოგისტური გავება მოასწავებს მათი საკუთარი კანონზომიერებების უგულვებელყოფას. მაგრამ ამგვარი წესით მოყვლენების განხილვა ბუმბარანგივით შეიძლება დაუბრუნდეს ფსიქოლოგიას და მასაც ათქმევინოს უარი საკუთარი კანონზომიერების კვლევაზე — განაპირობოს თავისებური ფსიქოლოგიზმი ფსიქოლოგიაში<sup>3</sup>, რომელიც თავისი თავის უარყოფელი ვითარებაა მეცნიერებაში.

მსგავს ვითარებასთანა გვაქვს საქმე სოციოლოგიაში. აქ კარგი ხანია ცნობილია ისეთი უცნაური მოვლენა როგორცაა სოციოლოგიური სკოლა, სოციოლოგიზმი სოციოლოგიაში. რას ნიშნავს ეს? საზოგადოებრივ ცხოვრებას რთული, იერარქიული სტრუქტურა აქვს, რომლის გამოვლენა და დახასიათება სოციოლოგიის საქმეა. სოციოლოგიური მიმართულებები იმის მიხედვით განსხვავდებიან, თუ როგორ ხსნიან ისინი საზოგადოების სტრუქტურას. სოციოლოგიურ სკოლას სოციოლოგიაში, — რომლის კლასიკური წარმომადგენელია თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის ერთ-ერთი მთავარი წინამორბედი ემილ დიურკჰეიმი, — ადამიანის მოღვაწეობის პროდუქტები, საზოგადოებრივი მოვლენების სტრუქტურა ადამიანთა ურთიერთობიდან გამომკვავს; ამ მხრივ ის, ერთი შეხედვით, ახლოა მარქსიზმთან, რომლის მიხედვითაც ადამიანის არსება საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაა. მაგრამ სოციოლოგიურ სკოლას, ჯერ ერთი, თვითონ საზოგადოებრივი ურთიერთობა ფსიქოლოგიურზე დაკვავს, მეორეც, — ამის გამო ხასიათდება ის როგორც სოციოლოგიზმი, — მას მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება — ისეთი საზოგადოებრივი მოვლენები, როგორცაა: რელიგია, აზროვნება და სხვ., — პირდაპირ გამოკვავს საზოგადოებრივი ურთიერთობაიდან და ამით ადამიანის გონითი შემოქმედების პროდუქტებს ყოველგვარ დამოუკიდებლობას უკარგავს. ამ თვალსაზრისის არსებითი ნაკლი კარგად გამოამჟღავნა კ. მეგრელიძემ: „აზროვნების ფორმები რომ საზოგადოების ორგანიზაციული ფორმების უბრალო გამეორება ყოფილიყვნენ, ცნობიერება მკვდარი აპარატი იქნებოდა, რომელიც მისთვის უცხო ფორმების უაზრო რეპროდუქციას მოახდენდა“<sup>4</sup>.

როგორც ვხედავთ, საზოგადოებრივი ცხოვრების გავებისათვის არ არის საკმარისი მოინახოს მისი განმსაზღვრელი მხარე და აქედან უშუალოდ და პირდაპირ მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება იქნას გამოყვანილი. საზოგადოება როგორც მთლიანი უნდა იქნას გავებული, ეს კი მისი მხარეების ერთმანეთზე დაუყვანლობას გულისხმობს. ამის გარეშე საზოგადოებრივი ცხოვრების სპეციფიკაც აუხსნელი დარჩება. ამრიგად, **სოციალურის გაახსოვლება** სოციოლოგიაში ცალმხრივ თვალსაზრისს — **სოციოლოგიზმს** წარმოადგენს.

სოციოლოგიზმი ისტორიას როდი ჩაბარდა, იგი დიურკჰეიმის სკოლით არ დამთავრებულა: პირიქით, შემდგომ, — ემპირიული სოციოლოგიის გაბატონების ეპოქაში, — სოციოლოგიზმით დაავადებული აღმოჩნდა მთელი დასავლე-

<sup>3</sup> იხ. ა. ბოჭორიშვილი, ფსიქოლოგიზმი და ანტიფსიქოლოგიზმი ფსიქოლოგიაში, თბ., 1965.

<sup>4</sup> К. Р. Мегрелидзе, Основные проблемы социологии мышления, стр. 352.

თის სოციოლოგია და არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ ჩვენს ქვეყანაში კონკრეტულ სოციოლოგიური კვლევების ფართოდ გავრცელებასაც (რასაც თავისთავად უაღრესად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც თვით სოციალური პრობლემებისათვის, ისე ზოგადსოციოლოგიური თეორიისათვის) მოჰყვა სოციოლოგიზმის ერთგვარი გამოცოცხლება; კონკრეტულ სოციოლოგიური გამოკვლევების გავრცელებამ მოდად აქცია ის და გამოიწვია მისი მნიშვნელობის გადაჭარბების ტენდენცია, — იმისი პრეტენზიები, რომ სოციოლოგიას, კერძოდ მიკროსოციოლოგიურ დონეზე მიმდინარე გამოკვლევებს, გადაეწყვიტათ საზოგადოებისა და ადამიანის წინაშე წარმოშობილი ყველა პრობლემა. ცდუნებას ის აძლიერებდა, რომ კონკრეტულ სოციოლოგიური გამოკვლევებისადმი ფართოდ იქნა მიყენებული ე. წ. ზუსტი მეცნიერებების მეთოდები; აქედან წარმოიშვა იმის იმედები, რომ ზუსტი მეცნიერული მეთოდებით გადაეწყვიტათ არა მარტო სოციალური, არამედ — ეთიკური და ესთეტიკური პრობლემებიც.

ახალი სოციოლოგიზმის ცალმხრიობა შეუმჩნეველი არ დარჩათ თვით ბურჟუაზიულ მკვლევარებსაც. ერთ-ერთმა წამყვანმა დასავლეთგერმანელმა სოციოლოგმა რალფ დარენდორფმა გონებამახვილურად დაახასიათა ახალი სოციოლოგიზმი როგორც **სოციოლოგიური ადამიანის** — homo soziologicus-ის მოდელის შექმნა<sup>5</sup>. ეკონომიური ადამიანისა და ფსიქოლოგიური ადამიანის ცალმხრივი მოდელების მსგავსად, დარენდორფის აზრით, თანამედროვე საზოგადოებათმეცნიერებამ სოციოლოგიური ადამიანის იდეა წამოაყენა; ეს იმაში გამოიხატა, რომ ადამიანი მის სოციალურ როლზე დაიყვანეს. სოციალური როლების ანალიზი, მართალია, გარკვეულ ცოდნას იძლევა საზოგადოებაზე, ადამიანზეც, მაგრამ ის სრულიადაც ვერ ამოსწორავს უქანასკნელს.

როლის ცნება, რომელიც დრამიდანაა გადმოტანილი, ასახავს ადამიანთა სოციალური ურთიერთობების განსაზღვრულ ასპექტებს, მაგრამ ანალოგია დრამასა და სოციალურ ცხოვრებას შორის საშუაროებასაც შეიცავს: მისი წყალობით მხედველობის არის გარეთ რჩება, ის, რითაც ადამიანი მეტია როლზე, „ნიღბებზე“, რომლებსაც ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში იცემავენ. სოციოლოგიას, რომელსაც ადამიანი მის ნიღბზე დაჰყავს, საქმე აქვს გაუცხოებულ ადამიანთან, ხელგანურთ ადამიანთან, რომელსაც არ შეუძლია არც სიყვარული და არც სიძულვილი, არც სიცილი და არც ტირილი. ამგვარი სოციალური მეცნიერება ვერ ხედავს ადამიანის ღრმა ფენებს, ავტონომიისა და თავისუფლების ადამიანურ უნარს და ამით ის, მართალია, მეტ სიზუსტეს აღწევს, მაგრამ — მხოლოდ ადამიანურ პრობლემებზე უარის თქმის ფასად<sup>6</sup>.

სოციოლოგიზმის ცალმხრიობის ერთ-ერთ გამოხატულებას დარენდორფი სოციალურ კვლევაში ღირებულებით მიდგომაზე უარის თქმაში ხედავს. მეცნიერული თეორიის შეცვლა მორალური მოთხოვნებით, აღნიშნავს ის, გაუმართლებელია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, სოციოლოგებს არ მოეთხოვოთ, რომ მათ პრობლემები იკვლიონ ადამიანის და მისი თავისუფლებისათვის მათი მნიშვნელობის თვალსაზრისით.

<sup>5</sup> R. Dahrendorf, Homo soziologicus, Eine Versuch zu Geschichte, Bedeutung und Kritik der sozialen Rolle, 5-te Aufg., Köln u. Opladen, 1965.

<sup>6</sup> ბურჟუაზიული სოციოლოგიის ერთ-ერთი კრიტიკულად მოაზროვნე წარმომადგენელი ჩრ. მილზი ირონიულად წერდა თანამედროვე დასავლეთის სოციალური მეცნიერებისათვის დამახასიათებელ „სტატისტიკურ რიტუალზე“ და მის მისწრაფებაზე შეცვალოს ჰემარტიკება სიზუსტით (C. W. Mills, Sociological Imagination, L.-N. Y., 1967, p. 71—73).

სოციოლოგიზმის, „სოციოლოგიური ადამიანის“ მოდელის კრიტიკა და-  
რენდორფის მიერ, მიუხედავად იმისა, რომ ის ვერ ავლენს მის ღრმა სოცია-  
ლურ ფესვებს თვით ბურჟუაზიული საზოგადოების სტრუქტურაში, სიმპტო-  
მატურია და საყურადღებო; იგი არა მარტო ბურჟუაზიული სოციოლოგიის  
ნაკლს ახასიათებს, არამედ მიუთითებს თვით სოციოლოგიის საზღვრებზე, თუ-  
კი ის გაგებული იქნება როგორც სპეციალური მეცნიერება საზოგადოებრივი  
ცხოვრების შესახებ. „სოციოლოგია, — აღნიშნავს დარენდორფი, — რა თქმა  
უნდა, არის მეცნიერება ადამიანის შესახებ, მაგრამ ის არ არის ერთადერთი  
ასეთი მეცნიერება და მისი ამოცანა არ შეიძლება იყოს ადამიანის პრობლემის  
გაშუქება მთელ მის სიღრმესა და სიგანეში“<sup>7</sup>.

სოციოლოგია, მართლაც, არ არის ადამიანის შესახებ ერთადერთი მეც-  
ნიერება, — ეს უდავოა; მაგრამ მისი პრეტენზია უნივერსალურობაზე შემ-  
თხვევითი არ არის. სოციოლოგიის განსაკუთრებული ადგილი უკავია საზოგა-  
დოებისა და ადამიანის შესახებ მეცნიერებათა შორის: ის არ არის მხოლოდ  
თეორიული ან ისტორიული დისციპლინა, იგი ინეინერეაც არის, — სოციო-  
ლოგიის ამოცანაა საზოგადოებრივი ცხოვრების მოწ-  
ყობა; ამ ფუნქციის შესასრულებლად კი აუცილებელია ადამიანის, მისი ძირი-  
თადი მოთხოვნილებების, მისი ტენდენციების, მისი არსების გათვალისწინება.

სოციოლოგიის **ინეინერული ფუნქცია** კონკრეტულ-სოციოლოგიური  
გამოკვლევების ეპოქაში არ წარმოშობილა, — ეს ფუნქცია მას ყოველთვის  
ჰქონდა, რამდენადაც ყოველი სოციოლოგიური თეორია შეიცავდა გარკვე-  
ული საზოგადოებრივი წყობის კრიტიკასა და მომავლის პროექტს, თუნდაც —  
უტოპიის სახით. მაგრამ წარსულის ფილოსოფიურ-სოციოლოგიური პროექ-  
ტები ემყარებოდნენ ადამიანის იმ მოდელს, რომელსაც არსებული საზოგა-  
დოებები ქმნიდნენ. ასე, მაგალითად, განმანათლებლები, რომლებიც ბურჟუა-  
ზიული რევოლუციის იდეოლოგებს წარმოადგენდნენ, ემყარებოდნენ ბურ-  
ჟუაზიული საზოგადოების ადამიანის ცნებას, ის იყო მათი საზომი. აქედან —  
ე. წ. „გონივრული ეგოიზმის“ თეორია, უტილიტარიზმი, ფოიერბახის პრაქტი-  
კის „ვაკრული“ ფორმა; ამიტომ უწოდა მარქსმა ამგვარ ფილოსოფიას  
**მკვრეტელობითი მსოფლმხედველობა**. სამყაროს გარდაქმნას მარქსამდელი  
ფილოსოფიაც მოითხოვდა, ოღონდ ამოსავალი მისთვის მკვრეტელობითი  
თვალსაზრისი იყო. ამის საწინააღმდეგოდ მარქსიზმისათვის სოციოლოგია,  
უწინარეს ყოვლისა, სამყაროს გარდაქმნის იარაღია, ის პირველ რიგში სოცია-  
ლურ ინეინერიას წარმოადგენს; ამ მისიის შესასრულებლად სოციოლოგიამ  
უნდა შეისწავლოს, — როგორც მარქსი იტყოდა, — ადამიანური სამყაროს  
ძირში მყოფი ადამიანი, მისი არსება; **ადამიანის არსება** კი, მარქსის მიხედვით,  
საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაა; ხოლო  
ვის შეუძლია ადამიანის როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობ-  
ლიობის დახასიათება სოციოლოგიაზე უკეთესად?

დებულება ადამიანის არსების როგორც ყველა საზოგადოებრივი ურთი-  
ერთობის ერთობლიობის შესახებ მარქსს გამოთქმული აქვს თავის ფილოსო-  
ფიურ მანიფესტში — „თეზისებში ფოიერბახის შესახებ“ და იგი, უშეკვლია,  
გამოხატავს მარქსისტული ფილოსოფიის პრინციპულად ახლებურ მიდგომას  
ადამიანისა და ადამიანური სამყაროს შესწავლისადმი, ისტორიის მატერია-

<sup>7</sup> ციტირ. წიგნი, გვ. 14.



ლისტური გაგების დედაარსს, — მისი უგულვებლყოფა ისევ მჭვრეტელობითი ფილოსოფიის პოზიციებზე დაგვყენებდა; მაგრამ ისიც შეცდომა იქნებოდა, თუ ადამიანის შესახებ მარქსიზმის მთელ მოძღვრებას ამ დებულებაზე დაიყვანდით და ექვს შევიტანდით მარქსის ყველა სხვა დებულების აუტენტურობაში, რომლებიც ფოიერბახის შესახებ თეზისებთან წინააღმდეგობაში მყოფად მოგვეჩვენება. ცნობილია, მაგალითად, რომ მარქსი „კაპიტალში“ ლაპარაკობს კომუნიზმზე როგორც ისეთ საზოგადოებაზე, რომელიც ადამიანის ბუნების ღირსეულ და მის ადეკვატურ პირობებსა ჰქმნის<sup>8</sup>. სრულიად უნაყოფო იქნებოდა იმის ცდა, რომ ადამიანის ბუნება აქ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობასთან გაგვეიგივებინა: ადამიანის არსებას როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობას ყველა საზოგადოება ერთნაირად შეესაბამება და, ამ მხრივ, კომუნიზმი არაფრით გამოირჩევა.

ანალოგიურ ვითარებაშია მარქსის მეორე დებულება იმავე „კაპიტალიდან“, რომელშიც კვლავ ადამიანის ბუნებაზეა მსჯელობა. მარქსი აქ აკრიტიკებს იერემია ბენტამს იმისათვის, რომ ის ადამიანის ბუნებას აიგივებს ბურჟუაზიული საზოგადოების ადამიანთან, კერძოდ ინგლისელ ფილისტერთან: „თუ ჩვენ... სარგებლიანობის პრინციპის თვალსაზრისით შევაფასებთ ადამიანის ყოველ მოქმედებას, მოძრაობას, ურთიერთობას და სხვ., მაშინ, უწინარეს ყოვლისა, საქმე გვექნება საერთოდ ადამიანის ბუნებასთან და შემდეგ — ყოველ ეპოქაში ისტორიულად სახეშეცვლილ ადამიანის ბუნებასთან. მაგრამ ასეთი საკითხებისათვის ბენტამი თავს არ იწუხებს“<sup>9</sup>.

ლუსიენ სევი ფიქრობს, რომ ეს დებულება წინააღმდეგობაშია ფოიერბახის შესახებ მარქსის მეექვსე თეზისთან და ამიტომ ის ცდილობს დაამტკიცოს, რომ აქ მარქსი, ადამიანის ბუნების შესახებ თავის პოზიტიურ შეხედულებას კი არ გამოთქვამს, არამედ ავლენს ბენტამის შინაგან წინააღმდეგობას: სარგებლიანობის პრინციპს თუკი დავემყარებთ, მაშინ ადამიანის ბუნების ზოგადი დახასიათება იქნება საჭირო, ბენტამი კი ამას არ აკეთებს, — ასეთია, ლუსიენ სევის მიხედვით, მარქსის მსჯელობის ლოგიკა. მისი აზრით მარქსი ამ შემთხვევაში თავის საკუთარ მეთოდს კი არ გადმოსცემს, არამედ „XVIII საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფიისათვის დამახასიათებელ ტიპიურად სპეკულატურ მეთოდს“<sup>10</sup>.

ლ. სევი მართალია იმაში, რომ მარქსის მსჯელობის ფორმა აქ პიპოტეტურია. მარქსი ამბობს: თუ ჩვენ სარგებლიანობის პრინციპით შევაფასებთ ადამიანის ყოველ მოქმედებას და ა. შ. მაგრამ განა სარგებლიანობის პრინციპით შეფასება აუცილებლად სპეკულატური ფილოსოფიის თვალსაზრისზე დადგომას ნიშნავს? სპეკულატური ფილოსოფიისათვის დამახასიათებელი იყო ისტორიული სინამდვილის ანალიზის შეცვლა სარგებლიანობის თუ სხვა აბსტრაქტული პრინციპის საფუძველზე მსჯელობით; მარქსიზმი ასეთ თვალსაზრისს დაუპირისპირდა. მაგრამ არსებობს სფერო, სადაც აუცილებელია ადამიანის ბუნებაზე, ზოგადადამიანურის ცნებაზე დამყარება. ეს არის შეფასების, ღირებულების, ჭარბის სფერო. კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების ანალიზის დროს მარქსი ადამიანის ბუნების ცნებას კი არ ემყარება, არამედ ცდილობს გამოავლინოს ამ საზოგადოების სტრუქტურა. მაგრამ როდესაც იგი ღირებულებებითი თვალსაზრისით ადარებს ერთმანეთთან

<sup>8</sup> ა. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, 1934, ნაწ. 2, გვ. 338.

<sup>9</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 769, 1954.

<sup>10</sup> Л. Сэв, Марксизм и теория личности, М., 1972, стр. 173—176.

კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებებს, ის იშველიებს ადამიანის ბუნების ცნებას. ეს სავესებით ბუნებრივია: ადამიანის ბუნების ცნების გარეშე ღირებულებათა სფეროში აბსოლუტურ რელატივიზმს ვერ დავძლევთ.

ამრიგად, ადამიანის არსების როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობის განმარტებაც და ადამიანის ბუნების დახასიათებაც — ადამიანის შესახებ მარქსისტული მოძღვრების ნაწილებია და საჭიროა არა ერთ-ერთის მიღება და მეორის უარყოფა, არამედ მათი ადგალისა და მნიშვნელობის გარკვევა. ადამიანის არსების როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობის განმარტება მიმართული იყო იმ ცდის წინააღმდეგ, რომ რელიგია გამოეყვანათ ადამიანის არსებიდან, — ე. ი. სოციალური მოვლენების ახსნაში ანთროპოლოგიზმის წინააღმდეგ, ადამიანის ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური ცნებით კონკრეტულ-სოციალური მოვლენის (რელიგიის) წარმოშობის ახსნის წინააღმდეგ. ანთროპოლოგიზმს უპირისპირდება საზოგადოებრივი მოვლენების დეტერმინაციის პრინციპი. ამდენად დებულება ადამიანის არსების როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობის შესახებ ისტორიის მატერიალისტურ გაგებას გამოხატავს. ისტორიის მატერიალისტური გაგება საზოგადოებრივ ურთიერთობათა ანალიზს ემყარება, როდესაც ასაბუთებს ერთი საზოგადოებრივი წყობილებიდან მეორეზე გადასვლის აუცილებლობასაც. რაც შეეხება, ადამიანის ბუნების ცნებას, მას მარქსისტული ფილოსოფია მიმართავს მაშინ, როცა ის ღირებულებით დამოკიდებულებას გამოთქვამს, როდესაც დადებითად ან უარყოფითად აფასებს ამა თუ იმ სოციალურ მოვლენებს. მარქსიზმის კრიტიკოსები ამოდ ცდილობდნენ იმის დასაბუთებას, თითქოს მარქსიზმი უარყოფდეს ღირებულებებს, ჯერარსს, მორალს. სინამდვილეში მარქსიზმი წინააღმდეგია არა მორალის, არამედ მორალიზებით ისტორიული ანალიზის შეცვლისა. ღირებულებითი მიდგომა მარქსისტული ფილოსოფიის თვალსაზრისით სინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულების ერთ-ერთი აუცილებელია ასპექტია<sup>11</sup>.

დავუბრუნდეთ ახლა ისევ საკითხს იმის შესახებ, თუ რომელმა მეცნიერებამ უნდა განიხილოს ადამიანი როგორც მთელი, რომელი მეცნიერების საბატიო მოვალეობაა ადამიანის არსების „ღრმა“ ფენების გამოკვლევა.

იმის შესახებ, თუ რომელი მეცნიერება უნდა დაეპატრონოს ადამიანს როგორც მთელს, სხვადასხვა თვალსაზრისები არსებობს. ერთი თვალსაზრისის მიხედვით სპეციალური მეცნიერებანი ადამიანის შესახებ სავესებით ამოსწურავენ ადამიანურ მთლიანობას და ზედმეტს ხდიან ადამიანის ფილოსოფიურ შესწავლას, ფილოსოფიურ გამოკვლევას ადამიანის შესახებ. მეორე შეხედულების მიხედვით სპეციალურ მეცნიერებებს საქმე აქვთ ადამიანის და ადამიანური ცხოვრების სხვადასხვა მხარეებთან, ადამიანს როგორც მთელს კი ფილოსოფია შეისწავლის. ორივე ამ თვალსაზრისთაგან ცალმხრივია. პირველი თვალსაზრისის არასაკმარისობა განსაკუთრებულ დასაბუთებას არ მოითხოვს: ის, რომ ადამიანის ფილოსოფიური შესწავლა — ადამიანისა და სამყაროს ურთიერთობის, სამყაროში ადამიანის ადგილის დახასიათება, ადამიანის როგორც მთლიანის შესახებ ცოდნისათვის სრულიად აუცილებელია, ნათელი უნდა იყოს. მაგრამ ადამიანის როგორც მთლიანის შესწავლაზე პრეტენზია

<sup>11</sup> Симпозиум по проблеме ценностей в марксистско-ленинской философии, Тб., 1965, стр. 14—20.



მხოლოდ ფილოსოფიას როდი აქვს. თავი რომ დავანებოთ ჯერ არაფილოსოფიურ დისციპლინებს, საკუთრივ ფილოსოფიისა (დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის) და ფილოსოფიური ანთროპოლოგიის გარდა, ადამიანის როგორც მთელის, მისი ღრმა ფენების გააზრებას ისახავენ მიზნად ისეთი ფილოსოფიური დისციპლინები, როგორც არიან ესთეტიკა და ეთიკა.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ესთეტიკას საქმე აქვს ადამიანური სამყაროს, ადამიანის საქმიანობის მხოლოდ ერთ მხარესთან — სინამდვილის ათვისებასთან სილამაზის კანონების მიხედვით. მაგრამ ადამიანური სამყაროს ამ მხარის გააზრება შეუძლებელია ადამიანის როგორც მთელის გათვალისწინების გარეშე: ესთეტიკური ღირებულების დახასიათება მხოლოდ არაესთეტიკურ ღირებულებებთან მისი დამოკიდებულების გააზრებით (არა უბრალო შედარებით) არის შესაძლებელი. ესთეტიკურ ცდაში — მშვენიერების განცდის პროცესში — მყარდება პიროვნების მხარეთა და მხარეთა შორის ისეთი იერარქია, „რომელიც ყველაზე ბუნებრივია ადამიანისათვის“; ამიტომ არის, რომ „ფსიქოლოგიური სუბიექტიდან ესთეტიკური სუბიექტის გამოყოფის პროცესში ადამიანი არ კარგავს თავის პიროვნულობას, ინდივიდუალობას. პირიქით, აქ სწორედ ამ ინდივიდუალობის ძირია გამოვლენილი“<sup>12</sup>. ბუნებრივია, რომ თუ ესთეტიკურ ცდაში ადამიანის ინდივიდუალობის ძირი გამოვლინდება, ის არ უნდა დაიკარგოს მასზე რეფლექსიის — ესთეტიკური ცდის თეორიული გააზრების პროცესში.

კიდევ უფრო უდავო უნდა იყოს ის, რომ ეთიკას არ შეუძლია ადამიანის ქცევის ნორმების დაწესება, ადამიანთა შორის ურთიერთობის რეგულირება ადამიანის მთლიანობის ცოდნის გარეშე. ასევე ცხადი უნდა იყოს ეთიკურის მნიშვნელობა ადამიანურობის, მისი „ძირის“, მისი „ღრმა“ ფენების დასახასიათებლად: სიკეთე — ეს ძირითადი ობიექტი ეთიკისა — ხომ თითქმის ყოველთვის უმაღლეს ადამიანურ ღირებულებად ითვლებოდა, ხოლო ეთიკის დაფუძნება — ფილოსოფიური სისტემების საბოლოო მიზნად.

ადამიანისა და ადამიანური სამყაროს მეცნიერულ-ფილოსოფიური გააზრება არ შეიძლება არ ემყარებოდეს ადამიანის მოქმედი სოციალური არსის გათვალისწინებას. ამიტომ უეჭველია, რომ ადამიანის სოციოლოგიური დახასიათებაც მისი არსის გამოვლენას ემსახურება. ასევე ფსიქოლოგია, რომელიც ადამიანის როგორც პიროვნების ფსიქიკურ სტრუქტურას, მისი შემეცნებითი, ემოციური თუ ნებელობითი მოღვაწეობის მექანიზმებს შეისწავლის, ადამიანის არსებას ახასიათებს და არა მის რაიმე კერძო მოვლენას.

ამრიგად, ადამიანის არსების შესწავლა არც ერთი მეცნიერების პრივილეგია არ არის: ყოველ მეცნიერებას, რომელსაც ადამიანთან აქვს საქმე, მისი არსების რომელიმე მხარე აინტერესებს. როდესაც ადამიანის გვარეობითს არსებაზე, ადამიანის ბუნებაზე, მის ძირითად ტენდენციებზე ვლაპარაკობთ, როგორც ისეთ რაიმეზე, რაც ფილოსოფიის ინტერესის საგანს შეადგენს, იგულისხმება არა ადამიანის უფრო ღრმა არსება, არა ადამიანური მთლიანობის ერთადერთი ფორმა, არამედ ადამიანის თავისებური არსება, სახელდობრ ის, თუ რას წარმოადგენს ადამიანი სამყაროსთან მიმართებაში, რა ადგილი უკავია მას ამ სამყაროში, რა სიახლე შეაქვს მას სამყაროს განვითარებაში. ამგვარად ახასიათებს ადამიანს მარქსი, როდესაც ის ლაპარაკობს ადამიანის ძალის გან-

<sup>12</sup> ნ. ჭავჭავაძე, ესთეტიკური საგნის ბუნებისათვის, თბ., 1965, გვ. გვ. 24, 44.

ვითარებაზე როგორც თვითმიზანზე<sup>13</sup>; ადამიანის ამგვარ დახასიათებას ემყარება კომუნისტურ საზოგადოებაზე გადასვლის შეფასება როგორც ნახტომისა თავისუფლების სამეფოში და სხვ.

ის, რომ ფილოსოფიის საქმეა სამყაროსადმი ადამიანის დამოკიდებულების, ადამიანის მსოფლმხედველობის ცნებით გამოხატვა, არ ანიჭებს მას რაიმე უპირატესობას ადამიანის შესწავლაში (მაგრამ, რა თქმა უნდა, არც ზღუდავს მის უფლებებს). საქმის ვითარება ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ფილოსოფიამ უნდა დაადგინოს, რა მიზნები უნდა დაისახოს ადამიანმა და საზოგადოებამ, ხოლო კერძო მეცნიერების დანიშნულება მხოლოდ ამ მიზნების განხორციელებისათვის საშუალებების გამოიხატვა იყოს. მართალია, ფილოსოფიის საქმეა ღირებულებათა შორის გარკვეული იერარქიის დამყარება, მაგრამ ამით ვერ კიდევ ადამიანთა საზოგადოების მიზნები არ არის განსაზღვრული: შეიძლება, მაგალითად, რომ ფილოსოფიამ კულტურის ღირებულებანი სიცოცხლისეულ ღირებულებებზე მძლავრად დააყენოს, მაგრამ სოციოლოგიამ ან ფსიქოლოგიამ შეიძლება გამოარკვიონ, რომ კულტურის ღირებულებათა ცალმხრივი წინააღმდეგობა და სიცოცხლისეული ღირებულებების უკუღმავლობა საფრთხეს უქადის ადამიანთა არსებობას, ხოლო კულტურას არც თუ უფროსად თამაშად ვადაქვეყნებს. მეორე მხრივ, შეიძლება სპეციალურმა მეცნიერებამ, მაგალითად, ბიოლოგიამ გამოიხატოს საშუალება ადამიანის განცდებში უსიამოვნების მინიმუმამდე დასაყვანად, ხოლო ფილოსოფიურმა ანალიზმა კულტურისა და, მასთანადავ, თვით ადამიანისათვის საზიანოდ მიიჩნიოს უცმყოფილების სრული განდევნა ადამიანთა ცხოვრებიდან. ერთი სიტყვით, ადამიანი მხოლოდ კომპლექსური შესწავლის საგანი შეიძლება იყოს და მისი ცხოვრების მოწყობისათვის პასუხისმგებლობაც კომპლექსური კვლევის მონაწილე ყველა მეცნიერებას თანაბრად ეკისრება.

თუ ადამიანის არსების შესწავლაში არცერთ მეცნიერებას არა აქვს პრივილეგირებული მდგომარეობა, ეს სოციოლოგიასაც ეხება. მაგრამ სოციოლოგიის მისწრაფებას იყოს ადამიანის არსების შესახებ განსაკუთრებული მეცნიერება გარკვეული ახსნა მოეძებნება. საქმე იმაშია, რომ სოციოლოგიას არ შეუძლია თავისი საკუთარი პრობლემების გადაწყვეტა ადამიანის შესახებ ფილოსოფიური ცოდნის გარეშე. იგი ვერ გადაწყვეტს, მაგალითად, სოციალური დეტერმინიზმის პრობლემას ადამიანის ძირითადი ტენდენციების გათვალისწინების გარეშე: სოციალური აუცილებლობა, რომლის გარკვევაც სოციოლოგიის ამოცანას შეადგენს, თავისუფლების უნარის მქონე ადამიანთა მოქმედების აუცილებლობა და ამ თავისუფლების გარეშე ისევე ვერ გაიგება, როგორც თავისუფლება — აუცილებლობის გარეშე. ადამიანის ძირითადი ტენდენციების, კერძოდ მისი თავისუფლებლობის დახასიათება კი ფილოსოფიის საქმეა. აქედან წარმოსდგება არც თუ უსაფუძვლო ცდა მოიაზრონ ფილოსოფია და (ზოგადი) სოციოლოგია ერთ მეცნიერებად (დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმად). მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ამგვარი ერთიანობის აღიარება ეწინააღმდეგებოდეს შედარებითი დამოუკიდებლობის მქონე მეცნიერული დისციპლინის — ისტორიული მატერიალიზმის — მარქსისტული ზოგადი სოციოლოგიის დამუშავებას.

ნათქვამიდან ჩანს, რომ სოციოლოგია ადამიანის არსების, მისი ბუნების შესახებ მეცნიერება შეიძლება იყოს იმდენად, რამდენადაც ის მოიაზრება როგორც ერთი მთლიანობის — ფილოსოფიის — მხარე. იმ შემთხვევაში კი, თუ სოციოლოგიაში იგულისხმება შედარებითი დამოუკიდებლობის მქონე ცალკე დისციპლინა, ის ადამიანის ერთ-ერთ, თუმცა უაღრესად მნიშვნელოვან მხარეს შე-

<sup>13</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 338.

ისწავლის და იგი ვერ დაისახავს ადამიანის ბუნების, მისი ძირითადი ტენდენციების დახასიათების ამოცანას.

უფრო კონკრეტულად რომ წარმოვიდგინოთ ვითარება, მივმართოთ ისევ ღირებულების პრობლემას. როგორც სოციოლოგიასა და სოციალურ ფსიქოლოგიაშია გარკვეული, ადამიანის მოქმედება მხოლოდ მისი მოთხოვნილებებით როდი განისაზღვრება: სასიცოცხლო მოღვაწეობის პროცესში ადამიანებს გარკვეული ღირებულებითი ორიენტაციები უყალიბდებათ და მათ არსებითი მნიშვნელობა აქვთ ადამიანთა ქცევის, მათი არჩევნის განსაზღვრაში; ადამიანები მარტო იმას კი არ აკეთებენ, რაც სასარგებლოა (ამ სიტყვის ვიწრო გაგებით) მათთვის, არამედ იმასაც, რასაც ისინი გაკეთების ღირსად თვლიან; თავიანთ მოქმედებაში ისინი ღირებულებათა გარკვეული იერარქიით ხელმძღვანელობენ: ერთი მიაჩნიათ ღირებულებად, მეორე — არაღირებულად, ერთი — უფრო მაღალ ღირებულებად, ვიდრე მეორე და ა. შ. ადამიანები განსხვავდებიან თავიანთი ღირებულებითი ორიენტაციებით. ეს განსხვავებანი არიან ინდივიდუალური, კლასობრივი, ეროვნულ-კულტურული და სხვ. თავიანთ ცხოვრებაში ადამიანები იმის აუცილებლობის წინაშე დგებიან, რომ შეადარონ ღირებულებათა სხვადასხვა სისტემები, გადააფასონ ისინი — ხელი შეუწყონ ერთი სისტემის დამკვიდრებას და უარყონ მეორე. ამისათვის მათ უნდა გააჩნდეთ ღირებულებათა საზომი. არის კი ასეთი საზომი? გააჩნიათ ღირებულებებს გარკვეული ობიექტურობა?

ღირებულების პრობლემის განხილვისათვის აქ ადგილი არ არის. გასარკვევი ამჯერად ის არის, თუ ვინ უნდა გასცეს პასუხი ღირებულების თეორიისათვის გადამწყვეტ კათხვას ღირებულების ობიექტურობის შესახებ. ღირებულებითი ორიენტაციების ჩამოყალიბების პროცესსა და მის მექანიზმს სოციოლოგია და სოციალური ფსიქოლოგია შეისწავლიან. მაგრამ ამით ღირებულების ობიექტურობის პრობლემა ვერ გადაწყდება; ამ გზით ვერ მოვიპოვებთ კრიტერიუმს, რომელიც საშუალებას მოგვცემს ღირებულებათა ერთი სისტემა მეორეზე მაღლა დავაყენოთ. ღირებულებათა დეტერმინაცია და ღირებულებათა გამართლება სხვადასხვა პრობლემებია. ამიტომ არ შეიძლება დავეთანხმოთ მოსაზრებას, რომლის მიხედვით „სფერო, სადაც თავის გამართლებას პოულობს ღირებულებათა პრობლემა მარქსიზმში — ესაა მოძღვრება საზოგადოებრივი ცნობიერების, როგორც ინდივიდუალური ცნობიერების განმსაზღვრელის შესახებ“<sup>14</sup>. ღირებულების პრობლემა, ისევე როგორც ცოდნის ზოგადობისა და აუცილებლობის პრობლემა, ვერ გადაწყდება იმით, რომ მიუვითებთ საზოგადოებრივ ცნობიერებაზე როგორც ინდივიდის ღირებულებითი ორიენტაციებისა თუ წარმოდგენების განმსაზღვრელ ინსტანციაზე. საკითხი იმაში მდგომარეობს, თუ რა უფლებით მნიშვნელობს ღირებულება თვით საზოგადოებრივ ცნობიერებაში. ის, თუ რა მიმართულებით არის საძიებელი ასეთი კრიტერიუმი, მარქსიზმში გარკვეულია. მარქსის ზემოთმოყვანილი დებულებები რომ აღარ გავიმეოროთ, საკმარისია გავისხენოთ ვ. ი. ლენინის სრულიად ნათელი და გარკვეული დებულება: „მარქსიზმის ძირითადი იდეების თვალსაზრისით, საზოგადოებრივი განვითარების ინტერესები პროლეტარიატის ინტერესებზე უფრო მაღლა დგას, — მთელი მუშათა მოძრაობის ინტერესები, მთლიანად

<sup>14</sup> „სოციოლოგიური ნარკვევები“, თბ., 1969, გვ. 57.

აღებული, მუშათა ცალკეული ფენის ან მოძრაობის ცალკეული მომენტების ინტერესებზე უფრო მაღლა დგას<sup>15</sup>. პროლეტარიატის ინტერესებზე მაღლა „საზოგადოებრივი განვითარების ინტერესების“ დაყენებით ვ. ი. ლენინმა არსებითად გაარკვია, საით არის საძიებელი ღირებულების ობიექტური კრიტერიუმის პრობლემის გადაწყვეტა: ღირებულების საბოლოო კრიტერიუმი არის საზოგადოებრივი განვითარების, კაცობრიობის, ადამიანის გვარის ინტერესები. როგორც ჩანს, აუცილებლობით დგება საკითხი ადამიანის ძირითადი ტენდენციების; მისი ბუნების შესახებ. ეს კი ზოგადფილოსოფიურ მიდგომას მოითხოვს.

ამრიგად, სოციოლოგიის პრეტენზიები ადამიანის ბუნების ცოდნაზე მხოლოდ მაშინ იქნება სამართლიანი, თუ ის განხილული იქნება როგორც ფილოსოფიის ერთ-ერთი მხარე თუ შემადგენელი ნაწილი. ხოლო რამდენადაც სოციოლოგია განიხილება როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ შედარებით დამოუკიდებლობის მქონე დისციპლინა, მისი შესწავლის საგანი შეიძლება იყოს ადამიანის ერთ-ერთი, თუმცა უაღრესად მნიშვნელოვანი მხარე. ადამიანის ეს მხარეც რომ შესწავლოს მან უნდა გაითვალისწინოს ადამიანის ბუნება, მისი ძირითადი ტენდენციები, ამ ტენდენციების ფილოსოფიური ანალიზის შედეგები. ადამიანისა და ადამიანური სამყაროს თავისებურებანი, რომელთაც ფილოსოფიური შემეცნება დაადგენს, განაპირობებენ სოციალური შემეცნების თავისებურებასაც.

19.305  
ადამიანი ბუნების ნაწილია და მისი შესწავლა ბუნებისმეტყველური მეთოდებით, რა თქმა უნდა, შესაძლებელია. მაგრამ ადამიანური, საზოგადოებრივი სამყაროს შედარება ბუნებასთან გვიჩვენებს განსხვავებასაც მათ შორის: ბუნებაში ბრმა აუცილებლობა ბატონობს, საზოგადოებაში — თავისუფლებასაც აქვს ადგილი: ერთგან მხოლოდ მიზეზობრივი გაპირობებულობაა, მეორეგან მიზანდასახული მოქმედებაც მონაწილეობს; ერთგან მხოლოდ ნივთების სამყაროა, მეორეში გვაქვს აგრეთვე ღირებულებები, საზრისი; უფრო მეტიც: თვითონ ნივთებიც აქ გარკვეული საზრისის მატარებელნი არიან. როდესაც ბუნებისმეტყველი რაიმე მინერალს თუ მცენარეს შესწავლის, ის გამოიკვლევს მის სხვადასხვა ეგზემპლარებს, მოახდენს მათ კლასიფიკაციას, გამოავლენს მათ საერთო ნიშნებს, დაადგენს მათი ცვლილების კანონზომიერებას და ა. შ. ადამიანის მიერ შექმნილი პროდუქტი მხოლოდ ამ მეთოდებით ვერ შესწავლება. მისი შემეცნებისათვის აუცილებელია იმ საზრისის ამოცნობა, რაც მასში ადამიანმა ჩაიდო, იმ დანიშნულების გაგება, რაც მას ადამიანთა საზოგადოებაში აკისრია. ის, თუ როგორ ხდება ადამიანური შემოქმედების ამ მხარეების შემეცნება, საზოგადოებრივი ცხოვრების ამგვარი შინაარსის კვლევა, ცალკე მსჯელობის საგანი უნდა იყოს. ამჯერად ჩვენი ამოცანა მხოლოდ ის იყო, რომ გავგეგმართლებინა სოციალური შემეცნების თავისებურების შესახებ საკითხი, დაგვესაბუთებინა ის, რომ მეცნიერებათა სწრაფვა ინტეგრაციისაკენ არ მოასწავებს სოციალური შემეცნების თავისებურების უარყოფას; მეცნიერებათა შორის კავშირის გაძლიერება ჩვენგან მოითხოვს როგორც სოციალური მეცნიერებისადმი ბუნებისმეტყველური მე-

<sup>15</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 282.

1. მარჯოს ს.ს. ს.ქ. სსრ



თოდების გამოყენების შესაძლებლობათა გამოკვლევას, ისე ბუნებათმცნიერების წინაშე წარმოშობილი ჰუმანიტარული პრობლემების გამოვლენას.

დასასრულ, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ადამიანური სამყაროს შემეცნების თავისებურების გააზრებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის, რომელიც ისტორიული განვითარების კანონების გაცნობიერებულ გამოყენებაზეა დამყარებული: თუკი საზოგადოებაში, სადაც ბრმა, სტიქიური ძალები ბატონობენ, სადაც ადამიანი საზოგადოების სისტემისა და მისი ძალების ხელში ნივთად არის გადაქცეული, ბუნებრივია „ადამიანის როგორც მანქანის“ განხილვა, მისი თავისუფლების უარყოფა, — საზოგადოებაში, რომელშიც, ენგელსის თქმით, ადამიანთა ყოფიერება მათი საკუთარი საქმე გახდა, სადაც ყველაფერი ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალების გაშლად განვითარებას უნდა ემსახურებოდეს, ყოვლად მიუტევებელია ადამიანის როგორც ნივთის განხილვა, მისი თავისებურების, თავისუფლებისაგან მისი სწრაფვის უგულვებელყოფა.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა)





მ. ბიჭიანი

### ახალგაზრდობის მეცნიერულ-ათეისტური აღზრდა

XXIV ურილობამ აღნიშნა, რომ პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მთავარ ამოცანად რჩება ახალგაზრდობაში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, მაღალი იდეურ-პოლიტიკური დონისა და კომუნისტური მორალის ფორმირება. იდეოლოგიური მუშაობის შემადგენელი ნაწილია ახალგაზრდობის მეცნიერულ-ათეისტური აღზრდა, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია მატერიალისტური მსოფლმხედველობის მიზანდასახულ და შემოქმედებით განვითარებასთან. თანამედროვე მეცნიერული აღმოჩენები მეტყველებენ ადამიანის გონების შესაძლებლობის უზრუნველყოფას და უდიდესი ძვრებით აღსავსე ჩვენი დროება ნათელიყოფს რელიგიის რეაქციულ არსს.

ფილოსოფიისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერების მიზანი დასაწყისში ერთიანი იყო და, პლატონის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამოცანა მდგომარეობდა ქვეშაირტების დადგენაში; ერთიანი იყო ბუნების შეცნობისა და დაკვირვების რაციონალური ახსნა. ტექნიკისა და კულტურის განვითარებამ წარმოშვა კვლევა-ძიების ახალი მეთოდები და ამან განაპირობა მეცნიერებათა ვიწრო დარგობრივი განვითარება. ფილოსოფია და ბუნებისმეტყველება გამოეყო ერთმეორეს, მათი შესწავლის საერთო საგნის დიფერენციაციამ უნებურად პირველი სასიკვდილო დარტყმა მიიყენა ადრინდელ რელიგიას: გონება და „სული“ შესასწავლად დარჩათ ფილოსოფოსებს და თეოლოგებს, ხოლო ნივთიერება და „ხორცი“ — ბუნებისმეტყველთ; რაც შეეხება ფსიქოლოგებს, — კარგა ხანს მათ შესასწავლად რჩებოდათ რაღაც შუალედი მატერიისა და სულს შორის; მათემატიკა, ფიზიკა და ქიმია იქცნენ მეცნიერების მნიშვნელოვან დარგებად; ბიოლოგიაში ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენება მეტად ნაყოფიერი გამოდგა; ადამიანმა თანდათან მეტ წარმატებას მიაღწია მიწო და მაკროსამყაროს გამოკვლევაში, საფუძველი მოესპოთ ალქიმიკოსებსა და ასტროლოგებს. განვითარებადი მეცნიერებანი შთანთქმდნენ ინტელექტუალური და ეკონომიკური რესურსების უდიდეს ნაწილს, მეცნიერებანი არაპარამონიულად ვითარდებოდნენ; ტექნიკური და მეცნიერული პროგრესის საერთო დონის მიხედვით, ხშირად ჩამორჩებოდა ესა თუ ის დარგი აღნიშნულ დონეს, მაგალითად: თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცეოდა ფსიქიკურ პროცესთა ბუნების შესწავლას, — გონება, ცნობიერება განიხილებოდა მეტაფიზიკური პოზიციებიდან და თვლიდნენ, რომ ცნობიერების ექსპერიმენტული შესწავლა შეუძლებელია. რელიგიას არ აწყობდა მეცნიერების პერსპექტიული დარგების განვითარება, ამიტომ ცდილობდა, ხელი შეეშალა ყოველგვარი ნოვატორობისათვის ადამიანის ცხოვრებაში; ხოლო, როდესაც ესა თუ ის მეცნიერული სიახლე საერთო აღიარებას მოიპოვებდა, თეოლოგები მაშინვე თავის სასარგებლოდ ცდილობდნენ მის გამოყენებას იმ მოტივით, რომ მეცნიერული აღმოჩენები „მსგავსნი არიან რელიგიური შეხედულებებისა“; მაგრამ მათი ეს პოზიცია მთავრად მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც ევროპაში ჩამოყალიბდა ახალი მოძღვრება — მარქსიზმი.

მარქსიზმ-ლენინიზმი იძლევა რელიგიასთან დაკავშირებული პრობლემების ერთადერთ სწორ განსჯა-განხილვას თავისი მთლიანი და მეცნიერულად მიმართული მსოფლმხედველობის წყალობით, რადგან მატერიალისტურად ხსნის ბუნების, საზოგადოებისა და ადამიანის შემეცნებას. მარქსიზმ-ლენინიზმი თავისი არსით მუდამ უპირისპირდება რელიგიას და გასაქანს არ აძლევს რელიგიურ შეხედულებებს, რისთვისაც მან განსაზღვრა ნამდვილი ჰუმანური მეთოდები ათეისტური აღზრდის ორგანიზებისათვის, — რომ რელიგია როგორც იდეოლოგია პრინციპულად მიუღებელია მარქსიზმ-ლენინიზმისათვის; მაგრამ



იგი მაინც გვასწავლის, რომ კი არ უნდა შეურაცხვეყოთ მუშები და გლეხები მათი რელიგიური და პოლიტიკური ცრუმორწმუნეობის გამო, არამედ დაყინებით, ტაქტიკურად და მოთმინებით უნდა გამოვიყენოთ „ყოველი აქტი პოლიტიკური და ეკონომიური ბრძოლისა მათი განათლებისა და შეგნებულ პროლეტარიატთან დაახლოებისათვის ერთიანი ბრძოლისათვის“<sup>1</sup>. ლენინი გვასწავლის, რომ წმინდა ქადაგებით არ შეიძლება რელიგიურ ცრუმორწმუნეთა გაფანტვა, ამისათვის აუცილებელია საზოგადოების ახლებურად აღზრდა და გარდაქმნა.

ახალი ადამიანის ჩამოყალიბებაში უპირველესი ადგილი ჩვენთან სკოლას ეკუთვნის. საბჭოთა საზოგადოებისა და საბჭოთა სკოლის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია ადასტურებს მარქსისტულ დებულებას იმის შესახებ, რომ რელიგიის კვდომა წარმოადგენს სოციალური პროგრესის შედეგს, რომ რელიგია გაქრება იმდენად, რამდენადაც განვითარდება სოციალიზმი ჩვენს ქვეყანაში. სოციალიზმის მშენებლობამ საწყისი მისცა საზოგადოების ისტორიაში პირველ ათეისტურ საზოგადოებას, — საფუძველი შეექმნა ახალი ადამიანის ფორმირებას, რომელიც თავისუფალია არა მარტო სოციალურად და ეკონომიურად, არამედ — სულიერი არტახებისაგანაც. რაც შეეხება ჩვენს ახალგაზრდობას, მას არა აქვს არავითარი მორალური უფლება, რომ გაეხვიოს რელიგიის ბურანში. ამისათვის საჭიროა, თითოეული ახალგაზრდა ისწრაფოდეს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დაუფლებისაკენ; აქტიურად მონაწილეობდეს ახალგაზრდული ორგანიზაციების, სექციებისა და წრეების მუშაობაში; მუდამ იყოს პარტიისა და მთავრობის მოწოდების სიმალეზე.

ჩვენში აღზრდის პირობების ძირფესვიანმა გაუმჯობესებამ 1917 წლიდან, რაც პირველ რიგში მიღწეულია რელიგიის ჩამოცილებით სკოლისაგან, შესცვალა ახალგაზრდობის სულიერი ჩამოყალიბების ძველი პრინციპები; აღზრდა გამოაცხადა სახელმწიფო საქმედ და ამან ხელი შეუწყო სოციალიზმის მშენებლობაში ახალგაზრდობის მასობრივ ჩაბმას. ამის შედეგი იყო ის, რომ ახალმა თაობამ არა მარტო დაიცვა მამათა რევოლუციური მონაპოვარი, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებასა და წინსვლაში.

საბჭოთა კავშირში საფუძველი გამოეთხარა რელიგიას და კულტის მსახურთათვისაც ცნობილია, რომ განადგურდა ის ბაზა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ეყრდნობოდა ეკლესია. მაგრამ ნიშნავს თუ არა ყოველივე ეს, რომ ჩვენში რელიგია საბოლოოდ აღმოიფხვრა და საბჭოთა კავშირში რელიგიურ ცრუმორწმუნეთა წინააღმდეგ ბრძოლა აღარ უნდა წარმოებდეს? ჩვენს პარტიას, საბჭოთა ინტელიგენციის მეშვეობით, კვლავ ინტენსიური ბრძოლა სჭირდება, რადგან მოსახლეობის ერთი ნაწილის შეგნებაში რელიგიური შეხედულებანი შემონახულია და გადადის თაობებზე. როდესაც ვიბრძვით ახალგაზრდობის ათეისტური აღზრდისათვის, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ რელიგიური იდეოლოგია ეგუება ცვალებად ეკონომიკურსა და პოლიტიკურ პირობებს და უწყვეტლევ მოდერნიზდება. თეოლოგებიც ხედავენ, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა აღარა ჰგავს იმ თაობას, რომელიც ებრძოდა რელიგიას 20-30 წლის წინათ. როგორც ცხოვრებამ გვიჩვენა, რელიგია უფრო

დაიხვეწა თავისი არსებობისათვის ბრძოლაში და ცდილობს მიმზიდველად მოეჩვენოს ადამიანებს, — რელიგიამ დახვეწა ადამიანებთან ურთიერთობის თავისი მეთოდები და ესწრაფვის ცალკეულ პიროვნებათა მეტი რაოდენობით გადაბირებას; ამიტომაც იგი უფრო საშიშია ამჟამად, ვიდრე — ტრადიციული ფორმით. ზოგიერთი ინტელიგენტის რწმენით, თუ რელიგია დაკავშირებული არ არის ექსპლოატატორულ კლასებთან თითქოს საშიშადაც არ წარმოგვიდგება. ასეთ აზრს ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში მიყვებართ მეცნიერულ-ათეისტურ აღზრდის აუცილებლობის შეუფასებლობამდე. საბჭოთა ახალგაზრდობის მცირე ნაწილის ცნობიერებაში, როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, რელიგიურმა მანვე ნაშთებმა განსაკუთრებით თავი იჩინეს ნაციონალისტური ცრურწმენის პოზიციებიდან: ეკლესიის მსახურთ, ეტყობათ, ეს ნიუანსი არ გამოჩნათ და თავს ასაღებენ ეროვნული კულტურის თვითყოფადობის დამცველებად, რითაც ცდილობენ ხალხზე თავისი დაქვეითებული გავლენის შენარჩუნებას, — ამიტომაც ბერავენ და აფერადებენ თავის როლს ამა თუ იმ ისტორიულ მონაკვეთში. ახალგაზრდობას გულდასმით უნდა განემარტოს, თუ რა შემთხვევაში აღინიშნება რელიგიის დადებითი გავლენა საზოგადოების ისტორიული განვითარების მთლიან პროცესში: ახალგაზრდობას ჩვენც ვასწავლით, რომ ქრისტიანობა თავისი დამკვიდრების პერიოდში პროგრესული მოვლენა იყო მრავალმფრთიანობისა და კერპთაყვანისმცემლობის საპირისპიროდ, — რელიგია ცდილობს იმის დასაბუთებას, თითქოს იგი ახლაც საზოგადოების პროგრესს ემსახურება; ახალგაზრდობამ იცის, რომ აგრესორული ექსპანსიების დროს ჩაგრული მოსახლეობა იდეოლოგიური და პოლიტიკური ბრძოლის საშუალებად იყენებდა მამა-პაპათა სარწმუნოებას, — რელიგია ამტკიცებს, თითქოს იგი მუდამ ჩაგრულთა დამცველია; ახალგაზრდობა იცნობს რელიგიურ თემებზე შექმნილ ხელოვნების მრავალ ნაწარმოებს, — რელიგია ცდილობს იმის მტკიცებას, თითქოს მის გარეშე ხელოვნება ღარიბდება და კვდება.

უნდა ითქვას, რომ კულტის მსახურნი ზოგჯერ აღწევენ გარკვეული იდეოლოგიური კაპიტალის მოხვეჭას. ამას დროულად მიაქცია ყურადღება საქართველოს განათლების სამინისტრომ და 1970 წ. მიიღო დადგენილება სკოლებში ათეისტური აღზრდის გაძლიერებისა და პროპაგანდის ფორმების გაუმჯობესების შესახებ, სადაც აღნიშნულია ეკლესიის მსახურთა და სექტანტების ცდა, რომ დაუპირისპირდნენ საბჭოთა სკოლას. განათლების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, რათა რელიგიის მსახურთა ამ ცდას დაუპირისპირდეს არა მარტო საკუთრივ ანტირელიგიური პროპაგანდა, არამედ მოსწავლეთა პროგრამირებული ათეისტური აღზრდა; ეს უკანასკნელი კი უნდა დაუკავშირდეს ესთეტიკურ აღზრდას და ორგანულად შეუხამდეს სამამულო გმირულ ისტორიას, საბჭოთა ხალხის დიდ რევოლუციურ წარსულს. საჭიროა დამაჯერებელი მტკიცება, რომ რელიგიამ დიდი ხნიდან დაკარგა მნიშვნელოვანი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ეს ხდებოდა იმის შესაბამისად, თუ რა დროს რა საშუალებებით ემსახურებოდა იგი ექსპლოატატორულ კლასებს. პროგრამირებული აღზრდა მოხერხდება, თუ შესაბამის სახელმძღვანელოში ფართოდ იქნება ილუსტრირებული რელიგიის უარყოფითი გავლენა საზოგადოებაზე და, საამისოდ, ისტორიით ცნობილი მაგალითებიდან უნდა მოხდეს ამ მხრივ ყველაზე დამახასიათებელი ნიმუშების შერჩევა; თვით ისტორიის სახელმძღვანელოში ან მხატვრული ნაწარმოების კრიტიკული გარჩევის დროს

კი განსაკუთრებული ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ათეისტური პროპაგანდის თვალსაზრისით გამოსარჩევი თითოეული მომენტი. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს, რომ აღვზარდოთ იდეოლოგიურად სწორად ფორმირებული ახალგაზრდობა.

ვ. ი. ლენინი წერდა, რომ... „აუცილებელია მასებს მივცეთ ათეისტური პროპაგანდის მრავალმხრივი მასალა, გავაცნოთ მათ ცხოვრების სულ სხვადასხვა ფაქტები, მივიღეთ მათთან და ამგვარად დავაინტერესოთ ისინი, გამოვაფხიზლოთ რელიგიური ძილისაგან, შევანჭღრიოთ სულ სხვადასხვა მხრიდან, სულ სხვადასხვა საშუალებებით და ა. შ.“<sup>2</sup>; ამასთან, ლენინი მოითხოვდა, რომ არ დაშვებულიყო ადმინისტრირება მორწმუნეთა მიმართ. თანამედროვე იდეოლოგიური დარგის მუშაკების მოვალეობაა, რომ ყოველდღიური კავშირი ვიქონიოთ საზოგადოებასთან; ეს მითითება გვევალეებს, რომ ახალგაზრდობას ისე უნდა განვუმარტოთ რელიგიის არსი, როგორც მოცემულია პარტიის პროგრამასა და წესდებაში. ცრურწმენათა განმარტებისას აუცილებელია, რომ ხაზი გავუსვათ და ჩავწვდეთ იმ ფესვებს, რომლებიც ასაზრდოებდნენ და ასაზრდოებს რელიგიას. ახალგაზრდობას უნდა ავუხსნათ, რომ საზოგადოებაში მასების ღმერთებისადმი რწმენის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, მშრომელი მასების ჩაგვრა და დაბეჩავება გაბატონებული კლასის მიერ; მაგრამ რელიგიური რწმენა ჯერ კიდევ კლასების გაჩენამდეც არსებობდა, როდესაც ადამიანი უმწეო იყო ბუნების სტიქიური ძალების წინაშე და ადამიანთა საზოგადოების განვითარების დაბალი საფეხურით ხელი შეეწყო ბუნების შეუცნობელი ძალების პრიმიტიულ აღქმას. ახალგაზრდებს საგულდაგულოდ უნდა განემარტოს მარქსიზმის კლასიკოსთა შეხედულება რელიგიაზე: 1) რომ ღმერთი, რელიგია არ ქმნის ადამიანს, არამედ ადამიანები ქმნიან რელიგიას — სამყაროს უკუღმართ ცნობიერებას; 2) რომ რელიგიაც ასახვავა, მაგრამ სინამდვილის ფანტასტიკური, დამახინჯებული ასახვა; 3) რომ რელიგიური სილატაკე გამოხატულება ნამდვილი სილატაკისა და პროტესტია ნამდვილი სილატაკის წინააღმდეგ; 4) რომ რელიგია ოპიუმია ადამიანებისათვის; 5) რომ რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა კაპიტალიზმის პირობებში არის არაპირდაპირი ბრძოლა კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ; 6) რომ რეალურ სამყაროს რელიგიური ასახულობა შეიძლება, საერთოდ, მხოლოდ მაშინ გაქრეს, როცა ადამიანთა პრაქტიკული საყოველღეო ცხოვრების ურთიერთობა გამოხატული იქნება განუწყვეტლივ როგორც გამჭვირვალე და გონივრული დამოკიდებულება ადამიანებისა ერთმეორესთან და ბუნებასთან; 7) რომ საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესის, ე. ი. მატერიალური წარმოებითი პროცესის სახე მხოლოდ მაშინ მოიხსნის თავის მისტიკურ ბურჟუაზიან საბურველს, როცა იგი საზოგადოებრივ კავშირში თავისუფლად გაერთიანებულ ადამიანთა პროდუქტი გახდება და მათს შეგნებულ გეგმაზომიერ კონტროლს დაექვემდებარება<sup>3</sup>.

ამრიგად, რელიგია არ არის ინდივიდუალური მოვლენა, იგი სოციალური მოვლენაა და, ამდენად, მისი კვლევით სოციოლოგიაც არის დაინტერესებული; გარდა ამისა, რელიგიის საკითხების გარკვევა მოითხოვს ბევრი ტერმინის ფილოლოგიურ ანალიზს; რელიგიის გასაგებად, მისი ბუნების ასახსნელად

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 45, გვ. 26.

<sup>3</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, გვ. 10.

ხშირად მიმართავდნენ მითოლოგიის გამოკვლევას. როგორც ვხედავთ, მეცნიერების სხვადასხვა დარგში, სულიერი კულტურის სხვადასხვა სფეროში ჩვენ ვპოულობთ ბევრ მასალას, რომელიც ხელს უწყობს რელიგიის წარმოშობისა და არსის მრავალი საინტერესო საკითხის ახსნას, ამიტომაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის წინააღმდეგ მეცნიერების სხვადასხვა დარგის გაერთიანებას ათეისტური ბრძოლის უკეთ წარმართვისათვის მეცნიერების უახლოესი მიღწევების გამოყენებით.

საკუთრივ ღმერთის არსებობის უარყოფისათვის, ახალგაზრდებს უნდა განემარტოს, რომ ღმერთი ყოველგვარი რელიგიის ქვეკუთხედი, დასაყრდენი ძალაა, მაგრამ არც ერთმა მათგანმა არ იცის, რა არის იგი. ეს იქიდანაც ჩანს, რომ არათუ სხვადასხვა დროისა და მიმართულების რელიგიის, არამედ ერთნაირი რელიგიური რწმენის ადამიანებსაც კი სხვადასხვა წარმოდგენა აქვთ ღმერთზე; მაგალითად, ე. წ. გამოცხადების რელიგიაში ღმერთი არის აბსოლუტური პირი, რომელიც არ არის დამოკიდებული რაიმე გარეგან პირობებზე და თვითონ განსაზღვრავს თავის თავს, საკუთარ ნებისყოფას, — თვითონვე ადგენს საკუთარ გონებას და არის მარადიული, უცვლელი, ყოვლისშემძლე და უსასრულო ძალა, რომელიც არ ექვემდებარება ცვალებადობას; რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრების — პანთეიზმის მიხედვით, ღმერთი და ბუნება ერთი და იგივეა, იგი ბუნებისათვის გარეგანი კი არა — შინაგანი იმანენტური იგივეობაა (მაგრამ ამ მოძღვრებაშიც განსხვავებული შეხედულებები არსებობს: ე. წ. იდეალისტური პანთეიზმის მიხედვით, ღმერთი მოიცავს სამყაროს, სამყარო ღმერთშია; ნატურალისტური პანთეიზმის მთავარი წარმომადგენლის — ბრუნოს აზრით კი ღმერთი ბუნების ზემოთ კი არ დგას და მას კი არ მართავს, არამედ თითონ არის ბუნება, იგი ბუნების შინაგანი ძალაა, რომელიც მოქმედებს და ვლინდება მის საგნებსა და მოვლენებში). ახალგაზრდობას ასევე უნდა განემარტოს უაზრობა და წინააღმდეგობრიობა რელიგიური ძირითადი დგომებისა; მაგალითად: სამყაროს შექმნის შესახებ, ენის წარმოშობის შესახებ და ა. შ.

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა, ვუბასუხოთ უფროთოეს მასებს კითხვაზე, თუ რატომ იბრძვის კომუნისტური პარტია რელიგიურ ცრუმორწმუნეთა წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის ათეისტური აღზრდისათვის. თუმცა დაწვრილებით არ ვჩერდებით რელიგიურ ორგანიზაციათა ისტორიაზე, მაინც საჭიროა მოვიყვანოთ ფაქტები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მთელს ჩვენს ანტირელიგიურ პროპაგანდასა და აგიტაციაში.

ახალგაზრდობას უპირველესად უნდა ჩაეაოწოთ, რომ რელიგიური ორგანიზაციების ისტორია — ეს არის სისხლიანი ომების, ადამიანთა მილაონების ზოცვა-კლეტვის ისტორია: საქარისა მოვიგონოთ ჯვაროსანთა ლაშქრობანი, „უცხო“ სარწმუნოების პირთა გაკლეტის ისტორია. ლუთერანთა ეკლესიის ფუძემდებელი მარტინ ლუთერი მე-16 სუკუნეში, როდესაც გლეხები აჯანყდნენ ბატონების წინააღმდეგ, გამოვიდა ადამიანის მძულვარებით დასავსე ქადაგებით და მოითხოვდა მემამობეთა გაკლეტას: „საჭიროა მათი დახოცვა, დახრჩობა და გაკლეტა ფარულად და აშკარად, ისე, როგორც კლავენ ცოფიან ძაღლს. . . ამიტომ, ბატონებო, იხსენით თავი, გაკლტეთ, გასრისეთ ისინი, ვისაც როკორ ეხერხება და ვისაც ამასთან ხედება სიკვდილი, ნეტარება მას ვინაიდან უფრო სანატრელი სიკვდილი შეუძლებელია“. მარტინ ლუთერი ამბობდა: „საკეები, ტვირთა და მათრახი ვირს. . . გლეხთა თავები გამოუჩნულა შვრავს ბზით; ისინი არ ემორჩილებიან სიტყვას და უკუნურნი არიან; ამიტომ ისინი უნდა ემორჩილებოდნენ მათრახსა და თოფს. ჩვენ უნდა ვხოცოდეთ, რათა ისინი მოჩრჩილნი იყვნენ: თუ ისინი მოჩრჩილნი არ იქნებიან ადგილი არ უნდა ქონდეს შეწყალებას. დღე თავისი სიტყვა თქვას თოფმა, წინააღმდეგ შემთხვევაში ათასჯერ უფრო უარე სი



მოხდება“. ლუთერი კი არის ეკლესიის რეფორმატორი და მას რომის პაპი თვლიდა არა მარტო პირად მტრად, არამედ მთელი კათოლიკური ეკლესიის მტრადაც. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე ჩვენს ქვეყანაში ცარიზმი არა ერთხელ მიმართავდა ნაციონალური შუღლის გაღვივებას, ამხედრებდა ერთი რელიგიის, ერთი ეროვნების ადამიანებს — სხვებზე: მთელმა მსოფლიომ იცის ებრაელთა სამარცხვინო დარბევები, სომეხ-თათართა ქლბა და სხვა ანალოგიური ფაქტები, — რასაც ხელს უწყობდა ცარიზმი ეკლესიის დახმარებით, რათა მშრომელი მასები რევოლუციური მოძრაობისაგან ჩამოეშორებინა. ამიტომ, რელიგიურ ორგანიზაციათა ისტორია არის უაღრესად ველური ნაციონალიზმის ისტორია და, ამჟამადაც, კაპიტალისტურ საზოგადოებაში რელიგიური დეკანა შეთავსებულია ბრძოლასთან ამა თუ იმ ეროვნების ან მთელი რასის წინააღმდეგ. რელიგია ერთ-ერთი განმსაზღვრელი იყო ფაშისტური რევოლუციისა და კავთომოძულე ფაშისტების ბარბაროსობა დღესაც მტკიცებულად ახსოვს მსოფლიოს.

ახალგაზრდები უნდა დარწმუნდნენ, რომ რელიგიის ისტორია არის ბრძოლა მეცნიერების წინააღმდეგ. საეპარხოსო გავიხსენოთ ინკვიზიციის სისხლიანი დანაშაულებანი, კოცონები და წამებანი, რითაც იღუპებოდნენ საუკეთესო ადამიანები, ამხედრებულნი რელიგიური ბნელეთის მოციქულების წინააღმდეგ: მოვიგონოთ ცეცხლის ალზე დაფრთხილი ჯორდანო ბრუნო, რომლის ნებისყოფა ვერ გატეხა წამებამ. ცნობილია, რომ ეკლესიამ აკრძალა კოპერნიკის წიგნი — „ციურ სფეროთა ბრუნვის შესახებ“. თითქოსდა ამის საპასუხოდ, გალილეომ გამოსცა მეცნიერული ნაშრომი, რომელშიაც თავგამოდებით იცავდა პოლონელი მეცნიერის დასკვნებს. კოპერნიკისა და გალილეის აღმოჩენებმა სამღვდლეობა გააშმაგა და პაპმა ვალიეტი რომში გაიწვია საეკლესიო სასამართლოზე: 70 წლის მეცნიერის დაკითხვამ ხუთ თვეს გასტანა, ინკვიზატორებმა უარი ათქმევინეს ტანჯულ მოხუცს თავის შეხედულებებზე; მოგვიანებით ამის თაობაზე ლამაზი ლეგენდა შეიქმნა: ინკვიზაციის სამსჯავროზე, როცა ვალიელის უნდა წარმოეთქვა მონაწილების დამამკიცრებელი სიტყვები, იგი ფეხზე წამოდგა და შესძახა: „მაგრამ დედამიწა მაინც ბრუნავს!“ — ამ ლეგენდაში გამოთქმულია რწმენა, რომ ადამიანის თავისუფალი აზრის ჩახშობა შეუძლებელია. რელიგიურ ორგანიზაციათა ისტორია არის სამყაროს შესახებ ყველაზე უაზრო და შეუხეხელი, რეაქციული თეორიების ისტორია. ჩვენ რომ დაგვეშვა ეკლესიის თუნდაც სულ მცირე გავლენა სკოლაზე, დღემდე ჩვენს სკოლებში გვექნებოდა ქადაგება ისეთი უაზრო ზღაპრებისა და თეორიებისა, როგორცაა ლეგენდა ღვთის მიერ ექვს დღეში სამყაროს შექმნის შესახებ; ხუცესნი აგრეთვე მოუთხრობდნენ, რომ ღმერთმა მძინარე ადამს გამოაცალა ნეკნი და მისგან შექმნა პირველი ქალი — ევა, ისინი ღმერთმავე შეაცდენინა გველს, რისთვისაც „სამოთხიდან“ გამოისტუმრა პირველი ადამიანები და გასწორა კაცობრიობა სამარადისო წყალებისათვის და „ოფლითა თვისთ მოაპოვებინა პური თვისი“. სანამ ბაქშევი სკოლაში სიარულს დაიწყებდეს, მორწმუნე ოჯახში მას უნერგავენ რელიგიურ მსოფლმხედველობას და ეს ხშირად იჩენს თავს დაბალი კლასების მოზარდთა გულუბრყვილო შეკითხვებში: რა არის ღმერთი? არის თუ არა ის? როგორია იგი? და ა. შ.

ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, რომ ყოველგვარი რელიგია პიროვნების წინააღმდეგ არის მიმართული, რომ ადამიანის თავისუფლებას ერთნაირად ზღუდავს იუდეველთა სარწმუნოებაც, ქრისტიანობაც, მამპადიანობაც, ბუღ ზმიც და ამა თუ იმ რელიგიის სხვადასხვა სექტანტური მოძღვრებაც; ამასთან, სექტანტები უფრო მავნებელნი არიან საზოგადოებისათვის, რადგან არავითარ საშუალებას არ ერიდებიან ადამიანის გონების მოსაწამად აღ, ანტისაზოგადოებრივ პიროვნებად მის გარდასაქმნელად. სხვა მხრივ ყველა რელიგია პიროვნების არარაობას ქადაგებს: შენ ხარ მატლი, შენ ხარ მიწა, შენ ბოლომდე ვერასოდეს შეიცნობ ბუნების საიდუმლოებებს, სიცოცხლისა და სიკვდილის საიდუმლოებას; ყოველგვარი შენი მოქმედება, შენი ბედი და შენი სიცოცხლე დამოკიდებულია ღმერთზე<sup>4</sup>. ყველა რელიგია უმოქმედობისაგან მოუწოდებს ადამიანს და ამქვეყნიური წამებისათვის ჰპირდება იმქვეყნიურ ნეტარებას; ყველა რელიგია ხელს უწყობს ერის დაქუცმაცებას, პრიცილეობიერებას და ჩაგრულ კლასებად დაყოფას; ყველა რელიგია წინააღმდეგია მშრომელი მასების პოლიტიკური ბრძოლისა, და, თუ ვაბატონებული კლასის სასარგებლოდ სისხლისმღვრელ აგრესიულ ომებსაც ამართლებს, ჩაგრული კლასისათვის მას პატიფიზმის ქადაგება აქვს მომარჯვებული; ყველა რელიგია კონტრეპოლუციას უერთდება სახალხო რევოლუციის დროს, რითაც საბოლოოდ ააშკარაებს თავის რეაქციულ არსს.

ჩვენი ახალგაზრდობისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები აგებულობა მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების პრინციპებზე, ამდენად, თვითეული ახალგაზრდა, ამა თუ იმ კერძო მეცნიერების საფუძველთა დაუფლებისას,

<sup>4</sup> ფ. ე. ნ. გ. ე. ს. ი, გლეხთა ომი გერმანიაში, კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ტ. 8, გვ. 135.

ისისხლობრცებს მოწინავე მატერიალისტურ მსოფლმხედველობასაც. ამიტომ ახალგაზრდას შეიძლება აეხსნას თეოლოგიის ანტიმეცნიერული არსი და ფილოსოფიის ზოგიერთი იდეალისტური მიმდინარეობისა თუ მიმართულებების რელიგიასთან კავშირითიერთობა, თუკი პარალელურად მას განვუმარტავთ სათანადო ფილოსოფიურ ტერმინოლოგიას.

ახალგაზრდობას შეიძლება ვესაუბროთ ზოგიერთ თანამედროვე ფილოსოფიურ მიმდინარეობაზე, განვუმარტოთ მისი იდეალისტური არსი; მაგალითად: თანამედროვე ფილოსოფიის ბურჟუაზულ მიმდინარეობაში პერსონალიზმში, რომელიც ყოფიერების პირველსაწყისად აღიარებს პიროვნებას (Persona-ს) ჰანთიზმი (ღმერთი-ბუნება) გადაქცეულია იდეალისტურ თეორიად. სხვა რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრების—დეიზმის მიხედვით, ღმერთი არის სამყაროს შემქმნელი პირველმიზეზი, მაგრამ იგი შემდეგ აღარ ერევა მის საქმეებში. თეიზმის მიხედვით, კი ღმერთი არის განსაკუთრებული გონიერი პიროვნება, რომელმაც შექმნა სამყარო და განაგებს მას, თეოლოგთა შეხედულებებით, სამყაროს განვითარებას საფუძვლად უდევს მიზანშეწონილობა. ყველა საგანი იმიტომ არის თავის ადგილზე და ყველაფერი იმიტომ სრულდება გონიერულად და მიზანშეწონილად, რომ სამყაროს განაგებს გონიერულად მომწყობი ზებუნებრივი არსება — ღმერთი, რომელმაც თვითი იმიტომ გააჩინა, რომ დაეინახოთ, უფრო — იმიტომ, რომ მოეცინათ, კუჭი — საქმლის მოსანელებლად და ა. შ. ყველაფერი ეს გონიერულია და მიზანშეწონილი, მაგრამ, ძველი ბერძენი ფილოსოფოსის ეპიკურეს და სხვა მკვლევარებისა არ იყოს, თუ ღმერთი ყოკლად გონიერი, ყოველად კეთილი და ყოველად ძლიერია, მაშინ რატომ არის დედამიწაზე ბოროტება, — ომები, ეპიდემიები და სხვა; თუ ღმერთს არ ძალუძს ბოროტის აღმოფხვრა, მაშინ იგი აღარ არის ყოველსშემძლე, ხოლო თუ შეუძლია და არ დევნის, მაშინ იგი აღარ არის კეთილი. რელიგიის დოგმატიკოსები ზშირად მიმართვენ II საუკუნის კენტურბერიელი არქიეპისკოპოსის დებულებას, რომლის მიხედვით, რაიმეს შესახებ აზრის არსებობა სინამდვილეში მის არსებობასაც გულისხმობს; რაკი არსებობს აზრი ღმერთის შესახებ, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი სინამდვილეში არსებობს; ეს თუ ასეა, მაშინ უნდა არსებობდეს ანგელოზი, ეშმაკი და სხვა ამგარი ფანტასტიკური გამოჩანადი, ვინაიდან არსებობს აზრი მათ შესახებაც.

ასეთივე უმწეოა და უსუსურია სხვა შეხედულებებიც ღმერთის არსებობის შესახებ, რადგან არც ერთ მათგანს არ გააჩნია მტკიცე საფუძველი. მოვლენების მეცნიერული ანალიზი კი გვიჩვენებს, რომ სამყაროში არავითარი ზებუნებრივი ძალა არ არის. ღმერთი ადამიანმა თავის განვითარების დაბალ საფეხურზე გამოიგონა, როდესაც არ შეეძლო ბუნების საგნებისა და მოვლენების ახსნა, ამიტომაც ყოველივე ის, რასაც იგი გონებით ვერ მისწვდა, მან ზებუნებრივ ძალას — ღმერთს მიაწერა; საზოგადოების განვითარების შემდგომ პერიოდებში ღმერთის ცნებას ხელი ჩასჭიდეს მესვეურებმა და ექსპლოატატორულმა კლასებმა გამოიყენეს იგი ხალხზე ბატონობისათვის. მარქსისტულ-ლენინურმა მეცნიერებამ საბურველი ახადა ამ ყალბ შეხედულებას, მან დაგვანახა, რომ მთელი ბუნება მატერიალურია და საგნები და მოვლენები გამოწვეულია მატერიის ყოველგვარი მოძრაობის მიზეზი მოცემულია თვით მასაში და ეს არის დაპირისპირებულ ძალთა შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც ყოველი მოვლენის განვითარების საფუძველია; ღმერთი კი, როგორც იდეა ადამიანთა შეგნებაში მომხდარი თვითგანვითარების შედეგია, წარმოქმნილი ადამიანთა საზოგადოების განვითარების ადრინდელ საფეხურებზე.

თანამედროვე რელიგიის იდეოლოგიები ცუდი ფსიქოლოგიები როდი არიან. მათ დიდი ხნიდან შეუნიშნავთ, რომ „სულის ხსნისა“ და საიქიო ცხოვრების პრობლემები მორწმუნეთ გაცილებით ნაკლებად აღელვებს, ვიდრე იმის სურვილი რომ, ბედნიერი და უფრო მოწყობილი გახადონ თავისი ამქვეყნიური



ცხოვრება; სპეკულაციურად იყენებენ რა ადამიანთა ამ მისწრაფებას, ეკლესიის მსახურნი გულმოდგინეთ არწმუნებენ მათ, რომ ამქვეყნიური ბედნიერება შესაძლებელია მხოლოდ „სახარების ცნებათა“ დაცვით. დღეს ისინი იმის დამტკიცებასაც კი ცდილობენ, თითქოს ქრისტიანობა და კომუნიზმი ერთმანეთს ენათესავენოდნენ იდეურად, რომ კომუნისტური მორალის პრინციპი — „ადამიანი ადამიანის მეგობარი, ამხანაგი და ძმა! — თითქოს პირველად გამოეცხადებინოს... იესო ქრისტეს: „გვიყვარდეს მოყვასი შენ ვითარცა თავი შენი“. მაგრამ ქრისტიანობა მოგვიწოდებს გვიყვარდეს ყველა ადამიანი, მშრომელი და ექსპლოატატორი, პატიოსანი და დამნაშავე, მშვიდობისათვის მეტრძოლი და ომის გამჩალებელი, მეგობარი და მტერი... უფრო მეტად კი რელიგიის მიხედვით უნდა გვიყვარდეს ღმერთი, ვისთვისაც შეიძლება ყველაზე ძვირფასისა და ახლობლის შეძლება. ასეთი „კაცთმოყვარეობა“ ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას: ნამდვილი სიყვარული ადამიანებისადმი მოითხოვს აქტიურ ბრძოლას ყოველი რელიგიის წინააღმდეგ, — რაც ხელს უშლის პიროვნების საუკეთესო სულიერი და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. კომუნისტური მორალი მოითხოვს: „ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის საკეთილდღეოდ!“ და ამდენად ჩვენი ჰუმანიზმი ჭეშმარიტია, იგი ადამიანს უვითარებს ღირსებისა და კოლექტივიზმის გრძობას, თავისი ძალების რწმენას, შთააგონებს მას დიდებულ საქმეებს კომუნიზმის ნათელი იდეალებისათვის. მოწინავე მეცნიერებაზე დაყრდნობით, მატერიალისტური მსოფლმხედველობა იძლევა ბუნებისა თუ საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების სწორ ახსნას, მათი ურთიერთკავშირის მიზეზებისა და ხასიათის მართებულ გაგებას; იგი აიარალებს ადამიანს ბუნებისა და საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების ცოდნით, ახდენს მათს მობილიზებას აქტიური შემოქმედებითი საქმიანობისათვის; მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა ემსახურება საზოგადოების პროგრესულ ძალთა ინტერესებს წარმოადგენს რევოლუციური პროლეტარიატის მძლავრ იდეოლოგიურ იარაღს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

იდეალისტური ფილოსოფია სამყაროს თვლის სულის (იდეის) ანსახად, უარყოფს სამყაროს მატერიალურობასა და შეცნობადობას, რითაც ამტკიცებს, რომ ბუნებასა და საზოგადოებაში არ არსებობს ობიექტური კანონები. ანტიმეცნიერული იდეალისტური მსოფლმხედველობა ყოველთვის ემსახურებოდა საზოგადოების რეაქციულ ძალებს, ამჟამად ყველა ჯურის იდეალისტები იცავენ იმპერიალიზმის ინტერესებს. იდეალისტურ ფილოსოფიასა და რელიგიას შორის არსებობს უმჭიდროესი კავშირი: იდეალიზმი დახვეწილი, შენიღბული ფორმაა რელიგიური ბნელეთისა. რელიგიის ცხოველუნარიანობას ანტიგონისტურ კლასობრივ საზოგადოებაში მარქსიზმ-ლენინიზმი ხსნის სოციალური მიზეზებით, — ამის თაობაზე ვ. ი. ლენინი ამბობს: „... მშრომელთა მასების სოციალური დაბეჩავება, მათი მოჩვენებითი სრული უმწეობა კაპიტალიზმის ბრმა ძალების წინაშე, კაპიტალიზმისა რომელიც ყოველ დღე და ყოველ საათს ათასჯერ უფრო სახარელ ტანჯვას, აუწერელ მხეცურ წამებას აყენებს უბრალო მუშა ხალხს, ვიდრე ყოველგვარი არაჩვეულებრივი მოვლენები, როგორცაა ომი, მიწის ძვრა და ა. შ. — აი სად არის რელიგიის ყველაზე ღრმა თანამედროვე ფესვი“<sup>5</sup>. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ რელიგიის და-

<sup>5</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 15, 1950, გვ. 497.

საძლევად საჭიროა მოისპოს მისი წარმომშობი სოციალური ფესვები, ე. ი. უნდა მოისპოს კაპიტალისტური წყობილება. ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს სოციალური ბაზა რელიგიურ რწმენათა არსებობისათვის. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების შედეგად ლიკვიდირებულია ექსპლოატატორული წყობილება და ექსპლოატატორული კლასები, რომლებსაც იცავდა რელიგია და რომლებიც რელიგიას ასაზრდოებდნენ; მშრომელი ადამიანი გახდა სრული ბატონ-პატრონი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. საბჭოთა კანონიერებამ სპეციალური დეკრეტით სკოლას ჩამოაცალა ეკლესია, რითაც საბჭოთა ბავშვს მოუშნადა ნიადაგი, რომ მისი აზროვნება განთავისუფლებულიყო ყოველგვარი მონაგონი აბღაუბლისაგან.

რელიგიური ცრურწმენა სოციალისტური საზოგადოების პირობებში არსებობს როგორც წარსულის გადმონაშთი. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ადამიანთა შეგნება ჩამორჩება ეკონომიკის განვითარებას, ამაში იმალება ძირითადი მიზეზი საბჭოთა ადამიანების ერთ ნაწილში რელიგიური რწმენის არსებობისა. რელიგიური გადმონაშთების ცხოველუნარიანობა აიხსნება კაპიტალისტური წყობილების პირობებში უფროსი თაობის წარმომადგენელთა მიერ შექნილი ჩვევებით, ჩამორჩენილი ტრადიციებით, რომლებიც გადაეცემიან თაობიდან თაობას; ამის მიზეზია მოსახლეობის ერთი ნაწილის არასაკმაო კულტურის დონე, რიგ ადგილებში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის სისუსტე და ა. შ. ადამიანთა შეგნებაზე გავლენას ახდენს კაპიტალისტური გარემოცვა და რელიგიური პროპაგანდა, რასაც ჯერ კიდევ ეწევიან ეკლესიის მსახურნი. კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების წარმატებით განხორციელება მოითხოვს იდეოლოგიური მუშაობის დონის განუხრელად ამაღლებას და მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმისადმი მუდმივ ყურადღებას, ყოველდღიურ ბრძოლას ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის წინააღმდეგ. არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ცრურწმენა ცხოველუნარიანი გადმონაშთია და თავისთავად არ მოისპობა. ჩვენი პარტია ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ანტირელიგიურ პროპაგანდას, მოითხოვდა და მოითხოვს შეუპოვარ ბრძოლას რელიგიის წინააღმდეგ, რაშიც პარტია დიდ იმედს, — პირველ რიგში, — ამყარებს საბჭოთა სკოლაზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წლის) პლენუმის, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტისა და ივნისის (1954 წლის) პლენუმების დადგენილებებში ახალი ძალით იყო ხაზგასმული მასობრივი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ფართოდ გაშლის აუცილებლობა. ამ მუშაობის განუხრელი ნაწილია საბუნებისმეტყველო მეცნიერულ-ათეისტური ცოდნის პროპაგანდა. რელიგიასთან ბრძოლა საჭიროა, — აი, რატომ უყენებს პარტია სერიოზულ მოთხოვნას იდეოლოგიური დარგის ყველა მუშაკს და, განსაკუთრებით კი — სკოლას. მეცნიერულ-ათეისტური აღზრდა ძირითადად მოიცავს: ა) ათეისტურ აღზრდას ოჯახსა და სკოლაში; ბ) ათეისტურ აღზრდას საზოგადოებრივ ორგანიზაციებში (კომკავშირი, პროფკავშირი და ა. შ.). ათეისტური აღზრდის საკითხებს სერიოზული ყურადღება დაეთმო პარტიის XVIII და XXIV ყრილობებზე, მათს გადაწყვეტილებებში აღნიშნულია, რომ ბრძოლა რელიგიურ გადმონაშთებთან წარმოადგენს პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მოღვაწეობის განუყოფელ ნაწილს.

ქრისტიანობის სოციალური პრინციპები, — „წერდნენ მარქსი და ენგელსი — ამართლებენ ანტიკურ მონობას, ქებას ასხამენ საშუალო საუკუნეების ბატონყმობას, და შეუძლიათ აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში დაიცვან, თუმცა საბრალო მანკვით, პროლეტარიატის თანამედროვე ჩაგვრაც... რელიგია არის თვითშეგნება და თვითშეგრძნება ადამიანისა, რომელმაც თავისი თავი დაკარგა“<sup>6</sup>. ამ სიტყვებით ახასიათებდა მარქსი რელიგიის კლასობრივ საზოგადოებაში, სადაც ადამიანი დაჩაგრულია არა ბუნებრივი, არამედ საზოგადოებრივი, მაგრამ ასევე სტიქიური და მისთვის აუტანელი ძალებით. ცნობილი უტოპისტი მელოე, აგრეთვე, ფრანგი განმანათლებელი ვოლტერი ფიქრობდნენ, რომ რელიგია სხვა არაფერია, თუ არა სიცრუე და რელიგიის წარმომშობი მიზეზი ტყუილი და თვალთმაქცობა იყო. ვოლტერის თქმით, რელიგია დაიწყო მაშინ, როცა პირველი გაიძვერა შეხვდა პირველ სულელს; ალბათ ეს სიტყვები ჰქონდა მხედველობაში ვოლტერს, როდესაც ამბობდა: დავიჯერებდი, რომ აზნაურს „თანდაყოლილი“ ფეოდალური უფლებები აქვს, რაინდი რომ ფეხებზე დეზებმიკრული და გლეხი ზურგზე უნაგირგადადგებული იბადებოდესო. ვოლტერი კონსტიტუციას მოითხოვდა მეფის ხელისუფლების შესაზღვრდად, დაჟინებით მოითხოვდა თავად-აზნაურთა და სამღვდელოების პრივილეგიების მოსაბოძას. ვოლტერი მეხივით ეცემოდა და წვავდა (გერცენი). დაანგრეთ სიცრუის ძველი შენობა, დასრისეთ ქვეწარმავალი! — ასე მოუწოდებდა ვოლტერი საზოგადოებას, — ქვეწარმავალს ვოლტერი საფრანგეთის გაბატონებულ ეკლესიას უწოდებდა; ამავე დროს ვოლტერი ფიქრობდა: მდაბიო ხალხი სასტიკ მორჩილებაში უნდა იყოს და უბრალო ხალხისათვის რელიგია სასარგებლოც კი არისო და შეუძლებელი იქნებოდა თუნდაც ერთი სოფლის გლეხობის მართვა, იქ რომ უღმერთოები ესახლონო; ამიტომ მან განაცხადა: ღმერთი რომ არ ყოფილიყო, უნდა გამოგვეგონებინაო. ვოლტერმა თავის მამულში ღმერთს ძველი აუგო წარწერით: „ღმერთს ვოლტერისაგან“. თავისი აზრებით ფრანგი განმანათლებლები მეტად ვერ ამოდლებოდნენ, რადგან საზოგადოების განვითარების დონე ჯერ კიდევ დაბალი იყო მაშინ და ფეოდალიზმის წყვედიადში განმანათლებლები ვერ ხედავდნენ საზოგადოების პროგრესულ ძალებს, — იმ დროს პროლეტარიატი არ იყო ჩამოყალიბებული როგორც კლასი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება მოასწავებდა მარქსიზმ-ლენინიზმის ახალ აღმავლობას. დიდი რუსი მეცნიერი კ. ა. ტიმირიაზევი ჯერ კიდევ 1919 წლის ბოლოს, სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე წერდა: „ბნელეთის ყველა ძალა ამხედრდა... აზროვნების დარგში მეცნიერების წინააღმდეგ. ბნელეთის მებრძოლთა და ძალმომრეობის დამცველთა (კლერიკალურ-კაპიტალისტური და პოლიტიკური რეაქციის) ამ კავშირს მხოლოდ შერყეულ ნიადაგზე შეეძლო წარმატების იმედი ჰქონოდა“<sup>7</sup>. კომუნისტური პარტიის დაუღალავი აღმზრდელობითი მუშაობით, მეცნიერული მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის პროპაგანდის შედეგად, საბჭოთა ადამიანების უმეტესმა ნაწილმა საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი რელიგიასთან და მის დაწესებულებებთან. საბჭოთა საზოგადოებამ აღზარდა ახალი შეხედულებების, ახალი მორალის, ახალი ფსიქოლოგიის ადამიანები. ჩვენს ქვეყანაში განუყოფლად ბატონობს სოციალისტური იდეოლოგია, მაგრამ რე-

<sup>6</sup> კ. მარქსი და ფ. ენგელსი, მანიფესტის კრიტიკის წინააღმდეგ.

<sup>7</sup> კ. ა. ტიმირიაზევი, თხზ. ტ. 9, გვ. 336.

ლიგიურ გადმონაშთებთან ბრძოლის აუცილებლობა არ მოხსნილა, ამიტომ უნდა დაირაზმონ იდეოლოგიის მუშაკები პარტიის გარშემო, რათა არ მოხდეს რელიგიის ცრურწმენათა გავრცელება. „როდესაც ძველი საზოგადოება იღუპება, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — შეუძლებელია მისი გვამი კუბოში ჩაქედოთ და საფლავში ჩაუშვათ. იგი იხრწნება ჩვენ გარშემო, ეს გვამი ღებდა და თვით ჩვენ გვწამლავს“<sup>8</sup>. ვ. ი. ლენინის ეს სიტყვები რელიგიასაც ეხება. ადამიანთა შეგნება, მათი იდეოლოგია ასახავს მათს საზოგადოებრივ ყოფიერებას; მაგრამ ისიც უდავოა, რომ ეს ასახვა ავტომატურად კი არა ხდება: ადამიანი აზროვნებს ტრადიციული სიტყვების, ტრადიციული ტერმინების მეშვეობით და ეს ხშირად აფერხებს მის საერთო განვითარებას.

მოსწავლეთა მეცნიერულ-ათეისტური აღზრდის საწინდარია კონტაქტის დამყარება სკოლასა და ოჯახს შორის. ახლა უკვე როგორც საქართველოში, ისე მთლიანად სსრ კავშირში შეისწავლება მოზარდთა შორის ათეისტური მუშაობის ფორმები და მუშავდება გარკვეული მეთოდები, რასაც კარგი შედეგი მოაქვს. მოსწავლეთა ათეისტურ აღზრდაში დიდ როლს ასრულებს კლას-გარეშე მუშაობის სხვადასხვა ფორმები: ნორჩ ათეისტთა კლუბებისა და კუთხეების მოწყობა, მაღალი კლასის მოსწავლეებში ლექცია-მოხსენებების ჩატარება, მათი ჩაბმა ისტორიის წრის მუშაობაში, მოსწავლეთა მიერ მოხსენებების მომზადება, დისკუსიის გამართვა და ა. შ. ყოველმა ოჯახმა ისე უნდა აღზარდოს თავისი შვილი, რომ ის აქციოს ნამდვილ საბჭოთა მოქალაქედ: „მუდამ უნდა გახსოვდეთ, — მშრომელები ხართ და ზრდით ვაჟს ან ქალიშვილს არა მარტო თქვენი, როგორც მშობლის სიხარულისათვის, თქვენს ოჯახში და თქვენი ხელმძღვანელობით იზრდება მოქალაქე მომავალი მოღვაწე და მომავალი მებრძოლი. თუ თქვენ ცუდ ადამიანს გამოზრდით, ამით შეწუხდებით, არა მარტო თქვენ, არამედ მრავალი სხვა და მთელი ქვეყანაც...“<sup>9</sup>. აღმზრდელობით მუშაობაში განსაკუთრებით ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითები. შეგვიძლია საზი გაეუსვათ მის საატესტაციო ნიშნებს: მან გიმნაზია „ხუთებზე“ დაამთავრა და მხოლოდ „საღვთო რჯულში“ ეწერა „ოთხი“, — აი, როდის ყალიბდებოდა დიდი ბელადი როგორც მებრძოლი ათეისტი. დიდი ლენინის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა მაღალიდებურობის, მამაცობისა და შეუპოვრობის, კომუნისტების საქმისათვის უსაზღვრო თავდადების ნიმუშია, რომლის გაცნობა აკეთილშობილებს მოსწავლეებს, ეხმარება მათ, გამოიმუშაონ მაღალი მორალური თვისებები.

მეცნიერულ-ათეისტური მოძრაობა არის საერთაშორისო მოძრაობა, რომელმაც რელიგიას თანდათანობით დაათმობინა პოზიციები საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომელიც აიძულებს მას, რომ გაქრეს პოლიტიკური ასპარეზიდან და, საერთოდ, ცხოვრებიდან; მსოფლიოს მეცნიერულ-ათეისტური მოძრაობის ცენტრი დღეს საბჭოთა კავშირშია და, საერთოდ, სოციალისტურ ბანაკს წამყვანი ადგილი უჭირავს რელიგიასთან ბრძოლაში. ათეისტური მოძრაობა საბოლოო დაღუპვას უქადის ყველა რელიგიას.

<sup>8</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 27, 1952. გვ. 530.

<sup>9</sup> ა. ს. შაკარენკო, რჩეული პედაგ. თხზ. 1958. გვ. 305—306.





## მნიშვნელობის თეორიის სიძნელეები და მათი დაძლევის ზეპები

ლოგიკურ სემანტიკაში დღემდე არ არსებობს დამაკმაყოფილებელი და ამდენად ყველასათვის მისაღები თეორია **მნიშვნელობისა**; სინამდვილეში ადგილი აქვს რამდენიმე, ერთმანეთისაგან განსხვავებულ თეორიას, რაც გაპირობებულია მნიშვნელობის თეორიის წინაშე მდგარი სიძნელეებისა და პრობლემების გადაწყვეტისადმი განსხვავებული მიდგომით, განსხვავებული გზების გამოყენებით მათ გადასაწყვეტად. ეს სიძნელეები და პრობლემებია არაექსტენსიონალური კონტექსტების პრობლემა ანუ სახელდების მიმართების ანტინომია; მოჩვენებითი საკუთარი სახელების ზმარებასთან დაკავშირებული სიძნელეები; არსებობის ერთეული წინადადებების პრობლემა; იგივეობის მამტიკიციბელი წინადადების სიძნელე; სინონიმურობის პრობლემა; სინთეზურ და ანალიზურ წინადადებათა შორის განსხვავების საკითხი და ა. შ. შრომის მიზანია გ. ფრეგესა და ბ. რასელის მნიშვნელობის თეორიების თავისებურებათა ჩვენება აღნიშნული სიძნელეებისა და პრობლემების გადაწყვეტის საკითხში, დახასიათება იმ გზებისა და მეთოდებისა, რომლებსაც ეს თეორიები იყენებენ ამ სიძნელეთა დასაძლევად; მაგრამ ამ თავისებურებათა ჩვენებამდე უნდა განვიხილოთ თვით სიძნელეები, უნდა დავახასიათოდ, ისინი, — ამით, სხვათაშორის, გაირკვევა ზოგიერთი ის აუცილებელი მოთხოვნაც, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მნიშვნელობის ნებისმიერი თეორია.

ენის სემანტიკური ანალიზის საფუძვლად **აღნიშვნის** ან **სახელდების მიმართების** მიჩნევა სავსებით ბუნებრივი ჩანს. ამ მიმართების შესაბამისად, **სახელი** ეწოდება ისეთ ენობრივ გამოსახულებას, რომელიც უშუალოდ აღნიშნავს ან ასახელებს გარკვეულ (კონკრეტულ ან აბსტრაქტულ) ობიექტს. **სახელდების მიმართების თეორია** შემდეგ პრინციპებს ეყარება: **ერთმნიშვნელობის, საგნობრიობისა და ურთიერთშეცვლისა**.

**ერთმნიშვნელობის** პრინციპის შესაბამისად, ყოველი გამოსახულება, რომელიც (გარკვეულ კონტექსტში) გამოიყენება როგორც საკუთარი სახელი, მხოლოდ ერთი ობიექტის სახელს წარმოადგენს; **საგნობრიობის** პრინციპის შესაბამისად, ყოველი წინადადება ლაპარაკობს (საქმე აქვს) მასში შემავალი სახელების ობიექტების შესახებ; **ურთიერთშეცვლის** პრინციპის შესაბამისად კი, თუ ორი გამოსახულება ერთსა და იმავე ობიექტს აღნიშნავს (ასახელებს), მაშინ წინადადების კვშიარიტების ფასი უცვლელი რჩება, როდესაც ამ წინადადებაში ერთი გამოსახულება იცვლება მეორე გამოსახულებით. **სახელდების მიმართების** სამივე ეს პრინციპი სავსებით მართებული ჩანს, მაგრამ ირკვევა, რომ მათი შეუზღუდავი გამოყენება ნებისმიერი ენობრივი კონტექსტების მიმართ მნიშვნელოვან სიძნელეებს აწყდება.

**I. დავიწყოთ ე. წ. არაექსტენსიონალური კონტექსტების განხილვით, რომელთა მიმართ ურთიერთშეცვლის პრინციპის შეუზღულდავი გამოყენება წარმოშობს წინააღმდეგობას, რომელსაც რ. კარნაპი სახელდების მიმართების ანტინომიას უწოდებს.**

ურთიერთშეცვლის პრინციპის რასელისეული ფორმულირება შემდეგია: „თუ  $a$  იდენტურია  $b$ -სი, მაშინ ყველაფერი, რაც ჭეშმარიტია ერთის მიმართ, ჭეშმარიტია მეორის მიმართაც და თითოეული მათგანი შეიძლება შეიცვალოს მეორით ნებისმიერ მსჯელობაში ისე, რომ ამ მსჯელობის ჭეშმარიტება ან მცდარობა დარჩეს უცვლელი“.

მართლაც, თუ ორი საკუთარი სახელი ერთსა და იმავე ობიექტს აღნიშნავს, მაშინ, ცხადია, ყველაფერი ის, რაც ჭეშმარიტია ობიექტის მიმართ, რომელიც აღინიშნება პირველი სახელით, ჭეშმარიტი იქნება ობიექტისათვის, რომელიც მეორე სახელით არის აღნიშნული; ორი წინადადება, რომელშიც ეს სახელები მონაწილეობენ, საგნობრიობის პრინციპის შესაბამისად, ერთიდაიგივე ობიექტის შესახებ ილაპარაკონ.

მაგალითად, თუ ჭეშმარიტია წინადადება: „გიორგი IV შეხვედრია ვალტერ სკოტს“, მაშინ ჭეშმარიტი იქნება აგრეთვე წინადადება: „გიორგი IV შეხვედრია აკერლეს ავტორს“.

მაშასადამე, ამგვარ წინადადებაში ჩვენ შეგვიძლია ნებისმიერი საკუთარი სახელი შევცვალოთ იმაგობიექტიანი მეორე სახელით ისე, რომ მთელი წინადადების ჭეშმარიტების ფასი (მისი ჭეშმარიტება ან მცდარობა) ამასთან არ შეიცვალოს; მაგრამ იგივე არ ითქმის იმ წინადადებების მიმართ, რომლებიც **არაექსტენსიონალურ კონტექსტებს** განეკუთვნება.

ამის საილუსტრაციოდ ავიღოთ წინადადება: „ერთხელ გიორგი IV-ს უნდოდა გავგო, იყო თუ არა სკოტი ვავერლის ავტორი“, — სინამდვილეში სკოტი მართლა იყო ვავერლის ავტორი და ამიტომაც შეიძლება გამოითქვას ჭეშმარიტი იგივეობის წინადადება: „სკოტი არის ვავერლის ავტორი“; ახლა თუ ამ ჭეშმარიტი იგივეობის წინადადების საფუძველზე პირველ წინადადებაში დესკრიპციას „ვავერლის ავტორი“ შევცვლით სახელით „სკოტი“, მივიღებთ ახალ წინადადებას: „გიორგი IV-ს უნდოდა გავგო, იყო თუ არა სკოტი — სკოტი“, რაც უდაოდ მცდარი წინადადებაა, რადგან არ შეესატყვისება სინამდვილეს, ფაქტურ ვითარებას; გიორგი IV-ს აინტერესებდა ვალტერ სკოტის დამოკიდებულება ვავერლისთან და არა ის, ჭეშმარიტია თუ არა იგივეობის კანონის კერძო შემთხვევა.

როგორც ვხედავთ, ყოველ კონტექსტში არ შეიძლება ერთი გამოსახულების შეცვლა იმაგობიექტიანი მეორე გამოსახულებით ისე, რომ მთელი წინადადების ჭეშმარიტების ფასი დარჩეს უცვლელი; ე. ი. ურთიერთშეცვლის პრინციპის შეუზღულდავი ზმარება, მისი გამოყენება არაექსტენსიონალური კონტექსტების მიმართ იწვევს მთელი წინადადების ჭეშმარიტების ფასის ცვლას და ამით წარმოშობს წინააღმდეგობას, რადგან ერთი და იმავე პრინციპის გამოყენებით, ურთიერთსაწინააღმდეგო ორ შედეგს ვიღებთ.

**II.** მეორე ჯგუფი სიძნელეებისა დაკავშირებულია გამორიცხული მესამისა და წინააღმდეგობის შეუძლებლობის ლოგიკური კანონების გამოყენებასთან ისეთი წინადადებების მიმართ, სადაც **მოჩვენებითი საკუთარი სახელები** ან (რასელის ტერმინოლოგიით) **არასრული სიმბოლოები** მონაწილეობენ. გამორიცხული მესამის ლოგიკური კანონის მოთხოვნის შესაბამისად ორი ურთიერთგამომრიცხავი წინადადებიდან („A არის B“, ან „A არის არა B“) ერთი ჭეშმარიტი უნდა იყოს.

აქედან გამომდინარე, ჭეშმარიტი უნდა იყოს ან „საფრანგეთის თანამედროვე მეფე მელოტია“ ან „საფრანგეთის თანამედროვე მეფე არ არის მელოტი“; მაგრამ თუ ჩამოკლებილთ ყველა იმ საგანს, რომელაც მელოტია და, აგრეთვე ყველა იმ საგანს, რაც არა მელოტია, ვერც ერთ მათგანში, კერა აღმოვაჩინოთ საფრანგეთის თანამედროვე მეფეს<sup>1</sup>. მაშასადამე, ორივე ეს ურთიერთგამომრიცხავი წინადადება მცდარია. ამიტომ, გამორიცხული მესამის კანონის გამოყენება ამ სახის წინადადების მიმართ საწინააღმდეგო შედეგს იძლევა, რაც სიძნელეს წარმოშობს.

ახლა, თუ საკუთარ სახელად მივიჩნევთ ისეთი ენობრივი გამოსახულებას, რომელიც ლოგიკურად ცარიელი ან წინააღმდეგობრივია, მაშინ ურთიერთგამომრიცხავი ორი წინადადების მიმართ, რომლებიც ასეთ გამოსახულებებს შეიცავენ, ირდევია წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონის მოთხოვნა.

ვთქვათ გვაქვს წინადადებები: „მრგვალი კვადრატია არის მრგვალი“ და „მრგვალი კვადრატია არ არის მრგვალი“. ორივე ეს წინადადება ჭეშმარიტი იქნება: პირველი იმის ძალით, რომ, ყოველი მრგვალი სხეული არის მრგვალი, ხოლო მეორე იმის ძალით, რომ არც ერთი კვადრატია (განსაზღვრებით) არ არის მრგვალი. რადგან ეს ორი წინადადება განიხილება, როგორც ურთიერთგამომრიცხავი, ვიღებთ წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონის მოთხოვნის დარღვევას (ორი ურთიერთგამომრიცხავი წინადადებიდან არ შეიძლება ორივე იყოს ჭეშმარიტი).

III. მესამე სიძნელე დაკავშირებულია არსებობის გამომთქმელ ერთეულ უარყოფით წინადადებებთან და **არსებობის პარადოქსის** სახელწოდებითაც ცნობილი. საქმე შეეხება სიძნელეს, რომელსაც წარმოშობს ტერმინ „არსებობის“, როგორც პრედიკატის ხმარება ლოგიკაში.

ვთქვათ გვაქვს წინადადება: „პეგასი არ არსებობს“. ეს წინადადება გამოთქვამს ჭეშმარიტ მტკიცებას, რომ პეგასს არა აქვს ადგილი; აღნიშნული მტკიცება შეიძლება შემდეგნაირად გამოთქვას: „პეგასი არის არარსებული საგანი“. მაგრამ თუ პეგასი ნამდვილად არ არსებობს, მაშინ რომელი საგნის შესახებაა გამოთქმული ეს წინადადება? პეგასი მაინც როგორღაც უნდა არსებობდეს იმისათვის, რომ ეს წინადადება არა თუ ჭეშმარიტი, არამედ აზრიანი იყოს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ მას არა აქვს ადგილი. მაგრამ რა სახის „არსებაა“, ის, რის შესახებაც უნდა გამოთქვას პარადოქსალური მტკიცება: „იგი არსებობს, როგორც არ არსებული საგანი“?

მაშასადამე, ტერმინ **არსებობის** როგორც პრედიკატის ხმარება ლოგიკაში გარკვეულ სიძნელეს წარმოშობს, რადგან, თუ არსებულად მიჩნეულია ყველაფერი ის, რაც შეიძლება აზროვნებას მოეცეს როგორც სააზროვნო საგანი, მაშინ მტკიცება იმის არსებობისა, რაც აზროვნებისათვის არის მოცემული, უბრალო ტავტოლოგიას წარმოადგენს, რომელიც იმას ამტკიცებს, რომ აზროვნებისათვის მოცემული ის, რაც მოცემულია აზროვნებისათვის. ხოლო, თუ ჩვენ იმის არარსებობის მტკიცებას დავიწყებთ, რაც აზროვნებისათვის არის მოცემული, მაშინ მივიღებთ პარადოქსს, რადგან თუ რაიმე არის აზროვნებისათვის მოცემული (ე. ი. არსებობს), მის მიმართ უკვე ვეღარ ვიტყვივით იმას, რომ იგი არ არის მოცემული (ე. ი. არ არსებობს) და თუ რაიმე საერთოდ არ არის აზროვნებისათვის მოცემული (ე. ი. არ არსებობს), მაშინ იმასაც ვერ ვიტყვივით, რომ იგი არ არსებობს, ვერავითარ მტკიცებას ვერ გამოვთქვამთ.

IV. მეოთხე სიძნელე დაკავშირებულია იგივეობის გამომთქმელი წინადადებების ანალიზთან: რა იძლევა იგივეობის გამომთქმელი ორი წინადადების, — („a=a“; „a=b“), შემეცნებითი ღირებულებით განსხვავების შესაძ-

<sup>1</sup> B. Russel, On Denoting, იხ. «Readings in Philosophical Analysis», New-York, p. 108.

ლებლობას? — არის იგივეობის მიმართება საგანთა შორის, საგანთა სახელებს, ნიშნებს შორის, თუ კიდევ სხვა, რალაც მესამე ობიექტებს შორის მიმართება?

თუ იგივეობის მიმართებას ვაჩვენებთ მხოლოდ როგორც მიმართებას „ა“ და „ბ“ სახელებით აღნიშნულ ობიექტებს შორის, მაშინ  $a=a$ -ს და  $a=b$ -ს ველარ განვასხვავებდით ერთმანეთისაგან იმ შემთხვევაში, როდესაც  $a=b$  არის ჭეშმარიტი; ასეთ ვითარებაში იგივეობის მიმართება გამოთქვამდა ტრივიალურ მიმართებას, რომელშიც იმყოფება ყოველი საგანი თავისთავთან — ე. ი. მხოლოდ ტავტოლოგია იქნებოდა.

თუ იგივეობის მიმართებას, ვაკივებთ როგორც მიმართებას თვით «ა» და «ბ» სახელებს შორის, მაშინ იგივეობის მამტიკელებელი წინადადება  $a=b$ -ს ჭეშმარიტი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც «ა» და «ბ» ერთსა და იმავე საგანს აღნიშნავენ ან ასახელებენ; ე. ი. ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ  $a=b$ -ს ვამოთქვამს «ა» და «ბ» სახელების იგივეობის მტიკებას, რამდენადაც თითოეული მათგანი ერთსა და იმავე საგანს აღნიშნავს.

იგივეობის მიმართების ასეთი გაგების შემთხვევაში გარკვეული სიძნელე იხსნება: წინადადებები  $a=a$ -ს და  $a=b$ -ს აღარ ამტიკებენ ერთსა და იმავეს. პირველი წინადადება ამტიკებს გარკვეული სახელის იგივეობას თავისთავთან, ხოლო მეორე იმას, რომ ორ განსხვავებულ სახელს  $a$ -ს და  $b$ -ს ერთი და იგივე აღსანიშნი საგანი გააჩნიათ. მაგრამ იგივეობის როგორც საგნის განსხვავებულ სახელთა შორის მიმართების გაგების შემთხვევაში  $a=b$  წინადადების მიერ გამოთქმული ცოდნა ეხება მხოლოდ სახელებს, რომლებითაც ჩვენ საგანს ჩვენი ნებასუბიექტული აღნიშნავთ და არა თვით საგანს. იგი არაფერს ვეუბნება საგნის შესახებ და, ამდენად, არ გვაწვდის ცოდნას საკუთარი აზრით. იგივეობის მიმართების აღნიშნული გაგების შემთხვევაში აღსანიშნი რჩება ისეთი წინადადებების (მაგალითად: „დილის გარსკვლაფი არის საღამოს გარსკვლაფი“. „პლანეტათა რიცხვი ტოლია ცხრის“ და ა. შ.) შემეცნებითი ღირებულება, რომლებიც თვით საგნის შესახებ იძლევიან ცოდნას: რის იგივეობაზეა ლაპარაკი ასეთ წინადადებებში, როგორ უნდა გადაწყვიდეს ეს სიძნელე?

ჩვენ მიერ მითითებული და მათი მსგავსი სიძნელებების ან გადაუჭრელი საკითხების დასმას ლოგიკური თეორიის წინაშე, — როგორც ბ. რასელი ამბობს, — იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ექსპერიმენტს საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში.

ახლა შევეცდებით, ვაჩვენოთ, თუ რაში მდგომარეობს გ. ფრეგესა და ბ. რასელის თეორიების თავისებურება აღნიშნული სიძნელებების გადაწყვეტაში, რა სპეციფიკურ გზებსა და საშუალებებს მიმართავს თითოეული მათგანი მათ დასაძლევად. გ. ფრეგეს მნიშვნელობის თეორია, ენის სემანტიკური ანალიზის აღნიშვნის (ან სახელებების მიმართების) მეთოდის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. აღნიშვნის მეთოდის თავისებურება, როგორც უკვე ითქვა, იმაში მდგომარეობს, რომ იგი ენობრივ გამოსახულებასა და მის მნიშვნელობას შორის სემანტიკური დამოკიდებულების ასახსნელად სახელებების მიმართებას იყენებს, — ე. ი. ენობრივ გამოსახულებას განიხილავს როგორც აღნიშვნას იმისა, რაც ამ გამოსახულების აღსანიშნს წარმოადგენს. გ. ფრეგე პირველი იყო ახალ დროში, ვინც სერიოზული ყურადღება მიაქცია აღნიშვნელსა და აღსანიშნს შორის განსხვავებას და ამით დასაბამი მისცა სემანტიკური ანალიზის აღნიშვნის მეთოდის გამოყენებას ლოგიკაში.

გ. ფრეგეს მიზანია, ბუნებრივი, სალაპარაკო ენის ლოგიკური ანალიზის გზით, დაადგინოს ის პრინციპები და მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს მეცნიერული საჭიროებისათვის გამოყენებული ყოველი ენა. ამ ამოცანის გადასაწყვეტად ფრეგემ დაძებნა, შემოიტანა და განმარტა დენოტა-



ტისა (Bedeutung)) და საზრისის (Sinn)<sup>2</sup> სემანტიკური ცნებები, რომლებიც შემდგომ გამოიყენა როგორც ენის ლოგიკური ანალიზის ძირითადი საშუალებები. გ. ფრეგეს მნიშვნელობის თეორია ემყარება პრინციპულ განსხვავებას საგანსა (ან ობიექტსა) და ფუნქციის შორის. ფრეგესთვის ობიექტია ნებისმიერი ერთეული საგანი, რომელიც შეიძლება იყოს როგორც აბსტრაქტული, ისე კონკრეტული. ფუნქცია, მისი აზრით, არის თვისება ან მიმართება, რომლის სპეციფიკურობაც მის არანაჯერობაში (ungesättigt), ე. ი. საზრისის დაუმთავრებლობაში მდგომარეობს. ფუნქციის ეს არანაჯერობა ან საზრისის დაუმთავრებლობა, ფრეგეს ესმის, როგორც შესაძლებლობა იმისა, რომ არგუმენტის ფასის ყოველ განაწილებას შეესაბამებოდეს ფუნქციის სათანადო ფასი. ფუნქციის არანაჯერობა, მისი შესაძლებლობის სახით, ფრეგეს აზრით, ქმნის პრინციპულ განსხვავებას ფუნქციასა და ობიექტს შორის. ფუნქცია ყოველთვის არანაჯერია და შევსებას მოითხოვს, მაშინ როდესაც ობიექტს ნაჯერობა ახასიათებს.

ფუნქციისა და ობიექტის განსხვავება, ფრეგეს აზრით, მათი ენობრივი გამოსახულებების განსხვავებას ქმნის. ობიექტის მსგავსად მის აღნიშვნასაც ნაჯერობა ახასიათებს, რადგან აღსანიშნი განსაზღვრულია, ხოლო საზრისი — დამთავრებული, — ასეთ აღნიშვნას ფრეგე საკუთარ სახელს უწოდებს. საკუთარი სახელი, ფრეგეს მიხედვით, ისეთი აღნიშვნაა, რომელსაც საზრისი და დენოტატი გააჩნია. ამიტომაც საკუთარ სახელს ფრეგე სემანტიკური ანალიზის ძირითად საგნად მიიჩნევს. ფუნქციის აღნიშვნას კი, ფუნქციის მსგავსად, არანაჯერობა ახასიათებს, რადგან მისი აღსანიშნი განუსაზღვრელია, ხოლო საზრისი დაუმთავრებელი; ამიტომაც იგი ყოველთვის შევსებას მოითხოვს. ფუნქციის გამოსახულება, ფრეგეს აზრით, ისეთი აღნიშვნაა, რომლის საზრისი და დენოტატი არ ჩანს, განუსაზღვრელია; ხოლო სადაც საზრისი და დენოტატი არ ჩანს, იქ, ფრეგეს მიხედვით, ნამდვილად არც აღმნიშვნელზე და არც მის დეფინიციასზე არ შეიძლება ლაპარაკი, ე. ი. ასეთი გამოსახულება არ შეიძლება დაუქვემდებარო სემანტიკურ ანალიზს. ამიტომაც, ფრეგე ფუნქციონალურ და ცნებით გამოსახულებებს, რომლებსაც შესაბამისად ფუნქციონალურ სახელებს და ცნებით სახელებს უწოდებს, გამორიცხავს სემანტიკური ანალიზის სფეროდან და მათ მიმართ საზრისისა და დენოტატის ცნებებს არ იყენებს.

ფრეგე აფართოებს საკუთარი სახელის კატეგორიას. იგი საკუთარ სახელს უწოდებს არა მარტო ისეთ ენობრივ გამოსახულებებს, რომლებიც ერთეულ ობიექტებს ასახელებენ და ჩვეულებრივ სიტყვაზნარებაში ასეთად იწოდებიან (მაგალითად: 1) „არისტოტელე“, 2) „ვენერა“ და ა. შ.), არამედ ისეთ გამოსახულებებსაც, რომლებიც ერთეული ობიექტის აღწერას წარმოადგენენ (მაგალითად: 3) „პლატონის მოწაფე და ალექსანდრე დიდის მასწავლებელი“; 4) „დილის ვარსკვლავი“; 5) „ის, ვინც პლანეტათა ობიექტების ელიფსური ფორმა აღმოაჩინა“ და სხვ.). უფრო მეტიც ფრეგე თბრობით წინადადებას, რომელიც დასრულებულ აზრს გამოთქვანს (მაგალითად: „არისტოტელე იყო პლატონის მოწაფე და ალექსანდრე დიდის მასწავლებელი“) საკუთარი სახელის კატეგორიაში შეიქმნება და მიიჩნევს.

<sup>2</sup> გ. ფრეგეს მნიშვნელობის თეორიის ძირითად ტერმინებს Bedeutung-სა და Sinn-ს სხვადასხვა ავტორთან ტერმინთა სხვადასხვა წყვილი შეესატყვისება; ასე მაგალითად: ბ. რასელთან „დენოტატი“ (denotation) და „მნიშვნელობა“ (meaning); უ. ქუაინთან „დესიგნატი“ (designatum) და მნიშვნელობა“ (meaning); ა. ჩერჩთან „დენოტატი“ (denotation) და „საზრისი“ (sense); რ. კარნაპთან „ნომინატი“ (nominatum) და „საზრისი“ (sense). ჩვენ Bedeutung-ის შესატყვისად ვხმარობთ დენოტატს, ხოლო sinn-ის შესატყვისად — საზრისს.

ყოველ საკუთარ სახელს ფრეგე უკავშირებს, უპირველეს ყოვლისა, იმას, რასაც იგი **დენოტატს** (Bedeutung) უწოდებს და, აგრეთვე, იმას, რასაც მან სახელის საზრისი (Sinn) უწოდა. სახელის დენოტატია საგანი, რომელსაც სახელი აღნიშნავს ანუ ასახელებს. სახელის საზრისი კი, ფრეგეს მიხედვით, არის ის წესი, რა წესითაც საგანი გვეძლევა მის აღნიშვნაში ე. ი. საზრისი აღნიშვნაში საგნის მოცემის წესია: „საკუთარი სახელი (სიტყვა, ნიშანი, ნიშანთა შეერთება, გამოსახულება) — წერს ფრეგე — გამოსახავს თავის საზრისს და აღნიშნავს ან ნიშნავს თავის დენოტატს (nominatum). ჩვენ ვთვლით, რომ **ნიშანი** გამოსახავს თავის საზრისს და აღნიშნავს თავის დენოტატს (nominatum)“<sup>3</sup>. ის, რამაც ფრეგე საკუთარი სახელის დენოტატისა და საზრისის განსხვავებამდე მიიყვანა, იყო **იგივეობის მიმართების** ბუნების განხილვა. ფრეგე თვლის, რომ იგივეობის მიმართება არ შეიძლება გაგებულ იქნას როგორც მხოლოდ დენოტატებს შორის მიმართება. მართალია, ფრეგე არ უარყოფს ისეთ შესაძლებლობას, როდესაც იგივეობა დენოტატთა იგივეობას ეხება, მაგრამ მაშინ (როგორც ის სამართლიანად შენიშნავს), ასეთი მიმართების გამომთქმელი წინადადება ტრივიალურ ხასიათს ატარებს, უბრალო ტაქტოლოგიას წარმოადგენს, რომელიც მხოლოდ იმ მიმართებას გამოთქვამს, რომელშიც იმყოფება ყოველი საგანი თავისთავთან.

იგივეობის მიმართების ასეთი გაგების შემთხვევაში ქრება განსხვავება «a=a» და «a=b» წინადადებებს შორის როდესაც წინადადება «a=b»-ს კვშირითი. ამ სიძნელის დაძლევის შესაძლებლობას ხომ არ იძლევა იგივეობის, როგორც საგნის სახელებს შორის მიმართების გაგება? „ის რისი გამოსახედა სურთ «a=b»-თი, თითქოს მდგომარეობს იმაში, რომ ნიშნები ან სიტყვები «a» და «b» ერთსა და იმავე საგანს ასახელებენ და, ამ შემთხვევაში, ჩვენ თითქოს საქმე გვაქვს სწორედ ამ ნიშნებთან; მტკიცდება თითქოს მიმართება მათ შორის. მაგრამ ამ მიმართებას შეიძლება ჰქონდეს ადგილი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი რაღაცას ასახელებენ ან აღნიშნავენ, მიმართება ვამუყალებულია თითოეული ამ ნიშნის კავშირით ერთდიაგივე აღსანიშნთან“<sup>4</sup>. ე. ი. შეიძლება ითქვას, რომ «a=b» გამოთქვამს «a» და «b» სახელების იგივეობის მტკიცებას, რამდენადაც თითოეული მათგანი ერთდიაგივე დენოტატს აღნიშნავს. ფრეგე არ უარყოფს იგივეობის მამტკიცებელი ისეთი წინადადებების არსებობას („მაგალითად: „ციცერონი არის მარკუს ტულციუსი“<sup>5</sup>, „პლატონი არის არისტოტელი“ და ა.შ.), რომლებიც მხოლოდ იმას გამოთქვამენ, რომ რაიმე ერთდიაგივე საგანი ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული «a» და «b» სახელით არის აღნიშნული. მაგრამ, ამგვარი ცოდნა ეხება არა თვით საგანს, არამედ სახელებს, რომლებითაც ჩვენ ამ საგანს ჩვენს ნებასურვილით აღვნიშნავთ. იგი არაფერს გვეუბნება ჩვენ თვით საგნის შესახებ, და აღდნად, არ გვაძლევს ცოდნას საკუთარი აზრით.

ამრიგად, საკითხის ასეთი გადაწყვეტა არ აკმაყოფილებს და ვერც დააკმაყოფილებს ფრეგეს. მან კარგად იცის, რომ რაიმე ნიშნით საგნის აღნიშვნა მთლიანად ჩვენს ნება-სურვილზეა დამოკიდებული და, თუ იგივეობა გავიგეთ, როგორც საგნის განსხვავებულ სახელთა შორის მიმართება, მაშინ აუხსნელი დარჩება იგივეობის გამომთქმელი ისეთი წინადადებების შემეცნებითი ღირებულება, რომლებიც თვით საგნის შესახებ იძლევიან ცოდნას.

„არავის არ შეიძლება აეკრძალოს — წერს ფრეგე, — იხმაროს თვითნებურად წარმოებული პრეტესი ან ობიექტი, როგორც რაღაცის ნიშანი. მაგრამ ამით «a=b»-ს სახის წინადადება კარგავს კავშირს საქმის არსთან და უკავშირდება აღნიშვნის მხოლოდ ჩვენს წესს; თითქოს ჩვენ მისი საშუ-

<sup>3</sup> ჩვენ ფრეგეს შრომის «Über Sinn und Bedeutung»-ის (1892) რეკლამით თარგმანით ვსარგებლობთ, რომელიც გამოქვეყნებულია წიგნში: «Readings in Philosophical Analysis», New York, 1949, ch. G. Frege, «On Sense and Nominatum», p. 98.

<sup>4</sup> G. Frege, On Sense and Nominatum, p. 85.

აღებთ არ გამოთქვამდეთ არავითარ ნამდვილ ცოდნას<sup>5</sup>. საკითხის ასეთი გადაწყვეტა არ იძლევა «ა=ა»-სა და «ა=ბ»-ს წინადადებების შემეცნებითი ღირებულებებით განსხვავების შესაძლებლობას: „თუ ნიშანი «ა» განსხვავდება «ბ» ნიშნისაგან მხოლოდ როგორც ობიექტი (მოცემულ შემთხვევაში თავისი გარკვეული ფორმით) და არა თავისი დანიშნულებით როგორც ნიშანი, ე. ი. ასე ვთქვათ, არა იმ წესით, რომლითაც იგი რაღაცას აღნიშნავს, მაშინ «ა=ა» გამოსახულების შემეცნებითა ღირებულება არსებითად იგივე იქნება რაც, «ა=ბ» გამოსახულებისა, როდესაც «ა=ბ» ქვეშარტია. განსხვავება თავს იჩენს მხოლოდ მაშინ, თუ ნიშანთა განსხვავება გარკვეული აზრით შეესატყვისება განსხვავებას, რომლითაც მოცემული ობიექტები აღინიშნებიან<sup>6</sup>.

მაშასადამე, ფრეგეს აზრით, განსხვავება „ა=ა“-სა და „ა=ბ“-ს წინადადებებს შორის მათი შემეცნებითი ღირებულებებით შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყოველ სახელს საგნის გარდა, რომელსაც ის აღნიშნავს, უკავშირდება ის წესიც, რომლითაც საგანი მოცემულია მის აღნიშვნაში ე. ი. მისი საზრისი. ორი სახელი შეიძლება აღნიშნავდეს ერთსა და იმავე საგანს, მაგრამ გამოსახვდნენ სხვადასხვა საზრისს.

მაგალითად, „დალას ვარსკვლავი“ და „სალაშოს ვარსკვლავი“ ერთსა და იმავე ობიექტს — პლანეტა ვენერას — აღნიშნავენ, მაგრამ გამოსახავენ განსხვავებულ საზრისებს. ამიტომაც „დილას ვარსკვლავი არას სალაშოს ვარსკვლავი“ ქვეშარტი წინადადებაა, რომელიც გამოთქვამს ერთიდაიგივე ობიექტის ორი განსხვავებული საზრისის იგივეობას; და სწორედ ეს არის, ფრეგეს აზრით, «ა=ა»-სა და «ა=ბ»-ს წინადადებება შემეცნებითა ღირებულებებით განსხვავების საფუძველი. როდესაც იგივეობის გამოთქმელ წინადადებაში შემავალი სახელები ერთიდაიგივე საზრისებს ვაჰსახავენ, იგივეობის მიმართება უაღრესად ტრივიულიური ხდება: «ა=ა»; „დილის ვარსკვლავი არის დილის ვარსკვლავი“ და ა. შ.

ასე წყვეტს ფრეგე იგივეობის გამოთქმელ წინადადებებთან დაკავშირებულ სიძნელეს. როგორც დავინახეთ, ფრეგე იგივეობის მიმართების ბუნების ანალიზის საფუძველზე აუცილებლობით მიდის იმ აზრამდე, რომ ყოველ საკუთარ სახელს აღსანიშნი ობიექტის (დენოტატის) გარდა, უნდა დაუკავშირდეს ის წესიც, რომლითაც ობიექტია მოცემული მის აღნიშვნაში, — ე. ი. სახელის საზრისი. რადგან სწორედ ერთი და იმავე ობიექტის აღნიშვნაში მოცემულობის წესთა შორის განსხვავება არის ის საფუძველი, რომელიც სათანადო სახელებს შორის განსხვავებას ქმნის. მაშასადამე, ყოველი საკუთარი სახელი გამოსახავს თავის საზრისს და აღნიშნავს თავის დენოტატს, მიმართება სახელსა და მის დენოტატს შორის სახელის საზრისით არის გაშუალებული.

„მუდმივი კავშირი ნიშანსა, მის საზრისსა და მის დენოტატს (nominatum-s) შორის ისეთია, რომ ნიშანს შეესატყვისება გარკვეული საზრისი და ამ საზრისს, მეორეს მხრივ, შეესატყვისება გარკვეული დენოტატი (nominatum); მაშინ, როდესაც ერთ დენოტატს (ობიექტს) მიეკუთვნება არა მხოლოდ ერთი ნიშანი, ერთიდაიგივე საზრისი არამარტო განსხვავებულ ენებში, არამედ ერთიდაიგივე ენაში წარმოდგენილია განსხვავებული გამოსახულებებით“<sup>7</sup>.

გ. ფრეგე ახასიათებს მიმართებას, რომელიც მუდმივად არსებობს სახელსა, მის საზრისსა და მის დენოტატს შორის და ამით გამოთქვამს მოთხოვნას (პრინციპს) რომელიც, მართალია ყოველთვის არ სრულდება ბუნებრივ, სალაპარაკო ენაში, მაგრამ რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მეცნიერული მიზნებისათვის აგებული ყოველი ენა. ეს მოთხოვნა იმაში მდგომარეობს, რომ წე-

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 85-86.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 86.

სიერად აგებულ ენაში ყოველი საკუთარი სახელი უნდა გამოსახავდეს ერთადერთ საზრისს და უნდა აღნიშნავდეს ერთადერთ დენოტატს; ე. ი. სხვანაირად რომ ვთქვათ, მიმართება საკუთარ სახელსა, მის საზრისსა და მის დენოტატს შორის ყოველთვის ერთმნიშვნელოვანი უნდა იყოს, ამიტომაც ამ პრინციპს შეიძლება **ერთმნიშვნელობის პრინციპი** ეწოდოს. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს პრინციპი ყოველთვის როდი სრულდება ბუნებრივ, სალაპარაკო ენებში. ერთი და იგივე სიტყვა, არამარტო სხვადასხვა, არამედ ხშირად ერთსა და იმავე ენაში, შეიძლება სხვადასხვა საზრისს გამოსახავდეს. ეს, რა თქმა უნდა, უკვე ერთმნიშვნელობის პრინციპის მოთხოვნის დარღვევას წარმოადგენს; მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ გამოსახულებას ყოველთვის აქვს საზრისი, თუ იგი გრამატიკულად სწორად არის გაგებული და საკუთარ სახელს წარმოადგენს; თუმცა ამას ვერ ვიტყვით მისი დენოტატის შესახებ. ჩვენ შეიძლება გვესმოდეს სახელის საზრისი, მაგრამ არაფერი ვიცოდეთ მისი დენოტატის შესახებ გარდა იმისა, რომ ეს დენოტატი საზრისითაა განსაზღვრული; უფრო მეტიც, შეიძლება გვესმოდეს საზრისი, მაგრამ დენოტატი, რომელიც საზრისით განისაზღვრება, შესაძლოა საერთოდ არ არსებობდეს. საზრისი განსაზღვრავს სათანადო დენოტატს, მაგრამ არ განსაზღვრავს დენოტატის არსებობას. ამიტომაც, საზრისის მოცემულობა ჯერ კიდევ არ უზრუნველყოფს აუცილებლად სათანადო დენოტატის არსებობას.

სახელს, რომელსაც აქვს საზრისი, მაგრამ არ გააჩნია დენოტატი, ფრეგე **მოჩვენებითს სახელს** უწოდებს. ასეთი სახელები ხშირია ჩვეულებრივ სალაპარაკო ენებში, სადაც მათი ხმარება ხშირად სხვადასხვა გაუგებრობისა და შეცდომის წყაროს წარმოადგენს. ფრეგე სალაპარაკო ენის ლოგიკური სტრუქტურის ნაკლად მიიჩნევს მასში ისეთი გამოსახულებების არსებობის შესაძლებლობას, რომლებიც თავისი გრამატიკული ფორმით მოწოდებულნი არიან ობიექტის აღსანიშნავად, მაგრამ ამ მოთხოვნას არ აკმაყოფილებენ. ამ ნაკლისაგან, მისი თქმით, — მთლიანად თავისუფალი სიმბოლური ენაც კი არ არის.

სიმბოლურ ენაშიც „... ვგვხვდებიან ისეთი გამოსახულებები, რომლებიც თავს ავლენენ როგორც რაღაცის აღმნიშვნელი. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში დღემდე უდენოტატოდ არსებობენ, მაგალითად ყველაზე ნელა დაღმავალი მწკრივი («The series with least convergence»). ეს შეიძლება თავიდან იქნას აცილებული, მაგალითად, განსაკუთრებული შეთანხმების საშუალებით, რომ ყველაზე ნელა დაღმავალი მწკრივის დენოტატი იყოს რიცხვი 0»<sup>8</sup>.

როგორც ვხვდავთ, ენაში ისეთი გამოსახულებების არსებობის შესაძლებლობას, რომლებიც „თავს ავლენენ როგორც რაღაცის აღმნიშვნელი“, მაგრამ არაფერს არ აღნიშნავენ, ფრეგე ენის ლოგიკური სტრუქტურის ნაკლად მიიჩნევს, რადგან თუ აღმნიშვნელ გამოსახულებას (საკუთარ სახელს) დენოტატი არ გააჩნია, მაშინ, ფრეგეს თვალსაზრისით, დენოტატი არ ექნება არც წინადადებას, რომელშიც ასეთი აღმნიშვნელი გამოსახულება მონაწილეობს (სავნობრიობის პრინციპის შესაბამისად), თუმცა საზრისი ამის მიუხედავად წინადადებას მაინც შეიძლება ჰქონდეს. იმისათვის, რომ გარკვეული მტკიცებების გამოიმტკემელ წინადადებას ყოველთვის ჰქონდეს დენოტატი (ე. ი. იყოს ჰემმარიტი ან მცდარი), ყოველთვის უნდა ჰქონდეს დენოტატი მასში შემავალ საკუთარ სახელს. მაშასადამე, სახელის დენოტატის არსებობა ფრეგესთვის, სათანადო წინადადების დენოტატის (მისი ჰემმარიტება-მცდარობის) არსებობის აუცილებელი და საკ-

<sup>8</sup> იქვე, გვ. 96.



მარისი პირობაა. ამიტომაც, იგი ამ პირობის ყოველთვის შესრულების მიზნით მოითხოვს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ენაში დენოტატო საკუთარი სახელები გვხვდება, ჩვენ სპეციალური შეთანხმების საშუალებით მივაწვროთ მათ ასეთი რიცხვი 0-ის ან „ცარიელი კლასის“ სახით, თუ არ სრულდება დენოტატის არსებობის მოთხოვნა, — ხოლო „კლასი ობიექტებისა მთლიანად“, — თუ არ სრულდება დენოტატის ერთადერთობის მოთხოვნა! ამით თავიდან იქნება აცილებული ენაში მოჩვენებითი საკუთარი სახელების არსებობის შესაძლებლობა და მაშასადამე, უზრუნველყოფა ის გარემოება, რომ წინადადებას ყოველთვის ჰქონდეს დენოტატი (ე. ი. იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი).

ყოველივე აღნიშნულის გამო, ფრეგე ლოგიკურად სრულყოფილი ენის (ლოგიკური აღრიცხვის) წინაშე შემდეგ მოთხოვნას აყენებს: ყოველი გამოსახულება, რომელიც გრამატიკულად სწორად არის აგებული როგორც საკუთარი სახელი, ნამდვილად უნდა აღნიშნავდეს ობიექტს და ნიშანი არ უნდა იქნას ენაში შემოტანილი როგორც საკუთარი სახელი ისე, თუ არ არსებობს რწმენა, რომ მას გააჩნია დენოტატი<sup>9</sup>. აღნიშნული მოთხოვნა უზრუნველყოფს მეცნიერების ეხიდან მოჩვენებითი სახელების გამორიცხვის შესაძლებლობას და განაპირობებს იმას, რომ ყოველი საკუთარი სახელისათვის ასეთ ენაში არსებობდეს სათანადო დენოტატი. ეს გარემოება კი აუცილებელი პირობაა იმისა, რომ მეცნიერების ენამ დააკმაყოფილოს ერთმნიშვნელობის პრინციპის მოთხოვნა. ასეთ ენაში ყოველი საკუთარი სახელი გამოსახავს ერთადერთ საზრისს და აღნიშნავს ერთადერთ ობიექტს — როგორც დენოტატს; ე. ი. მიმართება საკუთარ სახელსა, მის საზრისსა და მის დენოტატს შორის ყოველთვის ერთმნიშვნელოვანი იქნება. ასე აგებს ფრეგე თავის ლოგიკურ აღრიცხვასაც; აყალიბებს სპეციალურ (სემანტიკურ) წესებს, რომლებიც მის ლოგიკურ აღრიცხვაში ყოველი წესიერად აგებული სახელისათვის უზრუნველყოფენ გარკვეულ დენოტატს.

ასე წყვეტს ფრეგე მოჩვენებითი (ან ცარიელი) სახელების პრობლემას. მოჩვენებითი სახელიც აღნიშნავს, ფრეგეს მიხედვით, ობიექტს, და ასეთი ერთადერთი ობიექტი ცარიელი კლასია, როდესაც არ სრულდება დენოტატის არსებობის მოთხოვნა; ხოლო არის კლასი მთლიანად, როდესაც არ სრულდება დენოტატის ერთადერთობის მოთხოვნა.

ამის შესაბამისად, ფრეგეს თვალსაზრისის მიხედვით, წინადადება „საფრანგეთის თანამედროვე მეფე მელოტა“ მცდარი იქნება, რამდენადაც გარკვეული თვისება ცარიელ კლასს მიეწერება, ხოლო წინადადება: „საფრანგეთის თანამედროვე მეფე არ არის მელოტი“ — ჭეშმარიტი, რადგან ცარიელი კლასი არ ხსიათდება რაიმე თვისებით.

ახლა ვაჩვენოთ თუ როგორ წყვეტს ფრეგე ე. წ. არაექსტენსიონალური კონტექსტების პრობლემას. ფრეგე თხრობით წინადადებას საკუთარი სახელის კერძო შემთხვევად მიიჩნევს. წინადადების საზრისს მის მიერ გამოსახული აზრი წარმოადგენს, ხოლო დენოტატს — ჭეშმარიტების ფასი. ამიტომაც, ურთიერთშეცვლის პრინციპი გამოყენებული წინადადების მიმართ, ჭეშმარიტების ფასებს ეხება. ამ გარემოებას ფრეგე შემდეგნაირად გამოთქვამს: „წინადადების ჭეშმარიტების ფასი უცვლელი რჩება, თუ მასში შემავალ გამოსახულებას შევცვლით ერთ-ერთი სინონიმური გამოხატულებით“<sup>10</sup>; ე. ი. თუ წინადადებაში

<sup>9</sup> იქვე, გვ. 96.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 92.



შემავალი საკუთარი სახელი შევცვალოთ სხვა საზრისიანი, მაგრამ ამავე დენოტატიანი მეორე სახელით, ამით წინადადების ჭეშმარიტების ფასი არ შეიცვლება. მაშასადამე, ცალკე, იზოლირებულად აღებული თხრობითი წინადადების მიმართ ურთიერთშეცვლის პრინციპის გამოყენება გულისხმობს მასში შემავალი ერთი გამოსახულების შეცვლას სინონიმური გამოსახულებით და ჭეშმარიტების ფასებს ეხება.

ახლა ბუნებრივად დაისმის კითხვა: როგორი უნდა იყოს ამ პრინციპის გამოყენება, თუ შესაცვლელ გამოსახულებას წარმოადგენს მთელი წინადადება და არა, ვთქვათ, მხოლოდ საკუთარი სახელი? ე. ი. სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორ უნდა გამოვიყენოთ ურთიერთშეცვლის პრინციპი იმ შემთხვევაში, თუ ჩაქმე გვაქვს რთულ წინადადებასთან, რომელიც შეიცავს წინადადებას, როგორც თავის შემადგენელ ნაწილს და გვსურს ეს ნაწილი შევცვალოთ სინონიმური წინადადებით? ცხადია, პასუხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა არის დენოტატი წინადადებისა, რომელიც შედის მეორე წინადადებაში, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი. თუ შემადგენელი წინადადების დენოტატიც ჭეშმარიტების ფასია, მაშინ ცხადია მთელი შემადგენელი წინადადების ჭეშმარიტების ფასი უცვლელი დარჩება, თუ შემადგენელ ნაწილს შევცვლით იმავე ჭეშმარიტების ფასის მქონე სხვა ნაწილით. ამას ფრეგე შემდეგნაირად გამოთქვამს: „თუ ჩვენი შეხედულება მართებულია, მაშინ ჭეშმარიტების ფასი წინადადებისა, რომელიც მეორე წინადადებას შეიცავს როგორც ნაწილს, უნდა დარჩეს უცვლელი, როდესაც ჩვენ ნაწილს ვცვლით, იმავე ჭეშმარიტების ფასის მქონე, სხვა ნაწილით“<sup>11</sup>.

მაგრამ აქედან გამონაკისებს უნდა ველოდოთ უკვე შემდეგი ორი შემთხვევის დროს:

- 1) როდესაც ვინმე მეორე პირის სიტყვების ციტირებას ვახდენთ პირდაპირ ნათქვამში: ამ დროს, როგორც ცნობილია, სიტყვებს დენოტატებთან აქვთ მეორე პირის სიტყვების და მხოლოდ ამ უპანასკნელთ გააჩნიათ თავისი ჩვეულებრივი დენოტატები, ე. ი. ციტირების დროს სიტყვები არ შეიძლება ვიხმაროთ ჩვეულებრივი მნიშვნელობით, რადგან ისინი უპირველესყოფისა სხვისი სიტყვების აღსანიშნავად არიან ნახმარი, — ამიტომაც, ასეთ შემთხვევაში სიტყვა (საკუთარი სახელი, მთელი წინადადება) არ შეიძლება შეიცვალოს სიტყვით (საკუთარი სახელით, მთელი წინადადებით), რომელსაც იგივე ჩვეულებრივი, ან იგივე ირიბი დენოტატი აქვს, რაც შესაცვლელ სიტყვას (საკუთარ სახელს, მთელ წინადადებას); ამ შემთხვევაში ციტატა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ იმავე გამოსახულებით, რადგან წინადადება აღნიშნავს ისევ წინადადებას და, მაშასადამე, მისი დენოტატია არა ჭეშმარიტების ფასი ან გამოთქმული აზრი, არამედ ეს წინადადება, ოღონდ იგი როგორც ციტატა, ცოტა სხვანაირად უნდა იქნას ჩაწერილი; 2) მეორე შემთხვევას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ვინმე მეორე პირის სიტყვათა საზრისის, ანუ მის მიერ გამოთქმული აზრის შესახებ ვლაპარაკობთ, — ეს გარემოება, როგორც ცნობილია, გამოითქმის რთული წინადადებით, რომლის დაქვემდებარებული წინადადებაც ირიბ ნათქვამს წარმოადგენს. ბუნებრივია, რაკი ირიბი ნათქვამის დროს ლაპარაკია სიტყვათა საზრისების შესახებ, ანუ წინადადების მიერ გამოთქმული აზრის შესახებ, ამიტომ სიტყვის აღსანიშნავ ობიექტებს (დენოტატებს) ეს საზრისები შეადგენენ და არა მათი ჩვეულებრივი დენოტატები; და მაშასადამე, ასეთი წინადადება მის მიერ გამოთქმულ აზრს აღნიშნავს და არა ჭეშმარიტების ფასს. ამიტომაც, ამ შემთხვევაში ირიბად ნახმარი სიტყვა (საკუთარი სახელი, მთელი წინადადება) შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ისეთი სიტყვით (საკუთარი სახელით, მთელი წინადადებით), რომელსაც იგივე ირიბი დენოტატი (საზრისი, აზრი) აქვს და არა იგივე პირდაპირი დენოტატი (აღსანიშნი ობიექტი, ჭეშმარიტების ფასი).

<sup>11</sup> იქვე, გვ. 92.

როგორც ვხედავთ, ფრეგეს მიხედვით, „წინადადება პირდაპირ ნათქვამში ასახელებს ისევ წინადადებას, ხოლო ირიბ ნათქვამში ასახელებს აზრს“<sup>12</sup>, ამიტომაც თუ გვსურს ურთიერთშეცვლის პრინციპის მართებული გამოყენება, პირველ შემთხვევაში წინადადება უნდა შეიცვალოს მხოლოდ იმავე წინადადებით, რომელიც ცოტა სხვანაირად არის ჩაწერილი; მეორე შემთხვევაში კი წინადადება უნდა შეიცვალოს მხოლოდ ისეთი წინადადებით, რომელიც იმავე აზრს გამოთქვამს, ასეთი შეცვლა უზრუნველყოფს იმას, რომ მოცემულ შემთხვევაში რთული წინადადების ჰეშმარიტება არ შეიცვლება მცდარობით. ფრეგესათვის საზრისისა და დენოტატის ცნობები ენის სემანტიკური ანალიზის ძირითად საშუალებებს წარმოადგენენ. ამ ცნებათა მომარჯვებით იძლევა იგი ყოველი ენობრივი კონტექსტის ანალიზს, ადგენს სიტყვათა (საკუთარ სახელთა, მთელ წინადადებათა) დენოტატებს ყოველ მოცემულ კონტექსტში და ამის შესაბამისად აზუსტებს ყოველი ასეთი კონტექსტისათვის ურთიერთშეცვლის პრინციპის მართებული გამოყენების ფორმას. საზრისისა და დენოტატის ცნებათა გამოყენებით განასხვავებს ფრეგე ე. წ. პირდაპირ და ირიბ, ანუ (როგორც მათ თანამედროვე ლოგიკაში უწოდებენ) ექსტენსიონალურ და არაექსტენსიონალურ კონტექსტებს ერთმანეთისაგან, რის საფუძველზეც იგი განასხვავებს სიტყვათა (საკუთარ სახელთა, მთელ წინადადებათა) პირდაპირ და ირიბ დენოტატებს. პირდაპირ და ირიბ დენოტატებს შორის განსხვავება კი მას თავის მხრივ საშუალებას აძლევს ურთიერთშეცვლის პრინციპი გაავრცელოს და გამოიყენოს არაპირდაპირი (არაექსტენსიონალური) კონტექსტების მიმართ ისე, რომ თავიდან აიცილოს ყოველგვარი შესაძლებელი წინააღმდეგობის წარმოშობა. თუ როგორ ახერხებს ფრეგე ამას, შევეცდებით მოკლედ დავახსიათოთ.

ფრეგე ბუნებრივი ენის სემანტიკური ანალიზის პროცესში წააწყდა კონტექსტებს, რომლებშიც სიტყვები (საკუთარი სახელები, მთელი წინადადებები) აელენდნენ საზრისებს (შესაბამისად, აზრებს) და არა ობიექტებს, რომლებიც ჩვეულებრივად მათ დენოტატებს წარმოადგენდნენ. ამიტომაც მათ მიმართ თითქოსდა ირღვეოდა მოცულობითი პრინციპი, რადგან შეუძლებელი იყო ურთიერთშეცვლის პრინციპის გამოყენება თავისი პირდაპირი ფორმით ისე, რომ ამას არ გამოეწვია მთელი წინადადების ჰეშმარიტების შეცვლა. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს ასეთი კონტექსტებისა წარმოადგენდა ი რ ი ბ ი ნ ა თ ქ ვ ა მ ი. ეს იყო რეალური სიძნელე, რომელიც პირველად გამოვლენილქნა სწორედ ფრეგეს მიერ.

ამ სიძნელის დაძლევის ორი ძირითადი გზა არსებობდა. ერთი მდგომარეობა იმის აღიარებაში, რომ ბუნებრივი ენის ზოგიერთ კონტექსტში ნამდვილად ირღვეოდა მოცულობითი პრინციპი; და რომ შესწავლა და გამოკვლევა საზრისისა, რომელსაც ასეთ კონტექსტში ავლენდნენ გამოსახულებები, შეიძლება მხოლოდ სპეციალურა აღრიცხვების აგების გზით, — ეს იყო გზა ინტენსიონალური ლოგიკისა. მეორე გზა მდგომარეობდა მოცულობითი პრინციპის დაცვაში. ამ გზას დაადგა ფრეგე. იმისათვის, რომ დაეცვა მოცულობითი პრინციპი, ფრეგეს უნდა დაესაბუთებია ურთიერთშეცვლის პრინციპის უნივერსალური ხასიათი, რისი გაერთებაც შესაძლებელი იყო არაექსტენსიონალური კონტექსტების მხოლოდ სათანადო ინტერპრეტაციის შემთხვევაში. ფრეგემ შეიმუშავა და განახორციელა ასეთი კონტექსტების ლოგიკური ანალიზის მეთოდი, რომელიც მის მიერ დამუშავებული საზრისის ცნებაზე იყო დამყარებული. ამ ცნებამ მისცა ფრეგეს საშუალება, ერთმანეთისაგან განსხვავებინა სიტყვათა (საკუთარ სახელთა, მთელ წინადადებათა) პირდაპირი და ირიბი ხმარება და შესაბამისად.

მათი პირდაპირი და ირიბი დენოტატები, რითაც შეძლო ნათელი მოეფინა ი რ ი ბ ი ნ ა თ ქ ვ ა - მ ი ს ლოგიკური ბუნებისათვის.

მაინც რაში მდგომარეობს არაექსტენსიონალური კონტექსტის ფრეგესეული ინტერპრეტაცია, რაც მას საშუალებას აძლევს ურთიერთშეცვლის პრინციპს მისცეს უნივერსალური ხასიათი? რას ემყარება ასეთი კონტექსტის ფრეგესეული გაგება? — სიტყვების (საკუთარ სახელთა, მთელი წინადადებების) საზრისთა (შესაბამისად, გამოსახულ აზრთა) გადაქცევის გარკვეული სახის აბსტრაქტულ ობიექტებად.

ასე, მაგალითად: წინადადება „კომპერნიკი თვლიდა, რომ პლანეტათა ორბიტები წრიულია“ — ირიბი ნათქვამია. ირიბი ნათქვამის ფრეგეს მიერ შენოთავაზებული გაგების შესაბამისად, დაქვემდებარებული წინადადება „პლანეტათა ორბიტები წრიულია“, მოცემულ კონტექსტში აღნიშნავს იმას, რაც ჩვეულებრივად მის მიერ გამოსახულ აზრს შეადგენს, და რაც ვლინდება, როგორც წინადადების დენოტატი ამ კონტექსტში, ე. ი. ეს აზრი იქცევა გარკვეული სახის აბსტრაქტულ ობიექტად. მაგრამ, რადგან ირიბ ნათქვამში დაქვემდებარებული წინადადების მიერ გაცემული აზრი ვლინდება როგორც მისი დენოტატი, მის მიმართ სავსებით შესაძლებელი ღდება ურთიერთშეცვლის პრინციპის გამოყენება, ე. ი. ასეთი აბსტრაქტული ობიექტი უკვე ექვემდებარება ურთიერთშეცვლის პრინციპის მოქმედებას. ურთიერთშეცვლის პრინციპის ასეთი გამოყენება კი იმაზე მიუთითებს, რომ კონტექსტი იქნეს მოცულობით ხასიათს.

მაშასადამე, როგორც კი სიტყვა (საკუთარი სახელი, მთელი წინადადება) გარკვეულ კონტექსტში ავლენს თავის საზრისს (შესაბამისად, გამოსახულ აზრს), იგი მაშინვე ირიბ დენოტატად ე. ი. გარკვეული სახის აბსტრაქტულ ობიექტად იქცევა და, როგორც ასეთი, ურთიერთშეცვლის პრინციპის მოქმედებას ექვემდებარება; ეს გარემოება კი იმაზე მიუთითებს, რომ კონტექსტი იქნეს მოცულობით ხასიათს, რაც ურთიერთშეცვლის პრინციპს უნივერსალურ პრინციპად აქცევს.

როგორც ვხედავთ, სიტყვათა (საკუთარ სახელთა, მთელ წინადადებათა) პირდაპირ და ირიბ დენოტატებს შორის განსხვავება ფრეგეს საშუალებას აძლევს დაძლიოს სიძნელე, რომელიც იქმნება არაექსტენსიონალური კონტექსტის მიმართ ურთიერთშეცვლის პრინციპის გამოყენების შედეგად, ამასთან დაძლიოს ისე, რომ თავიდან აიცილოს შესაძლებელი წინააღმდეგობის წარმოშობა. ამიტომაც, არაექსტენსიონალური კონტექსტების ფრეგესეული ინტერპრეტაცია და სიტყვათა (საკუთარ სახელთა, მთელ წინადადებათა) პირდაპირ და ირიბ დენოტატებს შორის განსხვავება, ასეთი კონტექსტების მიმართ ურთიერთშეცვლის პრინციპის გამოყენების შედეგად აღმოცენებული წინააღმდეგობის (ანტინომიის) გადაწყვეტის ერთ-ერთ შესაძლებელ მეთოდად უნდა მივიჩნიოთ, რაც ფრეგეს მნიშვნელობის თეორიის სპეციფიკურ თავისებურებას შეადგენს და ამ თეორიის სემანტიკური ანალიზის აღნიშვნის მეთოდის ერთ-ერთ ფორმად აქცევს. მაგრამ, ამასთან ერთად, ის გარემოებაც უნდა აღვნიშნოთ, რომ, მართალია, სიტყვათა პირდაპირ და ირიბ დენოტატებს შორის განსხვავება უზრუნველყოფს არაექსტენსიონალური კონტექსტების მიმართ ურთიერთშეცვლის პრინციპის არაწინააღმდეგობრივ გამოყენებას და, ამდენად, იგი ანტინომიის გადაწყვეტის ფრეგეს მიერ შემოთავაზებულ მეთოდს წარმოადგენს, მაგრამ ასეთი განსხვავება უკვე აღარ აკმაყოფილებს ერთმნიშვნელობის პრინციპის მოთხოვნას, არღვევს მას და ამიტომაც ახალ სიძნელეს წარმოშობს თეორიაში; ამ ახალი სიძნელის დაძლევა კი თეორიის შემდგომ გართულებას იწვევს.

როგორც ცნობილია, ერთმნიშვნელობის პრინციპის შესაბამისად, ყოველი ენობრივი გამოსახულება, რომელიც გრამატიკულად სწორად არის აგებული, როგორც საკუთარი სახელი გარკვეულ კონტექსტში მხოლოდ ერთი ობიექტის სახელს წარმოადგენს. ამიტომაც, ამ პრინციპის მოთხოვნა იმაში მდგომარეობს, რომ ლოგიკურად სრულყოფილ ენაში ყოველი საკუთარი სახელი გამოსახავდეს ერთადერთ საზრისს და აღნიშნავდეს ერთადერთ დენოტატს; ფრეგეს მეთოდის თანახმად კი, ერთსა და იმავე სახელს, რომელიც სხვადასხვა კონტექსტში მონაწილეობს, შეიძლება მიეწერებოდეს უსასრულო რიცხვი სხვადასხვა დენოტატებისა. ცხადია, როდესაც ლაპარაკია ერთმნიშვნელობის პრინციპის მოთხოვნის შეუსრულებლობასა ან დარღვევაზე და ამით გამოწვეულ სიძნელებებზე, ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა სალაპარაკო ენებისათვის დამახასიათებელი სიტყვათა ის მრავალმნიშვნელობა, რომელზედაც არა ერთხელ მიუთითებდა თვითონ ფრეგე და რომლის გათვალისწინების საფუძველზეც იგი გამოთქვამს ლოგიკურად სრულყოფილი ენისათვის სავალდებულო მოთხოვნას; არამედ მხედველობაში გვაქვს ერთ და იმავე საკუთარ სახელთა ის მრავალდენოტატიანობა, რომელიც გამომდინარეობს ფრეგეს მეთოდიდან, ან ამ მეთოდის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს.

აღნიშნულ სიძნელეზე მიუთითებს რ. კარნაბი შრომაში „მნიშვნელობა და აუცილებლობა“<sup>13</sup>. იგი აღნიშნავს, რომ ფრეგეს მეთოდის თანახმად, სიტყვას (საკუთარ სახელს, მთელ წინადადებას) რომელიც ორ სხვადასხვა კონტექსტში მონაწილეობს, ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული (პირდაპირი და ირიბი) დენოტატი მიეწერება. მაგრამ დენოტატთა რიცხვი გაცილებით უფრო შორს მიდის, ვიდრე სახელთა პირდაპირ და ირიბ დენოტატებს შორის თავდაპირველი ფრეგესული განსხვავება. სინამდვილეში ეს ორი დენოტატი მხოლოდ დასაწყისია ერთიდაიგივე სახელის დენოტატების უსასრულო მიმდევრობისა. თუ ფრეგეს მეთოდს გამოვიყენებთ რთული წინადადების მიმართ, რომელიც მოკლე — ირიბი წინადადებებისაგან შედგება, მაშინ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ სახელის ჩვეულებრივი დენოტატი, მისი პირველი ირიბი დენოტატი, მისი მეორე ირიბი დენოტატი და ა. შ. ამის საილუსტრაციოდ რ. კარნაბი ავებს სათანადო წინადადებას, რომელსაც აქ აღარ მოვიტანთ<sup>14</sup> და აჩვენებს, რომ ერთსა და იმავე გამოსახულებას მიეწერება უსასრულო რიცხვი სხვადასხვა დენოტატებისა, როდესაც იგი მონაწილეობს სხვადასხვა კონტექსტში. ამ ვითარებას კარნაბი, სრულიად სამართლიანად, ნაკლად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ყველა ამ ობიექტების (დენოტატების) შესახებ ლაპარაკი, ჩვენ ენას ამ ობიექტისათვის უნდა გააჩნდეს უსასრულო რიცხვი სახელებისა.

ასე, მაგალითად, ავიღოთ ნებისმიერი საკუთარი სახელი, ვთქვათ წინადადება «Hs» (სკოტი არის ადამიანი) და აღვნიშნოთ იგი ზოგადად სიმბოლო —  $n_1$ -ით. ფრეგეს მეთოდის თანახმად არსებობს ობიექტი, რომელსაც ეს სახელი ასახელებს; ასეთი ობიექტია «Hs»-ის ჭეშმარიტების ფასი, — აღვნიშნოთ ეს ობიექტი სიმბოლოთი  $e_1$ , მაგრამ ამ ობიექტის გარდა გვაქვს აგრეთვე მეორე ობიექტიც, რომელიც წინადადება „Hs“-ის საზრისს წარმოადგენს; ასეთი იქნება აზრი (მსჯელობა), რომ სკოტი არის ადამიანი. აღვნიშნოთ ეს მეორე ობიექტი სიმბოლოთი  $e_2$ . ახლა თუ ჩვენ გვსურს ლაპარაკი ამ  $e_2$  ობიექტის შესახებ, უნდა გვექონდეს მისთვის სათანადო სახელი. ეს სახელი უნდა განსხვავდებოდეს სახელისაგან  $n_1$ , რადგან ეს უკანასკნელი არის სახელი  $e_1$  ობიექტისა, და, მაშასადამე,

<sup>13</sup> P. Карнап, Значение и необходимость, Москва, 1959, стр. 200—204.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 203.



წესიერად აგებულ ენაში იგი არ უნდა იხმარებოდეს ამავე დროს, როგორც სხვა ობიექტის სახელი. ახალი სახელი აღნიშნოთ  $n_2$ -ით. როგორც ყოველ სახელს,  $n_2$  სახელსაც უნდა გააჩნდეს საზრისი.  $n_2$  სახელის ეს საზრისი უნდა განსხვავდებოდეს მისი  $e_2$  დენოტაციასგან; ასეთი იქნება ახალი ობიექტი, ვთქვათ  $e_3$ , რომელიც არ გვხვდება ჩვეულებრივი ანალიზის დროს. იმისათვის, რომ შეგვეძლოს  $e_3$  ობიექტის შესახებ ლაპარაკი, უნდა გვქონდეს ახალი სახელი  $n_3$ .  $n_3$  სახელის საზრისი იქნება ახალი ობიექტი  $e_4$  და ასე შემდეგ უსასრულოდ.

მაშასადამე, იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ყველა ამ ობიექტის შესახებ ლაპარაკი, ენას უნდა გააჩნდეს მათთვის უსასრულო რიცხვი სახელები. ამიტომაც, სახელთა ამ უსასრულო მიმდევრობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ფრეგეს მეთოდის საფუძველზე, სიძნელის ბუნებრივ გადაწყვეტასა და მართლაც, ა. ჩერჩი, რომელიც ყველაზე თანმიმდევრულად ანეითარებს ფრეგეს ანალიზის მეთოდს, იღებს საკითხის ამ გადაწყვეტას და სასურველად მიიჩნევს, „რომ ობიექტ-ენას მასში არსებული ყოველი სახელისათვის გააჩნდეს კიდევ სახელი მასთან დაკავშირებული საზრისისათვის“<sup>15</sup>. სიძნელის ასეთი გადაწყვეტის შედეგად, უარიყოფა სახელის ირიბი ხმარება, ყოველ სახელს ერთი და მხოლოდ ერთი დენოტატი მიეწერება და ამდენად, ერთმნიშვნელობის მოთხოვნაც სრულდება. ფრეგეს მეთოდის ასეთი დაზუსტება ა. ჩერჩის აგრეთვე იმის საშუალებას აძლევს, რომ თეორიაში განუსაზღვრელად გამოიყენოს ურთიერთშეცვლის პრინციპი. ყოველი შესაძლებელი წინააღმდეგობის (ანტინომიის) აღმოცენების გარეშე, რადგან აღარ არსებობს ერთი და იმავე სახელის ორი (პირდაპირი და ირიბი) ხმარება და, მაშასადამე, ამ სახელის ორი (პირდაპირი და ირიბი) დენოტატი, არამედ ადგილი აქვს ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ სახელს, განსხვავებული დენოტატებით და ბუნებრივია, რომ მათ მიმართ აღარ გამოიყენება ურთიერთშეცვლის პრინციპი.

როგორც ვხედავთ, ფრეგეს მეთოდის ჩერჩისეული მოდიფიკაცია შესაძლებლობას იძლევა, როგორც ერთმნიშვნელობის პრინციპის მოთხოვნის შესრულებისა, ისე ურთიერთშეცვლის პრინციპის არაწინააღმდეგობრივი ხმარებისა თეორიაში; ამდენად იგი, რ. კარნაპის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სახელების მიმართების ანტინომიის“ გადაწყვეტის ერთ-ერთ შესაძლებელ მეთოდს წარმოადგენს, რაც ჩერჩის მნიშვნელობის თეორიას სემანტიკური ანალიზის აღნიშვნის მეთოდის ერთ-ერთ სპეციფიკურ ფორმად აქცევს.

მოკლედ შევაჯამოთ გ. ფრეგეს ძირითადი სემანტიკური იდეები:

1. **ფრეგე ლოგიკას აგებს ფუნქციონალური დამოკიდებულების საფუძველზე:** იგი მსჯელობათა შორის კავშირურთიერთობის ანალიზს აწარმოებს არა ზოგად ტერმინებს შორის არსებული მიმართებების საფუძველზე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა არისტოტელურ ლოგიკასა და ბულის სისტემაში, არამედ ფუნქციის არგუმენტთან მიმართების საფუძველზე, — ამასთან დაკავშირებით, იგი აფართოებს ფუნქციის ცნებას, შესაძლებლად მიიჩნევს რა ისეთი ფუნქციების არსებობას, რომელთა არგუმენტებსა და ფასებსაც არ შეადგენენ რიცხვები; იგი ჩვეულებრივ ლოგიკურ მაკავშირებლებს განიხილავს როგორც ფუნქციის სპეციალურ სახეს, რომელთა ფასებსაც ჰემარტიება და მდარობა წარმოადგენს;

<sup>15</sup> A. Church. (Review Q), p. 47. ციტირებულია რ. კარნაპის შრომის მიხედვით. გვ. 202.



2. ფრეგე ერთმანეთისაგან განასხვავებს ენობრივ გამოსახულებას (აღნიშვნას) და იმას, რაც ამ გამოსახულებით აღინიშნება (აღსანიშნს), — ამ უკანასკნელს (აღსანიშნს) ჰყოფს ორად: ობიექტად (რომელშიც ესმის კონკრეტული ან აბსტრაქტული ერთეული საგნები) და ფუნქციად (რაც მისი აზრით არის თვისება ან მიმართება); აქედან სემანტიკური ანალიზის საგნად მხოლოდ საკუთარ სახელებს მიიჩნევს;

3. ფრეგე აფართოებს საკუთარი სახელის კატეგორიას და ჩვეულებრივ საკუთარ სახელებთან ერთად მის სახეებად მიიჩნევს, როგორც რთულ, ერთეული ობიექტის აღწერით გამოსახულებას, ისე თხრობით წინადადებას, რომელიც დასრულებულ აზრს გამოთქვამს;

4. ყოველ საკუთარ სახელს, ფრეგე, აღსანიშნ ობიექტთან ან დენოტატთან ერთად, უკავშირებს ამ სახელის საზრისს; დენოტატია ობიექტი, რომელსაც სახელი აღნიშნავს ან ასახელებს, ხოლო საზრისია ის წესი, რომლითაც ეს ობიექტია ფიქსირებული მის აღნიშვნაში. საზრისი ყოველთვის აზრისეული ობიექტია და აბსტრაქტულ იდეალურ ობიექტთა კატეგორიას განეკუთვნება, — ფრეგეს სემანტიკა სამფენოვანია;

5. საკუთარ სახელთა ყოველი სახეობისათვის ფრეგე დაძებნის საზრისისა და დენოტატის ცნებების შესატყვის ობიექტებს, — წინადადების როგორც საკუთარი სახელის კერძო შემთხვევის დენოტატად მიიჩნევს ჰეშმარიტების ფასს, ხოლო საზრისად — გამოსახულ აზრს;

6. ჰეშმარიტების ფასები (ჰეშმარიტება, მცდარობა), ფრეგეს აზრით, რეალურად არსებული აბსტრაქტული, იდეალური ობიექტებია, რომლებსაც წინადადებები ასახელებენ, აღნიშნავენ, — ჰეშმარიტი წინადადებები აღნიშნავენ ჰეშმარიტებას, როგორც თავის დენოტატს, ხოლო მცდარი წინადადებები — მცდარობას;

7. საზრისისა და დენოტატის ცნებების გამოყენებით ფრეგე ერთმანეთისაგან განასხვავებს სიტყვათა პირდაპირ და ირიბ ხმარებას ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, ექსტენსიონალურ და არაექსტენსიონალურ ენობრივ კონტექსტებს, — ამასთან დაკავშირებით იგი განასხვავებს სახელთა პირდაპირ და ირიბ დენოტატებს; ფრეგეს თვალსაზრისის მიხედვით არაექსტენსიონალურ კონტექსტში სახელის დენოტატია ის, რაც მისი საზრისია ექსტენსიონალურ კონტექსტში, — ასეთ დენოტატს ფრეგე სახელის ირიბ დენოტატს უწოდებს;

8. სახელთა პირდაპირ და ირიბ დენოტატებს შორის განსხვავების საფუძველზე ფრეგე ახერხებს არაექსტენსიონალური კონტექსტების მიმართ ურთიერთშეცვლის პრინციპის გამოყენებას ისე, რომ თავიდან იცილებს შესაძლებელი წინააღმდეგობის (ანტინომიის) აღმოცენებას, — ამით უნივერსალურ ხასიათს ანიჭებს ურთიერთშეცვლის პრინციპს და მოცულობით თვალსაზრისს ავრცელებს როგორც აზროვნებაზე საერთოდ, ისე ენაზე კერძოდ, რამდენადაც ეს უკანასკნელი ლოგიკის საჭიროებისათვის გამოიყენება. ამდენად, სახელთა პირდაპირ და ირიბ დენოტატებს შორის განსხვავება წარმოადგენს ე. წ. „სახელების მიმართების ანტინომიის“ გადაწყვეტის ფრეგეს მიერ შემოთავაზებულ მეთოდს და მისი თეორიის დამახასიათებელ თავისებურებას შეადგენს, რაც ამ თეორიის მნიშვნელობის სემანტიკური ანალიზის აღნიშვნის მეთოდის ერთ-ერთ ფორმად აქცევს.

ბ. რასელის მნიშვნელობის თეორია, რომელიც „დესკრიპციის თეორიის“ სახელწოდებით არის ცნობილი, სემანტიკური ანალიზის აღნიშვნის მეთოდის

ერთ-ერთ თავისებურ ფორმას წარმოადგენს. დესკრიპციის თეორიით რასელმა სრულიად ორიგინალური წვლილი შეიტანა ლოგიკურ სემანტიკაში. მან გაიზიარა ფრეგეს ლოგიკის ძირითადი იდეები, თუმცა მნიშვნელოვნად გარდაქმნა, როგორც დასკვნის თეორია, ისე ის ძირითადი სემანტიკური პრინციპები, რომლებიც საფუძვლად ედო ამ თეორიას. ფრეგეს ანალოგიურად რასელი ბჭობის პროცესის ანალიზს აწარმოებს არა ზოგადი ტერმინების ურთიერთმიმართების საფუძველზე, არამედ ფუნქციის არგუმანტთან მიმართების საფუძველზე. მაგრამ იგი ამასთან ერთად აღარ იზიარებს ფრეგეს რიგ სემანტიკურ იდეებს და, კერძოდ, როგორც საკუთარ სახელთა ფრეგესეულ თეორიას, ისე სახელდების თეორიის ძირითად პრინციპებს. მაშინ როდესაც ფრეგე აფართოებს საკუთარი სახელის კატეგორიას, რასელი ამ კატეგორიის მინიმუმამდე დაყვანის მიმართულებით მიდის; იგი გამოსახულებათა უმრავლესობას, რომლებიც ენაში საკუთარი სახელის როლს ასრულებენ, განიხილავს როგორც მოჩვენებით, არანამდვილ დესკრიპციებს. ამასთან ერთად უარყოფს წინადადებების, როგორც ჭეშმარიტების ფასთა (ჭეშმარიტება-მცდარობის) სახელების განხილვას. თუ რასელი წინადადებას საერთოდ განიხილავს როგორც სახელს, იგი მისთვის მხოლოდ მსჯელობის სახელს წარმოადგენს.

რასელი არ უარყოფს, რომ აღმნიშვნელ ფრაზას, დესკრიპციას (იქნება იგი ინდივიდუალური, თუ აბსტრაქტული) შეიძლება გააჩნდეს დენოტატი (შესაბამისად, ინდივიდუალური ან აბსტრაქტული ობიექტი), მაგრამ უარყოფს ასეთი ფრაზებისადმი რაიმე საზრისის (მისი ტერმინოლოგიით „მნიშვნელობის“ — „meaning“-ის) მიწერის შესაძლებლობას, როდესაც ისინი განიხილებიან თავისთავად, იმ წინადადებებისაგან (პროპოზიციური ფუნქციებისაგან) დამოუკიდებლად, რომელთა ენობრივ გამოსახულებებშიც ეს ფრაზები გვხვდებიან, ე. ი. რასელს თვალსაზრისით აღმნიშვნელი ფრაზა სინკატეგორემატული გამოსახულებაა, რომელიც აზრანი ხდება მხოლოდ წინადადებაში (პროპოზიციურ ფუნქციაში), რომელშიც იგი მონაწილეობს. აღმნიშვნელი ფრაზის, დესკრიპციის ასეთი ინტერპრეტაცია რასელს საშუალებას აძლევს ყოველი წინადადება (პროპოზიციური ფუნქცია), რომელშიც აღმნიშვნელი ფრაზა გვხვდება, კონტექსტუალური განსაზღვრების გზით გარდაქმნას ისეთ წინადადებად (პროპოზიციურ ფუნქციად), რომელიც უკვე აღმნიშვნელი ფრაზისაგან თავისუფალია, თუმცა პირველი წინადადების (პროპოზიციური ფუნქციის) ეკვივალენტურ აზრს გამოთქვამს. ასეთი გარდაქმნის აუტილსაზრისობის მიზეზად იგი მიიჩნევს იმ ვარლუვალ სიძნელეებს, რომლებიც აღმნიშვნელი ფრაზების, როგორც წინადადების ნამდვილი შემადგენელი ნაწილების განხილვიდან აღმოცენდებიან. იმ შესაძლებელ თეორიათა შორის, რომლებიც აღმნიშვნელ ფრაზებს წინადადების ნამდვილ შემადგენელ ნაწილებად განიხილავენ, ა. მაინონგის თეორიას რასელი ყველაზე მარტივ თეორიად მიიჩნევს. ეს თეორია, გრამატიკულად კორექტულ ყოველ აღმნიშვნელ ფრაზას განიხილავს, როგორც სათანადო ობიექტის აღნიშვნას. ამიტომაც, გამოსახულებების „საფრანგეთის თანამედროვე მეფე“, „მრგვალი კვადრატი“ და ა. შ. აღნიშვნ ობიექტებს გულისხმობენ. ნავარაუდევია, რომ ასეთი ობიექტები ნამდვილად არ არსებობენ, მაგრამ გამოსახულებები მაინც გულისხმობენ მათ, როგორც აღნიშვნ ობიექტებს.

ძირითადი შესიტყვება, რომელსაც რასელი ამ თეორიის მიმართ გამოთქვამს, იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი ობიექტების დაშვება არღვევს წინააღმდეგობის შეუძლებლობის ლოგიკური კანონის მოთხოვნას, რადგან, ამ თეორიის მიხედვით, შეიძლება ვამტყიცოთ, რომ საფრანგეთის თანამედროვე მეფე არსებობს და ამავე დროს არ არსებობს; რომ მრგვალი კვადრატი არის მრგვალი და ამავე დროს არ არის მრგვალი და ა. შ. აღნიშნულ ვითარებას რასელი სრულიად სამართლიანად შეუწყწარებლად თვლის, ამიტომაც ნებისმიერ თეორიას, რომელსაც შეუძლია ამ შედეგის საფუძვლიანი უარყოფა, იგი უპირატესობას ანიჭებს.

მეორე თეორია, რომელიც აღმნიშვნელ ფრაზას წინადადების ნამდვილ შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს, არის ფრეგეს თეორია. რასელი თვლის, რომ წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონის მოთხოვნის შეუსრულებლობას ამ თეორიის მიმართ ძალა არა აქვს; ე. ი. რასელს უმართებულოდ მიაჩნია იმის თქმა, თითქოს წინააღმდეგობის კანონის მოთხოვნას ფრეგეს თეორიაც არღვევდეს. საქმე შეეხება ისეთ აღმნიშვნელ ფრაზებს (დესკრიპციებს), რომლებიც არსებობისა და ერთადერთობის მოთხოვნას არ აკმაყოფილებენ; ე. ი. — ფრეგეს ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, — მოჩვენებით საკუთარ სახელებს წარმოადგენენ. ფრეგე, როგორც ვიცით, თვლის, რომ ასეთ გამოსახულებებს აქვთ საზრისი, მაგრამ არ გააჩნიათ დენოტატი. ამისდა შესაბამისად, წინადადებას, რომელშიც ასეთი აღმნიშვნელი ფრაზა (მოჩვენებით სახელი) მონაწილეობს, გააჩნია საზრისი (აზრი), — რადგან მოჩვენებითი სახელს საზრისი წინადადების საზრისის შემადგენელი ნაწილია, — მაგრამ არ გააჩნია დენოტატი (ჭეშმარიტების ფასი), — რადგან დენოტატი არ გააჩნია მოჩვენებით საკუთარ სახელს; ე. ი. საგნობრიობის პრინციპის შესაბამისად, რამდენადაც წინადადება ლაპარაკობს მასში შემავალი სახელის დენოტატის შესახებ, — იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთ სახელს დენოტატი არ გააჩნია, — დენოტატი არ ექნება არც მთელ წინადადებას. რასელის შესიტყვება ეხება იმას, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც წინადადებაში უდენოტატო აღმნიშვნელი ფრაზა მონაწილეობს (ანუ არსებობისა და ერთადერთობის მოთხოვნა არ სრულდება), წინადადება საერთოდ არ ლაპარაკობს არავითარი საგნის შესახებ და, თუ წინადადებას საგანი არ გააჩნია, — აღნიშნავს რასელი, — მაშინ დასაშვებია, რომ, მაგალითად, წინადადება — „საფრანგეთის თანამედროვე მეფე არის მელოტი“ უნდა იყოს უაზრობა (nonsense); მაგრამ იგი არ არის უაზრობა, რამდენადაც იგი აშკარად მცდარია.

ამიტომ, რასელის აზრით, იმ შემთხვევაში, როდესაც აღმნიშვნელ ფრაზას დენოტატი არ გააჩნია, — იმისათვის, რომ წინადადება არამც თუ ჭეშმარიტი ან მცდარი, არამედ აზრიანი იყოს, — ან უნდა მივაწეროთ დენოტატი, ან უნდა უარვყოთ შეხედულება, რომ წინადადების აზრიანობა დენოტატზე დამოკიდებული (ე. ი. დენოტატია ის, რაზედაც წინადადება ლაპარაკობს, როდესაც მასში აღმნიშვნელი ფრაზა მონაწილეობს). ამ უკანასკნელ თვალსაზრისზე დგას სწორედ რასელი. როგორც უკვე მიუთითეთ, რასელის მიხედვით აღმნიშვნელ ფრაზას (დესკრიპციას) აღებულს თავისთავად შეიძლება ჰქონდეს დენოტატი (კონკრეტული ან აბსტრაქტული), მაგრამ მას არ გააჩნია საზრისი. საზრისი აქვს წინადადებას, რომელშიც აღმნიშვნელი ფრაზა მონაწილეობს, მაგრამ იგი (საზრისი) არ არის დამოკიდებული აღმნიშვნელი ფრაზის დენოტატზე. ამიტომაც, წინადადების საზრისის (აზრის) გამოსახვა შესაძლებელი ხდება ისეთი სხვა ფორმის წინადადებით, რომელიც აღმნიშვნელ ფრაზას უკვე აღარ შეიცავს. მაგრამ თუ ფრეგეს თვალსაზრისზე დავდებებით, — აღნიშნავს რასელი, — ე. ი. თუ დავუშვებთ რომ აღმნიშვნელ ფრაზას, საერთოდ, ორი მხარე (საზრისი და დენოტატი) აქვს, მაშინ იმ შემთხვევაში, როდესაც დენოტატს ადგილი არა აქვს, აღმნიშვნელ ფრაზას ასეთი უნდა მივაწეროთ, რათა წინადადება არა თუ ჭეშმარიტი ან მცდარი, არამედ აზრიანი იყოს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფრეგე მოჩვენებითი საკუთარი სახელების არსებობას სალაპარაკო ენის ნაკლად მიიჩნევს და მოითხოვს, რომ მეცნიერების მიზნებისათვის აგებულ ენაში ყოველ გრამატიკულად კორექტულ გამოსახულებას, რომელსაც დენოტატი არ უდასტურდება „განსაკუთრებული შეთანხმების“ საფუძველზე ასეთი დენოტატი მივაწეროთ. რასელი ასეთ საშუალებას უარესად ხელოვნურად თვლის, რაც, მისი აზრით, არ იძლევა აღმნიშვნელი ფრაზების ნამდვილი ლოგიკური ბუნების ზუსტი ანალიზის შესაძლებლობას. რასელის აზრით, ნამდვილი ლოგიკური სტრუქტურა წინადადებისა, რომელშიც აღმნიშვნელი ფრაზა (ე. ი. არასრული სიმბოლო) გვხვდება, შეიძლება გამოვლენილ იქნას მხოლოდ მაშინ, თუ კონტექსტუალური განსაზღვრების საფუძველზე გამოვრიცხავთ არასრული სიმბოლოს ყოველ შესვლას კონტექსტში ისე, რომ მას შეეცვლით სხვა ენობრივი საშუალებით, — ანუ ასეთ წინადადებას წარმოვადგენთ გაშლილი ფორმით, სადაც აღმნიშვნელი ფრაზა (არასრული სიმბოლო) აღარ გვხვდება, თუმცა შინაარსობრივად ეს წინადადება პირველის ეკვივალენტურია.

მაგალითად: როდესაც ვამბობთ — „სკოტი იყო ადამიანი“, გამოვთქვამთ შემდეგი ფორმის დებულებას „X იყო ადამიანი“, რომლის სავანაც წარმოადგენს „სკოტი“; მაგრამ როდესაც ვამბობთ — „ვავერლის ავტორი იყო ადამიანი“, იგი უკვე აღარ არის „X იყო ადამიანის“ ფორმის დებულება და მას თავის სავანად არა აქვს „ვავერლის ავტორი“. რას ნიშნავს წინადადების „ვავერლის ავტორი იყო ადამიანი“ ნამდვილი საზრისი (აზრი), შეიძლება გასაგებ ვახდეს მხოლოდ მაშინ, თუ ამ წინადადებას გაშლილი ფორმით გამოვთქვამთ: „ერთმა და მხოლოდ ერთმა არსებამ დაწერა ვავერლი, და ეს ერთი იყო ადამიანი“. ე. ი. ამ უკანასკნელი გაიოსახულებს საზრისი (აზრი), პირველის ეკვივალენტურია. ახლა, რაც შეეხება დესკრიპციის „ვავერლის ავტორი“ დენოტატის ინტერპრეტაციას, იგი შემდეგი იქნება. ყოველი წინადადება, რომელშიც „ვავერლის ავტორი“ გვხვდება, განიმარტება ისე, როგორც იგი ახლახან იქნა განმარტებული. ამისდაშესაბამისად, მაგალითად წინადადება: „სკოტი იყო ვავერლის ავტორი“, გარდაქმნება შემდეგ წინადადებად: „ერთმა და მხოლოდ ერთმა არსებამ დაწერა ვავერლი და სკოტი იყო ამ ერთის იდენტური“. მასასადამე, ზოგადად რომ ვთქვათ, თუ „C“ არის აღმნიშვნელი ფრაზა (დესკრიპცია), მაშინ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ X-ის ფასთა შორის ჩოიქმნებოდეს ერთი და მხოლოდ ერთი ისეთი X რომლისთვისაც წინადადება „X იდენტურია C-სი“ (სკოტი იდენტურია ვავერლის ავტორისა) იქნება ჭეშმარიტი.

მასასადამე, ამის საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ X-ის ეს ერთი და მხოლოდ ერთი ფასი არის დესკრიპცია, C-ს დენოტატი; ე. ი. სკოტი იქნება აღმნიშვნელი ფრაზის „ვავერლის ავტორის“ დენოტატი.

ზემოაღნიშნულის შემდეგ რასელი სახელების მიმართების ანტინომიას სრულიად მარტივად წყვეტს: როგორც დავინახეთ, იგი წინადადებას — „სკოტი იყო ვავერლის ავტორი“ გაშლილი ფორმით წარმოადგენს, სადაც აღმნიშვნელი ფრაზა „ვავერლის ავტორი“ უკვე აღარ გვხვდება როგორც წინადადების შემადგენელი და ამიტომაც სიტყვა „სკოტი“ აღარ შეგვიძლია ჩავსვათ მის მაგივრად. მასასადამე, ასეთი წინადადების მიმართ, ერთეული გამოსახულების უქონლობის გამო, ურთიერთშეცვლის პრინციპი აღარ გამოიყენება და ამიტომაც, ანტინომიის ის ფორმა, რომელიც ერთეული გამოსახულების ურთიერთშეცვლის შედეგად წარმოიშვება, იხსნება. აღმნიშვნელი ფრაზის შემცველი წინადადების გაშლილი ფორმით წარმოდგენის უპირატესობას რასელი, აგრეთვე, იმაშიც ხედავს, რომ ასეთი გარდაქმნა, მისი აზრით, აზუსტებს წინადადებაში დესკრიპციის გამოყენებულ მნიშვნელობას (ე. ი. იმას, თუ რა აზ-



რითაა დესკრიპცია წინადადებაში ხმარებული), მაშინ, როდესაც ამის გარეშე გაურკვეველია.

როდესაც ვამბობთ: „ვიორგი IV-ს უნდოდა გავეო იყო თუ არა სკოტი ვავერლეს ავტორი“, ჩვენ ჩვეულებრივ მხედველობაში ვეაჭვს ის, რომ 1) „ვიორგი IV-ს უნდოდა გავეო დაწერა თუ არა ერთმა და მხოლოდ ერთმა ადამიანმა ვავერლეი და იყო თუ არა სკოტი ეს ადამიანი“. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია აგრეთვე მხედველობაში ვიჭინოთ შემდეგი: 2) „ერთმა და მხოლოდ ერთმა ადამიანმა დაწერა ვავერლეი, და ვიორგი IV-ს უნდოდა გავეო იყო თუ არა სკოტი ეს ადამიანი“. როგორც ვხედავთ, როდესაც წინადადებაში დესკრიპცია (მოცემულ შემთხვევაში „ვავერლეს ავტორი“) გვხვდება, გაურკვეველია თუ რა აზრით არის იგი გამოყენებული, ნახშირი: არის იგი ნახშირი პირველი, თუ მეორე აზრით. დესკრიპციის „ვავერლეს ავტორი“ პირველი აზრით ხმარებას რასელი მეორად ან დაქვემდებარებულ შესვლას (secondary occurrence) უწოდებს, ხოლო მეორე აზრით — პირველად ან ძირითად შესვლას (primary occurrence). ეს უკანასკნელი შეიძლება აგრეთვე შემდეგი ფორმით გამოითქვას: 3) „იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც ნამდვილად დაწერა ვავერლეი, ვიორგი IV-ს უნდოდა გავეო, იყო თუ არა იგი სკოტი“.

აქედან გამომდინარე, რასელი დესკრიპციის პირველად, ძირითად შესვლას უწოდებს მის ასეთ შესვლას რაიმე რთული წინადადების დაქვემდებარებულ წინადადება P-ში, როდესაც დესკრიპციის შეცვლა P-ში ისე სწარმოებს, რომ იგი მთელ განსახილველ წინადადებას შეეხება; ხოლო მეორად შესვლას ისეთს, როდესაც მისი შეცვლა P-ში არ შეეხება მთელ წინადადებას. პირველად და მეორად შესვლებს შორის ეს ბუნდოვანი განსხვავება მარტივად იხსნება, როდესაც აღმნიშვნელი ფრაზის შემცველი წინადადების საზრისი (აზრი) გაშლილი ფორმით არის წარმოდგენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ X-ის ფასთა შორის არსებობს ერთი და მხოლოდ ერთი ისეთი X, რომელმაც დაწერა „ვავერლეი“ და ეს ჭეშმარიტია მაშინ, თუ X-ი არის სკოტი, ხოლო მცდარი, თუ X-ი არ არის სკოტი.

რასელი პირველად და მეორად შესვლათა შორის განსხვავებას იყენებს უდენოტატო აღმნიშვნელი ფრაზების, ან როგორც თითონ უწოდებს, აბსრუული სიმბოლოების ნამდვილი ლოგიკური ბუნების გასარკვევად წინადადებებში, რომლებშიც ისინი გვხვდებიან. კერძოდ წინადადებებში: „საფრანგეთის თანამედროვე მეფე მელოტი“ და „საფრანგეთის თანამედროვე მეფე არ არის მელოტი“. რასელი შემდეგნაირად მსჯელობს: თუ «C» არის აღმნიშვნელი ფრაზა, ვთქვათ „ტერმინი რომელსაც გააჩნია თვისება F“, მაშინ „C-ს გააჩნია თვისება F“ ნიშნავს, რომ ერთ და მხოლოდ ერთ ტერმინს გააჩნია თვისება F და ამ ერთს გააჩნია თვისება F“. ახლა თუ აღმოჩნდა, რომ თვისება F არ მიეწერება არც ერთ ტერმინს, მაშინ აქედან გამომდინარეობს, რომ „C-ს გააჩნია თვისება F“ მცდარია F-ის ყველა ფასისათვის. მაშასადამე, წინადადება „საფრანგეთის თანამედროვე მეფე არის მელოტი“ აშკარად მცდარია; და წინადადება: „საფრანგეთის თანამედროვე მეფე არ არის მელოტი“ მცდარია თუ იგი ნიშნავს, რომ 1) „არსებობს ისეთი არსება, რომელიც არის საფრანგეთის თანამედროვე მეფე და არ არის მელოტი“. მაგრამ ჭეშმარიტია: თუ ნიშნავს: 2) „მცდარია, რომ არსებობს ისეთი არსება, რომელიც არის საფრანგეთის თანამედროვე მეფე და არ არის მელოტი“.

ეს გარემოება ფორმალურად, ერთ-ერთი ნოტაციის საშუალებით შემდეგნაირად შეიძლება ჩაიწეროს: თუ დავუშვებთ, რომ B აღნიშნავს „მელოტად ყოფნის თვისებას“, ხოლო A — „საფრანგეთის თანამედროვე მეფედ ყოფნას“, მაშინ წინადადება — 1) („არსებობს ისეთი არსება, რომელიც არის საფრანგეთის თანამედროვე მეფე და არ არის მელოტი“) იქნება:  $\exists x A(x) \cdot \neg B(x)$ ; წინადადება — 2) („მცდარია, რომ არსებობს ისეთი არსება, რომელიც არის საფრანგეთის თანამედროვე მეფე და არ არის მელოტი“) კი შემდეგნაირად ჩაიწერება:  $\neg [\exists x A(x) \cdot \neg B(x)]$ .



ე. ი. „საფრანგეთის თანამედროვე მეფე არ არის მელოტი“ მცდარია, თუ „საფრანგეთის თანამედროვე მეფის“ შესვლა არის პირველადი, და კემპარიტია, თუ იგი არის მეორადი. მაშასადამე, ყოველი წინადადება, რომელშიც „საფრანგეთის თანამედროვე მეფეს“ პირველადი შესვლა აქვს, არის მცდარი; ასეთი წინადადების უარყოფა არის კემპარიტი, მაგრამ მასში „საფრანგეთის თანამედროვე მეფეს“ მეორადი შესვლა აქვს<sup>16</sup>.

საკითხისადმი აღნიშნული მიდგომა რასეღს საშუალებას აძლევს მოხსნას სიძნელე, რომელიც მოჩვენებით საკუთარ სახელებთან ან უდენოტატო აღმნიშვნელ ფრაზებთან არის დაკავშირებული. სიძნელე იხსნება იმით, რომ გამოსახულებები: „პეგასი“, „მარტორქა“, „საფრანგეთის თანამედროვე მეფე“ და ა. შ. განიხილებიან არა როგორც საკუთარი სახელები, არამედ როგორც არასრული სიმბოლოები. ამიტომაც, არავითარ დარღვევას წინააღმდეგობის შეუძლებლობისა და გამორიცხული მესამის ლოგიკური კანონების მოთხოვნებისა არ ექნება ადგილი წინადადებებში, რომლებშიც ასეთი არასრული სიმბოლოები გვხვდება.

თუ წინადადებას: „საფრანგეთის თანამედროვე მეფე არ არის მელოტი“ ავიღებთ მე-2 მნიშვნელობით ან ინტერპრეტაციით, როგორც: „მცდარია, რომ არსებობს ისეთი არსება, რომელიც არის საფრანგეთის თანამედროვე მეფე და არ არის მელოტი“. მაშინ დადებითი და უარყოფითი წინადადება არ შეიძლება ორივე ერთად იყოს კემპარიტი ან ორივე ერთად მცდარი. მაგრამ თუ ამ წინადადებას ავიღებთ 1-ლი მნიშვნელობით ან ინტერპრეტაციით, როგორც: „არსებობს ისეთი არსება რომელიც არის საფრანგეთის თანამედროვე მეფე და არ არის მელოტი“. მაშინ, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი წინადადება ორივე ერთად მცდარი იქნება; მაგრამ გამორიცხული მესამის კანონის მოთხოვნის დარღვევას არ ექნება ადგილი, რადგან წინადადება: „არსებობს ისეთი არსება, რომელიც არის საფრანგეთის თანამედროვე მეფე და არ არის მელოტი“, არ წარმოადგენს წინადადებას: „არსებობს ისეთი არსება, რომელიც არის საფრანგეთის თანამედროვე მეფე და არის მელოტი“ უარყოფას. ორივე ეს წინადადება მათში გამოთქმული ნებისმიერი (როგორც დადებითი ისე უარყოფითი) მტკიცების მიუხედავად ყოველთვის მცდარია, რადგან არ მოიძებნება ისეთი ობიექტი (დენოტატი), რომელსაც შეეძლოს აღნიშნულ მტკიცებათა დაკმაყოფილება. ასე წყვეტს რასეღი ამ სიძნელეს.

რასეღი აზუსტებს არსებობის ცნების ლოგიკურ მნიშვნელობას და ამით ხსნის ე. წ. არსებობის პარადოქსს. ის, რაც ლოგიკაში იგულისხმება საგნის არსებობა-არარსებობის ქვეშ, რასეღის მიხედვით შემდეგს ნიშნავს: რაიმე საგანზე, როგორც არსებულზე, შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სათანადო ცვლადის ფასთა შორის მოიძებნება ისეთი ფასი, რომელიც წინადადებაში გამოთქმულ მტკიცებას აკმაყოფილებს; საგანი არ არსებობს, თუ სათანადო ცვლადის ფასთა შორის არ მოიძებნება ასეთი ფასი. საგნის არსებობა-არარსებობის ასეთი გაგების შემთხვევაში იგი (ე. ი. არსებობა-არარსებობა) წინადადებაში ფიქსირებულია უკვე სათანადო ოპერატორის (ეგზისტენციური კვანტორის) და არა პრედიკატის საშუალებით. მსჯელობის სუბიექტის როლს ასრულებს არა განსახილველი საგნის აღნიშვნა, სახელი, არამედ ცვლადი, რომელიც ეგზისტენციური კვანტორით არის შეკრული და რომლის ფასთა უბანშიც ეს საგანი იგულისხმება. მსჯელობის პრედიკატს კი წარმოადგენს თვისება (ან თვისებათა ერთობლიობა) რომლითაც აღრე საგანი იყო აღწერილი.

აღნიშნულის საილუსტრაციოთ მოვიტანთ შემდეგ მაგალითს: ვთქვათ, გამოვთქვამთ მტკიცებას, რომ „საფრანგეთის თანამედროვე მეფე არ არსებობს“. ეს წინადადება ფორმალურად,

<sup>16</sup> B. Russell, On Denoting, იხ. «Readings», p. 112.

4. „მაენე“, ფილოსოფიის..., სერია, 1973, № 3



შემდეგნაირად შეიძლება ჩაიწეროს:  $\exists! x [A(x)]$ , სადაც A არის „საფრანგეთის თანამედროვე მეფე“ როგორც მეფე უოფნის“ თვისება. მთელი წინადადება იკითხება როგორც: „მცდარია, რომ X-ის ფასთა შორის მოიძებნება ისეთი X-ი, რომელსაც „საფრანგეთის თანამედროვე მეფე უოფნა“ მიეწერება“. ამ ჩანაწერში საფრანგეთის თანამედროვე მეფის არ არსებობა უკვე აღარ არის პრედიკატებული (ე. ი. პრედიკატი გამოთქმული), მაგრამ ფიქსირებულია უარყოფის შემცველი ეგზისტენციური ქვანტორით. განსახილველი საგანი „საფრანგეთის თანამედროვე მეფე“ უკვე აღარ ფიგურირებს როგორც მსჯელობის სუბიექტი. თვისება A კი, რომლითაც მსჯელობის სუბიექტი იყო აღწერილი, პრედიკატად იქცევა. სუბიექტის როლს ასრულებს ცვლადი, რომელიც სათანადო ქვანტორით არის შეკრული. ამრიგად, ბრსმმბზ ინტერპრეტირებულია უკვე არა როგორც პრედიკატი, არამედ — როგორც ობერატორი. ამ სახით ფორმულირებული წინადადებაში გამოთქმულია მტკიცება, რომ პრედიკატი, შემდგარი იმ თვისებისაგან (ან თვისებებისაგან), რომლითაც ადრე დახასიათებული იყო საგანი, მიეწერება ობიექტთა ან ცარიელს, ან არაცარიელ კლასს. ლოგიკაში ტერმინ „არსებობის“ ხმარების რასელის მიერ შემოთავაზებული წესი გვეუბნება: ნაცვლად გამოთქმისა „ეს საგანი არ არსებობს“, ვიხმაროთ გამოთქმა: „ამ საგნის დესკრიპცია გამოყენებულია ცარიელი კლასის აღსანიშნავად“.

მაშასადამე, რაიმე საგნის არსებობა თუ არარსებობა, გამოთქმული თანამედროვე ფორმალური ლოგიკის ენაზე ნიშნავს. „ცარიელია“, თუ „არ არის ცარიელი“ პრედიკატი, რომელიც ამ საგნის დამახასიათებელი თვისებისაგან (ან თვისებებისაგან) შედგება. ლოგიკური თვალსაზრისით გადასვლა საგნის განხილვიდან ამ საგნის თვისების (ან თვისებების) განხილვაზე მიზანშეწონილი ჩანს, რადგან იგი წინადადების საზრისის დაზუსტების შესაძლებლობას იძლევა წმინდა ფორმალური აპარატის საშუალებით. საესებით მისაღები და მიზანშეწონილი ჩანს დესკრიპციის თეორია აგრეთვე „არსებობის პარადოქსის“ მოხსნის თვალსაზრისითაც. პარადოქსი იხსნება იმით, რომ ზუსტდება ლოგიკაში ტერმინ „არსებობის“ ხმარების მნიშვნელობა, რომელიც მხოლოდ ამის მტკიცება ნიშნავს, „ცარიელია“, თუ „არ არის ცარიელი“ გარკვეული თვისების მქონე საგანთა კლასი. ტერმინ „არსებობის“ მნიშვნელობის (საზრისის) ასეთი დაზუსტება შესაძლებლობას იძლევა არსებობის ფორმალურ-ლოგიკური პრობლემა განავსხვავოთ საგანთა რეალური, ონტოლოგიური არსებობის პრობლემისაგან. ლოგიკაში შესაძლებელია ლაპარაკი რაიმე საგანზე, როგორც არსებულზე, თუ სათანადო ცვლადის ფასთა შორის მოიძებნება წინადადებაში გამოთქმული მტკიცების დამაკმაყოფილებელი ფასი; და პირიქით, როგორც არ არსებულზე, თუ სათანადო ცვლადის ფასთა უბანში არ მოიძებნება ასეთი ფასი. მაგრამ საგნის არსებობა-არარსებობის ასეთი მტკიცება არ ნიშნავს ამ საგნის რეალური, ონტოლოგიური არსებობის მტკიცებას. საგანთა რეალური არსებობა არარსებობის პრობლემა არ არის ლოგიკური პრობლემა და ლოგიკა, როგორც ასეთი, მას სპეციალურად არ იკვლევს, თუმცა იგი ითვალისწინებს საგანთა რეალურ, ონტოლოგიურ არსებობა-არსებობას და მას ემყარება.

ფორმალური ლოგიკის მიმდევარი,— თუ შეიძლება ასე ითქვას,— შემდეგნაირად მსჯელობს: თუ მოცემული გვაქვს რაღაც თვისებები და ვიცით, რომ ადგილი აქვს საგნებს, რომლებსაც ეს თვისებები ახასიათებთ, მაშინ ლოგიკოსის საქმეს არ შეადგენს მტკიცება, — ამას ნამდვილად აქვს ადგილი, თუ არა; მისი ამოცანაა ზუსტად გამოთქვას ეს ვითარება ფორმალური ლოგიკის ენაზე და იკვლიოს და დაადგინოს, თუ რა შედეგები შეიძლება იქნას მიღებული აქედან. დასკვნის წანამძღვრების მოცემულობა ლოგიკის მიერ განიხილება როგორც ფაქტი, რომელიც მასში გარედანაა შემოტანილი. ფორმალური ლოგიკა იკვლევს არა ამ მოცემულობის ფაქტის წარმოშობას, არა იმას, თუ როგორ და რა გზით მიიღებიან დასკვნის წანამძღვრები, არამედ იმას, თუ რა ლოგიკურ შედეგებამდე მივყავართ ამ ფაქტს. მოცემულ წანამძღვრებს, როდესაც მათ ადგილი აქვთ. საკითხის ასეთი დასმა მართებულია და იგი მიუთითებს ფორმალურ-ლოგიკური კვლევის თვისობრივ თავისებურებაზე, მის შედარებით დამოუკიდებლობაზე საკუთრივ ონტოლოგიური კვლევისაგან. მაგრამ მიუთითებს სწორედ შედარებით და არა აბსოლუტურ დამოუკიდებლობაზე ამ უკანასკნელისაგან. მართალია ლოგიკა არ იკვლევს საგანთა რეალურ

არსებობა-არარსებობის პრობლემას და, ლოგიკური თვალსაზრისით, არსებულად ითვლება ყველაფერი ის, რაც შეიძლება არსებობდეს, როგორც სათანადო ცვლადის ფასი, რომელიც წინადადებაში გამოთქმულ მტკიცებას აკმაყოფილებს; მართალია, ლოგიკა არ იკვლევს იმას, თუ როგორ და რა გზით მიიღებინა დასკვნის წინამძღვრები და ნამდვილად აქვთ ადგილი მათ მიერ გამოთქმულ მტკიცებას თუ არა; მაგრამ არ შეიძლება იმის თქმაც, რომ იგი გულგრილი იყოს ამ საკითხებისადმი, არ აინტერესებდეს თუ რა რიგის ობიექტებთან (საგნებთან) აქვს მას საქმე; არიან ისინი უბრალოდ გონების კონსტრუქციები, თუ ობიექტები, რომლებიც სინამდვილის უზოგადეს კავშირ-ურთიერთობათა უაღრესად აბსტრაქტულ გამოხატულებებს წარმოადგენენ; არიან დასკვნის წინამძღვრები მხოლოდ სუბიექტური მოსაზრებები, თუ სერიოზული მეცნიერული დებულებები, იძლევა იგი მეცნიერული თუ არამეცნიერული ცნებების ანალიზს.

ერთი სიტყვით, ჩვენ იმის ხაზგასმა გვსურს, რომ შეუძლებელია ლოგიკის სრული იზოლაცია ონტოლოგიისაგან (როგორც ამას რ. კარნაპი და უ. ქუაინი ცდილობენ). რადგან, ყველაფერს სხვას რომ თავი დავანებოთ, მტკიცება იმისა, „ცარიელია“ თუ „არ არის ცარიელი“ გარკვეული თვისებების მქონე საგანთა კლასი, ან არსებობს თუ არ არსებობს სათანადო ცვლადის ფასთა შორის, ისეთი ფასი, რომელიც აკმაყოფილებს წინადადებაში გამოთქმულ მტკიცებას, საბოლოო ანგარიშში ამ საგანთა რეალური, ონტოლოგიური არსებობა-არარსებობით განისაზღვრება და მას ემყარება; საბოლოო ანგარიშში მხოლოდ ონტოლოგიური თვალსაზრისი წარმოადგენს ლოგიკაში გარკვეული თვისებების მქონე საგანთა კლასის „ცარიელად“ თუ „არაცარიელად“ არსებობის მტკიცების საფუძველს, რადგან „არსებობის“ სხვაგვარი გაგება ასეთი მტკიცების შესაძლებლობას არ იძლევა. თუ ლოგიკური თვალსაზრისით არსებულად მივიჩნით ყველაფერი ის, რაც შეიძლება აზროვნებას მოეცეს, როგორც საზრუნო საგანი, ანუ როგორც მსგელობის სუბიექტი, მაშინ უნდა ვალიართ, რომ ასეთები შეიძლება იყვნენ არა მარტო რეალური საგნები, მოვლენები, მათი თვისებები, მიმართებები ან მათი უაღრესად აბსტრაქტული გამოხატულებები, არამედ გონების ისეთი კონსტრუქციებიც, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვს სინამდვილესთან და თვით მითიური არსებებიც; მაშასადამე, გარკვეული სახით ლოგიკური არსებობა ასეთ ობიექტებსაც უნდა მიენიჭოთ და მაშინ, ლოგიკური თვალსაზრისით ლაპარაკი საგანთა ამა თუ იმ კლასის, როგორც „ცარიელად“ არსებულის (ე. ი. არარსებულის) შესახებ, მაშინ როდესაც არსებობის ქვეშ მისი აზროვნებისათვის მოცულობა ივლდისხმება, პარადოქსს წარმოადგენს, რადგან თუ რაიმე არის აზროვნებისათვის მოცემული (ე. ი. არსებობს), მაშინ მის მიმართ იმას ვეღარ ვიტყვით, რომ იგი არ არის მოცემული (ე. ი. არ არსებობს). გარდა ამისა ლოგიკური თვალსაზრისით არსებობის ცნების ასეთი გაგების შემთხვევაში იხსნება ყოველგვარი განსხვავება რეალურ და არარეალურ საგნებს შორის, მეცნიერულ დებულებებსა და სუბიექტურ შეხედულებებს შორის. არ არსებობს არავითარი ფორმალური კრიტერიუმი, რომელსაც შეეძლოს განასხვავოს მეცნიერული თეორია არამეცნიერული, წმინდა სუბიექტური გონების კონსტრუქციისაგან. ამიტომაც, ასეთი განსხვავების ერთადერთ კრიტერიუმს მხოლოდ მატერიალური პრაქტიკა შეადგენს, რომელიც ადგენს თეორიის დამოკიდებულებას სინამდვილესთან. იმისდამიხედვით, არის ცნებითი შემეცნება სინამდვი-

ლის ამა თუ იმ მხარის ადექვატური თუ არაადექვატური ასახვა, არსებობს განსხვავება მეცნიერულ და არამეცნიერულ თეორიას შორის, მეცნიერულ დებულებებსა და სუბიექტურ შეხედულებებს შორის, რეალურ და არარეალურ ობიექტებს შორის.

როგორც ვხედავთ, ლოგიკაში გარკვეული თვისებების მქონე საგანთა კლასის „ცარიელად“, თუ „არა ცარიელად“ არსებობის მტკიცების საფუძველს საბოლოო ანგარიშში ისევ ონტოლოგიური თვალსაზრისი, ან როგორც ბ. რასელი ამბობს „რეალობის გრძნობა“ შეადგენს. რასელის დესკრიპციის თეორიის ღირსება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ხაზს უსვამს რა ლოგიკური კვლევის თავისებურებასა და მის შედარებით დამოუკიდებლობას, არ წყვეტს მას ონტოლოგიური თვალსაზრისისაგან; აზუსტებს რა ტერმინ „არსებობის“ ლოგიკაში ხმარების მნიშვნელობას, იგი ამ მნიშვნელობას საგანთა რეალური, ონტოლოგიური არსებობა — არარსებობის თვალსაზრისზე ამყარებს, რითაც ხსნის ე. წ. „არსებობის პარადოქსის“ წარმოშობის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს ლოგიკის მეცნიერულობას საერთოდ. ამიტომ არის, რომ რასელი უარყოფს არარეალური საგნებისათვის გარკვეული სახის ლოგიკური არსებობის მინიჭების შესაძლებლობას და თვლის, რომ „ლოგიკას არ შეუძლია დაუშვას მარტორქები, ისევე როგორც ზოოლოგიას, რადგან ლოგიკა რეალურ სინამდვილეს შეისწავლის, ისევე როგორც ზოოლოგია, თუმცა მის უფრო აბსტრაქტულსა და ზოგად ნიშნებს“<sup>17</sup>. ამიტომ არის, აგრეთვე, რომ რასელი ისეთ ენობრივ გამოსახულებებს, როგორც არიან მაგალითად: „პეგასი“, „მარტორქა“, „საფრანგეთის თანამედროვე მეფე“ და ა. შ. განიხილავს არა როგორც საკუთარ სახელებს ან ნამდვილ აღმნიშვნელ ფრაზებს, რაც აუცილებლად გამოიწვევდა ინდივიდუუმთა სფეროს გაფართოებას და ენაში ახალი ტიპის ცვლადების შემოტანას, რომელთა ფასებასაც მოაზრებადი ან წარმოსახვითი ობიექტები შეადგენენ, არამედ როგორც არასრულ სიმბოლოებს, რომელთა ხმარება ენაში არ მოითხოვს ინდივიდუუმთა სფეროში რაიმე სახის აბსტრაქტული ობიექტების შემოტანას.

ასე წყვეტს რასელი ლოგიკაში არსებობის ცნების გამოყენებასთან დაკავშირებულ სიძნელეს.

ბ. რასელის სემანტიკურმა იდეებმა, საერთოდ, და, კერძოდ, არასრული სიმბოლოების თეორიამ, დიდი როლი ითამაშეს ლოგიკური სემანტიკის განვითარების საქმეში. არასრულ სიმბოლოთა რასელისეული თეორია შესაძლებლობას იძლევა ისეთი საეჭვო არსებათა ელიმინაციისა, როგორც არიან წარმოსახვითი ობიექტები (პეგასი, ღმერთი, საფრანგეთის თანამედროვე მეფე და ა. შ.), კლასები, რიცხვები. წინადადებები, რომლებშიც ვხვდებით ამ სახის ობიექტების გამომთქმელ ენობრივ გამოსახულებებს, შეიძლება კონტექსტუალური განსაზღვრებების საშუალებით გარდაიქმნან ისეთ წინადადებებად, სადაც აღარ გვხვდებიან ასეთი გამოსახულებები, თუმცა მიღებული წინადადებები თავისი საზრისით ბირველების ეკვივალენტურნი არიან. ამასთან ერთად საკუთარ სახელთა კატეგორია მინიმუმამდე დაიყვანება და გამოსახულებათა უმრავლესობა, რომლებიც საკუთარი სახელების როლს ასრულებენ, განიხილებიან როგორც არანამდვილი დესკრიპციები, არასრული სიმბოლოები.

<sup>17</sup> B. Russel, «Introduction to Mathematical Philosophy», იხ. L. Linksy, «Semantics and The Philosophy of Language», Urbana, 1952.



მოკლედ შევეჯამოთ ბ. რასელის ძირითადი სემანტიკური შეხედულებები:

1) რასელი, ფრეგეს ანალოგიურად, ბჭობის პროცესის ანალიზს აწარმოებს ფუნქციის არგუმენტთან მიმართების საფუძველზე, — იგი აღარ იზიარებს არც საკუთარ სახელთა ფრეგესეულ თეორიას და არც სახელდების თეორიის ძირითად პრინციპებს, — მას საკუთარ სახელთა კატეგორია მინიმუმამდე დაჰყავს;

2) ენობრივ გამოსახულებებს, რომლებიც თავისი ფორმით რაღაცას აღწერენ, რასელი აღმნიშვნელ ფრაზებს უწოდებს, — რასელის თვალსაზრისით აღმნიშვნელი ფრაზა, განხილული თავისთავად, ყოველგვარ საზრისს არის მოკლებული, ე. ი. სინკატეგორმატულ გამოსახულებას წარმოადგენს, — აზრიანია მხოლოდ წინადადება, რომელშიც ასეთი აღმნიშვნელი ფრაზა მონაწილეობს;

3) აღმნიშვნელი ფრაზის ასეთი გაგება რასელს საშუალებას აძლევს, რომ აღმნიშვნელი ფრაზის შემცველი წინადადება, კონტექსტუალური განსაზღვრების გზით გარდაქმნას ისეთ წინადადებად, რომელიც თავისუფალია აღმნიშვნელი ფრაზისაგან, თუმცა პირველი წინადადების ეკვივალენტურ აზრს გამოთქვამს, — ეს გარემოება კი სახელდების მიმართების ანტინომიის მოხსნის შესაძლებლობას იძლევა, რამდენადაც ასეთ წინადადებებში აღარ გამოიყენებიან ერთეული გამოსახულებები და მაშასადამე, ანტინომიის ის ფორმა, რომელიც ერთეული გამოსახულებების ურთიერთშეცვლის შედეგად წარმოიშობა, იხსნება;

4) „არსებობის პარადოქსი“ რასელი ხსნის ლოგიკაში ტერმინ „არსებობის“ ხმარების მნიშვნელობის დაზუსტებით, — ლოგიკური თვალსაზრისით რაიმეს არსებობა-არარსებობა ნიშნავს „ცარიელია“ თუ „არ არის ცარიელი“ გარკვეული თვისებების მქონე საგანთა კლასი, ან არსებობს თუ არ არსებობს სათანადო ცვლადის ფასთა შორის ისეთი ფასი, რომელიც აკმაყოფილებს წინადადებაში გამოთქმულ მტკიცებას, — რასელის მიხედვით, — გარკვეული თვისებების მქონე საგანთა კლასის „ცარიელად“ თუ „არაცარიელად“ არსებობის საფუძველს ლოგიკაში საბოლოო ანგარიშში ინტოლოგიური თვალსაზრისი შეადგენს;

5) რასელი ენობრივ გამოსახულებათა უმრავლესობას, რომლებიც ენაში საკუთარ სახელთა როლს ასრულებენ, განიხილავს როგორც არანამდვილ დესკრიპციებს, მათ იგი არასრულსიმბოლოებს უწოდებს, — არასრულ სიმბოლოთა რასელისეული თეორია ენიდან ისეთი საექვო აბსტრაქტული ობიექტების ელიმინაციის შესაძლებლობას იძლევა, როგორიც არიან წარმოსახვითი ობიექტები, კლასები, რიცხვები;

6) რასელი უარყოფს საზრისის ასპექტს და ამით ფრეგეს სამფენოვანი სემანტიკიდან ორფენოვან სემანტიკაზე გადადის.

(წარმოდენა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა)



## გიორგი შუშანაშვილი

### კანტის ანტინომიზმი<sup>1</sup>

ანტიკური ფილოსოფიის შემდეგ მთელი შუა საუკუნეები სქოლასტიკამ დაიკავა, ფილოსოფიას მიეცა რელიგიის მსახურის როლი, აზროვნების დიალექტიკური ნაკადი შეწყდა და ნაცვლად მეტაფიზიკა გაბატონდა; მხოლოდ სქოლასტიკური თვლემიდან გამოდევნილმა აზროვნებამ იწყო სინამდვილის დიალექტიკური ჰერმენეუტიკა, ზეცისაკენ აპყრობილმა აზროვნებამ დაძვინჯა დედამიწას და სინამდვილე მის წინაშე წარმოსდგა მოძრაობისა და ცვალებადობის სახით. პირველი ნაპერწკალი კუზანელის ცეცხლოვანი გონებიდან ამოვარდა, თუმცა სინამდვილე მასთან ჯერ კიდევ არ არის გაგებული როგორც წარმოქმნა, მხოლოდ იმანუელ კანტის XVIII საუკუნის ის დიდი ფილოსოფოსი, რომელმაც სამყაროს შეხედა განვითარების თვალსაზრისით, სამყაროს წარმოშობისა და განვითარების საფუძვლად მან აღიარა წინააღმდეგობა, მიზიდულება-განზიდულების კანონი. კანტის ამ დამსახურების შესახებ ფ. ენგელსი წერს: „ეს სავსებით მეტაფიზიკური აზროვნების შესაფერისი წარმოდგენა პირველად კანტმა გაარღვია და გაარღვია ისე მეცნიერულად, რომ მის მიერ გამოყენებული დამატკიცებელი საბუთების უმრავლესობას დღესაც აქვს ძალა“<sup>2</sup>. აქ მხედველობაშია სინამდვილის დიალექტიკური განხილვა, მაგრამ კანტმა არა მარტო ბუნების მოვლენების დიალექტიკური გაგება მოგვცა, არამედ წმინდა ფილოსოფიურ-გნოსეოლოგიურ საკითხებსაც მიაყენა ერთგვარი დიალექტიკური შუქი. ამის თაობაზე ჰეგელი წერს: „უახლოეს ხანაში უმთავრესად კანტი იყო ის, ვინც დიალექტიკა კვლავ გავვახსენა და ეს უკანასკნელი ხელახლა თავისი შესაფერისი ღირსებით დააყენა და, სახელდობრ, მან ეს გააკეთა ჩვენ მიერ უკვე აღნიშნული (48) გონების ეგრეთ წოდებული ანტინომიზმის შემოტანით, რომლებშიც საქმე ეხება არა სხვადასხვა საფუძველთა შორის უბრალო მერყეობას, არა მხოლოდ სუბიექტურ მსჯელობას, არამედ — იმას, რომ ნაჩვენები იქნას, თუ განსჯის ყოველი აბსტრაქტული განსაზღვრება, მხოლოდ იმ სახით აღებული, როგორც იმის თვის თვის ანაღებებს, უშუალოდ გადადის თავის დაპირისპირებულობაში“<sup>3</sup>.

წინააღმდეგ ძველი მეტაფიზიკისა, რომელიც ემყარებოდა აზროვნების აბსტრაქტულ კატეგორიებს, კანტმა ისინი მოიყვანა მოძრაობაში და ურთიერთწინააღმდეგობაში, როდესაც ხდება მათი გადასვლა ურთიერთში და მათ მიერ ჰეგელიზმის საკუთარ უარყოფაში დადგენა. კანტის აზრით, დიალექტიკური წინააღმდეგობა არ ახასიათებს განსჯას, — ეს უკანასკნელი ფორმალურ-ლოგიკური კანონების საფუძველზე მოქმედებს. საგნის მიმართ ერთსა და იმავე დროს ორი საწინააღმდეგო შეხედულების ერთად არსებობა განსჯის ბუნებას არ შეეფერება. არც სინამდვილეა დიალექტიკური, რადგანაც ცდისაგან დამოუკიდებელი სინამდვილის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით, ხოლო ცდისეული სინამდვილე განსჯის კანონების საფუძველზეა ამოწმებული. კანტი ჯერაც იმ თვალსაზრისზე არა დგას, რომ ერთ პრინციპს დაუმორჩილოს ადამიანის მთე-

<sup>1</sup> ეს ერთი თეზა ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდალატის ბარისხის მოსაპოვებელი ჩემი სადისერტაციო შრომისა, რომელიც 1946 წლის ივნისში დაიცავი (გ. შ.).

<sup>2</sup> ფ. ენგელსი, ანტიდირინგი, თბ., 1952, გვ. 68.

<sup>3</sup> ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, თბ., 1962, გვ. 67.

ლი შემეცნებითი სამყარო და მას ისეთ ორ ნაწილად ყოფს, სადაც სხვადასხვა კანონები მოქმედებენ.

შემეცნების ამ სხვადასხვა უნარს სხვადასხვა საგანი აქვს: **განსჯის საგანი** ბოლოვადი და გაპირობებულა, ხოლო **გონების საგანი** არის სინამდვილე თავისთავად როგორც დაუბოლოებელი. სინამდვილე თავის თავად, გონებისაგან დაპოუცილებლად არ არსებობს, ერთადერთი სინამდვილე ის არის, რაც მოვლენის სახითაა; ამიტომ გონებას შემეცნებითი საქმიანობის დროს საქმე აქვს არა სინამდვილესთან, არამედ საკუთარ თვითმოძრაობასთან. ამის მიუხედავად, კანტთან გონების დიალექტიკური მოძრაობა აუცილებელი ხასიათისაა: გონებას არ შეუძლია დიალექტიკური პროცესისაგან გათავისუფლება. კანტისეული გონების დიალექტიკური ბუნების შესახებ ჰეგელი წერს: „ძველი მეტაფიზიკის თვალსაზრისით, აღიარებული იყო, რომ თუ შემეცნება წინააღმდეგობაში ვარდება, ეს მხოლოდ შემთხვევითი დაბნეულობაა და დამყარებულია სუბიექტურ შეცდომაზე დასკვნასა და მსჯელობაში. კანტის თანახმად კი, პირიქით, თვითონ აზროვნების ბუნებაშია ჩამარხული ის გაჩემა, რომ აზროვნება წინააღმდეგობაში (ანტინომიაში) ვარდება, როდესაც მას უსასრულოს შემეცნება სურს.“<sup>4</sup> კანტის მიხედვით, გონებას აქვს მისწრაფება დაუბოლოებელის შემეცნებას, რომელიც კანტის იქით იმყოფება: გონება ვადის რა ცდის იქით, ვარდება წინააღმდეგობაში და მისთვის წინააღმდეგობა ისევე აუცილებელია, როგორც აუცილებელია მისი მისწრაფება დაუბოლოებლის შემეცნებისაკენ; ამ მისწრაფების მიუხედავად, გონება დაუბოლოებელს ვერასოდეს შეიძენს, რადგანაც შემეცნება შეიძლება იმისი, რაც ცდაში გვეძლევა. დაუბოლოებელი ცდაში არ გვეძლევა, ამიტომ მისი შემეცნება მიუღწეველია.

კანტმა განსჯა გამოყო გონებისაგან, საგანი კი — მოვლენისაგან; მან დაუპირისპირა ისინი ერთმანეთს და შეუძლებელი გახადა მოვლენიდან — საგანზე გადასვლა, **ბოლოვადიდან** (რომელიც განსჯის საგანია) — **დაუბოლოვებელზე** გადასვლა; ამიტომ გონებისათვის შეუძლებელი გახდა აბსოლუტური შემეცნება.

გონებას სფეროს ეყუთუნა ფაქტოლოგიური და თეოლოგიური იდეები, მაგრამ იგი აქ არ ვარდება წინააღმდეგობაში, თუმცა, გონება აქაც შეცდომით მოქმედებს, რადგანაც იგი ისეთ რამეს მიიღებს ჭეშმარიტებად, რაც სინამდვილეში არ არის. გონების მოძრაობა აქ მაინც არ არის დიალექტიკური, იგი მხოლოდ კოსმოლოგიური იდეების სფეროში აწყდება წინააღმდეგობას. კოსმოლოგიური იდეების დიალექტიკის შესახებ თვით კანტი წერს: „თუ ჩვენ მოვიხმართ ჩვენს გონებას არა მხოლოდ განსჯის ძირითადი დებულებისადმი ცდის საგნების შემეცნებისას, არამედ ამ დებულებებს ცდის იქითაც გავარცელებთ, აქედან წარმოიშებიან დებულებანი, რომელთა ცდით დამტკიცება არ შეიძლება, მაგრამ არ შეიძლება იმის უარყოფაც, რომ ამასთან ერთად, თვითული მათგანი არა თუ თუაუფხვალა წინააღმდეგობისაგან, არამედ გონებაშივე ამისი აუცილებლობა; თუმცა, სამწუხაროდ, საწინააღმდეგო მტკიცებასაც, თავის მხრივ, აქვს ასევე აუცილებელი საფუძველი“.<sup>5</sup>

გონების საგანი დაუბოლოებელია, მაგრამ იგი სინამდვილეში არ არსებობს, ამიტომ გონებას ეს საგანი ვერ ეძლევა შესამეცნებლად, არამედ — მის შესახებ იდეები. ეს იდეები არ არიან ცდისმიერნი, არამედ შათა სათავე გონებაა. კანტი მათ ტრანსცენდენტალურ იდეებს უწოდებს: გონების დიალექტიკურ მოძრაობა მიმდინარეობს **ტრანსცენდენტალურ იდეების** არეში. **ლოგიკის** ის ნაწილი, რომელიც გონებას შეისწავლის ამ არეში, არის **ტრანსცენდენტალური დიალექტიკა** რომელსაც ჭეშმარიტების ლოგიკისაგან განსხვავებით, კანტმა უწოდა **მოჩენებითი ლოგიკა**. ჭეშმარიტების ლოგიკა არის **განსჯის ლოგიკა**, რომელიც ცდისაგან გამოდის და მთელ თავის მოღვაწეობას ცდის საფუძველზე აშენებს. მოჩენება, რომელთავე ტრანსცენდენტალურ დიალექტიკას აქვს საქმე, არ არის წინდა ლოგიკური, რადგან იგი მსჯელობის რომელიმე წიგნის შეცდომიდან გამოპლანდინარობს და მისი აღმოჩენის შემთხვევაში შეკლავს გამოსწორდება; ხოლო შეცდომა, რომელთანაც საქმე აქვს დიალექტიკას, მაშინაც არ მოახპობა, როდესაც მისი საფუძველია აღმოჩენილი. გონება ვახვეულა აუკლებელა და ვარდაუელა შეკლავების ქსელში. გონების **აუკლებელი შეკლავი** იქიდან წარმოადგება, რომ იგი ობიექტურად იქას მიიღებს, რაც არ არის **ობიექტური**, რასაც საფუძველი ჩვენს სუბიექტურობაში აქვს; გონებას შეცდომა იმაშია, რომ იმას, რაც სუბიექ-

<sup>4</sup> ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, გვ. 139.

<sup>5</sup> Кант, Критика чистого разума, Москва, 1964, стр. 400.

ტურია, იგი ობიექტურად ჩათვლის და მასთან როგორც რეალურთან მიემართება მაშინ, როდესაც იგი მისი საკუთარი ქმნილებაა; რაც მისგან გაუცხოებულია და რასაც ობიექტური სახე მიუღია. კანტის აზრით, სიყალბეა ჩასთვალა რეალურად ის, რაც რამენაირად მჭვრეტელობაში და შეგრძნებაში არ არის მოცემული. გონების გამოსავალი არ არის მჭვრეტელობაში მოცემული რეალობა გონება თვითონ აგებს თავის შემეცნების საგანს. სუბიექტურის — ობიექტურად გადაქცევის საფუძველი ისევე გონებაშია და არა მისგან დამოუკიდებელ საგანში.

ჩვენს აზროვნებას აქვს უმაღლესი და ზოგად-საყოველთაო ხასიათის ძირითადი დებულებები: მჭვრეტელობის აქსიომები, აღქმის ანტიციპაციები, ცდის ანალოგიები და ემპირიული აზროვნების პოსტულატები. ესენი წარმოდგენათა გავრთიანების პრინციპებია და ცდის შესაძლებლობის პირობებს წარმოადგენენ; ცდის შესაძლებლობის პირობები კი, ამავე დროს, ბუნების შესაძლებლობის პირობებია, რადგანაც „ბუნება გამოყვანილია ცდის შესაძლებლობის კანონებისაგან, საერთოდ, და ამ უკანასკნელთა ზოგად კანონზომიერებასთან საესეებით ერთი და იგივეა“<sup>6</sup>. ძირითადი დებულებები ცდიდან კი არ გამოიყვანებიან, არამედ მას უსწრებენ; მათთვის დამახასიათებელია: საყოველთაოობა, ზოგადი მნიშვნელობა და აპრიორობა — ესენი და მათ ქვეშ გავრთიანებული წარმოდგენანი ობიექტურ სახეს ღებულობენ. განსჯის კატეგორიები (სუბსტანციის, მოქმედების, რეალობის, მიზეზობრიობის) ცდისაგან დამოუკიდებელი არიან და იძლევიან ტრანსცენდენტურ გამოყვანების საშუალებას.

ძირითად დებულებებზე გონების მიერ აშენებული ბუნება ისევე გონების მიერ გაიგება როგორც ცდისაგან დამოუკიდებელი მაშინ, როდესაც იგი ნამდვილად განსჯის ნამოღვაწარია და მის გარეშე არარაობაა. შეცდომა გონებისათვის გარდაუვალი ყოფილა, მას საფუძველი ჰქონია განსჯის კატეგორიებში, რომლებიც გარე სინამდვილის სახეს იღებენ. გონების შეცდომა არა მარტო იმაშია, რომ იგი სუბიექტურს მიიღებს ობიექტურად, არამედ — იმაშიც, რომ ობიექტურად აღიარებულს, ერთსა და იმავე დროს, საწინააღმდეგო მხარეებს მიაწერს. აზრი მაშინ არის ჰეგელიანური, როდესაც ის არ შეიცავს წინააღმდეგობას. ტრანსცენდენტალურ კოსმოლოგიურ იდეებს კი სწორედ წინააღმდეგობა ახასიათებს. აქ, — როგორც ენგელსი წერს, — „ერთი დებულება ისევე შეიძლება დამტკიცდეს როგორც მეორე“<sup>7</sup>. ერთი დებულების მტკიცებას მივყვართ მეორე მისი საწინააღმდეგო დებულების მტკიცებისაკენ; თვითული დებულება არსებობს როგორც წინააღმდეგობა, ერთის ჰეგელიანური მოითხოვს მეორის ჰეგელიანურებასაც; მოწინააღმდეგე დებულებები ერთმანეთის ჰეგელიანურების საფუძველს წარმოადგენენ. ასე სრულებით არ არის საქმე განსჯის ლოგიკის მიხედვით: აქ თუ ერთი დებულება არის ჰეგელიანური, მეორე მისი მოწინააღმდეგე ყალბია, — იგი თავის ჰეგელიანურებას ამტკიცებს მოწინააღმდეგის გაყალბებით, მისი გაუქმებით; ეს იმას არ ნიშნავს, რომ განსჯის ლოგიკაში ადგილი არა აქვს წინააღმდეგობას, აქ არის წინააღმდეგობა ლოგიკური და არა ტრანსცენდენტალური. გონების წინააღმდეგობისაგან გათავისუფლება არავითარ ლოგიკურ მოქმედებას არ შეუძლია. აქ ყველა წევრი მსჯელობისა ლოგიკურად სწორია და მათი ჰეგელიანური ექვს არ ბადებს. გონებისათვის ჰეგელიანური სწორედ ამ წინააღმდეგობაშია.

წინააღმდეგობაა, თუ ვიტყვი, რომ ქვეყანას აქვს საწყისი დროში და საზღვარი სივრცეში (ბოლოვანია) და ქვეყანას არა აქვს საწყისი დროში და საზღვარი სივრცეში (დაუბოლოვებელია); ქვეყანა შედგება მარტივი ნაწილებისაგან და არაფერი არ არის რთული. ქვეყანა არ შედგება მარტივი ნაწილებისაგან და არაფერი არ არის მარტივი; ქვეყანას განაგებს თავისუფლება და არაფერი არ ხდება ბუნებრივი მიზეზის მიხედვით, ქვეყანას განაგებს ბუნებრივი მიზეზობრიობა და არა-

<sup>6</sup> კანტი, პროლეგომენები, თბ., 1936, გვ. 145.

<sup>7</sup> ენგელსი, ანტიდურონიკი, გვ. 59.

ფერი არ ხდება თავისუფლების მიზედით; ქვეყანას აქვს პირველი საწყისი ან მასში ან მის გარედ და ქვეყანას არა აქვს პირველი საწყისი არც მასში და არც მის გარედ. ესენი არიან საკუთრივ გონების წინააღმდეგობანი, რომლებიც ყველა ერთნაირი ლოგიკური სისწორით მტკიცდება და ორივე მტკიცება გონებისათვის აუცილებელი ხდება. წინააღმდეგობანი იქიდან წარმოსდგებიან, რომ გონება არ კმაყოფილება მოვლენების შემცნებით, რომლებიც ცდაში მოცემული; მას სურს ცდის საგანში, ხოლო ყველა შესაძლებელი\* ცდის აბსოლუტური სავსეობა კი თვითონ არ არის ცდა, მაგრამ აუცილებელი პრობლემაა გონებისათვის<sup>8</sup>. რაჟი ცდის სავსეობა არ არის ცდა, ამიტომ გონების მისწრაფება ცდის სავსეობისაკენ არის ცდის გაღმა გასვლის მისწრაფება — აქ კი ყველაფერში წინააღმდეგობა ჩნდება. განსჯის კატეგორიები, რომლებიც ცდის სფეროში ფორმალური ლოგიკის კანონების მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ, გონებამ დილაქტიკურ კატეგორიებად გარდაქმნა. გონების მიერ დამუშავებული შეცდომა იმაშია, რომ განსჯის კატეგორიები, რომლებიც ცდაში მოცემულ წარმოდგენებს უნდა შეუერთდნენ და მისცენ მათ ობიექტური ფორმა, მის მიერ მიყენებულნი არიან იმისადმი, რაც ცდაში არ არის და რისი რეალობაც პრობლემატურიცაა. ცდის იქით გადასვლით არაფრის შემეცნება არ შეიძლება, ცდას არსად არა აქვს საზღვარი, მისი საზღვარი ცდაში არ გვეძლევა, ამიტომ ამ საზღვრის შემეცნება არ შეიძლება: „ის რაც მე ცდაში არ მომეცემა, ჩემთვის არარაობა არის“<sup>9</sup>. შემეცნების სავანი არის ცდის სავანი, ხოლო ცდა არ არსებობს ცდამდე, ამიტომ არც შემეცნების სავანი არსებობს ცდამდე. ცდის სფერო და სინამდვილის სფერო ერთი და იგივეა. გონებას, რომელიც ცდის სფეროს ტოვებს, საქმე აქვს არა ნამდვილ, არამედ მოქვეყნებით სავანთან. ცდის სფერო წესრიგდება განსჯის კანონების მიზედით და სავანიც არ არის განსჯისაგან დამოუკიდებელი; სავანი წარმოდგენებისადმი განსჯის კატეგორიების მიყენების შედეგია, ცდის მიღმა გასვლით გონებას არა აქვს საქმე სინამდვილესთან. მაგრამ მან თვითონ ეს არ იცის, — ეს მხოლოდ კანტის ფილოსოფიით არის დამტკიცებული. გონებას თავის მოძრაობაში „სკერა“ რომ მას აქვს საქმე არა მოჩვენებასთან არამედ სინამდვილესთან.

გონებამ ზეცდისეული სინამდვილის შემეცნებისათვის უნდა ისარგებლოს განსჯის მიერ შექმნილი კატეგორიებით, გონებამ განსჯის ცნებები უნდა შეკრას ერთ მთლიანად და ისინი საერთო საფუძველს დაუმორჩილოს; გონებამ მთელი ცოდნა უნდა სისტემაში მოიყვანოს, ის ერთ პრინციპს უნდა დაუმორჩილოს; ეს კი განსჯისათვის სრულიად მიუღწეველია, მაგრამ მთლიანი ცოდნის შექმნისათვის აუცილებელია. განსჯას საქმე აქვს ცდისეული მოვლენების სინთეზთან, მას არ სურს მოვლენების აბსოლუტური პირობა და ამ პირობის ქვეშ მთელი მოვლენების გაერთიანება, — ეს მხოლოდ გონების საქმეა. ამ მიზნის განხორციელებისათვის გონება ისევ ცდას კი არ უბრუნდება. განსჯის საქმეებში ჩაასრეად, არამედ იგი თავისი მოღვაწეობის გამოსავლად იღებს განსჯის მიერ შემუშავებულ ცნებებს და მათს მაღალ სინთეზს მოახდენს. განსჯამ მთლიანობაში მოიყვანა თავისი კატეგორიებით სუბიექტის მოვლენები, ბუნების მოვლენები. გონებას არ მიიჩნია საქმე ამოღებულად, მისი მოღვაწეობა აქედან იწყება: ერთი მხრივ მისი მიზანია, რომ თვითეული დარგის მოვლენებისათვის უმაღლესი საფუძველი გამოიხატოს და მათი უმაღლესი სინთეზი განახორციელოს; ხოლო, მეორეს მხრივ, ამ ორივე დარგის მოვლენებისათვის საერთო საფუძველი ნახოს და უყანასენელი უმაღლესი სინთეზი, განახორციელოს. ამისათვის გონებას სჭირდება პრინციპები გონებითი შემეცნება შეიძლება დახასიათდეს როგორც პრინციპების საშუალებით შესრულებული შემეცნება. გონების მიზანი არის არა მოვლენების შემეცნება, არამედ, — მთელი რივი მოვლენებისათვის უმაღლესი პრინციპების აღმოჩენა; გონებამ განსჯის ცნებების მთელ ერთობლიობას საერთო პრინციპი უნდა უპოვოს.

განსჯა მოვლენების მთლიანობად წარმოდგენის მიზანს მსჯელობების საშუალებით აღწევს, გონებითი შემეცნება ხორციელდება დასკვნების საშუალებით. განსჯას მოვლენების შემეცნებისათვის სჭირდება კატეგორიები, ხოლო გონებას პრინციპების შემეცნებისათვის სჭირდება იდეები. განსჯა მოცემული მოვლენების სინთეზს ქმნის კატეგორიების საშუალებით, ხოლო გონება უმაღლეს სინთეზს იდეების საშუალებით დაამყარებს; გონება იდეების საშუალებით მიდის უმაღლესი პრინციპებისაკენ, ამ მიზნის მისაღწევად გონებამ უნდა შეიმუშაოს იდეები ისე, როგორც განსჯა შეიმუშავებს კატეგორიებს. იდეების შემუშავებაში გონება განსჯის მონაცემებით არის განსაზღვრული, — იგი ქმნის იდეებს. მაგრამ იდეებამ მან განსჯის კატეგორიები გარდაქმნა. კატეგორიებმა იდეების ფორმა მიიღეს. გონება იდეების საშუალებით მიდის პრინციპებისაკენ, იგი სვლას ახორციელებს აღმავლობით დასკვნების საშუალებით, იგი მიდის პირობ. დებულებიდან იმისაკენ რაც

\* კანტი, პროლეგომენები, გვ. 159.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 171.



მის პირობას წარმოადგენს. გონებას სურს აბსოლუტური პირობა, რომელიც თვითონ არაფრით განისაზღვრება და ყველაფრის პირობაა. გონება დასკვნების საშუალებით მიდის **აბსოლუტური პირობისაკენ**.

რადგანაც გონების მიერ **იდეებად** განსჯის კატეგორიებია გარდაქმნილი, ამიტომ კატეგორიების ოთხ რიგს ამდენივე იდეა შეესაბამება: კატეგორიებს იდეები დაწვრილებით მაინც ვერ ამოსწორავენ, რადგანაც ყველა კატეგორია აღმავლობითი დასკვნის საშუალებას არ იძლევა.

პირველი არის **კვანტიტეტის** კატეგორია, — მის საფუძველზე იქმნება იდეა, რომელიც მოითხოვს სიდიდის მიხედვით ქვეყნის უკანასკნელი საფუძვლის განსაზღვრას, ე. ი. რომლის მიხედვითაც ქვეყანა უნდა წარმოდგენილი იქნეს დროსა და სივრცეში — ან როგორც განსაზღვრული, ან როგორც განუსაზღვრელი. მართალია, დრო და სივრცე განსჯის კატეგორიები არ არიან მაგრამ ისინი სიდიდის ფორმებია. კვანტიტეტის კატეგორიების მიხედვით დროში და სივრცეში მოცემული მოვლენები კავშირდება სიდიდის საშუალებით. დრო და სივრცე, კანტის აზრით, უდავოდ იძლევა აღმავლობითი დასკვნის საშუალებას. დრო შესდგება წარსულის და აწმყოს მოცემული ელემენტებისაგან, ამიტომ აწმყოდან როგორც პირობადებულებიდან შეგვიძლია თავისუფალი გადასვლა მოვანდინოთ წარსულისაკენ როგორც მის პირობისაკენ; რაც შეეხება სივრცეს, იგი არ შეიცავს დროის მსგავს განაწილებას, მაგრამ იგიც შეიძლება გამოყენებული იქნეს აღმავლობითი დასკვნისათვის. სივრცის ნაწილები თუმცა არსებობენ ერთმანეთის გვერდით, მაგრამ ერთ ნაწილს მოსდევს მეორე ნაწილი; ამიტომ ისინი შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ პირობისა და პირობადებულის დამოკიდებულების სახით. მაშასადამე სივრცეც იძლევა აღმავლობითი დასკვნის საშუალებას. სივრცის ნაწილების სინთეზი დროში მიმდინარეობს და ამიტომ სივრცის დანაწილება — დროის დანაწილების მსგავსია.

მეორე კატეგორია **კვალიტეტის** კატეგორიაა. საგნებთან ჩვენ საქმე გვაქვს იმდენად, რამდენადაც ისინი ჩვენი შეგრძნებების ობიექტები არიან. ეს ცდისეული საგნები შეიძლება განაწილდეს, ისინი ქმნიან რიგს სადაც ერთი განსაზღვრულია მეორისაგან, მეორე მესამისაგან და ასე მიყოლებით ისე, რომ გონებას შეუძლია აღმავლობითი დასკვნა აწარმოოს და ეძიოს სხეულებში აბსოლუტურად მარტივი, რომლისგანაც ისინი შესდგებიან. რელაციის კატეგორიიდან მხოლოდ მიზეზობრივობა იძლევა აღმავლობითი დასკვნის საშუალებას, რადგანაც მიზეზი წინ უსწრებს შედეგს, შედეგი მოსდევს მიზეზს. ამიტომ შეგვიძლია შედეგიდან დავასკვნათ მიზეზზე როგორც მის წინა პირობაზე. მოძალობის კატეგორიიდან გონებას შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ ის ადგილი, სადაც საქმე შეეხება შემთხვევითობას, რადგანაც ის რაც მომხდარა შემთხვევით, გულისხმობს თავის პირობას, რომლისაგანაც განისაზღვრება შემთხვევის მოხდენის ფაქტი და მაშ ისიც იძლევა აღმავლობითი დასკვნის საშუალებას.

განსჯის ოთხი კატეგორიის საფუძველზე ვღებულობთ ოთხ **კოსმოლოგიურ იდეას**: გონება გულობს, რომ ამ იდეებს ცდისაგან დამოუკიდებელი სინამდვილე შეესაბამება. განსჯამ კატეგორიების ტრანსცენდენტალური გამოყენება მოგვცა, ე. ი. კატეგორიები გაიგო როგორც ცდისეული ქვეყნის საფუძველი; გონებამ იდეებად გარდაქმნილ კატეგორიებს მისცა ტრანსცენდენტური გამოყენება ე. ი. ისინი გაიტანა ცდის იქით, ცდის იქითა სინამდვილის



შემეცნებისათვის. გონებამ დაიწყო უპირობოს ძებნა და მის ძიებაში გაიხლართა წინააღმდეგობაში, რადგანაც უპირობო განსაზღვრული ან განუსაზღვრელი უნდა იყოს. გონებას არჩევანის მოხდენა არ შეუძლია, ორივე მოწინააღმდეგე დებულება უნდა ამტკიცოს მან ერთნაირი აუცილებლობით.

ჰეგელი ამ მხარის შესახებ სწერს: „მეორე საგნის, სამყაროს, განუპირობებულის შემეცნების ცდის დროა გონება ვარდება ანტონომიებში, ე. ი. ორ ურთიერთ დაპირისპირებული დებულების მტკიცებაში ერთი და იმავე საგნის შესახებ და სახელდობრ ისე, რომ ორივე ეს დებულება თანაბარი აუცილებლობით უნდა დამტკიცდეს“<sup>10</sup>. გონებას განსჯის ლოგიკის **ჰო-ჰო** და **არა-არა** გადალახული აქვს, იგი საგანზე იტყვის ერთსა და იმავე დროს **ჰო**აც და **არა**საც; საგანი, რომელსაც გონება წინააღმდეგობაში მოაზრებს, ისევე გონების შექმნილია და ამიტომ გონების დიალექტიკური მოძრაობა ასახავს არა რეალური სინამდვილის დიალექტიკურ პროცესს, არამედ გამომდინარეობს გონების შინაგანი ბუნებიდან. თვითონ გონებაა დიალექტიკური და ამიტომ მოაზრებს თავის საგანს დიალექტიკურად. გონების მიერ საგნის დიალექტიკურად შემეცნების პროცესი არის გონების თვითშემეცნების დიალექტიკური პროცესი.

კატეგორიების ოთხი კლასის მიხედვით მიღებულია იდეების ოთხი რიგი: პირველ ორ იდეას კანტი მათემატიკურს უწოდებს, რადგანაც მათი სახით არის მოცემული ქვეყნის უპირობო სინთეზი სიდიდის ცნების ქვეშ, ხოლო მეორე ორ ანტინომიას დინამიკურს უწოდებს.

**პირველი ანტინომიის** თეზისი გამოითქმის ასე: **ქვეყანას აქვს დასაწყისი დროში და სივრცის მიხედვით ის მოთავსებულია საზღვრებში.** კანტის მეთოდია ანტითეზისის საშუალებით თეზისის მტკიცება: დაიშვება ანტითეზისი და რაკი აღმოჩნდება, რომ ანტი-თეზისის დაშვება შეუძლებელია როგორც წინააღმდეგობის შემცველისა, იგი უარყოფა. ანტითეზისის უარყოფა ნიშნავს თეზისის დადგენას, ანტითეზისის სიყალბე ნიშნავს თეზისის ქვეშაობას.

კანტი ასე ამტკიცებს ამ თეზისს. დაუშვათ რომ ქვეყანას არა აქვს დასაწყისი დროში, მაშინ ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ყოველ მოცემულ მომენტამდე გასულა მთელი მარადიულობა და, მაშასადამე, მთელი დაუბოლოებულობა; ხოლო დაუბოლოებულობა იმაში მდგომარეობს რომ მისი თანმიმდევარა სინთეზა არასდროს არ შეიძლება დამთავრდეს; მაშასადამე, დაუბოლოებელი რიგის არსებობა არ შეიძლება და მაშ ქვეყნის დასაწყისი არის მისი აუცილებელი პირობა.

კანტის აზრი მოცემულ დროში დაუბოლოებელის გასვლაზე ლოგიკური ძალის მქონე არ არის, რადგან თუ დაუბოლოებელი დაშვებულია აზრი მის გასვლაზე მის დაშვებასთან შეუთავსებელია; რადგან ყოველ მოცემულ დროში დაუბოლოებელი კი, არ წყდება, არამედ ყველა მიმართულებით მიდის. დაუბოლოებელის აზრითი სინთეზი იმას კი არ ნიშნავს, რომ ის დაბოლოებულად გადაიქცევა, არამედ იმას, რომ მისი გამომხატველი დებულება მასზე გამოითქმის.

მაგალითად, დაუბოლოებელია სიდიდეთა ის რიგი, რაშიც ყოველ მოცემულ სიდიდეზე მეტი არსებობს ან ყოველ მოცემულ სიდიდეზე ნაკლები არსებობს; დაუბოლოებელის აზრითი სინთეზი იმას რომ ნიშნავდეს, რომ მის მიხედვით დაუბოლოებელის ნაწილთა რიგი უნდა დასრულდეს, მაშინ, ცხადია, წინააღმდეგობას ვღებულობთ, მაგრამ ასეთი რამ დაუბოლოებელის ცნებიდან არ გამოიმდინარეობს.

კანტი დაუბოლოებელს დაუშვებს და, მისი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე, წინააღმდეგობებს კი ვერ უარყოფს, არამედ აღნიშნავს შემეცნების

<sup>10</sup> ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, გვ. 137.

უნარის იმ ნაკლს, რომ ის დაუბოლოებლის დასრულებულ სინთეზს ვერ ახდენს, მაგრამ შემეცნების ბუნების ნაკლი სწორედ ის იქნებოდა, რომ დაუბოლოებელი წარმოედგინა დაბოლოებულად. საბოლოოდ, კანტის აზრით, რაკი დაუბოლოებლის დასრულებული სინთეზი შეუძლებელია, ამიტომ თავისთავად ის არ არსებობს. თუ ქვეყნის არსებობას დაუშვებთ სივრცეში დაუბოლოებლად, მაშინ იგი უნდა წარმოვიდგინოთ როგორც დაუბოლოებელი ნაწილებისაგან შემდგარი. სივრცის სიდიდე, რომელიც მოცემული არა გვაქვს წარმოდგენაში, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მხოლოდ ნაწილების თანმიმდევრული სინთეზის საშუალებით; ასეთი სიდიდის წარმოდგენა კი შეუძლებელია დასრულებული სინთეზის საშუალებით. ქვეყნის ნაწილები უნდა წარმოვიდგინოთ დასრულებულად, ეს კი შეუძლებელია, რადგანაც დაუბოლოებლის დაბოლოება აღარ არის. დაუბოლოებელი; ამიტომ ძალაში რჩება თეზისის ქვეშაბრტეხი. ქვეყნის არსებობა განსაზღვრულია დროშიც და სივრცეშიც.

თეზისი დამტკიცდა, როდესაც გონება შეუდგება ანტითეზისის ქვეშაბრტეხის გამორკვევას, აღმოჩნდება, რომ ისიც იმავე აუცილებლობით საბუთდება, როგორც — თეზისი.

**პირველი ანტინომიის ანტითეზისი** ასე გამოითქმის: ქვეყანას არა აქვს დასაწყისი დროში და საზღვარი სივრცეში, არამედ განუსაზღვრელია. ანტითეზისი ახლა თეზისად იქცევა, რომელიც მტკიცდება ანტითეზისის დაშვების შეუძლებლობით. თეზისმა დაამტკიცა ანტითეზისის დადგენის შეუძლებლობა და პირიქით, ანტითეზისმა უნდა დაამტკიცოს თეზისის დადგენის შეუძლებლობა.

დაუშვათ რომ ქვეყანას აქვს დასაწყისი დროში; ამის დაშვება ნიშნავს იმას, რომ მას წინ უსწრებს ცარიელი დრო, — როდესაც არაფერი არ იყო, — ცარიელ დროში კი არაფერი არ წარმოიშობა. თუმცა ქვეყანაში საგნები წარმოიშობა, მაგრამ თვით ქვეყანას არა აქვს დასაწყისი დროში. ქვეყანა სივრცეშიც განუსაზღვრელია; რომ დაუშვათ ქვეყანა სივრცეში განსაზღვრულად უნდა დაუშვათ მის ირგვლივ ცარიელი სივრცის არსებობა, მაშინ უნდა ვეღვაძარაოთ არა ქვეყნის საგნების მიმართებაზე სივრცეში, არამედ — სივრცეებთან მათ მიმართებაზე; ქვეყნის მიმართება ცარიელ სივრცესთან არის მისი მიმართება არარობასთან, რადგანაც ასეთ მიმართებას არა აქვს აზრი, ამიტომ უნდა იქნას დაშვებული საწინააღმდეგო: ქვეყანას არა აქვს დასაწყისი დროში და საზღვარი სივრცეში.

კანტის ამ ანტინომიის კრიტიკას იძლევა ჰეგელი „ლოგიკის მეცნიერებაში“. ჰეგელი გვიჩვენებს რომ კანტმა ვერ დაამტკიცა ვერც თეზისი და ვერც ანტითეზისი და გამოდიოდა მათი უშუალო ქვეშაბრტეხებიდან. თეზისის დამტკიცება იწყება ანტითეზისის საშუალებით, თეზისის დასამტკიცებელი საფუძველი ანტითეზისში უნდა აღმოაჩინოს, ამიტომ მიმართავს კანტი დაუბოლოებელ დროში რაიმე მოცემული მომენტის გამოყოფას; ეს მოცემული მომენტი კი არის დროში გარკვეული საზღვარი, რომელიც მიღებული არის უშუალო დაშვების შედეგად. თეზისის მიზანი კი სწორედ ის არის, რომ ასეთი საზღვრის არსებობა დაამტკიცოს; დასამტკიცებელი მტკიცების რეზულტატი უნდა იყოს, — წინააღმდეგ შემთხვევაში მტკიცება ზედმეტი იქნებოდა. მოცემული მომენტი უნდა ავიღოთ ან როგორც თვისებრივი ან როგორც რიცხობრივი საზღვარი:

თუ მას თვისებრივ საზღვრად ავიღებთ. იგი აბსოლუტურ საზღვრად უნდა ჩავთვალოთ, რომელსაც არავითარი მიმართება არა აქვს წარსულთან და საფუძველი არის მომავლისა. ჰეგელის აზრით, ეს მოცემული მომენტი, რომ თვისებრივი საზღვარია, იქიდან ჩანს, რომ მოცემულ მომენტ-

ში წარსული აბსოლუტურად არის დამთავრებული, ამ მომენტს არავითარი კავშირი არ აქვს წარსულთან და აბსოლუტური საწყისია; დასამტკიცებელი კი სწორედ ის არის, რომ ქვეყანას აქვს აბსოლუტური საწყისი დროში, მაგრამ თუ მოცემულ მომენტს დაუშვებთ როგორც რიცხობრივს მაშინ მასში წარსული არ იქნება დამთავრებული, არამედ კიდევ განავრცობს მიმდინარეობას და ამით თეზისის მტკიცება შეუძლებელი გახდება, რადგანაც თეზისის მიზანია აბსოლუტური საწყისის დამტკიცება. ასეთივე მდგომარეობა არის ანტითეზისის მტკიცების დროს. იმისათვის, რომ კანტმა დაამტკიცოს ქვეყნის დროში და სივრცეში განუსაზღვრელობა და არარსებობა ქვეყნის აბსოლუტური საწყისისა, ამისათვის იგი უშვებს ცარიელ დროს და ცარიელ სივრცეს. ჰეგელი აქვდა დასამტკიცებლის უშუალო დაშვებას ზედაეს. მისი აზრით, კანტი დაუშვებს ცარიელ დროს, ხოლო შემდეგ მას გაავსებს ქვეყნით, რომელიც დაუბოლოებლის სახესღებულბს; ასე, რომ მტკიცებაში მას მხოლოდ თეზისის აქვს სხვა ფორმაში გამოვრბეელი: მტკიცება იმას ემყარება, რომ ქვეყანა წარმოიშობა და მისი წარმოშობა გულისხმობს რაღაც დროში არსებულ პირობას. თეზისი სწორედ ამას გვეუბნება, რომ არაფერია აბსოლუტური საწყისის მქონე, ყველფერს აქვს თავისი პირობა ცარიელ დროში; პირობის დაშვება კი იმას გულისხმობს, რომ პირობას აქვს დროითი რიგის ხასიათი, რომელშიც არის გარკვეული არსი, — ეს არსი, თავის მხრივ, სხვით არის გამოვრბებული და ასე განუსაზღვრელად. დასამტკიცებელი კი სწორედ ეს იყო.

ჰეგელი ცდილობს დაგვანახოს, რომ კანტის ანტიმომების მტკიცებას ხასიათი არა აქვს, რომ კანტი უშუალოდ ღებულბს დამტკიცებულად იმას, რაც ჯერ დასამტკიცებელია. კანტს რომ თეზისის საფუძველი ანტითეზისში აღმოეჩინა, მაშინ თეზისის მტკიცებისათვის არ მოუხდებოდა ანტითეზისის უარყოფა, მათი ჰეშმარიტება მათს მთლიანობაში რომ აღმოეჩინა; მაშინ გონება აღარ იქნებოდა გადაუჭრელი წინააღმდეგობის ხლართში: თეზისის ჰეშმარიტებას ანტითეზისში აღმოაჩენდა და ისინი ერთმანეთის გამომრიცხველები აღარ იქნებოდნენ; მაგრამ, თუ ეს ასე იქნებოდა, მაშინ აღარ იქნებოდნენ ურთიერთგამომრიცხველი წინააღმდეგობანი, როგორც ამას კანტი ახასიათებს. საქმე სწორედ ისაა, რომ კანტი ამას ვერ აღწევს და ამიტომ თეზისის მტკიცებას ანტითეზისით არავითარი ლოგიკური გამართლება არა აქვს. ამ ანტინომიაში გონება ისე კი არ იქცევა, რომ ერთი და იმავე საბუთით დაამტკიცოს თეზისიც და ანტითეზისიც, არამედ მათი ჰეშმარიტება სხვადასხვა საბუთებზეა დამყარებული; ანტინომის ცნება კი გულისხმობს ერთსა და იმავე დროს — ერთი და იმავე მიმართულებით, როცა თეზისიც და ანტითეზისიც მტკიცდება. თეზისის მტკიცებისას კანტს გნოსეოლოგიური საბუთი აქვს: შემეცნების თვალსაზრისით, დაუბოლოებელი დროისა და სივრცის არსებობის დაშვება შეუძლებელია, რადგანაც დაუბოლოებელი რიგის სინთეზი განუხორციელებელია.

რაკი დაშვებულია დაუბოლოებელი, მისი დაშვება გნოსეოლოგიური თვალსაზრისით წინააღმდეგობას აღარ შეიცავს; მისი დასრულებული სინთეზი რომ შეუძლებელია ეს მისი დადებითი ნიშანია და მისი დაშვება წინააღმდეგობის შემეცნელი არ არის. დაუბოლოებლის არსებობისათვის არა აქვს მნიშვნელობა, ცდის საშუალებით შევიცნობთ მას, თუ არა, მით უფრო, რომ დაუბოლოებელი დაშვებულია გონების მიერ, რომელიც ცდის ვალბა ვადის და მას შეიცავს როგორც თავის მომენტს. შემეცნების დამოუცილებლად სინამდვილის დაშვება არის შემეცნების წინააღმდეგობრივი; შემეცნება კი არ არის საგნის პირობა, არამედ საგანია შემეცნების პირობა. ერთი საქმეა, რომ აბსოლუტი არსებობს და მეორეა — გონება აბსოლუტს შეიცნობს თუ არა აბსოლუტურად. კანტმა გამოყო შედარებითი და აბსოლუტური ერთმანეთისაგან მაშინ, როდესაც ერთადერთი სინამდვილე არის აბსოლუტური და შედარებითის მის გარეშე არ გააჩნია არსებობა.

კანტის შეცდომა ის არის, რომ იგი გონებას უყენებს მოთხოვნას, რათა მან აბსოლუტი ერთი დაკვრით თავის თავში მოიქციოს და შევიცნოს, მაგრამ, რადგანაც კანტი გრძნობს, რომ დაუბოლოებლის შემეცნება დაუბოლოებელ

პროცესს გულისხმობს, ამიტომ დაასკვნის, რომ გონებას მისი შემეცნება არ შეუძლია. ადამიანს შეუძლია კიდევ დაუბოლოვებლის შემეცნება და არც შეუძლია: შეუძლია იმიტომ, რომ ერთადერთი ნამდვილი ის არის და არსებობს ბოლოვადის სახით; არ შეუძლია იმიტომ, რომ მისი ამოწურვა არ არის ერთი თაობის საქმე, არამედ მოითხოვს მოაზროვნე ადამიანთა დაუბოლოვებელ რიგს, რომელიც ისტორიულ პროცესს წარმოადგენს. კანტისათვის ასეთი გზა მიუღებელია, რადგანაც მას მოწყვეტილი აქვს ბოლოვადი და დაუბოლოვებელი ერთმანეთისაგან. თუ თეზისი გნოსეოლოგიურ საბუთს ემყარება, ანტითეზისი არსოლოგიურ საბუთს ეფუძნება. ქვეყნისათვის საწყისის გამოწინააღმდეგობას შეიცავს, რადგანაც საწყისი გულისხმობს იმას, რომ დაწყებამდე არაფერი არ არის, არაფრიდან კი არ შეიძლება რაიმე წარმოიშვას. თუ გონების მიერ დაშვებულია ქვეყანა თავისთავად ასეთი ქვეყნის შესახებ გონება აღარ დააყენებს საკითხს მისთვის საწყისის გამოწინააღმდეგობის შესახებ, რადგანაც ასეთი საწყისის გამოწინააღმდეგობა გადააქცევდა მას აბსოლუტურიდან — პირობადებულად. გონება ეძებს აბსოლუტურს ანუ იმას რაც არაფრით არ არის განსაზღვრული ისე, რომ აბსოლუტური საწყისი და დაუბოლოვებელი ერთი და იგივეა. აბსოლუტური საწყისის ძებნა ცარიელი დროითი და ცარიელი სივრცით არის დაუბოლოვებლობის დადგენა, რადგანაც ქვეყანა ცარიელ დროს და სივრცეს გაავსებს და ქვეყნის გარეთ ისევ ქვეყანა იქნება და სხვა არაფერი. მას შემდეგ, რაც გონებამ დაუშვა ცარიელი დრო და ცარიელი სივრცე როგორც ქვეყნის წარმოშობის პირობა, აღარ არსებობს არც ცარიელი დრო და არც ცარიელი სივრცე, რადგანაც ისინი ქვეყანამ გაავსო. მაშასადამე, **აბსოლუტური საწყისი და დაუბოლოვებელი** ერთი და იგივეა. კანტმა რომ დაამტკიცოს ქვეყნის საწყისი დროში, ამისათვის უშვებს დაუბოლოვებელი მთელის წინასწარ მოცემულობას, მაგრამ ამ დაშვებით კანტი მტკიცების შესაძლებლობას ისპობს, რადგანაც მოცემული მთელი როგორც დამთავრებული არ შეიცავს დროს. დრო ნიშნავს პროცესს, აქ კი ყველაფერი იმთავითვეა მოცემული და დამთავრებული. თუ წარსული არის დამთავრებული, აწმყოზე ეს არ შეიძლება ითქვას; მას მომავლისაკენ გადაყავართ ისე, რომ ქვეყნის დაუბოლოვებლობა დროში მიმდინარეობს და რაკი მიმდინარეობს, არ შეიძლება წარმოადგენილი იყოს დამთავრებულად. ე. ტრუბეცკოის აზრითაც I და II ანტინომია აუცილებლობას არ ფლობს მისი აზრით მხოლოდ III ანტინომია აუცილებლობის მქონე IV კი მისი სხვაგვარი გამოთქმა<sup>11</sup>.

კანტის გზა არის **ფენომენალისტური**, იგი მხოლოდ მოვლენების ქვეყანას ცნობს, რომელიც ჩვენ ცდაში გვეძლევა; ცდის გარეშე თავისთავად არსებული ქვეყნის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. განსჯის თვალსაზრისით, ასეთი ქვეყნის არც შემეცნება შეიძლება და არც მისი არსებობის დამტკიცება, გონება მიილტვის მისკენ, — გონება კი მისი შემეცნებისათვის ცდას უნდა ემყარებოდეს, ხოლო ცდა ასეთი ქვეყნის არსებობის შესახებ არაფერს გვიმტკიცებს. კანტის მიერ აშენებული ანტინომია მისი ფილოსოფიის ხაზის გამართლებას წარმოადგენს. როგორც თეზისში დამტკიცებულია ანტითეზისის სიყალბე და მისი ქეშმარიტების შეუძლებლობა, ასევე ანტითეზისში დამტკიცებულია თეზისის სიყალბე. მაშასადამე, ამ ანტინომიიდან, კანტის აზრით, გამომდინარეობს, რომ ქვეყანა თავისთავად დროსა და სივრცეში არ არსებ-

<sup>11</sup> Е. Т р у б е ц к о й, Метафизические предположения познания, 1917, стр. 149.



ბობს. გონების დიალექტიკური მოძრაობით მტკიცდება არა გონების ჭეშმარიტება, არამედ, — მისი სიყალბე. თუ თეზისის მტკიცებამ ანტითეზისის შეუძლებლობა გამოამჟღავნა და ანტითეზისისამ კი — თეზისისა, მაშინ აქედან ის დასკვნა კი არ გამომდინარეობს, რომ ორივე მკდარია, არამედ — ის, რომ ჭეშმარიტება მათს ერთიანობაშია; მაგრამ კანტი ამ აზრამდე ვერ მივიდა, რადგან წინააღმდეგობანი ერთიანობაში ვერ მოიაზრა. წინააღმდეგობათა ერთიანობამდე აუვანას ჰეგელი შემდგომ შესარულებს იმით, რომ გონების წინააღმდეგობებს არსულ ხასიათს მისცემს, არსს განვითარების კანონს დაუმორჩილებს და, ამ გზით, წინააღმდეგობებს ერთიანობაში მოიაზრებს. კანტი უნებურად მიხვდა, რომ სინამდვილე დიალექტიკურია, მაგრამ მან ის მაინც განსჯის სამსჯავროს წინაშე დააყენა და უნამდვილოდ გამოაცხადა, — გონების დიალექტიკური ხასიათი მან განსჯის კანონებით განსაზღვრა, რადგან გონების მტკიცებები ლოგიკურ წინააღმდეგობამდე მიიყვანა; განსჯისათვის კი წინააღმდეგობა უაზროა, ხოლო საგანი, რაზეც წინააღმდეგობრივი აზრია მიმართული, უნამდვილოა.

**მეორე ანტინომია:** სამყაროში ყოველი რთული სუბსტანცია მარტივი ნაწილებისაგან შედგება და, საერთოდ, არსებობს მხოლოდ მარტივი ან რთული, რომელიც მარტივისაგან შედგება. ამის დასამტკიცებლად კანტი მის საწინააღმდეგოს დაუშვებს და მტკიცებს იწყებს; ის ამ მტკიცებაში წინააღმდეგობას აღმოაჩენს და, რაკი მან წინააღმდეგობრიობა აღმოაჩინა, ამიტომ შეუძლებელია, რომ დებულება ჭეშმარიტი იყოს; ჭეშმარიტი არის მხოლოდ მისი საწინააღმდეგო. მტკიცება მარტივია: დაუშვათ, რომ მარტივი არაფერი არ არის და ყველაფერი რთულია, მაშინ რთულის უკუგდებისას არაფერი არ დარჩება, — რადგან რთულის დაშვება ჩვენს დებულებას ეწინააღმდეგება; ამიტომ ძალაში რჩება დებულება, რომ ყველაფერი არის მარტივი. ეს მტკიცება სრულიად ტავტოლოგიურია, რადგან მასში თეზისია განმეორებული და მისი ჭეშმარიტებისათვის არავითარი საბუთი არ არის მოყვანილი. კანტს შენიშვნაში მოყავს საბუთი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: თეზისის დასამტკიცებლად კანტი სივრცეს გამოიყენებს, საგანს და სივრცეს ერთმანეთს უპირისპირებს.

საგანი როგორც რთული მარტივი ნაწილებისაგან შედგება, ხოლო სივრცე მარტივი ნაწილებიდან არ შედგება, — სივრცე ისევ სივრცისაგან შედგება; რადგან სივრცე ნაწილებისაგან არ შედგება, ამიტომ მისი მოსპობისას მისი სრული მოსპობა მოხდება, — მოსპობა თვით საზღვრითი წერტილიც, რადგან ეს წერტილი მისია. კანტის ამ აზრიდან გამოდის, რომ სივრცეს საგნისაგან დამოუკიდებელი არსებობა აქვს და მისი თვისებები საგნის თვისებებისაგან არ არის დამოკიდებული საგანი რომ იმ თვისებებისა იყოს, რა თვისებებიც სივრცეს აქვს, მაშინ, თუ საგანი როგორც რთული მოსპობა, ყველაფერი გაქრება და არაფერი არ იარსებებს; ამიტომ უნდა მივიღოთ დებულება, რომ ყველაფერი არის მარტივი. კანტის თვალსაზრისით გამოდის, რომ საგანი და სივრცე ერთმანეთის საწინააღმდეგო თვისებებისაა, საგანი მარტივისაგან შედგება, სივრცე კი არა; მაშინ, როგორც უნდა იყოს შესაძლებელი ასეთ სივრცეში საგნის არსებობა, — ეს კანტთან აუსუნელია.

ფიზიკური სივრცე კანტთან ფიზიკური საგნის გარეშე არ არსებობს და იგი თავის თეზისს უფრო დაასაბუთებდა გამოსვლით იმ დებულებიდან, რომლის მიხედვით საგნის დაყოფის საზღვარი სივრცის დაყოფის საზღვარიც არის; მაგრამ თუ კანტი ამას არ შერება, ეს იმიტომ, რომ ამ დროს ანტითეზისი შეუძლებელი იქნებოდა. თუმცა კანტი საგანსა და სივრცეს თვისებრივად განსხვავებს.





იმით, რომ სივრცე მარტივი ნაწილებისაგან არ არის შედგენილი, საგანი კი არის. მაგრამ, საბოლოოდ, კანტი იმ აზრს ვერ იცილებს, რომ, თუ საგანი მარტივ ნაწილებად იყოფა, მის თვითეულ ნაწილს თავისი სივრცე შეესაბამება და ამიტომ ისიც გაყოფადია.

**მეორე ანტინომიის ანტითეზისია:** არცერთი რთული საგანი მარტივისაგან არ შეესდგება და საერთოდ სამყაროში მარტივი არაფერი არ არის. ანტითეზისი მტკიცდება ისევ თეზისის დაშვებით: ვთქვათ, რთული საგანი მარტივი ნაწილებისაგან შედგება, საგანი არის სივრცეში; მაშინ სივრცე, რომელიც საგანს უკავია, იმ ნაწილებისაგან უნდა შედგებოდეს, რისგანაც საგანი შედგება; მაგრამ სივრცე არ არის მარტივი, ის ისევ სივრცისაგან შედგება. მაშასადამე სივრცეში ადგილი უკავია მარტივს. კანტი ცდილობს, რომ მარტივის ცნება თავის თავთან წინააღმდეგობაში მოიყვანოს და ამით ანტითეზისის ჭეშმარიტება დაამტკიცოს.

ამას კანტი ასე ასრულებს: ყველაფერი სივრცეში არსებობს, ხოლო რაც სივრცეშია, ის მრავალნაირია, — რომლებიც ერთმანეთის გარეშე იმყოფებიან, მაგრამ მათ ერთმანეთის გარეშე არსებობა არ შეუძლიათ არსების გარეშე; ამიტომ ვამოდის, რომ მარტივი არის არსობრივად რთული — ეს კი წინააღმდეგობაა. ამრიგად, მარტივის დაშვებამ წინააღმდეგობამდე მიგვიყვანა, ამიტომ ძალაშია ანტითეზისი, რომ ყველაფერი არის რთული.

კანტი ფარულად იმ აზრს ემყარება, რომ სივრცეც მარტივი ნაწილებისაგან შედგება და უკანასკნელი მარტივი საგანი ასეთსავე მარტივ სივრცეშია; სხვაგვარად საგნის სივრცეში არსებობა მათ შორის (საგანსა და სივრცეს შორის) წინააღმდეგობის მაჩვენებელია. კანტმა თეზისის მტკიცებისას დებულება — „ყველაფერი რაც სივრცეშია მრავალნაირია“ — არ გაითვალისწინა მაშინ, როდესაც იქაც საგნები სივრცეშია; მან, პირიქით, საგანი და სივრცე ერთმეორეს დაუპირისპირა, ხოლო ანტითეზისის მტკიცებისას კი აღმოჩნდა, რომ საგანი და სივრცე ერთი ბუნებისაა. ასე, რომ აქ საქმე გვაქვს სივრცის სხვადასხვანაირ მოხმარებასთან. მართალია, კანტი ანტითეზისშიც იტყვის, რომ სივრცე მარტივია, მაგრამ ამის მერე შემოაქვს დებულება: ყველაფერი რაც არის სივრცეშია და მრავალნაირია. ეს ანტინომია თავისი ცნების შესაბამისი იქნებოდა, თუ სივრცე მის თეზისსა და ანტითეზისში ერთნაირი მნიშვნელობით იქნებოდა მოხმარებული და მაინც ადგილი ექნებოდა წინააღმდეგობას. კანტი შენიშვნაში იმ აზრს ავითარებს, რომ სამყაროში მარტივი არაფერი არ არის. აქედან ის გამოდის, რომ საგანსაც და სივრცესაც დაყოფის საზღვარი არა აქვს; თუ ეს ასეა, მაშინ ანტინომიაც მოხსნილია, რადგან ამ დებულების ჭეშმარიტება მისი საწინააღმდეგოს შესაძლებლობას გამოირიცხავს.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ უპირობო მარტივი, რასაც კანტი ეძებს, არარაობაა, რადგან, რაც ნაწილებისაგან არ შედგება, ის არც აღქმისა და არც აზროვნების საგანი არ ხდება. ყოველი რაც მოაზრებული შეიძლება იყოს ნიშნები აქვს და ის ამ ნიშნების ერთიანობაა. ამდენად ის, მარტივი კი არა, რთულია. თუ სიმარტივეში საგნის დაუნაწილებლობას ვიკულისხმებთ, ეს საგნის შემეცნების განვითარების საფეხურის მაჩვენებელი უფრო იქნება, ვიდრე თვით საგნის ნაწილებისაგან შედგენილობისა. ატომი, რომელიც დაუშლელი და მარტივი ეგონათ, დაიშალა და რთული აგებულებისა აღმოჩნდა. ამ ანტინომიის მთელი შინაარსი იმაშია, რომ ერთ მხარეზე მოცემულია კონტინუუმი, ხოლო მეორე მხარეზე დისკრეტული სიდიდეები; ისინი ერთმანეთს არ შეიცა-

ვენ თავისში და ამიტომ ერთის არსებობა გამორიცხავს მეორის არსებობას. ეს ანტინომია სილოგისტურ ფორმაში შეიძლება ჩამოყალიბდეს: ყველაფერი არის მარტივი, სხეულების სიმარტივე უნდა ემყარებოდეს სივრცის სიმარტივეს და სივრცე არის მარტივი; ამ წინააღმდეგობიდან გამოდის დასკვნა, რომ ყველაფერი არის მარტივი, არაფერი არ არის მარტივი და ყველაფერი არის რთული, სხეულების სირთულე ემყარება სივრცის დაყოფადობას და სივრცე არის დაყოფადი; აქედან გამოდის დასკვნა: ყველაფერი არის დაყოფადი და არაფერი არ არის მარტივი. თუხისშიც და ანტითუხისშიც მტკიცება ემყარება დოგმატურად აღებულ აზრს: ერთ შემთხვევაში — სივრცის სიმარტივისას, ხოლო მეორე შემთხვევაში — სივრცის დაყოფადობისას. ტრუბეცკოის აზრით, მეორე ანტინომია ლოგიკური აუცილებლობისა არ არის, მრავალი რთული სუბსტანციის დაშვება თვითნებურია. შეიძლება რომ ნაწილი კი არ უსწრებდეს მთელს, არამედ მთელი ნაწილს. შეიძლება ქვეყანა იყოს და ის სუბსტანციისაგან არ შესდგებოდეს ან ის ერთი სუბსტანცია იყოს<sup>12</sup>.

**მესამე ანტინომია** ეხება ქვეყნის პირველი საწყისების საკითხს. თუხისი გვეუბნება, რომ ქვეყნის მოვლენები შეიძლება ახსნა-ილი იქნას არა მხოლოდ ბუნების მიზეზებით, არამედ, ამისათვის საჭიროა, აგრეთვე, დავუშვათ თავისუფლება. ეს ანტინომია ისეა შედგენილი, რომ თუხისში იგულისხმება ორი საწყისის არსებობა, თავისუფლების გვერდით არსებობს აუცილებლობა, — ისინი ერთმანეთს საჭიროებენ. ამიტომ ანტინომიის აგებაც ზედმეტი ხდება.

თუხისი მტკიცდება შემდეგნაირად: დაუშვათ რომ არაფერი არსებობს ბუნების მიზეზის გარდა; მაშინ ყველაფერი, რაც ხდება, შეიძლება განვიხილოთ როგორც შედეგი, რომელსაც წინ უსწრებს მიზეზი და ასე დაუსრულებლად; ამიტომ, თუ ყველაფერი ხდება ბუნებრივი მიზეზის გამო, მაშინ იქნება მხოლოდ მეორე გვარის მიზეზები, არ იქნება მიღწეული მიზეზთა რიგის სასვება. ბუნების კანონი კი იმაში მდგომარეობს, რომ არაფერი არ ხდება საკმაო მიზეზის გარეშე; ამიტომ დებოლება, რომ მიზეზობრიობა შესაძლებელია მხოლოდ ბუნების კანონების მიხედვით ეწინააღმდეგება თავს თავს და შეიძლება დაშვებული იქნას როგორც მეორადი მიზეზი. საჭიროა დაშვებული იქნეს უპირობო თვითმოქმედი, რომელიც თვითონ დაიწყებს მოვლენების რიგს და ამის მერე იწარმოებს ყველაფერი ბუნების მიზეზებით; ე. ი. უნდა დაუშვათ ტრანსცენდენტური თავისუფლება, ამის გარეშე ბუნების მოვლენების რიგს არ ექნებოდა სასვების ხასიათი.

კანტი „წმინდა გონების კრიტიკაში“ ბევრს ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ გონება ვარდება წინააღმდეგობაში, რადგანაც იგი უშვებს სინამდვილეს როგორც აბსოლუტური რეალობას და, თუ ეს სინამდვილე აბსოლუტურია, მას აქვს კიდევ თავისში არსებობის საკმაო საფუძველი. თვით მოვლენებსაც, რამდენადაც ისინი ერთმანეთისაგან გამომდინარეობენ, არსებობის საკმაო საფუძველი თავისში აქვთ. დაუშვათ ბუნება აბსოლუტური რეალობის სახით და ვილაპარაკოთ, რომ მას არსებობის საფუძველი არ გააჩნია, — ეს ნიშნავს იმას, რომ იგი აბსოლუტურ რეალობად არ არის დაშვებული. საქმე ის არის, რომ აქ კანტის ტრანსცენდენტალური იდეალიზმია გამოქვადენებული: იგი ბუნებას განიხილავს არა როგორც აბსოლუტურ რეალობას, არამედ — როგორც განსჯის კანონების მიერ შექმნილს; ამის გამო, ბუნებას მართლაც თავისი არსებობის საკმაო საფუძველი თავისში არ გააჩნია და ამისათვის საჭირო გახდა თავისუფლება.

<sup>12</sup> Е. Трубецкой, стр. 149.

პირველი ორი ანტინომია კანტმა ააგო ისე, რომ თავისთავად არსებული ბუნების არსებობის შეუძლებლობა დაგვანახვა; მესამე ანტინომიაში კი ბუნება მოცემულია არა როგორც აბსოლუტური რეალობა, არამედ — როგორც ფენომენალური, რომელსაც თავისში არა აქვს საფუძველი და კმაყოფილდება როგორც განსჯის, ისე გონების მოთხოვნილება.

პირველი დებულება, რომ ყველაფერი ხდება საკმაო მიზეზების გამოგონებას ეკუთვნის, რადგანაც იგი გამოდის ბუნების აბსოლუტური რეალობიდან; მეორე დებულება, რომ ბუნებაში მისი არსებობის საკმაო მიზეზი არ არის, განსჯას ეკუთვნის, რადგან ნაგულისხმევია ბუნება არა როგორც აბსოლუტური რეალობა, არამედ როგორც განსჯის კანონებისაგან შემდგარი. ამიტომ დასკვნა თავისუფლების არსებობის შესახებ დაკავშირებულია არა პირველთან, არამედ — მეორე დებულებასთან. ბუნებას არა აქვს არსებობის საკმაო საფუძველი, ამიტომ უნდა დაშვებული იქნეს თავისუფლება; მაგრამ დებულება, — რომ ბუნებას არა აქვს საკმაო მიზეზი, — ეს კანტის მიერ მიღებულია არა მტკიცების გზით, არამედ დაშვებულია უშუალოდ. ბუნებას რომ ჭონდეს საკმაო მიზეზი, მაშინ არ იქნებოდა თავისუფლება.

კანტის საბუთი, რომ გონებას აინტერესებს მიზეზთა რიგის აბსოლუტური სავსეობა და ამიტომ უნდა იქნას დაშვებული თავისუფლება, შეუძლებელს ხდის ანტითეზისსა და მის დასაბუთებას, რადგანაც გონების ეს ინტერესი აბსოლუტური სავსეობის მიღწევისა ანტითეზისში განუხორციელებელი ხდება და ისე გამოდის, რომ გონება აგებს ანტითეზისს, რომელშიც თავისი ინტერესი უნდა განახორციელოს. მაგრამ აქ იგი არ ხორციელდება.

**მასაზე ანტინომიის ანტითეზისი** გვეუბნება: არ არსებობს არავითარი თავისუფლება და ყველაფერი მიმდინარეობს ბუნების მიზეზების მიხედვით.

დავუშვათ რომ არის თავისუფლება, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ამ უპირობოს დაშვებით იწყება არა მხოლოდ მოვლენების რიგი, არამედ თვითონ აღძვრაც ამ რიგის წარმოებულა ისე, რომ ამ მოქმედებას არაფერი უსწრებს წინ. ყოველი მოქმედების დასაწყისი გულისხმობს მიზეზის უმოქმედო მდგომარეობას; დინამიური მოქმედების პირველი დასაწყისი გულისხმობს მდგომარეობას, რომელსაც მიზეზის წინა მდგომარეობასთან არა აქვს არავითარი კავშირი და არ გამომდინარეობს მისგან. მოკლედ, ტრანსცენდენტალური თავისუფლება ეწინააღმდეგება მიზეზობრიობის კანონს და მისი დაშვება არ ეთანხმება ცდას. არ შეიძლება ვთქვათ, რომ ბუნების კანონების მაგივრად ქვეყნის მოვლენები წარმართებიან თავისუფლების კანონების მიხედვით; ისინი რომ კანონები ყოფილიყვნენ, მაშინ არაფრით განესხვავებოდნენ ბუნების კანონებს. თავისუფლების დაშვება წყვეტს ბუნების კანონების ქსელს. თავისუფლება არის თვითმოქმედება, რომელსაც არაფერი უსწრებს წინ, ამიტომ იგი ეწინააღმდეგება ბუნების მექანიკურ მიზეზობრიობას.

თეზისის აგების დროს მივიწყებულია ის გარემოება, რომ ბუნებაში ყველაფერი მიმდინარეობს ბუნების მექანიკური მიზეზების საფუძველზე. აქ ბუნების მიზეზები ჩათვლილია მეორე რიგის მიზეზად, ხოლო ანტითეზისის აგების დროს ეს თვალსაზრისი ვახსენებულია. თეზისის აგების დროს მივიწყებულია ბუნების მხოლოდ მისი საკუთარი მიზეზებით მიმდინარეობა და იგი შენახულია ანტითეზისისათვის. თეზისში თავისუფლება დაშვებულია როგორც ცდის მიღმა არსებული, რომელიც ცდას კი არ ეწინააღმდეგება, არამედ მას მთლიანობის ფორმას აძლევს.

ანტითეზისში კი ლაპარაკია თავისუფლებაზე, ცდის თვალსაზრისით: რადგანაც იგი ცდაში არ გვეძლევა და ცდის მთლიანობასთან არ არის შეთანხმებული, ამიტომ არ არსებობს. ცდაში ყველაფერი ხდება მექანიკური მიზეზების მიხედვით. ისე, რომ ანტითეზისში თეზისი არ არის უარყოფილი რადგანაც მექანიკური მიზეზობრიობა აღებულია გამოსავალად როგორც თეზისში, ისე — ანტითე-

ხისში. და ანტითეზისის თეზისის მიხედვითაც ყველაფერი ზღვება ზუნებაში მისი კანონების მიხედვით. ანტითეზისში თავისუფლება უარყოფილია იმტომ, რომ მისი დაშვება გაქვყნდება ზუნების მიზეზობრიობის ქსელს, მაგრამ თეზისში ზუნების მექანიკური მიზეზობრიობა მოთხოვნის თავისუფლების დაშვებას. ის რაც დამტკიცებულია ანტითეზისში, არც თეზისშია უარყოფილი.

თეზისი და ანტითეზისი ერთსა და იმავეს ამტკიცებს და მათი ანტინომიურობა მოჩვენებითია. კანტს ზუნების მიზეზობრიობა ესმის როგორც მექანიკური მიზეზობრიობა, სადაც მიზეზს შედეგი მოსდევს და ისინი ერთმანეთის გარეთ მდებარეობენ; შედეგი თავის თავს თვითონ არ აწარმოებს, არამედ იგი თავის გარეშე არსებული ძალებით არის განსაზღვრული; მიზეზი დროის მიხედვით წინ უსწრებს შედეგს, თავისუფლება ისეთი რამ არის, რომლის მოქმედება დროში არსებულ მიზეზობრიობას არ ემორჩილება. კანტს ეს ორი სფერო ერთმანეთისაგან აქვს გამოყოფილი და შემდეგ დაპირისპირებული: სადაც არის თავისუფლება იქ არ არის მიზეზობრიობა, სადაც არის მიზეზობრიობა იქ არ არის თავისუფლება; რის გამო, ცხადია, ორივე არსებობს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და ამიტომ არც ქმნიან ნამდვილ ანტინომიას; რაკი ეს ორი სფერო ასე არის ერთმანეთისაგან გამოყოფილი, ამიტომ კანტი ანტითეზისის მტკიცების დროს, დაუშვებს რა თავისუფლებას, მასში ვერ აღმოაჩენს მიზეზობრიობას და თავისუფლებით მიზეზობრიობას ვერ დაასაბუთებს; — ამიტომ მას გვერდზე გადასდებს და მტკიცებაში ანტითეზისს უბრალოდ გაიმეორებს.

**მაოთე ანტინომია** ეხება პირველი არსების საკითხს. თეზისი ასე გამოითქმება: ქვეყანა გულისხმობს უპირობო არსებას ან როგორც თავის ნაწილს, ან როგორც თავის მიზეზს.

მტკიცება მდგომარეობს შემდეგში: გრძნობადი ქვეყანა ცვლილებების რიგს შეიცავს, ყოველი ცვლილება ემორჩილება თავის პირობას, რომელიც მას უსწრებს: ყოველი **გაპირობებული** გულისხმობს პირობების სრულ რიგს, ამიტომ უნდა არსებობდეს აუცილებელი უპირობო არსება; ეს აუცილებელი უპირობო არსება ამ **გრძნობად ქვეყანას** ეკუთვნის.

როგორც ჩანს კანტისათვის თეზისი და მისი მტკიცება ერთი და იგივეა, რადგან აქ არ მიეთითება რაიმე საფუძველი, რომლითაც თეზისი დამტკიცებულად ჩაითვლება. ცვლილებების რიგი რომ უპირობოს მოითხოვს, ეს კანტის მიერ უშუალოდ მიღებულია და მტკიცების შედეგს არ წარმოადგენს. ეს უპირობო, კანტის აზრით, გრძნობადი ქვეყნის ნაწილია, — ის არ შეიძლება მის გარეთ იყოს; ხოლო, თუ რატომ არ შეიძლება ის მის გარეთ იყოს, ესეც უშუალოდაა მიღებული და არაფრით მტკიცდება. ამის თაობაზე შემდეგი უნდა ითქვას: თუ ეს უპირობო გრძნობადი ქვეყნის ნაწილია, ის თვითონ დაემორჩილება პირობების კანონს და მისთვისაც პირობის ძებნა ვახდება აუცილებელი ისე, რომ, თუ კანტს სურს, მისი უპირობობა მიიღოს, ის გრძნობადის ქვეყნის ნაწილად არ უნდა გამოაცხადოს. ისეთი რამ, რაც უპირობობა და მისთვის პირობის გამონახვას აზრი არა აქვს, ეს თვითონ უსასრულო ქვეყანაა; ისე რომ, თუ სამყაროს უსასრულობას ვაღიარებთ, უკანასკნელი პირობის ძებნა ზედმეტი ვახდება, რადგან თვით იგია უპირობო. მართალია კანტისათვის უსასრულობის დაშვება არის უაზრო და წინააღმდეგობის შემცველი, მაგრამ თუ იმას მივიღებთ, რომ უპირობო გრძნობად ქვეყანას ეკუთვნის ამით სწორედ უსასრულობას ეხსნება გზა და უსასრულობა არის ერთადერთი უპირობო.



კანტი დინამიკურ კანონზომიერებას ემყარება ანტითეზისის მტკიცებისას, რომ ქვეყანაში აუცილებელი არსება არ არის, — არც როგორც ქვეყნის ნაწილი და არც როგორც ქვეყნის გარეთ არსებული. ეს თეზისის მტკიცებისას არ იყო გათვალისწინებული, თორემ მაშინ ანტითეზისი შეუძლებელი იქნებოდა. ერთსა და იმავე საგანზე ანტინომიის აგებისათვის მოსათხოვია ერთი და იგივე საფუძველი, რაც თეზისში მტკიცდება, მისი საწინააღმდეგო ანტითეზისში უნდა დამტკიცდეს; მაგრამ ამას კანტი ვერ აკეთებს და ანტინომიას მოჩვენებითი ხასიათი აქვს.

ყოველ შემთხვევაში, კანტის მტკიცება ასეთია: დაეწვიეთ, რომ ასეთი უპირობო აუცილებელი არსება არის, მაშინ ის ყოფილა ისეთი რამ, რასაც მიზეზი არა ჰქონია და რის დაშვებაც დინამიკურ კანონზომიერებას ეწინააღმდეგება. თეზისში პირველი უპირობო არსების დაშვება ეწინააღმდეგებოდა დინამიკურ კანონზომიერებას, ხოლო ანტითეზისის მტკიცებისას კანტს სხვა საბუთი აქვს გამოყენებული: თუ ვიტყვით, რომ ამ რიგს დასაწყისი არა აქვს და არის უპირობო, მისი ნაწილები კი შემთხვევითია, — ეს წინააღმდეგობა იქნება; მაშასადამე აქაც, კანტის აზრით, უპირობოს დაშვება წინააღმდეგობას ბადებს, ამიტომ მისი დაშვება შეუძლებელია.

აქ შეცდომა მდგომარეობს აუცილებლისა და შემთხვევითის ისეთს დაპირისპირებულებაში, როცა ისინი ურთიერთგამომრიცხველ დამოკიდებულებაში არიან; მაგრამ აუცილებლობა თვითონ ბადებს შემთხვევითობას, მათ შორის გამომრიცხველი მიმართება არ არის. შემდეგ, რაკი ქვეყანას დასაწყისი არა აქვს და ერთობლივად მისი აღება აუცილებელია, აქედან რატომ გამოდის, რომ მისი ნაწილები შემთხვევითია? თუ შემთხვევითად ჩავთვლით. ურთიერთგაპირობებულობას, ეს ხომ თვით ქვეყანას როგორც ერთობლივად აღებულს არ ეხება, ეს მხოლოდ მასში არსებულ საგნებს ეხება, როგორც ურთიერთგაპირობებულებს; ისე, რომ აქ ეს წინააღმდეგობა სხვადასხვა მიმართების წევრებს შორისაა და არა ერთსა და იმავე წევრებს შორის; ეს კი ანტინომიის მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს.

კანტი გამოიტყვას ამ პირველი მიზეზის ქვეყნის გარეთ არსებობას შემდეგი საბუთით: დაეწვიეთ, რომ ეს პირველი მიზეზი არის ქვეყნის გარეთ, — მაგრამ მან ხომ მოქმედება უნდა დაიწყოს, ამიტომ მისი მიზეზობრიობა დროში უნდა მოხდეს და ის გრძნობადი ქვეყნის მიზეზობრივ რიგს უნდა შეუერთდეს, — რაც დაშვებას ეწინააღმდეგება. საქმე ის არის, რომ ამ საბუთით კანტმა თეზისი დაამტკიცა, კერძოდ, — ის დებულება, რომ ქვეყნის უპირობო არ შეიძლება ქვეყნის გარეთ იყოს, რადგან მისი ნაწილია; ანტითეზისშიც იგივეა განმეორებული, რომ პირველი მიზეზი არ შეიძლება ქვეყნის გარეთ იყოს. კანტი თვითონ ხედავს იმას, რომ აქ მტკიცება ერთსა და იმავე საფუძველს არ ემყარება და ამბობს: ერთ შემთხვევაში საქმე ეხება უპირობო აუცილებელს, მეორე შემთხვევაში კი — იმას, რომ ყველაფერი გაპირობებულია.

ასეთია, მოკლედ, კანტის მიერ აგებული ანტინომიები და მათში გონების დიალექტიკური მოძრაობა. თუ უპირობო იქნება გრძნობადი ქვეყნის ნაწილი, ის გრძნობადი ქვეყნის კანონზომიერებას დაემორჩილება, ის პირობითად გადაიქცევა და მისთვის კვლავ პირობის ძებნა დაგვიპირდება და ასე უსასრულოდ; ასეთი უსასრულო თვითონაა სამყარო, რომელშიც უკანასკნელი წევრი არ არის და უპირობო თვითონ ეს უსასრულობაა. ისე, რომ, სამყაროს უსასრულობის აღიარებით, უკანასკნელი უპირობო მოხსნილია როგორც ზედმეტი და არაფრის ამხსნელი. გონება გადის ქვეყნის უპირობო ოკეანეში, რომელსაც იდეებად გარდაქმნილი კატეგორიები აქვს კომპასად, აქ ვარდება იგი გადაუჭრელ წინააღმდეგობაში და გონების სფეროში ეს წინააღმდეგობანი ვერ



დებულობენ გადაჭრას; მაგრამ ამ წინააღმდეგობიდან გამოსვლისათვის კანტი ისევ განსჯის თვალსაზრისს მიმართავს. პირველი და მეორე ანტინომიის გადაწყვეტა იმაში მდგომარეობს, ორივე უარყოფილია. ქვეყანა როგორც დაუბოლავებელი გონებისათვის მეტად დიდი აღმოჩნდება, რადგანაც მისი სინთეზის მოხდენა მას არ შეუძლია; ხოლო, თუ ავიღებთ მას დროში და სივრცეში განსაზღვრულად, მეტად მცირე აღმოჩნდება, რადგანაც მაშინ კითხვა იბადება, თუ რა იყო მანამდე, რომელზეც პასუხის გაცემა არ შეიძლება ისე, რომ არც თეზისი და არც ანტითეზისი დადებით შინაარსს არ შეიცავენ და ორივე ყალბად უნდა ჩაითვალოს. რადგან ბუნება არ არის თავისთავად, ის არ შეიძლება იყოს დროში და სივრცეში არც როგორც განსაზღვრული და არც როგორც განუსაზღვრელი. თეზისის და ანტითეზისის საფუძველია ერთი საერთო ცნება, რომელიც წინააღმდეგობას შეიცავს, მაგალითად: „ოთხკუთხა წრე არის მრგვალი და ოთხკუთხა წრე არ არის მრგვალი; პირველ შემთხვევაში ის შეცდომაა, რომ დასახელებული წრე მრგვალია, რადგანაც ის ოთხკუთხედი ყოფილა; მაგრამ რადგანაც იგი წრეა, ამიტომ ისაც შეცდომაა, რომ იგი მრგვალი არ არის, არამედ ოთხკუთხედი“<sup>13</sup>. ამ ორივე დებულებაში არის საერთო ცნება — „ოთხკუთხა წრე“, რომელიც ლოგიკურ წინააღმდეგობას შეიცავს და ცხადია, რომ მასზე აშენებული ანტინომიაც ყალბია. ასევე შეიძლება ითქვას ქვეყნის შესახებ. დრო და სივრცე არის მჭვრეტელობის ფორმები, მათში მოცემული ქვეყანა თავისთავად არ არსებობს, — ამიტომ იგი არც დაუბოლოვებელია და არც განსაზღვრული.

ცხადია, თუ მტკიცება ისეთ წინააღმდეგობრივ ცნებას ემყარება, როგორც არის „ოთხკუთხა წრე“, ის უარყოფილი უნდა იქნას, რადგან ასეთი ცნება სინამდვილეს არ შეესაბამება, მაგრამ კანტის ანტინომიების განხილვიდან ჩანს, რომ ისინი ასეთ წინააღმდეგობრივ ცნებას არ ემყარებიან, თეზისი და ანტი-თეზისი სხვადასხვა მიმართების მხარეებს გამოხატავენ და ანტინომიურობა აქ მოჩვენებითია; ისე, რომ გონების მიერ თავისთავადი სინამდვილის დაშვება წინააღმდეგობის შემცველი არ არის და ის კანტისებური ანტინომიების აგების შესაძლებლობას გამოორიცხავს. კანტმა მიაღწია პირველი და მეორე ანტინომიების წინააღმდეგობის მოხსნას, მაგრამ ასეთივე გზით ვერა ხსნის მესამე და მეოთხე ანტინომიას. პირველ და მეორე ანტინომიაში კანტის მიზანი იყო თავისთავად არსებული ბუნების გაუქმება, მისი გადაქცევა ფენომენალურ სამყაროდ. ბუნება რომ იყოს თავისთავად, მაშინ ყველაფერი იქნებოდა აუცილებლობის მატარებელი და აღარსად ექნებოდა ადგილი თავისუფლებას. პირველ და მეორე ანტინომიაში გონების დიალექტიკური მოძრაობა კანტმა გამოიყენა გონების წინააღმდეგ და გამოამყლავნა მისი სიყალბე. საქმე ასე არ არის მესამე და მეოთხე ანტინომიის მიმართ: მათი აგებულება იმდაგვარია, რომ კმაყოფილდება როგორც განსჯის, ისე გონების მოთხოვნილება. ფაქტია: ერთი მხრივ, არსებობს თავისუფლება, რომლის გარეშე მორალის არსებობა შეუძლებელი იქნებოდა; ხოლო, მეორე მხრივ, ცდის ქვეყანა ემყარება ბუნების აუცილებლობის კანონს, — ამიტომ, კანტის აზრით, არავითარი წინააღმდეგობა არ იქმნება, თუ მთელი ცდის საფუძვლად ვალიარებთ გონებას, რომელიც თავისუფლების სამეფოა, ხოლო თვით ცდის სფეროს გავიგებთ როგორც აუცილებლობას. განსჯა იფარგლება ცდისეული მოვლენებით, გონება

<sup>13</sup> კანტი, პროლეგომენები, გვ. 178.

მისწრაფის შეიცნოს ცდის იქით არსებული საგანი თავისთავადი თავისუფლების სახით.

ცდისეული გრძნობადი ბუნების საფუძველი არის **გონება**, რომელიც თავისი თავის მიერაა განსაზღვრული, იგი თვითმოქმედი და თავისუფალია; თუმცა გონება მას ვერ შეიცნობს, მაგრამ მისი დაშვება არც განსჯისათვის და არც გონებისათვის წინააღმდეგობას არ შეიცავს: ერთ მხარეზეა თავისუფლება, მეორე მხარეზე — აუცილებლობა; ასეთია ამ ანტინომიის გადაჭრის მეტაფიზიკური მეთოდი. ასეთივე გზით გადაიჭრება მეოთხე ანტინომია. უპირობო თავისუფალი არსების შესახებ. განსჯას არაფერი შეეძლება დადებითად თქვას, მაგრამ მას არც მისი არსებობის უარყოფა შეუძლია. თუმცა ცდის სფეროში უპირობო არსება არა გვხვდება, მაგრამ ცდის მოვლენების მთელი რიგი შეიძლება ემყარებოდეს მას. კანტმა საბოლოოდ ვერ აიღო ხელი ცდისაგან დამოუკიდებელ ქვეყანაზე, რითაც საბოლოოდ დიალექტიკური მხარეები ერთმანეთს მოსწყვიტა: ერთ მხარეზე მოათავსა მოვლენები, მეორეზე — საგანი თავისთავად; ერთ მხარეზეა აუცილებლობა, მეორეზე — თავისუფლება. ამრიგად, გონების დიალექტიკური პროცესი ლაგამამოდებული აღმოჩნდა განსჯის მეტაფიზიკური კანონების მიერ.

კანტის წინ იყო საკმარისად განმტკიცებული ლაიბნიც-ვოლფის მეტაფიზიკა, რომლის მიხედვით, არც აზროვნება და არც სინამდვილე თავისში წინააღმდეგობას არ შეიცავენ: „ძველი მეტაფიზიკის აზროვნება სასრულო აზროვნება იყო, რადგან ეს მეტაფიზიკა აზრის ისეთ განსაზღვრებებში მოძრაობდა, რომელთა ზღუდე ისეთ მყარ რაღაცად მიაჩნდა, რომლის უარყოფა, თავის მხრივ აღარ შეიძლებოდა“<sup>14</sup>. ძველი მეტაფიზიკა სწყვეტდა ერთმანეთისაგან თავისუფლებას და აუცილებლობას; სიმარტივეს და სირთულეს, ბოლოვადს და დაუბოლოვებელს. სწორედ ამ მეტაფიზიკური აზროვნების პირობებში, კანტის სიტყვა იმის შესახებ, რომ გონება მეტაფიზიკის საკითხების წინაშე დიალექტიკურ ქვეყადობაში იმყოფება, რომ იგი არ ეტევა განსჯის ლოგიკის ჩარჩოებში და ერთსა და იმავე დროს ამტკიცებს როგორც იმას, რომ ქვეყანა დროში და სივრცეში განსაზღვრულია; ასევე მის საწინააღმდეგოსაც, რომ იგი არის დაუბოლოებელი. გონების ეს ანტინომიური ხასიათი რომ მისი შინაგანი სტრუქტურულიდან გამომდინარეობს და არ არის მისთვის შემთხვევითი, იყო პროგრესული. კანტმა გონებას ცდისაგან დამოუკიდებელი სინამდვილის შემეცნების უფლება წაართვა და ამავე დროს გონება ისეთად აღიარა, რომელიც ცდის სფეროში ვერ ეტევა, ცდის იქით მიილტვის, მაგრამ იგი მისთვის მაინც მიუღწეველია. გონება ერთგვარი ტრაგიზმის რკალშია მოქცეული და ვერასდროს ვერ აღწევს სიმშვიდეს. გონების საგანი გონებისდაგვარია, მის საგანს შეადგენს თავისუფლება, დაუბოლოებლობა; რაკი მათი შემეცნება მის მიერ შეუძლებელია, აქედან, როგორც ჰეგელი წერს, — გამოდის უცნაური დასკვნა: „რადგანაც დაუბოლოვებელი არის გონიერი, ამიტომ ეს ნიშნავს იმის თქმას, რომ გონებას არ შეუძლია შეიცნოს გონიერი“<sup>15</sup>. ეს გამოთქმულია იდეალისტურ მანერაზე, მაგრამ მაინც სწორია, რადგანაც გამოხატავს კანტის ფილოსოფიის შინაგან წინააღმდეგობას. გონება დაუბოლოვებელია, მა-

<sup>14</sup> ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, გვ. 102.

<sup>15</sup> ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება. ტ. I, გვ. 36.

შასადამე, გამოდის, რომ მას არ შეუძლია თავისი დაუბოლოებლობის შექმნება. გონებას უპირისპირდება თავის საკუთარი თავის დაუბოლოებლობა როგორც მისთვის მიღებული და დაუძლეველი.

კანტმა აღადგინა დიალექტიკა, თუმცა მისმა დიალექტიკამ ვერ მიადგინა თავისი არსებობის შესაბამის ფორმას. გონება შეიცავს წინააღმდეგობებს, ე. ი. მოწინააღმდეგე დებულებები მის მიერ ერთნაირი აუცილებლობით მტკიცდება; მაგრამ საქმე ისე კი არ არის, თითქოს გონება თეზისის ჭეშმარიტების დადგენით ანტითეზისის ჭეშმარიტებასაც ამყარებს; ე. ი. საქმე ისე კი არ არის, თითქოს თეზისსა და ანტითეზისს ჭეშმარიტების საფუძველი ერთმანეთში აქვთ და რომ თეზისი თავისში შეიცავს ანტითეზისს, — ამიტომ თეზისის განვითარებას ანტითეზისისაკენ მივყავართ, რომ თეზისის განვითარება იგივეა ნამდვილად, რაც „თვით ანტითეზისის განვითარება; არამედ, საქმე ასეა: თეზისის ჭეშმარიტება მტკიცდება ანტითეზისის სრული გაუქმებით, ხოლო ანტითეზისის ჭეშმარიტება მტკიცდება თეზისის უარყოფით: ესენი ერთმანეთის გამომრიცხველნი არიან, — გონების თითოეული მხარე თავისთავად აღებული დიალექტიკური ბუნებისა არ არის; როდესაც გონება თეზისის ჭეშმარიტებას ამტკიცებს, იგი ამავე დროს ანტითეზისის ჭეშმარიტებას კი არ ამტკიცებს, არამედ მას ხდის ყალბად; მაშასადამე, თეზისის ჭეშმარიტება არ არის გაშუალებული ანტითეზისის ჭეშმარიტებით, ამიტომ იგი უშუალოდ არის ჭეშმარიტების შემცველი, — იგი ჭეშმარიტია იმიტომ, რომ გონების მიერ აღებულია ასეთად. გონებას აქვს, ერთ მხარეზე, თეზისი, ხოლო, მეორე მხარეზე, — ანტითეზისი; ისინი გონებაში ცალ-ცალკე არიან ჭეშმარიტნი და არა მათს მთლიანობაში. გონების სფეროში თითოეულ მათგანს საკუთარი ადგილი აქვს, ისინი ერთმანეთისაგან გამოყოფილები არიან და ერთმანეთში არ გადადიან. ჰეგელი იძლევა ამ ანტინომიების დიალექტიკის დახასიათებას: „კანტის ანტინომიები თავისში არ შეიცავენ სხვას არაფერს, გარდა რაიმე გარკვეულობის ორ მოწინააღმდეგე მომენტისაგან თვითეულის სრულიად მარტივ კატეგორიულ მტკიცებისას თავისთავად აღებულს მის მეორისაგან იზოლირებაში“<sup>16</sup>. მტკიცება, როგორც ჰეგელი წერს, არის გაშუალებული შემეცნება, კანტთან კი, როგორც ვნახეთ, თეზისი და ანტითეზისი თავის ჭეშმარიტებას უშუალოდ გვაცნობს.

თეზისი და ანტითეზისი გონების მოპირისპირე საზღვრებია, რომლებშიც ის მტკიცედ არის ჩაკეტილი და მოძრაობს ერთი მოპირდაპირე მხარიდან მეორისაკენ. კანტს გონების ანტინომიებში მოძრაობა მეტაფიზიკურად აქვს წარმოდგენილი: თეზისში და ანტითეზისშიც რომ თვითონ გონება მოძრაობს, რომ თეზისში მოძრაობით გონებას ანტითეზისი თავისში აქვს, ეს თვალსაზრისი კანტისათვის უცხოა. გონებას საკუთარი თავის მთლიანობა არ აქვს შეცნობილი, გონება ამ წინააღმდეგობებში თავის მთლიანობას ვერ შეიცნობს, გონება თეზისში მოძრაობით თეზისის ჭეშმარიტებას დაადგენს და იქ დაადგენს თავის ჭეშმარიტებასაც, ხოლო ანტითეზისში გასვლით დაადგენს თავის სხვაგვარ ჭეშმარიტებას, ხოლო რა არის გონება მთლიანობაში, ეს მისთვის მიუღწეველი რჩება. კანტმა გონება ვერ აიყვანა წინააღმდეგობათა მთლიანობის შემეცნებად. ანტინომიებში როგორც თეზისი, ისე ანტითეზისი სხვადასხვა საფუძველზე შენდება, როგორც ჰეგელი წერს: „კანტის გონების ანტინომიები

<sup>16</sup> ჰეგელი, ლოკური მეცნიერება, ვვ. 206.

სხვა არა არის რა, თუ არა ის, რომ ერთ შემთხვევაში საფუძვლად ედება ცნების ერთი გარკვეულობა, მეორე შემთხვევაში კი, ასეთივე აუცილებლობით, — მეორე<sup>17</sup>. ამის მიუხედავად, კანტის დამსახურებას იმ უდაო ფაქტის აღიარება წარმოადგენს, რომ გონება ვერ ეტევა განსჯის ცალმხრივ გარკვეულობებში, გადადის ერთიდან მისი მოწინააღმდეგისაკენ და სცნობს ერთსაც და მეორესაც; ფაქტი ის არის რომ კანტმა გონებაში ჩაასახლა წინააღმდეგობა და იგი მის აუცილებელ ფორმად აღიარა. ახალ დროში კანტმა შექმნა დიალექტიკური აზროვნების საძირკველი; ამის შემდეგ განვითარების პროცესს უნდა მიეყვანა ბოლომდე ის დადებითი, რაც კანტის ნააზრევში ჩანასახის სახით იყო მოცემული. ესეც მოხდა: გერმანულმა კლასიკურმა იდეალიზმმა, რომელმაც განვითარების მწვერვალს ჰეგელთან მიაღწია, ბოლომდე დაასრულა კანტის დადებითი ნააზრევი. კანტი გონებასა და სინამდვილეს ერთმანეთისაგან სწყვეტს: სინამდვილე, რომელსაც გონება ეძებს, მისთვის ტრანსცენდენტურია და მუდმივ მიუღწეველი. იდეები ადამიანის გონებაშია და, ცდის თვალსაზრისით, მათ ობიექტური რეალობის სახით არაფერი შეესაბამება. კანტი ემყარება გონებისა და მისი ობიექტის დუალიზმს: ობიექტი იმყოფება გონების მიღმა, გონება ვერ გადის ობიექტისაკენ და იგი თავისი სუბიექტურობის ნაჭუჭში იკრუნჩხება, იდეები რჩებიან ცარიელ უშინაარსო ფორმებად. ჰეგელს — კლასიკური იდეალიზმის უკანასკნელ წარმომადგენელს ღრმად აქვს შეგნებული კანტის ფილოსოფიის ეს მხარე, იგი ცდილობს ფილოსოფიის სისტემა ისე აავოს, რომ ეს წინააღმდეგობაც იქნას დაძლეული და გონების საგანი გონებისათვის შეცნობილი გახადოს; ეს მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ გონებასა და სინამდვილეს შორის კანტის მიერ დადგენილი დუალიზმი მოიხსნება; ე. ი. ამ წინააღმდეგობის გადაჭრა შესაძლებელი არის მხოლოდ მონიშნის საფუძველზე.

მონისტური ფილოსოფიის აგებისათვის არის ორი გზა: იდეალისტური და მატერიალისტური. ჰეგელი არ მიდის მატერიალისტური გზით, რადგანაც მისთვის ჭეშმარიტი ფილოსოფია არის იდეალიზმი.

ჰეგელის ფილოსოფია არის გრძნობადის ახსნა ზეგრძნობადით, ბოლოვადისა — დაუბოლოებელით; ესენი კი იდეალურნი არიან; ბოლოვადის ჭეშმარიტება დაუბოლოებელშია, მასში ყველა ბოლოვადი იმდებდა და ხელახლა ისმობა. ერთადერთი დაუბოლოებელი არის გონება, იდეა: იგია ყველა ბოლოვადის ჭეშმარიტება. იდეა იმიტომ არის დაუბოლოებელი, რომ ყველა ბოლოვადი ჭეშმარიტებას თავისში შეიცავს, იდეას თავის გარეთ არაფერი უპირისპირდება, მას შინაარსი თავისში აქვს და არა თავის გარეთ; იდეა არის მთლიანობა ცნების და ობიექტისა. ჰეგელმა კანტისეული სუბიექტური იდეა ობიექტური გახადა, იგი ბოლოვადი საგნების ჭეშმარიტებას წარმოადგენს: „რაც კი ცხოვრებაში ჭეშმარიტია, დიდი და ღვთაებრივი იდეისაგანაა“<sup>18</sup> ამით ჰეგელმა კანტის სუბიექტური იდეალიზმი აქცია ობიექტური იდეალიზმის ამოსავლად. წინააღმდეგობის თვითუფლი მომენტით არის მთლიანობა და თავისი მოწინააღმდეგის, იმიტომ მას შეუძლია კიდევ გადავიდეს თავის წინააღმდეგობაში. კანტთან ეს მიუღწეველი გახდა სწორედ იმიტომ, რომ ეს მოწინააღმდეგე მხარეები გონებაში დარჩნენ ერთმანეთისაგან გამოყოფილები. იდეა როგორც მთლიანობა სუბიექტურისა და ობიექტურისა, ბოლოვადისა და დაუბოლოებელისა, ამავე დროს, როგორც მათი განხორციელებული წინააღმდეგობა — არის პროცესი. ჰეგელი სწერს: „იდეა არის სამარადისო შემოქმედება, მარადი ცხოველმყოფელობა და მარადიული გონი“<sup>19</sup>; დიალექტიკა არის იდეის შინაგანი სული, იდეა თავის შიგნით თავის საკუთარ თავს უპირისპირდება; ამ დაპირდაპირებაში ავითარ-

<sup>17</sup> ჰეგელი, ლოგიკური მეცნიერება, ტ. VI, გვ. 115.

<sup>18</sup> ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, გვ. 40.

<sup>19</sup> ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, გვ. 416.



რებს იგი თავის საკუთარ თავს, გადადის წინააღმდეგობის ერთი სფეროდან მეორეში მანამ არ მიალწევს თავის აბსოლუტურ შემეცნებას.

ამგვარად, კანტის უარყოფითი დიალექტიკა, რომლითაც გონება დადებითს შედეგებს ვერ აღწევს, ჰეგელის ხელში იქცა დადებით დიალექტიკად. იდეა არის დიალექტიკური და არა სინამდვილე, ასე ფიქრობდა კანტი. ჰეგელის თვალსაზრისით, ერთადერთი სინამდვილე არის იდეა და მისი დიალექტიკური პროცესი არის იმ იდეის მიერ თავისი ჰეგემონიების თვითშემეცნების პროცესი. ჰეგელის აზრით, იდეა თვითონ არის ჰეგემონიება და მას არა სჭირდება თავისი თავის შესაბამისობა დაამყაროს გარე სინამდვილესთან, მის გარეთ ისევ თვითონ იდეა არის. მაშასადამე იდეა არის ერთადერთი ნამდვილი, ჰეგემონი, მისი ნამდვილობა და ჰეგემონიება თვითშემეცნებაშია, თვითშემეცნება კი დიალექტიკურ პროცესს წარმოადგენს.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
ფილოსოფიის ინსტიტუტმა)

### პრამიტონ ჯოლოსვა

## ცნობიერების შედარებითი დამოუკიდებლობის შესახებ

მცდარია ცნობიერების აბსოლუტური დამოუკიდებლობის აღიარება ისევე, როგორც მისი დამოუკიდებელი ბუნების სრული უარყოფა. ცნობიერების აბსოლუტური დამოუკიდებლობის აღიარება ნიშნავს მისი განმსაზღვრელი გარეშე მიზეზის უარყოფას და, ამდენად, ცნობიერების აბსოლუტურ თვითმიზეზად გამოცხადებას, ეს უკანასკნელი კი ობიექტური იდეალიზმია. ცნობიერების აბსოლუტურ თვითმიზეზად გამოცხადების დროს ყველაფერი ცნობიერებაში უნდა იყოს მოცემული და ყველაფერი მისგან უნდა წარმოსდგეს, რადგან ის როგორც აბსოლუტური თვითმიზეზი ყოველთვის წარმოშობის აბსოლუტური მიზეზია. გ. ფ. ვ. ჰეგელმა გადააქცია აზროვნება აბსოლუტად და მთელი ნამდვილი სამყარო მის თვითგანსხვსებად, მის შემოქმედებად გამოაცხადა. აზროვნება, იდეის სახელწოდებით, ჰეგელისათვის აბსოლუტურად დამოუკიდებელი სუბიექტია და, ამდენად, „დემიურგია სინამდვილისა“, რადგან განსაზღვრავს და აპიროვნებს მთელ სინამდვილეს როგორც მისი არსებობის ფორმას; თვითონ კი უსაზღვრო და უპიროვნოა, — ხოლო „... უპიროვნო გონებას თავის გარეშე არა აქვს არც ნიადაგი, რომელზედაც შეიძლება დადგეს, არც ობიექტი, რომელსაც შეიძლება წინაღუდგეს, არც სუბიექტი, რომელსაც შეიძლება შეუერთდეს. ამიტომ იგი იძულებულია ნახტომები აკეთოს, თვით დადგინდეს, თავის თავს წინაღუდგეს და თავის თავს შეუერთდეს“<sup>1</sup>.

მაგრამ რა არის ასეთი უპიროვნო, აბსოლუტური ცნობიერება? აბსოლუტური ცნობიერება თვითონ ფილოსოფიის მკვდარი აბსტრაქციაა და, ამდენად, მისივე შემოქმედების ნაყოფია; ე. ი. არც ნამდვილი სუბიექტია ის და არც ნამდვილი ცნობიერება. მაგრამ ცნობიერების ასეთ სუბიექტად გადაქცევით რა შედეგები მიიღება? — არავითარი! ცნობიერების რეალური ბუნება ისევე და ისევე აუხსნელი და დაუდგენელი რჩება, როგორც ღარიბს შეუძლია თავისი თავი მილიონერად წარმოიდგინოს, მაგრამ იგი რეალურად არ გახდება მილიონერი, ასევე ინდივიდუალურ ცნობიერებას შეუძლია წარმოიდგინოს ცნობიერება აბსოლუტურ სუბიექტად, მაგრამ იგი ასეთ სუბიექტად არ გადაიქცევა, რადგან მას არ შეიძლება ჰქონდეს ასეთი რეალური არსებობა.

ცნობიერების აბსოლუტური დამოუკიდებლობის აღიარება არის მისი ნამდვილი ბუნების, მისი არსების უარყოფა. ცნობიერების ბუნება ასახვაა: ვინც აღიარებს ცნობიერების აბსოლუტურ დამოუკიდებლობას, მას არ შეუძლია ცნოს ცნობიერების ასახვითი ბუნება, — ე. ი. ის, რაც ცნობიერების თვისებრიობას წარმოადგენს, — რადგან ასახვითი ბუნება გულისხმობს ასახავის არსებობასაც, რაც იმავ დროულად ცნობიერების აბსოლუტური დამოუკიდებლობის უარყოფაცაა. ამიტომ ვინც აღიარებს ცნობიერების აბსოლუტურ

<sup>1</sup> კ. მარქსი, ფილოსოფიის სილატაე, სახელგამი, 1938, გვ. 97.

დამოუკიდებლობას, ის ცნობიერებაში უშუალოდ არსებულად მიიჩნევს ასახვის უნარს, როგორც ცნობიერებაში წინასწარ მოცემულს; მაგრამ, თუ ცნობიერების თვისებრიობა მისი ასახვითი გარკვეულობაა, მაშინ, ცხადია, იგი არსებობს მხოლოდ როგორც ასახვა და მას სხვაგვარი არსებობა არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. ამიტომ ვინც უარყოფს ცნობიერების ასახვად არსებობას, ე. ი. ვინც აღიარებს ცნობიერებას ასახვითი თვისებრიობის გარეშე, — მას საქმე არა აქვს ნამდვილ ცნობიერებასთან, არამედ — ინდივიდუალური ცნობიერების მიერ შექმნილ ცნობიერებასთან, რომელიც მთლიანად მის შემოქმედებას ეკუთვნის მისთვის დამახასიათებელი ასახვის წინასწარი მოცემული უნარით.

საქმეს ვერც ის შევლის, თუ ცნობიერება გამოცხადებული იქნება აზრის ასახვად: ამ შემთხვევაში, ეს აზრიც ხომ ასახვა იქნება და ამ აზრის ასახვა-ვიც — ასევე ასახვა და ასევე დაუსრულებლად. ყოველივე ეს იმაზე მიგვი-თითებს, რომ ცნობიერებას არ გააჩნია აბსოლუტური დამოუკიდებლობა და, ამდენად, სრულიად მცდარია დებულება ცნობიერების აბსოლუტური დამო-უკიდებლობის შესახებ.

მაშასადამე, ცნობიერების აბსოლუტური დამოუკიდებლობის აღიარება არის ცნობიერებისა და სინამდვილის იგივეობის აღიარება, ხოლო ასეთი იგი-ვეობით ჭეშმარიტად ცნობიერებაც უარყოფილია და სინამდვილაც.

მეორე უკიდურესობას წარმოადგენს ცნობიერების დამოუკიდებლობის სრული უარყოფა, რაც ნიშნავს მატერიისაგან ცნობიერების განსხვავებული ბუნების, მისი თვისებრიობის უარყოფას, — როგორც ამას ვულგარული მატერიალიზმი ჩადის. ობიექტურ იდეალიზმს, ცნობიერების აბსოლუტური და-მოუკიდებლობის აღიარებით, სინამდვილე დაჰყავს ცნობიერებაზე; ხოლო ვულგარულ მატერიალიზმს, ცნობიერების დამოუკიდებელი ბუნების სრუ-ლიად უარყოფით, ცნობიერება დაჰყავს მატერიაზე. ე. ი. როგორც ცნობი-ერების აბსოლუტური დამოუკიდებლობის აღიარებას, ისე მისი დამოუკიდებ-ლობის სრულიად უარყოფას მიგყავართ ერთსა და იმავე შედეგამდე — ცნო-ბიერების ფაქტიურ უარყოფამდე; ამიტომ მცდარია ცნობიერების დამოუკი-დებლობის სრულიად უარყოფაც. მაშასადამე, თუ აზრის ორივე უკიდურე-სობისაგან ორივე მცდარია (როგორც ცნობიერების სრული დამოუკიდებ-ლობა, ისე მისი დამოუკიდებლობის სრულიად უარყოფა), მაშინ საკითხის ასახსნელად უნდა გამოინახოს ისეთი აზრი, რომელიც ორივეს მოხსნიდა, — ამავე დროს კი თავისი სინთეზური გარკვეულობით, ორივედან მოხსნილი სა-ხით რაღაც მომენტებს შემოინახავდა.

პირველი უკიდურესობისათვის ცნობიერება აბსოლუტურად დამოუკი-დებელია, მაგრამ ამ უკიდურესობაში გვაქვს აზრი, რომ ცნობიერებას დამო-უკიდებლობა ახასიათებს. თუ როგორია ან რა ფორმითაა დამოუკიდებლო-ბა, — აქ არის შეცდომა და არა იმაში, რომ ცნობიერებას დამოუკიდებლობა ახასიათებს; შეცდომა მდგომარეობს ცნობიერების დამოუკიდებლობის და-კონკრეტებაში (რომ ის აბსოლუტურია), და არა ამ დამოუკიდებლობის აღიარებაში; უკიდურესობად აქ მიიჩნევა ცნობიერების აბსოლუტური დამოუკი-დებლობის აღიარება — საერთოდ. ე. ი. თუ პირველი უკიდურესობიდან —

ცნობიერება აბსოლუტურად დამოუკიდებელია — აბსოლუტურს მოვხსნით, წარმოიქმნება რაციონალური აზრი: ცნობიერება დამოუკიდებელია, სადაც დამოუკიდებლობა (აბსოლუტურობას მოკლებული) შედარებითი დამოუკიდებლობის სახეს იღებს. მიღებული აზრი ცნობიერების აბსოლუტური დამოუკიდებლობის შესახებ აზრის გარკვეული უარყოფაცაა და შემონახვაც: უარყოფაა, რამდენადაც უარყოფილია ცნობიერების აბსოლუტური დამოუკიდებლობა; ამავე დროს შემონახვაცაა, რამდენადაც უარყოფილია აბსოლუტური დამოუკიდებლობა და არა დამოუკიდებლობა აბსოლუტურად; ე. ი. შენარჩუნებულია დამოუკიდებლობა შედარებითი დამოუკიდებლობის სახით.

ასევეა მეორე უკიდურესობაც, რომ ცნობიერება მატერიალურია და, ამდენად, ის თვისებრივად აბსოლუტურად არა დამოუკიდებელი ან, რაც იგივეა, ცნობიერება აბსოლუტურად დამოკიდებულია; თუკი (პირველი უკიდურესობის მსგავსად) ცნობიერების დამოკიდებულების აბსოლუტურობას მოვხსნით, მაშინ მივიღებთ რაციონალურ აზრს, სახელდობრ, რომ ცნობიერება შედარებით დამოკიდებულია; უარყოფილია ცნობიერების აბსოლუტურად დამოკიდებული ბუნება, მაგრამ შემონახულია მისი დამოკიდებული ბუნება როგორც შედარებითი დამოკიდებულება.

ამგვარად, ორივე შემთხვევაში გვაქვს გააბსოლუტება: ერთგან — დამოუკიდებლობისა, მეორეგან კი — დამოკიდებულებისა; ამავე დროს, ისინი სრულიად გამორიცხავენ ერთმანეთს როგორც აბსოლუტური დამოუკიდებლობა და აბსოლუტური დამოკიდებულება. თუ მოვხსნით გააბსოლუტებას და შევიწინარჩუნებთ მის საფუძველზე მიღებული აზრის რაციონალურ მარცვალს, ცნობიერების ამსახველი აზრი წარმოგვიდგება თავისი წინააღმდეგობრივი განსაზღვრულობებით: ცნობიერება დამოუკიდებელიცაა და დამოკიდებულიც. — ეს განსაზღვრება არის ცნობიერების რეალური ბუნების წინააღმდეგობრივ გარკვეულობათა ასახვა — როგორც დამოუკიდებელი და დამოკიდებული მომენტების ერთიანობა; ამდენად, როგორც წინააღმდეგობათა ერთიანობა ცნობიერება სინამდვილის ასახვაა, რომელიც ასევე წინააღმდეგობრივ აზრში გამოიხატება.

მაშინ განა შეიძლება დამტკიცება, რომ წინააღმდეგობის არსებობა ასახვაში (აზრში) შეუძლებელია? — ე. ი. წინააღმდეგობის ამსახველი აზრი განა არ შეიძლება, თვითონ წინააღმდეგობრივი იყოს? მოცემულ შემთხვევაში, ცნობიერება, რომელიც რეალური წინააღმდეგობის ასახვაა, განა წინააღმდეგობრივი არ არის? მოცემულ შემთხვევაში, ერთი აზრის შიგნით განა წინააღმდეგობას არ აქვს ადგილი? ან განა შეიძლება ვთქვათ, რომ აქ არა გვაქვს ერთი აზრი?

უსუალოდ ცნობიერების წინააღმდეგობრივი მომენტები — დამოკიდებულებისა და დამოუკიდებლობის მომენტები — ერთის გარკვეულობის მომენტებია, ე. ი. ისინი ერთის სხვადასხვა მომენტება ანუ ერთის როგორც ერთის დადგენის მომენტებია; მისი ამსახველი აზრიც ასევე ერთია და აზრის ეს ერთობა იმაშია, რომ საწინააღმდეგო აზრები აქაც როგორც ერთი აზრის შინაგანი მომენტები ერთს ადგენენ; ეს ერთი აზრია ის, რომ ცნობიერება დამოუკიდებელიცაა და დამოკიდებულიც; მსჯელობა; ცნობიერება დამოუკიდებელია არ არის დასრულებული აზრი; არც ის მსჯელობა იქნება დასრულებული აზრი რომ ცნობიერება დამოკიდებულია; არამედ, დასრულებულობა მათს ერთიანობაშია. პროფ. ს. წერეთლის გამოთქმა რომ ეიხმაროთ, ისინი ერთიანის შემადგენელი ცალმხრიობანია და თავიანთი ცალმხრიობით ერთიანს ადგენენ. ცალმხრიობებს ერთიანით აქვს აზრი, რამდენადაც ისინი ერთიანის ცალმხრიობებია. მაშასადამე, ცალმხრიობა როგორც ერთიანი აზრის მომენტი არასრული აზრია, რომელიც თავისი ცალმხრიობისათვის მის საწინააღმდეგო ცალმხრიობას, — ასეთივე არასრულ აზრს, — შინაგანი აუცილებლობით მოითხოვს, რომელთა ერთიანობა არის ერთი დასრულებული აზრი.



ამგვარად, წინააღმდეგობრივი აზრი შესაძლებელია არა როგორც შეცდომა, არამედ — როგორც ჭეშმარიტი აზრი. წინააღმდეგობა როგორც მატერიალურ სინამდვილეში საგანთა არსებობის წესია, ასევე იგი იდეალურ სინამდვილეშიც აზრთა არსებობის წესია.

ცნობიერება თავისი ბუნებით რაკი დამოკიდებულიცაა და დამოუკიდებელიც, მაშინ უნდა გაირკვას, თუ რაში მდგომარეობს ცნობიერების დამოკიდებული და დამოუკიდებელი ბუნება; ხოლო ცნობიერების ამ წინააღმდეგობრივი ბუნების გარკვევა ლოგიკური აუცილებლობით მისი არსების გარკვევას მოითხოვს.

დავხვთ კითხვა: რა არის ცნობიერების არსება?

ცნობიერების არსების გარკვევისას უნდა გამოვიდეთ ცნობიერების მარქსისტული განსაზღვრებიდან. რომელიც მოცემულია „გერმანულ იდეოლოგიაში“ და, ასევე, მის მიერ „კაპიტალის“ პირველი ტომის მეორე გამოცემის ბოლოსიტყვაობაში იდეალურის ბუნების შესახებ განვითარებული დებულებიდან.

„კაპიტალში“ კ. მარქსი ეხება ჰეგელისა და მისი დიალექტიკის დაპირისპირებულობას, აზროვნების პროცესის თავისი გაგების თვისებრივ სხვაობას ჰეგელისეული გაგებისაგან და მიუთითებს: „ჩემთვის კი, პირიქით, იდეალური სხვა არაფერია, თუ არა მატერიალური, ადამიანის თავში გადატანილი და მასში გარდაქმნილი“<sup>2</sup>. ხოლო „გერმანულ იდეოლოგიაში“ კ. მარქსი ცნობიერების ასეთ განსაზღვრებას იძლევა: „ცნობიერება არასდროს არ შეიძლება სხვა რამე იყოს, თუ არა შეცნობილი ყოფიერება, ადამიანთა ყოფიერება კი არის მათი ცხოვრების რეალური პროცესი“<sup>3</sup>. მარქსის მიხედვით ცნობიერება შეცნობილი ყოფიერებაა; ხოლო შეცნობის პროცესი არის ადამიანის თავში მატერიალურის გადატანისა და გარდაქმნის პროცესი, — ე. ი. მატერიალურის — იდეალურად გარდაქმნის პროცესია; მაშასადამე, ცნობიერება თავის თავში გულისხმობს ორ მომენტს: შეცნობისა და ყოფიერების მომენტებს; ყოფიერების შეცნობა როგორც მისი გარდაქმნა არის ცნობიერებად მისი ჩამოყალიბება.

ამგვარად, ცნობიერებას აქვს თავისი არსებობის შინაგანი წესი, რაც მისი შეცნობილი ყოფიერების სახით არსებობაა.

მაგრამ რას ნიშნავს შეცნობილი ყოფიერების სახით არსებობა? რა მომენტებს გულისხმობს იგი?

ყოფიერება როგორც არსი, ერთი მხრივ, არსებობს თავისთავად ცნობიერებისა და ასახვის განსაზღვრულობად არსებობის გარეშე, — ასეთი ყოფიერება მატერიალური სინამდვილეა; მაგრამ, მეორე მხრივ, როგორც ფაქტი, ყოფიერება არსებობს როგორც ასახვა (როგორც ასახული ყოფიერება, როგორც — აზროვნება, ცნობიერება). მაშასადამე, ერთსა და იმავე შინაარსს აქვს არსებობის ორი ფორმა: მატერიალური და ცნობიერი (იდეალური); ყოფიერების იდეალური არსებობა (როგორც ცნობიერება) არის მატერიალურის ადამიანის თავში გადატანა-გარდაქმნით წარმოქმნილი არსებობა; ე. ი. ცნობიერება არ არის მატერიალურის არც აბსოლუტური უარყოფა და არც აბსოლუტური შემონახვა, ვინაიდან მატერიალურის გადატანა-გარდაქმნა მატერიალურში (ადამიანის ტვინში) არის მატერიალურის

<sup>2</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1 ბოლოსიტყვაობა მეორე გამოცემისათვის, სახელმწიფო გამომცემლობა, 1954. გვ. 23.

<sup>3</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, გერმანული იდეოლოგიიდან, სახელგამი, 1948. გვ. 24.

უარყოფა, რამდენადაც ეს გარდაქმნა თვისებრივი ცვალებადობა, მატერიალურის იდეალურ ფორმაში ჩამოყალიბებაა; მაგრამ მეორე მხრივ, ეს გარდაქმნა მატერიალურის გარკვეული შემონახვაცაა, თუმცა მატერიალური კი არ ინახება როგორც მატერიალური არამედ — შეცნობილ არსად გარდაქმნილი მისი შინაარსი; ეს შინაარსი საგანში ელემენტების ერთიანობაა (მაგალითად, წინააღმდეგობათა ერთიანობის შინაარსი წინააღმდეგობისა და ერთიანობის ერთიანობაა). ასახვაში იხსნება შინაარსის მატერიალურობა, მისი არსებობის მატერიალური წესი; ხოლო მატერიალური შინაარსი და მისი არსებობის წესი არსობრივად იგვევობრივი სახით, არსებობის მხრივ იდეალური ფორმით ყალიბდება.

მაშასადამე, ცნობიერება როგორც გაცნობიერებულ იყოფიერება ორ აუცილებელ შინაგან მომენტს გულისხმობს: შინაარსსა და ფორმას, რომელთა ერთიანობადაც იგი წარმოგვიდგება; ცნობიერების შინაარსი არის გაცნობიერებული ასახული ყოფიერება, მისი ფორმა კი — ასახული ყოფიერების არსებობის შინაგანი წესი. ერთია ასახული ყოფიერება როგორც შინაარსი ანუ ის, რაც ცნობიერდება და მეორეა ის წესი, ის ფორმა არსებობისა, რა სახესაც ეს შინაარსი ღებულობს; ის, რაც ცნობიერდება (შინაარსი) და ის, რაც მისი არსებობის შინაგანი წესია, ფორმა, არსებითად განსხვავებულ მომენტებია. რაიმე და ამ რაიმეს არსებობის შინაგანი წესი სრულიად სხვადასხვაა; ამ მხრივ, ცნობიერების შინაარსი და ფორმა ერთმანეთს გამორიცხავენ, უარყოფენ, ურთიერთსაწინააღმდეგო მომენტებს წარმოადგენენ. მაგრამ ისინი როგორც ცნობიერების არსებითად განსხვავებული შინაგანი მომენტები არა მხოლოდ ერთმანეთის უარყოფელი, საწინააღმდეგო მომენტებია, არამედ ურთიერთ დამდგენი მომენტებიცაა: ცნობიერების შინაარსი იმდენად არსებობს, რამდენადაც არსებობს მისი არსებობის წესი — ფორმა; ხოლო ფორმა იმდენად არსებობს, რამდენადაც არსებობს შინაარსი, რომლის შინაგან წესსაც ის წარმოადგენს.

ამრიგად, შინაარსი და ფორმა ცნობიერების გაორებაცაა და ერთიანობაც, ე. ი. საკუთრივ ცნობიერება წინააღმდეგობაცაა და წინააღმდეგობათა ერთიანობაც; ფორმისა და შინაარსის ეს წინააღმდეგობრივი ერთიანობა როგორც ცნობიერების შინაგანი სტრუქტურა ცნობიერების არსებას წარმოადგენს. ცნობიერების ამ არსებიდან შინაგანად გამომდინარეობს მისი დამოუკიდებელი და დამოკიდებული ბუნება.

ვიდრე ცნობიერების დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ბუნებას გავარჩევდეთ, საჭიროა გაირჩეს საკუთრივ დამოუკიდებლობისა და დამოკიდებულების ცნებები საერთოდ. დამოუკიდებლობა და დამოკიდებულება საგანთა და მოვლენათა განსაზღვრულობებია, რამდენადაც ყოველი საგანი და მოვლენა თავის გარკვეულობაში დამოუკიდებელიცაა და დამოკიდებულიც. დამოუკიდებლობითა და დამოკიდებულებით უშუალოდ ხორციელდება საგანთა და მოვლენათა მრავალმხრივი კავშირები. ამდენად, ისინი საგანთა და მოვლენათა ურთიერთკავშირის განსაზღვრულობებს წარმოადგენენ.

დამოუკიდებლობა საგანთა და მოვლენათა განსხვავებას გულისხმობს, განსხვავების საფუძველზე არსებობს: მაგალითად: ა ბგერა დამოუკიდებელია ბ ბგერისაგან და, პირიქით, მათი განსხვავების საფუძველზე. ამ განსხვავების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მათი დამოუკიდებლობა. განსხვავება უკვე გულისხმობს დამოუკიდებლობას და, ამ აზრით, განსხვავება თვითონ არის დამო-

ოუცილებლობა; ამ მხრივ, დამოკიდებულება შინაგანად გულისხმობს დამოუკიდებლობას. ა. და ბ ბგერის დამოკიდებულება (როგორც მარცვალი) მათი დამოუკიდებლობის საფუძველზე არსებობს, თუ არ იქნებოდა ა და ბ ბგერის დამოუკიდებლობა, არ იარსებებდა მათი დამოკიდებულებაც.

ამგვარად, დამოკიდებულება და დამოუკიდებლობა როგორც სინამდვილის საგანთა და მოვლენათა განსაზღვრულობანი ურთიერთს განსაზღვრავენ, ურთიერთს ადგენენ და, ამდენად, ერთმანეთთან შინაგან, აუცილებელ კავშირში არსებობენ. დამოუკიდებლობა არის დამოკიდებულების განსაზღვრულობის შინაგანი მომენტი და, პირიქით, დამოკიდებულება არის დამოუკიდებლობის როგორც განსხვავებად არსებობის აუცილებელი მომენტიც, რამდენადაც ეს განსხვავებად არსებობა როგორც დამოუკიდებლობა განისაზღვრება დამოკიდებულებით და არსებობს.

სიტყვის ცალკეულ ბგერებს როგორც განსხვავებულთ აქვთ დამოუკიდებელი არსებობა, მაგრამ ისინი, თავის მხრივ, ისეთი დამოკიდებულებით არსებობენ და განისაზღვრებიან, როგორცაა ადამიანის მეტყველების ორგანოსა და ეთერის ტალღების ურთიერთობა. დამოკიდებულებისა და დამოუკიდებლობის აუცილებელი ურთიერთობა ყველაზე მკაფიოდ წარმოდგენილია საგნის წინააღმდეგობათა ერთიანობაში: ბურჯუაზია და პროლეტარიატი როგორც კერძო საკუთრების არსებითად განსხვავებული სხვადასხვა ორი მხარე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მხარეებია, მაგრამ მათი დამოუკიდებლობა, როგორც ერთის (კერძო საკუთრების) არსებითად განსხვავებული ბუნება, მათი დამოკიდებულებით განისაზღვრება და არსებობს. პროლეტარიატის პროლეტარობა და ბურჯუაზიის ბურჯუობა მათი ურთიერთ დამოკიდებულების შედეგია; თუ არ იარსებებდა მათი დამოკიდებულება, არ იარსებებდა პროლეტარიატი როგორც პროლეტარიატი და ბურჯუაზია—როგორც ბურჯუაზია. მასადასმე, ბურჯუაზიისა და პროლეტარიატის დამოუკიდებლობა მათი დამოკიდებულებით განისაზღვრება და არსებობს, ხოლო ამ ორი კლასის დამოკიდებულება — მათივე დამოუკიდებლობით.

ყველაფერი ეს იმაზე მიგვიჩივებს, რომ როგორც საგნებში, ისე საგანში დამოკიდებულებისა და დამოუკიდებლობის მომენტები დიალექტიკურად ერთმანეთის არსებობას განსაზღვრავენ, ერთმანეთისაგან იზოლირებულად არ არსებობენ.

რა აუცილებელ მომენტებს გულისხმობენ დამოკიდებულება და დამოუკიდებლობა როგორც განსაზღვრულობანი?

ა) დამოკიდებულება და დამოუკიდებლობა საგანთა და მოვლენათა ობიექტური განსაზღვრულობანია, ისინი მათივე ობიექტურად არსებობის ობიექტური ნიშნებია, მაგრამ ეს ნიშნები არსებითად განსხვავებულია, — ამდენად, ისინი საგანთა არსებობის წინააღმდეგობრივი ნიშნებია; მაგრამ, რამდენადაც ყოველ მოცემულ მომენტში ერთი გარკვეული საგნის წინააღმდეგობრივი არსებობას გამოხატავენ, ისინი წინააღმდეგობის ერთიანობასაც წარმოადგენენ; ყოველი წინააღმდეგობათა ერთიანობა კი საგნის არსებაა. ამგვარად, დამოკიდებულება და დამოუკიდებლობა საგანთა და მოვლენათა (ეს იქნება მატერიალური თუ იდეალური) არსებას წარმოადგენს. დამოკიდებულება და დამოუკიდებლობა მეორე რიგის არსებაა. ისინი ამა თუ იმ საგნის არსებობის შინაგან აუცილებლობას წარმოადგენენ, რამდენადაც საგნის არსებობას უშუალოდ ადგენენ, მაგრამ ვერ იძლევიან საგნის ასეთად არსებობის გასაღებს.

მაგალითად: სიცოცხლე როგორც მოვლენა, მისი დამოუკიდებლობისა და დამოკიდებულების მომენტების შინაგანი ერთიანობაა, იგი არსად არასდროს არ არსებობს ამ ერთიანობის გარეშე, რომელიც წარმოადგენს მისი არსებობის შინაგან წესს და, ამდენად, შეადგენს მისი არსებას; მაგრამ იგი არაფერს გვეუბნება, თუ რატომ აქვს სიცოცხლეს ასეთი არსებობა (ეთქვათ ქვისაგან განსხვავებული არსებობა), ხოლო ეს უკანასკნელი სიცოცხლის პირველი რიგის არსებით — ასიმილა-

ცაისა და დისიმილაციის წინააღმდეგობათა ერთიანობით აიხსნება. ასიმილაციითა და დისიმილაციით ღვინდება სიცოცხლე, მისი დამოკიდებული და დამოუკიდებელი არსება, — ერთიც და მეორეც სიცოცხლის არსებობის შინაგან წესს გამოხატავს, — მაგრამ პირველი ადგენს მეორეს, ამიტომ ერთს პირველა რიგის არსება უნდა ეწოდოს, მეორეს კი — მეორე რიგის არსება.

ბ) დამოკიდებულება და დამოუკიდებლობა როგორც საგნის წინააღმდეგობათა ერთიანობა გარკვეული ზოგადობაა; რადგან ყოველგვარი წინააღმდეგობათა ერთიანობა არის არსება, ხოლო არსება **საყოველთაოობის** ფორმაა (მრავლის არსებობის შინაგანი წესია); საყოველთაოობის ფორმა კი როგორც შინაგანი დასრულებულობა არის **ზოგადობის** ფორმა.

გ) დამოკიდებულება და დამოუკიდებლობა განსაზღვრული აუცილებლობაცაა; თუ ისინი საგანთა საყოველთაო არსებობის შინაგან წესს წარმოადგენენ; საყოველთაო არსებობის ეს წესი კი, მისი საყოველთაოობისა გამო, საყოველთაო აუცილებელი წესიცაა.

დ) დამოკიდებულება-დამოუკიდებლობას როგორც საგანთა არსებითად სხვადასხვა განსაზღვრულობებს შედარებითი არსებობა აქვთ. ეს შედარებითი არსებობა მათი ურთიერთ განსაზღვრა-დადგენით გაპირობებული არსებობაა. საგნებსა და მოვლენებში დამოკიდებულების განსაზღვრულობა დამოუკიდებლობის განსაზღვრულობით ღვინდება და პირიქით.

ცნობიერების შინაგანი სტრუქტურა — ფორმისა და შინაარსის წინააღმდეგობათა ერთიანობა — თავისი არსით დამოკიდებულიცაა და დამოუკიდებელიც: ერთი მხრივ, დამოკიდებულია, რამდენადაც ცნობიერების შინაარსიცაა და ფორმაც ყოფიერების (მატერიალური სინამდვილის) გარდაქმნა-გადამუშავებით ყალიბდება და ირკვევა, — ეს გარდაქმნა-გადამუშავება კი მატერიალური ყოფიერების მატერიალური ყოფიერებითვე (აღამიანის თავის ტვინით) გარდაქმნა-გადამუშავებაა, ე. ი. მატერიალური როგორც გარდასაქმნელ-გადასამუშავებელი, ისე გარდაქმნელ-გადამამუშავებელი არსი, წინ უსწრებს და განსაზღვრავს გარდაქმნა-გადამუშავების უშუალო შედეგს — ცნობიერებას, მის არსებას, ამ მხრივ, ცნობიერება თავისი არსებით (ფორმითა და შინაარსით) დამოკიდებული სინამდვილეა; ხოლო, მეორე მხრივ, რამდენადაც მატერიალურის მატერიალურითვე გარდაქმნა-გადამუშავება ჰქმნის თვისებრივად სხვა ყოფიერებას — შეცნობილ ყოფიერებას, რომელიც თავისი არსებით იდეალურია, ამდენად, ამ მხრივ, თავისი განსაზღვრული ბუნებით (შინაარსითა და ფორმით), ცნობიერება დამოუკიდებელიცაა.

ამგვარად, ცნობიერება თავისი არსებით როგორც ფორმისა და შინაარსის წინააღმდეგობათა ერთიანობა დამოკიდებულიცაა და დამოუკიდებელიც. ფორმისა და შინაარსის როგორც ცნობიერების კატეგორიალური განსაზღვრულობის დამოკიდებული და დამოუკიდებელი ბუნება საკუთრივ ცნობიერების ფორმისა და შინაარსის წინააღმდეგობისა და წინააღმდეგობათა ერთიანობის არსებობის უშუალო განსაზღვრულობანია; ამ მხრივ, ცნობიერების დამოკიდებული და დამოუკიდებელი ბუნება ცნობიერების გარკვეულ შინაგან სტრუქტურას წარმოადგენს, ამდენად, მას შეიძლება ეწოდოს ცნობიერების არსება. მაგრამ, თუ ფორმისა და შინაარსის წინააღმდეგობათა ერთიანობა, ჩვენი აზრით, ცნობიერების პირველი რიგის არსებაა, ცნობიერების დამოუკიდებელი და დამოკიდებული არსება როგორც ცნობიერების შინაგან წინააღმდეგობათა ერთიანობა მეორე რიგის არსებას უნდა წარმოადგენდეს.



ცნობიერების დამოკიდებული და დამოუკიდებელი ბუნება თავისი არსით შედარებითი ხასიათისაა, ხოლო შედარებითობა რაიმეს რაიმესთან მიმართებაში და ამ მიმართებით განსაზღვრული არსებობაა; ამიტომ მიმართებაში არსებული არსებობა როგორც სხვით განსაზღვრული არსებობა არა აბსოლუტური, არამედ შედარებითი არსებობაა. ცნობიერების დამოკიდებული ბუნება იმაშია, რომ იგი მატერიალური ყოფიერებით განსაზღვრული ბუნებაა: ამ მხრივ, ცნობიერების დამოკიდებულ ბუნებას შედარებითი არსებობა აქვს, მეორე მხრივ ცნობიერების დამოკიდებული ბუნების შედარებითი არსებობა იმაშია, რომ ეს დამოკიდებული ბუნება მხოლოდ მისსავე დამოუკიდებელ ბუნებასთან მიმართებაში არსებობს, რომელსაც ასევე შედარებითი დამოუკიდებელი არსებობა აქვს.

**რაში მდგომარეობს ცნობიერების შედარებითი დამოუკიდებელი არსებობა?**

ცნობიერება მთლიანად მატერიალური სინამდვილით წარმოშობილი და განსაზღვრული სხვა (იდეალური) სინამდვილეა. მაგრამ ცნობიერება როგორც იდეალური სინამდვილე, თვისებრივად განსაზღვრულია მატერიალური სინამდვილისაგან. სწორედ ეს თვისებრიობა როგორც ცნობიერების შინაგანი განსაზღვრულობა, ჰქმნის ცნობიერების დამოუკიდებელ ბუნებას, — ცნობიერების ეს დამოუკიდებლობა კი თავისი არსით შედარებითი დამოუკიდებლობაა; ამ დამოუკიდებლობის შედარებითობა იმაშია, რომ იგი მატერიალურთან დამოკიდებულებით და მის საფუძველზე არსებული დამოუკიდებლობაა. ამდენად, ეს არის არა განუსაზღვრელი, აბსოლუტური დამოუკიდებლობა, არამედ — განსაზღვრული, შედარებითი დამოუკიდებლობა.

ასეთია ცნობიერების შედარებითი დამოუკიდებლობა საერთოდ და ზოგადად. ახლა გავარჩიოთ ცნობიერების შედარებითი დამოუკიდებლობა კონკრეტულად:

1) ცნობიერებას როგორც იდეალურ სინამდვილეს ფაქტია, თავისი ისტორია აქვს, ეს თავისი ისტორია მისი შედარებითი დამოუკიდებლობის აუცილებელი ნიშანია და, რომ არ ჰქონოდა შედარებითი დამოუკიდებლობა, მას არც თავისი ისტორია ექნებოდა;

2) როგორც ცნობილია, არსებობს ცნობიერების ფორმათა აუცილებელი კავშირი, მათი ურთიერთზეგავლენა, — ეს კავშირი, ზეგავლენა შეუძლებელია, თუ ცნობიერებას არ ექნება შედარებითი დამოუკიდებლობა, ამიტომ ცნობიერების ფორმათა კავშირის, ურთიერთზეგავლენის არსებობა ცნობიერების შედარებითი დამოუკიდებლობის უშუალო დადასტურებაა;

3) კ. მარქსი თავის შრომაში — „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის — (შესავალი)“ მიუთითებს: „როგორც ფილოსოფია პროლეტარიატში თავის მატერიალურ იარაღს ჰპოვებს, ასევე პროლეტარიატი ფილოსოფიაში თავის სულიერ იარაღს ჰპოვებს...“<sup>4</sup>. მარქსის მიხედვით, ფილოსოფია როგორც ცნობიერების ფორმა პროლეტარიატის სულიერი იარაღი ხდება, მაგრამ ფილოსოფიის პროლეტარიატის სულიერ იარაღად გადაქცევა-არსებობა მისი შედარებითი დამოუკიდებლობის აუცილებლობით არსებობაა, — ეს რომ ასე არ იყოს, ის როგორც მატერიალურზე აბსოლუტურად დამოკიდებული არ იქნებოდა სხვა, არამედ — თვითონ მატერიალური და, ამდენად

<sup>4</sup> კ. მარქსი, ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკა, შესავალი, სახელგამი, 1946, გვ. 24.  
6. „მაცნე“, ფილოსოფიის..., სერია, 1973, № 3



არასულიერი იარაღი; თუ მარქსის ამ დებულებას გავავრცელებთ საერთოდ ცნობიერებაზე, მას შეიძლება ვუწოდოთ ადამიანთა მატერიალური მოღვაწეობის სულიერი იარაღი, — ადამიანთა მატერიალური მოღვაწეობის სულიერი იარაღად ცნობიერების არსებობა როგორც მატერიალურისაგან არსებითად განსხვავებული, მაგრამ მისით განსაზღვრული არსებობა, მისი შედარებითი დამოუკიდებელი არსებობაა; მოკლედ რომ ვთქვათ, ცნობიერების საფუძველზე ადამიანები ცვლიან და გარდაქმნიან სინამდვილეს, გარდაქმნის საფუძველს როგორც იდეალურს თავისი შედარებითი დამოუკიდებელი არსებობა აქვს, — სხვანაირად ეს ვერ იქნებოდა სინამდვილის გარდაქმნის საფუძველი;

4) ცნობიერება ასახავს ყოფიერებას, იგი იცვლება ყოფიერების საფუძველზე, მაგრამ ეს ცვლილება არ ხდება ავტომატიურად, ერთბაშად, ყოფიერების შეცვლის უმალ, შეცვლილი ყოფიერების პირობებში ცნობიერებას შეუძლია შეინარჩუნოს და, ინარჩუნებს კიდევაც, ძველი ყოფიერების ასახვად არსებობას, — ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ მას აუცილებლობით ახასიათებს შედარებითი დამოუკიდებლობა;

5) ცნობიერება ცვალებადობას განიცდის და ეს ცვალებადობა ხორციელდება მოხსნა-შენახვის დიალექტიკური პროცესით; ცვალებადობის ეს პროცესი, თავისი არსით, განსხვავებულია მატერიალური ყოფიერების ცვალებადობისაგან, — ცვალებადობის ეს განსხვავება შესაძლებელია და არსებობს იმდენად, რამდენადაც ცნობიერებას ახასიათებს შედარებითი დამოუკიდებლობა;

6) ცნობიერების, აზროვნების კანონები — ყოფიერების გამუდმებული ცვალებადობის მიუხედავად — თავის გარკვეულ უცვლელობასაც ინარჩუნებენ; ასე, მაგალითად: თანამედროვე აზროვნების ლოგიკური კანონები, თავისი არსებით, არაფრით განსხვავდებიან ანტიკური აზროვნების ლოგიკური კანონებისაგან; ლოგიკური კანონები მატერიალური ყოფიერებით განსაზღვრული მატერიალური ყოფიერების ასახვის კანონებია, მაგრამ, თუ მატერიალური ყოფიერების განუწყვეტელ ცვალებადობაში ისინი გარკვეულ უცვლელ ბუნებას ინარჩუნებენ, სწორედ, ლოგიკური კანონების ეს გარკვეული (შედარებითი) უცვლელობა გამოსახავს ცნობიერების, აზროვნების შედარებითს დამოუკიდებლობას;

7) თუ ცნობიერების განვითარების შინაგან წყაროს კრიტიკა და თვითკრიტიკა წარმოადგენს როგორც ცნობიერების განვითარების გარკვეული, სპეციფიკური კანონზომიერება, ცხადია ამ კანონზომიერების არსებობაც ცნობიერების შედარებითი დამოუკიდებლობის უშუალო მაჩვენებელია;

8) დაბოლოს, ცნობიერების ისეთი უნარები, როგორიცაა: წინასწარხედვა, ჰიპოთეზა, ახლის შეცნობის უნარი ძველში და, საერთოდ დასაბუთებისა თუ მტკიცების უნარი... ცნობიერების შედარებითი დამოუკიდებლობის უნარებია და ისინი მის შედარებითს დამოუკიდებლობაზე მიგვიითებენ.

ცნობიერება, აზროვნება თუკი შედარებით დამოუკიდებელი სინამდვილეა, ცხადია, მასში დიალექტიკის კანონების არსებობა და მოქმედება შედარებით-დამოუკიდებელი ხასიათისაა, რამდენადაც ისინი, მატერიალური დიალექტიკის კანონებისაგან განსხვავებით, — რომელიც მატერიალური სინამდვილის პროცესებს განაგებენ და, ამდენად მატერიალური სინამდვილის მა-

ტერიალურ კანონებს წარმოადგენენ, — იდეალური სინამდვილის იდეალური კანონებია, შედარებით დამოუკიდებელი მისი იდეალური სახით არსებობისა გამო. მაგრამ ასევე განსაზღვრული, დამოკიდებული მისი იდეალურად მატერიალურის საფუძველზე ჩამოყალიბებისა გამო: „... ესაა კანონების ორი რიგი, რომელნიც არსებითად იდენტურნი არიან, გამოხატულებით კი განსხვავდებიან...“<sup>5</sup>. სწორედ. ეს გამოხატულებით განსხვავება ცნობიერებაში დიალექტიკური კანონების მოქმედების შედარებითი დამოუკიდებლობაა.

ცნობიერებაში დიალექტიკური კანონების შედარებითი დამოუკიდებლობა იმაზე მიგვითითებს, რომ ცნობიერების განვითარებაც შედარებით-დამოუკიდებელ ხასიათს ატარებს და, ამდენად, ცნობიერების დიალექტიკური კანონები მისი შედარებით დამოუკიდებელი განვითარების კანონებია. ცნობიერების შედარებითი დამოუკიდებელი განვითარების რთული და თავისებური პროცესი უშუალოდ ცნობიერების განვითარების ობიექტური პროცესია, ამიტომ ცნობიერებას, მის მრავალმხრივ ფორმებს (მეცნიერებას, ხელოვნებას, რელიგიას და სხვა) აქვთ თავიანთი განვითარების შედარებითი დამოუკიდებელი, მაგრამ რეალური ისტორია.

<sup>5</sup> კ. მარქსი ფ. ენ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. 2, 1964, გვ. 472.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა)



Д. Ш. ЗУМБАДЗЕ

## ЭТИЧЕСКОЕ ОСМЫСЛЕНИЕ ИРРЕАЛЬНОГО В СВЕТЕ ПЛАТОНОВСКОЙ ФИЛОСОФИИ\*

Общеизвестно, что вопрос существующего, как реального, и несуществующего, как нереального, в платоновской философии решен на основании принципа вечности. Поэтому весь окружающий нас мир, все, воспринимаемое нами не как вечное, а как изменяемое, по Платону является миром несуществующим. Существующим является вечный, неизменяемый, разумный мир, разумная реальность, пребывающая за чувственно воспринимаемым миром.

Однако и этот несуществующий, изменяемо-преходящий мир может открыться перед нами, как существующий, поскольку в нем участвует вечно-разумное существующее. Иначе говоря: и несуществующее существует через его причастность существующему. Но если даже и это несуществующее может быть причастным существующему, то между этими двумя существующими, истинным и настоящим (ὄντως ὄν) будет последнее: вечно-разумное существующее, которое по Платону, предшествует тому, что переходяще и изменяемо.

На вопрос, что такое это истинное, вечное, разумное существование, Платон отвечает: это вечная сила доброты. Эта бесконечно большая и всеобъемлющая сила осмысливается им такой идеальной объективной реальностью, которая имеет и свой субъективный, личностный образ. Этот образ есть Демиург, создатель мира, т. е. Бог-Отец Платона. Поскольку он объект (объективная реальность) — он есть доброта, поскольку субъект — он добрый. Этот добрый Бог Платона из-за своей доброты (по причине самого же себя) является создателем и творцом всего существующего. («Тимей»). Демиург Платона трехсущностная единсущность. Он единство тождества, различия и тождества-различия, что по нашему мнению напоминает философские основы христианского тринитета.

Платоновское этическое осмысление созидательной и двигательной силы всего мира являлось логическим продолжением этических онтологий Эмпедокла и Парменида.

Как известно, Эмпедокл перводеятельную силу мира определил, как силу дружбы (φιλία), а Парменид, как любовь (ἔρως). В понимании идеального мира Платон исходит из этих концепций, но не останавливается на парменидовских или эмпедокловских идеальных горизонтах.

Если для Парменида бытие (существование) есть причина и объясняющее начало всего видимого мира, и в этом идеально едином и заканчивается его метафизическая глубина, то для Платона за идеально единым существует еще какой-то вид идеального бытия, который уже не является бытием, существованием. Платон говорит, что по

\* Сокращенный вариант данной работы был зачитан на XV всемирном философском конгрессе, в Варне (Болгария), в сентябре, 1973 года.

ту сторону бытия существует небытие (τὸ μὴ ὄν), существующее через небытие в нем бытия, также как бытие является существующим через небытие в нем небытия («Парменид»).

Таким образом, если Платон полагает истинно существующее существование, как причину и начало преходящего, неистинного бытия, то из недр этого идеально-истинного он выявляет еще более истинную и окончательно абсолютную, небытийную реальность, являющуюся той первичной причиной, которая объясняет идеальное бытие. Признанная Платоном несуществующая реальность, существующая по ту сторону существования, бытие-ничто становится основной проблемой неоплатоников и естественно, что их философия в своем конечном виде приобретает мистический характер и содержание. Потому-то, если Бог-Демург Платона — это истинное существование, то для неоплатоников таковым является истинное несуществование, небытие, ничто, за божественной, т. е. уже божественно вычитанной реальностью существующая другая божественная, «ново» божественная реальность. Поэтому, если Бог Платона добро, Бог неоплатоников что-то выше добра стоящее начало, имеющее своим названием «сверхдобро». Фактически, этим сверхдоброе, т. е. вышедоброе и называется ничто<sup>1</sup>.

Как мы видим, неоплатоники освоили самый далекий горизонт Платоновского идеального бытия, но они не дали нам новое этическое определение этого горизонта, они не внесли новое этическое понятие для определения этого горизонта: заменив добро сверхдоброе, они сняли необходимость добра, как определения конечно-этической реальности. Фактически, они сняли добро, как высший гипостас божественного бытия.

Ставится вопрос: если высшее идеальное бытие определяющее мировой порядок и мировую жизнь, человеческую и общественную, было познано платоновской философией добром, то в каком этическом плане, т. е. какой этической категорией могла та же философия определить ту силу, которая является предшествующей добру. Можно или нет также этически вычитать у Платона несуществование, небытие, определяющее существование, и признанное абсолютной сущностью существования?

Для Дионисия Ареопагита (Vв.), который христианизовывает неоплатонизм, по ту сторону существования существующее ничто, как сверхсуществование, тоже является Христом. А раз существование — единое по христианской теологии высший Бог, а Ареопагитика возносит своего высшего Бога выше этого высшего обиталища, то она, конечно в некотором смысле приходит даже в противоречие с христианством<sup>1</sup>.

Итак, по платонической философии сущностью идеального существования является ирреальное ничто, сверхразумное бытие, «обитающее» за пределами высшей разумной действительности.

Какой этический подход можно найти в философии Платона к той потусторонней божественности, которая по отношению к первобожественной идеальной реальности предстанет перед нами, как ирреальная реальность?

Чтобы ответить на этот вопрос, мы хотим обратиться к платоновской тождественности начала и конца мира и к выяснению сущности этого конца.

<sup>1</sup> С этим божественным Ничто философски родственным представляется нам онтологическая категория Ничто (Nichts) Хайдеггера.





Платоновский высший Бог—Разум после окончания своего космического круговорота, после совершенного выявления и окончания определенного божественного периода, возвращается к такому начальному бытию, когда миром управляет не божественный разум, а судьба. («Политик»). Это значит, что по Платону мир из своего разумного состояния, разумного бытия переходит в свое чисто судьбийное бытие. Как нам известно, для Платона, также как для традиционного греческого мышления, могучее всего и выше всего — судьба. Судьбийное бытие уже не является такой реальностью, которая осмысливается единолично божественной мировой силой, хотя и потом в христианском неоплатонизме оно появится человечеству под образом личностно-человеческого бога.

Перевоплощенный в судьбийное бытие, платоновский Бог, есть «разум потерявший», можно сказать, потерявший своего я, Бог. Он является личностью-потерявшим и личностью забывшим, т. е. самозабвенным Богом. Фактически он уже не Бог, уже не субъект, не кто-то самозабвенный, а какая-та самозабвенность, само чистое самозабвение, бытие, существующее в форме самозабвения. Можно даже сказать, что само это самозабвение является тут Богом. Это мировое судьбийное бытие, абсолютное бытие самозабвения. Из этого самозабвения должен начаться и проявиться весь мир. Для этого само самозабвение должно перейти сперва в мировой разум. Поскольку божественный разум — это возвращение из самозабвения, поскольку ему приходится «спомниться» и прийти в себя, прийти в сознание из судьбийного бытия, то возвращение из судьбийного бытия будет и возвращением в себя из «самозабвения». Но и тогда самозабвение, также как и судьба, тайно настороженно сидит в разуме всего мира. Притом, вспомним, что это бытие, которое является определяющим всего существования.

Божественный Разум Платона, это судьба, божественным порядком познанная и воспринятая. Судьба еще не является Богом у Платона: она становится Богом после перевоплощения в мировой разум.

Таким образом, весь видимый мир, как результат самого далекого трансцендентального бытия, можно осмыслить как откровение божественного самозабвения, а всю мировую жизнь до тождества начала с концом, как путь от божественного самозабвения до божественного самозабвения.

По христианскому неоплатонизму, по которому также существует тождество мирового начала и конца со серединой, из платонизма всплывает тождество божественного начала-конца с человеческим самозабвением. Платоном пророченный бого-человек («Государство»), уже пришедший для Дионисия Ареопагита, явится человеческим откровением божественного самозабвения.

Почему переходит божественный разум в самозабвение, такого же типа вопрос для Платона, как и почему Бог добр? Это факт: самозабвение есть высшее и сокровенное перевоплощение божественного добра, его высшая форма. Именно из недр божественного самозабвения и рождается божественное добро и богоравное человеческое.

Познание судьба у Платона связывается с какой-то тайной, глубоко-человеческой сверхразумной способностью. Эта способность — внутренний голос совести. Сама эта связь уже подчеркивает у Платона

необходимость этического осмысления того ирреального бытия. Высшей мировой тайной она представляет бытие, которое выше даже божественной личности, выше божественного Я. Следовательно высшей формой доброты, и в человеческой этике представляется способность высшего самозабвения. Она предстанет перед нами в форме высочайшего жертвоприношения самого я. Так как высшей и самой драгоценной собственностью для человека является его Я, то в приношение в жертву по голосу совести всего имеющего и даже своего Я, человек перевоплощается в свое небытие, перевоплощается в ничто. В этом высоком круговороте своей жизни, в таком богоподобном состоянии и может родиться истинно божественное Я человека. В этом случае, мы имеем дело с божественной способностью, с талантом самозабвения, который по философии Платона имеет в человеке свои собственные формы проявления. Но в данный момент мы этого вопроса не будем касаться.

Так представляется нам путь этического осмысления ирреального бытия Платона.

DENIZA ZUMBADZE

## ETHICAL COMPREHENSION OF IRREAL BEING IN THE PHILOSOPHY OF PLATO

S u m m a r y

As is generally known for Plato the material, changing, sensible world does not exist as a real world. The world that exists according to Plato is an eternal, nonchanging, intelligible one, and it exists beyond the sensible world.

This true, eternal, intelligible existence is an infinitely great and all-embracing power of goodness which has obtained a subjective, personal form. That is the "Demiurge", the Creator of the world, or God the Father according to Plato's view. The God as the objective reality is "goodness" and as a subject He is "Good".

This good God of Plato is a creator of evrything because of His Goodness.

Plato's ethical conception of the ideal Being proceeds from the relevant views of Empedocles and Parmenides. Parmenides explains all the visible world by means of the ideal Being which, he thinks, is the first cause of the visible world and simultaneously exhausts the metaphysical deepness of the world. Plato further elaborated this view of Parmenides..

According to Plato beyond the ideal Being, beyond the One, there exists a certain kind of ideal Being which is said to be no more a Being, no more an existence. Plato says that it is non-Being which he considers as the essence and the ultimate cause of the ideal Being. For neo-Platonist thinkers this essence becomes a central problem and is developed in a new God which they place higher than the good God of Plato. This new God of neo-Platonists is understood as something different from Goodness and irrea-

lity, which was the essence of Plato's God is called by them as super-Goodness. So "Goodness" lost its place as an ethical interpretation of the First cause of the world.

And here we may attempt to answer the following question: Can this new essence, which stands higher than "Goodness" be given an ethical interpretation.

The relevant texts of Plato and his successors seem to suggest the idea that the notion which expresses the Non-Being from the ethical point of view is self-oblivion. This interpretation is suggested by the Platonic identity of the Beginning and the End of the world and especially by Platonic description of the End of the world. The God of Plato, after having completed the creation of the world and coming to the End of His cosmic life, transforms into Fate or into pure Fatal power. The God as Fate (or if one may say "a fortunate Being") may be said to have lost His personality, having forgotten Himself. It may be said that He is no more God, that HE is not somebody who has forgotten Himself but is a pure self-oblivion. It is possible to say that this pure self-oblivion Itself is God. This is an unreal absolute Being of Self oblivion, from where the entire world is to emerge, to be revealed again. Plato himself never used the term "self-oblivion" in this sense, neither did his followers, but the kind of divine reality they all tried to investigate, may well be described by that term.

It is assumed that this notion may provide new insights into the philosophical systems of Plato and his followers.

(Представлена институтом Философии  
АН Груз. ССР)

---

## ფსიქოლოგია

А. С. ПРАНГИШВИЛИ

### УЧЕНИЕ И УСТАНОВКА

1. Мы не ставим перед собой задачи экспериментального изучения проблемы о месте понятия установки в психологии учения, позволим себе ограничиться лишь рассмотрением общетеоретических и принципиальных аспектов этой проблемы. При этом, предметом нашего рассмотрения будет психология образовательного учения. В условиях организованного педагогического процесса в школе ученик учится на основе осуществляемого учителем обучения. Деятельность учащегося в условиях обучения рассматривается нами как образовательное учение, т. е. как учение, направленное на формирование личности учащегося. Тем самым образовательное учение выступает как специфический человеку присущая форма учения, как специфический предмет психологического изучения. По отношению к образовательному учению закономерно наряду с вопросами «чему» и «как» обучать поставить и вопрос о природе самого процесса учения («внутреннего звена» процесса обучающего учения). В психологическом изучении процесса учения мы выделяем **проблему исследования учения как самостоятельной формы поведения учащихся, т. е. как процесса, в результате которого реализуется определенное отношение учащегося к тем задачам, которые ставит перед ним обучающая система.**

Тем самым ясно, что при определении места понятия установки в психологии учения в первую очередь следует исходить из общепсихологической теории поведения (деятельности) и из трактовки места понятия установки в системе ее концептуальных координат. При рассмотрении этого вопроса мы будем опираться на общепсихологическую теорию поведения (деятельности), разрабатываемую в свете понятия установки в Институте Психологии им. Д. Н. Узнадзе АН Грузии (см. А. С. Прангишвили, Исследования по психологии установки, Тбилиси, 1967).

2. Значение понятия установки в психологии учения в зависимости от различной методологии анализа поведения выступает в поле совершенно различных отношений, т. е. определенных проблем теории поведения (учения). Психология поведения (учения) характеризуется многообразием направлений. Общее между ними, с методологической точки зрения, состоит в том, что все они исходят из **постулата непосредственности** (Д. Узнадзе), согласно которому переживания и действия, имеющие место при осуществлении поведения, находятся в непосредственной связи между собой и с окружающей действительностью. Исходя из **постулата непосредственности**, система концептуальных координат строится на двучленной схеме анализа: воздействия ситуации на реагирующие системы и ответные переживания и действия. На постулате непосредственности строится молекулярный подход к изучению поведения: изучение поведения сводится к выяснению реакции элементарного характера, суммой которых оно представляется. При таком

подходе отрицается реальная зависимость эффекта внешних воздействий от их преломления во внутренних динамических отношениях живой системы **целостного субъекта деятельности** (личности). Всякое поведение, если исключить из него понятие активного субъекта, будет в сущности понятию молекулярно. Неудовлетворительность постулата непосредственности и строящихся на ее основе двучленной схемы анализа и молекулярного подхода к изучению поведения (учения) в том и состоит, что она совершенно исключает из поля зрения исследования существование промежуточных переменных, связанных с субъектом деятельности (личности).

Предполагается, что и начало и конец процесса учения протекает в таких пределах, в которых при его изучении не возникает задача включения в предмет исследования понятия **целостного субъекта деятельности** (личности). Например считается, что ступени учения возникают и развиваются, вытекая непосредственно друг из друга, в результате включения в этот процесс и выключения из него различных психических функций. Положение вещей представляется таким образом, что одна ступень возникает и уступает место другой, независимо от внутренней динамической структуры целостной личности.

Поведение как проявление **целостного субъекта** прежде всего выражается в системности («настроенности», «установленности») активной и ориентированной организации всех процессов, имеющих место при его осуществлении. В каждый дискретный момент деятельности избирательно направленные процессы-восприятия, памяти, воображения, решения задачи и т. п., проявляя определенную связность и последовательности, выступают как процессы едино управляемые «промежуточной переменной», т. е. как процессы, протекающие в определенной форме психической организации, в соответствии с чем и развивается одна **система активностей**, одно целостное, выявляющееся поведение.

Например, избирательно направленный характер развития и формирования ступеней каждого конкретного процесса учения, согласованность и взаимодействие психических функций на каждой ступени, ясно свидетельствуют о том, что весь процесс учения направляется первичной, целостной организующей процесс «промежуточной» переменной учения, которая обуславливает порядок, последовательность и внутреннюю структурную устойчивость образовательного учения как самостоятельной формы поведения.

При изучении проблем природы процесса учения, исходя из постулата «непосредственности», упускается из виду обстоятельство фундаментального значения, а именно: действие целостной динамической организации индивида, выраженное в возникновении, развитии и продуктивности отдельных ступеней учения и в активации связанных с ними психических функций.

Итак, неопровержимый факт, что в реальные отношения с действительностью вступают не отдельные акты переживаний и действий, а целостный субъект деятельности. Эти отдельные акты предполагают существование определенной целостности индивида, субъекта, отдельными актами которого они являются. Это значит, что поведение является молярной, неаддитивной единицей жизнедеятельности реального индивида. Молярное определение поведения предполагает установление отдельных **измерений** поведения как конкретной целостности, независимо от того, наличие каких еще отдельных психических процессов и действий будет подтверждено в составе поведения.



Объяснение активной и ориентированной организации всех процессов, имеющих место при осуществлении поведения, исходя из допущения существования **промежуточных переменных**, связанных с сущностью целостного субъекта деятельности, прежде всего ставит **проблему единицы динамической структуры целостно-личностного измерения** (ибо эта единица составляет базис определенно-ориентированной деятельности), к которому сводим действующий субъект в каждый конкретный момент его деятельности.

Никакое поведение не начинается с «пустого места». Индивид постольку является субъектом поведения, поскольку он организует свои «сущностные силы» не в самый момент деятельности, а **предуготовливается** к ней. Отсюда ясно, что искомым понятием единицы динамической структуры целостно-личностного измерения (базиса определенно ориентированного поведения) должно представлять собой понятие такого состояния субъекта, которое «внутренне определяет», «побуждает» к действию, т. е. понятие готовности, тенденции, диспозиции к определенной форме активности.

Отвечая на основной вопрос нашего сообщения, отметим: место понятия установки в общей теории поведения (учения) определяется в первую очередь тем, что это понятие, **релевантно проблеме высшего уровня психической организации — модуса субъекта в целом** — в каждый конкретный момент его деятельности (как отдельного измерения его целостной динамической структуры и базиса определенно-ориентированной деятельности). На основе результатов экспериментальных исследований грузинской школы советских психологов установку следует трактовать как модус целостного субъекта (личности) в каждый дискретный момент его деятельности — модус, представляющий собой высший уровень организации «человеческих сущностных сил», как бы фокусирующий все те внутренние динамические отношения, которые опосредуют в индивиде психический эффект стимульных воздействий на него и на базе которого возникает деятельность с определенной направленностью, как уравновешение между индивидом и средой.

Обыкновенно считают, что установку следует рассматривать как один из факторов выявляющейся деятельности, например в теории учения установку рассматривают как понятие релевантное лишь по отношению к проблеме одного из факторов поведения — активации и мотивации поведения и т. д.

Следует отметить, что мотивы, черты личности, концепты и т. п. факторы поведения (учения) не имеют непосредственного выхода в поведении. Они не изолированно друг от друга и «поштучно» определяют выявляющееся поведение, а **подчиняются регулирующей функции модуса субъекта (личности) в целом в каждый дискретный момент ее деятельности**. Если мы будем считать, что термин установки обозначает лишь один из факторов выявляющегося поведения, то все равно потребуется другой термин для обозначения понятия единицы динамической структуры целостно-личностного измерения, к которому сводим субъект поведения в каждый дискретный момент его деятельности. К тому же выяснилось, что функцией установки является не только создание потенциальной преориентации еще не наступившей активности, но и актуальное управление уже реализующейся активностью.

Вскользь можно заметить, что при таком понимании места и значения установки в общей теории поведения, согласно которому, выявляющееся поведение является реализацией диспозиции к определенной форме реагирования, т. е. установки, предвосхищающей реакцию, по-

ведение во времени находит свое оправдание в свете современных представлений о функциональной структуре действия, связанных с возникновением кибернетики. Установка выступает как фактор негентропического порядка. Выражая собой порядок, организацию, она является основой определенности поведения. Возникновение установки, готовности действовать именно таким, а не каким-либо иным образом, вызывает падение неопределенности. Установка — «закодированная модель» конечного результата реакции — является совершенно неотъемлемым компонентом структуры целенаправленной деятельности. Без этого регулирования деятельности оказывается принципиально невозможным.

Установка как базис поведения, являющегося процессом, имеющим результатом реализацию того или иного отношения индивида к своей среде, выступает, согласно исследованиям грузинской психологической школы, как модус целостного состояния субъекта, как готовность к определенной форме реагирования представляющий собой психологическое содержание взаимодействия потребности и ситуации (этих двух детерминант поведения), взаимодействия на базе которого вырастает поведение, обладающее определенной направленностью и тем самым реализующее определенное отношение индивида к своей среде.

Дело в том, что только с возникновением потребности индивид сталкивается с необходимостью установить определенное взаимоотношение со средой и прибегнуть к актам поведения. При наличии потребности среда действует на индивид не как случайная совокупность явлений, а как определенная система, как ситуация удовлетворения его потребности. Как принято говорить, стимул из «абсолютного» превращается в «детерминированный», т. е. в стимул, связанный с другими стимулами одним и тем же измерением удовлетворения потребности. Соответственно и ситуация действует непосредственно не на какую-либо отдельно взятую функцию, а на целостного индивида и, действуя, изменяет его целостную структуру.

В результате соналичия конкретной потребности и конкретной ситуации ее удовлетворения в субъекте возникает специфическое состояние — установка, которую можно охарактеризовать как направленность, специфическое отношение, как готовность к совершению акта, могущего удовлетворить эту потребность. «Для осуществления индивидом какого-либо поведения он как целостность должен находиться в совершенно определенном состоянии».

«Установка является модусом субъекта в каждый данный момент его деятельности — целостным состоянием, принципиально отличающимся от всех дифференцированных психологических процессов и психологических свойств личности» (Д. Узнадзе). Таким образом, основная психологическая сущность субъекта открывается нам в каждом случае активности в модификациях его установок. Отсюда ясно, что исходить при анализе поведения из промежуточных переменных, связанных с субъектом деятельности — это значит прежде всего, исходить из «первоначального целого психики» — установки, к которому сводится действующий субъект в каждый дискретный момент как субъект целесообразно приспособленного поведения, т. е. поведения, имеющего смысл, соответствующий и потребностям субъекта, и предметной действительности его деятельности.

Это «первоначальное целое психики» (модус субъекта в целом как отдельное изменение его целостной динамической структуры) определяет собой те предпосылки, которые ложатся в основу конкретизированных проявлений психической активности. Такая трехчленная схема

анализа находится в прямой связи с комплексом представлений, которыми заменяется в общепсихологической теории поведения «постулат непосредственности», двучленная схема и концепция мозаики «психических функций», изолированных от внутренней динамической живой системы целостного субъекта деятельности (личности).

Итак, основой теории поведения, тем самым и учения, выступает понятие функциональной системы в качестве структурной единицы целостно-личностного измерения, к которому сводится субъект в каждый конкретный момент его деятельности, т. е. установки. Это и определяет место понятия установки в теории учения.

Если не исходить из знания первичного целостного состояния субъекта поведения, т. е. установки как определенного отношения индивида к своей среде, как психического содержания взаимоотношения потребности и ситуации, на базе которого вырастает деятельность, обладающая определенной направленностью и ориентацией и в отношении которой частные психические процессы и отдельные действия являются лишь «вторичным явлением», невозможно ни описание, ни объяснение, ни изменение поведения (учения).

Начнем с того, что образовательное учение как самостоятельная форма поведения может быть выделена лишь с учетом особенностей, лежащих в основе ее установки.

В отличие от тех форм поведения (к примеру, обслуживания, потребления, труда и т. д.), которые характеризуются ориентацией индивида на удовлетворение каких-либо «вне их» существующих потребностей в целях создания продуктов удовлетворения этих потребностей, «учение никогда не ставит своей целью создание продукта с тем, чтобы удовлетворить наличную потребность. Оно касается самой активности. Основное место в учении занимает не продукт, предусматриваемый им в качестве конкретного навыка или знания конкретного содержания и т. д., а развитие в определенном направлении сил учащихся. Основное в учении — не конкретный навык или знание, а развитие сил, участвующих в процессе учения... Трудятся ради продукта, а учатся ради развития сил, участвующих в создании продукта» (Д. Н. Узнадзе). Такая установка, специфическая для учения как самостоятельной формы поведения, ориентированная организация индивида как определенным образом сложенной системы по своей природе является содержательной категорией. Прежде всего учение специфически тем и характеризуется, что активация сил человека в процессе учения осуществляется на основе материала, предлагаемого «извне». Учение всегда предполагает что-то, чему обучаются. Уже само понятие учения содержит идею чего-то внешнего, предлагаемого учащемуся именно извне как предмет учения. Но это вовсе не значит, что предлагаемое при обучении содержание в образовании ориентированной организации индивида — установки занимает место лишь только по своему объективному значению. То, что придает предмету учения психологический содержательный характер — это отношение содержания, т. е. предмета учения к потребностям и мотивам индивида.

Как было отмечено выше, деятельность с определенной направленностью возникает на базе взаимодействия потребности и ситуации ее удовлетворения, взаимодействия, психологическим содержанием которого и является установка. Установка учения как первичное целостное состояние субъекта поведения, как модус субъекта в каждый дискретный момент его деятельности, образуется на основе взаимоотношения конкретного предмета учения и мотива, конкретной потребности, ситуа-

цией удовлетворения которой этот предмет выступает. Этим самым установка позволяет судить и о смысле учения и о реализуемом ею специфическом отношении целесообразности поведения. Поведение предвосхищено в целостном состоянии индивида — установке. Это значит, что установка выступает как цель поведения. Но при этом как таковая, она образуется как состояние, учитывающее и субъекта, и объективную действительность — эти две детерминанты поведения.

Из такой трактовки процесса образования установки совершенно ясно вытекает положение об активной, динамической и иерархической организации установки. Иерархия установки в случае учения определяется тем, насколько установка приближается к уровню ее такого образования, когда предмет учения, и ничто другое, выступает также и мотивом, потребностью учения. В соответствии с природой установки этот процесс происходит в результате не только последовательного расширения системы знаний, но и последовательного формирования потребностей и мотивов учения. Приобретение знания есть результат определенных мотивов, но, со своей стороны, знание формирует мотивы учения.

Мы попытались охарактеризовать особенности установки учения как первичного целостного состояния индивида, определенным образом организованной системы, лежащей в основе развития конкретных процессов учения, представляющих собой явления «вторичного порядка» в отношении этой целостной структуры. Но эту зависимость нельзя понимать как прямолинейную. Результаты учения «в порядке обратной связи», ложатся, в свою очередь, в основу формирования установки. Учение как процесс реализации того или иного отношения учащегося к тем задачам, которые ставит перед ним обучающая система, выступает как волевая деятельность. Существенными для процесса учения являются следующие ступени: а) начальная ступень: «презентация» предмета учения, возникновения задачи (вопроса) учения; б) возникновение намерения решить задачу, выяснить вопрос, сделать ситуацию ясной; в) осуществление намерения — задачи учения; г) закрепление знания, полученного на ступени осуществления намерения учения.

Исследования, проведенные в нашем институте, показали, что установка как первичная целостная структура определяет собой предпосылки, лежащие в основе развития вышеуказанных конкретных ступеней процесса учения.

Некоторые авторы возникновение вопроса, чувства удивления как начальной ступени процесса учения представляют «последней инстанцией», объясняющей возникновение и особенности всего процесса учения. Выяснилось, что возникновение вопроса, чувства удивления — явление «вторичного порядка» в том смысле, что одно и то же явление может вызвать или не вызвать чувства удивления и связанное с ним возникновение вопроса в зависимости от активной ориентированной организации индивида, от его установки. Кроме того, выявлены факты, дающие основание считать момент принятия решения осуществить задачу учения явлением смены установки, смены актуализированной, фиксированной установки установкой, возникшей в результате объективации предмета учения.

Исследованием установлено, что на течении процесса выполнения намерения учения сказывается влияние того понимания значения предмета учения и «того мотива учения, на основе которого была образована установка, лежащая в основе намерения учения». Эта закономерность была изучена в связи с двумя моментами процесса осуществления



намерения: а) преодоления трудностей на пути реализации намерения учения и б) постижения путей решения задачи.

Изучение завершающей ступени процесса учения, заключающейся в запоминании и закреплении приобретенного знания, выявило зависимость запоминания от иерархической организации установок личности. В процессе учения установка выступает как «перемежающееся» состояние — и как условие, и как результат учения. Было показано также, что приобретенная в результате образования система понятий и представлений, вследствие определенных процессов, преобразуется в высокообобщенные динамические схемы — установки (*attitude*), которые, по мнению Г. Оллпорта, обладают способностью делать многие стимулы функционально-эквивалентными и порождать и направлять связанно последовательные формы адаптивного и экспрессивного поведения.

Таким образом, процесс образовательного учения органически связан с формированием установок, лежащих в основе последовательности и структурной устойчивости ступеней учения как самостоятельной формы поведения личности.

В своем сообщении мы поставили перед собой задачу определить место понятия установки в теории учения, в частности попытались доказать что **основой теории учения выступает понятие функциональной системы как структурной единицы целостно-личностного измерения, к которому сводим субъект в каждый конкретный момент его деятельности, т. е. установки.**

Наш анализ модельной схемы основной функциональной единицы учения основывался на рассмотрении образовательного учения как волевой деятельности, направленной на осуществление сознательно поставленной цели. При этом мы исходили из методологического принципа, что природа образовательного учения должна стать ключом раскрытия внутренней направленности низших форм учения, подобно тому, как «анатомия человека, по словам Маркса, —ключ анатомии обезьяны».

Прага, 19 июля, 1973 г.



### ა. ბარბაქაძე

## მნიშვნელობის ფვლომის თავისებურება შიზოფრენიით დაავადებულ შემთხვევაში

შიზოფრენიისათვის დამახასიათებელი წიგნიერითი პათოლოგიური სიმპტომი აყენებს საკითხს საგნის მნიშვნელობის ფვლომის თავისებურების შესახებ ამ დაავადების დროს. მოცემული საკითხი შევისწავლეთ ავადმყოფებთან, რომელთაც აღენიშნებოდათ მწვავე ფსიქოზური განცდები ცნობიერების განსხვავებული მდგომარეობის — სიზმრისებური მდგომარეობისა (I ჯგუფი) და ე. წ. კლინიკურად ნათელი ცნობიერების (II ჯგუფი) დროს. კვლევის ჩერხად შერჩეულია დ. უზნაძის ცნობილი მეთოდი, რომელიც მან გამოიყენა 1927 წელს შინაარსეულ განცდათა ნიადაგზე ნაკულისხმევი საგნის მნიშვნელობის ფვლომის პრობლემის შესასწავლად.

თვალდაუხვევლად ედისპირს გამოსაცნობად აძლევდა ხელთ რამდენიმე საგანს, რომლებიც განზრახ ისეა დამახინჯებული, რომ ადვილად ვერ გამოიცნობა.

ედისპირი ყოველნაირად სინჯავს საგანს, ცდილობს რაც შეიძლება მეტი შეიტყობოს მისი სახელი, ამ სენსორულ მასალაზე დაკრძობით, საგნის ცნობა სცადოს. ვინაიდან თვალის ახვევა ავადმყოფისათვის უკვე უჩვეულო სიტუაციაში ყოფნას ნიშნავს (მან საგანი უნდა გამოიცნოს მართლ შეხების საშუალებით), ცდა გავამარტივეთ იმით, რომ საგნები არ დავეიმახინჯებოდა, — პირიქით, — შევეცადეთ შეგვეჩინა ადვილად გამოსაცნობი მარტივი საგნები; მაგალითად: საგნები, რომლებიც ერთი მასალისაგანაა აკრძებული (ლოკოინის ნაქარა, საყურე, ხის ფეხურა—ყალიბი პლასტიკური მასალისათვის ფორმის მისაცემად, ოდეკოლონის ბოთლის თავი); საგნები რომლებიც სხვადასხვა მასალისაგანაა გაკეთებული (ბადმინტონის ბურთი, სანთელი, სასხურებელი დასანამად) და ერთი იხეთი საგანი, რომელიც მოცულობით დიდია ე. ი. ხელის ერთი შეხებით ვერ გამოიცნობა (რკინის შანდალი) — სულ რვა საგანი.

ვინაიდან ჩვენ ავადმყოფებს თვითდაკვირვებას ვერ მოვთხოვდით, უნდა დავკმაყოფილებულიყავით მხოლოდ ობიექტური პასუხის ანალიზით; ამასთან ერთად, განსაკუთრებით ვუწევდით ანგარიშს მათს ქცევას მიწოდებული ობიექტის მოსინჯვისას და, საერთოდ, მათს დამოკიდებულებას ექსპერიმენტისადმი.

ავადმყოფთა ერთი ნაწილი (პირველი ჯგუფი) ხალისით ღებულობდა ცდებში მონაწილეობას; უფრო სკეპტიკურად უსურებდა ცდებს ავადმყოფთა მეორე ნაწილი (მეორე ჯგუფი), ისინი თითქოს ინდიფერენტული იყვნენ ცდების მიმართ (ერთმა ავადმყოფმა საერთოდ უარი განაცხადა ექსპერიმენტზე იმ მოტივით, რომ ხელები და თვალები მისი არ არის და იგი ვერ შესძლებს ამოცანის პირობის დაკმაყოფილებას, ერთმაც ცდები შესწყვიტა იმის გამო, რომ ქონდა ძლიერი შიშის განცდა და ვერ ჩაება ცდაში), ამ ჯგუფის ავადმყოფები მართალია ასრულებდნენ დავალებას, მაგრამ ძალიან გაკვირებული იყვნენ და ხშირად გვეითებოდნენ „რა საჭიროა ეს?“ „მე გამოკვლევა არ მჭირდება“ და ა. შ.

თვით ექსპერიმენტის სიტუაციას ჩვენს ავადმყოფებთან არ გამოუწვევია უხერხულობისა და დაძაბვის განცდა, რომელიც თავს იჩენს ნორმალურ

ცდისპირთა შემთხვევაში; ვფიქრობთ, ეს უნდა აიხსნას თვით ავადმყოფის საერთო მდგომარეობით. აღნიშნული ექსპერიმენტის პირობებში შეუძლებელია ცნობიერების მუშაობა თავისუფლად შეუფერხებლად მიმდინარეობდეს; პირიქით, ცდა ისე იყო აგებული, რომ ცნობიერების თავისუფალ მიმდინარეობას რაც შეიძლება მკვეთრი დაბრკოლება ჰქონოდა; მაგრამ ავადმყოფებთან ეს არ იგრძნობოდა. საკმარისია გადავხედოთ ჩვენი ოქმების ამონაწერს, რათა დავრწმუნდეთ, რომ პირველი ჯგუფის ავადმყოფთან, საგნის ცნობის პროცესში, უპირველეს ყოვლისა, აღმოცენდება საგნის მთლიანად ცნობის განცდა. როდესაც ავადმყოფს ობიექტი ეძლევა ხელში, მისი ინტენცია პირველ რიგში მთლიანობის, და არა მისი ნაწილების, მნიშვნელობისავე მიიმატება; იგი მთლიანობის ძიებას იწყებს და ნაწილები როგორც ცალკე დამოუკიდებელი მომენტები მისთვის შეუმჩნეველია, უმნიშვნელოა.

აიღებს თუ არა ავადმყოფი ხელში საგანს, იმწამვე მის სინჯვას იწყებს, მაგრამ ზერეღვდ, არც ერთ მის ნაწილს საგანგებო ყურადღებას არ აქცევს. საკმარისია მას ხელში საგნის ერთი რომელიმე დამახასიათებელი ნაწილი მოხედეს რომ მის ცნობიერებაში გაჩნდეს ობიექტის ფორმის წარმოდგენა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ გზით აღმოცენებული წარმოდგენა ფორმის შესახებ ერთბაშად მთელი საგნის ფორმად განიცდება, მიუხედავად იმისა, რომ ამავე საგნის სხვა ნაწილების აღნაგობა შეიძლება ზოგჯერ სრულიად არ ამართლებდეს შემთხვევით წამოჭრილი ფორმის წარმოდგენის მთელ საგანზე გავრცელებას. მაგ. შანდლის დაგრეხილი ნაწილის განცდისას ავადმყოფს ხერხის წარმოდგენა უჩნდება და მას როგორც ხერხს აღიქვამს, ანდა იმავე შანდალზე სხვა ავადმყოფი ამბობს „სამედიცინო საგანია, ამით ფილტვებს სინჯავენ“; ხოლო სანთლის შესახებ — „ეს კიტრია (ყნოსავს) ეს ჩემი ყველაზე საყვარელი საქმელია—ანანასი“, ეს განცდა იმდენად რეალურია, რომ ავადმყოფს საგანი პირთან მიაქვს; საყურის დასამაგრებელი ნაწილი ავადმყოფმა განიცადა, როგორც კურდღლის წინა კბილები; ბადმინტონის ბურთი, როგორც „გოგონას კაბა“ „ქიქა“, ან „ნავის კალათა“ და ა. შ.

როგორც ჩანს, ავადმყოფი შემთხვევით შემჩნეული დეტალის საფუძველზე ერთბაშად ახდენს საგნის განსაზღვრას და ამ დეტალს მთელი საგნის ფორმად მიიჩნევს. შანდლის წაგრძელებული ნაწილი ავადმყოფმა წარმოიდგინა ფონდოსკოპად „სამედიცინო საგანია, ამით ფილტვებს სინჯავენ“, საყურის სინჯვისას მისი დასამაგრებელი ნაწილის დახურვა-გაღების პროცესმა ავადმყოფში გამოიწვია კურდღლის წინა კბილების წარმოდგენა. მან საყურე კურდღლის კბილებად აღიქვა. ბადმინტონის ბურთი ავადმყოფების მიერ აღქმულია, როგორც „გოგონას კაბა“, „ქიქა“ ან „ნავის კალათა“. როგორც ჩანს, ჩვენს ავადმყოფებთან საგანი ერთი, ხშირად არაარსებით, ნიშნით განიცდება და ამიტომ მის ცნობიერებაში მეტად სუბიექტური ზოგადი წარმოდგენა იჭრება.

ფაქტი, რაც ნორმალური ფსიქიკისათვის არის არსებითად დამახასიათებელი, სახელობრ ის, რომ ობიექტის შემდეგი გათვალისწინების პროცესში ცდისპირი ერთი ნიშნის ნიადაგზე მიღებული ფორმის წარმოდგენას უკუთავადებს და რომელიმე ახალი, განსაკუთრებით დამახასიათებელი ნაწილის მიხედვით საგნის ახალი ფორმის წარმოდგენას იმუშავებს, ჩვენ პირველი ჯგუფის ავადმყოფებთან არ შეგვხვედრია. პირიქით, მათი ფსიქიკისათვის სწორედ ის არის დამახასიათებელი, რომ საგნის ფორმის წარმოდგენა, რომელიც უშუალოდ ჩნდება მათ ცნობიერებაში, ბოლომდე უცვლელად განაგრძობს არსებობას და პირველი ჰიპოთეზის უკუგდება და საგნის რომელიმე ახალი ნიშნის გათვალისწინების საფუძველზე ახალი ჰიპოთეზის წამოყენება აქ არ ხდებ-

ბა; თანაც ფორმის მსგავსება ისე დომინირებს, რომ ავადმყოფი სრულიად უგულვებელყოფს ისეთ მნიშვნელოვან ნიშანს, როგორიც არის საგნის სიდიდე (მაგ. ბადმინტონის ბურთის ნაგვის კალათასთან აიგივებს, ან გოგონას კაბასთან და ა. შ.). მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ავადმყოფები საგნის მნიშვნელობის წვდომის პროცესში საგნის სწორ ცნობას ვერ ახერხებენ და მათი წარმოდგენები რეალური ობიექტის შესატყვისი არ არის, ეს წარმოდგენები მათთან მეტად ცხოველ ხასიათს ატარებს.

მაგალითად: ავადმყოფს, რომელმაც სანთელი ანანასად განიცადა იმდენად ძლიერი და ნათელი განცდა გაუჩნდა, რომ მან ამ ანანასის შეჭმაც კი მოინდომა; საგანი ისე ნათლად არის ცნობიერებაში წარმოდგენილი, რომ ზმირია შემთხვევა, როცა ავადმყოფები მის ფერსაც განიცდიან; „ცის ბორბალია, ტრიალებს, მწვანეა“, „რალაც მოტორის ნაწილია, რუხი ფერის არის“, „ყაყაჩოს ყვავილია, წითელი“. ძლიერი გაცდის გამო ავადმყოფი, რომ აღნიშნავს „ფოტოაპარატი თვალახვეული ვარ, მაგრამ მაინც უხედავ“ და ა. შ.

წარმოდგენის ხატი ავადმყოფებთან მეტად სუბიექტურია და ამიტომაც, რომ ერთსა და იმავე საგანს სხვადასხვა ავადმყოფი სრულიად სხვადასხვა საგანთან აიგივებს. ავადმყოფს უჩნდება არაადეკვატური წარმოდგენა, რომლის შინაარსობრივი დაკავშირება ობიექტურ საგანთან შეუძლებელია, მაგრამ რომელიც თავს იჩენს იმის გამო, რომ საგანი შემოდის ცნობიერებაში რალაც ერთი ნიშნის მიხედვით წამოკრილი შთაბეჭდილების საფუძველზე და დანარჩენი რეალური მონაცემების წარმოდგენილ საგანთან შეჯერებას ავადმყოფი ვერ ახდენს. მის მიერ მიღებულ გრძნობად შთაბეჭდილებას ავადმყოფი ნაგულისხმევ საგანთან აკავშირებს არა საგანთა რეალური მსგავსების, არამედ ზოგადი დიფუზიური გაცდის საფუძველზე, რომელშიც გაიგივებულია საგნისაგან მიღებული არადიფერენცირებული შთაბეჭდილება და ავადმყოფის მიერ წარმოსახული ობიექტი. ამრიგად, შინაარსის მხრივ სრულიად განსხვავებული მომენტები შეიძლება დაკავშირდნენ იმის გამო, რომ მათ ს ა ე რ თ ო ე მ ო ც ი უ რ ი ფ ო ნ ი ა ქ ვ თ. სწორედ ამაში იჩენს თავს ავადმყოფის „სუბიექტური ლოგიკა“. ნორმალური ფსიქიკის შემთხვევაში ცდისპირნი ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ობიექტურმა საგანმა რაც შეიძლება მრავალმხრივ იმოქმედოს მათზე, რაც შეიძლება მეტი შეგრძნებითი შინაარსი მოიმარაგონ, რათა ამით საგნის ცნობის ამოცანა გაიადვილონ, ამას ჩვენი ავადმყოფები ვერ ახერხებენ.

პათოლოგიური მასალის ანალიზი ავლენს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ცნობის აქტი ავადმყოფებთან მთლიანად წვდომით მიიღწევა ე. ი. ობიექტის მნიშვნელობა მიწოდებული საგნის განსაზღვრული შინაარსის ანალიზის ნიადაგზე კი არ ხდება, არამედ იგი უშუალოდ, გრძნობად შინაარსისაგან მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად ევლინება ცნობიერებას. მაგალითად: ავადმყოფი ხის ყალიბის შესახებ გვეუბნება, რომ ეს არის ფოტოპორტრეტი; როცა მოვთხოვეთ ახსნა, გვითხრა, რომ „ამის საშუალებით ხდება კოპირება, რასაც დავადებთ იმის მსგავსის გამეორება“. ჩვენი მიერ მიწოდებული ხის ყალიბი მართლაც წარმოადგენს საგანს, რომლის დანიშნულებაც არის პლასტიკური მასისათვის ფორმის მიცემა. ვფიქრობთ, ეს კარგი მაგალითია იმის საჩვენებლად, რომ ამ შემთხვევაში ობიექტის პირველადი მნიშვნელობის განცდა დაუმთავრებელსა და საკმაოდ სქემატურ განცდას წარმოადგენს. ავადმყოფმა ფოტოპორტრეტად განიცადა საგანი არა ობიექტის მრავალმხრივი ზემოქმე-

დების შედეგად, არა იმის გამო, რომ მან მოახდინა გრძნობადი ნიშნების კონსტანტაცია (ასე რომ ყოფილიყო, მაშინ სრულიად გაუგებარი იქნებოდა ფოტოპორტრეტის შემოჭრა ცნობიერებაში), არამედ მან ერთბაშად მიაგნო საგნის მნიშვნელობას. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში თვალსაჩინოების მომენტი გამოირიყუტა. თუ ნორმაში ძნელია პირველადი მნიშვნელობის დაჭერა მისი წმინდა სახით, ვინაიდან საკმარისია იგი გაჩნდეს, რომ მის ნიადაგზე ცნობიერების გრძნობადი შინაარსი და ფორმის წარმოდგენა დაუბრკოლებლივ გარკვეული საგნის განცდად აქცევს მას, პათოლოგიურ მასალაზე ეს უფრო ნათლად გამოჩნდა. ავადმყოფებთან დადგენილი საგნის ადეკვატური ცნობის შეუძლებლობა განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ადასტურებს აღქმის საგნის გველენას აღქმის შინაარსზე, რაც პირველად დ. უზნაძის მიერ იქნა ექსპერიმენტულად დადგენილი ჯანმრთელ ცდისპირებთან; გრძნობადი შინაარსები საგნის შესატყვისად განიცდება და ყალიბდება, ამის შესანიშნავი ილუსტრაციაა ის შემთხვევები, როცა ავადმყოფი მის მიერ ნაგულისხმევი საგნის შესატყვისად განიცდის საგნის ცალკეულ ნიშანს<sup>1</sup>.

მაგალითად, ავადმყოფი აღნიშნავს: „მრგვალია, ამაში ზის ჭია, შუშისა“ (ლოკოინის ნივარა), „ეს ბოძის თავს გავს, რკინა“ (დასანამი), ან იგივე საგანზე სხვა ავადმყოფი აღნიშნავს, (ლითონის გამოზურთული საგანია, საათის ნაწილი“ და ა. შ. ამ შემთხვევაში ჩანს, რომ აღქმის შინაარსზე გველენას ახდენს ის საგანი, რომელსაც გულისხმობს ავადმყოფი აღქმაში. პლასტმასის საგანი რკინისად აღიქვა იმის გამო, რომ იგი ბოძის თავად წარმოდგინა. ან სხვა ავადმყოფმა იგივე საგანი ლითონად განიცადა, როგორც საათის ნაწილი.

ავადმყოფები მხედველობაში არ იღებენ სენსორულ მონაცემთა ერთობლიობას, ვერ აანალიზებენ და ვერ აკავშირებენ ერთმანეთთან სენსორულ მონაცემებს და ერთს რომელიმე ნიშანზე დაყრდნობით ახდენენ საგნის ცნობას, ამიტომაც, რომ ერთი და იმავე მასალის მოცემულობისას სხვადასხვა ცდისპირთან წამოიჭრება სხვადასხვა ობიექტის წარმოდგენა და თავისთავად საგნებით ერთმნიშვნელოვანი საგანი, ავადმყოფთა გარკვეული ჯგუფის ცნობიერებაში, თუ შეიძლება ითქვას, მრავალმნიშვნელოვნად იქცევა; ე. ი. ავადმყოფს არ შესწევს უნარი, ობიექტის ყველა ნაწილი გაითვალისწინოს და ფორმის პირველადი წარმოდგენა, რომელიც ობიექტის ერთ-ერთი ნაწილის შეხებისთანავე იბადება, მას წარმოდგენილის მთელ საგანზე გადააქვს და სრულებით არ ითვალისწინებს ობიექტის სხვა ნიშნებს, რომელთაც მის მიერ ნაგულისხმევ საგანს არ შეესატყვისება. ამ ავადმყოფთან არ აქვს ადგილი ცნობის აქტის შეფერხებას; თუმცა ადეკვატური ცნობის აქტი არ ხორციელდება, მაგრამ ავადმყოფი ვერ გრძნობს, რომ ვერ მოახერხა ობიექტის სწორედ ცნობა. იგი დარწმუნებულია აღქმის სისწორეში და ცდის დამთავრების შემდეგაც არ ახდენს თავის მონაცემების ანალიზს. ამ ჯგუფის ავადმყოფებთან ჩვენ არ გვქონია არც ერთი შემთხვევა იმისა, რომ ავადმყოფს ეთქვას „ვერ მივხვდი“, ან „ვერ გამოვიცანი“, ან — თუნდაც დაყოვნება „რა შეიძლება იყოს“ და ა. შ. მას ეჭვიც არ ეპარება, რომ საგნის ნამდვილ მნიშვნელობას ვერ წვდა. ამიტომ საგნის მნიშვნელობის წვდომის პროცესში პირველი ჯგუფის ავად-

<sup>1</sup> ეს ფაქტი აღნიშნული აქვს აგრეთვე პროფ. ი. ბეჟალავს ეპილეფსიით დაავადებულებთან მნიშვნელობის წვდომის თავისებურებათა კვლევის შემთხვევაში, (იხ. ი. ბეჟალავი, ეპილეფსია, თბ., 1959).



მყოფებთან ყველაზე სუსტ პუნქტად ის უნდა ჩაითვალოს, რომ მას არ შესწევს ერთხელ მიღებული მნიშვნელობის კონტროლის ან შემოწმების უნარი<sup>2</sup>.

კონტროლის პროცესი უშუალოდ ახალ მნიშვნელობას არ იძლევა, მისი როლი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ან ასაბუთებს ნაგულისხმევი მნიშვნელობის მართებულობას ან და უარყოფს მას; მაგრამ პათოლოგიურ მასალაზე უფრო კარგად გამოჩნდა, თუ რა დიდი ადგილი უკავია მას საგნის მნიშვნელობის წვდომის პროცესში. გრძობად შინაარსს ნაგულისხმევი მნიშვნელობა აძლევს გარკვეულსა და კონკრეტულ ინდივიდუალურ რაობას. ავადმყოფი ბოლომდე რჩება პირველი შთაბეჭდილებით და ობიექტის შემდგომ გათვალისწინებას ვერ ახერხებს, იგი ვერ ამჩნევს იმ შეუსაბამობას, რომელიც მიწოდებულ ობიექტსა და მის მიერ ნაგულისხმევი მნიშვნელობას შორის იქმნება. მიუხედავად იმისა, რომ ის დიდხანს ატრიალებს საგანს ხელში, მაინც ვერ ახერხებს მასზე შექმნილი აზრის შეცვლას ისეთი მნიშვნელობით, რომელიც უფრო ადეკვატურია ობიექტურისა. ფაქტიური მდგომარეობა ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ავადმყოფმა ერთი გარკვეული მნიშვნელობით აღიქვა ესა თუ ის საგანი, შეიძლება სრულიად არაარსებითი ნიშნით და მის მიერ ნაგულისხმევი მნიშვნელობა ემყარება შეგრძნებათა მასალას (უმეტესად ფორმას); შემდეგ სხვა ნიშნების გათვალისწინებამ უნდა აიძულოს იგი, შეცვალოს პირველი მნიშვნელობა ახალი, უფრო ზუსტი, ადეკვატური მნიშვნელობით; მაგრამ სიძნელეს სწორედ ის წარმოადგენს, რომ ავადმყოფს საერთოდ არ შეუძლია საგანში ნაგულისხმევი მნიშვნელობის შეცვლა<sup>3</sup>.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ თუმცა ამ ჯგუფის ავადმყოფებთან გრძობადი შინაარსის განცდები, — მათ შორის ფორმის პირველადი განცდაც, — საგნობრივი ბუნების განცდებია, მაგრამ ისინი უფრო სუბიექტური მდგომარეობის გამოხატულებას წარმოადგენენ, ვიდრე ობიექტურის რაობის გამომსახველ დასრულებულ განცდას. ჩვენ ცდებში შევხვდით ისეთ პასუხებს, რომლებიც არაფრით გამოსახავენ საგნის ობიექტურ მხარეს.

მაგალითად: „ეს არის კარგი ფორმის რაყეტა“ (შანდალი), „ჩემი პატარა პისტოლეტია“, „ეს კიტრია, ჩემი ყველაზე საყვარელი საჭმელი ანანასი“ (სანთელი), „ეს არის დასაწყისი ჩვენი მალა ასკლის“ (ლოკოინის ნიჟარა), „ეს ფეგასური ბოშაა, ამის ახლოს დადება არ შეიძლება“, „ჰადრაკის დედოფლის გვირგვინია, თავზე აქვს დედოფალს“, „რომელიღაცა მოტორის ნაწილია, რუხი ფერის არის“ (საყურე). „ფოტოაპარატი რაყეტის ფორმა აქვს“, „სასოფლო სამეურნეო ორდენია“ (ბადჰანტონის ბურთა). „გენერალურა მარშლის შეიარაღებული ძალების ნიშანი“, „აპარატი საყურებელი“ (დასანაში), „ეს კარგი პოშიაა, წითელი“, „ჰადრაკის პაჟია“ (ოდეკოლონის ბოთლის თავი) და ა. შ.

ამ ავადმყოფთა ფსიქოზური განცდების შინაარსის გათვალისწინება ჩვენთვის გასაგებს ხდის, თუ რატომ აღიქვამს ავადმყოფი მიწოდებულ საგნებს რაყეტად, პისტოლეტად, ჰადრაკის ფიგურად და ა. შ. ამ შემთხვევაში, საგნის ცნობის დროს, საქმე გრძობად განცდათა დაგროვებას კი არ ეხება, არამედ მასალის ინტერპრეტაცია, როგორც ვნახეთ, ავადმყოფის მიერ მის სუბიექტურ განწყობილებათა რეალიზაციის მიმართულებით ხდება.

<sup>2</sup> როკოზ ჯ. მდენის გამოკვლევებიდან ირკვევა, კონტროლის სისუსტე დამახასიათებელია, აგრეთვე, ავადმყოფებისათვის შიზოფრენიის ქრონიკული მდგომარეობის სტადიაშიც (იხ. ჯ. მდენი, მნიშვნელობის წვდომის თავისებურებანი შიზოფრენიის შემთხვევაში, ხელნაწერი, 1948).

<sup>3</sup> შიზოფრენიით დაავადებულთა აღქმისა და აზროვნების პროცესში მნიშვნელობის შეცვლის სიძნელე აღნიშნული აქვს მ. საყვარელიძეს შრომაში: მასალები ბოდვის ფსიქოპათოლოგიისათვის, თბ., 1965.



ჩვენ ამ ჯგუფის ავადმყოფებთან ვნახეთ ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ისინი ადეკვატურად აღიქვამდნენ მიწოდებულ საგნებს. მაგრამ, როგორც ამას თვით ავადმყოფები აღნიშნავდნენ, ეს მათთვის ყოველდღიური ცხოვრებიდან კარგად ნაცნობი საგნები აღმოჩნდა; ამიტომ ამ საგნებს იმწამსვე ცნობდნენ, სრულიად უშუალოდ, შეფერხების გარეშე. მაგრამ იგივე ავადმყოფები სხვა საგნების მიწოდების შემთხვევაში ძალიან სუბიექტურ პასუხებს იძლეოდნენ.

განსხვავებულად ახდენენ საგნის ცნობის აქტს II ჯგუფის ავადმყოფები: მათთანაც ცნობის აქტი თვალსაჩინოდ გამოირჩევა ნორმალური ცდისპირები-საგან; უმეტეს შემთხვევაში ისინი პროტესტს აცხადებენ ექსპერიმენტზე, თავს არ თვლიან ავადმყოფად და ყოველგვარი შემოწმება მიაჩნიათ ზედმეტად; მათი ქცევა ემოციონალურად დაცლილ შთაბეჭდილებას ქმნის, ავადმყოფს არ ემჩნევა უხერხულობისა და უსიამოვნების განცდა, არც რაიმე დაინტერესება ან სურვილი. ის ცნობს, ან არ ცნობს საგანს, — მხოლოდ ყველაფერ ამას, უმრავლეს შემთხვევაში, ინდიფერენტულად, უხალისოდ ასრულებს. პირველი ჯგუფისაგან განსხვავებით, პასუხებში ხშირად ვხვდებით „არ ვიცი რა საგანია“, „ვერ გამოვიცანი“ და ა. შ. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ობიექტურად სწორი პასუხები ამ ჯგუფის ავადმყოფებთან გაცილებით მეტია.

ავადმყოფი გამოსაცნობი საგნის პირველი შეხებისთანავე უინტერესოდ იძლევა პასუხს. იგი ხშირად იძლევა საგნის დეტალურ დახასიათებას.

მაგალითად: „რკინის საგანია, ზემოდან ჭიქა აქვს, ქვემოთაც ჭიქა აქვს, ზემოთა ჭიქა პატარაა, ქვემოთა ჭიქა დიდია“ (შანდალი). „ბავშვს რომ აძლევენ თამაშსას ის არც, უკან მსხვილი ნაწიბურები წვრილი აქვს“ (სანთელი), „არ ვიცი კონუსის ფორმა აქვს, ხისაა, შეიძლება პალტოს ჩამოსაყილია“, „პარაფინის საგანია, რომელსაც კისტი აქვს ბოლოში“, „ფანქარია და ბოლოში ჩოთქი აქვს“, „შუშისაა ეკლიანი, კულაბა“ (ნიჟარა), „ავია, ფორმა აქვს ასეთი“ (მაჩვენებს ხელით), „ამის სახელი მიჭირს, ამობურცული თავი აქვს, ბოლოში რეზინაა“ (დასანამი), „სათითე, შიგნით რაღაცა აქვს“ (ბოთლის თავი), „შიგნით ხრახნი აქვს, პლასტმასისაა“, „გრძელი, შიშველი, რომ გადავაბრუნოთ ხის პეშკაა“ (ხის ყალიბი) და ა. შ.

ეს ავადმყოფები ობიექტის ნაწილობრივ მომენტებს (მასალას, ფორმას, ზოგჯერ მის ნაწილს, საგნის აღწერილობას) შენიშნავენ, ე. ი. ავადმყოფი ვერ ახერხებს რა მთლიანი საგნის ცნობას, იგი ნაწილების აღწერას და ჩამოთვლას მიმართავს: ხან ერთ ნაწილს შეეხება, ხან მეორეს. თითქოს მისი ამოცანა მთლიანის კი არაა, ცალკე ნაწილების ჩამოთვლასა და დახასიათებაში მდგომარეობდეს; მაგრამ, როგორც ამონაწერიდან ჩანს, ცალკე ნაწილებისადმი მიმართული აქტები, არ არის საკმარისი საგნის მთლიანის წვდომისათვის; თითქოს სენსორული მასალა მრავალმხრივ არის მოცემული, მაგრამ საგნის ცნობა მაინც ვერ ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფების მიერ შენიშნულია საგნის ისეთი ნიშნები, რომელიც განსაკუთრებით დამახასიათებელი მნიშვნელობისაა საგნისათვის, ისინი ხშირ შემთხვევაში მაინც ვერ ახერხებენ საგნის ცნობას (მაგალითად: ვერ იცნეს პარაფინის სანთელი, მიუხედავად იმისა, რომ შენიშნეს პატრუქი). საქმე ის არის, რომ ნორმაში, როგორც ამას დ. უზნაძე აღნიშნავს, „რაც უნდა იყოს, ნაწილი ყოველთვის მთლიანის დალით არის აღბეჭდილი, ზოგჯერ მეტად და ზოგჯერ ნაკლებად. და როდესაც შემდეგ სუბიექტი კვლავ მთლიანისადმი ინტენციით მიმართავს მიწოდებულ საგანს, იმის მიხედვით, თუ რა და რა მთლიანის შესაფერისი გან-

წყობა მომზადდა, მის ცნობიერებაში საგნის მნიშვნელობის სხვადასხვა შესაძლებლობა იჩენს თავს. ამ შესაძლებლობათა შორის არჩევანი უნდა მოხდეს<sup>4</sup>.

პათოლოგიურ შემთხვევაში კი ნაწილობრივი ცნობის აქტი დამოუკიდებელია, მთლიანის გარეშეა და მთლიანი ობიექტის მნიშვნელობის წვდომას ვერ ეხმარება (მაგალითად: სანთლის პატრუქი როგორც ცალკე საგანია განცდილი, და არა როგორც ნაწილი. „ფანქარია და ბოლოში ჩოთქი აქვს“, „პარაუზინის საგანია, რომელსაც კისტა აქვს ბოლოში“, ან შანდალზე ამბობს „რკინის საგანია, ზემოდან ჭიქა აქვს, ქვემოთაც ჭიქა აქვს“ და ა. შ.).

ამრიგად, თუ ნორმაში ობიექტის ცალკე ნაწილებისაკენ მიმართული ცნობის აქტი ამზადებს მასალას, რომელიც შემდეგ მთლიანისადმი შესაფერისი განწყობის შექმნას უწყობს ხელს, პათოლოგიურ შემთხვევებში ეს ვერ ხორციელდება. ამ ჯგუფის ავადმყოფებს სწორედ მთლიანის წვდომა უჭირთ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც პირველი ჯგუფის ავადმყოფებთან, მხოლოდ და მხოლოდ ობიექტის პირველი შთაბეჭდილების მიხედვით აწარმოებს ავადმყოფი ცნობის აქტს და ამით ამთავრებს დასმული ამოცანის გადაჭრას; რაც მან იცნო პირველი შეხების შთაბეჭდილებით, ის რჩება ბოლომდე, — ამიტომაც ვერბალური პროდუქცია მეტად ღარიბია და, გარდა ამისა, ნაზვასამელია, რომ საგნის ერთგვარად შეხებას და ხანგრძლივ გასინჯვას შორის არავითარი განსხვავება არ აღინიშნება. ისევე, როგორც პირველი ჯგუფის ავადმყოფებთან, ამათთანაც არ აქვს ადგილი შეფერხებასა და ძიებას; ამ ჯგუფშიც არა ვხვდებით ცნობის წინა სტადიისათვის დამახასიათებელ განცდათა ლაბილობას და, მით უმეტეს, — არც კონტროლის სტადიას; ეს კი ძალიან უშლის ხელს ცნობის აქტის განხორციელებას. ნაწილობრივი ცნობის აქტი იმაში გამოიხატება, რომ იგი მთლიანის მნიშვნელობის ან ერთი გარკვეული შესაძლებლობის აზრს წარმოშობს, ან — მეორისას; ამიტომ განსაკუთრებული როლი კონტროლის სტადიას ენიჭება, — ის ახდენს არჩევანს ამ მნიშვნელობათა შორის და მისი წარმატება დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად სპეციფიკურია ნაწილი მთლიანისათვის.

პათოლოგიურ შემთხვევაში კი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ავადმყოფთან ნაწილი განცდილია როგორც დამოუკიდებელი მთელი და კონტროლის სისუსტის გამო ვერ ხერხდება შეცდომის გასწორება. ამ ჯგუფის ავადმყოფებთან გამოჩნდა ის ფაქტიც, რომ გრძნობადი შინაარსი არ შეიძლება ჩაითვალოს საგნის მნიშვნელობის წვდომის კონსტიტუტურ ფაქტორად. ამიტომაც რომ ობიექტის ცნობისათვის სრულიად არა აქვს მნიშვნელობა, — ჭარბადაა იგი წარმოდგენილი, თუ არა. რა გინდ დიდი იყოს სუბიექტის ცნობიერებაში შეგრძნებათა მარაგი, საგნის ცნობის აქტს ეს მაინც ვერ უზრუნველყოფს. ცნობის აქტის გრძნობად შინაარსზე დამოკიდებულება განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ჩანს პათოლოგიურ შემთხვევებში. ავადმყოფების მიერ თითქმის ჩამოთვლილია საგნის შეგრძნებითი მასალა, მაგრამ ცნობის აქტი მაინც ვერ ხორციელდება. ცნობის აქტისათვის უფრო მნიშვნელოვანია ფორმის განცდა. ავადმყოფები უპირატესად ფორმის თავისებურების გათვალისწინებას ცდილობენ.

ფორმა პირველადი დასაყრდენია, საიდანაც ხდება შემდეგ საგნის მნიშვნელობის წვდომა; მაგალითად: შანდალი — „ინსტრუმენტია, ორი სახელური აქვს, ჰვავს წვეწების დასამზადებელ სა-

<sup>4</sup> დ. უზნაძე, შრომები, ტ. I, თბ., 1956.

განს“, „სადღაც მინახავს ნაცნობი ფორმა“, სანთელი—„ხის მასალისაგან არის სათამაშო, ბავშვები, რომ ხტუნაობენ“, „სტაფილოა, მაგრამ არ ვაქვს, რომ მცენარე იყოს“, „ნათურაა“, „ოდეკოლონის ფლაკონია“, „არ ვიცი კონუსის ფორმა აქვს, ხისაა“; ბადმინტონის ბურთი — „კალათაა“, „აბაქურია“, „ვაზაა კოსმეტიკისათვის“, „ყვავილია“; დასანამი — „ხისაგანაა გაკეთებული“ სკოკ რომელსაც წერტილები აქვს ამოჭრილი“, „ყუთის სახელურია“, „პლასტმასის პატარა ბოთლი ოდეკოლონისათვის“. ბოთლის თავი — „სათითე, რომელსაც ხრახნი აქვს“ და ა. შ.

ამ შემთხვევაში ჩანს, რომ ფორმის გათვალისწინებითაც ავადმყოფი ობიექტის ცნობას ვერ ახერხებს, რომ საგნის სხვა შინაარსებს უკვე მიღებული მნიშვნელობის მიხედვით აფასებს, და, რომ ავადმყოფს არა აქვს განცდა იმისა, რომ მან ამოცანის გადაჭრა ვერ შესძლო; მასში არ არის ძიების მომენტი და რაც მთავარია კონტროლის სტადია. ამიტომ ის ვერ ახდენს შემოწმებას მის მიერ ნაგულისხმევ მნიშვნელობასა და ობიექტურ საგანს შორის. პირველი ჯგუფის ავადმყოფებისაგან განსხვავებით, ამ ჯგუფის ავადმყოფების პასუხები ნაკლებ დატვირთულია სუბიექტურობით: თუ პირველისათვის დამახასიათებელია ის, რომ საექსპერიმენტო მასალა აღქმულია ავადმყოფის ჰალუცინატორულ-ბოდვით კადრში, ამას ვერ ვხვდებით ჩვენი მეორე ჯგუფის ავადმყოფებთან; მიუხედავად ფსიქოზის მწვავე განცდებისა, აქ არ ჩანს სუბიექტურის ჩარევა აღქმის პროცესში.

ამრიგად, ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ორივე ჯგუფის ავადმყოფთა უმრავლესობა ჩვენს ექსპერიმენტებში საგნის მნიშვნელობის წვდომისას გარკვეულ სიძნელეს განიცდის: როდესაც რომელიმე ობიექტი მოქმედებს ავადმყოფზე, მას უჩნდება განცდა, რომელიც ემყარება ობიექტის გრძნობად შინაარსსა და ფორმის რომელობას. განსაკუთრებით სუსტი მხარეა კონტროლის სტადია: ავადმყოფს არ აქვს შესაძლებლობა ობიექტში ნაგულისხმევი პირველადი მნიშვნელობის შემოწმებისა, დომინირებული როლი ეკუთვნის საგნის იმ მნიშვნელობას, რომელსაც იგი პირველად წვდა; გრძნობადი შინაარსი ისევე, როგორც ფორმის წარმოდგენაც, ამ მნიშვნელობის გავლენით ყალიბდება. ჩვენს მიერ აღნიშნული პირველი ჯგუფის ავადმყოფებს გააჩნიათ შესაძლებლობანი სწვდნენ საგანთა ობიექტურ მომენტებს, მაგრამ ისინი იყენებენ ამ შესაძლებლობებს თავისი სუბიექტური თვალსაზრისის მიხედვით, — პასუხები უფრო ავადმყოფის ჰალუცინატორულ-ბოდვით განცდების ჭრილშია ასახული, მათ მიერ მოცემული სახეები გადაწყვეტის ობიექტის მიმართ აღვნიშნეთ როგორც შეუსაბამო; მაგრამ უნდა ითქვას, რომ, რაივ უცნაური და უაზრო არ უნდა იყოს ამ ავადმყოფების პროდუქცია, მასში მანაც ჩანს „სუბიექტური ლოგიკა“; მას აქვს თავისი ფსიქოლოგიური საფუძვლები, პირველ რიგში — ის ზოგადი შთაბეჭდილება, რომელშიც მოცემული საგანი და სუბიექტური განცდა ურთიერთს ხვდება.

რაც შეეხება მეორე ჯგუფის ავადმყოფებს საგნის ადეკვატური ცნობა ობიექტურად მათთანაც განუხორციელებელია, თუმცა სწორი გადაწყვეტის შემთხვევები უდავოდ მეტია, ვიდრე — პირველ ჯგუფში. რაც შეეხება თვით ცნობის, ან არცნობის აქტის შინაარსეულობას, ამ მხრივ, ეს ორი ჯგუფი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან: მეორე ჯგუფის ავადმყოფებისათვის დამახასიათებელია გრძნობის გაციება, გულგრილობა, ინდიფერენტობა და, რაც მთავარია, საექსპერიმენტო საგნის ობიექტურ შინაარსთან დაკავშირება;

გრძნობადი შინაარსის განცდები მათთან უფრო მეტად საგნობრივი ბუნების განცდებს წარმოადგენენ, ისინი ობიექტურისაკენ არიან მიმართულნი.

ჩვენი პირველი ჯგუფის ავადმყოფებთან წარმოდგენები, უმეტეს შემთხვევაში, აბსოლუტურად დაშორებულია რეალურად გამოსაცნობი ობიექტებისაგან. ძალიან დაშორებული მსგავსების საფუძველზე (ფორმის მხრივ, მასალის მხრივ, მოძრაობის მხრივ) ავადმყოფი გამოსაცნობ ობიექტში სრულიად განსხვავებულ საგანს გულისხმობს, უგულვებელყოფს რა იმ გრძნობად მონაცემებს, რომლებიც ასეთი გულისხმობის საბაზს არ იძლევიან. პირველი ჯგუფისაგან განსხვავებით, — რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა, თუმცა მცდარად, მაგრამ მაინც საგნის მნიშვნელობის დასახელებას იძლევა, — მეორე ჯგუფის ავადმყოფები, რომლებიც ობიექტურისაკენ უფრო არიან მიმართულნი და ანგარიშს უწევენ მიღებულ გრძნობად შთაბეჭდილებებს, ვერ ახერხებენ საგნის ცნობას და საგნის დეტალების ჩამოთვლით კმაყოფილდებიან. როგორც ვნახეთ, ცნობიერების პათოლოგიის სხვადასხვა მდგომარეობის დროს საგნის ცნობის აქტი განსხვავებულად ვლინდება.

პათოლოგიური მასალა ნათლად ადასტურებს, რომ საგანი სუბიექტში იწვევს ზოგადპიროვნებისეულ ცვლილებებს და თავისებურ მთლიან მდგომარეობას, რომელზედაც დამოკიდებულია ცნობიერებაში შემოსული შინაარსები.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა)



## ეკონომიკა

### სამგო ფოფოლაშვილი

#### მეურნეობრივი რეფორმა საბჭოთა მეურნეობაში

სკკ XXIV ყრილობამ განდიოხული ამოცანები დასახა სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში; მთავარია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების საშუალო წლიური მოცულობის გადიდება წინა ხუთწლედთან შედარებით 20—22%-ით და კვების პროდუქტებზე მოსახლეობისა და ნედლეულზე მრეწველობის მზარდ მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. მიმდინარე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის მძლავრი წინსვლა კვლავ წარმართება საწარმოთა ორივე ფორმის — საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების — განვითარებისა და სრულყოფის გზით.

საბჭოთა მეურნეობებმა როგორც სოციალისტური სოფლის მეურნეობის წამყვანმა სახელმწიფოებრივმა საწარმოებმა განვითარების დიდი გზა უნდა განვლონ და დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ კომუნისტურ საწყისებზე სოფლის მეურნეობის გარდაქმნაში. აქედან გამომდინარე, საბჭოთა მეურნეობების მუშაობის ეფექტურობის გადიდება სოფლის მეურნეობის აღმავლობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანათაგანია. თანამედროვე პირობებში, როცა სულ უფრო ფართოდ ინერგება წარმოების მართვისა და გაძღოლის ეკონომიკური ფორმები, საბჭოთა მეურნეობების მეურნეობრივი საქმიანობის ობიექტურ შეფასებას საფუძვლად უნდა დაედოს რენტაბელობის დონე. აშხ. ლ. ი. ბრეჟნევი სკკ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე (1965) აღნიშნავდა, რომ „საბჭოთა მეურნეობებისათვის სახელმწიფო გამოჰყოფს კაპიტალურ დაბანდებებს, აწესებს პროდუქციის ჩაბარების გეგმებსა და ფასებს, განსაზღვრავს ხელფასის ფონდებს და მუშებისა და ადმინისტრაციულ-მომსახურე პერსონალის რიცხობრივ შემადგენლობასა და კატეგორიებსაც კი. ზარალს, რაც წარმოიშობა საბჭოთა მეურნეობებში, ისევ სახელმწიფო ფარავს. სამეურნეო ანგარიში დარღვეულია საბჭოთა მეურნეობებთან, აგრეთვე კოლმეურნეობებთან სახელმწიფოსათვის ეკონომიურ ურთიერთობაში. უარი უნდა ვთქვათ მეტისმეტ რეგლამენტაციაზე საბჭოთა მეურნეობებისათვის კაპიტალური დაბანდებისა და დოტაციების განაწილებაში; უახლოეს დროში, საბჭოთა მეურნეობები უნდა გადავიყვანოთ სრულ მეურნეობრივ ანგარიშზე. საბჭოთა მეურნეობების განკარგულებაში უნდა დავტოვოთ მათ მიერ მიღებული მოგება, რაც მოხმარდება მეურნეობის გაფართოებას, კაპიტალურ მშენებლობას, კარგ მუშაკთა წახალისებას, მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას“<sup>1</sup>.

სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 13 აპრილის დღგენილების — „საბჭოთა მეურნეობისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოე-

<sup>1</sup> ლ. ი. ბ რ ე ჯ ნ ე ვ ი, პარტიის მორიგი ამოცანები სოფლის მეურნეობის დარგში, მოხსენება სკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე (1970 2 ივლისი), თბ., 1970, გვ. 12.



ბის სრულ მეურნეობრივ ანგარიშთანაბრებულად გადაყვანის შესახებ“ — შესაბამისად, სსრ კავშირის 14070 საბჭოთა მეურნეობიდან 1971 წლის 1 იანვრამდე სრულ მეურნეობრივ ანგარიშთანაბრებულად გადაყვანილია 9847 საბჭოთა მეურნეობა.

საბჭოთა მეურნეობების სისტემაში სრული მეურნეობრივი ანგარიშთანაბრების დანერგვა ობიექტური აუცილებლობითაა გაპირობებული. მეურნეობრივი ანგარიშთანაბრა ობიექტური ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც ასახავს მეურნეობრივ ცხოვრებაში ობიექტურად არსებულ მოვლენებსა და მათ შორის კავშირებს. ამავე დროს, მეურნეობრივი ანგარიშთანაბრა არის მეურნეობის გაძღოლის მეთოდი, რომლის სწორ განხორციელებასა და მოკიდებული მეურნეობრივი საქმიანობის გაუმჯობესება ან გაუარესება. სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, მეურნეობრივი ანგარიშთანაბრების არსებობის ობიექტური ფაქტიდან გამომდინარე, აფორმებს მეურნეობრივი ანგარიშთანაბრების ურთიერთობებს, აძლევს მათ კანონმდებლობის ძალას და სრულყოფს საზოგადოების ინტერესებისათვის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით. სწორად ამ აზრით, მეურნეობრივი ანგარიშთანაბრა გამოდის როგორც სოციალისტური მეურნეობის გვერდითი გაძღოლის მეთოდი.

მეურნეობრივი ანგარიშთანაბრების განმსაზღვრელ მომენტად ითვლება საზოგადოებრივი ინტერესებისა და ცალკეული საწარმოს ინტერესების ერთიანობა პრინციპით: „სასარგებლოა საზოგადოებისათვის — სასარგებლოა საწარმოსათვის“. მეურნეობრივი ანგარიშთანაბრა განუყოფელია ეკონომიკის ხელმძღვანელობის დემოკრატიული პრინციპისაგან, რომელიც მოითხოვს სახალხო მეურნეობის გვერდით ხელმძღვანელობის ცენტრალიზაციასთან საწარმოთა ინიციატივისა და დამოუკიდებლობის გონივრულ შეხამებას.

თანამედროვე ეტაპზე პარტიის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ გაძლიერდეს მეურნეობის მართვაში ეკონომიკური მეთოდების როლი, ძირეულად გაუმჯობესდეს სახელმწიფოებრივი დაგეგმვა, გაფართოვდეს მრეწველური საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების მეურნეობრივი დამოუკიდებლობა და ინიციატივა, ამაღლდეს საწარმოთა კოლექტივების პასუხისმგებლობა და მატერიალური დანტერესება თავიანთი მეურნეობრივი საქმიანობის შედეგებით. საბჭოთა მეურნეობების თანდათანობით გადასვლა სრულ მეურნეობრივ ანგარიშთანაბრებაზე სოფლის მეურნეობაში პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი არსებითი მომენტია.

საბჭოთა მეურნეობების გადაყვანა სრულ მეურნეობრივ ანგარიშთანაბრებაზე როდი ნიშნავს იმას, რომ თითქოს ისინი თავიანთ მუშაობაში დღემდის საერთოდ არ ხელმძღვანელობდნენ ამ პრინციპით; საქმე ისაა, რომ რეფორმამდე მეურნეობრივი ანგარიშთანაბრების ურთიერთობა შეზღუდული იყო და იგი არ მოიცავდა წარმოებრივი საქმიანობის ყველა მთავარ მხარეს. საბჭოთა მეურნეობების მუშაკების მეურნეობრივი ინიციატივა შეზღუდული იყო, ხოლო მეურნეობრივი საქმიანობის შედეგებით მათი დანტერესებულობა — შესუსტებული.

ვ. ი. ლენინს ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში არაერთხელ აღუნიშნავს მეურნეობრივი ანგარიშთანაბრების დანერგვის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ საწარმოთა უზარალოდ მუშაობისათვის:

„სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ტრესტები და საწარმოები სწორედ იმიტომ არიან დაარსებულნი, რომ ისინი თვითონ აგებდნენ პასუხს და ამასთან ერთად მთლიანად აგებდნენ პასუხს იმისათვის, რომ მათი საწარმოები უზარალო იყოს“<sup>2</sup>.

საბჭოთა მეურნეობებში მეურნეობრივი ანგარიშობის აუცილებლობა არაერთხელ აღნიშნულა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებში. 1935 წელს საბჭოების VII ყრილობამ თავის დადგენილებაში მიუთითა, რომ საბჭოთა მეურნეობების გადაქცევა სანიმუშო რენტაბელურ საწარმოებად შესაძლებელია იმ პირობით, თუ დაინერგება მეურნეობრივი ანგარიშობა, ბრძოლა გამოეცხადება უუნარობასა და სხვის კმაყოფაზე ყოფნის განწყობილებას. საბჭოთა მეურნეობების სრულ მეურნეობრივ ანგარიშობაზე გადაყვანა გულისხმობს მათს რენტაბელურ მუშაობას, — იმას, რომ მათ შესძლონ, არა მარტო აღადგინონ საკუთარი სახსრებით წარმოების ყველა დანახარჯი, არამედ უზრუნველყონ, სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების შესაბამისად, წარმოების გაფართოება, მატერიალური სტიმულირებისა და სხვა ფონდების შექმნა, — რაც საწარმოთა კოლექტივების ეკონომიკური სტიმულირების საფუძველია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 13 აპრილის დადგენილებით, განსაზღვრულია სრული მეურნეობრივი ანგარიშობის კონკრეტული ფორმები და პირობები, რაც გამოიხატება იმაში, რომ ახალი წესით მომუშავე საბჭოთა მეურნეობები საკუთარი საშუალებებით ანაზღაურებენ წარმოებრივ დანახარჯებს, ახორციელებენ წარმოების შემდგომ გაფართოებას, ქმნიან ეკონომიკური სტიმულირების ფონდებს, დროულად ისტუმრებენ სახელმწიფოებრივი ბანკის კრედიტებსა და მომწოდებელთა დავალიანებებს და ა. შ.; იცვლება სრულ მეურნეობრივ ანგარიშობაზე მყოფი საბჭოთა მეურნეობების გაფართოებული აღწარმოების დაფინანსების წყაროები, ამ მიზნით, ბიუჯეტიდან წარმართული საშუალებანი იცვლება მეურნეობათა მოგებით. მუშაობის ახალ წესზე გადასვლამდე საბჭოთა მეურნეობების საქმიანობა რეგლამენტირებული იყო დიდი რაოდენობის მაჩვენებლებითა და დავალებებით, რომელსაც იძლეოდნენ ზემდგომი ორგანოები; ახალი წესით მომუშავე მეურნეობებს მიენიჭათ ფართო უფლებები თავისი საქმიანობის დაგეგმვაში; ასე, მაგალითად:

1. **წარმოების დარგში** მეურნეობებს ეძლევა სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული უმნიშვნელოვანესი პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის მოცულობა ნატურალური გამოსახულებით, ხოლო სპეციალიზებულ მეურნეობაში, გარდა ამისა, ზემდგომი ორგანოები გეგმავენ შესაბამისი სახის პროდუქციის რეალიზაციის მოცულობას;

2. **შრომის ანაზღაურების დარგში** ზემდგომი ორგანოები მათ უმტკიცებენ ხელფასის საერთო ფონდს თვით მეურნეობების მიერ გაანგარიშებული მონაცემების საფუძველზე, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს წარმოების როგორც ძირითადი, ისე დამხმარე დარგების საშუალო მოცულობიდან; მეურნეობები თვითონ ანაწილებენ ხელფასის ფონდს კვარტალების მიხედვით, განსაზღვრავენ და ამტკიცებენ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის რაოდენობას, რომელიც არ მიეკუთვნება ადმინისტრაციულ-მმართველობის პერსონალს; საბ-

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 35, გვ. 582.

ქოთა მეურნეობები წარმოების კონკრეტული პირობების გათვალისწინებით თვითონვე განსაზღვრავენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულებას, ადგენენ პროდუქციის რეალიზაციის მოცულობას და ანგარიშობენ მოგების საერთო რაოდენობას;

3. **კაპიტალური დაბანდების დარგში** სრულ მეურნეობრივ ანგარიშთან-ბაზე გადასულ საბჭოთა მეურნეობებს უდგინდებათ ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობა, მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა და ძირითადი ფონდების მოქმედებაში შეყვანა; საბჭოთა მეურნეობებს უფლება აქვთ თვითონ განსაზღვრონ კაპიტალური დაბანდების მოცულობა დარგების, მიმართულებისა და ობიექტების მიხედვით; არაცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდების მოცულობა განისაზღვრება თვით მეურნეობის მიერ.

4. **მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მაჩვენებელთაგან** მეურნეობებს ზემდგომთაგან განესაზღვრებათ ტრაქტორების, ავტომანქანების, სოფლის მეურნეობის მანქანების, გაწყობილებების, სასუქების, სამშენებლო მასალებისა და წარმოების სხვა საშუალებათა მოწოდების მოცულობა.

გარდა ამისა, სრულ მეურნეობრივ ანგარიშთან ბაზე გადასულ საბჭოთა მეურნეობებს მიცემული აქვთ დამატებითი უფლებები მეურნეობების ოპერატიული დამოუკიდებლობის გაფართოების ხაზით.

როგორც ცნობილია, სრული მეურნეობრივი (და საერთოდ მეურნეობრივი) ანგარიშთანობის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა საკუთარი საშუალებებით ყველა ხარჯის დაფარვა და რენტაბელური მუშაობა. **რენტაბელობის მაღალი დონის** მისაღწევად, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია უკეთესად გამოიყენებოდეს სახმარი მიწები, წარმოებრივი ფონდები და შრომითი რესურსები; განუხრელად უნდა გაფართოვდეს წარმოება და მტკიცედ დაინერგოს ეკონომიის რეჟიმი სახსრების გამოყენებაში.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმზე აღნიშნავდა, რომ სოფლისმეურნეობრივი წარმოების ინტენსიფიკაცია, მისი ხელახალი ტექნიკური აღჭურვა — თანამედროვე პირობებში გადაამწყვეტი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს მისი შემდგომი განვითარების ტემპებს. ამ ამოცანის გადაწყვეტის სხვა გზა არა გვაქვს: ახლა არა გვაქვს თავისუფალი მიწები, რათა დიდი მასშტაბით გავზარდოთ სათესი ფართობები; პირიქით, ჩვენში სახნავით უზრუნველყოფა მოსახლეობის ერთ სულზე მცირდება, — ეს ნიშნავს, — რომ ჰექტარმა მიწამ წლითიწლობით სულ უფრო მეტი და მეტი პროდუქცია უნდა მოგვცეს. რენტაბელობის გადიდება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებების გატარებით; მათ შორის დიდი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის დასაბუთებულ ფასებს. სწორედ ამიტომაც, რომ სკკპ ცენტრალურ კომიტეტის მარტის (1965) პლენუმმა საჭიროდ მიიჩნია სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შესყიდვის ახალი ფასების დაწესება საბჭოთა მეურნეობებისათვის. ამ ფასებით უფრო სრულად არის გათვალისწინებული მეურნეობრივი ანგარიშთანობის მოთხოვნა საწარმოთა თვითანაზღაურებისა და რენტაბელური მუშაობის აუცილებლობის შესახებ. სრულ მეურნეობრივ ანგარიშთანობაზე მყოფი საბჭოთა მეურნეობებისათვის ჩაბარების



სახელმწიფოებრივი ფასების ნაცვლად შესყიდვის ფასების დაწესებით მნიშვნელოვნად გადიდდა მეურნეობის ფულადი შემოსავალი (მაგალითად: ჩაის ხარისხოვანი ფოთლის შესყიდვის ფასები გაუთანაბრდა კოლმეურნეობების ფასებს, ხოლო ამჟამად ეს ფასები დაწესებულია ყველა საბჭოთა მეურნეობაზე).

ახალ პირობებში მნიშვნელოვნად შეიცვალა საბჭოთა მეურნეობებისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულება. სრულ მეურნეობრივ ანგარიშიანობაზე გადაყვანილი საბჭოთა მეურნეობები, რომელთა რენტაბელობის დონე (რეალიზებულ პროდუქციის თვითღირებულებასთან მოგების შეფარდებით) 25%-სა და მეტს შეადგენს, მოგებიდან ანარიცხების გადასახდელების ნაცვლად იხდიან სახელმწიფოებრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ სოფლის მეურნეობის დანიშნულების ძირითადი წარმოებრივი ფონდებისათვის გადასახდელს, რომელიც განისაზღვრება ამ ფონდების საშუალო წლიური საბალანსო ღირებულების (ცვეთის გამოკლებით) ერთი პროცენტის ოდენობით.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ გადასახდელები-საგან თავისუფლდებიან სოფლისმეურნეობრივი დანიშნულების ისეთი წარმოებრივი ფონდები, როგორცაა: პროდუქტიული და მუშა პირუტყვი, მრავალწლიანი ნარგავები, მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდის ხარჯზე შექმნილი ძირითადი წარმოებრივი ფონდები მათი ექსპლოატაციაში გადაცემიდან ორი წლის განმავლობაში, სახელმწიფოებრივი კრედიტის ხარჯზე შექმნილი ფონდები სესხის სრულ დაფარვამდე, საცდელ წარმოებრივ საწარმოთა ძირითადი ფონდები და გარეთა საკანალიზაციო ნაგებობანი (რომლებიც ირიცხებიან მეურნეობის ბალანსზე), ექსპლოატაციაში ახლად შესული დიდი ღირებულების ძირითადი ფონდები (მეფრინველეობის ფაბრიკები, სათბურების კომბინატები და სხვ.) — სიმძლავრეთა ათვისების პერიოდის განმავლობაში (ფინანსურ ორგანოებთან შეთანხმებით). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სოფლისმეურნეობრივი დანიშნულების ძირითადი წარმოებრივი ფონდების გადასახდელი, უწინდელ მოგების ანარიცხებთან შედარებით, უმნიშვნელოა.

მაგალითად: წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ სრულ მეურნეობრივ ანგარიშიანობაზე გადაყვანამდე 1967 წელს ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხადა მოგებიდან ანარიცხი 231.5 ათასი მანეთი, ხოლო 1971 წელს ფონდგადასახდელმა შეადგინა მხოლოდ 14.6 ათასი მანეთი ანუ 1967 წელს გადახდილის, დაახლოებით, 4%.

ნათელია, რომ ყოველივე ეს ხელს უწყობს მეურნეობის ფინანსურად განმტკიცებას, რაც აუცილებელია კაპიტალური დაბანდების გადიდების, ჯოგის ფორმირებისა და საკუთარი საბრუნავი თანხების ოპტიმალური ოდენობით შექმნისათვის. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა მეურნეობების გაფართოებულ აღწარმოებაში მოგების როლის ამალღება არ გამორიცხავს ბიუჯეტური თანხების მონაწილეობას მათს კაპიტალურ დაბანდებაში. ბიუჯეტური თანხები კვლავ იქნება დაბანდებული კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე (საბინაო, სკოლების, სამედიცინო და საბავშვო დაწესებულებების, კლუბების, აბანოების და სხვათა მშენებლობა), სამელიორაციო და ირიგაციული ნაგებობებისა და ახალი



საწარმოების მშენებლობაზე (მეფრინველეობის ფაბრიკები, სასათბურო კომბინატები და სხვა). საბჭოთა მეურნეობებში მოგების ახლებურად განაწილებასა და გამოყენებას საფუძვლად უდევს სოფლისმეურნეობრივი წარმოების ეკონომიკური სტიმულირებისა და მეურნეობის ცალკეული მუშაკებისა და კოლექტივის მატერიალური და ინტერესებულობის პრინციპი.

სრულ მეურნეობრივ ანგარიშთანადაზე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობებში მოგების განაწილებისა და გამოყენების წესი ძირეულად შეცვლილია. ახალ პირობებში მომუშავე საბჭოთა მეურნეობების მოგების საერთო თანხას (გეგმური და ზეგეგმური) აკლდება ბიუჯეტში ფონდგადასახდელის თანხა და დანარჩენი ნაწილდება შემდეგნაირად: მატერიალური წახალისების ფონდში გეგმური მოგებიდან გადაირიცხება 15%, ხოლო ზეგეგმური მოგებიდან, ზემდგომი ორგანოს გადაწყვეტილებით, იგი შეიძლება შემცირდეს 50-მდე, — იმ პირობით, რომ მოგებიდან გადაირიცხების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს მთელი წლიური ხელფასის ფონდის 12%-ს; სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდში გადაირიცხება 10%, სადაზღვევო ფონდში — 20%, მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდში — 10%; მოგების დანარჩენი ნაწილი გამოიყენება საკავშირო და რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის პრემიების გასაცემად, საკუთარ საბრუნავ საშუალებათა მატების, ძირითადი ჯოგის ფორმირების დანახარჯებისა და კაპიტალური დაბანდების დაფინანსებისათვის. გარდა ამისა, მოგების ნაწილი გამოიყენება საბინაო-კომუნალური მეურნეობის ექსპლოატაციიდან მიღებული ზარალისა და სხვა გეგმური დანახარჯების დასაფარავად. სრულ მეურნეობრივ ანგარიშთანადაზე მყოფ საბჭოთა მეურნეობებში მოგების ასეთი განაწილება შესაძლებელი გახდა მათი მაღალრენტაბელური მუშაობის შედეგად; ეს მათ შესაძლებლობას აძლევს, არა მარტო დაფარონ თავისი სახსრებით წარმოების ყველა დანახარჯი, არამედ განავითარონ მეურნეობა და შექმნან შესაბამისი ფონდები მატერიალური დაინტერესებულობის პრინციპის განხორციელებისათვის.

ამრიგად, მეურნეობათა მიერ საკუთარი საშუალებებით წარმოების ყველა ხარჯების დაფარვა და რენტაბელური მუშაობა სრული მეურნეობრივი ანგარიშთანადაზე ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა.

სრულ მეურნეობრივ ანგარიშთანადაზე მუშაობისას ფართოდება საბჭოთა მეურნეობის მეურნეობრივ-ოპერატიული დამოუკიდებლობა; მათს კოლექტივებსა და მომუშავეებს ეძლევათ სრული საშუალება მეურნეობრივი ინიციატივის გამოსავლენად. საქმე ეხება, უპირველეს ყოვლისა, სოფლისმეურნეობრივი წარმოების დაგეგმვის სრულყოფას, ზემდგომი ორგანიზაციების მიერ დასამტკიცებელი გეგმური მაჩვენებლების რიცხვის შემცირებას.

**წარმოების დაგეგმვის სრულყოფის** ამოცანა ის არის, რომ დაინერგოს დაგეგმვის ისეთი ფორმები და მეთოდები, რომლებშიც სრულად აისახება ობიექტური ეკონომიკური კანონების ყველა მოთხოვნა საბჭოთა მეურნეობრივი წარმოების განვითარების თანამედროვე პირობებში.

საბჭოთა მეურნეობებს ეძლევათ დიდი უფლებები მეურნეობრივსა და ფინანსურ საქმიანობაში; ამასთან დაკავშირებით მცირდება გეგმური მაჩვენებლების რიცხვი, რომელსაც ამტკიცებდნენ ზემდგომი ორგანოები; რასაკვირველია, საქმე ეხება ამ მაჩვენებლების არა უბრალო შემცირებას, არამედ — მეცნიერულად დასაბუთებული გეგმური მაჩვენებლების გამოყენებას, რომელიც უკეთესად უპასუხებს ეკონომიკური ურთიერთობების სრულყოფის ამოცანებს საბჭოთა მეურნეობებში.

სრულ მეურნეობრივ ანგარიშთან დაკავშირებით მეურნეობებს ცენტრალიზებული წესით უმტკიცდება შემდეგი მაჩვენებლები: სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული უმნიშვნელოვანესი პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის მოცულობა ნატურალურ გამოხატულებაში; ეს იმას ნიშნავს, რომ თვით საბჭოთა მეურნეობის მიერ ხორციელდება სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოების დაგეგმვა — მიწის, ძირითადი წარმოებრივი ფონდებისა და შრომითი რესურსების რაციონალური და ეფექტური გამოყენების საფუძველზე. ცხადია, საბჭოთა მეურნეობების მიერ მთლიანი პროდუქციის წარმოების დაგეგმვას საფუძვლად უნდა დაედოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების სახელმწიფოებრივი დავალების შესრულების უზრუნველყოფა, მეურნეობისათვის საჭირო თესლის, საკვებისა და სადაზღვევო ფონდების შექმნა, მუშა-მოსამსახურეებზე მთავრობის დადგენილებით ნებადართული ოდენობით სურსათის გამოყოფა და მტკიცე გეგმის ზევით პროდუქციის მაქსიმალური ოდენობით გაყიდვა. აღნიშნული გარემოებით, დიდად ფართოვდება მეურნეობრივი დამოუკიდებლობის ჩარჩოები საბჭოთა მეურნეობებში, მათ წინაშე ისახება ახალი შესაძლებლობანი ადგილობრივ პირობებში მეურნეობის უფრო ეფექტურად გაძღოლის საქმეში ინიციატივის გამოსაჩენად.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფოზე მიყიდვის ზეგეგმური მაჩვენებლების დაწესება ყოველნაირად ხელს უწყობს საბჭოთამეურნეობრივი წარმოების ოპტიმალურ კონცენტრაციას. მხედველობაშია მისაღების გარემოებაც, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1967 წლის 13 აპრილის დადგენილებით სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნებადართეს, საჭიროების შემთხვევაში, შეიტანონ ცვლილებები სრულ მეურნეობრივ ანგარიშთან დაკავშირებით გადაყვანილი ცალკეული მეურნეობების სოფლის პროდუქციის გაყიდვის გეგმებში, მათი სპეციალიზაციის გათვალისწინებით (რესპუბლიკისათვის ამ სახის პროდუქციის მიყიდვის დადგენილი მოცულობის ფარგლებში).

ხელფასის წლიური მთლიანი ფონდი მტკიცდება ზემდგომ ორგანიზაციაში თვით მეურნეობის მიერ დამუშავებული გაანგარიშების საფუძველზე, რაც უნდა გამომდინარეობდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მთლიანი მოცულობიდან, მისი რეალიზაციის ხარჯებიდან და დამხმარე და მომსახურე დარგების სამუშაოთა მოცულობიდან. ხელფასის ფონდის რაოდენობის დაწესება ცენტრალიზებული წესით საჭიროა, რათა დაცული იქნას საჭირო შესაბამისობა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებასა და მოსახ-

ლეობის მყიდველობითუნარიანობას შორის. აქამდე საბჭოთა მეურნეობებს ზემდგომი ორგანიზაციის მიერ უმტკიცდებოდათ ხელფასის ფონდი კვარტალებზე დაყოფით და მომუშავეთა კატეგორიებისა და რაოდენობის მიხედვით; სრულ მეურნეობრივ ანგარიშიანობაზე გადაყვანილ მეურნეობებს კი უმტკიცდებოდათ მხოლოდ ხელფასის მთლიანი ფონდი; ხელფასის წლიური ფონდის განაწილება კვარტალების მიხედვით ხორციელდება უშუალოდ მეურნეობის მიერ, რაც ეცნობება სახბანკის დაწესებულებას და სხვა ზემდგომ ორგანიზაციებს. ამ წესით დადგენილი წლიური და კვარტალური ხელფასის ფონდი მთელი კალენდარული წლის განმავლობაში იმყოფება მეურნეობის განკარგულებაში და ზემდგომ ორგანიზაციას უფლება არა აქვს, გამოიყენოს იგი სხვა მეურნეობებში დაშვებული გადახარჯვის დასაფარავად.

სრულ მეურნეობრივ ანგარიშიანობაზე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობებს უფლება აქვთ, პროდუქციის წარმოებისა და ხარჯების გაწევის მიხედვით გამოიყენონ წინა კვარტალებში მიღებული ხელფასის ფონდის ეკონომია მომდევნო კვარტალებში ხელფასის გასაცემად, აგრეთვე, — საჭიროების შემთხვევაში, — ისესხონ სახსრები მომდევნო კვარტალებიდან წლიური ფონდის ფარგლებში. სრულ მეურნეობრივ ანგარიშიანობაზე მყოფ მეურნეობებს უმტკიცდებოდათ მოგების მთლიანი თანხა, ასიგნობანი ბიუჯეტიდან კულტურულ-ყოფაცხოვრებითი დანიშნულების, მელიორაციულ და ირივაციულ ნაგებობათა მშენებლობის დასაფინანსებლად და სოფლისმეურნეობრივი დანიშნულების ძირითადი წარმოებრივი ფონდების გადასახდელი. როგორც ვხედავთ, ზემდგომი ორგანიზაციებიდან დამტკიცებული მაჩვენებლების რიცხვში უკვე აღარ არის პროდუქციის თვითღირებულება: სრული მეურნეობრივი ანგარიშიანობის დროს საბჭოთა მეურნეობები თვითონ გეგმავენ თვითღირებულების მაჩვენებელს, ეს მათ საშუალებას აძლევს, არა თუ უფრო დასაბუთებულად განსაზღვრონ პროდუქციის გეგმური თვითღირებულება, არამედ ხელს უწყობს დაგეგმვის გაუმჯობესებას საერთოდ, რადგანაც წარმოების ადგილობრივ პირობებს ყველაზე უკეთ იცნობს თვით მეურნეობის კოლექტივი. მეურნეობებისათვის პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დაუსაბუთებელი გეგმების მიცემა, რომელიც არ გამომდინარეობდა მათი რეალური შესაძლებლობიდან, იწვევდა მუშაკთა მატერიალური დაინტერესებულობის შესუსტებას, რადგანაც მათი შრომის ანაზღაურების დონე და მატერიალური სტიმულირება პირდაპირ კავშირშია გეგმურ დავალებათა შესრულებასთან.

**საბჭოთა მეურნეობებისათვის პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვის უფლების მიცემა** საშუალებას იძლევა, უფრო დასაბუთებულად დაიგეგმოს გაფართოებული აღწარმოების ყველა პროცესი და, უპირველეს ყოვლისა, წარმოების რენტაბელობა, რადგანაც სრული მეურნეობრივი ანგარიშიანობის პირობებში საწარმოთა მუშაობის ეფექტურობის მთავარ მაჩვენებლად მოგება გვევლინება. მოგების ხელოვნურად შემცირებული სიდიდის დაგეგმვის საშიშროება გამორიცხულია. საბჭოთა მეურნეობები და მათი მუშაკები თვითონ არიან დაინტერესებულნი, რომ მოგების ოდენობა ოპტიმალურად დაიგეგმოს, რამდენადაც ის კავშირშია მატერიალური წახალისების ფონდებში ანარიცხების რაოდენობასთან.

მეურნეობას უმტკიცდება ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდების მთლიანი მოცულობა, მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების რაოდენობა და ძირითადი ფონდების ექსპლოატაციაში გადაცემის დავალება ფულად გამოსახულებაში. საბჭოთა მეურნეობები კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის განსაზღვრის დროს უნდა გამომდინარეობდნენ მეურნეობის მოთხოვნილებიდან და მუშაობის ახალ პირობებში შექმნილი დაფინანსების რეალური წყაროებიდან. მხედველობაშია, აგრეთვე, მისაღები საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციების მოზიდვისა და მშენებლობის მეურნეობრივი წესით განხორციელების შესაძლებლობანი.

დაბოლოს, სრულ მეურნეობრივ ანგარიშიანობაზე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობებს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში ზემდგომი ორგანიზაციებიდან უმტკიცდება ტრაქტორების, ავტომანქანების, სოფლის მეურნეობის მანქანების, გაწყობილობების, სასუქების, საშენი მასალებისა და სხვა წარმოებრივი საშუალებების მიწოდების მოცულობა. დანარჩენი მაჩვენებლები იგეგმება საბჭოთა მეურნეობის მიერ და ზემდგომი ორგანიზაციიდან დამტკიცებას არ ექვემდებარება.

მეურნეობრივი ანგარიშიანობის სრულყოფა ითვალისწინებს მეურნეობის უფლებების გაფართოვებას არა მარტო წარმოების დარგში, არამედ, აგრეთვე, მიმოქცევის სფეროშიც. სრულ მეურნეობრივ ანგარიშიანობაზე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობებს მიეცემა აქვთ უფლება, მიჰყიდონ სოფლის მეურნეობის პროდუქტები (ბოსტნეული, ხილი, ყურძენი და სხვა მალეფუჭებადი პროდუქტები) მრეწველობასა და სავაჭრო ორგანიზაციებს იმ შემთხვევაში, თუ დამამზადებელი ორგანიზაციები არ მიიღებენ მას; ამასთანავე, მეურნეობებს საწარმოებზე და სავაჭრო ორგანიზაციებზე მიყიდული პროდუქტია ჩაეთვლებათ სახელმწიფოებრივი გეგმის შესრულებაში. აღნიშნული გარემოება დამამზადებელ ორგანიზაციებს არ ათავისუფლებს მატერიალური პასუხისმგებლობისაგან, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით პროდუქტის მიღებაზე უარის თქმისათვის. საბჭოთა მეურნეობებს აქვთ უფლება გაყიდონ საწარმოებზე, ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებზე ზედმეტი და გამოუყენებელი ტრაქტორები, სოფლის მეურნეობის მანქანები, მუშა და პროდუქტიული პირუტყვი, თესლი, საკვები, გაწყობილობა და სხვა მატერიალური ფასეულობანი იმ შემთხვევაში, თუ ზემდგომ ორგანიზაციას არა აქვს საშუალება მის გადასანაწილებლად.

საბჭოთა მეურნეობების წარმოებრივ-ოპერატიული დამოუკიდებლობის გაფართოვება მიზნად ისახავს ყველა მომუშავეს ინიციატივის გამოჩენას წარმოების ეკონომიკურად და ანგარიშიანად წარმართვაში. მუშაობის ახალ პირობებში მაღლდება მოგების როლი არა მარტო იმ ნაწილში, სადაც მის ხარჯზე წარმოებს კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება, ჯოგის ფორმირება და საკუთარი სახსრების შევსება; არამედ მისი როლი გაზრდილია მეურნეობის კოლექტივის მატერიალური დაინტერესებულობის განმტკიცებაში. მატერიალური წახალისებისა და სოციალურ-კულტურულ დონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდების შექმნა პირდაპირ დამოკიდებულია მიღებული მოგების სიდიდეზე; აქედან გამომდინარე, იზრდება შრომის მოწინავეთა მატერიალური დაინტერესებუ-





ლობა მეურნეობის მაღალრენტაბელური მუშაობის შესაქმნელად.

სრულ მეურნეობრივ ანგარიშიანობაზე მყოფი საბჭოთა მეურნეობები ქმნიან მატერიალური წახალისების ფონდს გეგმური მოგების 15%-ის ოდენობით, გარდა ამისა, მატერიალური წახალისების ფონდში, მეურნეობის შეხედულებისამებრ, შეიძლება დამატებით ჩაირიცხოს საბჭოთა მეურნეობის მოგების იმ თანხის 10%-მდე, რომელიც განკუთვნილია სხვა საბჭოთა მეურნეობებს შორის გადასანაწილებლად, საბჭოთა მეურნეობის დირექტორს უფლება აქვს, აგრეთვე, ადგილობრივ პროფკავშირულ კომიტეტთან შეთანხმებით მოახდინოს მატერიალური წახალისების, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდებს შორის გადასანაწილება თვითეული ფონდის თანხის 20%-ის ფარგლებში. მატერიალური წახალისების ფონდი გამოიყენება:

1. მუშების, ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, მოსამსახურეებისა და სხვა კატეგორიების მუშაკთა პრემირებაზე წარმოებრივი საქმიანობის შედეგების გაუმჯობესებისათვის, უმნიშვნელოვანესი სამუშაოთა დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის;

2. მუშების, მოსამსახურეებისა და სხვა კატეგორიის მუშაკთათვის ჭიღლოების მიცემაზე საერთო წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით;

3. შიდამეურნეობრივ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლექტივებისა და ცალკეული მუშაკების პრემიების გაცემაზე;

4. საწარმოს მუშაკთათვის ერთდროული დახმარების გაწევაზე.

აღნიშნულ ღონისძიებებზე სახსრებს ანაწილებს საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაცია მუშათა პროფკავშირების ადგილობრივ კომიტეტთან ერთად. მატერიალური წახალისების ფონდის გარდა, კოლექტივის მატერიალური დაინტერესებულობის გაძლიერებას ხელს უწყობს სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი, რომელიც იქმნება ფაქტიურად მიღებული მოგებიდან 10%-ის ხარჯზე და რომელიც იხარჯება მუშების, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და მოსამსახურეების კულტურულ-ყოფაცხოვრებითი პირობებისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებაზე (მედიკამენტებისა და სანატორიუმების საგზურების შექმნა, ინვენტარის შექმნა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებისათვის, საცხოვრებელი სახლების, სკოლებისა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა, კაპიტალური რემონტი და სხვა).

საბჭოთა მეურნეობების მეურნეობრივ საქმიანობაში სრული ანგარიშიანობის წარმატებით განხორციელების აუცილებელი პირობაა ყველა მუშაკისადმი მაღალი მომთხოვნელობა. პასუხისმგებლობის გაძლიერება ფულადი საშუალებებისა და მატერიალური ფასეულობის ეკონომიურად და მიზნობრივად გამოყენებისადმი, წარმოების შედეგებისათვის, გეგმურ-ხელშეკრულებითი და ფინანსური დისციპლინის დაცვისადმი. სრული მეურნეობრივი ანგარიშიანობის აუცილებელი მოთხოვნაა მანეთით კონტროლის ფართოდ გამოყენება მეურნეობის დაგეგმვაში და წარმოებრივ-ფინანსური საქმიანობის ყველა სფეროში. საბჭოთამეურნეობრივი პროდუქციის წარმოების გადიდება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და გაფართოება, ბუნებრივია, მოითხოვს დიდი დანახარჯების გაწევას ამ მიმართულებით. ამასთან დაკავშირებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური მუშაობის ღონის ამაღლებას. მანეთით კონტროლის გაძლიერების მიზნით, საჭიროა მეურნეობათა ეკონომი-

კის ღრმად შესწავლა, ბულალტრული ანგარიშგებისა და ბალანსების ღრმა ანალიზი, რათა გამოვლინდეს ყველა ის დამატებითი რეზერვი, რომელიც ხელს შეუწყობს პროდუქციის წარმოების გადიდებას, თვითღირებულების შემცირებასა და რენტაბელობის ზრდას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეურნეობაში ძირითადი ფონდების ეფექტურად გამოყენების საკითხს, კერძოდ, წარმოებრივი ფონდების ყოველ 100 მანეთზე მთლიანი პროდუქციის წარმოების დონისა და მისი გადიდების რეზერვების გამოვლენას. მანეთით კონტროლის ფუნქციის განხორციელება მოითხოვს შრომის მწარმოებლობის გადიდების მაღალი ტემპების დაცვას, მტკიცე კონტროლის დამყარებას ხელფასის ფონდების ეკონომიურად ხარჯვისა, ფულადი საშუალებებისა და მატერიალური ფასეულობების მიზნობრივად გამოყენების საქმეში.

ასეთია სრული მეურნეობრივი ანგარიშთანობის ძირითადი პრინციპები, რომლებიც განუხრებლად უნდა გატარდეს ახალ პირობებში მომუშავე ყველა საბჭოთა მეურნეობაში. რამდენიმე წლის შედეგებმა ცხადყვეს, რომ საქართველოს სსრ სრულ მეურნეობრივ ანგარიშთანობაზე მყოფმა საბჭოთა მეურნეობებმა, მკვეთრად გააუმჯობესეს წარმოებრივი საქმიანობა და მიაღწიეს უკეთეს ეკონომიკურ მაჩვენებელს (იხ. ცხრილი 1).

მთლიანი პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მაჩვენებლები საქართველოს სსრ სრულ მეურნეობრივ ანგარიშთანობაზე მყოფ საბჭოთა მეურნეობებში (ათას მანეთობით)<sup>a</sup>

ცხრილი 1

წლები მაჩვენებლები	1966	1967	1968	1969	1970	1971	
						აბს.	% — ლი შეფარ. 1967 წელთან
მთლიანი პროდუქცია	55350	56672	59499	58064	75508	64251	113, 4
საქონლური პროდუქცია	51342	47913	52904	53544	70087	62886	130, 1

როგორც ცხრილიდან ჩანს, საბჭოთა მეურნეობების სრულ მეურნეობრივ ანგარიშთანობაზე გადაყვანის შემდეგ, 1967 წელთან შედარებით 1970 წელს მთლიანი პროდუქციის წარმოება გადიდა 33,3%-ით, ხოლო 1971 წელს კი 13,4%-ით; საქონლური პროდუქციის მოცულობა შესაბამისად გადიდა 46,3 და 30,1%-ით. პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გადიდებამ განაპირობა მოგების განუხრელი ზრდა. აღნიშნულ მეურნეობებში მოგებამ შეადგინა (ათას მანეთობით): 1967 წელს — 14717, 1968 წელს — 15264, 1969 წელს — 21002, 1970 წელს — 28242 და 1971 წელს — 23742. მოგების ასეთმა ზრდამ შესაძლებლობა მისცა მეურნეობებს, არა მარტო დაეფარათ საკუთარი შემოსავლით წარმოების ყველა დანახარჯი, არამედ, მნიშვნელოვნად გაეწიერათ ანარიცხების ოდენობა მატერიალური დაინტერესებულობის ფონდებში და ძირითადად უზრუნველყოთ კაპიტალური დაბანდების დანახარჯების დაფარვა საკუთარი შემოსავლით.

სრულ მეურნეობრივ ანგარიშთანობაზე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობებში შრომის მწარმოებლობის ზრდა უპირველესი ამოცანაა, რადგანაც შრომის მწარმოებლობის ამაღლებამ უნდა უზრუნველყოს გაფართოებული აღწარმოება და შექმნას პირობები სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის. წარმოებრივი საქმიანობის ანალიზიდან ირკვევა, რომ შრომის მწარმოებლობის დონე სრული მეურნეობრივ ანგარიშთანობაზე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობებში განუხრებლად დიდდება და გაცილებით მეტია, ვიდრე ძველი სისტემით მომუშავე მეურნეობებში.

<sup>a</sup> განგარიშებულია საბჭოთა მეურნეობების წლიური კრებლისი ანგარიშგების საფუძველზე.

ასე, მაგალითად, ერთ საშუალო წლიურ მომუშავეზე განაგარიშებით, გამომუშავებულია პროდუქცია (მანეთობით): 1967 წელს სრულ მეურნეობრივ ანგარიშთანააზვე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობებში — 1553, ხოლო გადაუყვანელ მეურნეობებში — 875, 1968 წელს — შესაბამისად — 1536 და 839, 1969 წელს — 1548 და 824, 1970 წელს — 1835 და 960, ხოლო 1971 წელს — 1928 და 850.

საბჭოთა მეურნეობებმა სრულ მეურნეობრივი ანგარიშთანააზვე გადაყვანის შემდეგ შესამჩნევად გააუმჯობესეს მეურნეობრივი საქმიანობა და მიღწიეს კარგ მეურნეობრივ მაჩვენებლებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ მოგების ფაქტობრივი რაოდენობა 1971 წლისათვის გადიღდა 1966 წელთან შედარებით 6890 ათასი მანეთით ანუ 40%-ით.

მაგრამ არ შეგვიძლია, არ აღვნიშნოთ ზოგიერთი სახის ნაკლავანებები რომელიც შეინიშნება რეფორმის განხორციელების დროს, კერძოდ: ჩაის კულტურების მწარმოებელ საბჭოთა მეურნეობებში აღვილი აქვს პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯების ზრდის ტენდენცია. ერთი ცენტნერი ჩაის ფოთლის თვითღირებულება 1970 წლისათვის 1967 წელთან შედარებით გადიღდა 12—20 მანეთით ანუ 29, 7%-ით, ხოლო 1971 წლისათვის 12—62 მანეთით ანუ 30,8%-ით. ამასთანავე თვითღირებულების გადიღება წარმოებს სისტემატურად. ეს გარემოება უარყოფითად მოქმედებს რენტაბელობის გადიღებაზე, ამკურებს წარმოების განვითარების და მატერიალურ ღირებულებულობის პრინციპს. მწვანე ჩაის ფოთლის თვითღირებულების გადიღება გამოწვეულია დანახარჯების საერთო მოცულობაში შრომითი დანახარჯების და საერთო მეურნეობრივი და საერთო წარმოებრივი ხარჯების ხვედრითი წონის გადიღებით. თუ 1965 წლისათვის მწვანე ჩაის ფოთლის საერთო დანახარჯებში ხელფასი შეადგენდა 68,5% -ს, ხოლო საერთო მეურნეობრივი და საერთო წარმოებრივი ხარჯები 15,8%-ს 1971 წლისათვის ხელფასის ხვედრითი წონა გადიღდა 70,7%-მდე ხოლო საერთო მეურნეობრივი და საერთო წარმოებრივი ხარჯები 22,1%-მდე. როგორც შესწავლილი მასალები მოწმობს ხელფასის ხვედრითი წონის გადიღება — ტექნიკის სრულყოფილად გამოუყენებლობის, ხოლო საერთო მეურნეობრივი და საერთო წარმოებრივი ხარჯების გადიღება მატერიალურ და ფულადი საშუალებების არა რაციონალურად ხარჯვის შედეგია.

რეფორმის განხორციელების პროცესში ზოგიერთ საბჭოთა მეურნეობაში შეინიშნება წარმოებისა და დაგროვების გეგმებით დაუსაბუთებელი შემცირების ტენდენცია.

სალიბურის, ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში და მახველურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობებში პროდუქციის წარმოების ვეგები თაქმის უცკულია 1966 წელთან შედარებით, როცა ფაქტობრივი ყოველწლიური წარმოების ზრდა 20-30%-ით აღმატება გეგმურს, ხოლო ლაიპურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში პროდუქციის წარმოების ვეგმა 1966 წელს 2751 ათას მანეთიდან 1970 წლისათვის შემცირდა 2556 ათას მანეთამდე, როცა ფაქტობრივი პროდუქცია ნაწარმოები იქნა 2917 ათასი მანეთის რაოდენობით. ეს გარემოება გვიძღლებს გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სრულ მეურნეობრივ ანგარიშთანააზვე გადაყვანილ ზოგიერთ საბჭოთა მეურნეობებში ჭერ კიდეც არ არის დავეგმვა წარმართული პროდუქციის ზრდის შესაძლებლობათა ვათვალისწინებით, რაც ზიანს აყენებს წარმოების შემდგომ განვითარების ინტერესებს.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, საბჭოთა მეურნეობებმა მუშაობის ახალ პირობებში მთლიანად უნდა უზრუნველყონ წარმოებრივი დანიშნულების კაპიტალური დაბანდების, ძირითადი ჯოგის ფორმირებისა და საკუთარი საბრუნავი საშუალებების ზრდისათვის საჭირო დანახარჯები. მაღალი რენტაბელობი მუშაობის შედეგად, რომელიც ახასიათებს სრულ მეურნეობრივ ანგარიშთანააზვე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობებს ძირითადად უზრუნველყოფილია ამ დანახარჯების წარმოება საკუთარი შემოსავლების ხარჯზე. ამავე დროს არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ სრულ მეურნეობრივ ანგარიშთანააზვე გადაყვანილ საბჭოთა მეურნეობებში სადაც რენტაბელობის დონე 10-15%-ს აღწევს და წარმოების შემდგომი ვათართობა აუცილებლობას

წარმოადგენს, წარმოიშობა გარკვეული სიძნელეები კაპიტალური დაბანდების დანახარჯების საკუთარი სახსრებით დაფინანსების საქმეში, მეორეს მხრივ კი მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებში მაღალი რენტაბელობის გამო იქმნება კაპიტალური დაბანდებისათვის განკუთვნილი თანხების ისეთი რაოდენობა რომელიც ჭარბობს წარმოება-გაფართოების შემდგომ საჭიროებას.

საბჭოთა მეურნეობრივი წარმოების განვითარების საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, სპეციალიზირებულ ტრესტებს უფლება უნდა მიეცეთ, მოახდინონ გამოუყენებელი თანხების მობილიზაცია და გადანაწილება იმ საბჭოთა მეურნეობებისათვის რომლებიც საჭიროებენ წარმოების გაფართოებას. საბჭოთა მეურნეობების სრულ მეურნეობრივ ანგარიშშიანობის არსებობისას მეურნეობებს ექმნებათ დაინტერესებულობა მოგების ოდენობის სწორად და სრულად დაგეგმვისადმი, რადგანაც მოგების შემცირებული დაგეგმვით მცირდება მატერიალური წახალისების ფონდში ჩასარიცხი თანხის ოდენობა.

გამოკვლევის მასალებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საბჭოთა მეურნეობებმა მკვეთრად გაზარდეს როგორც გეგმური ასევე ფაქტობრივი დაგროვება სრულ მეურნეობრივ ანგარიშშიანობაზე გადაყვანის შემდეგ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ არის ისეთი საბჭოთა მეურნეობები სადაც ცვლილებები არ შეინიშნება მოგების დაგეგმვაში სრულ მეურნეობრივ ანგარიშშიანობაზე გადაყვანის შემდეგ, პირიქით ადგილი აქვს მოგების გეგმის შემცირების ტენდენციასაც (წალენჯიხის, ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობები, ძევერის და ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობები). დაგროვების დაგეგმვა შემცირებული ოდენობით, როცა არსებობს დაგროვების გადიდების რეალური შესაძლებლობანი ყოვლად დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული, რამდენადაც იგი გავლენას ახდენს მატერიალურ წახალისების ფონდის შექმნაზე, ლახავს მეურნეობის მუშაკთა ინტერესებს.

სრული მეურნეობრივი ანგარიშშიანობის დანერგვა ითვალისწინებს კონტროლის ფართოდ გამოყენებას მათ წარმოებრივ-ფინანსურ საქმიანობაში. საბჭოთა მეურნეობები მუშაობის ახალ პირობებში უფრო ეკონომიურად ხარჯავენ მათ განკარგულებაში არსებულ მატერიალურ და ფულად საშუალებებს, მინიმუმამდე შემცირდა საბრუნავი სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის შემთხვევები. ამავდროს როგორც მონაცემებიდან არის დადგენილი, საბჭოთა მეურნეობებმა სრულ მეურნეობრივ ანგარიშშიანობაზე გადაყვანის შემდეგ სათანადო ყურადღება არ დაუთმეს მატერიალურ ფასეულობის ზედმეტად დაგროვების საკითხს რამაც გამოიწვია საბრუნავი სახსრების მოთავსება მეურნეობისათვის არა საჭირო მატერიალურ ფასეულობის ზენორმატულ ნაშთებში. 1971 წლისათვის 1967 წელთან შედარებით მატერიალური ფასეულობის ნაშთები გადიდდა თითქმის ორჯერ და შეადგინა დამტკიცებული ნორმატივის 325%.

მატერიალურ ფასეულობის დაგროვებისა და ხარჯვაზე მომპირნობის როლის მნიშვნელობის შემცირება არაფრით არის გამართლებული, იგი უარყოფით გავლენას ახდენს მეურნეობების ფინანსურ მდგომარეობაზე და სასწრაფოდ უნდა იქნეს გატარებული ღონისძიებები ზენორმატული ნაშთების შესამცირებლად.



## დ. კავლიაშვილი

### მეხილეობის განვითარება საბჭოთა საქართველოში

სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებში წინა პლანზეა წამოწეული სოფლისმეურნეობრივი წარმოების მაღალი ტემპებით განვითარების აუცილებლობა. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მეხილეობის განვითარება, რომელიც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგთაგანია.

ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობაში მეხილეობის დარგი ერთ-ერთი საყურადღებო დარგია. ხილი დიდი რაოდენობით მოიხმარება არა მარტო ნედლი სახით, არამედ კვების მრეწველობაში, როგორც ნედლეული. უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით ფართოდ ინერგება, აგრეთვე, ხილეულიდან სხვადასხვა სამკურნალო პრეპარატების მიღება-გამოყენება. მაგალითად, ცნობილი გახდა, რომ ნივთიერება პექტინი, რომელსაც განსაკუთრებით შეიცავს ვაშლი, ხასიათდება მძლავრი ანტიბიოტიკური მოქმედებით, რაც მკურნალობისას ერთობ ღიდ ეფექტს იძლევა და სხვ. ხილის მწარმოებელ სხვა უძველეს ქვეყნებთან ერთად მეხილეობის დარგი საქართველოში ოდითგანვე თავისი სიმდიდრითა და ნაირფეროვნებით გამოირჩეოდა. აზორაგენი მოსახლეობა, გამომდინარე თავისი ქვეყნის მეურნეობრივი და კლიმატურ-ნიადაგობრივი თავისებურებიდან, უსსოვარი დროიდან, მცირემიწიანობის პირობებში დიდი შრომის ფასად მეხილეობას მიწათმოქმედების ძვირფას კულტურებს უხამებდა.

მიუხედავად მეხილეობის დარგის ღრმა ისტორიული წარსულისა, რომელიც თავისი განვითარების ცალკეულ პერიოდებში ერთობ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის ეკონომიკურად მომძლავრება-აღორძინების საქმეში, მაინც მისი აყვავებისა და ინტენსიური განვითარების საფუძველი საქართველოში მხოლოდ საბჭოთა წყობილების დამყარების დღიდან შეიქმნა. მხოლოდ ამიერიდან გახდა შესაძლებელი ქართველი ხალხის ნიჭის, ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრისა და საერთოდ არსებული რეზერვების ფართოდ გამოვლინება ყველა სფეროში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთავრობა რევოლუციის პირველი დღეებიდანვე ღიდ ყურადღებას უთმობდა მეხილეობის განვითარების პრობლემებს. ამის შედეგად განსაკუთრებით მაღალი ტემპებით განვითარდა მეხილეობა განსაზოგადოებულ სექტორში.

საქართველა აღანიშნოს, რომ 1961—1965 წწ. ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხილას სამუდამო წლათრვა წარმოებაში 1,4 მლნ ტონას მიაღწია, ხოლო 1966—1970 წწ. — 2,9 მლნ ტონას. როგორც ვხედავთ ხილას წარმოება ჩვენი ქვეყანაში უკანასკნელი ერთი ათეული წლის განმავლობაში ორჯერ და მეტად გაიზარდა. 1971-1975 წწ ხუთწლიანი გეგმა დირექტივებით გათვალაწინებულა ხილას წარმოება გადიდდეს 3—4-ჯერ და მეტად.

მნიშვნელოვნად გადიდდება ხილის წარმოება მიმდინარე ხუთწლეულში საქართველოს სსრ-ში.

როგორც ცნობილია, მრეწველური მეხილეობის განვითარების ცდები საქართველოში გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. იქმნება წვრილ-

წვრილი სანერგე მეურნეობები, იწყება სხვადასხვა მრეწველური ხეხილის ჯიშების შემოტანა განსაკუთრებით დასავლეთ ევროპიდან. მართალია იგი ერთობ ნელი ტემპით ვითარდებოდა და კარჩაკეტილ ხასიათს ატარებს, რამდენადაც მას აწარმოებდნენ ცალკეული თვითმცდელი მეურნეები, მაგრამ მათ ერთობ დიდი როლი ითამაშეს შემდგომში ხეხილის ჯიშთა შერჩევა-გამრავლებისა და საერთოდ ამ დარგის განვითარების სტიმულირების საქმეში.

საკმარისია ითქვას, რომ 1917 წლისათვის საქართველოში ხეხილის ფართობმა 32 128 ჰა შეადგინა, რაც პირველყოფილს აბორიგენი მოსახლეობის ამ დარგისადმი საყვარულმა და დიდმა ტრადიციებმა განაპირობა. მომდევნო წლები სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგების მათ შორის მეხილეობის ერთგვარი დაქვეითებით ხასიათდება, რის გამოც საქართველოში 1921 წლისათვის მისი ფართობი 30 795 ჰა-მდე ეცემა. ხოლო ის ნაწილი, რომელიც თითქმის გადარჩენილი იყო მოუვლელობა-უყურადღებობის გამო ერთობ საუვალლო მდგომარეობაში აღმოჩნდა და ხშირ შემთხვევაში მათი აღდგენა შეუძლებელიც გახდა. ყველა აღნიშნული გარემოება კი როგორც ცნობილია გამოწვეული იყო როგორც საგარეო, ისე საშინაო პირობების მოუწესრიგებლობით.

მრეწველური მეხილეობის დიდი აღმავლობა საქართველოს სსრ იწყება პირველი ხუთწლიანი გეგმის მიღებიდან (1928—1932). ამიერიდან, პირველ რიგში, დიდი ყურადღება მიექცა არსებული სანერგე მეურნეობების აღდგენა-განვითარებას და ახალი სანერგე მეურნეობების შექმნას. აქვე ეყრება საფუძველი მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების შექმნას და კოლმეურნეობებში ხეხილის ბაღების მკვეთრ ზრდას. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში უკვე შეიქმნა მტკიცე ბაზა მეხილეობის სწრაფი ტემპით განვითარების უზრუნველსაყოფად. პირველი ხუთწლიდის წარმატებით დამთავრებამ საშუალება მოგვცა, რათა ძირეული გარდატეხა მეხილეობის განვითარებაში ძირითადად მეორე ხუთწლიდში (1933—1937) მომხდარიყო. მეორე ხუთწლიდში შესაძლებელი გახდა მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოების ერთიორად გაფართოება, ტექნიკური შეიარაღების გაუმჯობესება-მომარაგება და სათანადო კადრებით დაკომპლექტება. მეხილეობის განვითარების აქამდე არნახული ტემპით განხორციელება გამოწვეული იყო ჩვენს ქვეყანაში კოლექტივიზაციის გამარჯვებით.

კოლექტივიზაციის გამარჯვებამ შესაძლებელი გახდა არა მარტო მეხილეობის მსხვილი კოლმეურნეობების შექმნა, არამედ სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების ჩამოყალიბება-გაფართოებაც. ამ ტიპის მსხვილი საბჭოთა მეურნეობების საყოველთაო ამოცანას კი, როგორც ცნობილია, შეადგენდა ამ შემთხვევაში არა მარტო მრეწველური მეხილეობის ინტენსიური განვითარება მის მიერ დაკავებულ მიწის ფართობზე, არამედ იგი უნდა გამხდარიყო ბიძგის მიმცემი, მაგალითის მაჩვენებელი და მორგანიზებული ძალა შესაბამის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე სოციალისტური სოფლის მეურნეობის საბოლოო გამარჯვების საქმეში, რომელიც შემდგომში ბრწყინვალედ იქნა შესრულებული.

პირველი და მეორე ხუთწლიდის მიჯნაზე ჩამოყალიბებული მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების შედეგად ჩვენს რესპუბლიკაში არსებულ ხეხილის ფართობს მიემატა 1 245,75 ჰექტარი ბაღი.

გაიზარდა ხეხილის ბაღების ფართობი სპეციალიზებული და ცალკეული კოლმეურნეობების ჩამოყალიბების ბაზაზე, შეიქმნა პირობები მეხილეობის განვითარებისათვის ამ მიმართებით აქამდე ხელმოუწვდომელ უმთავრესად მაღალმთიან და ურწყავ ადგილებში. ამ პერიოდში მეხილეობის განვითარებას ხელი შეუწყო სპეციალიზაციის პრინციპით ჩვენი რესპუბლიკის ცალკეული

ადმინისტრაციულ მეურნეობრივი ტერიტორიის მეცნიერულად შესწავლა-გამოკვლევა.

დადგენილი იქნა, მაგალითად, გორის რაიონისათვის ისეთი ქვერეზონები, სადაც ყველაზე გამართლებული და ეკონომიური იქნებოდა სოფლის მეურნეობაში მეხილეობის ინტენსიური განვითარება. რომ ასეთ მიკრორაიონებად მიჩნეული იქნა: ტყეიანის, ტირაძინის, მერეთის, ქვეში, შინდისის, ვარიაანის, მეჯვრისხევისა და კარალეთის სასოფლო საბჭოებში შემაჯავლო კოლმეურნეობები რომელთა მთელი ფართობის (23 ათასი ჰა) 75% ხეხილის ნარგავს უნდა დაეკავებინა. შემდგომ ამ ღონისძიებამ საკუთარ გა მართლა მიზანი: აღნიშნული კოლმეურნეო.ები გახდნენ რესპუბლიკაში ხილის ერთ-ერთი ძირითადი მწარმოებლები.

მეხილეობის განვითარების ამ ეტაპზე და განსაკუთრებით პირველ ხუთწლედში, საერთოდ ამიერკავკასიის მასშტაბით, სათანადო ყურადღება არ ექცეოდა არსებული ბაღების მოვლა-დაცვითი სამუშაოების მაღალ დონეზე და დროულად შესრულებას. ხშირად ადგილობრივი ხელმძღვანელობა გატაცებული იყო ახალი ბაღების გაშენებით და არსებული, უმეტესად ძველი ბაღები ბედის ანაბარად იყო მიტოვებული. ამიტომ აქ მეჩხერიანობის პროცენტი იმდენად დიდი იყო, რომ მოსავლიანობა 4 ც-ს არ აღემატებოდა. თითქმის ასეთივე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ჩვენი ქვეყნის მეხილეობის სხვა ძირითად რაიონებშიც, რის გამოც იგი გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ 1932 წელს ქ. ოდესაში, ამ და სხვა საჭირბოროტო საკითხების გადაჭრის მიზნით, მოეწყო მეხილეობის სრულიად საკავშირო კონფერენცია. კონფერენციის მუშაობა წარმოადგენდა თავის მხრივ საბჭოთა პერიოდში ჩატარებულ სამუშაოთა ანგარიშს ამ მიმართულებით, სადაც მიღწეული წარმატებებისა და ნაკლოვანი მხარეების გათვალისწინებით მაღალმეცნიერულ დონეზე იქნა დასაბუთებული თითოეული მეურნეობრივი ზოლისათვის ამ დარგის განვითარების თავისებურებანი, რომელიც საფუძვლად დაედო მომდევნო ხუთწლედებში მეხილეობის განვითარების პრობლემებს.

სოფლის მეურნეობის განვითარებისა საერთოდ და მათ შორის მეხილეობის აღმავლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის (1930). იანვრის დადგენილება — „კოლექტივიზაციის ტემპებისა და საკოლმეურნეო მშენებლობისათვის სახელმწიფო დახმარების ღონისძიებათა შესახებ“, ამ დადგენილებამ პარტიას მისცა გეზი სოფლად ახალი პოლიტიკის განხორციელებისათვის და განაპირობა კოლმეურნეობრივი წყობილების გამარჯვება, კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შემდეგ გლეხობა გადაიქცა ახალ კლასად, რომელიც თავის ცხოვრებას აშენებდა წარმოების საშუალებათა კოლექტიური საკუთრების საფუძველზე. სოციალისტური მრეწველობა სოფლის მეურნეობას ამარაგებდა მოწინავე ტექნიკით, მუშათა კლასი ეხმარებოდა გლეხობას ხელმძღვანელი კადრებით, აქტიურ მონაწილეობას იღებდა სოფლის მეურნეობის ყველა სამუშაოებში, ახორციელებდა ქალაქის შეფობას სოფლისადმი.

მეორე ხუთწლედის დასაწყისისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო მარტო 40 ათას კომკავშირულზე მეტი. ისინი შეადგენდნენ კოლმეურნეთა გამგეობების წევრების 15, 5% და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების 11,5%. 1934 წლისათვის რესპუბლიკის ყველაზე მსხვილ გორის მეხილეობის რაიონის 85 კოლმეურნეობაში შრომობდა 812 კომკავშირელი, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ 121 კომკავშირულ ბრიგადაში. ამასთან მოქმედებდა 44 შრომის ორგანიზატორი, ხოლო მტლ-ში მომუშავე 54 ტრაქტორისტადან ნახევარზე მეტი კომკავშირელი

იყო და ა. შ. ამავე რაიონში სახნავი მიწების საერთო ფართობიდან 71,8% ტრაქტორით იქნა დამუშავებული<sup>1</sup>.

მეორე ხუთწლედში და საერთოდაც მეხილეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. დადგენილებამ — ჩვენს ქვეყანაში ხეხილის ფართობის სულ ცოტა ერთიორად გადიდების შესახებ. აგრეთვე ამიერკავკასიის რესპუბლიკების 1934 წ. შესაბამისმა გადაწყვეტილებამ — მეხილეობა-მევენახეობის გაფართოებათა თაობაზე. სწორედ ამ პერიოდში (1935—1940) შემუშავებული და განხორციელებული იქნა ბაღების გაშენების ერთობ დიდი და მნიშვნელოვანი პრობლემები.

დიდი განვითარება ჰპოვა ხეხილის სანერგე მეურნეობებმა, რომელთა წლიურმა წარმადობამ რესპუბლიკაში 1940 წლისათვის 162 500 ძრს გადააჭარბა. მეორე ხუთწლედში ჩატარებულმა მრავალწლიან ნარგავთა პასპორტიზაციამ (1936 წ.) ცხადყო მეხილეობის მეკეთრი აღმავლობა, როდესაც ქართლის მეხილეობის ძირითად რაიონებში, ყერძოდ გორის რაიონში არსებულ მარტო მეხილეობის საბჭოთა მეურნეობებში მისმა ფართობმა შეადგინა 1 121 ჰა, ხოლო კოლმეურნეობებში — 4959 ჰა., ხაშურის რაიონის ორივე სექტორში — 1 274 ჰა., ვასპის რაიონში — 1 031 ჰა., სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 1 528 ჰა<sup>2</sup>.

მნიშვნელოვანი მატება შეინიშნება ბაღების ფართობის ზრდის მიმართულებით დასავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში. მაგალითად ქუთაისის რაიონში უდრიდა — 1 721 ჰა., სამტრედიის რაიონში — 646 ჰა და ა. შ. ისე, რომ მეორე ხუთწლედის დამთავრებისას ბაღების ფართობის ზრდის დინამიკა განსაზღვრებულ სექტორში ჰექტარობით შემდეგ სურათს იძლეოდა: 1913 წ. — 30,8, 1928 წ. — 36,6, 1932 წ. — 39,2, 1937 წ. — 59,7 ჰა. ამათან თუ მეორე ხუთწლედის დასაწყისში კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ბაღების მთლიანი ფართობი რესპუბლიკის ხეხილის ბაღების 19,7% შეადგენდა ხუთწლედის ბოლოსათვის მისმა ზედრიწონამ 40,7% მიაღწია. განსაზღვრებულ სექტორში ახალი ბაღების საერთო ზრდასთან ერთად მატულობს ერთიანი ფართობის ბაღების ზედრიწონაც, რომელმაც 1938 წლისათვის შეადგინა 53,8% ნაცვლად 1933 წ. არსებული 39,8 პროცენტისა<sup>3</sup>. მეორე ხუთწლედის ბოლო 1937 წლისათვის რესპუბლიკის ბაღების საერთო ფართობს შეეწილა 7 231 ჰა და შეადგინა ისლენად — 58 251 ჰა, რაც 1936 წელთან შედარებით 2-ჯერ მეტი იყო<sup>4</sup>.

მეორე ხუთწლედის ამოცანები სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში წარმატებით იქნა შესრულებული. დამთავრდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და საბოლოოდ განმტკიცდა კოლმეურნეობრივი წყობილება, რითაც შესაძლებელი გახდა ჩვენს ქვეყანაში ხეხილის ბაღების ერთიან ნარგავთა ორ მესამედზე მეტი განსაზღვრებულ სექტორზე მოსულიყო. ხოლო მესამე ხუთწლედის შემდეგ ხეხილის ბაღების საერთო ზრდის პირობებში 2,4-ჯერ, რამაც განაპირობა 1927 წლიდან 1945 წლის დასაწყისამდე კოლმეურნეობათა ბაღების ფართობის მატება 182-ჯერ, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში 44-ჯერ<sup>5</sup>.

მესამე ხუთწლედში (1938—1942) ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების კურსი კვლავინდებურად განისაზღვრებოდა ძვირფასი-

<sup>1</sup> ЦГА. СССР, Т6., ф. 2425, оп. 1, д. 18, л. 10.

<sup>2</sup> საქ. სსრ ორსკსა, ფ. 660, ანაწ. 1, საქ. 4278, ფურ. 49.

<sup>3</sup> იქვე, ფურ. 49.

<sup>4</sup> ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობა, 1938, № 12, გვ. 52.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 53.

<sup>6</sup> ლ. კარბელაშვილი, მეხილეობის მნიშვნელობა საქართველოში, ეკონ. ცნტ. შრომები, ტ. 1., თბ., 1946, 145 გვ. .



კულტურების: ჩაი, ვენახის, ციტრუსების, ხეხილის, თამბაქოსა და სხვათა პროდუქციის წარმოების გადიდებით. აღნიშნული ხუთწლედის დასაწყისისათვის რესპუბლიკაში მსხმოიარე ბაღების ფართობი უკვე 36 488 ჰა აღწევდა ეს კი იმას ნიშნავდა, რომ პირველ ხუთწლედში გაშენებული ბაღების გარკვეული ნაწილი უკვე იძლეოდა მოსავალს და ფარავდა მასზე გაწეულ ხარჯებს.

მეხილეობის დარგში მესამე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა ყველა სექტორში ახალი ბაღების გაშენებას 25 050 ჰექტარზე და არსებულის გამოარგვა-შეკეთებას 6 455 ჰექტარზე. ამასთან, წინასწარი გაანგარიშებით, ხუთწლედის ბოლოსათვის, ბაღების საერთო ფართობი რესპუბლიკაში უნდა ყოფილიყო 42 918 ჰა. ხოლო მოსავლიანობა 60 ც. მაგრამ მის წარმატებით განხორციელებას დიდმა საბამულო ომმა შეუშალა ხელი. რაც შეეხება ომის წინა პერიოდს ყველა კატეგორიის მეურნეობაში მოსავლიანობამ შეადგინა 32,3 ც, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში და სხვა სახელმწიფო მეურნეობებში კი — 55,2ც<sup>7</sup>.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების სტიმულისათვის საერთოდ და მეხილეობის ინტენსიური განვითარებისათვის კერძოდ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა და მისი შეჯამება სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის გამოფენაზე ქ. მოსკოვში 1939 წელს. ამ გამოფენაზე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად ნაჩვენები იყო მრეწველური მეხილეობის განვითარების ზრდის დინამიკა და მომავალი განვითარების გზები. მიუხედავად იმისა, რომ გამოფენაზე ჩვენი რესპუბლიკიდან მონაწილეობა მიიღეს ძირითადად ახლად ჩამოყალიბებულმა მეხილეობის საბჭოთა მეურნეობებმა, სადაც ჯერ კიდევ ნაკლებად იყო გამოყენებული სათანადო ტექნიკური აღჭურვილობა, მოწინავეთა გამოცდილება, იგრძნობოდა სპეციალისტ კადრებისა და შხამქიმიკატების ნაკლებობა, მაინც საკმაოდ მაღალი შეფასება დაიმსახურეს. მაგალითად, გამოფენის პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოებულ იქნა ქარელის რაიონის ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა, მეორე ხარისხის დიპლომით — გორის რაიონის ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა, ტყიბულის რაიონის სოფ. ჯვარისის კოლმეურნეობა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის კოლმეურნეობა, ახალციხის რაიონის აგარის კოლმეურნეობა და სხვ., რომელნიც ძირითადად მეხილეობის მიმართულებისანი იყვნენ.

საქართველოში მრეწველური მეხილეობისა და მევენახეობის შემდგომი განვითარების საქმეში დიდმნიშვნელოვან დოკუმენტად უნდა ჩაითვალოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და სკკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წ. 15 ოქტომბრის ერთობლივი დადგენილება — „საქართველოს სსრ ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით მრეწველური მეხილეობისა და მევენახეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“<sup>8</sup>.

აღნიშნული დადგენილება გამოწვეული იყო იმითაც, რომ მთლიანად რესპუბლიკაში მრავალწლიან ნარგავთა საერთო ხვედრიწონა გამომდინარე მის ბუნებრივ-ეკონომიკური თავისებურებიდან ჯერ კიდევ ერთობ დაბალი იყო და უდრიდა: მეხილეობაში — 1,6%, მევენახეო აში — 0,9%, მეჩაიეობა-მეციტრუსეობაში — 1,4% და ა. შ.<sup>9</sup>. ამ დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ

<sup>7</sup> საქ. სოფლის მეურნეობა, სტატ. კრებული 1, თბ., 1967, გვ. 218.

<sup>8</sup> ЦГАНХ ССР, ф. 7486, оп. 19, д. 216, л. 2.

<sup>9</sup> ლ. კარბელაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 146.

უმთავრესად ქართლის რაიონებში უნდა გაშენებულიყო ცალკეული წლების მიხედვით ახალი ბალი: 1941 წ. — 2 490 ჰა, 1942 წ. — 2 990 ჰა, 1943 წ. — 3410 ჰა, 1944 წ. — 4 480 ჰა, 1945 წ. — 3 430 ჰა<sup>10</sup>.

მართალია, ზემოაღნიშნული და მომდევნო დადგენილებების (ცერძოდ, სკკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სასკომსაბჭოს 1941 წლის, აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოების იმავე წლის 13 მარტის დადგენილებებს — „სასოფლო სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადიდებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებით ანაზღაურების შესახებ“) განხორციელებას დიდი სიძნელეები შეუქმნა დიდმა სამამულო ომმა, მაგრამ მათ ამ მძიმე პირობებში დიდი მორალური და მატერიალური სტიმული მისცეს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მშრომელებს.

ყველა ამ ღონისძიებათა შედეგად მესამე ხუთწლედის მესამე წლის ბოლოსათვის რესპუბლიკის ზეხილის ბაღების ფართობმა შეადგინა 66 337 ჰა: აქედან საბჭოთა მეურნეობებზე მოდიოდა 2 200 ჰა, კოლმეურნეობებზე — 26 767 ჰა და პირად მეურნეობაზე — 37 370 ჰა.

დიდი სამამულო ომის მძიმე პირობებში შენარჩუნებულ იქნა მეხილეობა ომამდელ დონეზე, რაც კოლმეურნე გლეხობისა და საბჭოთა მეურნეობების მომუშავეთა უაღრესად დაძაბული, თავგანწირული შრომის შედეგია. კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობის მუშაკები თესვადნენ, გეგმის გადამეტებით დამატებით სამუშაოებს ატარებდნენ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ე. წ. „თავდაცვით სექტორებზე“, შესაძლებლობის კვალობაზე მაქსიმალურად ზრდიდნენ მოსავლიანობას. ამ მძიმე პირობებში მთავარი დასაყრდენი ძალა გახდა ქალი. 1944 წლისათვის მარტო სოფლის მეურნეობის მიმართულებით დასაქმებული იყო ქალთა 60,4%, ხოლო მამაკაც კოლმეურნეთა რიცხვი 20,4%-მდე დაეცა. მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა, ჩვენმა რესპუბლიკამ სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებთან ერთად სამშობლოს მისცა: 1941 წ. — 41 843 ც. ნედლი ხილი, 1942 წ. — 30 636 ც, 1943 წ. — 20 663 ც, 1944 წ. — 29 207 ც<sup>11</sup>.

დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა დაზიანებული და დაავადებული ზეხილის ბაღებში აღდგენითი სამუშაოების ჩატარება, რომელიც ახალი ბაღების გაშენების პარალელურად უნდა წარმართულიყო. ამიტომ, ერთობ დიდი როლი ითამაშა საერთოდ სოფლის მეურნეობის სწრაფად აღორძინების საქმეში სკკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის (1947) პლენუმზე მიღებულმა ღონისძიებამ, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბაღების სპეციალური მანქანა-იარაღებითა და სათანადო შხამქიმიკატებით გადაუდებლად მომარაგების საკითხებს. ამასთან, აქვე აღინიშნა აგრეთვე საცდელ-საჩვენებელი სადგურების მკვეთრად გაფართოების ერთობ დიდი მნიშვნელობა, რამდენადაც მაქსიმალურად უნდა გაზრდილიყო დასარგავი ნაშენების წარმოება და ხარისხი, ზეხილის ახალი ჯიშების გამოყვანა და სხვ. მეხილეობის სამუშაოებში ანაზღაურების ჭგუფური და ინდივიდუალური ნარდობლივი სისტემის დანერგვამ, რომელიც განსაკუთრებით ომის შემდგომ პერიოდში იქნა გატარებული, მნიშვნელოვანწილად აამაღლა შრომის მწარმოებლურობა.

<sup>10</sup> ЦГАНХ ССР, ф. 7486, оп. 19, д. 261, л. 3.

<sup>11</sup> ПАГФИМ.Л. Гр. ССР, Ф. 14, оп. 2, д. 1535, л. 93.

რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში და ცალკეულ მეურნეობრივ უბნებში მსხმოიარე ხეხილის ბაღიდან ნაცვლად გევმით გათვალისწინებული 40 ც., თვითეულ ჰექტარზე ღებულობდნენ 60-70 ც მაღალხარისხოვან ხილს. ვაჩნდნენ მეხილეობის მიმართულების მილიონერი კოლმეურნეობები. მავალითად გორის რაიონის სოფ. მერეთის კოლმეურნეობა — „წითელი მერეთი“-ის ფულადმა შემოსავალმა 1948 წ. მილიონ 243 ათას მანეთს მიიღწია. ამავე რაიონის სოფ. კარბის კოლმეურნეობამ ჰექტარზე მიიღო 103 ც ხილის მოსავალი, ხოლო სოფ. ქვეშის კოლმეურნეს. ცაციაშვილმა თავისი რგოლის 10 ჰა ბაღიდან საშუალოდ ჰექტარზე მოიწია 94 ც ხილი და ა.შ. ყოველივე ამის შედეგად გორის რაიონის 47 კოლმეურნემ 1948 წ. მთავრობის უმაღლესი წოდო-დაიმსახურა, მათგან ლენინის ორდენი გადაეცა 10 კაცს.

ომისშემდგომ პერიოდში სახალხო მეურნეობის აღდგენა-განვითარების მიმართულებით რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების ქმედითი ღონისძიებების მეოხებით, მეოთხე ხუთწლიანი გევმა წარმატებით შესრულდა და ხეხილის არსებულ ბაღებს შეემატა 3 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი და 115 ჰა სანერგე, რაც იმას ნიშნავდა, რომ ხეხილის მთლიანმა ფართობმა 91,3 ათას ჰექტარს მიიღწია. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გევმით მეხილეობის რაიონებში მთელი ფართობის 70% ხეხილს უნდა დაეკავებინა. ეს გაპირობებული იყო ამ დარგის მაღალმოსავლიანობით, მისი პროდუქციის ფართოდ მოხმარებისა და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოზიდვის მაღალი ხვედრიწონით, რაც წელიწადში დაახლოებით 657,7 ათას ტონას აღწევდა. მეხუთე ხუთწლედში, მეხილეობის შემდგომი განვითარების მიზნით, რესპუბლიკაში დამატებით უნდა გაშენებულყო 7 ათასი ჰა ხეხილის ბაღი. მისი შემდგომი განვითარების საფუძვლად მიჩნეული იყო მწარმოებლობის ზრდა, მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გამოყენება, სოციალისტური შეკიბრების გაშლა და სხვა, რაც ცალკეულ კოლმეურნეობებში, ბრიგადებსა და რგოლებში იყო დანერგილი. 1954 წ. საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობაზე სამავალითოდ იქნა აღნიშნული გორის რაიონის სოფ. კარალეთის კოლმეურნეობის მიღწევები მეხილეობის დარგში, სადაც 190 ჰა მსხმოიარე ხეხილის ბაღიდან საშუალოდ ჰექტარზე მიღებული იქნა 68,5 ც მაღალხარისხოვანი ხილი. აგრეთვე ის, რომ ამ კოლმეურნეობაში ხილის მაღალი მოსავლის შედეგად ფულადმა შემოსავალმა 6,9 მლნ მანეთს გადააჭარბა და შრომადღეზე გაიკა 17 მან.<sup>12</sup>

დიდი ღონისძიებები იქნა განხორციელებული მეხილეობის დარგში შვიდწლიანი გევმით, რის შედეგადაც 1965 წლისათვის მისმა ფართობმა რესპუბლიკაში შეადგინა 140 ათასამდე ჰექტარი, სამშობლოს მიეყიდა 160 ათას ტონაზე მეტი ხილი და 55 ათას ტონაზე მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი. ყოველივე ამას განსაკუთრებით შეუწყო ხელი ხილის მწარმოებელი მეურნეობების სპეციალიზაციის გაღრმავებამ. განსაკუთრებით დიდად გაიზარდა ბაღების ფართობი 1964-1965 მეურნეობრივ წლებში, როდესაც გაშენებული იქნა 13 ათასი ჰა, ე. ი. იმდენი, რამდენიც წინა ათი წლის განმავლობაში. ამასთან, აქვე უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ დაბალი იყო ხილის მოსავლიანობა რესპუბლიკაში.

მავალითად, 1961 წ. გორის რაიონში გევმით გათვალისწინებული 55 ც ხილის ნაცვლად მიღებული იქნა 36,7 ც, მათშორის კოლმეურნეობებში 27 ც. რის ვაშლაც სახელმწიფოს მიეყიდა გევმის მხოლოდ 79,7 პროცენტით.

<sup>12</sup> მლისფა, საქ. სსრ, დ. 14, ანაწ. 3, საქ. 14, ფურ. 8.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების, მისი თვითღირებულების შემცირებისა და სხვა ღონისძიებითა დროულად და მაღალხარისხიანად გატარების მიზნით 1964 წ. საქართველოს სსრ-ში ჩამოყალიბდა საბჭოთა მეურნეობების ოთხი სპეციალიზებული ტრესტი, მათ შორის მევენახეობა-მეხილეობის მიმართულებისაც. ამიერიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა არა მარტო განსაზოგადოებული ბაღების კომპლექსური მექანიზაციის საკითხებს, არამედ შეძლებისდაგვარად პირადი სარგებლობის ბაღების მექანიზებულად დამუშავებასაც. ამ უკანასკნელში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სხვადასხვა ქიმიური პრეპარატების გამოყენება მავნებლებთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით, რაც ნაკლებად წარმოებდა სათანადო ტექნიკური აღჭურვილობისა და მასალების ნაკლებობის გამო.

ამ მიზნით უკანასკნელ პერიოდში ამოქმედებულმა ახალმა მძლავრმა ქიმიურმა საწარმოებმა და სხვა საჭირო ტექნიკურმა აღჭურვილობამ შესაძლებელი გახადა, რათა მეხილეობის მიკრო ცენტრებში საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატებთან შექმნილიყო სპეციალური სამანქანო პარკები, რომელთაც მიუხედავად თავიანთი არარტიმული მუშაობისა და სხვა დაბრკოლებებისა მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ხეხილის მავნებლებთან ბრძოლის საქმეში.

შვიდწლედის ბოლოს საქართველოს სსრ თესლოვანი ხილის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა 128,8% ხოლო კურკოვანისა — 110,3% შეასრულა. ყველა ამ წარმატებათა შედეგია ის, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე 1965 წ. ჩვენი რესპუბლიკის მეხილეობმა პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურეს, ხოლო მეხილეობის დარგში ნაყოფიერი მუშაობისა და დიდი წარმატებებისათვის 1966 წ. ხუთ მუშაკს სოციალისტური შრომის გმირის უმაღლესი წოდება მიენიჭა.

მომდევნო მერვე ხუთწლიანი გეგმა (1966—1970), როგორც ცნობილია, მტკიცე მეცნიერულ საფუძველზე იქნა შემუშავებული. სოფლის მეურნეობის მიმართულებით დასახული იქნა არა მარტო დიდი წარმოებრივი პროგრამა, არამედ რეალურად შეიქმნა პირობები მისი წარმატებით განხორციელებისათვის. ახლა საქმე ამ შესაძლებლობათა უნარიანად გამოყენებაში მდგომარეობდა, რათა აქ დაბანდებულ თვითეთლ მანეთს მაღალი ეკონომიკური შედეგი მოეტანა<sup>13</sup>. მერვე ხუთწლიანი გეგმით ხილის წარმოება ჩვეს რესპუბლიკაში 289 ათას ტონამდე უნდა გაზრდილიყო მაშინ, როდესაც შვიდწლედში სახელმწიფოს მიეყიდა 190 ათასი ტონა. მერვე ხუთწლედში სახელმწიფოებრივი კაპიტალდაბანდების საერთო მოცულობას რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში უნდა მიედწია 800 მლნ მანეთამდე, ნაცვლად წინახუთწლედის 354,4 მლნ მანეთისა.

ყველა ზემოაღნიშნული ღონისძიებების განუხრებლად გატარებამ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებს და კერძოდ მეხილე-ნოვატორებს შესაძლებლობა მისცა, რათა მერვე ხუთწლედში 1953 წელთან შედარებით ეწარმოებინათ 3,5-ჯერ მეტი ხილი და ბაღების ფართობი გაეზარდათ 150 ათას ჰექტარამდე. მერვე ხუთწლედის განმავლობაში მარტო რესპუბლიკის განსაზოგადოებულ სექტორში გაშენებულ იქნა 20 ათას ჰექტარზე მეტი ახალი ბაღი სადაც 70-80 პროცენტი თესლოვანებმა დაიკავა.

განსაზოგადოებულ სექტორში მეხილეობის სწრაფი ტემპით ზრდას დიდად შეუწყო ხელი სარწყვი ფართობის მკვეთრმა ზრდამ და სანერგე მეურნეობების ბაზების გადიდება. თუ 1969 წლისათვის

<sup>13</sup> სკკ XXIII ყრილობის დირექტივები, თბ., 1966, გვ. 19.



კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში სარწყავი მიწების ფართობი 331 ათას ჰექტარს შეადგენდა 1970 წლისათვის ის გადიოდა 9,8 ათასი ჰექტარით. თუ 1967 წლისათვის რესპუბლიკაში მოქმედებდა 26 სახელმწიფოებრივი სანერგე, რომელთა სერთო ფართობი 12 ათას ჰა აღმეტებოდა და ამზადებდა 5 მლნ ნერგზე მეტს ხუთწლედის ბოლოსათვის (1970) მისი წარმოება ვარაზარდა 14 მლნ ცალამდე წელიწადში. ამასთან, იმ მიზნით, რომ ფართოდ განვითარებულიყო ქონდარა — მალე მსხმოიარე სანერგე მასალის წარმოება, ექსპერიმენტული ბაზების 36 ჰა გაშენებული იქნა ისეთი სადედეები, როგორც იყო №9 ტიპის „პარადისკა“ „დუსენი“, „ხომანდლი“ და სხვ., რომელთა საძირებზე მარტო 1966 წ. დამყნული იქნა 6 492 ათასი ცალი. აგრეთვე სახელმწიფოებრივ სანერგეებში დათესილი იქნა სადედე ბალი, რომელთა ფართობმა ამავე წლისათვის მიაღწია 1 370 ჰა აღნიშნული ღონისძიება კი თავის მტრივ სრულ გარანტიას იძლეოდა ამ ტიპის დასარგავ მასალაზე ფართო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთვის, რომელიც საქმე ოდენობით გადაიღო აგრეთვე რესპუბლიკის ვარეთაც.

ვიარტე ამისა, რომ აღნიშნული საცდელი სადედეები და მასში შემავალი საყრდენ-საჩვენებელი სანერგე პუნქტები დიდმნიშვნელოვან მეცნიერულ პრობლემებს ამუშავებდნენ, ამასთან ისინი წარმოადგენდნენ მოწინავეთა გამოცდილების დიდ კერებს. მაგალითად, 1964 წ. სერის საცდელმა სადგურმა მსხმოიარე ბალის თითოეულ ჰექტარზე მიიღო 150,2 ც მალახარისხოვანი ხილი, 1965 წელს კი იმავე ფართობზე 230 ც, ხოლო 1966 წელს — 150 ც. ამასთან ახალმა ჯიშმა — ვაშლის ჰიბრიდმა — „ივერიამ“, რომელიც „ეხუბრასა“ და „ბანანის“ შეჯვარების შედეგად იქნა მიღებული, 1963-1964 წწ. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობების გამოყენებაზე მაღალი შედეგება დაიმსახურა. „ივერიამ“ ვაშლის სხვა ჯიშებს შორის ისეთი დედებით თვსევეც გამოამუშავდა, როგორცაა კარგი მოსავლიანობა, ნაყოფის შედგარლობა-არომატულობა, გამძლეობა. ამ ჯიშის საშუალო მოსავლიანობა ექვსჯერ აღემატება რესპუბლიკის ხილის მოსავლის საშუალო დონეს და სხვ.<sup>14</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მარტო 1968-1969 წწ. საქართველოს სსრ განსაზოგადოებულ სექტორში დარგული იქნა ოთხი ათასზე მეტი „ივერიის“ ჯიშის ვაშლის ნაყენი. ეს ჯიში ფართოდ ვრცელდება არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, განსაკუთრებით — რუმინეთსა და ბულგარეთში. მეშვიდე და მერვე ხუთწლედებში დიდად გაიზარდა განსაზოგადოებული სექტორის ხეხილის ფართობებისა და მოსავლიანობის ხვედრიწონა. მაგალითად, 1961 წლის მონაცემებით ხეხილის ბაღების საერთო ფართობი საქართველოს სსრ 108,2 ათას ჰა შეადგენდა. მათ შორის კოლმეურნეობებზე მოდიოდა 39, 1 ათასი ჰა, სახელმწიფოებრივ მეურნეობებზე — 6,3 ათასი ჰა და კოლმეურნე მუშაომოსამსახურეთა ფართობებზე 62,5 ათასი ჰა. 1961—1965 წწ. განსაზოგადოებულ სექტორში გაშენდა 37,0 ათას ჰექტარზე მეტი ახალი ბაღი.

მიუხედავად ამისა, განსაზოგადოებულ სექტორში მეხილეობის განვითარების დიდი რეზერვები იყო. აღსანიშნავია, რომ 1962 წ. აღწერის თანახმად, ხილის ბაღების მქონე 1 221 კოლმეურნეობიდან—813-ს, ე. ი. 66,6 პროცენტს საშუალოდ ჰქონდა 10 ჰა ახალი ბაღი, 207-დან ე. ი. 17 პროცენტს 10-დან—25 ჰექტარამდე, 104-დან ე. ი. 8,5 პროცენტს 25-დან 50 ჰექტარამდე, 29-დან ე. ი. 4 პროცენტს 50-დან 100-200 ჰექტარამდე, ხოლო 11 კოლმეურნეობიდან ე. ი. 0,3 პროცენტს 300 ჰექტარი და მეტი.

მართალია, საბჭოთა მეურნეობებში ამ მტრე მდგომარეობა შედარებით უკეთესი იყო, მაგრამ აქაც ხეხილის ბაღები ცოტა იყო მაგალითად, 125 საბჭოთა მეურნეობიდან ზეხელს ბაღები ჰქონდათ გაშენებული 10 ჰექტარამდე ფართობზე მხოლოდ 51-ს ანუ 40,8 პროცენტს, 21 საბჭოთა მეურნეობას 10-დან 25 ჰექტარამდე ანუ 16,6 პროცენტს, 19 მეურნეობას 25-დან 50 ჰექტარამდე ანუ 15,2 პროცენტს, 15 მეურნეობას 50-დან 100 ჰექტარამდე ანუ 12 პროცენტს, 9 ზეგარეობას 100-დან 200 ჰექტარამდე ანუ 7,2 პროცენტს, 3 მეურნეობას 200-დან 300 ჰექტარამდე ანუ 2,4 პროცენტს და მხოლოდ 7 მეურნეობას ანუ 5,6 პროცენტს გააჩნდა 300 ჰექტარზე მეტი ხეხილის ბაღი. ამასთან ეს უკანასკნელი მეხილეობის მიმართულულების საბჭოთა მეურნეობებია.<sup>15</sup>

<sup>14</sup> მაგალაშვილი, ი. ვ. В садах Грузии, Тб., 1967, стр. 6.

<sup>15</sup> საქართველოს მეხილეობა, ტ. I, თბ., 1969, გვ. 422.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ცოტა იყო მეხილეობის საბჭოთა მეურნეობები და ბუნებრივია მისი ხვედრითი წონაც ხილის წარმოებაში, რამდენადაც 1961 წლისათვის 147 საბჭოთა მეურნეობაში ხეხილის ბაღებს ეკავა 10,9 პროცენტი. ამიტომ სავსებით ბუნებრივია ის გარემოება, როცა რესპუბლიკაში ხილ-კენკროვანთა საერთო მოსავლისა და მოსავლიანობის მაჩვენებლები ყველა კატეგორიის მეურნეობაში უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე არა სტაბილურია და შემდეგ სურათს იძლევა:

საქართველოს სსრ მეხილეობის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები (1940—1971 წწ)<sup>16</sup>

	1940	1950	1960	1967	1968	1969	1970	1971
ხილ-კენკრ. ფართ. ათას ჰექტ-ით	84,2	93,9	106,2	136,8	140,5	141,0	152,0	153,4
მ.შ მსხმ.	34,9	57,2	65,4	67,3	73,3	74,4	75,3	76,2
საერთო მოს. ათას ტონ-ით	113	150	179	265	328	280	393	275
მოსავლიან.	32,3	26,2	27,4	39,3	45,4	36,0	49,3	33,9

მეხილეობის შემდგომი განვითარება, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს ძირითადად დამოკიდებულია და კვლავაც იქნება იგი დამოკიდებული განსაზოგადებულ სექტორში ბაღების ხვედრითი წონის შეუფერხებელი ზრდის შედეგებზე. თანამედროვე პირობებში, როგორც ცნობილია, სწრაფი ტემპით ვითარდება მეხილეობა განსაზოგადოებული სექტორის ორივე ტიპის სახელმწიფო მეურნეობებში (კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები) და მას მაღალი ხვედრიწონა აქვს განსაკუთრებით სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობებში. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მისი განვითარება მხოლოდ ამ გზით სწარმოებდეს. ახლა დღის წესრიგში დგას საკითხი სოფლის მეურნეობაში ცალკეული კულტურების მეტ-ნაკლებად განვითარებისათვის გამომდინარე თითოეული მიკრორაიონის თავისებურებიდან და ამდენად, მეხილეობა ფეხს იკიდებს ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში.

მეხილეობის გამაზომიერი განვითარების შედეგად განსაკუთრებით სწრაფი ტემპით მატულობს მისი პროდუქციის ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში და მერვე ხუთწლედის ბოლოსათვის 5 პროცენტს აღწევს მაშინ, როდესაც ამიერკავკასიის რესპუბლიკებში იგი არ აღემატება აზერბაიჯანში 1,5 და სომხეთში 1,4 პროცენტს<sup>17</sup>.

საბჭოთა კავშირის კომპარტიის და მთავრობის, აგრეთვე რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოების მიერ განვლილ პერიოდებში განხორციელებული ქმედითი ღონისძიებების შედეგად შესაძლებელი გახდა საერთოდ მრავალწლიან ნარგავთა სწრაფი ზრდა განსაზოგადოებულ სექტორში. მერვე ხუთწლედის პირველ პერიოდში, როცა ჩვენს რესპუბლიკაში ხილკენკროვანთა საერთო ფართობი 129 522 ჰექტარზე მეტს აღწევდა, ცალკეული სექტორების

<sup>16</sup> Грузинская ССР в цифрах в 1971, Тб., 1972.

<sup>17</sup> Советская Грузия по ленинскому пути, Тб., 1970, стр. 83.

ხვედრიწონა შემდეგი იყო: 46 456 ჰა ანუ 35,9 პროცენტი კოლმეურნეობებზე მოდიოდა, 21 120 ჰა ანუ 16,3 პროცენტი საბჭოთა და სხვა სახელმწიფოებრივ მეურნეობებზე, 61 946 ჰა ანუ 47,8 პროცენტი მოსახლეობის პირად სარგებლობაზე. ისე, რომ ხეხილის ბაღების მთელი ფართობის ნახევარზე მეტი უკვე განსაზოგადოებულ სექტორზე მოდიოდა<sup>18</sup>. ხეხილის ბაღების ზრდასთან ერთად ბუნებრივია, მატულობს ხილის საშუალოწლიური წარმოება, რომელმაც 1970 წლისათვის წინა ხუთწლედთან შედარებით 53 პროცენტით იმატა და რესპუბლიკის მეხილეობის განვითარების ისტორიაში განსაზოგადოებელი სექტორიდან პირველად იქნა მიღებული 183 ათას ტონაზე მეტი ხილი. თუ მაგალითად, 1969 წ. ყველა კატეგორიის მეურნეობაში ხილის მოსავალმა შეადგინა 280,1 ათასი ტ, 1970 წლისათვის იგი გაიზარდა 390,1 ათას ტონამდე ანუ 139%-ით<sup>19</sup>.

მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული რესპუბლიკის ცალკეულ სახელმწიფოებრივ მეურნეობებში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის ტრესტის საერთო მიღწევები, სადაც პროდუქციის წარმოების ხუთწლიანი გეგმა 127,7% იქნა შესრულებული. ამ სისტემის საბჭოთა მეურნეობებში მერვე ხუთწლედის განმავლობაში ხილის წარმოება გაიზარდა 124 პროცენტით, მათ შორის თითქმის ერთიორად გაიზარდა სტანდარტული პროდუქცია. 1966 წ. ტრესტის საბჭოთა მეურნეობებიდან მიღებული 8 487 ტ ხილიდან მხოლოდ 3 284 ტ ანუ 38,5 პროცენტი იყო სტანდარტული, ხოლო 1970 წ. მიღებული 18 643 ტ პროდუქციიდან სტანდარტულმა მიაღწია 14 630 ტონას და შეადგინა 78,5%.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც საქართველოს სსრ, ისე სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა წარმატებები მეხილეობის დარგში თვალსაჩინოა, ჯერ კიდევ „ცოტას ვაწარმოებთ ბოსტნეულსა და ხილს. პარტიის მორიგი ამოცანები იმაში მდგომარეობს, რომ დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნები მის პროდუქტ-ნედლეულზე. რომ გაცილებით მეტ ყურადღებას მოითხოვს კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილისა და ბაღჩეულის კულტურების წარმოება. ამიტომ მიმდინარე ხუთწლედის დამლევისათვის გათვალისწინებულია ხილ-კენკროვანების პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა გადიდებული იქნეს საბჭოთა კავშირში 7 მლნ ტონამდე, რაც 1,5—2-ჯერ აღემატება მიღწეულ დონეს. ამ მიზნით საჭიროა დიდი მუშაობა იქნეს განხორციელებული წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის... ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა უახლოეს წლებში უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილება ბოსტნეულზე, ხილზე და ბაღჩეულ კულტურებზე“<sup>20</sup>. „სოფლის მეურნეობის სხვა წამყვან დარგებთან ერთად, — ხაზგასმული იყო საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე, — ბევრი რაიონის, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ეკონომიკაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს მევენახეობა-მებაღეობას... კვლავაც უნდა განვითარდეს ეს დარგები, როგორც საზოგადოებრივ მეურნეობათა შემოსავლის საფუძველი, გადიდდეს სოფლის მეურნეობის ამ პროდუქტების მოსავლიანობა და შემცირდეს მათი წარმოების თვითღირებულება“<sup>21</sup>.

<sup>18</sup> საქართველოს მეხილეობა, ტ. I, თბ., 1969, გვ. 410.

<sup>19</sup> საქართველოს კომპარტიის საანგარიშო მოხსენება XXIV ყრილობას, თბ., 1971, გვ. 64.

<sup>20</sup> ლ. ი. ბ რ ე ე ვ ი, პარტიის მორიგი ამოც. სოფ. მეურნ. დარგში, თბ., 1970, გვ. 18.

<sup>21</sup> საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობას, თბ., 1971, გვ. 20.

ერთობ დიდი ამოცანებია დასახული ხეხილის ნარგავების ფართობის გადიდების მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ხუთწლედში, სადაც ყველა პირობა შექმნილი მის წარმატებით გადასაქრელად. თავის მხრივ მეცხრე ხუთწლედში ხეხილის ნარგავების ფართობის გადიდების მიმართულებით დიდი პერსპექტივებია დასახული ჩვენი რესპუბლიკის ცალკეულ რაიონებში.

მიმდინარე ხუთწლედის დამთავრებისათვის რესპუბლიკაში ხეხილის ბაღების ფართობი 1970 წელთან შედარებით გაიზრდება 14,5%-ით და მიაღწევს 174,1 ათას ჰექტარს. აქედან განსაზოგადებულ სექტორში, კერძოდ კოლმეურნეობებში მისი ფართობი მოცემულ პერიოდში გაიზრდება 52,7 ათას ჰექტარამდე, ხოლო საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებში — 37,9 ათასიდან 47,9 ათას ჰექტარამდე.

შესაბამისად გაიზრდება მსხმოიარობაში შესული ბაღების ფართობიც და მეცხრე ხუთწლედის ბოლოსათვის მიაღწევს 86,3 ათას ჰექტარს, ანუ მთელი ფართობის 49,6%. ისე, რომ 1970 წელთან შედარებით ხუთწლედის ბოლოს მსხმოიარე ხეხილის ბაღების 36,2%-ით გაიზრდება. ხეხილის ბაღებისა და მსხმოიარე ბაღების ფართობის ზრდასთან ერთად ინტენსიფიკაციის დონის ამაღლებით შესაძლებელი ხდება, რათა მეცხრე ხუთწლედში მოსავლიანობამ რესპუბლიკის მასშტაბით 51,0 ცენტნერამდე მიაღწიოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოსავლიანობა 1970 წელთან შედარებით საშუალოდ გაიზრდება 3,4%-ით. ამ მიზნით, მიმდინარე ხუთწლედში ხილის საერთო მოსავალი ჩვენს რესპუბლიკაში 373,1 ათასი ტონიდან 440 ათას ტონამდე, ანუ 17,9%-ით გაიზრდება.

Д. ПАВЛИАШВИЛИ

## РАЗВИТИЕ ПЛОДОВОДСТВА В СОВЕТСКОЙ ГРУЗИИ

### Резюме

Несмотря на давнее историческое прошлое плодоводства, всегда игравшего значительную роль в деле экономического усиления и восстановления страны, основы его расцвета и интенсивного развития в нашей республике были заложены только после установления Советской власти.

В период восстановления сельского хозяйства Коммунистическая партия и Советское правительство особое внимание уделяли широкому внедрению агротехнических методов в существующих и во вновь развивающихся высокопроизводительных отраслях, учитывая при этом такие характерные для условий Грузии компоненты как малоземелье, сложные рельефные условия и природно-экономические особенности.

Важнейшим событием в деле интенсивного развития плодоводства следует считать создание первых крупных плодородческих совхозов и колхозов. В результате победы сплошной коллективизации в сельском хозяйстве создались и укрепились крупные государственные объединения. На быстрые темпы развития плодоводства в республиках Закавказья указывает и то, что после окончания второй пятилетки оно занимало третье место в стране, где только в 1937 г. было заложено 7331 га новых плодовых садов и где хозяйство питомников увеличилось более чем в 2 раза, охватив 38 районов республики. По данным 1940 года, в республике под плодовыми насаждениями было занято всего 1,06% земельных угодий. Весьма важным документом в деле дальнейшего развития плодоводства и виноградарства следует считать совместное постановление Цен-



ტრального Комитета ВКП(б) и Совнаркома СССР от 15 октября 1940 г. «О мерах по дальнейшему подъему сельского хозяйства, особенно промышленного плодоводства и виноградарства, в районах Карталинии Грузинской ССР».

Несмотря на тяжелые условия в период Великой Отечественной войны, наша республика дала Родине помимо других продуктов сельского хозяйства свыше 122.349 центнеров свежих плодов.

Особенно развилось плодоводство в послевоенный период. Только за годы восьмой пятилетки в государственном секторе республики было посажено свыше 20 тысяч гектаров плодовых деревьев из числа которых 70—80% приходилось на семечковые. В нынешней, девятой пятилетке в республике будет заложено 25 тысяч га новых плодовых садов.

D. PAVLIASHVILI

## THE DEVELOPMENT OF FRUIT—GROWING IN SOVIET GEORGIA

### Summary

In spite of great historical past of fruit—growing, which played an important role in the economic strength and restoration of the country the foundation for the prosperity and intensive development of fruit—growing in our country was laid only after the establishment of the Soviet power.

In the period of restoration of agriculture the Communist party and the Soviet Government played a great attention to the introduction of modern agrotechniques of existing and redeveloping highproductive branches, taking into consideration such characteristic components of Georgia as a land hungry, complex relief condition and natural — economic particularities.

The creation of the first large fruit—growing farms are considered to be an important event in the intensive development of fruit—growing.

In the result of the victory of the solid collectivisation in agriculture were created and strengthened large state unions.

Such rapid development of fruit—growing in the republics of Caucasus is indicated by the fact at the end of the second five year plan. It was in the third place in our country, where only in 1937 were cultivated 733 ha of new orchards and where nursery farms were enlarged more than two times including 38 regions of the republic.

According to the official returns of 1940 orchards occupied only 1,06 percent of the land. As a document of great importance in the further development of fruit—growing and horticulture is considered a combined decision of the Central Committee and the Sovnerkom in 1940 „about the further growing of agriculture especially of the industrial fruit—growing and horticulture in the regions of Kartli in Georgia“.

In spite of severe condition during the Great World War, our republic gave to the country more than 12234 centners of fresh fruit, beside other products.

After the post war period fruit—growing was especially developed. Only during the eighth five yaer plan in a state sector of the republic were planted more than 20000 ha of fruit tress, from which seeden fruit occupied 70—80%.

During the minth five year plan in our republic with be planted more than 25 ha of new orchards.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა)



ა. ბრეჟნევი, ლ. მიხლორავსკი

ნავთობის მრეწველობა საქართველოში  
(1921—1932)

ტერმინი ნავთობი ახლანდელი გაგებით ნიშნავს მიწის წიაღიდან ამოღებულ მასალას, ხოლო ნავთობი — ნავთობისაგან გადამუშავებულ საწვავ (ასანთ) პროდუქტს. ქართველი ხალხი უძველესი დროიდან იცნობდა ნავთობს და მისგან წარმოებულ მასალას, რომელსაც უწოდებდნენ ნავის, უფრო კი — კუპრს (შესქელებულ ნავთობს). ცნობილია, რომ კუპრს ხშირად ხმარობდნენ სამეურნეო ცხოვრებაში (ბორბლებზე წასაცხებად, გულებსა და ტყეების გამოსაყვანად, სანათებლად, სამკურნალოდ და სხვ.).

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც რუსეთის ხელისუფლება ამიერკავკასიაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრის შესწავლა-გამოყენებას, აღრიცხული იქნა 60-მდე ნავთობის გამოსავალი. V—VIII საუკუნეების მანძილზე პატარა შირაქის ნავთობის საბადოებში, ხელით გაჭრილი პატარა კებიდან იღებდნენ ნავთობს და იყენებდნენ ადგილობრივი საქირებისათვის, ხოლო მოგვიანებით (XII—XIII სს) ივ. ჯავახიშვილის ცნობით, შირაქში მოპოვებული ნავთობი მცირე აზიაშიც კი გაქონდათ.

გურიისა და, საერთოდ, საქართველოს ნავთობის გამოსავლის შესახებ პირველად რუსულ ოფიციალურ ცნობას ვხვდებით 1827 წელს, სადაც აღნიშნულია, რომ გურიანთასა და იაკობს შორის რომელიც ზღვიდან დამორებულია 5 ვერსით, იმყოფება რამდენიმე ჭა. საიდანაც, იღებენ სქელ ნავთობს; ზაფხულში, ამოღებულ ნავთობის რაოდენობა აღწევს 70 ფუთს, რომელიც ადგილზე იყიდება ბათიანი 60 კაპიადო<sup>1</sup>.

საქართველოში ნავთობის საბადოს მრეწველური წარმოება დაიწყო 1869 წლიდან, როდესაც პატარა შირაქში საზღვარგარეთის ფირმამ („ძმები სიმენები“) მოაწყო ნავთობის კუსტარული ხარეწავი, რისთვისაც ხაზინისაგან იჯარით აიღო ნავთობიანი მიწის ნაკვეთები. საბადოების ექსპლოატაცია წარმოება ხელით, პატარა ჭაბურღილების გათხრით. ფირმას წითელწყაროში მოწყობილი ჰქონდა ნავთობის ქარხანა. 80-იანი წლებისთვის პრიმიტიულად მოწყობილი ჭაბურღილების რიცხვმა თითქმის 200-მდე მიაღწია. 1872 წლიდან 1885 წლამდე პატარა შირაქში სულ მოპოვებულია 1156000 ფუთი ნავთობი; აქედან მიღებული იქნა 225 ათასი ფუთი გამოხდილი ნავთობი, წითელწყაროსა და სამხრეთ კახეთის მიდამოებში ნავთობის წვრილი და კუსტარული საწარმოები ჰქონდათ, აგრეთვე, ოთაროვს, პატაშვილსა და წერეთელს.

პირველად გურიის ნავთობის საბადოთა სამრეწველო გამოყენებას ყურადღება მიაქცია საზღვარგარეთის ერთ-ერთმა საზოგადოებამ 1878 წელს, როდესაც წარმოებდა ბათუმის რკინიგზის მშენებლობა ამიერკავკასიის რკინიგზასთან დასაკავშირებლად<sup>2</sup>. საზოგადოებამ ნატანებთან ახლოს საფ. სახელოში შეიძინა რამდენიმე ლესეტიანა მიწის ნაკვეთი და ინჟინერ კომპლენის მითითებით დაიწყო ორი საცდელი ჭაბურღილის გათხრა. 15 საენის სიღრმეზე გამოჩნდა ნავთობის ნიშნები. მეორე ჭაბურღილის თხრა დაიწყო 1879 წელს, თანდათანობით მატულობდა სიღრმე. 60 საენზე ამოხეიქა ჭერ გაზმა, შემდეგ კი ნავთობმა (2 არშინის სიმაღლეზე), მაგრამ ნავთობის ამოქაჩვისათვის არავის მიუტყვევია ყურადღება, შემდეგ კი სარეწი უცხოეთის საზოგადოებამ სრულიად მიატოვა. 1912 წელს გურიის ნავთობის დამუშავებას ხელი მოჰკიდა ინგლისელ ნავთობმრეწველო

<sup>1</sup> ივ. ყიფშიძე, ნავთობი, თბ., 1937, გვ. 3.  
<sup>2</sup> ივ. ყიფშიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 82.  
<sup>3</sup> Сборник материалов по вопросам о нефтяных месторождениях Гурии, Тб., 1927, стр. 277.  
<sup>4</sup> Сборник материалов по вопросу о нефтяных месторождениях Гурии, стр. 276.

ამხანაგობამ, რომელსაც ეწოდებოდა „გურიის ნავთობის კორპორაცია“.

საქართველოში ნავთობის ყველაზე უძველეს გამოსავლად შეიძლება ჩაითვალოს ნავთულის წყაროები მტკვრის პირას. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ნავთულის ნავთობის გამოსვლები ისე როგორც პატარა შირაქისა ეკუთვნოდა ხაზინას, რომელიც იჯარით ვაიციემ ოდა. კავკასიის სამთო სამმართველოს ანგარიშგებებიდან ვიცით, რომ 90-იან წლებში ნავთულდში იღებდნენ 4000 ფუთ ნავთობს წლიურად<sup>5</sup>.

საქართველოს ნავთობი შეისწავლებოდა მხოლოდ ეპიზოდურად, მცირე უზნებზე, კომპლექსური გეოლოგიური კვლევა-ძიების გარეშე, ხოლო ნავთობის ამოღება წარმოებდა მცირე სიღრმეში ყოველგვარი მეცნიერული დასაბუთების გარეშე. ნავთობის საბადოთა უმრავლესობა მდებარეობდა რკინიგზისაგან დაშორებით და გადაზიდვა ხდებოდა უფარგის საჰაანო გზების პირობებში, რაც უარყოფილად მოქმედებდა ნავთობის მოპოვების ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

1883 წ. ბაქო-ბათუმის რკინიგზის გაყვანის შემდეგ, ბაქოს ნავთობპროდუქტები დიდი რაოდენობით შემოდიოდა საქართველოში, ბაქოს ნავთობმა დიდი კონკურენცია გაუწია საქართველოს ახლადფეხდამულ ნავთობის მრეწველობას, რის შედეგადაც იკვეცება საქართველოს ნავთობის მოპოვება, ხოლო ახალი საწარმოების მოწყობაზე ნაკლებ ინტერესს იჩენდნენ რუსეთისა და საზღვარგარეთის ნავთობმრეწველი კაპიტალისტები. საქართველოს ნავთობის საბადოთა მიმართ ინტერესი შენედა იმიტომაც, რომ XX საუკუნის დასაწყისში მეტად გამახვილდა ყურადღება გროზნოს, მაიკოპისა და შუა აზიის ნავთობის საბადოთა მიმართ.

საქართველოში ნავთობის მრეწველობის განვითარება საგრძნობლად შეფერხდა პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის შედეგად. ხოლო საქართველოში მენშევიკების მთავრობის ბატონობის პირობებში ნავთობის მრეწველობა ისე როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგები მნიშვნელოვნად განადგურდა. მიუხედავად არა ერთი ცდისა, მენშევიკურმა მთავრობამ ვერ შეძლო საქართველოს ნავთობით ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების დაინტერესება; ხოლო, თუ იყო ასეთი ცდა, უცხოელებს, ნავთობთან ერთად, მოლიანად საქართველოს სახალხო მეურნეობის ხელში ჩაგდება სურდათ<sup>6</sup>.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად დამყარდა მუშათა და გლეხთა დიქტატურა, რომელმაც არ დააყოვნა მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისად მთელი რიგი დიდი მნიშვნელობის დეკრეტების გატარება, — მოხდა მიწისა და მრეწველობის ნაციონალიზაცია<sup>7</sup>; ამ ისტორიული აქტის საფუძველზე, მთელი მიწები, საშუალო და მსხვილი საწარმოები გამოცხადდა საერთო-სახალხო საკუთრებად, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლების განმტკიცებაში. ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებას საფუძველად დაედო ვ. ი. ლენინის მიერ დასახული გეზი, რომელიც გულისხმობდა ამიერკავკასიის მწარმოებლურ ძალთა განვითარების, ჰიდროელექტროსადგურების ფართო მშენებლობის, სარწყავი სისტემის შექმნისა და, საერთოდ, ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავების გაძლიერების საჭიროებას<sup>8</sup>.

საქართველოს კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სამთო (მარგანეცის, ქვანახშირის, ნავთობის) მრეწველობის აღდგენასა და განვითარებას. საკონცენსიო პოლიტიკის განხორციელებით, კომუნისტური

<sup>5</sup> ივ. ყიფშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

<sup>6</sup> «Известия», 1946, 22 сентября.

<sup>7</sup> საქართველოს სსრ ცსა (თბ.), ფონდი 281, ანაწ. 1, საქმე 202, ფურც. 44; ვახ. „კომუნისტი“, 1921, 6 აპრილი; ვახ. „კომუნისტი“, 1921, 5 აგვისტო.

<sup>8</sup> ი. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობების აღდგენით პერიოდში, თბ., 1968, გვ. 33.



პარტია ვარაუდობდა მუშათა და გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, კაპიტალისტური ქვეყნების ტექნიკის გამოყენებით — სოციალისტური მრეწველობის განვითარებას კაპიტალიზმზე საბოლოო გამარჯვებისათვის, მაგრამ ნავთობის საბადოების დამუშავება კაპიტალისტური კონცენსიების საშუალებით პირველ წლებში ვერ მოხერხდა, ამიტომ რესპუბლიკის მთავრობა იძულებული იყო ადგილობრივი საშუალებებისათვის მიემართა. ეს დაიწყო იმით, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს (სმუს) სამთო კომიტეტის ინიციატივით დაიწყო პატარა შირაქის ნავთობის საბადოებში ჰაბურ-ლილების ხელით გათხრა, მაგრამ უსახსრობისა და სათანადო ტექნიკური მოწყობილობის უქონლობის გამო კომიტეტმა შეწყვიტა სამუშაოთა წარმოება. სამთო კომიტეტმა სარეწები დაუთმო ადგილობრივ კუსტარებს, რომლებიც შეძლებისდაგვარად ეწოდნენ ნავთობის მოპოვებას. ამ პერიოდისათვის საქართველოს ნავთობის რაიონები პირობითად დაიყო შემდეგ ზონებად: 1) სამხრეთ კახეთის (ვაკის), 2) ჩრდილოეთ კახეთის (მთიანის), 3) ქართლის, 4) სამხრეთ ოსეთის, 5) იმერეთის, 6) რაჭის, 7) გურიის, 8) აფხაზეთის.

აქედან, ძირითად სამრეწველო და საძიებო ზონებად მიჩნეულია სამხრეთ კახეთისა და გურიის ზონები. სახალხო მეურნეობის აღდგენით პერიოდში საქართველოს საბადოთა შესწავლა-გამოკვლევა არ მიმდინარეობდა სისტემატური მეცნიერული შესწავლის გზით, რადგან იმ დროის პირობებში ძნელი იყო ამ მიმართულებით მუშაობის გაშლისათვის სათანადო სახსრების გამოწახვა; გარდა ამისა, რესპუბლიკას ჯერ კიდევ არ ჰყავდა გეოლოგთა და ნავთობის მოპოვებელ სპეციალისტთა კადრები; ამიტომ მირზაანისა და პ. შირაქის ნავთობსაბადოები გადაეცა (1925 წ.) იტალია-ბელგიის საკონცესიო საზოგადოებას, მაგრამ იგი მალე გაუქმდა ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო.

საქართველოს კ (ბ) VII ყრილობამ (1930 წლის მაისი-ივნისი) განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია რესპუბლიკის ინდუსტრიული განვითარების ტემპების დაჩქარებას. თავის რეზოლუციაში ყრილობა მიუთითებდა, რომ გაშლილიყო ენერგიული მუშაობა ელექტრომშენებლობის, ქიმიური და სამთომადნო მრეწველობის (ქვანახშირი, მარგანეცი, ნავთობი და სხვ.) განვითარებისათვის, გაძლიერებულიყო სამთო კვლევაძიებითი სამუშაოების წარმოება და სხვ.<sup>9</sup>, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების პირველ ხუთწლიან გეგმაში<sup>10</sup>.

რესპუბლიკის ნავთობის მრეწველობის შექმნა მოითხოვდა ცენტრალური სამმართველოს დაარსებას, რომელსაც დევალეობდა, როგორც ნავთობის მოპოვების ფართოდ გაშლის, ისე ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის ხელმძღვანელობა. ამ მიზნით 1929 წლის 10 დეკემბერს ჩამოყალიბდა „საქნავთის“ ტრესტი<sup>11</sup>, რომელიც იმთავითვე შეუდგა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნავთობსაძიებო მუშაობის დაქვემდებარებას სოციალისტურ გეგმურობასთან, ამავე დროს გამახვილდა ყურადღება სამხრეთ კახეთის, ნორიო-მარტყოფისა და გურიის (სუფსა) ნავთობის საბადოთა ექსპლოატაციის დაწყების საკითხებზე. საქართველოს კომუნისტური პარტია და მთავრობა განსაკუთრე-

<sup>9</sup> მოსტვა, ფონდი 14, ანაწ. I, ნაწ. 31, საქმე 3456, ფურც. 554—560.

<sup>10</sup> იქვე, საქმე 3150, ფურც. 708.

<sup>11</sup> საქართველოს სსრ ორცა, ფონდი 819, ანაწ. I, საქმე 1786, ფურც. 11—14.

ბულ მზრუნველობას იჩენდა რესპუბლიკის ნავთობის მრეწველობის განვითარებაში. მნიშვნელოვან კაპიტალურ დაბანდებათა შედეგად მირზაანის ნავთობსარეწავებმა მოლოდინს გადააჭარბეს. მოპოვებული ნავთობის მოცულობის გადიდება დღის წესრიგში დააყენა ნავთსახდელი ქარხნების მშენებლობა; ასეთი ქარხანა პირველ რიგში უნდა აშენებულიყო მირზაანში, შემდეგ კი — ნორიოში.

თუ რა დიდი ყურადღება ექცეოდა საქართველოში ნავთობის მრეწველობის განვითარებას, განსაკუთრებით — პირველ ხუთწლედში, ეს ჩანს კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობიდან. ასე, მაგალითად: სახალხო მეურნეობის აღდგენითს პერიოდში მხოლოდ ნავთსახდელი მრეწველობისათვის დაიხარჯა 5,8 მლნ. მანეთი, ხოლო პირველ ხუთწლედში — 38,3 მლნ. მანეთი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1931 წლის 18 ივლისს განიხილა „საქნავთის“ ტრესტის მუშაობის შედეგები და დასახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები საქართველოს ნავთობის მრეწველობის შექმნისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის. აღნიშნულ დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ „საქნავთის“ ხაზით გაშლილ მშენებლობას დიდი მეურნეობრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს როგორც ერთ-ერთ ძირითად რგოლს რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაციაში, რომ ნავთობის მრეწველობას უახლოეს წლებში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეკავებინა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სისტემაში. 1932 წლისათვის ნავთობის მოპოვების ზრდა გათვალისწინებული იყო 170 000 ტონამდე. ამასთან ერთად, ეთხოვა „სოიუზნეფტსა“ და ლენინგრადის გეოლოგიურ ინსტიტუტს, რათა დაეჩქარებინათ საქართველოში ნავთობის მოპოვების გეოლოგიური სამიებო მუშაობა იმ ანგარიშით, რომ 1931 წლისათვის დასრულებულიყო ეს სამუშაოები მირზაანის რაიონში, გომბორში, ილდოყანში, ზემო ხოდაშენის ქედზე; 1932 წელს — მლაშისხევში, ამადარში, კილა-კუბრში, კახეთის ქედზე; ხოლო მომდევნო წელს — შირაქის რაიონში, ნორიოში, ნავთლულში, კავთისხევში, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში.

საქართველოს კვ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა მთელ რიგ ორგანიზაციებს, უმოკლეს დროში ნავთობის სარეწავები უზრუნველყოთ ელექტროენერჯით, სასმელი წყლით, კეთილმოწყობილ სატრანსპორტო გზებით. ამასთან ერთად, ეთხოვა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რომ „საქნავთის“ ტრესტს დროულად მიეღო შეკვეთილი გაწყობილობა და მასალები. ნავთობის სარეწების მუშაობა კულტურულ-ყოფაცხოვრებითი პირობების გაუმჯობესების მიზნით, „საქნავთის“ ტრესტს 1931 წლისათვის გამოეყო 500 ათასი მანეთი; გათვალისწინებული იქნა, აგრეთვე, საავადმყოფოს, სკოლისა და ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობა. იმისათვის, რომ დაჩქარებულიყო „საქნავთის“ ტრესტის საწარმოების ტექნიკური აღჭურვა და დასახული გეგმა შესრულებულიყო წარმატებით, „საქნავთის“ მშენებლობა გადაყვანილ იქნა დამკვეთური მშენებლობის ჯგუფში<sup>12</sup>.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდი ღონისძიებები დასახეს საქართველოს ნავთობის მრეწველობის შექმნის ორგანიზაციისადმი. საკ. კ(ბ) 1931 წლის 31 სექტემბრის დადგენილებაში აღნიშნულია: „განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საქართველოში ნავთობის ორ-

<sup>12</sup> მლისფა, ფონდი 14, ანაწ. I, საქმე 3903, ფურც. 6.



განიზაციის დაჩქარებას — ახლად აღმოჩენილ საბადოებში<sup>13</sup>. დაევალა სსრ კავშირის სმუს, ამიერკავკასიისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტებს, რომ უზრუნველყოთ „საქნავთის“ ტრესტისადმი სათანადო მურნობრივი ხელმძღვანელობა, გაეწიათ მისთვის დახმარება გაწყობილობებისა და მასალების დროულად მიწოდებაში, უზრუნველყოთ ტრესტი საჭირო ტექნიკურ-ადმინისტრაციული და კვალიფიციური კადრებით. დადგენილება ავალბდა ამიერკავკასიისა და საქართველოს პარტიულ ორგანოებს, ისე წარემართათ მუშაობა, რომ საქართველოში 1932 წლისათვის დაეწყოთ ნავთობის მრეწველური მოპოვება.

საქართველოში ნავთობის მრეწველობის შექმნის ამოცანები, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სახავდნენ, ემყარებოდა წლების მანძილზე დაგროვილ მასალებს საქართველოში მდიდარი ნავთობის საბადოების არსებობის შესახებ და საბჭოთა ხელისუფლების პირობებში წარმოებულ გეოლოგიურ-საძიებო მუშაობის შედეგად მიღებულ მონაცემებს. პირველი ხუთწლედის დამამთავრებელ წელს საგრძნობლად გაიზარდა ჭაბურღილების რაოდენობა (80-მდე), ხოლო საძიებო ჭაბურღილების მეტრაჟმა 12155 მეტრს მიაღწია, თუმცა სამრეწველო ნავთობს ამ პერიოდისათვის მხოლოდ მირზაანის სარეწავები იძლეოდნენ და მასაც არა დიდი დებეტით. სხვა სარეწავებში, მართალია, მოპოვებული იქნა ნავთობი, მაგრამ მათი მოცულობა არ იძლეოდა საშუალებას მრეწველური გამოყენებისათვის. ამიტომ პირველი ხუთწლედის მანძილზე წარმოებდა მხოლოდ მირზაანის რაიონის სარეწავების ექსპლოატაცია. მირზაანში შეიქმნა ბურღვის კანტორა და სარეწავების სამმართველო, რომლებიც წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ სამეურნეო ორგანიზაციებს და შედიოდნენ „საქნავთის“ ტრესტის სისტემაში. 1930-1932 წლების მანძილზე „საქნავთის“ ტრესტმა მოიპოვა სულ 2944 ტონა ნავთობი; აქედან 1930 წელს — 248 ტონა, 1931 წელს — 1488 ტონა, ხოლო 1932 წელს — 1248 ტონა. (იხ. ცხრილი 1).

„საქნავთის“ ტრესტის მოპოვებული ნავთობის დინამიკა  
(1926/1927 წლების უცვლელ ფაქტებში)<sup>14</sup>

ცხრილი 1

წლები	სულ ტრესტის ხაზით		მათ შორის მირზაანის სარეწავის ხაზით	
	ათას მანეთებში	%—ით წინა წელთან შედარებით	ათას მანეთებში	%—ით წინა წელთან შედარებით
1930	5	100,0	5	100,0
1931	31	620,0	31	620,0
1932	26	83,8	26	83,3

როგორც ცხრილიდან ჩანს 1930—1932 წლების მანძილზე მოპოვებული ნავთობის პროდუქციის ღირებულება შეადგენდა სულ — 62 ათას მანეთს.

საქართველოს ნავთობის მრეწველობა, რომელიც ჩამოყალიბდა პირველ ხუთწლედში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის შედეგად, შეიარაღებული იქნა პირველხარისხოვანი მანქანა-იარაღებით, წლითი-

<sup>13</sup> ვაზ. „პრავდა“, 1931, 304.

<sup>14</sup> საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ფონდი 20, გვ. 41.

წლობით იზრდება და დიდდება როგორც საერთოდ ნავთობმრეწველობის ყოველგვარი სახის მოწყობილობით მომარაგება, ასევე — განსაკუთრებით — საბურღი აგრეგატების პარკის გადიდება. მირზაანში დაიწყო ნავთსახდელი და ბურღვის საჭიროებისათვის თიხის ხსნარის ქარხნების მშენებლობა. აშენდა და გრძელდება მშენებლობა მუშათა საცხოვრებელი ბინების, საავადმყოფოების, სკოლებისა და ბავშვთა ბინების. წარმოებაში მოვიდნენ მბურღავთა და ნავთობმომპოვებელთა კვალიფიციური კადრები, ეს უმთავრესად კახეთის რაიონებისა და თბილისის კომკავშირული ახალგაზრდობა იყო, რომლებმაც მომზადება გაიარეს აზერბაიჯანის სსრ ნავთობის მსხვილ სარეწავებზე. ამასთან ერთად კვალიფიკაცია აიმაღლეს გეოლოგიურ-საძიებო, ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების ტექნიკურმა კადრებმა, რომლებსაც უნარი შესწევდათ, რომ ებრძოლათ წარმოების უკეთესი ეკონომიკური მაჩვენებლების მისაღწევად.

მიუხედავად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა ნავთობის მოპოვების მოცულობა მნიშვნელოვნად ნაკლები იყო, ვიდრე გათვალისწინებული იქნა პირველ ხუთწლედში; ეს, უწინარეს ყოვლისა, იმით უნდა აიხსნას, რომ გეოლოგიურ-საძიებო მუშაობამ, რომელსაც ახასიათებდა მთელი რიგი ნაკლოვანებები, არ გამოიღო სათანადო შედეგები; თუმცა მთლიანად საქართველოს ტერიტორიის ნავთობის მარაგი განისაზღვრა მეტად დიდი რაოდენობით (განსაკუთრებით მირზაანისა და შირაქის რაიონებში), მაგრამ მისი მოპოვება გაძნელდა მიწის ზედაპირიდან დიდ სიღრმეში მისი მდებარეობის გამო. საჭირო იყო 2000 მეტრზე და კიდევ მეტ სიღრმეზე ჰაბურღილების გათხრა, რაც დაკავშირებული იყო ხარჯების ზრდასთან და ბურღვის ტექნიკის სრულყოფასთან. პირველ ხუთწლედში სსრ კავშირში ჯერ კიდევ არ წარმოებდა დიდ სიღრმეზე ბურღვა.

საქართველოს ნავთობის მოპოვების ბაზაზე მრავალი წინააღმდეგობის დაძლევის შედეგად, პირველი ხუთწლედის დამლევს შეიქმნა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგი — ნ ა ვ თ ო ბ ი ს მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა, რომელმაც უფრო ფართოდ გაშალა მუშაობა სახალხო მეურნეობის განვითარების შემდგომ ხუთწლედში.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა)



Н. ЛОРТКИПАНИДЗЕ

## СУЩНОСТЬ УПРАВЛЕНИЯ.

Процессы управления протекают повсеместно, ежечасно и охватывают буквально все стороны и все моменты человеческой деятельности. Каждый из нас постоянно чем-нибудь управляет. Рабочие в цехе управляют работой станка, механизатор-трактором, министр работой отрасли народного хозяйства и т. д. Выполняя повседневные обязанности, мы не задумываемся над тем, что имеется общего во всех процессах управления. «Когда мы говорим об управлении, то речь идет о процессах целенаправленной деятельности, т. е. такой деятельности, в которой участвует человек, преследующий определенные цели».<sup>1</sup> Такое определение управления дано Л. Куцевым и М. Горяиновым на наш взгляд нуждается в дополнении т. к. не полностью раскрывает сущности управления (Не всякая целенаправленная деятельность представляет управление, например — педагогическая деятельность). Д. М. Гвишиани считает, что «суть управления народным хозяйством заключается в том, что оно направлено на руководство людьми — основной производительной силой общества и через людей на ход производственных процессов».<sup>2</sup> Н. И. Ведуга дает следующее определение: «Всякая совокупность человеческих действий, обеспечивающих развитие явлений в нужном направлении, представляет собой управление».<sup>3</sup>

Такие определения понятия управления представляются нам более правильными. О. В. Козлова управление определяет как «целенаправленное воздействие на коллективы людей для организации и координации их деятельности в процессе производства».<sup>4</sup> Из данного определения следует, что автор под управлением понимает целенаправленное воздействие на коллективы людей, игнорируя воздействие людей на средства производства. Однако на этой же странице О. В. Козлова дает деление управления на управление людьми и управление машинами, механизмами и процессами, которое Ф. Энгельс называл управление вещами. Вероятно, автор в данном определении под организацией и координацией деятельности людей в процессе производства понимает воздействие их (управление ими) на средства производства.

Интересным на наш взгляд представляется следующее определение управления, данное О. А. Дейненко: «Управление — многозначное понятие. Оно применяется везде, где нужно выразить определенное воздействие на объект в целях сохранения его устойчивости (организации), либо перевода системы из одного состояния в другое»<sup>5</sup>, или «управление обеспечивает четкую работу всего производственного организма, ликвидируя шероховатости, которые в тех или иных пределах неизбежны при кооперативном труде, как неизбежно трение друг с другом отдельных частей в машине»<sup>6</sup>. Из определения О. А. Дейненко следует, что управление призвано ликвидировать шероховатости, сохранить устойчивость, либо содействовать переводу системы из одного состояния в другое. На наш взгляд такое понимание управления является наиболее близким к истине.

<sup>1</sup> Л. Куцев, М. Горяинов, Математика и управление производством, стр. 8, 1969.

<sup>2</sup> Д. М. Гвишиани, С. Е. Каменицер, Н. М. Ознобина, Основы организации управления промышленным объединением и предприятием, 1971, стр. 5.

<sup>3</sup> Н. И. Ведуга, Экономическая кибернетика, 1971, стр. 13.

<sup>4</sup> О. В. Козлова, И. Н. Кузнецов, «Научные основы управления производством», 1970 г., стр. 3.

<sup>5</sup> О. А. Дейненко «Математические проблемы науки управления, производством», стр. 34.

<sup>6</sup> О. А. Дейненко «Наука управления в СССР», 1967 г., стр. 8.

Рассмотрев вышеизложенные определения управления ряда авторов, проанализировав их, мы предлагаем следующее определение сущности управления: **Управление** — это целенаправленная деятельность по принятию **решения** для сохранения устойчивости системы, ликвидации нарушений в ней, либо перевода из одного состояния в другое; т. е., на наш взгляд, **процесс управления это процесс принятия решения.**

**Решение** это готовая продукция сферы управления. Результаты деятельности подразделений системы управления (отделов, служб, бюро) также представляют собой не что иное, как решения промежуточного характера. С учетом того, что в управлении принимаются самые разнообразные решения, требуется определенная классификация для каждого уровня управления. Совершенно очевидно, что сравнению будут подлежать только решения одного класса. Даже при укрупненном анализе видно, что некоторые решения носят периодически повторяющийся, иногда даже массовый характер.

Например, решения о приеме на работу, об отгрузке продукции постоянным потребителям, о командировании сотрудников в связи с производственной необходимостью и другие. Часть решений повторяется ежемесячно, другие носят разовый характер в течении более длительного периода времени (года, пятилетки).

Необходимость в производстве решения возникает только в том случае, если система сталкивается с незапланированной ситуацией. Затем происходит реализация принятого решения в производстве, т. е. процесс производства протекает с учетом принятых решений, снова собирается, перерабатывается, передается информация о состоянии производства, и снова принимаются решения от правильности которых зависит состояние управляемого объекта.

Из вышеизложенного видно, что общепринятого определения управления пока не существует, хотя интуитивное представление о нем имеет вполне определенный смысл. Быть может, основная трудность в точной формулировке этого понятия заключается в том, что управление применяется на многообразных «этажах» жизни, каждый раз изменяя свои критерии, цели и методы. Так, можно различать управленческие функции государством и народным хозяйством, управление в сфере материального производства и в непромышленной сфере, отраслью и предприятием, цехом и участком, комплексом орудий труда и отдельным станком, процессами в живом организме и в неживой природе.

Поскольку нас интересует один из важнейших видов **социального управления** — управление общественным производством, являющимся материальной основой существования общества, то рассмотрим его подробнее. В широком смысле слова под **управлением производством** подразумевается процесс воздействия человека на предметы труда, распределение, обмен и потребление продукции т. е. **управление общественным производством.** В узком смысле слова **управление производством** это целенаправленное воздействие на коллективы людей для организации и координации их деятельности в процессе непосредственного изготовления материальных благ. В этом случае, управление производством представляем как неотъемлемую часть управления предприятием. Часто, эти два понятия: **управление производством** (здесь подразумевается в узком смысле слова) и **управление предприятием** — тождественны, т. е. под управлением производством


подразумевается управление предприятием. Для разграничения этих терминов, мы предлагаем схему управления предприятием (см. схему), где управление предприятием делим на два вида управления: **управление сферой производящей материальные блага** — это управление работниками (производственными коллективами), которые в самом производстве управляют средствами производства (машинами, технологическими процессами и т. д.) и **управление сферой производящей информацию** — это управление работниками, которые в свою очередь управляют людьми. Такое деление условное т. к. информация (первичная) производится в сфере производства материальных благ, а в сфере производства информации происходит ее обработка, анализ и принятие решений. С ростом и совершенствованием техники, развитием научно-технического прогресса происходят некоторые изменения в сфере производства информации, в частности, работники, производящие информацию заменяются машинами (применение ЭВМ для обработки информации). Т. е. с развитием науки, техники, в управлении предприятием происходит внешнее сглаживание различий между двумя сферами в обоих случаях происходит управление людьми, которые в свою очередь управляют техникой. Но существенная разница между ними, которая заключается в результате труда, а именно, материальные блага в первом случае и информация во втором, остается. Различие между двумя сферами, это по существу различие между управляющей и управляемой системами. Без управления производством материальных благ (управляющей системы) не может быть и управления производством информации (управляемой системы) — это неразрывно взаимосвязанные стороны управления данного предприятия, в основе которого лежит обмен производственной информацией. Сбор, хранение, передача, переработка и выдача решений составляют основное содержание управленческого труда.

Всех работников управляющей системы, в зависимости от их деятельности и продукта труда можно подразделить на: **управленческий, технический и обслуживающий** персоналы. Управленческий персонал (директор, главный бухгалтер, главный экономист с подчиняющимися ему отделами) занят сбором, обработкой, выдачей и анализом экономической информации. Технический персонал (главный инженер и ряд отделов находящихся у него в подчинении — отдел главного конструктора, отдел главного технолога и металлурга, отдел автоматизации и механизации и другие) занят разработкой и подготовкой необходимой технической документации (техническая информация). Обслуживающий персонал (заместитель директора по кадрам и быту, охрана, табельщицы, телефонистки, уборщицы и другие) занят обслуживанием предприятия.

Работников сферы производства материальных благ можно подразделить на работников занятых в **основном** производстве, занятых во **вспомогательном** производстве и работников занятых в **обслуживающем** хозяйстве. Все работники предприятия подразделяются на **руководителей** и **исполнителей**, причем работники различных звеньев управления по вертикали (напр., министерство-главк-предприятие-цех-участок-бригада) могут быть одновременно руководителями-исполнителями (каждый руководитель является в то же время и исполнителем), с одной стороны, и только исполнителями — с другой, иначе выступают в двух аспектах, как объекты и как субъекты управления, т. е. в управленческих отношениях отсутствует равенство сторон.

Т. о. руководители-исполнители и только исполнители имеются и в сфере производства материальных благ и в сфере производства ин-

Схема управления предприятием в социальном аспекте.





формации. Принципиальное отличие между исполнителями заключается в продукте труда. В первом случае продуктом труда является продукция, поступающая в производственное или личное потребление, а в другом та или иная производственная информация, необходимая для управления. Различие между руководителями-исполнителями состоит в следующем: в том случае (в сфере производства материальных благ) руководители-исполнители получают информацию о ходе производства, т. е. первичную информацию, а во втором случае (в сфере производства информации) руководители-исполнители анализируют вторичную, т. е. обработанную первичную информацию, но и в том и в другом случае руководители-исполнители на основании анализа информации принимают соответствующие решения, которые содействуют сохранению нормального хода производства, либо его изменению в нужном направлении. Разграничение между исполнителями (управление вещами) и руководителями, либо руководителями-исполнителями (управление людьми) дает возможность классификации работников предприятия и определения категории управленческого аппарата, специфика труда которых заключается в том, что он направлен не на непосредственное изготовление материальных благ и услуг, а на руководство работниками, которые их производят.

Нередко к управленческому аппарату относят широкий круг инженерно-технических работников: технологов, конструкторов, снабженцев и т. д. Как справедливо замечает А. Петров<sup>1</sup>, — «в практике нередко принято относить к управлению такие виды производственной деятельности, как разработка и совершенствование конструкции изделий, технологическая подготовка производства, обеспечение производства инструментом и оснасткой, ремонтное, энергетическое и хозяйственное обслуживание. Научно-исследовательский институт труда рекомендует понимать под аппаратом управления весь состав инженерно-технических работников и служащих заводууправлений и цехов». Искаженное, преувеличенное представление о сфере управления создает отождествление инженерно-технических работников с аппаратом управления, а тем более отнесение к работникам управления МОП (курьеров, уборщиц, гардеробщиц, шоферов, работников охраны и т. д.). В предложенной нами схеме, в сфере производства информации выделяются обслуживающий и технический персонал, к которому следует отнести перечисленных выше работников. Другое дело отнесение к аппарату управления руководителей организующих и координирующих деятельность перечисленных работников.

По нашему мнению, к аппарату управления следует относить руководителей (руководителей-исполнителей), деятельность которых направлена на **принятие решения** с целью сохранения нормального хода производства, либо перевода системы из одного состояния в другое. Аппарат управления должен обеспечить создание таких форм кооперации работы людей и машин, при которых совместная трудовая деятельность протекала бы с наивысшим производственным эффектом при минимальных затратах материальных и финансовых ресурсов, с наименьшими затратами труда при оптимальном использовании орудий труда.

<sup>1</sup> А. Петров, Наука управления: ее нужды, ее трудности, газ. «Правда», 1967, 30 ноября.

## Summary

The author discusses the definition of management given by a number of authors and proposes her own definition of management.

Out of various kinds of management the author deals with the management of social production which is considered to be the material base of society existence. With the view of distinctions between the enterprise management and production management the author proposes a scheme of enterprise management in the social aspect.

According to the scheme all the workers of an enterprise are subdivided into those engaged in material production and those engaged in information production and also into managers and executors. Activity direction of each worker being defined it is possible to classify the workers of an enterprise and to define the category of the management apparatus.

In the author's opinion, managers (executive-managers) should be attributed to the apparatus of management. Their activity is to make a decision with the purpose of maintaining normal operation of an enterprise or transferring the system from one state to another.

(Представлена академиком А/Н Грузинской ССР И. Микеладзе)

---

С. Р. БУАЧИДЗЕ

О ПРОЕКТИРОВАНИИ СИСТЕМ ОПЕРАЦИЙ В АСПЕКТЕ КОМПЛЕКСНОГО КРИТЕРИЯ ИХ ФУНКЦИОНИРОВАНИЯ — «ДЛИТЕЛЬНОСТЬ, НАДЕЖНОСТЬ И СТОИМОСТЬ ОПЕРАЦИЙ»<sup>1</sup>

Рассматриваемые ниже, все с учетом взаимосвязи между планированием и проектированием систем, некоторые всеобщие, принципиальные моменты проектирования территориального размещения<sup>2</sup>, или же передвижения, компонентов систем операций — оператором  $M$ , объектов  $O$  и звеньев  $L$  связи — являются дальнейшим развитием наших соображений<sup>3</sup> о проектировании таких систем в аспекте критерия  $[\tau, R, C]$  — оптимального компромиссного сочетания длительности  $\tau$ , надежности  $R$  и стоимости  $C$  операций  $Q$  — и, в частности, как пример, развитием соображений о проектировании системы типа рисунка 4. Пример аллюра системных кривых  $R$  и  $C$  операций в функции их длительности  $\tau$  и выявления соответствующих оптимальной взаимосвязи между этими показателями представлен на рисунке 2 нашей работы [1] о планировании систем.

Осветим в упрощенном, графическом виде, на примерах систем рисунков 6, 7 и 8, исходную картину решения проблемы посредством




Рис. 6. Проекция на горизонтальную плоскость территориальной системы, состоящей из групп  $M$  операторов и  $O_1$  и  $O_2$  объектов.

<sup>1</sup> Начало — I: С см. «Мაცნე», 1973, № 1.

<sup>2</sup> Работы, посвященные практическим задачам размещения: см., например, [6, 7, 8, 20].

<sup>3</sup> См. начало I данной работы.

<sup>4</sup> Проекция дополнительно на вертикальную плоскость дадут, вместе с данными проекциями, конечно уже более полную, но более сложную для первого в принципе подхода, картину систем.

использования проекций на горизонтальную плоскость территориальных поверхностей систем<sup>4</sup>, в частности, проекций их линий и точек.

На рисунке 6, при данных, допустимых в аспекте заданного критерия  $[\tau, R, C]$ , аллюрах скорости выполнения потребных операций  $Q$  группой  $M$  операторов, эти последние смогут выполнять своевременно, с заданными длительностями  $\tau$ , обслуживание группы  $O_1$  объектов на рассматриваемых интервалах времени, и с соблюдением, при этом, допустимых значений надежности  $R$  и стоимости  $C$  операций<sup>5</sup> — своевременно, если выполняется следующее условие: проекция на данную плоскость места установки оператора, или-же, в случае его подвижности, проекция его территориальной траектории, не должна выйти за пределы площади, ограниченной кривой  $AB$  расстояний  $Z_1$  от  $O_1$ ; на этой плоскости — расстояний, максимально допустимых с точки зрения данного, комплексного критерия. Соответствующей величиной для обслуживания операторами  $M$  объектов  $O_2$  является кривая  $CF$  расстояний  $Z_2$ .

Следовательно, проекция на данную плоскость множества допустимых мест пребывания операторов  $M$ , обслуживающих объекты  $O_1$  и  $O_2$ , представляется точечной частью площади  $\beta$  — площади, ограниченной кривыми  $AB$  и  $CF$ . Здесь подплощади  $\alpha_1$  и  $\alpha_2$  исключаются из сферы действия данной системы операций по следующей причине: мы имеем дело с автомобильной транспортной системой, и указанные подплощади представляют собой озера.

На рисунке показаны, оптимальные в аспекте критерия  $[\tau, R, C]$  на данном интервале времени, проекции 1) места установки операторов  $M$ , и 2) звеньев-путей  $L_1$  и  $L_2$  его связи с объектами  $O$ .

Перейдем к рассмотрению картины рисунков 7 и 8 — картин, в которые внесены еще следующие упрощения схем систем. Будем считать, что на рассматриваемом интервале времени максимально допустимые расстояния  $Z$  являются величинами постоянными, т. е. они представляются в пространстве вообще в виде радиусов от объектов  $O$  со-




Рис. 7. Схема проекции на горизонтальную плоскость системы групп  $M$  операторов и  $O_1, \dots, O_4$  объектов.

<sup>5</sup> См. также пример системы рисунков 4 и 5 и соответствующую таблицу  $[O, M, Q, \tau, C]$ .



ответствующих неизменных сфер и, следовательно, в проекции на данную, горизонтальную плоскость — в виде тех-же радиусов для соответствующих дуг окружностей — дуг, ограничивающих площади  $\beta$  мест пребывания операторов  $M$ . Кроме того, на рисунке 8 звенья  $L$  представляются просто как прямые линии.

В системе рисунка 7 площадь  $\beta$  проекций возможных мест пребывания группы  $M$  операторов очерчивается дугами  $A_1, A_2, \dots, A_4$ ,  $A_1$  получаемых на данной плоскости проекций окружностей с соответствующими радиусами  $Z$  от объектов  $O_1, \dots, O_4$  систем.




Рис. 8. Схема проекции на горизонтальную плоскость системы групп  $M_1, M_2$  и  $M_3$  операторов и  $O_1, \dots, O_4$  объектов.

Аналогично рассуждая, для обслуживания объектов системы рисунка 8 потребуется уже применение нескольких, территориально разобнесенных операторов: объекты  $O_1$  и  $O_2$  должны обслуживаться операторами  $M_1$ , а  $O_3$  и  $O_4$  операторами  $M_2$ . Здесь  $Z_1$  и  $Z_2$  радиусы, очерчивающие соответствующую площадь  $\beta_1$  установки операторов  $M_1$ , а  $Z_3$  и  $Z_4$  — площадь  $\beta_2$  установки операторов  $M_2$ .

Кроме того, согласно заданным условиям, здесь между всеми объектами ( $O_1, \dots, O_4$ ) будут действовать функции  $F_{ij}$  взаимной корреляции, что обуславливает объединение в одну, общую систему совокупности всех, представленных на рисунке, системных элементов.

Осуществление глобальных оптимальных системных стратегий — в первую очередь, стратегий реализации оптимальной координации функционирования операторов  $M_1$  и  $M_2$  — координации<sup>6</sup>, диктуемой, в первую очередь, наличием в системе указанных функций  $F_{ij}$ , — будет выполняться высшими операторами  $M_3$ . Площадь  $\beta$  установки операторов  $M_3$  очерчивается радиусами  $Z_{13}$  и  $Z_{23}$ .

Аналогичной представляется обратная картина — выявление допустимых мест установки, или-же территориальных траекторий перемещения групп  $O$  объектов при данной, неизменной территориальной расстановке соответствующих групп  $M$  операторов: здесь также соот-

<sup>6</sup> О системных операциях информации и управления, осуществляемых в горизонтальном направлении (здесь операции координации между  $M_1$  и  $M_2$ ): см., например, [17].

ветствующие максимально допустимые расстояния  $Z$  ограничивают допустимое отдаление объектов от операторов.

Очевидно, в общем случае в комплекс функций больших систем различных физико-технологических операций включаются руководящие функции подсистем операций информации, планирования и управления с соответствующими функциями обратной связи (рис. 3).

Данное выше, в более или менее детерминированном аспекте, освещение некоторых моментов проектирования систем, и, в частности, проектирования параметров  $Z$ ,  $L$  и  $\beta$ , имело целью обрисовать картину этого проектирования в первом, упрощенном приближении. Однако, в общем случае здесь имеют место процессы стохастические. В частности, между величинами  $\tau$ ,  $R$  и  $C$  действует обычно эквиваленция стохастическая [1], и величины  $Z$ ,  $L$  и  $\beta$  тоже, зачастую, представляются как величины вероятностные.

При передвижении-перемещении физико-технологических носителей функций  $O$  и (или)  $M$  (см. системы  $S_2, \dots, S_9$  рисунка 1) проектируемые оптимальные характеристики элементов  $Z$ ,  $L$  и  $\beta$  — в том числе форма и размещение в пространстве элементов  $\beta$  и  $L$  — могут, очевидно, подвергаться соответствующим изменениям. Рассмотрим некоторые моменты возможного функционирования систем — моменты, влияющие на разработку комплексных, оптимальных стратегий территориального передвижения перемещения компонентов систем.

Ситуация, требующая в аспекте комплексного критерия  $[\tau, R, C]$  применения стратегий сравнительного частого территориального передвижения, или-же только, изменения мест размещения на сравнительно длительный период времени, компонентов систем, может, в частности, представиться в тех случаях, когда локальные, а может быть и глобальный, центры тяжести системных операций сами протерпеливают перемещение в пространстве. Перемещение таких центров может, например, иметь место при сравнительно значительных, и в степени разной, изменениях величин  $Q$  потребных операций обслуживания у разных компонентов  $O$ .

Вобщем, здесь подтверждается, что по ходу событий, и все в свете критерия  $[\tau, R, C]$ , может появляться необходимость в пересмотре принимаемых стратегий Математического программирования о назначениях — перераспределении операций между операторами, в частности, операций систем транспортных. В данном аспекте обрисовывается, например, задача прогнозирования распределения ресурсов в автоматизированных системах управления [15].

Учет всех вышеуказанных моментов еще раз выявляет необходимость выполнения программирования — программирования в общем случае стохастического, многовариантного и пошагового во времени — исходя, для соответствующих прогнозируемых и планируемых событий, из их Математического ожидания и Дисперсии, Закона больших чисел и Математической статистики вообще — Программирования-планирования динамического, данных систем операций в аспекте критерия  $[\tau, R, C]$  и выполнения соответствующего многовариантного<sup>7</sup>, Сетевого планирования [1, 9, 14] с пересмотром, в частности, в случае необходимости по ходу событий, длительностей  $\tau$  соответствующих планируемых подинтервалов [3].

<sup>7</sup> Стохастическое сетевое планирование: см., например, [14].

Здесь, для планирования и проектирования стохастических систем операций-стохастических в сравнительно высокой степени — может, очевидно, оказаться целесообразным применение, в аспекте Динамического программирования, методов Эвристических<sup>8</sup> и (или) Монте-Карло<sup>9</sup> пошагового поиска оптимальных локальных и глобальных системных стратегий, в частности, стратегий территориального передвижения компонентов систем.

Следовательно, здесь в общем случае становится необходимостью применение комбинации нескольких прогнозов<sup>10</sup> хода событий в системе операций.

**Метод Коруа** [13] дает картину объединения в одну всеобщую, оптимальную программу для всего предприятия — большой системы планов операций его отделов, применяя при этом эвристические методы для соответствующего комплексного сетевого планирования. Здесь всеобщая программа предусматривает оптимальное распределение ресурсов для выполнения операций различных отделов согласно критерию — **минимально возможной общей продолжительностью  $\tau$  системных операций**, учитывая при этом степени срочности — приоритета отдельных проектов, и предусматривает также, в случае появившейся по ходу событий необходимости в этом, изменение системных стратегий. В свете вышесказанного метод Коруа представляется как специфическое сочетание, для Больших систем операций, динамического программирования с многовариантным сетевым планированием<sup>11</sup>, но только в аспекте критерия  $\tau$ .

#### АННОТАЦИЯ

На примере систем транспортных, продолжены соображения о проектировании систем операций в аспекте комплексного критерия. Здесь: 1) даны примеры проекций, на горизонтальную плоскость, площадей  $\beta$  мест пребывания операторов  $M$  при данной территориальной расстановке предназначенных к обслуживанию ими объектов  $O$  — площадей, очерчиваемых максимально допустимыми с точки зрения данного критерия расстояниями  $Z$  между  $M$  и  $O$  — и проекций соответствующих звеньев  $L$  связи между ними; 2) определяются предназначенные выполнению высшими операторами глобальные системные стратегии координации функционирования местных операторов с учетом корреляции между объектами; 3) определяются допустимые места установки, или же территориальные траектории перемещения, групп  $O$  объектов при данной расстановке соответствующих групп  $M$ ; 4) определяется роль в Больших системах подсистем информации, планирования и управления; 5) рассматриваются стратегии территориального передвижения-перемещения компонентов системы, в частности, для случаев перемещения в пространстве центров тяжести системных операций; 6) выявляется необходимость в выполнении здесь, в общем случае стохастических многовариантных, Динамического программирования и соответствующего Сетевого планирования, с использованием мето-

<sup>8</sup> Эвристические системы программирования: см., в частности, [10].

<sup>9</sup> Метод Монте-Карло: см., например, [11, 12]. Применение метода Монте-Карло для стохастического сетевого планирования: см., [18].

<sup>10</sup> Комбинация прогнозов: см. [19].

<sup>11</sup> Планирование в аспекте двух критериев: см., например, [16].

дов Эвристических и Монте—Карло; 7) рассматривается, для сравнения, применение метода Коры для планирования операций в аспекте только их минимальной длительности  $\tau$ .

S. BOITCHIDZÉ

## SUR LA PROJECTION DE SYSTÈMES DES OPERATIONS SOUS L'ASPECT DU CRITERIUM COMPLEXE DE LEUR FONCTIONNEMENT — „DURÉE. SÛRETÉ ET CÔÛT DES OPERATIONS“, II<sup>12</sup>.

### Annotation

Les considérations sur la projection de systèmes des opérations sous l'aspect du critérium complexe sont prolongées en s'appuyant sur l'exemple de systèmes de transport, ici:

— 1) sont présentés les exemples de projections, sur le plan horizontal, de surfaces  $\beta$  de lieux des séjours des opérateurs  $M$  pour le cas des emplacements territoriaux fixes des objets—opérandes  $O$ , désirés à être desservis par ces opérateurs; les surfaces  $\beta$  sont fixées par les distances  $Z$  entre  $M$  et  $O$ —distances admissibles maximums sous l'aspect du critérium donné; sont présentés également les projectors des chaînons  $L$  de liaisons correspondantes entre  $M$  et  $O$ ;

— 2) sont déterminées, destinées à être exécutées par les opérateurs supérieurs, les stratégies globales de systèmes—stratégies de la coordination du fonctionnement des opérateurs locaux, en tenant compte de la corrélation entre les objets desservis;

— 3) sont déterminés les lieux fixes d'installation, ou, bien, les trajectoires territoriales du déplacement, admissibles de groupes  $O$  dans les cas des emplacements préalables fixes de groupes correspondants  $M$ ;

— 4) est noté le rôle joué dans les Grands Systèmes par les Sous—systèmes d'Information, de Planification et de Gestion;

— 5) sont examinées les stratégies de déplacements—permutations territoriaux de composantes du système, en particulier, pour les cas de déplacements dans l'espace des centres de gravité des opérations de systèmes;

— 6) est mise en évidence la nécessité d'exécuter ici la Programmation Dynamique et la planification Pert correspondante,—celles-ci, dans le cas général, stochastiques et multivariantes—en utilisant les Méthodes Euristiques et de Monté—Carlo;

— 7) est présentée à titre de comparaison, la méthode de Corua de la planification des opérations seulement sous l'aspect de leurs durées minimus  $\tau$ .

### ЛИТЕРАТУРА

6. Под редакцией А. Г. Аганбекяна и Д. М. Казакевича. Спихаქინსე თორღისგრაქლო-პროიზვოდსენოეე პლანიროვანოე. 1969.
7. Под редакцией Н. Н. Некрасова. Прихენსენე მათემატიკის მეთოდოე ვა რაქმშენი პროიზვოდსენოე. 1968.
8. Шилин И. Г. Планирование размеров и размещения производства. 1968.
9. Голенко Д. И. Статистические методы сетевого планирования и управления. 1968.
10. Буачидзе С. Р. Классификация некоторых компонентов мира систем. МАЦНЕ [Вестник Академии Наук Грузинской ССР], 1972, № 1.
11. Ермаков С. М. Метод Монте-Карло и смежные вопросы. 1971.
12. Соболев И. М. Метод Монте-Карло. 1972.
13. Долигез М. Решение проблемы одновременноного программирования многих проектов с ограниченным емкостью: программа Коры электронного расчета. 1967.

<sup>12</sup> Commencement I: voir MATSNÉ, 1973, № 1.

14. Zimmermann Hans—Jürgen, Völzgen Hubert. GERT—ein [stochastisches Netzplanverfahren, VDI—Zeitschrift, 1970, № 16.
15. Голенко Д. И., Каслер С. Ш., Корстелева О. В., Лившиц С. Е., Пшенова Э. Ф., Прогнозирование распределения ресурсов в автоматизированных системах управления. Труды Ленинградского инженерно-экономического института, 1970, выпуск 85.
16. Шукин В. Н., Мирозвездская И. С., Решение задачи перспективного отраслевого планирования по нескольким критериям оптимальности. Сборник: Оптимизация планов развития и размещения отраслей промышленности, 1971.
17. Wilcox Richard H. A system for management information system. Proc. 4th Haw. Int. Conf. Syst. Sci., Honolulu, Haw., 1971.
18. Burt John M., Garman Mark B. Conditional Monte Carlo: a simulation technique for stochastic network analysis. Management Science, 1971, № 3.
19. Bates J. M., Grainger C. W. J. The combination of forecasts. Operational Research Quarterly, 1969, № 4.
20. Федоренко Н. М., Экономико-математические модели. 1969.

(Представлена институтом Экономики и права АН Грузинской ССР)

---





## სამართალი

გივი შვანიძე

### გაეროს წესდება და საერთაშორისო სამართლის განვითარების პრობლემა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფუნქცია, საერთაშორისო სამართლის განვითარებასთან დაკავშირებით, ასახულია მისი წესდების იმ ნაწილში, რომელიც გენერალური ასამბლეის ფუნქციებსა და უფლებამოსილებას ეხება. სახელდობრ, წესდების მე-13 მუხლში ვკითხულობთ:

1. „გენერალური ასამბლეა თაოსნობს გამოკვლევებს და იძლევა რეკომენდაციებს იმ მიზნით, რათა:

ა) ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას პოლიტიკურ სფეროში და წახალისოს საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარება და მისი კოდიფიკაცია;

ბ) ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში და დახმარება გაუწიოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განხორციელებას ყველასათვის, განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა და რელიგიისა...“.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ არც დუმბარტონ-ოქსის კონფერენციაზე მომზადებული დოკუმენტი, რომელიც გაეროს წესდების თავდაპირველ პროექტს წარმოადგენდა, და არც ოთხი დიდი სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის — მიერ ერთობლივად შემუშავებული შესწორებანი აღნიშნული დოკუმენტისა არ შეიცავდა გენერალური ასამბლეის ფუნქციას საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარებისა და კოდიფიკაციის მიმართულებით<sup>1</sup>. ასეთი ფუნქცია, მაშასადამე, ფორმულირებული იქნა სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე გაეროს წესდების საბოლოო შემუშავების პროცესში.

წესდების მე-13 მუხლის ეს დებულება, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იმით იპყრობს, რომ მასში საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარების პროცესი და მისი კოდიფიკაცია საფუძვლით სწორადაა გაგებული როგორც ობიექტური სინამდვილე, პროცესი, რომელიც ამ ორგანიზაციისა-

<sup>1</sup> С. В. Крылов, История создания Организации Объединенных Наций, изд. ИМО, 1960, გვ. 143. ავტორი მართებულად შენიშნავს, რომ „დამატება რომელიც ეხება საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარებისა და მისი კოდიფიკაციის წახალისების საკითხს, ფრიალ არსებითად მიგვაჩინა“; მაგრამ იქვე ვკითხულობთ: „არავითარი ეჭვი არაა იმაში, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დინტერესებულია საერთაშორისო სამართლის დოქტრინის შემუშავებითა და განვითარებით. მას შეუძლია წახალისოს ამ სფეროში გამოკვლევების საქმე, მან შეიძლება თაოსნობა გამოიჩინოს საერთაშორისო სამართლის ნორმების კოდიფიკაციაში“. ამგვარად, ს. ბ. კრილოვის აზრით, ამ სფეროში გენერალური ასამბლეის ფუნქციის პირველი ნაწილი (გამოკვლევების თაოსნობა საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარების წახალისების მიზნით) საერთაშორისო სამართლის მხოლოდ დოქტრინულ განვითარებას გულისხმობს.

გან დამოუკიდებლად მიმდინარეობს და რომლის მიმართ გაეროს გენერალურ ასამბლეას ევალუბა წახალისების ღონისძიებათა განხორციელება, რაც უთუოდ ამ პროცესისათვის ხელის შეწყობას, მის დაჩქარებას უნდა ნიშნავდეს. გაეროს წესდების ამ მუხლში არაა პირდაპირი მითითება, თუ კონკრეტულად რას ნიშნავს — „გენერალური ასამბლეა თაოსნობს გამოკვლევებს“ და როგორია უშუალო კავშირი ამ გამოკვლევებსა და საერთაშორისო სამართლის განვითარებას შორის, ანდა რა უნდა იგულისხმებოდეს საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარების ცნებაში და ა. შ. ამ საკითხთა გასარკვევად საჭიროა ანალიზი წესდების სხვა მუხლებისა, რომლებიც გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ფუნქციებს ეხება, აგრეთვე აუცილებელია გენერალური ასამბლეის დამხმარე ორგანოების ფუნქციების შესწავლა; მაგრამ მანამდე უნდა გავიხსენოთ ისტორია წესდების მე-13 მუხლის შემუშავებისა, როცა სან-ფრანცისკოს კონფერენციის II-2 კომიტეტში ხმების საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო წინადადება, რომლის მიხედვით გენერალურ ასამბლეას უნდა მინიჭებოდა საერთაშორისო კონვენციების უშუალოდ შემუშავებისა და მიღების უფლება<sup>2</sup>.

ჭრ კიდევ დემარტონ-ოქსის კონვენციაზე მიღებული იქნა ჩინეთის დელეგაციის წინადადება იმის შესახებ, რომ გენერალური ასამბლეა უფლებამოსილი ყოფილიყო შეესწავლა და გაეთვალისწინებინა საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების განვითარება-ცვალებადობა და სათანადო რეკომენდაციები შეემუშავებინა ამ მიმართულებით.<sup>3</sup> სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე ამ წინადადებას დიდი კამათი გამოაჩენია: დელეგაციების ერთ ჯგუფს მიანდა, რომ გენერალურ ასამბლეას უნდა ჰქონოდა საერთაშორისო სამართლის განვითარების, შეცვლისა და კოდიფიკაციის საკითხთა განხილვის უფლება. სხვა დელეგაციებმა ამ შეზღუდულობის წინააღმდეგ გაილაშქრეს იმ მოსაზრებით, რომ ასეთი ფართო ფუნქციები გენერალურ ასამბლეას მიანიჭებდა საერთაშორისო კანონმდებლობის უფლებამოსილებას. ზოგიერთი დელეგაცია მეორე უკიდურესობაში ვარდებოდა და სრულებით არ მიანდა აუცილებლად საერთოდ გაეროს რაიმე მონაწილეობა საერთაშორისო სამართლის განვითარებასა და კოდიფიკაციაში.

დისკუსიის შედეგად გაიმარჯვა პრინციპულმა თვალსაზრისმა იმის შესახებ, რომ გაეროს მიზნები ამ სფეროში ვერ შემოიფარგლებოდა საერთაშორისო სამართლის მოქმედი პრინციპებისა და ნორმების უბრალო, ფორმალური დადასტურებით.

კონფერენციის II-2 კომიტეტმა დისკუსიის შემდეგ განსაზღვრა სამი საკითხი, რომლებზე პასუხის გაცემა კენჭისყრით გაარკვევდა გენერალური ასამბლეის უფლებამოსილებას ამ სფეროში. პირველი საკითხი იყო: უნდა ჰქონდეს თუ არა გენერალურ ასამბლეას უფლება შეისწავლოს და სათანადო რეკომენდაციები შეიმუშავოს საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციის შესახებ, — ეს საკითხი დადებითად გადაწყდა (24 — მომხრე, 8 — წინააღმდეგი); მეორე საკითხი ეხებოდა გენერალური ასამბლეის უფლებას, რომ შეესწავლა და რეკომენდაციები შეემუშავებინა საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებში ცვლილებების თაობაზე, — ეს საკითხიც დადებითად გადაწყდა (16 — მომხრე, 8 — წინააღმდეგი); უარყოფითად გადაწყვიტა კომიტეტმა მესამე საკითხი: უნდა ჰქონდეს თუ არა გენერალურ ასამბლეას უფლება, რომ შექმნას საერთაშორისო სამართლის ახალი ნორმები, რომლე-

<sup>2</sup> С. В. Крылов, Материалы к истории Организации Объединенных Наций, Вып. I, М, 1949, гл. 134, შენიშვნა 5.

<sup>3</sup> იხ. Documents of the United Nations Conference on International Organization, vol. IX, New York—London, გვ. 25.

ბიც სავალდებულო იქნებოდნენ ყველა წევრი სახელმწიფოსათვის მას შემდეგ, რაც მათ უშიშროების საბჭო დაამტკიცებდა (1 — მომხრე, 26 — წინააღმდეგი)<sup>4</sup>.

სახელმწიფოების დელეგაციათა მკვეთრად განსხვავებული პოზიციების ერთმანეთთან დაახლოების მიზნით II-2 კომიტეტმა ეს საკითხები გადასცა ქვეკომიტეტს, მაგრამ ქვეკომიტეტმა დაკისრებული ამოცანა ვერ გადაჭრა; სამაგიეროდ კომიტეტისათვის მოამზადა სათანადო მუხლის სადავო დებულების ორი ვარიანტი: პირველი ითვალისწინებდა გენერალური ასამბლეის უფლებას, რომ შეესწავლა და შეემუშავებინა რეკომენდაციები საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციის, საერთაშორისო სამართლის განვითარების დაჩქარებისა და მისი გადასინჯვისათვის მხარდაჭერის მიზნით; მეორე ვარიანტი იყო ის, რომელიც საბოლოოდ ჩაიწერა წესდების მე-13 მუხლში. პირველი ვარიანტის მომხრეები აკრიტიკებდნენ მეორე ვარიანტს იმიტომ, რომ, მათი აზრით, საერთაშორისო სამართლის „პროგრესული განვითარება“ შეიძლება დაიწყო ვიწროდ ყოფილიყო გაგებული და ამიტომ ასეთ კონტექსტში „კოდიფიკაცია“ დაკარგავდა თავის მნიშვნელობას. მეორე ვარიანტის მომხრენი უარყოფდნენ ასეთ საშიშროებას და ამტკიცებდნენ, რომ „პროგრესული განვითარება“ მოიცავს როგორც მოქმედი პრინციპებისა და ნორმების განვითარებას, ასევე მათს შეცვლას ახალი პრინციპებითა და ნორმებით<sup>5</sup>. საბოლოოდ სწორედ ამ გაგებამ გაიმარჯვა.

გაეროს წესდების მე-13 მუხლში გენერალური ასამბლეის ასეთი ფუნქციის შეტანა სავსებით ლოგიკურია და გამომდინარეობს გაეროს მიზნებიდან და პრინციპებიდან, როგორც ისინი ჩამოყალიბებულია წესდების პრეამბულასა და პირველ თავში. სახელდობრ, უკვე პრეამბულაში ვკითხულობთ, რომ ორგანიზაციის დამფუძნებელი სახელმწიფოების მტკიცე გადაწყვეტილებაა: ომის უბედურება ააცილონ მომავალ თაობებს, კვლევა განამტკიცონ რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი, პიროვნების ღირსებისადმი, კაცებისა და ქალების, დიდი და მცირე ერების თანასწორუფლებიანობისადმი, შექმნან ისეთი პირობები, რომელთა დროს, დაცული იქნება სამართლიანობა და ხელშეკრულებებიდან და საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმებიდან გამომდინარე ვალდებულებათა პატივისცემა, გამოიჩინონ შემწყნარებლობა და იცხოვრონ ერთად, მშვიდობიანად, როგორც ერთად და მშობლებმა, გაერთიანონ თავიანთი ძალები საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განსამტკიცებლად, პრინციპებისა და მეთოდების განსაზღვრით უზრუნველყონ, რათა შეიარაღებული ძალების გამოყენება ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ საერთო ინტერესებისათვის, გამოიყენონ საერთაშორისო აპარტი ყველა ხალხის ეკონომიკური და სოციალური პროგრესისათვის ხელის შეწყობად.

ამგვარად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნა წესდებაში მოტივირებულია მშვიდობის, საყოველთაო სამართლიანობის, საერთაშორისო მართლწესრიგის განმტკიცების, კაცობრიობის კეთილდღეობის ინტერესებით. აქედან გამომდინარე, თვით ორგანიზაციის მიზნებია: ეფექტური კოლექტიური ზომების მიღება მშვიდობის დარღვევის საფრთხის თავიდან ასაცილებლად და აგრესიის აქტების დასაბრუნებლად, ყოველგვარი საერთაშორისო დავის გადაწყვეტა მშვიდობიანი საშუალებებით სამართლიანობისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად; ერებს შორის მეგობრულ ურთიერთობათა განვითარება ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე; საერთაშორისო თანამშრომლობის განხორ-

<sup>4</sup> იქვე, გვ. 177—178.

<sup>5</sup> იქვე.

ციელება ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული პრობლემების გადასაჭრელად და ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის განსავითარებლად ყველასათვის, რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად; და იყოს ცენტრი ერების მოქმედებათა შესათანხმებლად ამ საერთო მიზნების განხორციელებაში (მუხლი 1).

თავისთავად ცხადია, რომ ამ გრანდიოზული პროგრამის შესრულებას გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ვერ შეუდგებოდა ისე, თუ თავის წესდებაში არ გაითვალისწინებდა წესდების მიღების დროისათვის მოქმედი კონვენციური და ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის განვითარების საჭიროებას, რადგან ზემოაღნიშნული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საერთაშორისო თანამშრომლობა წარმოსადგენი იყო ისეთი კვლევებით და დემოკრატიული საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპებისა და ნორმების შემუშავებით, როგორცაა, მაგალითად, თვით ამ მუხლში ფიქსირებული არსებითად ახალი (რამდენადაც საქმე ეხება საყოველთაო საერთაშორისო სამართალს) პრინციპი ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის უფლების შესახებ. მსგავსად ამისა, გაეროს წესდებამ თვით დაამკვიდრა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საწყისებისა; ისინი ჩამოყალიბებულია წესდების მეორე მუხლში გაეროს საქმიანობის პრინციპების სახით, რომელთაგან ზოგიერთი სავსებით ახალია და, ამგვარად, საყოველთაო საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვანი განვითარების მათწყებელიც. მათ რიცხვს ეკუთვნის გაეროს წევრი სახელმწიფოების ვალდებულება, თავიანთი საერთაშორისო დავები გადაწყვიტონ მშვიდობიანი საშუალებებით ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნან საერთაშორისო მშვიდობას, უშიშროებასა და სამართლიანობას, აგრეთვე ვალდებულება, საერთაშორისო ურთიერთობაში თავი შეიკავონ ძალისმიერი მუქარის ან ძალის გამოყენებისაგან ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის თუ პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ან კიდევ გაეროს მიერ იმის უზრუნველყოფა, რომ ორგანიზაციის არაწევრი სახელმწიფოებიც წესდების პრინციპების შესაბამისად მოქმედებდნენ, რამდენადაც ეს აუცილებელი გახდება საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შესანარჩუნებლად.

გაეროს წესდება საერთაშორისო სამართლის მანამდე ცნობილი დემოკრატიული პრინციპების განვითარებასა და ახალი პრინციპების ჩამოყალიბებას ახდენს სხვა თავებშიც. საერთოდ დღეს ველარავენ უარყოფს იმ კვლევებისა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება ჩვენი დროის უმნიშვნელოვანესი უნივერსალური საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელიც შეიცავს თანამედროვე საყოველთაო საერთაშორისო სამართლის ძირითად დემოკრატიულ პრინციპებს და ამიტომაც საფუძველია ამ სამართლის შემდგომი განვითარებისა. ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარებისა და კოდიფიკაციის წახალისება როგორც გაეროს ერთ-ერთი უმთავრესი ორგანოს — გენერალური ასამბლეის საქმიანობის შემადგენელი ნაწილი, კანონზომიერად გამომდინარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებიდან და ორგანულ კავშირშია გაეროს წესდებაში ჩამოყალიბებულ საერთაშორისო-სამართლებრივ პრინციპებთან.





საკითხავია, თუ როგორ უნდა გვესმოდეს საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარება; ე. ი. განვითარების პროგრესული ხასიათი? საერთაშორისო სამართლის განვითარების, — უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, — დემოკრატიული განვითარების არსი საზოგადოებრივი განვითარების საერთო კანონზომიერებაში მდგომარეობს.

ცნობილია, რომ ცნება „პროგრესი“ მოვლენის ისეთ განვითარებას აღნიშნავს, როცა ამ მოვლენის დამახასიათებელი ძირითადი თვისებები ძლიერდება, მისი თვისობრიობა ვითარდება აღმავალი გზით, სრულყოფისაკენ. საზოგადოებრივი პროგრესი ზოგადად განპირობებულია საწარმოო ძალების განუწყვეტელი ზრდით და ამის შედეგად — ეკონომიკურ-საზოგადოებრივი ფორმაციის განვითარებით, რომელსაც კ. მარქსმა ბუნებრივ-ისტორიული პროცესი უწოდა „კაპიტალის“ პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში<sup>6</sup>. ეს პროცესი განსაზღვრავს, აგრეთვე, სამართლის და, კერძოდ, საერთაშორისო სამართლის ზოგადი განვითარების პროგრესულ ხასიათს. ამავე დროს მარქსიზმი გვახსავლის, რომ საზოგადოებრივი პროგრესის გარკვეულ ეტაპზე წარმოებითი ურთიერთობანი როგორც საზოგადოებრივი ფორმაციის ეკონომიკური ბაზისი, განმსაზღვრელი პოლიტიკური ზედნაშენის და, მაშასადამე, სამართლისაც, მუხრუქად იქცევა საწარმოო ძალების შემდგომი განვითარებისათვის, აფერხებს მთლიანად საზოგადოებრივ პროგრესს და ამიტომ გარდუვალად უნდა შეიცვალოს ახალი, უფრო მაღალი ტიპის წარმოებითი ურთიერთობებით. ასეთ ეტაპზე „განვითარება“ ზედნაშენური მოვლენებისა, მათ შორის სამართლისაც, აღარ ატარებს პროგრესულ ხასიათს და რეაქციული ხდება.

საერთაშორისო სამართლის განვითარების მთელი ისტორია მარქსისტული ისტორიული მატერიალიზმის სრული დადასტურებაა. კერძოდ, ბურჟუაზიული საერთაშორისო სამართლის ჩამოყალიბება და განვითარება სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქაში მოწმობდა საერთაშორისო სამართლის განვითარების პროგრესულობას; კაპიტალისტური სახელმწიფოების ურთიერთობებში აღიარებულ იქნა სუვერენული თანასწორობის, ტერიტორიული უზენაესობის, ეროვნული სახელმწიფოებრიობის, შინაურ საქმეებში ჩაურევლობის, მოქალაქეობის ოპტაციის, უცხოელთა სამართლებრივი დაცვის, პოლიტიკური ემიგრანტების თავშეფარების, ტერიტორიული ცვლილებებისათვის პლებისციტის გამოყენების, დანაშაულობასთან ბრძოლაში საერთაშორისო თანამშრომლობის, საერთაშორისო დავის მშვიდობიანი გადაწყვეტისა და სხვა დემოკრატიული პრინციპები. ამ პრინციპების მოქმედება, მართალია, იფარგლებოდა ე. წ. „ცივილიზებულ ხალხთა ოჯახით“ ანუ კაპიტალისტური სახელმწიფოების კავშირურთიერთობებით და ხშირად აქაც კი ფორმალურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ ფეოდალურ საერთაშორისო სამართალთან შედარებით ეს იყო უთუოდ პროგრესული განვითარება საერთაშორისო სამართლის ისტორიაში<sup>7</sup>.

კაპიტალიზმის გადასვლამ იმპერიალიზმის სტადიაში გამოიწვია საერთაშორისო სამართლის პროგრესის შეფერხება. ამიერიდან საერთაშორისო სამართლის განვითარება აღარ ხდება დემოკრატიზაციის მიმართულებით, აღმავალი გზით: საერთაშორისო სამართლის დემოკრატიული ინსტიტუტები და პრინციპები იფიტებიან, კარგავენ თავიანთ ნამდვილ დანიშნულებას; სამაგიეროდ სწრაფად ვითარდება ე. წ. კოლონიური საერთაშორისო სამართალი; საერთაშორისო ურთიერთობათა მთავარ საკითხად იქცევა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ბრძოლა მსოფლიოს ხელახლა განაწილებისათვის, კოლო-

<sup>6</sup> К. Маркс и Ф. Энгельс *Сочинения* т. 23, стр. 10.

<sup>7</sup> Д. Б. Левин, *История международного права*, изд. ИМО, 1962, стр. 61—73.



ნიებისა და „გავლენის სფეროების“ ხელში ჩასაგდებად; ამ სახელმწიფოთა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების შექმნა, გამაღებული შეიარაღება და მძარცველური, დაპყრობითი ომები — აი, რას ემსახურება საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარება იმპერიალიზმის ეპოქაში. ახლა ამას სულ უფრო მეტად აღიარებენ საერთაშორისო სამართლის ბურჟუაზიული სპეციალისტებიც.

ასეთ აღიარებას შეიცავს, კერძოდ, ამერიკელი იურისტის პ. პოტერის ნაშრომი მრავლისმთქმელი სათაურით — „საერთაშორისო სამართლისაკენ დაბრუნების საჭიროება“, მასში ვკითხულობთ: „1914 წელს საერთაშორისო სამართალს ცოტა რამ თუ ჰქონდა ან არაფერი არ გააჩნდა ისეთი, რაც საერთაშორისო ურთიერთობებში მშვიდობასა და სამართლიანობას განეკუთვნება. მართლაც იმ დროს მეცადინეობა უფრო იქითკენ იყო მიმართული, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული საერთაშორისო სამართლის რაიმე იდეანტიფიკაცია მშვიდობის საქმესთან ან სამართლიანობის იდეებთან“<sup>8</sup>.

ამგვარად, საერთაშორისო სამართლის განვითარება, ცვლილებები მასში, ახალი საერთაშორისო-სამართლებრივი ინსტიტუტების, პრინციპებისა და ნორმების გაჩენა ყოველთვის როდია პროგრესული ხასიათის მატარებელი. ამიტომ სავსებით მართებულად უნდა ჩაითვალოს ის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებამ გენერალური ასამბლეის საქმიანობის ერთ-ერთ მიზნად დასახა საერთაშორისო სამართლის სწორედ პროგრესული განვითარების წაქეზება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარება — ესაა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის შემდგომი დემოკრატიზაცია, მისი განვითარება აღმაავალი გზით, სრულყოფისაკენ, როცა ესა თუ ის ცვლილება მასში (როგორც საყოველთაოდ აღიარებული დემოკრატიული პრინციპების შემდგომი დეტალიზაცია ახალ კონკრეტულ ნორმებში, ასევე ახალი დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება) ემსახურება მისი ძირითადი ფუნქციების — მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფის, სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის განმტკიცება-გაფართოების ფუნქციების უკეთ განხორციელებას.

შემდეგი საკითხი, რომელსაც გაეროს წესდების მე-13 მუხლი სვამს საერთაშორისო სამართლის მეცნიერებისა და პრაქტიკის წინაშე, — ესაა საკითხი იმის შესახებ, თუ რა ურთიერთდამოკიდებულებაშია საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარება და მისი კოდინფიკაცია. საერთაშორისო სამართლის განვითარება უფრო ფართო შინაარსის ცნებაა, ვიდრე კოდინფიკაცია: წარსულის გამოცდილება გვეუბნება, რომ საერთაშორისო სამართლის ნაწილობრივი ოფიციალური კოდინფიკაციის არც ერთი აქტი არ შემოფარგლულა ამა თუ იმ საერთაშორისო-სამართლებრივი ინსტიტუტის მოქმედი ჩვეულებითი პრინციპებისა და ნორმების სისტემატიზაციით (ინკორპორაციით), იგი ყოველთვის წარმოადგენდა ამ პრინციპთა დახუსტება-განვითარებას ურთიერთსაწინააღმდეგო საერთაშორისო პრაქტიკის ერთნაირად მოწესრიგების მიზნით, — ე. ი. საერთაშორისო სამართლის განვითარებაც იყო; მეორე მხრივ, საერთაშორისო სამართალი შეიძლება ვითარდებოდეს საკოდინფიკაციო აქტების გარეშეც, მათგან დამოუკიდებლად. ასეთია წარსულის გამოცდილება.

<sup>8</sup> American Journal of International law, 1951, vol. 45, გვ. 539.

აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: გენერალური ასამბლეის საქმიანობა ამ მიმართულებით (გამოკვლევების თაოსნობა და რეკომენდაციების შემუშავება) შეიძლება და უნდა განხორციელდეს ცალკე საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარების წახალისებისათვის და ცალკე საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციის წახალისებისათვის, თუ აქ ერთი და იგივე საქმიანობის ორი მხარე იგულისხმება?

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ერთა ლიგის ასამბლეის 1927 წლის 27 სექტემბრის რეზოლუციოში პირველი საკოდიფიკაციო კონფერენციის მოწვევის თაობაზე კონფერენციის მიზნად განისაზღვრა საერთაშორისო სამართლის პროგრესული კოდიფიკაცია სამ პრობლემასთან დაკავშირებით, ზოლო თვით ასეთი კოდიფიკაცია განმარტებული იყო როგორც „საერთაშორისო სამართლის დიქსაცია, გაუმჯობესება და განვითარება“. იქვე, იმავე რეზოლუციოში მომავალ კონფერენციის დედალა ეხელმძღვანელო კოდიფიკაციის ისეთი ვაგებით, რომელიც არ შემოიფარგლება არსებულ წესების უბრალო რევიტრაციით, არამედ მდგომარეობს ამ წესების მაქსიმალურად შესაძლებელ ადაპტაციოში საერთაშორისო ცხოვრების თანამედროვე პირობებთან<sup>9</sup>.

მიუხედავად ამისა მეორე მსოფლიო ომამდე საერთაშორისო სამართლის ბურჟუაზიულ დოქტრინაშიც და დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა პოზიციებშიც საკმაოდ მკვეთრად ვლინდებოდა ის თვალსაზრისი, რომ საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაცია უნდა კმაყოფილდებოდეს მოქმედი სამართლის დიქსაციით. ასეთი თვალსაზრისი ნაკარნახევი იყო იმპერიალიზმის ბურჟუაზიის ინტერესებით ძირითადად უცვლელად დაეტოვებინათ საერთაშორისო სამართალი, დაებრკოლებინათ მისი განვითარება დემოკრატიზაციის გზით, რაშიც გადამწყვეტ როლს ასრულებდა საბჭოთა სახელმწიფოს მზარდი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში. ზოგიერთ შემთხვევაში ეს რეაქციული მისწრაფება ისეთ პოზიციამდეც კი მიდიოდა, რომლის მიხედვით საერთოდ საჭირო არ იყო საერთაშორისო სამართლის არამც თუ განვითარება, არამედ ვიწრო მნიშვნელობით გავებული კოდიფიკაცია, რადგან თითქოსდა მოქმედი საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპებისა და ნორმების თუნდაც მარტოდენ დიქსაცია და სისტემატიზაცია ან უნაყოფო ცდა იქნებოდა, ან ხელს შეუშლიდა საერთაშორისო ურთიერთობათა სამართლებრივ მოწესრიგებას. ასეთ შიშს გამოთქვამდნენ, კერძოდ, ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის აპოლოგეტები, რომლებიც ჩვეულებითი ნორმების უზუსტობაში, მათი პრაქტიკული გამოყენების სხვადასხვაგვარობაში ხედავდნენ მათს მოქნილობას, უპირატესობას და პრაქტიკულ უნივერსალობას. საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციის საწინააღმდეგო მოსაზრებანი დღესაც ძალიან ხშირად გვხვდება დასავლეთის იურისტთა ნაშრომებში.

იმის გასარკვევად, თუ როგორ უნდა გავიგოთ გაეროს წესდების მე-13 მუხლში ჩაწერილი სიტყვები საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციის შესახებ, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ამ დარგში მომუშავე მისი ორგანოების თვალსაზრისს. წესდების მე-13 მუხლის რეალიზაციისათვის გენერალურმა ასამბლეამ თავის პირველსავე სესიაზე 1946 წლის 11 დეკემბერს შექმნა საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარებისა და მისი კოდიფიკაციის კომიტეტი 17 სახელმწიფოს წარმომადგენელთა შემადგენლობით. მოგვყავს გენერალური ასამბლეის შესაბამისი რეზოლუციის ტექსტი:

#### „ბენინალური ასამბლეა

აღიარებს მოვალეობას, მასზე დაკისრებულს წესდების მე-13 მუხლის 1 პარაგრაფის „ა“ ქვეპარაგრაფით, რომ თაოსნობდეს გამოკვლევებს და იძლეოდეს რეკომენდაციებს საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარებისა და მისი კოდიფიკაციის წახალისების მიზნით;

ითმავლისწინებს საჭიროებას, რომ დაკვირვებითა და სრულად იქნეს შესწავლილი ის, რაც უკვე მიღწეულია ამ დარგში, ასევე პროექტები და საქმიანობა ოფიციალური და არა-

<sup>9</sup> League of Nations. Official Journal, Special Supplement, № 53, გვ. 9.

ოფიციალური ორგანოებისა, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუწყონ საჭარო და კერძო საერთაშორისო სამართლის განვითარებასა და ჩამოყალიბებას, და საჭიროებას მოხსენებისა მეთოდების შესახებ, რომელთა მეშვეობით გენერალური ასამბლეა შესძლებს ყველაზე უფრო ეფექტურად შეასრულოს თავისი მოვალეობა, გათვალისწინებული შემოხსენებული დადგენილებით;

#### ამიტომ

აღმდგენი შეიქმნას კომიტეტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩვიდმეტი წევრისაგან, რომლებსაც გენერალური ასამბლეა ნიშნავს თავმჯდომარის რეკომენდაციით, რათა თითოეულ ამ წევრს კომიტეტში ჰყავდეს თითო წარმომადგენელი;

#### ამაღმდგენს კომიტეტს შეისწავლოს:

(a) მეთოდები, რომლებითაც გენერალურმა ასამბლეამ უნდა წახალოს საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარება და მისი შესაძლო კოდიფიკაცია;

(b) მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვადასხვა ორგანოების თანამშრომლობას ამ მიზნით;

(c) მეთოდები ისეთი ნაციონალური და საერთაშორისო ორგანოების დახმარების გამოყენებისა, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყონ ამ მიზნის განხორციელებას;

და მოახსენოს გენერალურ ასამბლეს მორიგ სესიაზე;

სტომოს გენერალურ მდივანს ისეთი დახმარება აღმოუჩინოს კომიტეტს, რაც საჭირო იქნება მისი მუშაობისათვის<sup>10</sup>.

1947 წლის მაის-ივნისში მიმდინარეობდა ამ კომიტეტის სხდომები<sup>11</sup>. კომიტეტმა მიიღო რამდენიმე რეკომენდაცია გენერალური ასამბლეს სესიაზე წარსადგენად: კომიტეტმა ურჩია გენერალურ ასამბლეს შექმნილიყო, წესდების მე-13 მუხლის განსახორციელებლად, საერთაშორისო სამართლის კომისია საერთაშორისო სამართლის 15 გამოჩენილი სპეციალისტის შემადგენლობით, როგორც გენერალური ასამბლეს ერთ-ერთი მუდმივი ორგანო. კომიტეტის რეკომენდაცია იყო აგრეთვე კომისიის წევრები დაახლოებით ისევე ყოფილიყვნენ შერჩეულნი, როგორც საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლენი.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა კომიტეტის რეკომენდაციები საერთაშორისო სამართლის კომისიის ფუნქციების შესახებ. კომიტეტმა ხმათა უმრავლესობით მიიჩნია, რომ კომისიას ორი ფუნქცია უნდა დაკისრებოდა: ერთი — საერთაშორისო სამართლის განვითარება კონვენციათა პროექტების შემუშავებით იმ საკითხებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არ წესრიგდებიან საერთაშორისო სამართლით ან რომელთა გამო სამართალი ჯერ კიდევ არაა განვითარებული თუ ჩამოყალიბებული სახელმწიფოთა პრაქტიკაში; მეორე — კოდიფიკაცია, რაც ნიშნავს სამართლის უფრო ზუსტ ფორმულირებასა და სისტემატიზაციას იმ სფეროში, სადაც არსებობს ფართო სახელმწიფოებრივი პრაქტიკა, პრეცედენტი და დოქტრინა. ამასთან ერთად კომიტეტმა აღიარა, რომ საერთაშორისო სამართლის განვითარებისა და მისი კოდიფიკაციის ცნებები არაა ურთიერთ გამომრიცხავი, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა არსებული სამართლის ფორმულირებამ და სისტემატიზაციამ შეიძლება იმ დასკვნამდე მიგვიყვანოს, რომ ესა თუ ის ახალი ნორმა უნდა იქნეს შეთავაზებული სახელმწიფოსათვის, რათა შეივსოს ხარვეზი ან განხორციელდეს აუცილებელი შესწორება მოქმედ სამართალში.

<sup>10</sup> Yearbook of the United Nations. 1946-47, გვ. 256-257.

<sup>11</sup> კომიტეტის შემადგენლობაში იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების, არგენტინის, ავსტრალიის, ბრაზილიის, დიდი ბრიტანეთის, ეგვიპტის, ვენესუელის, ინდოეთის, იუგოსლავიის, კოლუმბიის, ნიდერლანდის, პანამის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის, შვეიცარიისა და ჩინეთის წარმომადგენლები.

საყოფადღებო იყო აგრეთვე კომიტეტის რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ საერთაშორისო სამართლის კომისიამ გენერალურ ასამბლეას უნდა წარუდგინოს სწორედ მრავალმხრივი კონვენციების პროექტები და რომ მათი შემუშავების პროცესში, რამდენადაც საქმე ეხება საერთაშორისო სამართლის განვითარებას, კომისია უნდა სწავლობდეს მთავრობების შეხედულებებს; რაც შეეხება კოდიფიკაციას, კომისიამ მთავრობას უნდა თხოვოს შენიშვნები უკვე გამზადებულ პროექტზე<sup>12</sup>.

ამგვარად, კომიტეტი სწორ დასკვნამდე მივიდა, როცა უარი თქვა მკვეთრად გაემიჯნა ერთმანეთისაგან საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარება და მისი კოდიფიკაცია, რამდენადაც საქმე ეხებოდა საერთაშორისო სამართლის კომისიის მუშაობას ამ ორი მიმართულებით.

გენერალურმა ასამბლეამ კომიტეტის მოხსენების განხილვის შედეგად (განხილვა არსებითად სესიის მეექვსე, იურიდიულ საკითხთა კომიტეტში მიმდინარეობდა) თავის მეორე სესიაზე 1947 წლის 21 ნოემბერს მიღებული რეზოლუციით დააარსა საერთაშორისო სამართლის კომისია და დაამტკიცა მისი სტატუტი (დებულება). თავდაპირველად კომისიის შემადგენლობა 15 წევრით განისაზღვრა. 1956 წელს ეს შემადგენლობა 21-მდე გაიზარდა, ხოლო 1961 წლიდან — 25 წევრს ითვლის<sup>13</sup>.

კომისიის სტატუტი ფრიად საინტერესოა იმით, რომ იგი ითვალისწინებს კომისიის მუშაობას ორი მიმართულებით — საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარებისა და საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციის მიმართულებით და, ამასთან დაკავშირებით, — ორგვარ პროცედურასაც. სახელდობრ, სტატუტის მე-15 მუხლის მიხედვით საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარება ნიშნავს „კონვენციათა პროექტების მომზადებას ისეთ საკითხებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არაა მოწესრიგებული საერთაშორისო სამართლით ან რომლებთან დაკავშირებით სამართალი ჯერ კიდევ არაა საკმაოდ განვითარებული სახელმწიფოთა პრაქტიკაში“.

სტატუტის ამავე მუხლშია მოცემული საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციის ცნების განმარტებაც ესაა: „უფრო ზუსტი ფორმულირება და სისტემატიზაცია საერთაშორისო სამართლის ნორმებისა იმ სფეროში, სადაც უკვე არსებობს სახელმწიფოების ფართო პრაქტიკა, პრეცედენტი და დოქტრინა“<sup>14</sup>.

შესაბამისად ამისა განსხვავებული პროცედურაა გათვალისწინებული სტატუტით საერთაშორისო სამართლის კომისიის ამ ორი ფუნქციის განსა-

<sup>12</sup> კომიტეტის სხვა რეკომენდაციების შესახებ იხ. გაეროს ოფიციალური დოკუმენტი UN doc. A/AC. 10.51.

<sup>13</sup> საერთაშორისო სამართლის კომისიის წევრები პირველად არჩეულ იქნენ გენერალური ასამბლეის მესამე სესიაზე 1948 წლის 5 ნოემბერს. თანახმად სტატუტისა ისინი არიან არა სახელმწიფოთა ოფიციალურ წარმომადგენლები არამედ ინდივიდუალური ექსპერტები, საერთაშორისო სამართლის გამოჩენილი სპეციალისტები. მათ ირჩევს გენერალური ასამბლეა 5—5 წლის ვადით იმ კანდიდატთა სიიდან, რომლებსაც აყენებენ გაეროს წევრი სახელმწიფოების მთავრობები. როგორც კომისიის სტატუტის მე-8 მუხლი ადგენს, „კომისიის შემადგენლობა მთლიანად უნდა უზრუნველყოფდეს ცივილიზაციის მთავარი ფორმებისა და მსოფლიოს სამართლებრივი სისტემების წარმომადგენლობას“ (შეად. გაეროს საერთაშორისო სამართლის სტატუტის მე-9 მუხლს). სწორედ ამ დებულებამ განაპირობა ის, რომ გაეროს წევრ სახელმწიფოთა რიცხოზობი ზრდის შედეგად ორგანოს გაიზარდა კომისიის შემადგენლობა.

<sup>14</sup> Proceedings of the American Society of international law, Washington, 1962, 85-90—91.



ხორციელებლად: საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარების მიზნით კომისიამ უნდა შეიმუშავოს დოკუმენტის პროექტი, რომელიც შეიძლება მოიწონოს გენერალურმა ასამბლეამ და წევრ სახელმწიფოებს შესთავაზოს სათანადო საერთაშორისო შეთანხმების დასადებად. საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციის მიზნით კი კომისიის მუშაობა (ზემოაღნიშნული „უფრო ზუსტი ფორმულირება და სისტემატიზაცია საერთაშორისო სამართლის ნორმებისა“) დამთავრდება ან შესაბამისი მოხსენების გამოქვეყნებით, ან გენერალური ასამბლეის მიერ რეზოლუციის მიღებით, რომელიც ცნობად მიიღებს კომისიის მოხსენებას ან დაამტკიცებს მას.

საერთაშორისო სამართლის კომისიის სტატუტის ამ დებულებებს მრავალი ნაკლი აქვს. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაცია, რომლის საგანია სახელმწიფოთა პრაქტიკიდან გამომდინარე ჩვეულებითი საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმები, რაგინდ ერთნაირიც არ უნდა იყოს ეს პრაქტიკა, მინც ვერ შემოიფარგლება „ნორმების უფრო ზუსტი ფორმულირებითა და სისტემატიზაციით“, რადგან ასეთ შემთხვევაში კოდიფიკაცია დაკარგავს თავის მნიშვნელობას. გარდა ამისა, თუ ჩვეულებითი ნორმები დაზუსტებას საჭიროებენ, თავისთავად ცხადია, რომ სახელმწიფოთა პრაქტიკა, ასეთ ნორმებზე დაყრდნობით, ერთგვაროვანი ვერ იქნება (და ხომ სწორედ ისაა ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციის მიზანი, რომ შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკა ერთნაირი იყოს და არ შეიცავდეს წინააღმდეგობებს, რომელთა გამო წარმოიშობა ხოლმე დავები სახელმწიფოებს შორის). მესამე — საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების უფრო ზუსტი ფორმულირება უკვე ნიშნავს საერთაშორისო სამართლის განვითარებას საერთაშორისო ურთიერთობათა ამა თუ იმ კონკრეტულ სფეროში. და ბოლოს, კომისიის სტატუტით დადგენილი პროცედურა საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციასთან დაკავშირებით უთუოდ გამოირჩევა სასურველი შედეგის შესაძლებლობას: გენერალური ასამბლეის რეზოლუციის მიერ ცნობად მიღებული ან თუნდაც დამტკიცებული „უფრო ზუსტად ფორმულირებული და სისტემატიზირებული ნორმები“ მოკლებულნი იქნებიან იურიდიულ სავალდებულობას და, მაშასადამე, პრაქტიკაში ვერ შეცვლიან ნაკლები სიზუსტის ჩვეულებითს ნორმებს.

საერთაშორისო სამართლის კომისიის სტატუტის ეს ნაკლოვანებანი, განსაკუთრებით კი მთავარი ნაკლი — საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარებიდან საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციის მკვეთრი გამოიჯნა, — ამ უკანასკნელის ვიწრო გაგების გამო, — იმთავითვე იქცა საფუძვლიანი კრიტიკის ობიექტად მეცნიერ იურისტთა მხრივ, მათ შორის ინგლისური დოქტრინის წარმომადგენელთა მხრივაც (რომლებიც ადრე კოდიფიკაციის ვიწრო, იურიდიულ-ტექნიკურ გაგებას იცავდნენ). მაგალითად, რ. ჯენინგსის აზრით, კომისიის სტატუტში კოდიფიკაციის ცნება ხელოვნურადაა შეზღუდული, მაშინ როცა „მართებულად გაგებული კოდიფიკაცია წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარების მეთოდს“<sup>15</sup>.

საერთაშორისო სამართლის კომისიის წევრის ამერიკელი ჰ. ბრიგსის მოწმობით კომისიის სტატუტის შემუშავებისას ყველასათვის აშკარა იყო, რომ სა-

<sup>15</sup> R. Jennings, The progressive development of international law and its codification (British Year-Book of international law, 1947, გვ. 301—302.).



ერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარებისა და მისი კოდიფიკაციის გამიჯვნის იდეა მანკიერია პრინციპულად და პრაქტიკულადაც, „მაგრამ პოლიტიკურმა მოსაზრებებმა გამოიწვიეს ის, რომ ეს იდეა შეტანილი აღმოჩნდა სტატუტში“<sup>16</sup>.

ეს პოლიტიკური მოსაზრებები გასაგები უნდა იყოს: იმ ხანებში, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეუდგა თავის საქმიანობას, როცა მასში ადვილად მოქმედებდა ხმის მიცემის „ინგლის-ამერიკული მექანიზმი“, მშვიდობისა და დემოკრატიის ძალებს დიდი სიფრთხილე მართებდათ, რომ საერთაშორისო სამართლის საკოდიფიკაციო მუშაობა არ გადაქვეყლიყო საერთაშორისო სამართლის ისეთ „განვითარებად“, რომელსაც პროგრესულის ნაცვლად რეაქციული ხასიათი და მიზნები ექნებოდა, მით უმეტეს, რომ ერთა ლიგის უნაყოფო ცდის გარდა არ არსებობდა სხვა გამოცდილება საერთაშორისო ორგანიზაციის თაოსნობით საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციისა<sup>17</sup>.

საერთაშორისო სამართლის კომისიის მუშაობამ იმავეთვე ცხადყო, რომ კოდიფიკაციის მიმართულებით იგი ვერ განხორციელდებოდა კომისიის სტატუტით დადგენილ ჩარჩოებში და პროცედურით. კომისია მუშაობას შეუდგა 1949 წელს. პირველ სესიაზე გაეროს სამდივნომ მას წარუდგინა ვრცელი მემორანდუმი — „საერთაშორისო სამართლის მიმოხილვა საკოდიფიკაციო მუშაობასთან დაკავშირებით საერთაშორისო სამართლის კომისიის ჩარჩოებში“ (UN doc. A/cn. 4/1/eev. 1). ამ სამუშაო დოკუმენტში ნათქვამია, რომ სასურველი და აუცილებელია კოდიფიკაცია ფართო მნიშვნელობით, ე. ი. როგორც კონსოლიდაციური ხასიათის კოდიფიკაცია სამართლის იმ დარგებში, სადაც არსებობს სრული და მკაფიო თანხმობა სახელმწიფოებს შორის, ასევე საერთაშორისო ურთიერთობათა მოთხოვნილებებით, საერთაშორისო თანასაზოგადოების ფართო საჭიროებითა და საერთაშორისო სამართლის განმტკიცების ინტერესებით განპირობებული კოდიფიკაცია და განვითარება სამართლისა. აქვე აღნიშნული იყო, რომ კოდიფიკაცია, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ წარსულის რეგისტრაციას და არა არსებული იურიდიული და სხვა მასალის შემოქმედებითს გამოყენებას თანასაზოგადოების ცხოვრების მოსაწესრიგებლად, მუხრუჭი იქნება პროგრესისათვის და კომისია ვერ გადაჭრის დაკისრებულ ამოცანებს, თუ შემოიფარგლება მასალის შეგროვებით და სამართლის ამა თუ იმ საკითხზე შეთანხმების არსებობის ან არარსებობის ფიქსაციით.

საერთაშორისო სამართლის კომისიამ სავსებით გაიზიარა ეს თვალსაზრისი და საკოდიფიკაციო მუშაობის პირველსავე ეტაპზე (საზღვაო სამართლის, დიპლომატიური და საკონსულო სამართლის დარგებში) თვითონვე არაერთხელ აღნიშნა, რომ ერთად ახორციელებს საერთაშორისო სამართლის განვითარებისა და კოდიფიკაციის სამუშაოებს, რომ მისი წინადადებანი ერთდროულად ორივე ამ პროცესის გამოხატულებაა და ა. შ.<sup>18</sup>. ამ ფაქტზე კომისიამ

<sup>16</sup> H. W. Briggs, The International Law Commission, Ithaca, 1965, გვ. 141.

<sup>17</sup> შეად. А. П. Мовчан, Кодификация и прогрессивное развитие международного права, «Юрид. Литература», 1972, გვ. 46.

<sup>18</sup> იხ., მაგ., Yearbook of the International Law Commission, 1951, vol. 1, გვ. 123, 132-135; იგივე, 1953, vol. II, გვ. 209.

11. „მაცნე“, ფილოსოფიის..., სერია, 1973, № 3



სახვასმით მიუთითა მრავალი წლის შემდეგაც, როცა ამზადებდა პროექტს კონვენციისა საერთაშორისო ხელშეკრულების სამართლის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით გენერალური ასამბლეისათვის 1966 წელს წარდგენილ მოხსენებაში ვკითხულობთ: „კომისიის მუშაობა ხელშეკრულებათა სამართლის დარგში ითვალისწინებს როგორც კოდიფიკაციას, ასევე პროგრესულ განვითარებას საერთაშორისო სამართლისა იმ აზრით, რომლითაც ეს კონცეფციები განსაზღვრულია კომისიის სტატუტის მე-15 მუხლში, და, როგორც ეს რამდენიმე წინა პროექტის შემთხვევაში იყო, არაპრაქტიკულად მიგვაჩნია იმის განსაზღვრა, თუ რომელ კატეგორიაში შედის ყოველი დებულება“<sup>19</sup>.

საერთაშორისო სამართლის კომისიამ თავის მუშაობაში თავიდანვე უარი თქვა აგრეთვე სტატუტით დაწესებულ პროცედურულ განსხვავებაზე და ყოველთვის ერთნაირ პროცედურას იყენებს, რასაც სავსებით დაუჭირა მხარი გენერალურმა ასამბლეამ.

საერთაშორისო სამართლის საბჭოთა მეცნიერებამ თავიდანვე სწორი პოზიცია დაიკავა ამ საკითხში: ვ. კორეცკის, ა. მოვჩანის, პ. ნედბაილოს, ვ. ჩხიკვაძის, ი. ილინის, ი. ლუკაშუკის, ნ. უშაკოვისა და სხვ. საბჭოთა ავტორების ნაშრომებში, მეტ-ნაკლები სიცხადით, გატარებულია ის აზრი, რომ საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციის დანიშნულებაა მოქმედი ნორმების განვითარება-სრულყოფა და სისტემატიზაცია საერთაშორისო სამართლის ძირითადი დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე და რომ, აქედან გამომდინარე, კოდიფიკაცია საერთაშორისო სამართლის პროგრესულ განვითარებას ემსახურება<sup>20</sup>. არსებითად ასეთივე აზრისაა დღეს საერთაშორისო სამართლის უცხოელი სპეციალისტების უმრავლესობა, რომლებიც ეყრდნობიან ძირითადად საერთაშორისო სამართლის კომისიის გამოცდილებას<sup>21</sup>.

ამგვარად, თუ შევაჯამებთ ზემოთ თქმულს, შეიძლება დავასკვნათ:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი მიზანია წაახალი-ხოს საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარება და კოდიფიკაცია;
2. ამ მიზნის განხორციელება დავალებული აქვს უპირველეს ყოვლისა გენერალურ ასამბლეას;
3. იმისათვის, რომ გენერალური ასამბლეა ამ ფუნქციას წარმატებით ასრულებდეს, მან შექმნა სპეციალური დამხმარე ორგანო — საერთაშორისო სამართლის კომისია;

4. საერთაშორისო სამართლის კომისიამ აღიარა და მისი პრაქტიკა იმას მოწმობს, რომ მისთვის შეუძლებელია ცალკე ასრულებდეს მუშაობას საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარებისათვის და ცალკე — სა-

<sup>19</sup> Доклад Комиссии международного права, о работе ее восемнадцатой сессии, 4 мая — 19 июля, 1966 г., Док., ООН А/6309, გვ. 30.

<sup>20</sup> იხ. მაგ., А. П. Мовчан, О значении кодификации принципов международного права («Сов. государство и право» 1965, № 1) В. М. Чхиквадзе, Ю. Д. Ильин, Кодификация принципов мирного сосуществования (იქვე, 1968, № 3); И. И. Лукашук, О некоторых тенденциях развития универсального международного права (იქვე, 1969, № 2); Н. А. Ушаков, Современное международное право — юридическая основа отношений между государствами (იქვე, 1970, № 10); Курс международного права, Изд. «Международные отношения», 1966, გვ. 53.

<sup>21</sup> დაწვრილებით ამის შესახებ იხ. E. Castren, Codification of international law, Helsinki, 1966.



ერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციისათვის, და რომ კომისიის მიერ შემუშავებული საკოდიფიკაციო წინადადებანი საერთაშორისო სამართლის პროგრესულ განვითარებას ემსახურება;

5. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის დოქტრინაშიც გაბატონებულად უნდა ჩაითვალოს ის შეხედულება, რომ გაეროს თაოსნობით განხორციელებული კოდიფიკაცია თავისთავად გულისხმობს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პროგრესულ განვითარებასაც.

ის, რაც ზემოთ ითქვა საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციის შინაარსსა და მიზანდასახულობაზე, კერძოდ, საერთაშორისო სამართლის კომისიის ფუნქციებთან დაკავშირებით, და აქ ჩამოყალიბებული მე-4 და მე-5 დასკვნები სრულებითაც არ უარყოფენ ჩვენს მიერ უკვე აღნიშნულ ჰეშმარიტებას, რომ საერთაშორისო სამართლის ოფიციალური კოდიფიკაცია ყოველთვის ნიშნავს, მაგრამ არ ამოწურავს საერთაშორისო სამართლის განვითარებას; ეს უკანასკნელი უფრო ფართო, მრავალმხრივი პროცესია და კოდიფიკაცია მისი ერთ-ერთი საშუალებაა მხოლოდ. ეს დებულება სავსებით დასტურდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობაშიც: გარდა საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციისა, რომელსაც ემსახურება ძირითადად საერთაშორისო სამართლის კომისიის მუშაობა (სადაც საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარების ფუნქცია და ფუნქცია საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციისა არსებითად გაიგივებულია), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა საშუალებებიც აქვს საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარებისათვის.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა)

## ბიორგი ნაღარევიძე

### ფეოდალური საოჯახო სამართლის ძირითადი პრინციპები

\*

1. ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობა და ფეოდალური ოჯახი; 2. ფეოდალური საზოგადოებრივი წყობილება და ქორწინების წესები; 3. ქალის უფლებრივი მდგომარეობა; 4. ეკლესიის გავლენა საოჯახო და საქორწინო ურთიერთობებზე; 5. დასაქორწინებელთა ერთოწოდებრიობის სავალდებულობა, როგორც ფეოდალური საოჯახო სამართლის პრინციპი; 6. მეუღლეთა პირად და ქონებრივ ურთიერთობაში მამაკაცისთვის გაბატონებული მდგომარეობის უზრუნველყოფა; 7. მშობლებსა და შვილებს შორის პირად და ქონებრივ ურთიერთობაში სამართალი მშობლების და, განსაკუთრებით კი, მამის უფლებებს პრივილეგირებულად იცავს; 8. შვილებს შორის ვაჟებისა და ქალების უფლებების სხვადასხვაობა; 9. ერთმემკვიდრეობისკენ მიდრეკილება როგორც ფეოდალური მემკვიდრეობის სამართლისთვის დამახასიათებელი თვისება.

\*

ფეოდალური საზოგადოების საოჯახო ურთიერთობის ფორმა და საოჯახო სამართლის პრინციპები განპირობებული იყო შუა საუკუნეების საზოგადოების ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური წყობილებით. ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობა, წარმოებით ურთიერთობათა ფეოდალური ტიპი შუა საუკუნეების საზოგადოების საწარმოო ძალების დონით იყო განსაზღვრული. ფეოდალიზმი დასავლეთში როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია წარმოიშვა ანტიკური მონათმფლობელური საზოგადოების რღვევის, მონების რევოლუციისა და გერმანელთა მიერ რომის იმპერიის დაპყრობის შედეგად. მკვლევარები ფეოდალური საზოგადოების ელემენტების აღმოცენების პროცესს ამჩნევენ უკვე გვიანდელი რომის იმპერიის სამეურნეო წყობილების წიაღში, აგრეთვე II—III საუკუნეების გერმანელების საზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროში; V—VI საუკუნეებისათვის დასავლეთ ევროპაში ფეოდალიზმი იჩენს წარმოებით ურთიერთობათა გაბატონებული ტიპის სახეს. თუ, კულტურული თვალსაზრისით, ფეოდალური საზოგადოების პირველი პერიოდი ვერ შეედრება ძველი რომის ისტორიის საუკეთესო ეპოქას, სამაგიეროდ, უშუალო მწარმოებელთა საზოგადოებრივი მდგომარეობის მიხედვით უთუოდ პროგრესი ჩანს. გლეხის მდგომარეობა მონის საზოგადოებრივ მდგომარეობასთან შედარებით უთუოდ უკეთესია. განსხვავებით ძველი საზოგადოების მონისაგან გლეხს გააჩნია თავისი სახლი, თავი-

სი ოჯახი, წარმოების ზოგიერთი საშუალებანი. ძველ რომში მონას არ ჰქონდა ქორწინებისა და, მაშასადამე, ოჯახის შექმნის უფლება; შუა საუკუნეების გლეხს აქვს ქორწინების უფლება, გლეხი, ხშირ შემთხვევაში, თავისი მიწის მესაკუთრედაც მოსჩანს, — იგი მას ყიდის, მემკვიდრეობით გადასცემს და სხვა — გლეხი შეიძლება იყოს მოწმედ, მოსარჩლედ და სხვა. თავისი იურიდიული მდგომარეობით ყმა-გლეხს საშუალო ადგილი უჭირავს ძველ მონასა და თავისუფალ ადამიანს შორის.

საზოგადოების ძირითად უჯრედს განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის ეპოქაში წარმოადგენს ფეოდალური სენიორია, რომელიც ეკონომიკურად და პოლიტიკურად თვითკმარ ერთეულს წარმოადგენს და, მაშასადამე, თავისებური მამულ-სახელმწიფოსაც. X—XI საუკუნეებისათვის დასავლეთ ევროპაში წარმოების ფეოდალური წესის ჩამოყალიბება მთავრდება. აღრე-ფეოდალური პერიოდის დასრულებასთან ერთად ფეოდალური საზოგადოების სოციალური სტრუქტურაც მკვიდრ ჩამოყალიბებულ სახეს ღებულა. ახს.

ჩვენი მიზანი არ არის წარმოებით ურთიერთობათა ფეოდალური ტიპის ძირითადი ნიშნების ჩამოყალიბება, ეს უკვე ცნობილი ამბავია. ისტორიკოსთა ნაშრომებში უკვე მოცემულია ფეოდალ-ბატონყმური მეურნეობის სისტემის ამოწმურავი დახასიათება, ჩამოყალიბებულია წარმოებით ურთიერთობათა ფეოდალური ტიპის ძირითადი ნიშნები.

ფეოდალური წყობილების დროს წარმოებით ურთიერთობათა საფუძველს შეადგენდა ფეოდალის საკუთრება წარმოების საშუალებებზე (პირველ ოიგში — მიწაზე) და არასრული საკუთრება წარმოების მუშაზე — ყმაზე, რომლის მოკვლა ფეოდალს იურიდიულად უკვე არ შეუძლია, მაგრამ მისი გაყიდვა და ყიდვა მას შეუძლია. შუა საუკუნეებში მსხვილ ფეოდალურ საკუთრებასთან ერთად არსებობს პირად შრომაზე დამყარებული გლეხისა და ხელოსნის ერთპიროვნული საკუთრება წარმოების იარაღებზე და თავის კერძო მეურნეობაზე. ფეოდალიზმის დროს ყმას აქვს ისეთი პირადი და ქონებრივი უფლებები, რომლითაც იგი განსხვავდება მონისაგან. ფეოდალიზმის დროს მოპოვებული საწარმოო ძალები მოითხოვენ, რომ უშუალო მწარმოებელს ჰქონდეს რაიმე ინიციატივა წარმოებაში, შრომისადმი მიდრეკილება, შრომით დაინტერესება; ამასთან დაკავშირებით, ფეოდალი ტოვებს მონას, როგორც შრომით არადაინტერესებულ და უინიციატივო მუშაკს და ამჯობინებს საქმე იქონიოს ყმასთან, რომელსაც გააჩნია თავისი მეურნეობა, წარმოების საკუთარი იარაღები და რომელსაც აქვს ერთგვარი დაინტერესება მალაღმწარმობელური შრომით, რაც აუცილებლად საჭიროა იმისათვის, რომ მან დაამუშაოს მიწა და ფეოდალს ნატურით აძლიოს გადასახადი თავისი მოსავლიდან.

მონათმფლობელური წყობილების პირობებში თუ ძირითადი უშუალო მწარმოებლის — მონის — მიმართ ხორციელდება აშკარა და სასტიკი გარეშე ეკონომიკური იძულება, ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობის დროს ჩვენ სახეზე ვვაქვს ეკონომიკური და გარეშე ეკონომიკური იძულების შეერთება. რა თქმა უნდა, ფეოდალიზმის დროს უშუალოდ მწარმოებელთა ექსპლოატაცია ისეთივე სასტიკია, როგორც მონობის დროს, მაგრამ მისი ფორმა რამოდენიმე შერბილებულია. ფეოდალური წყობილების დროს ეკონომიკის ძირითადი, დომინირებული დარგი სოფლის მეურნეობა, ხოლო ძირითადი საწარმოო საშუალება — მიწა; ვასაგებია, რომ ამიტომ ფეოდალური საზოგადოების პირობებში ვაბატონებულ კლასად მსხვილ მიწისმფლობელთა — ფეოდალთა კლასი ითვლება.



ვ. ი. ლენინის აზრით, „მეურნეობის ფეოდალური სისტემის“ გაბატონებული მდგომარეობა გულისხმობდა შემდეგ აუცილებელ პირობებს: ჯერ ერთი, ნატურალური მეურნეობის ბატონობას. ბატონყმური მამული უნდა ყოფილიყო თვითემარი, კარჩაკეტილი მთელი, რომელსაც ძალიან სუსტი კავშირი ჰქონდა დანარჩენ მსოფლიოსთან. მემამულეთაგან პურის წარმოება გასაყიდად, რაც განსაკუთრებით განვითარდა ბატონყმობის არსებობის უკანასკნელ დროს, უკვე ძველი რეჟიმის დაშლის მაუწყებელი იყო. მეორეც, ასეთი მეურნეობისათვის საჭიროა, რომ უშუალო მწარმოებელს მოცემული ჰქონდეს წარმოების საშუალებანი საზოგადოდ და მიწა კერძოდ; ესეც ცოტაა. — საჭიროა, რომ ის მიმაგრებული იყოს მიწაზე, რადგანაც სხვანაირად მემამულე მუშახელით არ იქნება უზრუნველყოფილი. მამასადამე, ზედმეტი პროდუქტების მიღების წესები საბატონო და კაპიტალისტური მეურნეობის დროს დიამეტრალურად ეწინააღმდეგებიან ერთმეორეს: პირველი — დამყარებულია მწარმოებლისათვის მიწის მიცემაზე; მეორე — მიწისაგან მწარმოებლის განთავისუფლებაზე; მესამე — მეურნეობის ამ სისტემის პირობაა გლეხის პირადი დამოკიდებულება მემამულისაგან, — მემამულეს რომ არ ჰქონოდა პირდაპირი ძალაუფლება გლეხის პიროვნების მიმართ, ის ვერ შესძლებდა თავის სასარგებლოდ ემუშავებინა ადამიანი, რომელსაც მიწა მიუღია და რომელიც საკუთარ მეურნეობას ეწევა, საჭიროა, მამასადამე, „გარეშე ეკონომიური იძულება“, — როგორც უწოდებს მარქსი ამ სამეურნეო რეჟიმს; მეოთხეც — „ასაწერი სამეურნეო სისტემის პირობა იყო ტექნიკის უკიდურესად დაბალი დონე და რეჟინული მდგომარეობა, რადგან მეურნეობის გაძლოა წყრილ გლეხთა ხელში იყო. რომელნიც გაჭირვებისაგან წელში წყდებოდნენ და პირადი დამოკიდებულებით და გონებრივი სიბნელით დაბეჩავებული იყვნენ“<sup>1</sup>.

ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის სისტემას ახასიათებს სუსტად განვითარებული შრომის დანაწილება, სამრეწველო ხასიათის შრომის სამიწათმოქმედო შრომასთან შეერთება იმ პირობებში, როდესაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მხოლოდ ამ უკანასკნელს ენიჭება; საერთოდ ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის სწორად გაგებისათვის საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ ის ვარშოება, რომ გარეშე ეკონომიკური იძულება სრულიადაც არ წარმოადგენს ფეოდალიზმის საფუძველს; როგორც ყოველი იძულება, გარეშე ეკონომიკური იძულებაც ეკონომიკური პოტენციალია.

სწორად აქვს კ. მარქსს შენიშნული, რომ მონათმფლობელურ და ფეოდალურ საზოგადოებათა დროს წარმოების პირობების ბატონობა მწარმოებლებზე მიჩქმალულია ბატონობისა და დამორჩილების ურთიერთობით, რომელიც გამოდის, როგორც საწარმოო პროცესის უშუალო მამოძრავებელი ზამბარაკი<sup>2</sup>. ცხადია, როგორი დიდი როლიც არ უნდა შეესრულებინა გარეშე ეკონომიკური იძულებას მემამულურ-ბატონყმური მეურნეობის საერთო სისტემაში, აგრეთვე მათი (მემამულეთა) ძალაუფლების განმტკიცების საქმეში, მაინც იგი კი არა, არამედ მიწის ფეოდალური საკუთრება წარმოადგენდა ფეოდალიზმის საფუძველს. საკუთრების უფლების საკითხი მონათმფლობელურ საზოგადოებაში გაცილებით უფრო მარტივია გამოსაკვლევად ვიდრე ფეოდალურ საზოგადოებაში. მონათმფლობელი როგორც საწარმოო საშუალებების, ასევე თვით მონის სრული მესაკუთრეა და სხვა.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. III, გამ., IV, გვ. 207-208, 209.

<sup>2</sup> ი. ხ. მარქსი, კაპიტალი, I გამ., ტ. III, 6. II, გვ. 348.

შუა საუკუნეების საზოგადოების თუნდაც მხოლოდ ორი ძირითადი კლასის — ფეოდალებისა და ყმა გლეხობის — საკუთრების უფლების დადგენა რიგი რთული საკითხების წინასწარ გაანალიზებას მოითხოვს. უნდა გავიკვებ ფეოდალის საკუთრების უფლება მიწაზე, მისი „არასრული საკუთრება“ ყმაზე და თვით ყმის საკუთრების უფლება წარმოებისა და მოხმარების საშუალებებზე, აგრეთვე — მისი უფლება მის სარგებლობაში მყოფ მიწის ნაკვეთზე<sup>3</sup>. ქვეყნის მთელი მიწის ფონდის უდიდესი ნაწილი მემამულე-ფეოდალების მონოპოლისტურ მფლობელობაში იმყოფებოდა და, ამა თუ იმ სახით, იურიდიულად მათზე იყო გაფორმებული. მსხვილი ფეოდალური მიწის საკუთრების სუბიექტი თავადაზნაურობა იყო. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ფეოდალური საკუთრება წოდებრივი საკუთრებაა. ფეოდალური წყობილება ხასიათდება საკუთრების ცნებისა და უმაღლესი ხელისუფლების (სუვერენიტეტის) ცნების შერწყმით. მიწის ფლობა განუყრელად იყო დაკავშირებული პოლიტიკურ ხელისუფლებასთან. მიწათმფლობელს ეკუთვნოდა მთლიანად ან საწილობრივ იმ უფლებათა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს სუვერენიტეტის შინაარსს. სახელმწიფოს ტერიტორია დაყოფილია სამფლობელოებად. ცალკეულ სამფლობელოთა სათავეში მდგომ ფეოდალს ემორჩილება მის განკარგულებაში მყოფი საფეოდალოს მიწაზე „მსხდომი“ პირები. საფეოდალოს მოსახლეობა ფეოდალის მიმართ სამხედროვალდებულია, თან იხდის რენტას მის სასარგებლოდ.

მიწაზე ფეოდალური საკუთრება, როგორც უკვე აღნიშნულიც იყო, განუყრელადაა დაკავშირებული ფეოდალის არასრულ საკუთრებასთან ყმაზე. ეს უკანასკნელი ეწევა ფეოდალური ექსპლოატაციის უღლის მთელ სიმძიმეს. თუ მონა მთლიანად ნივთთან იყო გათანაბრებული იურიდიულად, ყმას ის უპირატესობა გააჩნია მონასთან, რომ იგი ნახევრად ნივთის მდგომარეობამდე დაყვანილი მხოლოდ; ამიტომაც ფეოდალიზმის დროს ყმა წარმოადგენს ნახევრად სამართლის ობიექტს და ნახევრად კი — სუბიექტს. როგორც წესი, ყმა-გლეხი იურიდიულად არ ითვლებოდა იმ მიწის მესაკუთრედ, რომელსაც იგი ამ უშუავეხებდა.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ფეოდალიზმს რიგი ერთმანეთისაგან განსხვავებული ნიშნები ახასიათებდა. ცალკეული ქვეყნის ისტორიული განვითარების თავისებურებათა გამო ფეოდალიზმშიც გარკვეულ თავისებურებებს შეიცავდა ყველა ქვეყანაში. ამასთან დაკავშირებით, 1895 წ. 12. III ფ. ენგელსი წერდა: „განა ფეოდალიზმი ოდესმე თავის ცნებას შეესატყვისებოდა? დასავლეთ ფრანკონიის სამეფოში წარმოშობილი, ნორმანიაში ნორვეგიელი დამპყრობლების მიერ შემდგომ განვითარებული, ინგლისისა და სამხრეთ იტალიაში ფრანგი ნორმანების მიერ სრულქმნილი, — იგი თავის ცნებას ყველაზე უფრო მეტად დაუახლოვდა იერუსალიმის ერთ დღიან სამეფოში, რომელმაც „იერუსალიმის ასიზეზში“ ფეოდალური წყობილების ყველაზე უფრო კლასიკური გამოსახულება დასტოვა. ნუთუ ეს წყობილება ფიქცია იყო იმის გამო, რომ მხოლოდ პალესტინაში შიალწია მან საესეებით კლასიკურ გამოსახულებას მოკლე ხნით და ისიც მეტწილად ქალაქზე“<sup>4</sup> შემოხსენებული გარემოება, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მოინახოს როგორც საერთოდ ფეოდალური საზოგადოების, ასევე ფეოდალური საკუთრებისა თუ ფეოდალური საოჯახო სამართლის ძირითადი საერთო ნიშნები.

<sup>3</sup> А. В. Вендиктэв, Государственная социалистическая собственность, М.-Л., 1948, 23-94.

<sup>4</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, სახელგამი, 1949, გვ. 534.

სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანად დაისმის საკითხი: შეიძლება თუ არა ადრინდელი, განვითარებული და გვიანი ფეოდალიზმის ეპოქის საკუთრების უფლების რამდენადმე შინაარსიანი განსაზღვრა ერთი ფორმულის ქვეშ? რა თქმა უნდა, VIII-IX სს. დასავლეთ ევროპელი ვასალის მხრივ ბენეფიციუმის სიცოცხლისეული სარგებლობის უფლება არ არის იგივე, რაც იმავე ვასალის უფლება X-XIII საუკუნეებში მემკვიდრეობით ლენზე; ბენეფიციუმში ჭერ კიდევ არ არის ლენი, არამედ მისი ჩანასახია, მომავალში მისი განვითარების შესაძლებლობაა.

ფეოდალური იერარქია და ფეოდალური დაქვემდებარების პერიოდის ვასალური ურთიერთობა, რასაკვირველია, ძალიან ცოტათი ჰგავს აბსოლუტური მონარქიის პერიოდის აზნაურთა ურთიერთობას ძლიერი მეფე-მონარქით სათავეში. სავალდებულო სამხედრო და სამოქალაქო სამსახურისაგან თავდაზნაურობის გათავისუფლებამ კი საესებით შეცვალა თავდაზნაურული მამულის „სახე“, როგორც ზემოხსენებულ სამსახურთან დაკავშირებული მიწათმფლობელობა. განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში მიწათმფლობელობის პირობითობას სულ სხვა გარკვეულობა აქვს. ვიდრე გვიან ი ფეოდალიზმის დროს<sup>5</sup>; ეს გარკვეობა, რა თქმა უნდა, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ხელი ავიდოთ ზოგადი ცნებებით სარგებლობაზე, შემოვიხსნათ მხოლოდ ცალკეულ ქვეყნებში ი ფეოდალურ ურთიერთობათა კონკრეტული კვლევით. მართალია, სხვადასხვა ქვეყანაში, ცალკეულ ქვეყანაში სხვადასხვა საუკუნეში და ერთსადაიმედ დროს ერთი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ფეოდალიზმი რიგ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ნიშნებს ამჟღავნებს.

როდი ნიშნავს ეს, თითქოს მათ საერთო ტიპური ნიშნები არ ახასიათებდეთ. ისტორიკოსს, ეკონომისტსა თუ იურისტს შეუძლია, რიგ შემთხვევაში, ცალკეული ქვეყნის ისეთ თავისებურებებს, რომლებიც განვითარების საერთო ხაზისათვის დამახასიათებელნი არ არიან, ყურადღება არ მიაპყროს და ისინი საერთო ტიპის ქვეშ მოაქციოს. ერთ-ერთ თავის საინტერესო ნაშრომში, რომელიც ფეოდალური საზოგადოების ჩასახვისა და მისი განვითარების პირველი ეტაპებისადმი მიძღვნილი, ფ. ენგელსი ნათლად მიუთითებს ფეოდალური ურთიერთობის კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ. ამავე დროს, ფ. ენგელსი აღნიშნავს, რომ საკითხი ბენეფიციუმის შესახებ მისი წმინდა, კლასიკური ფორმით, რომელიც, რასაკვირველია, გარდამავალი იყო და ყველგან ერთდროულად არ მიმდინარეობდა, კარგად უნდა იქნეს გამოკვლეული. მაგრამ ეკონომიკური ურთიერთობის ასეთი ისტორიული ფორმები შეიძლება გავიგოთ, მაშინ, როცა ვაკვირდებით მას მხოლოდ მისი წმინდა გამოვლინების დროს და როტის ერთ-ერთი მთავარი დამსახურება სახელდობრ იმაში მდგომარეობს, რომ მან გაწმინდა ბენეფიციუმის ეს კლასიკური ფორმა მისი დამჩრდილველი ჩენჩოსაგან<sup>6</sup>.

„მაშასადამე, განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობების ისტორიული ფორმების შესწავლა მისი „წმინდა, კლასიკური ფორმით“ — ანუ, რაც იგივეა, — მისი ყველაზე უფრო ტიპური ფორმით, აი ის გზა, რომლითაც უნდა მიდიოდეს იურისტი — ისტორიკოსი ფეოდალური საკუთრების კვლევის დროს. აუცილებელია შევისწავლოთ და გავანალიზოთ ფეოდალური სამართლის ინსტიტუტი მისი ყველაზე უფრო წმინდა, ტიპური ფორმით, მისი

<sup>5</sup> იხ. ენციკლოპედიკი, ციტ. თხზ., გვ. 99-100.

<sup>6</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XVI, гл. 402 (I изд.).

ყველაზე უფრო განვითარებული სახით. ეს იმას არა ნიშნავს, რასაკვირველია, რომ მკვლევარის მხედველობის არის გარეშე დარჩეს მისი შესასწავლი ინსტიტუტის განვითარების საწყისიდან საბოლოო სტადიები. მხოლოდ შევისწავლოთ რა ფეოდალური საკუთრების უფლებას მის მოძრაობაში, მის აღმოცენებასა და გაქრობაში, შეიძლება მივიღოთ სწორი წარმოდგენა ამ ინსტიტუტის არსის შესახებ მისი „წმინდა, კლასიკური ფორმით“. რიგ შემთხვევაში მკვლევარმა შეიძლება მიიღოს (საკითხის) სხვადასხვა გადაწყვეტა, ამა თუ იმ ინსტიტუტის განვითარების ცალკეული სტადიებისათვის. ვასალური ურთიერთობის განვითარების დასაწყის სტადიაში, ბენეფიციუმის სახით ვასალისათვის სამისდლეშიო სარგებლობაში მიწის მწყალობელი სენიორი, თავისთვის იტოვებდა ნაწყალობევი მიწის საკუთრების უფლებას, არ იყოფდა რა მას ვასალთან ერთად. როდესაც ბენეფიციუმში გადაიქცა მემკვიდრეობით ლენად — მისი „წმინდა, კლასიკური ფორმით“, მათი ურთიერთობა მიწასთან მიმართებით იძენს განვითარებული ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი დანაწევრებული საკუთრების ტიპურ ფორმას. გვიანი ფეოდალიზმის ეპოქაში საკუთრების უფლება ხელახლა კონსოლიდირდება, მაგრამ, როგორც წესი, უკვე ვასალის პიროვნებაში<sup>7</sup>. ჩვენ იმიტომ შევჩერდით ფეოდალური საკუთრების სამართალზე შედარებით ვრცლად, რომ ეს უკანასკნელი შუა საუკუნეების სამართლის სისტემაში წარმოადგენდა ისეთ ცენტრალურ სამართლებრივ ინსტიტუტს, რომელიც ძირითადად წინასწარ განაპირობებდა ხოლმე კერძო სამართლის ისეთი ინსტიტუტების ხასიათს, როგორიცაა საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. ფეოდალური საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა საშუალებას აძლევდა ფეოდალ მემამულეებს ჩარეულიყვნენ ყმა-გლეხობის და საერთოდ მათზე დამოკიდებული მოსახლეობის ოჯახურ საქმეებში.

სიმპტომატურია, მაგალითად, ის გარემოება, რომ ინგლისური საერთო სამართლისათვის ისევე, როგორც საერთოდ ფეოდალური მართლშეგნებისათვის „...იმავე ზომით იყო უცხო დამოუკიდებელი და უპირობო საკუთრებას ებნება, როგორაც მისთვის უცნობი იყო წარმოდგენა თავისუფალი, დამოუკიდებელი და წოდების გარეშე პიროვნებისა“. ფეოდალური მეურნეობა ინგლისში გულისხმობდა მეურვის უფლებას, განეგო მეურვეობაში მყოფის ქორწინება, ჩარეულიყო მის ოჯახურ საქმეებში. მეფის კურია მეთრვეობის უფლება ადრე გადააქცია რაინდთა ადგილ-მამულეების მფლობელების მემკვიდრეთა საქორწინო საქმეების კონტროლის ბერკეტად. ჰენრიხ მეორის დროიდან სამეფო ხელისუფლება უფრო „საქმიან“ თვალსაზრისზე დგება და ქვეშევრდომთა ქორწინებაში ჩარევის უფლებას ხაზინისთვის შემოსავლიან საქმედ აქცევს. ქორწინების ბერკეტით, მეფე პოლიტიკურ და ეკონომიკურ გავლენას ახდენდა ბარონებზე: სამეფო ტახტი მისთვის არახელსაყრელ ქორწინებას არღვევდა; ავიწროებდა და აღარიბებდა ბარონების ნაწილს, ხოლო სხვებს აღაზევებდა. როგორც წესი, სიუზერენი მემკვიდრე ქალისა და მამაკაცის ქორწინებას თვითონ აწესრიგებდა. თუ მემკვიდრე სიუზერენის შემოთავაზებულ „პარტიაზე“ უარს იტყოდა, მას უნდა გადაეხადა „ფაინი“ მეურვისათვის, რაც ძალიან დიდ თანხას შეადგენდა, სამეფო ადმინისტრაცია სას-

<sup>7</sup> М. А. Барг, Исследования по истории английского феодализма XI—XIII вв., М., 1962, стр. 106, 137.



ტიკად დევნიდა იმ პირებს, ვინც დაარღვევდა ტახტის უფლებას, კონტროლი გაეწია მემკვიდრეთა ქორწინებისათვის.

რაც შეეხება დამოკიდებულებას ფეოდალებსა და ყმაგლეხობას შორის, აქ მდგომარეობა გაცილებით უფრო მძიმე იყო და მემატონეს ძალმომრეობითი აქციების წინაშე გლეხს, იზოლირებულად თუ თემთან ერთად, საუკუნეების მანძილზე ყოველდღიური ბრძოლის გაწევა უხდებოდა; მაგრამ ყმას როდი შეეძლო თავისი ოჯახი ციხე-სიმაგრედ ექცია და მემატონის თვითნებობისათვის ზღვარი დაედო. ინგლისში მემამულეები ერეოდნენ გლეხობის ოჯახურ საქმეებშიაც. XIII საუკუნის ინგლისელი იურისტის ბრაქტონის<sup>8</sup> თხზულებიდან ჩანს, რომ გლეხს არ შეეძლო ესარჩლა მემამულის წინააღმდეგ. ცხადია, ასეთ პირობებში ფართო არენა ეშლებოდა ფეოდალს გლეხისა და მისი ოჯახის მიმართ თვითნებობისათვის. ყმის სიკვდილი, ყმის ქორწინება, ქორწინებისგარეშე სქესობრივი ურთიერთობა ყმათა შორის, ყველაფერი ეს და ზოგი სხვაც მემამულისათვის შემოსავლის წყაროა. ყოველივე ამისათვის მემამულე ღებულობს ფულად და ნატურალურ გასამრჯელოს ყმებისაგან. ქვრივი ქალი თხოვდება სოფლის გარეთ და ყმის ქალიშვილი თემის შიგნით ან თუ ყმა ირთავს ცოლს, მემამულე მეთოდურად ღებულობს ყოველივე ამისათვის გასამრჯელოს. თუ ვილანი ქალიშვილს მემატონის დაუკითხავად გაათხოვებდა, საქმე სამსჯავროს გადაეცემოდა. სუბერენი ვალდებული იყო თავისი ვასალები დაექორწინებინა.

ჰენრი III-ის დროს გამოცემული მერტონის სტატუტით, ვასალი, რომელიც სუბერენის მიერ შერჩეულ ქალზე არ დაქორწინდებოდა, იხდიდა სასჯელის ღონისძიების სახით ჯარიმას—*maritagium*-ს; ცნობილია, რომ ლორდმა კარინგტონმა XV საუკუნეში გაასხვია (გაყიდა) თავისი ვასალებისათვის ცოლის შერთვისა და მათი ქალების გათხოვების უფლება. შემონახულა ერთი დამახასიათებელი დოკუმენტი: 1482 წელს ვინჩე მარგარიტა პასტონი თავის შვილს—ვილიამს ანდერძით უტოვებს ას მარკას სპეციალურად ქალების გათხოვების უფლების შესასყიდად. XV საუკუნის ბოლოს ჯონ კორნვალის თავის შვილს — რიჩარდს ანდერძით უტოვებს მის მიერ ნორფოლკის ჰერცოგიდან ნაყიდ ვინჩე მარგარიტა ლოსის გათხოვების უფლებას. წითელი და თეთრი ვარდის ომის ეპოქის მატარებელში მოთხოვნილია მდიდარი ქალიშვილთა შესახებ, რომლებიც მონასტერში მონაზვნად აღკვეცის საშუალებით გადაურჩნენ არასასურველ პირებთან ქორწინებას.<sup>9</sup>

იმ შემთხვევაში კი, როდესაც მემატონე არ ერეოდა ვასალების ქორწინებაში, მემატონის უფლებას, ხშირად, მშობლის ნება-სურვილი ცვლიდა. საქმის ასეთ მდგომარეობას ეკლესიაც უწყობდა ხელს. საეკლესიო სამართლის თვალსაზრისით შვილების დაქორწინებაზე მშობლების თანხმობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან, სათანადო ავტორიტეტების აზრით, მშობლების წინაშე ურჩობა მეხუთე ღვათებრივი მცნების დარღვევას წარმოადგენდა; ამასთან დაკავშირებით, ვასილი დიდის მოძღვრების მიხედვით, ქორწინების საკითხებში მშობლების წინაშე ურჩობა მრუშობას ეთანაბრებოდა.

ფეოდალური საზოგადოების სხვადასხვა კლასებში საოჯახო-საქორწინო ურთიერთობათა სახე ურთიერთგანსხვავებული იყო იმდენად, რამდენადაც ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა ფეოდალური საზოგადოებრივი კლასთა საზოგადოებრივი ყოფიერება; განსხვავებული იყო მათი რეალური დამოკიდე-

<sup>8</sup> იხ. Хрестоматия памятников феодального государства и права стран Европы, М., 1961, გვ. 140—176; Под ред. акад. В. М. Корещкого.

<sup>9</sup> იხ. М. Ковалевский, Общественный строй Англии в конце средних веков, М., 1880.



ბულებაც ოჯახისა და ქორწინებისადმი, განსხვავებული იყო ოჯახური წყობა. ფეოდალური საზოგადოების ცალკეული კლასის ოჯახური წყობა განპირობებულია ცხოვრების მატერიალური პირობებით.

როგორც წესი, ფეოდალური ყმა-გლეხთა დაქორწინების საქმეში ერეოდა, რამდენადაც ეს მისი ინტერესებიდან გამომდინარეობდა. თავისუფალ მეთემე გლეხთა წრეში, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ ბატონყმობის მძიმე უღელში გაბმულნი, საოჯახო ურთიერთობის საკითხებში ფეოდალი ნაკლებად ერეოდა; ამ წრეში, ქორწინების საკითხებთან დაკავშირებით, ეკონომიურ ანგარიშობასთან ხშირად გადაწყვეტი ხმა არა ჰქონია და თუ მშობლების ავტორიტეტის ბარიერის გადალახვა მოხერხდებოდა, შესაძლებელი იყო, ადგილი ჰქონოდა მხარეთა ურთიერთმოწონებაზე დაფუძნებულ ქორწინებას. გლეხის ოჯახში ქალი მეტ სამეურნეო საქმიანობას ეწეოდა, ვიდრე, მაგალითად, ფეოდალის ოჯახში, რაც გარკვეულ მატერიალურ ბაზას ქმნიდა მისი პატრიარქალური და დაფასებისათვის.

ფეოდალურ საზოგადოებაში ქორწინება განპირობებული იყო მონაწილე მხარეთა კლასობრივი მდგომარეობით და, გაბატონებულ კლასებში მაინც, იგი უთუოდ ანგარიშზე დაფუძნებულ გარიგებას წარმოადგენდა. ასეთი ხასიათის ქორწინება, როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავს, უტლანქეს პროსტიტუციად იქცეოდა ხოლმე ზოგჯერ ქორწინებაში მონაწილე ორივე მხარის, უფრო მეტად კი ცოლის მხრივ, რომელიც ჩვეულებრივი კურტუზანისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ თავის სხეულს აქირავებს არა ნარდად, როგორც დაქირავებული დღიური მუშა, არამედ ერთხელ და სამუდამოდ ჰყიდის მონობაში. გარდა ამისა, ფ. ენგელსი აღნიშნავს, რომ ყველა ანგარიშობის ქორწინებას შეეხება ფურიეს სიტყვები „როგორც გრამატიკაში ორი უარყოფა ერთ დადასტურებას იძლევა, ისე ქორწინების მორალში ორი პროსტიტუცია ერთ სათნოებას შეადგენს“<sup>10</sup>. ზემომოტანილი დებულება სამართლიანია ფეოდალური საზოგადოების გაბატონებულ კლას-წოდებებში არსებულ საოჯახო-საქორწინო ურთიერთობისათვის. როგორც ეს ენგელსს სწორად აქვს აღნიშნული შუა საუკუნეების სინამდვილეში რაინდისა, ბარონისა თუ მთავრობისათვის დაქორწინება არა მარტო ეკონომიკური გარიგებაა, არამედ პოლიტიკური აქტიცაა; დაქორწინება საშუალებაა ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერების გასაძლიერებლად, დაქორწინების საკითხში ცალკეული პიროვნების სურვილი დამორჩილებულია სახლის ინტერესებისადმი; მხარეთა ურთიერთმიდრეკილებისა და სიყვარულის გრძნობა დაჩრდილულია.

იერუსალიმის ეფემერული სამეფოს ასოზებში, რომელნიც, — როგორც ზემოთც იყო აღნიშნული, — წარმოადგენენ ფეოდალური წყობილების კლასიკურ გამოხატულებას, ნათლადაა გამოთქმული დაქორწინების ხასიათი ბატონყმურ-შუასაუკუნეობრივ საზოგადოებაში. იერუსალიმის ასოზებში ხაზგასმულია, რომ დასაქორწინებელნი, როგორც წესი ერთსა და იმავე წოდებას უნდა ეკუთვნოდნენ. გასათხოვარი ქალი, რომელიც მემკვიდრეობითს ლენს მიიღებდა სამფლობელოდ, თავის საქმროს არჩევაში თავისუფლებით ვერ სარგებლობდა. თავისი სურვილით გათხოვების შემთხვევაში ლენის მფლობელი ქალი კარგავდა მისი მფლობელობის უფლებას; მეორე მხრივ ლენის მფლობელ გასათხოვარ ქალს არა ჰქონდა უფლება, გაუთხოვარი დარჩენილიყო, და, სუზერენის მოთხოვნისამებრ, იგი ვალდებული იყო გათხოვილიყო, თუნდაც 60 წლისა ყოფილიყო, თუ ლენის მფლობელი გასათხოვარი ქალი სუზერენს მიანდობდა საქმროს ამორჩევას, იგი ვალდებული იყო

<sup>10</sup> ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფო წარმოშობა, თბილისი, 1953, გვ. 101.

ბული იყო თავისი საბჭოსათვის 14 დღის განმავლობაში გამოენახეინებინა სამი რაინდი, რომელთაგან ერთერთზე უნდა შეჩერებულიყო ქალის არჩევანი. იერუსალიმის ასიზების მიხედვით, ბარონის ქვრივი, როგორც საქვრივო წილს, ლებულობს ქმრისეული ლენის ნახევარს და უძრავ-მოდრავი ქონების ნახევარს. სუზერენს არა ჰქონდა უფლება, ქვრივი იძულებით გაეთხოვებინა, მაგრამ ამ უკანასკნელსაც არ შეეძლო აერჩია ახალი საქმრო სუზერენისა და იმ პირის ნებართვის გარეშე, რომელმაც ლენის მეორე ნახევარი მიიღო. თუ ქვრივი ისეთი ლენის მფლობელი იყო, რომელიც სუზერენისათვის პირად სამსახურთან იყო დაკავშირებული, მაშინ ამ უკანასკნელს შეეძლო წინადადება მიეცა მისთვის, რომ გათხოვილიყო ხელმეორედ. სუზერენს უფლება ჰქონდა ქვრივისათვის წარედგინა სამი ბარონი, მაგრამ მხოლოდ ისეთები, რომელნიც თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობით არ ჩამოუყვარდებოდნენ მის წინანდელ ქმარს და ქვრივი ერთ-ერთ მათგანზე უნდა გათხოვილიყო.<sup>11</sup>

როგორც ცნობილია, ფეოდალის საზოგადოებრივი მდგომარეობა ემყარებოდა პირველყოფლისა ეკონომიურ სიძლიერეს, რომელიც განისაზღვრებოდა ბატონყმური საზოგადოების უმთავრესი საწარმოო საშუალების — მიწის ოდენობით. ფეოდალიზმის ეპოქაში ლენური ურთიერთობის განვითარება ყველა მიწაზე, რომლის უმაღლეს მესაკუთრედ ფორმალურად მაინც სუზერენი ითვლებოდა, ქმნიდა უფლებათა და ვალდებულებათა ჭრელ ქსელს. „თვითეულ ამ შუასაუკუნეობრივ სახელმწიფოში მეფე წარმოადგენდა მთელი ფეოდალური იერარქიის მწვერვალს, ურომლისოდაც ვასალებს არსებობა არ შეეძლოთ და რომლის წინააღმდეგაც ისინი ამავე დროს უთვალავ ამბოხებებს აწყობდნენ. მთელი ფეოდალური მეურნეობის ძირითადი ურთიერთობა — მიწის პატრონყმური წესით გაცემა გარკვეული პირადი სამსახურისა და გამოსაღებთა სამაგიეროდ — უკვე თავისი თავდაპირველი, უმარტივესი სახით დანტერესებულნი იყვნენ შუღლის საბაბი ეპოვნათ. მაშ რაღა უნდა ყოფილიყო გვიან შუასაუკუნეების დროს, როდესაც პატრონყმური ურთიერთობა ყველა ქვეყანაში წარმოადგენდა იმ ნაწყალობევ, წართმეულ, კვლავ ნაბოძებ, დანაშაულისათვის ჩამორთმეულ, შეცვლილ ან რაიმე სხვა საშუალებით გაპირობებულ უფლება-მოვალეობათა ხლართს, რომლის დაშლა ყოვლად შეუძლებელი იყო? კარლოს მამაცი, მაგალითად, თავისი მიწების ერთ ნაწილს ფლოზდა როგორც იმპერატორის ყმა, მეორე ნაწილს — როგორც საფრანგეთის მეფის ყმა; თავის მხრივ, საფრანგეთის მეფე, კარლოს მამაცის სიუზერენი, გარკვეულ ოლქებში გამოდიოდა როგორც კარლოს მამაცის, საკუთარი ვასალის ყმა; როგორღა შეიძლებადა ასეთ პირობებში კონფლიქტების თავიდან აცილება? ამიტომაც, რომ საუკუნეების მანძილზე მიზიდულების ცვალებადი ძალით მინსწრაფვიან ვასალები სამეფო ცენტრისაკენ, რომელსაც ერთადერთს შეეძლო დაეცვა ისინი გარეშე მტერთა და ურთიერთ თავდასხმებისაგან, და რომ იგი მუდამ და აუცილებლად იქცევა ამ ცენტრისაგან მათ განმზიდველ ძალად. აქედან — განუწყვეტელი ბრძოლა სამეფო ხელისუფლებასა და ვასალებს შორის; ამ ბრძოლებმა გამაყრუებელი ხმაურით აავსეს ის ხანგრძლივი პერიოდი, რომლის დროსაც თავისუფალი მამაკაცის ერთადერთ საკადრის შემოსავლის წყაროს ყაჩაღობა შეადგენდა. აქედან წარმოდგებოდა გაუთავებელი ღალატი, მუხანათური მკვლელობა და მოწამლვა, მზაკვრული ინტრიგები, ის წარმოუდგენელი და გაუთავებელი სისაძაგლე, რომლის საფარი იყო რაინდობის პოეტური სამოსელი და რომლის დროსაც ყველას პატიოსნება და ერთგულება

<sup>11</sup> М. Стасюлевич, История средних веков, т. III, СГ6, 1865, გვ. 785, 786, 806.

ეკერა პირზე“<sup>12</sup>. ასეთ პირობებში სუზერენისათვის სულ ერთი არ იყო თუ ვინ იქნებოდა მისი გარდაცვლილი ვასალის ლენის მფლობელი და ამიტომაც იგი ქორწინების ბერკეტით ცდილობდა ლენურ ურთიერთობათა თავის სასარგებლოდ მოწესრიგებას. ქორწინება გადაქცეული იყო პოლიტიკური მიზნის მიღწევის საშუალებად.

ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის პირობებში, ფეოდალი წარმოადგენს განსაზღვრული ეკონომიკური ერთეულის მეთაურს და იგი მთელი თავისი სამხედრო-ეკონომიკური ძლიერების გამოყენებით ცდილობს, გააფართოოს და განამტკიცოს ეს ეკონომიკური ერთეული. ფეოდალისათვის მამული და ოჯახი წარმოადგენს მთელი მისი სამეურნეო, პოლიტიკური და სამხედრო საქმიანობისათვის ძირითად ბაზას, იგი ოჯახს ისე უყურებს, როგორც საკუთარი მფლობელობისა და ხელისუფლების ობიექტს. ფეოდალური საზოგადოების საოჯახო-საქორწინო ურთიერთობა (განსაკუთრებით, შუა და გვიანფეოდალურ ეპოქებში) განვითარების უფრო დიდსა და ახალ ისტორიულ სიმაღლეს აჩვენებს, ვიდრე, — ვთქვათ, — მონათმფლობელური ოჯახი.

მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალისათვის ოჯახი მფლობელობის დაახლოებით ისეთივე ობიექტია, როგორც მთლიანად მის მორჩილებაში მყოფი ვასალები თუ ყმები, შეიმჩნევა ერთგვარი სირბილე საოჯახო-საქორწინო ურთიერთობაში ანტიკურობასთან შედარებით. რა თქმა უნდა, ფეოდალის მკაცრი ხელი რამოდენადმე განსხვავებულად ექცევა, ერთი მხრივ, „ნახევრად ნივთებს“ — ყმა-გლეხებს და, მეორე მხრივ, საკუთარი ოჯახის წევრებს, რომელთა ძარღვებშიაც მისი, წარმოდგენით, „კეთილშობილური“ სისხლი სჩქეფს. მიუხედავად ამისა, შეინიშნება ზოგიერთი საერთო შტრიხი ფეოდალის დამოკიდებულებაში, ერთი მხრივ, ვასალებისა და ყმა-გლეხების და, მეორე მხრივ, საკუთარი ოჯახის წევრების მიმართ.

ფეოდალური ოჯახი რამოდენადმე სულ სხვა საწყისებზეა დამყარებული, ვიდრე მონათმფლობელური ასირიული ან რომაული ოჯახი. ფეოდალიზმის ეპოქის გერმანულ ოჯახში მამას ისეთი ფართო ძალაუფლება არ გააჩნია შვილების მიმართ, როგორც, მაგალითად, რიგ მონათმფლობელურ ქვეყნებში. ისტორიკოსები გერმანულ ფეოდალურ ოჯახში მამის, ოჯახის მეთაურის უფლებებს აგვიწერენ როგორც ისეთი ხასიათისას, რომელიც აქვს მეურვეს არასრულწლოვანებზე. ცხადია, რომ ქალი აქ გათანაბრებულია არასრულწლოვანთან. მამრობითი სქესის ბავშვების მიმართ მეურვეობა წყდება მაშინ, როდესაც ისინი მიაღწევენ 12 წლის ასაკს (სალიკური სამართალი) ან 14 წლისას (ფეოდალური სამართლის სხვა ძეგლები). რა თქმა უნდა, ოჯახის უფროსის ეს მეურვეობა ოჯახის წევრთა მიმართ ხდებოდა პირველყოვლისა თვით ოჯახის უფროსის ინტერესების და არა მეურვეობის ქვეშ მყოფთა ინტერესების დასაცავად. ოჯახის უფროსის პიროვნება მოიცავს და ნთქავს მის წევრთა პიროვნებას. სამართლის ზოგიერთი ბურჟუაზიული ისტორიკოსი (მაგ. შენონომი) გერმანულ ფეოდალურ საზოგადოებაში დამოკიდებულებას ოჯახის უფროსსა და მის სრულუფლებიან წევრებს შორის ახასიათებს როგორც თანამეგობრობას<sup>13</sup>. რა თქმა უნდა, ფეოდალური ოჯახის სრულუფლებიან

<sup>12</sup> ფ. ენგელსი, „ფეოდალიზმის დაშლისა და ეროვნულ სახელმწიფოთა წარმოშობის შესახებ“, წიგნში: ფ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, თბ., 1936, გვ. 189-190.

<sup>13</sup> იხ. История государства и права, т. II, М., 1947, გვ. 32.

წევრთა შორის ურთიერთობის ასეთ დახასიათებაში არის გადაჭარბება, ნამდვილი თანამეგობრობა აქ შეუძლებელი იყო.

რომელი ოჯახის უფროსის ხელში თავმოყრილი იყო უფლებანი ოჯახის წევრთა ქონებაზე, პიროვნებაზე — მათი გასამართლება-დასჯის სახით. ფეოდალური წყობილების პირობებში ოჯახის უფროსი ფორმალურად მაინც მოვალე იყოს ოჯახის წევრთა მფარველი და მეურვე. მართალია, ოჯახის წევრები ოჯახის უფროსის მორჩილებაში იმყოფებოდნენ, მაგრამ მათ გააჩნიათ ზოგიერთი ისეთი უფლებები, რომელიც ტიპიური მონათმფლობელური საზოგადოებისათვის უცნობი იყო.

კ. მარქსი შენიშნავს, რომ სიბრიყვე იქნებოდა, ოჯახის აბსოლუტურ ფორმად მიგვეჩინა მისი ქრისტიანულ-გერმანული ფორმა, ან ძველი რომაული, ან ძველი ბერძნული ანდა აღმოსავლური, რომელნიც ისტორიული განვითარების თანმიმდევრობით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი<sup>14</sup>; მაშასადამე, როგორც ვხედავთ, კ. მარქსის აზრით, ოჯახის აღმოსავლური, ბერძნულ-რომაული და ქრისტიანულ-გერმანული ფორმა ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ისტორიული განვითარების თანმიმდევრობით. ისინი არა მარტო ქრონოლოგიურად, არამედ ისტორიულადაც ურთიერთმონაცვლეობენ საზოგადოების განვითარების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე. არ არსებობს ოჯახის აბსოლუტური ფორმა, ოჯახის ფორმები ცვალებადია; როგორც არის ამა თუ იმ საზოგადოების ისტორიული სიმადლე, ისეთივეა მისთვის დამახასიათებელი ოჯახის ფორმის განვითარების დონეც. რა თქმა უნდა, აღმოსავლურთან შედარებით — ძველი ბერძნული, ძველ ბერძნულთან შედარებით — ძველი რომაული, ხოლო რომაულთან შედარებით ოჯახის ქრისტიანულ-გერმანული ფორმა წარმოადგენს ოჯახისა და ორივე სქესს შორის ურთიერთობის ერთიმეორის მიმდევრო უფრო მაღალ საფეხურს. ზოგიერთი გამონაკლისით, იგივე შეიძლება ითქვას ქალის საზოგადოებრივი და ოჯახური მდგომარეობის მისამართითაც.

ქალი ფეოდალურ საზოგადოებაში და ოჯახში უფრო მაღალ უფლებრივ მდგომარეობაშია წარმოდგენილი, ვიდრე — მონათმფლობელურში, თუმცა იგი მაინც მამაკაცისადმი დაქვემდებარებული სუბიექტია. დაქორწინებისას ქალი ექცევა ქმრის მეურვეობის ქვეშ (mundium), ქმრის სიკვდილის შემთხვევაში ქალი უფროსი შვილის მეურვეობაში გადადის. ლანგობარდების სამართალში იყო სპეციალური მუხლი, სადაც კანონმდებელი მიუთითებდა, რომ ლანგობარდთა სამეფოში დაბადებულ თავისუფალ ქალს, რომელიც ლანგობარდთა სამართალს ექვემდებარება, არა აქვს უფლება იცხოვროს საკუთარი ნებასურვილის მიხედვით, ე. ი. მეურვეობაში ყოფნის გარეშე<sup>15</sup>, ცოლის მიმართ მეურვეობის უფლება, რომელიც ქმარს გააჩნდა, პირდაპირ კავშირში იმყოფება მის (ცოლის) ქმედობაუნარიანობის საკითხთან. თუ ქალს გათხოვებამდე სამოქალაქო ქმედობაუნარიანობა გააჩნდა, გათხოვების შემდეგ მისი ქმედუნარიანობა ქმრის მეურვეობით ან მკაცრად იზღუდებოდა, ან სულაც ისპობოდა. ოჯახი ქმნის მის შემადგენელ წევრთათვის გარკვეულ საერთო-სამეურნეო საქმიანობას; ამ უკანასკნელის ბაზაზე წარმოიშობა ოჯახის, სახლის საერთო ინტერესები და ამ საერთო ინტერესების განხორციელებისა და ოჯახური თანა-

<sup>14</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, ტფ., 1930, გვ. 437-438.

<sup>15</sup> Д. Азаревич, Брачные элементы и их значение, Ярославль, 1879, გვ. 96.



ცხოვრების მარეგულირებელ სუბიექტად ფეოდალურ ოჯახში გამოდის მამაკაცი — ოჯახის მეთაური. როგორც წესი, მამას ჰქონდა უფლება, მოეხმარა თავისი არასრულწლოვანი შვილების ქონება სურვილისამებრ, შვილების უდროოდ გარდაცვალების შემთხვევისას ყოფილიყო მათი მემკვიდრე, მიეღო ქონებრივი ხასიათის საზღაური მათ ნაცვლად და სხვა. თანდათანობით, ფორმალურად მაინც, მამის უფლებას შვილების მიმართ ეძლევა ამ უკანასკნელებზე ზრუნვის განხორციელების საშუალების ხასიათი. მამის უფლებას შვილების მიმართ განიხილავენ როგორც მშობლიური მოვალეობის შებრუნებულ მხარეს.

ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობის პროკრუსტოსის სარკველზე ზემოხსენებული თეორიული აღიარებანი თავიანთ ნამდვილ აზრს კარგავდნენ და საცოდავად გამოიყურებოდნენ მშობლების მიერ შვილების გაყიდვის უამრავი ფაქტების წინაშე. ვასაგებია, რომ ზემოხსენებული მდგომარეობის ძირითადი მიზეზი იყო არა იმდენად მშობლების მიერ თავიანთ იურიდიულ უფლებათა ბოროტად გამოყენება, რამდენადაც ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობა, ექსპლოატაციის ფეოდალური წესი. ფეოდალური საზოგადოების ოჯახში, როგორც წესი, ამ უკანასკნელის რიგითი წევრები მეტნაკლებად გაუპიროვნებულნი არიან, თითქოს ოჯახის მეთაურის ხელში ისინი გადაქცეულან მისი საკუთრების ელემენტებად. ამდენად, ფეოდალურ საზოგადოებაში ოჯახი ხდება, — დობროლიუბოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, — „ადამიანის აზრისა და ნებისყოფის მწუხარე სასაფლაო“.

დაქორწინების ფორმად ფრანკთა პერიოდში, გამონაკლისის სახით, იყო საცოლეს შესყიდვა, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკვე V საუკუნეში მას მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონია. სალიკური სამართლის XLIV მუხლში გათვალისწინებულია იმ საზღაურის გადახდა, რომელსაც ქვრივის მთხოვნელი პირი იხდის. ასეთ საზღაურად დაწესებულია სამი სოლიდი და ერთი დინარი. ეს კანონში აყვანილი ადათობრივი ნორმა აღრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლისა წარმოადგენს ადრეარსებული საცოლეს შესყიდვის წესის გადმონაშთს. შემდგომ პერიოდში ასეთი რამ თანდათან ქრება და მისგან სიმბოლური კვალი თუ რჩება მხოლოდ. ქორწინების წესში, საქორწინო სამართალში თავისებურ გამოხატულებას პოულობს ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობა. ქორწინების წესი, საქორწინო სამართალი ასახავს ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობის პროგრესს თუ რეგრესს. როგორც ბიზანტიაში, ისე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში შეიმჩნევა საერთო ხაზი ამ მიმართულებით პროგრესული განვითარებისა ძველ სამყაროსთან შედარებით. იმპერატორ იუსტინიანეს კანონმდებლობაში აისახა ზემოხსენებული პროცესი. კანონი განსაზღვრავს და განამტკიცებს ქალის უფლებას მზითევზე, რამოდენადმე ზღუდავს ქმრის მიერ ცოლის მზითვის გამგებლობის უფლებას და, განქორწინების შემთხვევაში, ამარტივებს ქალისთვის მზითვის უკან მიღების წესს. გარდა ამისა, დაწესებული იქნა მამაკაცთაგან საცოლოებისათვის განსაკუთრებული ხასიათის საქორწინო საჩუქრის, ე. წ., *donatio propter nuptias*-ს მირთმევა. ზემოხსენებული საქორწინო საჩუქარი, ჩვეულებრივ, საცოლეს მზითვის შესაბამისი უნდა ყოფილიყო თავისი ოდენობით. ქმრის მიზეზით ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში საქორწინო საჩუქარი იქცევა ქალის საკუთრებად. უეჭველია, რომ იუსტინიანეს ზემოხსენებული კანონი დიდად პროგრესული ხასიათის მოვლენა იყო თავისი დროისათვის, მაგრამ გადაჭარბებულად გვეჩვენება ზოგიერთი გამოჩენილი მეცნიერის, მაგ., დილის მტკიცება იმის შესახებ, თითქოს იუსტინიანეს კანონით ქალი მამაკაცს გაუთანაბრდა და ზოგ შემ-



თხვევაში ქალმა პრივილეგირებული მდგომარეობაც კი მოიპოვა<sup>16</sup>. საქმე იმა-  
 შია, რომ იუსტინიანეს ეპოქის ბიზანტიაში, VI საუკუნეში, ფორმალურ-იური-  
 დიული აქტებით არ შეიძლებოდა ქალის გათანაბრება მამაკაცთან. გარდა ამისა,  
 თვით იმპერატორ იუსტინიანეს ნოველებში საკმაოდ მოიპოვება მამაკაცსა და  
 ქალს შორის არა მარტო ფაქტიური, არამედ — იურიდიული უთანასწორობის  
 ნიშნებიც: იუსტინიანემ ქალებს აუკრძალა საზოგადოებრივი ხასიათის თანამდებ-  
 ბობათა დაკავება, კანონით ქალი არ შეიძლებოდა ყოფილიყო მოსამართლედ, არ  
 შეეძლო დამოუკიდებლად სასამართლოში გამოსვლა, მეურვედ ყოფნა და სხვა.  
 იმპერატორ იუსტინიანეს ის ნოველები კი, რომლებიც ქალის უფლებების ზრდა-  
 ზე ლაპარაკობენ, წარმოადგენდნენ რა გაბატონებული კლასის ნების გამოხატუ-  
 ლებას, ნაკარნახევი იყვნენ არა მამაკაცისადმი ქალის გათანაბრების ფილანტრო-  
 პული მოტივებით, არამედ — ფორმირების პროცესში მყოფი ფეოდალური ოჯა-  
 ხის განმტკიცების სურვილით, თვითნებურ განქორწინებათა შეზღუდვისათვის.

კ. მარქსი მიუთითებდა, რომ მამაკაცსა და ქალს შორის ურთიერთობა არის  
 უბუნებრივესი ურთიერთობა ადამიანისა ადამიანთან; მამასადამე, მასში გამო-  
 ქლავდებოდა: ადამიანის ბუნებრივი ქცევა რამდენად გახდა ადამიანუ-  
 რი, ან რამდენად მისთვის ადამიანური არის გახდა ბუნებრივ არსად და რამ-  
 დენად მისი ადამიანური ბუნება გახდა მისთვის ბუნებად<sup>17</sup>. კლასობრივ სა-  
 ზოგადობაში, კერძო საკუთრების საწყისებზე აგებულ საზოგადოებაში ოჯა-  
 ხისა და ქორწინების ძირითადი ნიშნები უმთავრესად განისაზღვრება კერძო  
 საკუთრების ინტერესებით; აქ ქალი თუ მამაკაცი ქორწინებაში შესვლისას  
 ფასდება, უპირველეს ყოვლისა, არა პირადი თვისებების მიხედვით, არამედ  
 — ქონებრივი მდგომარეობით, ამიტომაც აქ მეუღლეთა დამოკიდებულება არ  
 შეიძლება დაფუძნებული იყოს ურთიერთობატივისციემისა და თანასწორობის  
 ნამდვილ ადამიანურ პრინციპებზე. ეს ითქმის მეტ-ნაკლებად ფეოდალური  
 საზოგადოების სულ სხვადასხვა კლასწოდებათა მისამართით, მაგრამ ყველაზე  
 მეტად იმ წოდებათა მისამართით, რომელთა ხელშიაც ქვეყნის ქონების ძირ-  
 თადი ნაწილი იყო თავმოყრილი. ლეონ-ბაბტისტა ალბერტის ცნობილ ტრაქ-  
 ტატში „ოჯახის შესახებ“, კითხვაზე, თუ რას უწოდებენ ოჯახს, ასეთი პასუ-  
 ხია: „ბავშვებს, ცოლს, აგრეთვე მსახურთ და მონებს“<sup>18</sup>. ამავე ტრაქტატში  
 ერთ-ერთი მოქმედი პირი ამბობს, რომ ოჯახის მოსაწყობად ქონებას უნდა ვე-  
 ძებდეთო. მართლაც, ფეოდალისთვის ოჯახი პირველყოვლისა საჭიროა, რო-  
 გორც ის სამეურნეო ბაზა, რომლის მეშვეობითაც ამ უკანასკნელმა უნდა მოახ-  
 დინოს თავისი დაპყრობითი თუ ადმინისტრაციული ფუნქციების განხორ-  
 ცილება და ურთიერთობა დაამყაროს სხვა ფეოდალებთან თუ სუზერენთან.  
 ფეოდალთა წრეში ქორწინების მიზანია ოჯახის ეკონომიური ძლიერები-  
 სა და პოლიტიკური გავლენიანობის გაზრდა და სწორედ ეს მოტივი და არა  
 ქალ-ვაჟთა ურთიერთმოწონება თამაშობს აქ გადამწყვეტ როლს ქორწინე-  
 ბაში. ფეოდალურ გერმანულ ოჯახში ქორწინება არ შეიძლებოდა მომხდარიყო  
 ოჯახის უფროსის ნებისაგან დამოუკიდებლად. დაქორწინება ხდებოდა მამის  
 მიერ ქალზე მეურვეობის უფლების გადაცემით საქმროსადმი, ამის გარეშე  
 ქორწინება უკანონოდ ითვლებოდა. ვასაგებია, რომ ასეთ პირობებში ნაკლები  
 ყურადღება ექცეოდა ქალის ნება-სურვილს.

<sup>16</sup> III. Диль, Юстиниан и византийская цивилизация в VI веке, СПб, 1908, стр. 266.

<sup>17</sup> об. К Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. III, стр. 621 (I изд.).

<sup>18</sup> А. К. Дживилдегов, «Возрождени», Собрание текстов, М. Л., 1925, стр. 31.

ნიბელუნგებზე სიმღერაში<sup>19</sup> მოთხრობილი ამბებიდან ჩანს, რომ, მართალია, კრიმპლდას ფარულად არანაყლებ უყვარს ზიგფრიდი, ვიდრე ამ უკანასკნელს იგი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, როდესაც მეფე ვუნტერი ეტყვის კრიმპლდას, რომ მან მისი თავი ერთ რაინდს აღუთქვა, რომლის სახელსაც მეფე არ ამბებს, იგი პასუხობს:

„...ტყბილო ძმავ და მეფევი დილო,

სურვილი და ნება თქვენი მე ვით უნდა განვირიდო!

მიბრძახეთ და შევასრულებ, მსურს მორჩილი გავხდე მარად

გავთხოვდები მასზე, ვისაც, ხელმწიფეო, მომცემთ ქმარად“.

ამასთან დაკავშირებით, ფ. ენგელსი სამართლიანად შენიშნავს, რომ „ქალს აზრადაც არ მოსდის, რომ აქ მის სიყვარულს შეიძლება ანგარიში გაეწიოს“.<sup>20</sup>

ქალის უფლებებზე ოჯახსა და საზოგადოებაში ისტორიულად განუყრელ კავშირშია მისი შრომის დაუფასებლობასთან ოჯახში. ნატურალური მეურნეობის პირობებში ქალის შრომის სფერო ოჯახითაა შემოფარგლული. ფეოდალიზმის დროს არ არსებობს მსხვილი მრეწველობა, რომელიც დიდ როლს აკუთვნებს ქალებს და ბავშვებს, ოჯახის გარეშე წარმოების საზოგადოებრივად მოწყობილ პროცესებში. აქ ჯერ კიდევ არ არსებობს ბაზა — ეკონომიკური საფუძველი ოჯახისა და ორივე სქეს შორის ურთიერთობის მაღალი ფორმის განვითარებისათვის. ფეოდალი მეტწილად გართულია სამხედრო ასპარეზობებითა თუ ბრძოლებით, ნადირობით, პოლიტიკური ინტრიგებით, ყმა-გლეხების აწიოკებით, ლხინითა და ღრებებით. ასეთ პირობებში, როცა ფეოდალი — მამაკაცი ვერ იცვლიდა მთელი ყურადღებით ფეოდალური მეურნეობის გასაძლიერებლად, მისი მეუღლე უნდა გამხდარიყო შინა-საოჯახო მეურნეობისათვის თვალყურის მადევნებელი; ზოგჯერ ფეოდალთა ცოლები ხელმძღვანელობენ მათი მეურნეობის მოწესრიგების საკითხებს; ეს გარემოება ხელს არ უშლიდა იმას, რომ ქალს ფეოდალის ოჯახში, როგორც წესი, დაეკავებინა მეორეხარისხოვანი ადგილი: იგი არსებითად წარმოდგენდა ფეოდალისათვის მემკვიდრეობის გამჩენს. დასაქორწინებულთა ურთიერთსიმპატიანზე დაუფუძნებელი ფეოდალური ოჯახისათვის უცხო არ ყოფილა ცოლქმრული ღალატი. ფეოდალური ოჯახის სინამდვილეში ფაქტიურად ქორწინების მონოგამურობა მხოლოდ ქალისთვისაა სავალდებულო. ფეოდალური ეპოქის ქრონიკებიდან ჩანს, რომ გაბატონებულ წოდებათა მამრობითი სქესის წარმომადგენლები არღვევდნენ ცოლქმრული ერთგულების პრინციპს და, ხშირად, ითვლებოდნენ ათობით უკანონო შეილის გაჩენის მიზეზად. ყმა-გლეხთა ეკონომიური ექსპლოატაციის გვერდით, ფეოდალი უარს არ ამბობდა მათი მღერობითი სქესის ერთი ნაწილის „სქესობრივ ექსპლოატაციაზე“.

ფეოდალური საზოგადოების გაბატონებულ წოდებათა სინამდვილეში მორალი ორპირაა: რაც მორალურად ჩაეთვლება მამაკაცს, ქალისათვის სასტიკი გაკიცხვისა და სასჯელის მიზეზადაც კი შეიძლება ვახდეს; ერთი სიტყვით, რაც მორალურია მამრობითი სქესის წარმომადგენელთათვის, არ შეიძლება ასეთად ჩაეთვალოს მღერობითი სქესის პირებს. ი გ უ ლ ი ს ხ მ ე ბ ა , რ ო მ ქ ა ლ ე ბ ი ს მ ხ ა რ ე ზ ე ა მ ო რ ა ლ უ რ ი დ ა ს ა მ ა რ თ ლ ე ბ რ ი ვ ი ხ ა ს ი ა თ ი ს მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა ნ ი , ხ ო ლ ო მ ა მ ა კ ა ც ე ბ ი ს მ ხ ა რ ე ზ ე — უ ფ ლ ე ბ ა ნ ი . ფეოდალის თვალში ცოლი მეტ-ნაკლებად უთანაბრ-

<sup>19</sup> სიმღერა ნიბელუნგებზე, კ. ჭიჭინაძის თარგმანი, მე-2 გამ., 1930, თბილისი, გვ. 118.

<sup>20</sup> ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა; კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები (ორ ტომად), ტ. II, თბ., 1930, გვ. 276.

12. „მაინე“, ფილოსოფიის, სერია, 1973, № 3

დება საკუთრებას, თანაც ისეთი ხასიათისას, რომელიც წარმოადგენს შთამომავლობის წარმოების საშუალებას. ფეოდალს სურს, რომ მისი კანონიერი მემკვიდრეების ძარღვებში მისივე „კეთილშობილური“ სისხლი ჩქეფდეს, ამიტომაც იგი ცოლისაგან მოითხოვს მტკიცე ცოლქმრულ ერთგულებას. ფეოდალური კანონმდებლობა მამაკაცს უფლებას აძლევდა მოეთხოვა ცოლისაგან ერთგულება, ხოლო ეს უკანასკნელი ამ უფლებას მეტ წილად მოკლებული იყო, ლანგობარდთა კანონებით მამაკაცს უფლება ჰქონდა მრუშობისათვის მოეკლა ცოლი. ზემოხსენებული კანონით, ქმარი, რომელიც ყოველგვარი საპატიო მიზეზის გარეშე მოჰკლავდა ცოლს, იხდიდა ჯარიმას და მოკლულის ქონებაზე უფლებას კარგავდა; წინააღმდეგ ამისა, თუ ცოლი მოკლავდა ქმარს, მას სიკვდილით სასჯელი მოელოდა (როტარის ედიქტი), რითაც უთანბრდებოდა ბატონის მკვლელ ყმას. საშუალო საუკუნეებში ინგლისში, ფეოდალური სამართლის მიხედვით, თუ ცოლი იმრუშებდა, მისი დასჯა ქმრის შეხედულებაზე იყო მინდობილი, ხოლო თუ ქმარი დაარღვევდა ცოლქმრულ ერთგულებას, მაშინ მისი დასჯა... „ღმერს ჰქონდა მინდობილი“. რომის პაპის სიქსტ V (XVI ს.) კანონით, ქმარი, რომელიც ცოლის დალატს დაფარავდა, სიკვდილით ისჯებოდა. მართალია, გამონაკლისის სახით, მაგრამ მაინც ცნობილია, რომ ქმრები შუა საუკუნეებში იქამდეც კი მივიდნენ, რომ თავანთი ცოლებისათვის გამოიგონეს ე. წ. უბიწოების სარტყლები, რომლებიც ხშირად რკინისაგანაც კი მზადდებოდა, რათა ცოლის მხრით მრუშობა ფიზიკურად შეუძლებელი ყოფილიყო<sup>21</sup>.

მოგვიხსრობენ, რომ ჰენრიხ მეორის დროს ერთმა ვაჭარმა სენეერმენის ბაზრობაზე 12 უბიწოების სარტყელი მოიტანა გასაყიდად. ასეთი სარტყლები ინახება პარიზის მუზეუმში და ერბაჩის კოშკში. მონოგამიურმა ქორწინებამ კლასობრივი საზოგადოების პირობებში წარმოშვა ექვის გრძნობა და ამ უკანასკნელის კარნახით მესაკუთრე ქმრის მხრით ცოლის ბარბაროსული წამება, მკვლელობები მიუთითებენ, რომ ეგვიპტეში, არაბეთში, აზიისაში ხდებოდა ქალების ინფიბულიაცია, რომელსაც წინადაცვეთა უძღოდა წინ. ამ მტკიცეული ქირურგიული ოპერაციის შედეგად ხდებოდა ქალის სასქესო ორგანოების ნაპრალების ამოკერვა იმ მიზნით, რომ ქალსეილები იძულებული გაეხადათ, სქესობრივი ურთიერთობისაგან აბსოლუტურად შეეკავებინათ თავი. შესაძლოა, რომ მართალი იყო ვერნე, როცა ამბობდა, რომ ინფიბულიაცია უფრო აღწევდა მიზანს, ვიდრე უხეში რაინდების მიერ ცოლებზე დადებული უბიწოების სარტყელი.

ცხადია, ასეთ ველურ ღონისძიებას მასობრივი ხასიათი არ მიუღია, რადგან საბოლოო ანგარიშით ეს ფუჭი საშუალება იყო ცოლების მხრით ერთგულების მოსაპოვებლად. ერთი რამ უეჭველია, ზემოხსენებული ფაქტი ფეოდალების როგორც ადამიანთა ეჭვიანობის ნიადაგზე მორალური დეგრადაციის მაჩვენებელია.

<sup>21</sup> Пloss, Женщины в естествоведении и наготоведении, СПб, 1898, т. I, გვ. 315.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა)

## კუშლიკაცია

იოანე გოტფრიდ ჰერდერი

ბამოკვლევა ენის წარმოშობის შესახებ

(დასასრული)

### მორა ნაწილი

უფრო რომელი გზა უნდა ყოფილიყო ენის შექმნისთვის შესაფერისი? ბუნება ტყუილდრო-  
ლოდ როდი გვანიჭებს ძალეებს. რადგან ბუნებამ ადამიანს მისცა არა მარტო ენის შექმნის უნარი,  
არამედ ეს უნარი გახდა მისი არსების განმასხვავებელ თვისებად და მისი უპირატესი მემკრთლე-  
ბის მამოძრავებელ ძალად, ეს ძალა ცოცხლად უნდა გამოსულიყო ბუნების ხელიდან და იგი ისეთ  
სფეროში უნდა დანერგულიყო, სადაც მას უნდა ემოქმედა. მოდიო, უფრო ზუსტად განვიხილოთ  
ზოგიერთი ის პირობა და მისწრაფება, რამაც ადამიანი აძქულა ენა შეექმნა, როგორც კი მან სამ-  
ყაროში შემოღდა ფეხი ენის შექმნის უმთავრესი უნარით; რადგან ასეთი მისწრაფებანი უამრავია,  
მე მათ დავაჭგუფებ ბუნებისა და მისი მოდგმის გარკვეული ძირითადი კანონების მიხედვით.

**ბუნების პირველი კანონი.** ადამიანი არის თავისუფლად მოაზროვნე, მოქმედი არსება, რომლის  
ძალეზიც პროგრესულად ვითარდება. ამიტომაც არის ის ენის მქონე არსება! როგორც შიშველი,  
უინსტიქტო ცხოველი, ადამიანი წარმოგვიდგება უსაცოდვეს არსებად. არ არის არც ერთი იღუ-  
მალ-თანდაყოლილი ინსტიქტი, რაც მას ჩაითრედა საყუთარ სტიქიასა და საყუთარ სამოქმედო  
წრეში თავის რჩენისა და სპეციფიკური საქმიანობისათვის. მას არ გააჩნია ისეთი ყნოსვა და აღ-  
ლო, რაც შიშვილის დასაკვებლად ბალახებს დააძგერებდა, არც ზრმა, მექანიკური მოძღერა  
რომელიც ბუდეს აუგებდა! სუსტი და უძლური, უფრო ღონიერი ცხოველების კლანჭებსა, შიმ-  
შილსა და ათასგვარ საფრთხეს მინდობილი, იგი წარმოუვიდებდა როგორც უმწეო და მიუსაფარი,  
თავის შემოქმედის უშუალო დარბევებსა და მისი ხელით მტკიცე წარმართვის მოკლებული.

თუმცა ეს სურათი ცოცხლად არის დახატული, იგი არ წარმოადგენს აღმნიანს სურათს. ეს  
არის მხოლოდ ერთი მხარე მისი ზედამირისა და ისიც მრუდვად დანახული. თუ გონება და საზრია-  
ნობა არის ადამიანის მოდგმის ბუნებრივი უნარი, იგი იწმამვე უნდა გამოვლენილიყო, როგორც  
კი თავის იჩენდა უფრო სუსტი გრძნობადობა და ნაკლოვანებათა მთელი საცილობა. უინსტიქტო,  
საბრალო არსება, რომელიც ასე ობლად გამოვიდა ბუნების ხელიდან, პირველივე წამიდან იყო თა-  
ვისუფლად მოქმედი, გონიერი არსებაც, ვისაც თავისი თავისათვის შეგლა უნდა გაეწია და შეეძლო  
კიდევაც. ყველა ნაკი და მოთხოვნილება, როგორც ცხოველისა, იყო აუცილებელი სტიმული,  
რათა მას შიელი ძალით ეჩვენებინა თავისი აღმნიანობა. „ცოცხლობს ეს ძალეზი იყო არა ერთგვა-  
რი სუსტი შევსება ცხოველის უფრო სრულყოფილი თვისებების უქონლობისა, როგორც ამას ფიქ-  
რობს ჩვენი ახალი ფილოსოფია — ცხოველთა დიდი მფარველი — არამედ ეს ძალეზი იყო თავი-  
სებური ყოველგვარი შედარებისა და შეპირისპირების გარეშე. ადამიანის სიმძიმის ცენტრი, მისი  
სულის მოძრაობის მთავარი გზა გადიოდა ადამიანურ საზრიანობაზე, როგორც ფუტკრებსა —  
წუწნისა და შეენახზე.“

თუ დამტკიცებულა, რომ ადამიანის გონების თვით უმცირესი მოქმედებაც კი ვერ განხორცი-  
ელდებათა საცნობი სიტყვის გარეშე, მაშინ რეფლექსიის პირველი წამი ყოფილა ენის შინაგანი  
წარმოქმნის მომენტიც. . . პირველივე წამიდან ადამიანი იყო არა ცხოველი, არამედ — ადამიანი,  
თუმცა ჯერ რეფლექსიის ვერშემძლე, მაგრამ საზრიანობის მიერ უკვე სამძილო ვალდებულნი. ის  
არ ჰკავდა იმ დიდ, უმწეო და ტლანქ მანქანას, რომელსაც უნდა ემოქმედა, მაგრამ ვახვეებული  
ნაწილები ამის საშუალებას არ აძლევდა; რომელსაც უნდა დანახა, გაეგონა, გაეცინა, მაგრამ  
მოუხეზავი თვალის, ყურისა და გაქვავებული ენის გამო ეს არ შეეძლო. ადამიანებმა, ვისაც ეჭვი  
შეაქვს ადამიანის სპეციფიკაში, უნდა გავთვალისწინონ, რომ ეს არ იყო ადამიანი პლატონის გა-  
მოკვებულისა, ბნელი საყნისა, სადაც იგი ზის თავისი სიცოცხლის პირველივე წამიდან წლების მან-





ძილზე, უსინათლოდ და უმოძრაოდ, ვახელილი თვალებით ბრმა და ჯანსაღი სხეულით მოუხედავ; არა, იგი ვანდა ბუნების წიაღში თავისი სასიცოცხლო ძალების ყველაზე უფრო მკვირცხლ მდგომარეობაში, ამასთან, საუკეთესო, უმთავრესი უნარით — პირველივე წამიდან განვითარებას შესდგომოდა. რა თქმა უნდა, გონცენტრირების პირველ მომენტს წარმართავდა შემოქმედებითი სიფრთხილე, ოღონდ ფალოსოფიის საგანი არ არის ახსნას ამ მომენტთა საოცრება, ასევე ნაკლებად შეუძლია მას ადამიანის წარმოშობის ახსნა. ფილოსოფია ადამიანს განიხილავს თავისუფალი მოქმედების პირველსავე მდგომარეობაში, როცა ის გამსჭვალულია თავისი სისხლსავე არსებობის პირველი გრძნობით, და, შესაბამისად, ამ მომენტებს ადამიანიდან ამოსვლით განმარტავს.

ახლა მე შემძლია ზემოთ ნათქვამს დავემოწყო, რადგან აქ ადგილი არა აქვს გრძნობათა მეტაფიზიკურ დაცილებას, რაყი მთელი მანქანა აღიქვამს და, ამასთანავე, ბუნდოვანი ვანცილიდან რეფლექსიას აღწევს; რადგან პირველი ვარჯვეული ნიშნის აღქმა სწორედ სმენაზე ანუ მხედველობასა და შეხებას შორის მდებარე შეგრძნებაზე მოდის, ენის წარმოქმნა ისეთივე შინაგანი მისწრაფება ყოფილა. როგორც ჩანსახის სწრაფვა გაჩენისაკენ თავისი სიმწიფის მომენტში. (მთელი ბუნება თავს ესხმის ადამიანს, რათა მან მანამდე ავითაროს თავისი ძალები, თავისი შეგრძნებები, სანამ ის ადამიანი ვახდებოდეს. და რადგან ამ მდგომარეობიდან იწყება ენაც, ადამიანის სულის მდგომარეობათა მთელი ჩაქვიჩ ისეთია, რომ ყოველი მათგანი ენას ავითარებს. მე მსურს ნათელი მოვფინო ბუნების ავებულების ამ დიად კანონს.

ცხოველები თავიანთ აზრებს ავფრობენ მეტ-ნაკლები სინათლით, მაგრამ არა—მკაფიოდ. თუმცა ისეთი სახეობები, რომლებიც ცხოველების წესისა და ნერვული ავებულების მხრივ ყველაზე ახლოს დგას ადამიანთან, მაგალითად, მინდვრის ცხოველები, ხშირად იჩენენ კარგ მეხსიერებას, ზოგჯერ — ადამიანზე უფრო ძლიერსაც, მაგრამ ეს მხოლოდდაშობილ გრძნობადი მეხსიერებაა; და არც ერთ მათგანს ოდესმე თავისი საქციელით არ დაუშტკიცებია ისეთი მეხსიერების მქონეობა, რომ ამით თავისი მოდგმისათვის მდკომარეობა გაეუმჯობესებინოს ან საყუთარი გამოცილილება განეზოვადებინოს ამ გამოცილილების მომავალში გამოსაყენებლად ცხადია, ძალს შეუძლია იმ ქესტების გამოცნობა, რამაც მას ცემა არცუენ; ასევე, მელაც გაეჭევა იმ საეჭუო ადგილს, სადაც მას ჩაუსაფრდნენ; მაგრამ არც ერთი ამთგანი არ ცდილობს რეფლექსიის ზბით გაარკვიოს ის, თუ სა-რეფლექსიო როგორ დააღწიოს თავი ხსენებულ ქესტებს ან მინადირთა ხრციებს. ე. ი. ისინი მუდამ არაან მიჩაქვეულნი ცალკეულ გრძნობად შემთხვევებს; მათი მეხსიერებაც ისეთ გრძნობად შემთხვევათა თანამიმდევრობად იქცა, რომელთა წარმოქმნა-რეპროდუციერებაც ხდება, ოღონდ გაუზარებლად. ეს არის მრავალფეროვნება მკაფიო ერთიანობის გარეშე, მეტად გრძნობად, ნათელ, ცუხალ წარმოდგენათა სიზმარი ცხადი სიფხიზლის იმ მთავარი კანონის გარეშე, რაც ამ სიზმარს აწესრიგებს.

უთუოდ დიდა განსხვავება თვით ამ სახეობებს შორისაც. რაც უფრო ვიწროა წრე, რაც უფრო ძლიერაა გრძნობადობა და ინსტიქტი, რაც უფრო ერთფეროვანია ოსტატობის უნარი და ის საქმე, რასაც ცხოველა მთელი სიცოცხლის მანძილზე ეწევა, მით უფრო ნაკლებმეხსამჩნევი, ჩვენთვის მაინც, თვით უცირრესი წინსვლაც გამოცილილების შემეშუბით. ფუტკარი ერთნაირად აშენებდა აღრეც და შემდეკშიაც; იგი ისეთივე მშენებელი იქნება სამყაროს დასარტუს, როგორც დასაბამში იყო. ესენი ის ცალკეული წერტილებია, ის მანათობელი ნაწერწყლებია ღვთაებრივი სრულყოფილების ცეცხლისა, რომლებიც მუდამ ცალ-ცალკე ანათებს. სამაგიეროდ გამოცილი მელა ძალაან განსხვავდება ახალბედა მონადირისაგან: მან უკვე იცის ბევრი ოსტატური ხერხი და მათგან თავის დაღწევის ცდალბს; საიდან იცის მან ისინი? როგორ ცდილობს იგი მათგან თავის დაღწევას? იპით, რომ აღრევე უშულოდ ვაშისცადა, ხოლო ასეთი გამოცილილებიდან ბუნებრივად გამოზადანარუობს ამ ქეცივის კანონი. აქ არც ერთ შემთხვევაში არ მოქმედებს ცხადი რეფლექსია; განა უჭკვიანესი მელბეი ახლაც ისევე არ ებმებიან მახეში, როგორც ამ ქვეყნად პირველი მონადირის მეგრძნეარად ბუნების სხვა კანონი ბატონობს ადამიანის იღვთა თანამიმდევრობაზე: საზრიანობა (Besonnenheit). იგი ბატონობს თვით უგრძნობადეს მდგომარეობაშიც, ოღონდ — ნაკლებ შემსამჩნევად. თუმცა ახალშობილი ადამიანი ყველაზე უფიცი არსებია, გაჩენის უშალ იგი ბუნების მოწაფე ხდება და ამ მხრივ მას ვერც ერთი ცხოველი ვერ გაუტოლდება. აქ არათუ ერთი დღე ასწავლას მეორეს, არამედ დღის ყოველი წუთი — მეორე წუთს, ყოველი აზრი — მეორე აზრს. მისი ხულისთვის არსებითია ის ოსტატური ხერხი, რომლის ძალითაც იგი არაფერს სწავლობს ამ წუთითანობს, არამედ ყოველივეს ან იმას მიაკუთვნებს, რაც მან უკვე იცოდა, ან იმისათვის შემოინახავს, რასაც მომავალში ამაღ დაუყავიარებს. იგი ასოც-დასწავლის თავის მრავლს, რომელიც მან დაავროვავ ან რომლის დავროვებასაც ის ფიქრობს, რითაც ვადაიქეცვა შეუჩერებელ დამგროვებელ ძალად. ეს ჩაქვი სიყვალამდეა გაქიშული: თითქოს არასოდეს გვეძლევა ადამიანი სრულად, არამედ როგორც მუდამ განვითარებაში, წინსვლაში, სრულყოფაში მყოფი. ერთ მოქმედებას აწონასწორებს მეორე,

ერთი შენდება მეორეზე, ერთი ვითარდება მეორედან. ასაკ, ეპოქებს ჩვენ მხოლოდ შესამჩნევობის მიხედვით გამოვყოფთ. რადგან ადამიანი ვერასოდეს ვერ გრძნობს, თუ როგორ იზრდება, არამედ — მხოლოდ იმას, თუ როგორ ვიზარდა. ისინი ქუცმაცდება უსასრულოდ მცირე ნაწილებად; ჩვენ მუდამ ბავშვობიდან ამოვიზრდებით, და რა ხნისაც არ უნდა ვიყოთ, მაინც სვლაში ვართ, ზოუსვენარნი, უძლებნი. ჩვენს ცხოვრებაში არსებობს არა ტკბობა, არამედ წინსვლა, და ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ ადამიანები, თუ ზოლოდ არ ვეციხოვრებო; საპირისპიროდ ამისა, ფუტკარი ფუტკარი იყო მაშინაც, როცა ის თავის პირველ ფიჭას აგებდა.

ცხადია, საზრიანობის შემწეობით სრულყოფის, წინსვლის ეს კანონი ერთნაირად შესამჩნევი არ არის ყველა დროში; განა ამიტომ ნაყლებად შესამჩნევი არ არსებობს? სიზმარში ადამიანი არ აზროვნებს ისე დალაგებულად და ნათლად, როგორც სიფხიზლეში; მაგრამ ის აზროვნებს მუდამ როგორც ადამიანი და არასოდეს — როგორც ცხოველი. განმართელი ადამიანის სიზმრებს დაკავშირების ისეთივე წყის უნდა ჰქონდეს, როგორც მის აზრებს სიფხიზლეში; ოღონდ ეს ვერ იქნება იგივე წყის ან იგი ვერ იმოქმედებს ისე ერთფეროვნად; თვით ეს გამოხატვისები მიუთითებს მთავარი კანონის მნიშვნელობაზე, ხოლო ამას კიდევ უფრო ადასტურებს აშკარა სწულდები და არაბუნებრივი მდგომარეობანი, გულის წისვლა, შოშოლილობა და სხვა/სულს ჭოგელი მოქმედება როცა უშუალოდ რეფლექსიის შედეგია, მაგრამ ყოველი მათგანი არის შედეგი საზრიანობის; ვერც ერთი იმათგანი ვერ გამოვლინდებოდა ისე, როგორც ეს ადამიანში ხდება, ადამიანი რომ ადამიანი არ ყოფილიყო და ზუსტების ასეთი კანონის მიხედვით არ ვიზროვნა.

რაკი ადამიანში რეფლექსიის პირველი მდგომარეობა ვერ განხორციელდებოდა სულის სიტყვის გარეშე, საზრიანობის ყველა მდგომარეობა მასში ენობრივი ყოფილა, ხოლო ადამიანის აზრთა თანამიმდევრობა სიტყვათა რიგს გაუტოლდებოდა. განა ამით იმის თქმა მსურს, თითქოს ადამიანს შესწევს ძალა თავისი უაღრესად ბუნდოვანი შეგრძნებაც კი სიტყვად აქციოს? . . . უკუნურება იქნებოდა ამის თქმა, რადგან სწორედ საპირისპიროს ამტკიცებენ: რაც მხოლოდ ბუნდოვანი შეგრძნების სახით განიცდება, ის არც სიტყვით გადმოიციება, რადგან მას არა აქვს მეფერო ნიშანი. . . მაგრამ განა ადამიანი თავისი ბუნებით მხოლოდამხოლოდ ბუნდოვანდ მგრძნობს? ხამანწყავა? მოლით, გავსდით ადამიანის აზრთა მთელ უწყვეტ ნაკადს და დაგვრწმუნდებით, რომ იგი საზრიანობისაგან არის მოქსოვილი; მასში ვერ ვიპოვით ვერც ერთ მდგომარეობას, რომელიც, მთლიანად აღებული, თავად არ იყოს რეფლექსია ან არ აიხსნებოდეს რეფლექსიის გზით; მასში ბატონობს არა შეხება, არამედ მისი ბუნების ცენტრი თანხედება უფრო ფაქიზ შეგრძნებებს, მხედველობასა და სმენას, ხოლო ესენი მას განუწყვეტლივ აწვდიან ენას. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ადამიანის სულში არ მოიპოვება ისეთი მდგომარეობა, რაც სიტყვით არ გადმოიციემოდეს ან ჰემმარტიტ სულის სიტყვებით არ განისაზღვრებოდეს.

უსიტყვოდ მოაზროვნე რომ დაგვეშვა, ის იქნებოდა ან მეტად ბუნდოვან ზმანებებში ჩაბრუნებული მეთოდებ, ან პირატყვე, ან ღვთაების უგანყენებულსად მხოლოევი, ან მეოცნებე მონადა. ასეთი მდგომარეობა შეუძლებელია ვიპოვოთ ადამიანის სულში, რასაც თვით სიზმრებისა და შეშლილების მაგალითიც ადასტურებს. თუმცა თამამად ქდერს, მაგრამ ჰემმარტიტება: ადამიანი შეიგრძნობს გონებით და მეტყველებს აზროვნებისას. რადგან იგი მუდამ ასე განაგრძობს აზროვნებას და ყოველ აზრს თავისთვის აკავშირებს წინამავალსა და მომდევნოსთან: „ყოველი მდგომარეობა, რომელიც ასეთ შეკრული რეფლექსიის ძალით, ადამიანს უნდა წარმოთვოდეს უკეთესი აზროვნებისა და, შესაბამისად, უკეთესი მეტყველებისაკენ“. მივიღო მას შეგრძნებათა გამოყენების თავისუფლება; რაკი ასეთი გამოყენების ცენტრი თანხედება მხედველობასა და სმენას, სადაც ერთი ნიშანს, მეორე კი — ამ ნიშანდ ბგერას გვაწვდის, ამ შეგრძნებათა ყოველი უფრო მსუბუქი, უფრო განვითარებული გამოყენება მას ენასაც განუვითარებს. დაე, მან თავისუფლად მოიხმაროს თავისი სულიერი ძალები, რადგან მათი მოხმარების ცენტრი თანხედება საზრიანობას, ე. ი. ენის გარეშე არ არსებობს. საზრიანობის ყოველი უფრო იოლი, უფრო განვითარებული გამოყენება მას უფრო მეტად ჩამოუყალიბებს ენასაც. შესაბამისად, ენის სრულყოფა ადამიანისათვის ისევე ბუნებრივი ყოფილა, როგორც თვით მისი ბუნება.

ვინ არის ისეთი, ვინც განსაზღვრავს ადამიანის სულიერ ძალთა სიდიდეს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი გამოვლინდება მთელი დაძაბულობით სიძნელებისა თუ საფრთხის წინაშე? ვინ ასწონდასწონის სრულყოფილების ხარისხს, რასაც შეუძლია მიადლოს ადამიანის სულმა განუწყვეტელი, შინაგანად რთული და მრავალფეროვანი განვითარებით? რადგან ყოველივე ენაზე დაიყვანება, რა ვეება, უნდა იყოს ის, რასაც ცალკეული ადამიანი თავს მოუყრის ენაში! თუკი ბრძასაც და მუნჯსაც ძალა შესწევთ თავიანთ უკაცრიელ პაწია კუნძულზე

შექმნან ბეჩავი ენა, რამდენად უფრო მდიდარი იქნება ადამიანი, ყველა შეგრძნებათა და მთელი სამყაროს მოწაფე. ბუნებას მისთვის არ მიუნიჭებია საკვებად ვარგისი ბალახების ყნოსვა თუ ალღო, არც ანტიპათია შთაუგონებია იმ ბალახების მიმართ, რაც მისთვის მანებელია; მას უნდა გაესინჯა, გემო ენახა, იმ ევროპელთა მსგავსად, რომლებიც ამერიკაში ცხოველთა ქცევის მიხედვით არკვევდნენ საკვებ ბალახებს ანუ ბალახთა ნიშნებს და, ამასთან ერთად, ქმნიდნენ ენასაც. ადამიანი უძლურია ღომს გაუმკლავდეს; იგი მყისვე გაეცლება ღომს, როგორც კი შორით ყურს მოჰკრავს მის ხმას. ღომს რომ ადამიანურად და გონიერულად დააღწიოს თავი, ის სწავლობს ღომისა და სხვა ასობით მავნებელ მხეცის მკაცრობას ანუ მათთვის სახელების დარქმევას. რაც უფრო მეტ ცოდნას აკრავებს ადამიანი, რაც უფრო ბევრნაირ სავანს ეცნობა სხვადასხვა კუთხით, მით უფრო მდიდარი ხდება მისი ენაც. რაც უფრო ხშირად აწყდება იგი ასეთ გამოცდილებას და სათანადო ნიშნებს თავისთვის იმეორებს, მით უფრო მყარი და ჩვეული ხდება მისთვის საკუთარი ენა. რაც უფრო მეტს განასხვავებს იგი და ერთმანეთში აწესრიგებს, მით უფრო დალაგებული ხდება მისი ენაც. და ეს გრძელდება წლების მანძილზე, მჩქეფარე ცხოვრებაში, მდღივ ორთმირიალში, განუწყვეტელ ბრძოლაში დაბრკოლებებსა და გასაჭირთან, მუდამ ახალ-ახალ სავნებულ მხეცვედრის პირობებში. განა ენის ჩასახვა, თუ ყოველთვის ამას ვაკვირდებით, უმნიშვნელო რამ არის? და ნუ დაგაფიყვებთ, რომ ეს არის მხოლოდ ერთი ადამიანის ცხოვრება!

რტყვი, ვისაც ცხოველის ჰკუა ექნებოდა და თავის სულში სიტყვების მოაზრებასაც ვერ შეძლებდა, იქნებოდა უბეჩავესი, უგნურზე უგნური, უსაცოდვესი არსება ბუნებისა და უდიდესი წინააღმდეგობაც თავის თავთან! მთელ უნივერსუმში თითქოსდა მარტოსული, მიუკედ-ლემბი და ბედს მინდობილი, არავის მოიშვედ და უფრო ნაკლებად — საკუთარი თავისა, ადამიანი ან უნდა დაიღუპოს, ან ყველაფერზე გამეფდეს იმ ბრძნული გეკმანობით, რომლის უნარიც ცხოველს არ გაჩნია. ის ან გარკვევით უნდა დაეუფლოს ყოველივეს, ან უნდა გაქრეს! რეაღი არაა ან სამყაროს მონარქი გონების შემწეობით მოსკე ან შექმნი ენა! და თუ მოთხოვნილებათა ამ აუცილებელ რკალში თავს იყრის ყველა სულიერი ძალა, რთცა მთელი კაცობრიობა ადამიანობისათვის იბრძვის, რამდენი რამ შეიძლება მოპოვებულ იქნეს, გაკეთდეს და მოწესრიგდეს?!

ჩვენი საზოგადოება, რომელმაც თავი მოუყარა ბევრ ადამიანს, რათა ისინი თავიანთი მონაცემებითა და ფუნქციებით ერთიანნი გახდნენ, თავიდანვე ნაწევრდება უნარებად და იმის პირობებს გვიქმნის, რათა ერთი უნარი მეორეზე უფრო მეტად განვითარდეს. ასე მოითხოვს საზოგადოება თითქოს ერთისაგან გონებას, მეორისაგან — მხოლოდ გულს სიმამაცეს, მუშტს; ერთი ემსახურება იმით, რომ ნიჭი არა აქვს, სამაგიეროდ, ძალიან ბეჭითია; მეორე — იმით, რომ მას ერთში აქვს ნიჭი, სხვაში კი ნიჭს ვერ ამეფაენებს. ყოველ მქნევარა ბორბალს თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს სისტემაში, სხვაგვარად ისინი ვერ შექმნიან მთლიან მანქანას. მაგრამ სულიერი ძალა ასეთი დანაწილება, როცა ყველა დანაჩენს შესაძენვედ ახშობენ, რათა ერთში დანაჩენებს გადაეჭარბონ, არ გამოდგება ადამიანზე გადასატანად. საზოგადოებაში გაჩენილი და აღზრდილი ფილოსოფოსი, რომელსაც არაფერი გაჩნია, გარდა საკუთარი თავისა, რითაც აზროვნებს და საკუთარი ხელისა, რითაც წერს, სცადეთ და გააძვეეთ იგი ყოველგვარი მფარველობისა და კომფორტის გარეშე, რასაც მას საზოგადოება აწვდის თავისი ცალმხრივი სამსახურის საფასურად: დაე, თვითონ ეძიოს უცხო ქვეყანაში საკვები, გაუმკლავდეს მხეცებს და ყველაფერში იყოს თავისი თავის მფარველი ღმერთი. რა გაჭირვებაში ჩაეარდებოდა იგი! საამისოდ მას არც უნარები აქვს, არც ძალები და არც რაიმე ჩვევა. იქნებ მან თავისი აბსტრაქციის ლაბირინთებში დაეარაყნოს, ან მხედველობა, სმენა, სწრაფი მოსახრება და, ცხადია, ის ვეყავიკობაც, ის სწრაფი გადაწყვეტილებაც, რაც მხოლოდ საფრთხეში ყალიბდება და რომლის წინაშეც ადამიანი მუდამ უნდა იდგეს, რათა არ დაუძლურდეს. თუ ფილოსოფოსი იმ ასაკშია, როცა მისი სულიერი ძალების სასიცოცხლო წყარო შეგუბდა ან დაშრობას იწყებს, მაშინ გვიანდაა მისი ჩაყენება ასეთ პირობებში. მაგრამ გვაქვს თუ არა ამ შემთხვევაში მსგავსი რამ? ჩემს მიერ აღწერილი ყველა ცდა ენისა იმისათვის კი არ ჩაუტარებიათ, რომ იგი ფილოსოფოსი ცდა ყოფილიყო: ბალახის ნიშნები ისე კი არ უპოვიათ, როგორც ღონეს კლასიფიკაციაშია: პირველი ცდები ცივად, დინჯი გაახრებიათ და საკუთდაკულო განზოგადებით კი არ ჩაუტარებიათ, როგორც ამას სჩადის განმარტოებული ფილოსოფოსი მოცალეობის ეამს, როცა ის ბუნებას ფეხაკრებით მისდევს თავის საიდუმლო გზაზე და არაფრის ცოდნა არ ჰქურს, გარდა იმისა, თუ როგორ მოქმედებს მისი ცდები. სწორედ ამას ანიჭებდა ყველაზე ნაკლებ მნიშვნელობას ბუნების პირველი ბინადარი. სჭირდებოდა თუ არა მას იმის ჩვენება, რომ ესა და ეს ბალახი შხამიანია? თუ იგი ისე აღმატებოდა ცხოველის ღონეს, რომ ამაში

ცხოველს არც ბაძავდა? და იყო თუ არა აუცილებელი თავს დასხმოდა ლომი, რათა მისი შიში ჰქონოდა? იქნებ ადამიანის გაუბედობა მის სისუსტესთან ერთად და ადამიანის საზრია-ნობა, საკუთარ სულიერ ძალებთან უფაჭიზესად გადაბმული, საკმარისი არ იყო მარჯვე პი-რობების შესაქმნელად, თუმცა ბუნებას ეს საკმარისად მიუჩნევია? ენის შემქმნელად ჩვენ სრულიადაც არ ვგვიჩივდება გაუბედავი, ვაყენებულად მოაზროვნე კაბინეტური ფილოსოფო-სი; ბუნების ადამიანი, მოუხეშავი, რომელიც ჯერ კიდევ თავის სულს ისეთივე მთლიანობად აღიქვამს, როგორც თავის სხეულს, ჩვენთვის უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ყველა ენის შემ-ქმნელი აკადემია და იგი არა ნაკლებ სწავლულია ჩვენთვის...

... განა ჩვენ არ ვიცით, რომ სწორედ დედამიწის იმ კუთხეებში, სადაც გონება ყველაზე ნაკლებ არის ჩამოსხმული ფაქიზ, საზოგადოებრივ, მრავალმხრივ, განვითარებულ ფორმად, ყველაზე ცხოველმყოფლად მოქმედებს გრძნობადობა, გამჭრიახობა, მიხეობა, ვაბედული მოქმედება, ვნება, მოსაზრებულობა, მთელი დაუნაწევრებელი სული ადამიანისა? ყველაზე უფრო ცხოველმყოფლად მოქმედებს, რადგან იგი [სული], მოსაწყვეტ წესებში ჯერ კიდევ მო-უქცეველი, მუდამ ცოცხლობს საჭიროებათა, საშიშროებათა, აუცილებელ მოთხოვნილებათა წრეში და თავის თავს მუდამ ახლებურად და მთლიანობად განიცდის. აი, აქ გამოავლენს იგი ენის შემქმნისა და განვითარების ძალებს! მას აქვს გრძნობადობა და თითქოს საკმაო ინსტიქ-ტივი, რათა ცოცხალი ბუნების ხმა და ყველა მისაწყვეტი ნიშანი ისე ცხოვლად აღიქვას, რაც ჩვენთვის უკვე მიუღწეველია. და როცა რეფლექსია ერთ-ერთ ნიშანს გამოყოფს, მას ისე მტკიცედ და შინაგანად ასიტყვებს, რომ ჩვენთვის ეს უკვე შეუძლებელია. რაც უფრო ნა-კლებად არის ჯერ კიდევ განვითარებული სულიერი ძალები და ყოველი მათგანი თავის სუე-როში ნაკლებ გაწერთნილი, მით უფრო ძლიერია მათი ერთობლივი მოქმედება, მით უფრო შინაგანია მათი ინტენსივობის ცენტრი; მაგრამ, ახა დაშალეთ ეს მსხვილი, გადაუტეხელი კონა ისრებისა და მათ სათითაოდ მოერევით. მაშ, ცხადია, ერთი ღერით ვერ მოვახდენთ სასწაულს და ვერც ფილოსოფოსის მარტოოდენ ცივი განზოგადების ნიჭით ვერ შევქმნით ენას. განა ბუნების პირველ შვილთა მსიხლმალქმა უფრო ღრმა არ იყო? და ყველა შემგრძნების მუღმივე ურთიერთშერწყმას, რომელთა შევავლშიაც მუდამ ფხიზლობდა შინაგანი აზრი, განა მუდამ არ ახლდა ახალი ნიშნები, მოწესრიგება, თვალსაზრისები, სწრაფი დასკვნები და, შე-საბამისად, ენის მუღმივე გამდიდრებაც?..

ჩემთვის გაუგებარია, როგორ ჩაიკარგა ჩვენი საუკუნე ასე ღრმად ხელოვნურობის ჩრდილში, მის ბნელ სახელისნობეში, რომ ერთხელაც არ მოუსტრევებია ხელუხლებელი ბუ-ნების ვრცელი, ნათელი შუქის შეცნობა. ადამიანის სულის იმ უდიდეს საგმირო საქმეთაგან, რასაც ის ჩაიდენდა მხოლოდ ცოცხალი სინამდვილესთან შეჯახებაში, შემოვეჩრა მშრალი გაყ-ვეთილები, რასაც გადასცემენ სასწავლო საკანთა მტვერში, ხოლო ადამიანური პოეზიისა და მჭევრმეტყველების შედეგები გადაიქცა თავის შესაქცევად, რომლის მიხედვითაც მოხუცი თუ ახალგაზრდა ფრანგებს სწავლობს და წესებს ირუთხავს. ჩვენ ვწვდებით მათ გარეგნულ მხარეს, მათი სული კი დავკარგეთ; ჩვენ ვსწავლობთ იმათ ენას და ვერ ვგრძნობთ იმათი აზ-რების ცოცხალ სინამდვილეს. ასეთივე ბედი ეწია ჩვენს მსჯელობასაც ადამიანის სულის შე-დევრის — ენის — წარმოქმნის შესახებ: ჩვენმა უსიცოცხლო აზროვნებამ უნდა გვასწავლოს ის, რამაც შედის სამყაროს ცოცხალი სუნთქვით, დიადი და მოქმედი ბუნების ძალით, ადამიანი-სათვის სული ჩაედგა, გამოფხიზლებინა და განვითარებინა იგი. ჩვენ უღვთაებრივად მიგვაჩნია გრამატიკოსთა ჩლუნგი, გვიანდელი კანონები, რასაც თავყანს ვსცემთ და გვა-ვიწყდება ენის ჰემშირიტი, ღვთაებრივი ბუნება, რაც თავის სიღრმეში ყალიბდებოდა ადა-მიანის სულთან ერთად. რა კანონებში მოუქცეველიც არ უნდა ჩანდეს იგი. ენის სრულყოფას სკოლის ჩრდილი გადაეფარა, რამაც იგი უმოქმედო გახადა ცოცხალი სინამდვილისათვის; თით-ქოს არასოდეს არ ყოფილა ის ნათელი სინამდვილე, სადაც ენის პირველ შემქმნელებს უნდა ეცხოვროდა, განეცადათ, შეექმნათ. მე მოვეუხზობ იმათ გრძნობას, ვინც აღიარებს ადამიანს თავი-ნი ძალებს სიღრმით, ვინც აფასებს ველურთა ენების ძალას, სიდიადეს და, საზოგადოდ, ენის ბუნებას.

**ბუნების მეორე კანონი.** ადამიანი თავისი დანიშნულების მიხედვით არის ჯოგის, საზოგა-დოების წევრი; ამიტომაც მისთვის ბუნებრივია, არსებითია, აუცილებელია ენის განვითარება... ჭალს არა აქვს მძუნობის პერიოდი, მსგავსად ძუ ცხოველებისა, და არც მამაკაცის ვნება არის ისე დაუოკებელი, როგორც ზვადებისა, სამაგიეროდ იგი უფრო ხანგრძლივი. თუკი ყარყატებსა და მტრადებს ქორწინება აქვთ, გაუგებარია, რატომ არ უნდა ჰქონოდათ იგი ადამიანს სხვა-დასხვა მიზეზთა გამო... ადამიანი, ბანჯგვლიან დათეთან და ეკლიან ზღარბთან შედარებით, ჭუსტი, უმწეო და განძარცული ცხოველია; მას სჭირდებოდა გამოქვაბულები, რაც ხსენებულ



მიზეზთა გამო სრულიად ბუნებრივად გარდაიქმნებოდა კოლექტიურ გამოქვაბულებად... აღმანი ყველაზე უფრო სუსტი ცხოველია, რომელიც ქვეყნიერების სხვადასხვა ნაწილში მუდამ განიცდიდა წლის დროთა ცვალებადობის სიმძიმეს. ორსულ ქალს, როგორც მშობიარეს, უფრო მეტად სჭირდებოდა საზოგადოების დახმარება, ვიდრე სირაქლემას, რომელიც უდაბნოში დებს კვერცხებს... დაბოლოს, ამ ქვეყნად მოვლენილი ძუძუთა ბავშვი: რაოდენ არის იგი დამოკიდებული ადამიანის მფარველობასა და სიბრალულზე. იგი უცერად ჩნდება იმ მდგომარეობიდან, როცა ნაყოფის სახით ჰკიდია დედის გულზე — ყველაზე უსუსური, უღონო არსება ცხოველთა შორის, მას რომ იმწამსვე არ ეგებებოდეს დედის მკერდი და მამის კალთა. განა ნათელი არ არის ამ შემთხვევაში ბუნების მისწრაფება — ეკობრიობა საზოგადოებრივი გახადოს? თანაც იგი ისე უშუალოდ, ისე ახლოსაა ინსტინქტთან, როგორც კი ეს შესაძლებელია გონიერი არსებისათვის.

უპირატესად განვავითარებ ბოლო პუნქტს, რადგან მასში ყველაზე უფრო ცხადად მოჩანს ბუნების ნაბოქმედარი. ჩემი დასკვნაც ამით კიდევ უფრო დაჩქარდება. თუ ყოველივეს, ჩვენი უხეში ეპიკურელების მსგავსად, ავხსნიდით ბრმა ხორციელი ტკბობით ან უშუალო საკუთარი სარგებლობით, ვინ განმარტავდა მშობლების გრძნობას თავიანთი შვილების მიმართ? შეხეთ, დედამიწის ეს საცოდავი ბინადარი რა უმწეოდ ჩნდება ამ ქვეყანაზე; მან არც კი იცის, რომ ის საცოდავია; იგი საჭიროებს შებრალებას ისე, რომ ოდნავდაც არ ესმის ამ სიბრალულის ფასი... დედა ტკივილით აჩენს ნაყოფს, რამაც ამდენი ტანჯვა მიაყენა მას; მთავარი რომ სიამოვნება და ახალ-ახალი ტკბობა იყოს, დედა ბავშვს იმწამსვე გადაავლებდა. მამაც რუსის ველურივით ტყეში გაიტყეოდა და იქ მოაგნებდა თავის ცხოველურ ტკბობის საგანს. მაგრამ რა ბრძანლად არის მოწყობილი ყოველივე ბუნებაში! სწორედ ტკივილები და უსიამოვნება აცხოველებს დედის სიყვარულს! სწორედ ჩვილის საცოდაობა, მისი უმწეობა, მისი ტემპერამენტის სისუსტე, აღზრდის მძიმე, მომქანცველი შრომა აორკეცებს მშობელთა მღელვარებას! დედა მეტი სიბოთით შესცქერის იმ ვაჟს, რომელიც მას დაუჭდა დიდი ტკივილების ფასად, რომელსაც ყველაზე ხშირად დამუქრებია სიკვდილი, რომელზედაც მომეტებულად დაუღვრია მწუხარების ცრემლები. მამაც ასევე უფრო გულთბილი მღელვარებით შესცქერის შვილს, თუკი ის უწინ საფრთხეს გამოსტავა, თუ მის აღზრდასა და სწავლაზე მეტი ამავე დასახ. სსე. ვადაქტევის ბუნება სუსტს ძლიერად, სწორედ ამიტომ ჩნდება ადამიანი ისოდენ უღონო, ღარიბი, ბუნების ხელმძღვანელობას მოკლებული, მზადყოფნისა და რაიმე უნარის გარეშე, რათა ისეთი აღზრდა იგემოს, რაც არც ერთ ცხოველს არ უგემნია, რათა ადამიანის მოდგმა გახდეს ისე შინაგანად შეკავშირებული მთელი, რომლის მსგავსიც ცხოველთა სამყაროში არ დაიძებნება!

პაწია იხვის ქუქულები დაუძვრებიან ხოლმე მათ გამომჩეკავ კრუხს და ოდნავდაც არ იბერტყავენ ყურს დედინაცვლის მოხმობ ძახილზე, როცა იგი ნაპირის გასწვრივ დარბის და უმწეოდ ვიშვიშებს; ისინი კაყაოფილი ქუქუმალობენ წყალში და თავიანთ სტიქიაში არიან, სადაც ისინი ჩაითრია დედა-ბუნების მოწოდებამ. ასევე მოიტყეოდა ადამიანის შვილი, ისიც რომ ამ ქვეყნად იხვის ინსტინქტით გაჩენილიყო. ყოველ ჩიტს კვერცხიდანვე დაპყვება ბუდის აგების ოსტატობა, რასაც განუვითარებლად თან ჩაიტანს საფლავში; აქ ბუნება ხელმძღვანელობს მას. ყოველივე რჩება განცალკევებით, როგორც ბუნების უშუალო წარმონაქმნი. აქ არ შეინიშნება მთელი მოდგმის სულიერი წინსვლა და ის მთლიანობა, რასაც ბუნება ადამიანს ანიჭებს. ბუნებამ ადამიანს შეკრა საზრუნავითა და მშობლიური ინსტინქტით, რისთვისაც ბერძნებს მოეგობებოდათ სიტყვა αειοφυ. ასე გახდა მისთვის მთავარი სწავლებისა და აღზრდის კავშირი. მშობლებს თავიანთთვის კი არ შეუტრებიათ აზრების გროვა, არამედ იგი იმავდროულად არსებობდა სხვისთვის გადასაცემადაც. შვილი სარგებლობს და მეგვიდრებით იძენს თავისი მშობლების სულიერ სიმდიდრეს, ხოლო მშობლები ბუნების ვალს იხდიან, როცა შვილებს ასწავლიან; შვილები სწავლით ივსებენ თავიანთი ბუნების ნაკლს, შემდეგში კი ისინიც გისტუმრებენ ბუნების ვალს, როცა ამ სიმდიდრეს საკუთარს დაუმატებენ და მას უფრო მეტად სრულყოფილს გახდიან. სრც ერთი ადამიანი არ არსებობს თავისთვის; იგი თავისი მოდგმის მთლიანობაშია ჩასმული და წარმოადგენს ერთ-ერთ წევრს წინმიმაგალი თანამიმდევრობისა... რადგან საკუთარი სულის გაკვეთილი — მშობელთა აზრების სფერო — ენას წარმოადგენს, ადამიანის სწავლების შემდგომი წინსვლა, ოჯახის სულის შემწეობით, რითაც ბუნებამ მთელი მოდგმა შეაკავშირა, ამავე დროს, ენის განვითარებაცაა.

რატომ არის უწლოვანი ბავშვი ასე სუსტი და არაფრის მცოდნე, შეეკლებული დედის უბესა და მამის კალთას? რათა ის ცოდნის მწყურვალი გახდეს და ენა ისწავლოს. ის სუსტია, რათა მისი მოდგმა გაძლიერდეს. ენასთან ერთად მას გადაეცემა გამჩენთა სული და

მათი აზროვნების წესი; სწორედ ამიტომ უზიარებენ მშობლები სიამოვნებით თავიანთ ცოდნას, რომ ის, რასაც გადასცემენ, თვითონვე გაიზარეს, თვითონ იგრძნეს და თვითონ მოიპოვეს. ძუძუთა ბავშვი, რომელიც პირველ სიტყვებს ტიკტიკებს, ტიკტიკით იმეორებს თავისი მშობლების გრძნობებსაც და ყოველ პირველ ატიკტიკებასთან ერთად ფიცს დებს, მას შემდეგ, რაც მისი ენა და სული ჩამოყალიბდება, მარადიულობა მიანიჭოს ან გრძნობებს, უწოდებს რა მათ მამის ან დედის ენას...

ბუნების კანონები უფრო ძლიერია, ვიდრე გაქნილი პოლიტიკის ყველა შეთანხმება და ის, რასაც ბრძენი ფილოსოფოსი ითვალისწინებს! ბავშვობის სიტყვები ჩვენი ცხოვრების გარიჟრაჟის პირველი თანმხლებია და მათთან ერთად ყალიბდება ჩვენი სული... დედაცა პირველად სამყაროა, რასაც ვხედავთ, პირველი განცდებია, პირველი მოქმედებაა და სიხარული, რითაც ეტკებებით! მასთან ერთად მარადიულობა ენიჭება ადგილისა და დროის, სიყვარულისა და სიძულვილის, სიხარულისა და მოქმედების თანმხლებ იღვებსა და ყოველივე იმას, რაც კი გაუფიქრია ახალგაზრდის ცეცხლოვანსა და მგზნებარე სულს. ... ისღა დაგვრჩენია, რომ გადავეშვათ ჭეშმარიტებათა და შეცდომათა დიდ ოკეანეში და ყველა ჩვენი წინაპრის შემწეობით დავინახოთ, თუ რა შორს წავედით ბუნების შესწავლასა და გასიტყვებაში ენის ნათელი ცნებების მეშვეობით! ჩვენ აღარაფერი დავგრჩენია, თუ არა ის, რომ ჩვენამდე მცხოვრებ დიდ ადამიანთა ნაკვალევს ბავშვებზეთ მივყავთ, გავეცნოთ და დავუფლოთ იმ ვიება განძს, რომელიც ვადმოგვეცემა ყველა ერის ენასთან და აზრებთან ერთად. ვერც კი წარმოვიდგენთ, რამდენი რამ შეიძლებოდა გამოკვლევულიყო აქ ცალკეულ ენათა მიხედვით და რა ცოტაა ამ მხრივ გაკეთებული კაცობრიობის ზოგადი ფილოსოფიის სასარგებლოდ...

რატომ ეკუთვნის ეს ყველა იმ ფუტკარს, რომელიც მას წუწნის? ფუტკარი გვიპასუხებს: რადგან ბუნებამ ამის საწუწნელად გამაჩინა; ინსტინქტი, რომელიც ამ ყველისაკენ მეწევა და არა სხვისაკენ, ჩემთვის ღიქტატორია; იგი ამ ყველისა და მის ზალს საკუთრებად მომიჩენს. და თუ ჩვენ პირველ ადამიანს ვკითხავთ: ვინ მოგცა ამ ბალახებით საარგებლობის ნება? ისიც გვიპასუხებს: ბუნებამ, რომელმაც გონება მომანიჭა. ეს ბალახები ჩემი ვარჯით შევისწავლე; ასეთივე შრომის ფასად დამიჭდა ისინი გამეცნო ჩემი ცოლისა და ვაისათვის; ჩვენ ყველანი ამ ბალახებით ვირჩენთ თავს. მე მერტი უფლება მაქვს მასზე, ვიდრე ფუტკარს, რომელიც მას დასუზუნებს, და პირუტყვს, რომელიც მას ძოვს; რადგან მათ არ დაუხარჯავთ ენერჯია ამ ბალახების შესასწავლად ან სხვისთვის გასაცნობად. ამრიგად, ყოველი აზრი, რაც ამ ბალახებზე აღებუქდე, ჩემი საკუთრების ბუქედია და ვინც აქედან გამაძეებს, იგი წამართმევს არა მარტო სიცოცხლეს, თუ ასეთ სარჩოს კვლავ ვერ ვიპოვი, არამედ ჭეშმარიტად ფასს დაუკარგავს ჩემს განვლილ წლებსაც, ჩემს ოფლს, ჩემს შრომას, ჩემს ფიქრებს, ჩემს ენას — ისინი ხომ მე მოვიპოვე! და ვანა ამა თუ იმ საგანზე აღბუქდილი ეტიკეტი საკუთარი სულისა, ან საგნის შეცნობის გზით, ნიშნისა და ენის შემწეობით, საკუთრების მეტ უფლებას არ ნიშნავს, ვიდრე მონეტის შტამპი?

რადღენ სიმწყობრესა და დახვეწილობას იძენს ენა სწორედ იმით, რომ იგი წინაპართა მოძღვრებაა? ვინ არ სწავლობს იმადრთულად, როცა სხვასაც ასწავლის? ვინ არ რწმუნდება უფრო თავის აზრებში, ვინ არ ამოწმებს თავის სიტყვებს, როცა მას სხვებსაც გადასცემს?.. აქ ენა იძენს ხელოვნების, მეთოდის ფორმას. აქ შესწორდა პირველი გრამატიკა, რომელიც ადამიანის სულის და მისი ბუნებრივი ლოგიკის ანაბუქდე იყო, მკაცრად შემმოწმებული ცენსურის მიერ... თითქმის ყველა პატარა ერში, რა მიზრე განვიტარებდისაც არ უნდა იყვნენ ისინი, მათი წინაპრების სიმღერები, მათი საგმირო საქმეების დამღერება შეადგენს მათივე ენის, ისტორიის და პოეზიის საგანძურს, მათ სიბრძნეს, მხნეობას, განაულებას, თამაშსა და ცეკვებს...

**ბუნების მესამე კანონი.** რადგან ადამიანთა მთელი მოღვაძე ვერ დარჩებოდა ერთ ჯოგად, იგი ვერც ერთ ენას დასჯერდებოდა. ამიტომ ვახდა აუცილებელი სხვადასხვა ნაციონალურ ენათა წარმოქმნა.

საერთო მეტაფიზიკური გავებით, არ შეიძლება ერთ ენა ჰქონდეს კაცსაც და ქალსაც, მამასაც და ვაჟსაც, ბავშვსაც და მოხუცსაც. ვადახედოთ თუნდაც აზიელთა გრძელ და მოკლე ხმოვნებს, ზოგიერთ ფშვინვიერ და ხორხასმიერ ასოს, პაუზისა თუ ენის ნიშანთა ყველა სხვადასხვაობას, რაც ასე ძნელად ვადმოიცემა წერილობით: ტონი და მახვილი, მათი ზრდა და შემეიკრება და ასობით სხვა შემთხვევითი დეტალი ენის ელემენტებში; მეორეს მხრივ, ვაითვალისწინებთ სამეტყველო ორგანოთა სხვაობა ორსავე სქესში, ახალგაზრდისა და მოხუცის, აგრეთვე ორი ერთნაირი ადამიანისა, ისეთ შემთხვევებსა და წერილობანებს, რაც ამ ორგანოთა აგებულებას სახეს უცვლის და ზოგიერთ ჩვევასთან ერთად მეორე ბუნებად გადაიქცევა მათთვის. როგორც არ არსებობს ორი ადამიანი სავსებით ერთნაირი აგებულებ-

ბითა და პირისახის ნაკეთებით, ასევე არ არსებობს ორი ენა, თუნდაც მარტო გამოთქმის მხრივ, რომ ორი ადამიანის მეტყველებაში ერთი ენა იყოს.

ყოველ ზაობას თავის ენაში შეაქვს თავისი სახლისა და გვარის კილო; იგი გამოთქმის შესაბამისად გადაიქცევა განსხვავებულ დიალექტად... ჰავა, ჰაერი და წყალი, საქმელი და სასმელი გავლენას ახდენს სამეტყველო ორგანოებზე და, ბუნებრივია, ენაზედაც... ეს მხოლოდ წარმოთქმის შესახებ. რაც შეეხება თვითონ სიტყვებს, მნიშვნელობას, სულს ენისას — სხვადასხვაობათა რა თვალუწვდენელი ველია ჩვენს წინაშე! ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ უძველესი ენები როგორ უნდა გამდიდრებულიყვნენ სინონიმებით; რადგან ამ სინონიმებიდან ერთს ერთი მოსწონდა, მეორეს კი — მეორე; ის, რაც მის თვალთახედვას უფრო შეეფერებოდა, განცდათა სფეროსათვის ტრადიციული იყო, ცხოვრების გზაზე უფრო ხშირად გვხვდებოდა. ამიტომ გაჩნდა საყვარელი სიტყვები, საყუთარი სიტყვები, ილიომები, ენის დიალექტი.

ერთთან ერთი სიტყვა გამოდიოდა ხმარებიდან და მეორე იჩნებოდა. ერთგან მთავარი მნიშვნელობის გადახრა გვაქვს, მეორეგან დროის მანძილზე იცვლებოდა თვით ძირითადი ცნების სული; შედეგად მივიღეთ თავისებური ბრუნება, წარმოებანი, ცვლილებანი, წინსართებობა და დანართები, მთელი და ნახევარი მნიშვნელობების გადანაცვლება და გაქრობა ანუ ახალი იდიომი! ... რაც უფრო ცოცხალია ენა, რაც უფრო ახლოს დგას იგი თავის დასაბამთან და, ამდენად, ჯერ კიდევ იმყოფება თავისი ყრმობისა და ზრდის ხანაში, მით უფრო ცვალებადია იგი. თუ ის მხოლოდ წიგნებშია მოცემული, სადაც მას წესების მიხედვით ასწავლიან, თუ მხოლოდ მეცნიერებაში იხმარება და არა ცოცხალ ურთიერთობაში, თუ მისი ლექსიკონი ჩაყვრილია, გრამატიკა მოწესრიგებული, მისი სფერო ფიქსირებული — ასეთი ენა შესამჩნევად უცვლელი რჩება... მხოლოდ ეელურ, ლალ ცხოვრებაში, დიდი და ვრცელი ბუნების წიაღში, ცხადად გამოკვეთილი წესების, წიგნების, ასოებისა თუ შედეგების გარეშე, ღარიბი და არასრულყოფილი, ყოველდღიურ გამდიდრებას რომ საჭიროებს, და ქაბუქურად მოქნილი, რათა მუდამ გამოეხმაუროს ყურადღების პირველსავე სიგნალს, ვებისა და განცდის პირველსავე ბრძანებას — იგი იცვლება ყოველ ახალ სინამდვილეში. რასაც ადამიანი ხედავს, ყოველ მეთოდში, რითაც ადამიანი აზროვნებს...

აშკარაა, რომ მთელი დედამიწა შექმნილია ადამიანის მოდგმისათვის, ხოლო ეს უკანასკნელი — მთელი დედამიწისათვის (მე არ ვამბობ, რომ დედამიწის ყოველი ბინადარი, ყოველი ხალხი უეცარი ნახტომით ეგუება საპირისპირო ჰავას და ყველა სარტყელს, არამედ გლახარაკობ მთელი მოდგმისა და მთელი დედამიწის ურთიერთმორგებაზე). საითაც არ უნდა გავიხედოთ, ადამიანი თავს ისევე შინაურულად გრძნობს, როგორც ზმელეთის ცხოველები, რომლებიც იმთავითვე ამ ადგილისათვის იყვნენ განკუთვნილი. იგი ძლევს გრწმანდობის ყინულებზე და იხრუკება გვიწვივარე მცხუნვარე მზის ქვეშ; თავის სახლშია მაშინაც, როცა ლალანდიაში ირწყვით თოვლით მისრიალებს და როცა აზრბაების უდაბნოს მწყურვალე აქლემებზე გადასერავს... მისთვის დედამიწა პოლუსთან ბრტყელია და ეკვატორთან ამოზიდული, მისთვის ბრუნავს დედამიწა სწორედ ასე და არა სხვაგვარად მზის გარეშემო, მისთვის არსებობს დედამიწის სარტყლები, წლის დროები და მათი ცვალებადობა — ხოლო ადამიანებიც, თავის მხრივ, გაჩენილინი არიან დედამიწის სარტყლებისა და წლის დროთა ამგვარი ცვალებადობისათვის. აქაც მოჩანს ბუნების კანონი: ადამიანი დედამიწაზე ყველგან ცხოვრობს, ხოლო ცხოველთა ყოველ სახეობას მხოლოდ თავისი ქვეყანა და ვიწრო სფერო მოეპოვება. და რაიც ასეა, მისი ენაც დედამიწის ენაა: ახალი ენა ყოველ ახალ სინამდვილეში; ნაციონალური ენა ყოველ ერში — მე აღარ გავიმეორებ ცვლილებათა შემაპირობებელ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზს — ენა არის პროტეოსი, მოხეტიალე დედამიწის მრგვალ ზედაპირზე...

ენათა დაშორების შესახებ არსებული აღმოსავლური უძველესი ლეგენდა (რასაც მე აქ განვიხილავ მხოლოდ როგორც პოეტურ ფრაგმენტს ხალხთა ისტორიის არქეოლოგიიდან) მეტად პოეტურად გამოსახავს იმას, რასაც მსოფლიოს ასე ბევრი ერი გვიდასტურებს საყუთარი მაგალითით... ხალხები გაერთიანდნენ, ამბობს პოემა, ერთი დიდი საქმისათვის; მაშინ მათ თავს დაატყდა არე-დარევისა და ენათა სიმრავლის ეინი, ასე რომ, მათ საქმეს თავი ანებეს და ერთიმეორეს დაშორდნენ; რა იყო ეს, თუ არა ხალხთა სწრაფი გათვება და შუღლი, რისთვისაც უდიდეს სტიმულს ქმნიდა სწორედ ასეთი დიდი წამოწყება? ალბათ, უმნიშვნელო მიზეზის გამო გაიღვიძა შეურაცხყოფილმა საგვარეულო სულმა; დაიძრვა ერთიანობა და მიზანი, განხეთქილების ნაპერწყალი გადაიქცა ცეცხლად, ისინი ერთიმეორეს გაეცაღნენ;

მათ აურ-დაურის თავიანთი წარმოშობის ერთიანობა, თავიანთი ენა ასე მივიღეთ სხვადასხვა ხალხი და, როგორც გვიანდელი ცნობა გვატყობინებს, ნანგრევებს დღესაც უწოდებენ ხალხთა აღრევას..

**ბუნების მეოთხე კანონი.** როგორც, ალბათ, ადამიანთა მოდგმა ქმნის ერთი წარმოშობის მქონე პროგრესულ მთლიანობას ერთ დიდ მეურნეობაში, ასევე — ყველა ენაც და მათთან ერთად განვითარების მთელი ჩაკეტილი.

ადამიანზე ბატონობის განსაკუთრებული, მისთვის დამახასიათებელი გეგმა: ადამიანის სული შეჩვეულია, რასაც ხედავს, მუდამ დაუკავშიროს იმას, რაც დაინახა. ამრიგად, საზრიანობის ძალით ხდება ცხოვრების ყველა მდგომარეობის პროგრესული გამოთიანება — და, ამასთან ერთად, ენის განვითარებაც... მთელ ადამიანურ მოდგმაზე ბატონობს განსაკუთრებული, დამახასიათებელი გეგმა: ბავშვები და შშობლები სწავლებისა და ათვისების ჩაკეტილ არიან ვადამბული და ყოველი წევრი ბუნებრივად ჩაისმის ორ სხვა წევრს შორის, რათა შეითვისოს და თავისი ცოდნა სხვას ვადასცეს — აი, ასე ვითარდება ენა.

დასასრულ, ეს განსაკუთრებული გეგმა ვრცელდება მთელ ადამიანურ მოდგმაზედაც, რის გამოც მივიღებთ განვითარებას უშაღლესი გაგებით: იგი უშუალოდ გამომდინარეობს წინა ორიდან.

ყოველი ინდივიდი არის ადამიანი, ე. ი. იგი აზროვნებს მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. ყოველი ინდივიდი ან ის ვაჟია, ან ის ქალი, რომელიც სწავლის გზით განვითარდა; მაშასადამე, იგი აღრიდანვე ითვისებდა თავისი წინაპრების აზრთა საგანძურის ნაწილს და მას თავისებურად ამდიდრებდა; გარკვეული გაგებით, არ არსებობს აზრი, აღმოჩენა, სრულქმნა, რომელიც არ მიიწვედეს წინ, თითქმის უსასრულობაში. როგორც მე ვერ ჩავიდინ ისეთ რასმე, ვერ გავიფიქრებ ისეთ რასმე, რომ მან ბუნებრივად არ იმოქმედოს ჩემს არსებობაზე, ასევე, არც მე და არც ჩემი მოდგმის სხვა არსება არ იქნება ისეთი, რომ ყოველ სხვა წევრთან ერთად არ იმოქმედოს მთელ მოდგმასა და მის განვითარებაზე. ყოველი მათგანი მიავორებს დიდ ან მცირე ტალღას, ყოველი მათგანი ცვლის ცალკეული სულის მდგომარეობას, ამასთან, ამ მდგომარეობათა მთლიანობასაც; იგი მუდამ მოქმედებს სხვებზე, მათშია ცრადის ცვლის: პირველი ადამიანური სულის პირველი აზრი კავშირშია ადამიანის სულის უკანასკნელ აზრთან.

ჩნა — რომ ადამიანისთვის ისევე თანშობილი ყოფილიყო, როგორც ფუტკრისათვის — ფიჭის შენება, მაშინ ეს დიადი, უბრწყინვალესი შენობა ნანგრევებად იქცეოდა! ყოველი ადამიანი გაჩნდებოდა თავისი პაწია ენით, და რადგან ვაჩენა გონებისთვის გამოვინებას ნიშნავს — ო, რა საბარლო იქნებოდა თითოეული მათგანი! ყოველი ადამიანი შექმნიდა თავის რუღმენტებს, გადაჰყვებოდა მათ და თან ჩაიტანდა საფლავში, როგორც ფუტკრები — თავიანთ ხელოვნებას; შემდეგ მოვიღოდა შთამომავალი, იცოდვილებდა, მოკვდებოდა და ასე გარკვეულდებოდა დაუსრულებლად. გეგმა, რომელიც ვრცელდება აღმოჩენის ქნარის არმქონე ცხოველებზე, ვერ გავრცელდება იმ არსებებზე, რომლის დანიშნულებაც შექმნა და აღმოჩენა... თუ არადა, ეს იქნებოდა უგეგმო გეგმა! ყოველ მათგანს რომ თავისთვის შეექმნა, უსარგებლო შრომა უსასრულოდ გავრცელებოდა და შემქმნელ გონებას მოაკვდებოდა თავისი საუკეთესო ჯილდო — განვითარებულიყო და გაძლიერებულიყო... მოკლედ, ბუნების კანონი თვალსაჩინოა: ენა აღმოცენდება და ვითარდება ადამიანის მოდგმასთან ერთად; ამ კანონში მე გამოყოფდ შროლოდ მთავარ ტიპებს, რომლებიც სხვადასხვა განზომილებას იძლევა.

1. რასაკვირველია, ყოველ ადამიანს აქვს ყველა ის მონაცემი, რაც მოვბოვება მთელ მის მოდგმას; აგრეთვე, ყოველ ერს აქვს ყველა ის უნარი, რაც ყველა ერს მოვბოვება; ისიც უკუშარბიტება, რომ საზოგადოება მეტს ქმნის, ვინამ ერთი ადამიანი და მთელი ადამიანური მოდგმა — მეტს, ვიდრე ცალკეული ხალხი... შეიძლება გვეფიქრა, რომ მარტობა ადამიანი, აუცილებელი საჭიროებათა გარეშე, კომფორტული ცხოვრების პირობებში, უფრო შექმნიდა ენას, რადგან მოცალეობა მას აძლევდა საკუთარი სულიერი ძალეზე გავარჯიშებისა, ამასთან, მუდამ ახალ-ახალი გამოგონებინა და ა. შ. მაგრამ ასე როდია. იგი იზოგადოების გარეშე ერთგვარად გავლურდება და მალე უმოქმედობაში ჩაიძირება, თუ მისთვის მთავარი ვახდება საკუთარ უსაჭიროეს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ის არის ყვაილი, რომელიც თავის ფესვებს მოვლეჯილი, თავის ღეროს მოწყვეტილი, ძირს ავღია და ქვდება. ჩასვით ის საზოგადოებაში და დააყენეთ სხვადასხვა მოთხოვნილებათა წინაშე; დაე, მან იზრუნოს თავისთვის და სხვებისათვის! შეიძლება გვეფიქრა, რომ ეს ახალი ტვირთი მას წაართმევს თავისუფლებას დრბა გაშალოს, ბოლო უსამოვლო საზრუნავის



მომატება წართმევს მოცალეობას ენის შესაქმნელად; სინამდვილეში პირიქითაა: საჭიროება მას ძაბავს, საზრუნავი აფხზლებს, შეუსვენებლობას მისი სული მოძრაობაში მოჰყავს... ასე ვითარდება ენაც ცალკეული ადამიანიდან ტომის წევრამდე მეტად რთულ ვითარებაში. სხვას რომ თავი გაეანებოთ, რა ცოტა უნდა შეექმნა მართოხელა ადამიანს, თუნდაც მართოხელა ენის ფილოსოფოსს, თავის უჟაცრიველ კუნძულზე, და როდენ უფრო ძლიერია გვარის მამა, გვარის წინაპარი: ბუნებას ასეთი განვითარება აურჩევია.

2. შეიძლება გვეფიქრა, რომ ცალკეული ტომი მშვიდობიან პირობებში უფრო განავითარებდა თავის ენას, ვიდრე მეორე ტომთან შეხლა-შემოხლისა და ბრძოლის პირობებში... სრულიადაც არა. რაც უფრო მეტად უპირისპირდება ერთი მეორეს, მით უფრო მჭიდროა ტომის ერთიანობა, მით უფრო მკვიდრად დგას თავის ფესვებზე; იგი თავისი წინაპრების საგმირო საქმეებს გარდაქმნის სიმღერებად, მოწოდებად, მარადიულ ძეგლებად, ხოლო ამ ენობრივ ხსოვნას ინარჩუნებს უფრო წმინდად და უფრო პატრიოტულად; ენის, როგორც წინაპართა მეტყველების, განვითარებაც უფრო მძლავრი ნაბიჯებით მიიწევეს წინ; ამიტომაც დააწესა ბუნებამ ასეთი წინვლა.

III. ასეთი ტომი, თუ ის თანდათანობით პატარა ერად ჩამოყალიბდება, მტკიცედ ჩაიკეტება თავის წრეში. მას ექნება მოთხოვნილებათა სათანადო წრე და საამისო ენა. ამის იქით ის აღარც მიდის. ამას გვიდასტურებს ყველა პატარა, ე. წ. ბარბაროსულ ერთა მაგალითი. თანვინთი აუცილებელი საჭიროებებით გამოყოფილნი, ისინი საუკუნეობით ძლებენ გასაოცარ უეცრობაში... ამიტომაც ეძახიან მათ სხვა ხალხები ჩერჩეტებსა და მხეც ბარბაროსებს; ჩვენც ხომ ამ ცოტა ხნის წინათ სწორედ ასეთივე ბარბაროსები ვიყავით და ჩვენი ცოდნა სხვა ხალხებისაგან შევიძინეთ... აქ ბუნებამ შეკრა ახალი ჯაჭვი. ეს არის ხალხიდან ხალხზე გადაცემა. ასე დაიხვეწა ერთა დიდი წინსვლის მიყოლებით ხელოვნების დარგები, მეცნიერებანი, კულტურა და ენა; ეს იყო განვითარების უდაქიხესი კავშირი, რომლის არჩევაც კი ბუნებას შეეძლო...

ახლა კი ვრწმუნდებით, თუ რა მცდარია ენის ღვთაებრიობის მტკიცება მისი მოწესრიგებულობიდან და მშვენიერებიდან ამოსვლით. წესრიგი და მშვენიერება ჩვენს წინაშეა, მაგრამ როდის, როგორ და საიდან გაჩნდა იგი? ეს საკვირველი ენა თავდაპირველი ენაა, თუ იგი მთელი საუკუნეებისა და მრავალი ენის შემოქმედების ნაყოფია? დააკვირდით: ეს დიდი შენობა ააგეს ერებმა, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხემ და ეპოქებმა... ღმერთს უნდა ესწავლებინა ადამიანისათვის ამგვარი სასახლის აშენება, რადგან ადამიანი მაშინვე ვერ შეძლებდა მის აგებას. აბა ეს რა დასკვნაა: თუ მე კარგად ვერ გამოვიგა, რამ გადო დიდი ხიდი ორ მთას შორის, განა ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ეშმაკის გადებულაია? მეტად გაბედული და თან უვიციე უნდა იყოს ადამიანი, რათა უარყოს ის, რომ ენა ვითარდებოდა ადამიანის მოღვაძსთან ერთად ყველა საფეხურისა და ცვლილების გავლით: ამას მოწმობს ისტორია და პოეზია, მჭევრმეტყველება და გრამატიკა, თუნდაც, გონება. განა ენა სულ ასე არ ვითარდებოდა?.. და განა მუდამ ისე ადამიანური არ იყო მისი განვითარება, რომ გონებას არ შეეძლო უენოდ, ხოლო ენას უგონებოდ წინსვლა? განა შეიძლება მისი დასაწყისი უეცრად სხვაგვარი აღმოჩნდეს? სხვაგვარი ყოველგვარი აზრისა და მიზეზის გარეშე, როგორც უკვე თავიდანვე მივუთითეთ? ყველა შემთხვევაში ენის ღვთაებრივი წარმომავლობის ჰიპოთეზა თვალთმაქცური უაზრობაა!

ვიმეორებ ფრთხილად ნათქვამ მკაცრ სიტყვას — „უაზრობა“ — და მსტურს საბოლოო დასკვნა გამოვიტანო. რას ნიშნავს ენის ღვთაებრივი წარმოშობა, თუ არა იმას, რომ მე არ შემიძლია ენა აეხსნა ადამიანის ბუნებიდან ამოსვლით; ე. ი: იგი ღვთაებრივია? განა ამ დასკვნაში რაიმე აზრია? საპირისპირო შეხედულების მქონე იტყვოდა: მე მას მთლიანად აეხსნი ადამიანის ბუნებიდან ამოსვლით. ვისი ნათქვამია უფრო აზრიანი? პირველი საბნის ქვეშ იმალება და იქიდან გაიძახის: აქ არის ღმერთი! მეორე კი ყველას დასაინახავად ასპარეზზე გამოდის და საჯაროდ აცხადებს: „შემომხედეთ, მე ადამიანი ვარ!..“ უზუნაეს წარმოშობას არაფერი გააჩნია ამის საბუთად; თვით ბიბლიაშიც არ არის ცნობა, რასაც იგი დაეყრდნობოდა, რადგან ბიბლიაში ენას აშკარად ადამიანური დასაბამი აქვს, რაც მდღავნდება ცხოველებისათვის სახელის დარქმევაში. ენის ადამიანურ დასაბამს არაფერი ეღობება წინ

და ყოველივე მხარს უჭერს: ადამიანის სულის ბუნებაცა და ენის ელემენტიც, ადამიანური მოდგმის ანალოგიაცა და ენის წინსვლათა ანალოგიაც — ხალხთა, დროთა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეთა დიადი მაგალითი!

უზენაესი წარმოშობა, რაც არ უნდა ღვთისმოსაური ჩანდეს იგი, მაინც სრულიად უღვთოა, რადგან ყოველ ნაბიჯზე ამცირებს ღმერთს უმდაბლესი, უარასრულყოფილესი ანთროპომორფულობით; ხოლო ადამიანურში მეტი ბრწყინვალეობით მოჩანს ღმერთიც; ადამიანის სული — ენის შემქმნელი და განმავითარებელი — ღმერთის შემოქმედებაა... ენის წარმოშობაც მხოლოდ იმ ღირსების ძალით არის ღვთაებრივი, რომ იგი ადამიანურია.

გერმანულიდან თარგმნა ლ. რამიშვილმა

*საქართველო  
განმანათლებლები*

## პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

### РЕЦЕНЗИЯ НА КНИГУ «ПРИНЦИП ИСТОРИЗМА В ПОЗНАНИИ СОЦИАЛЬНЫХ ЯВЛЕНИЙ». М., «НАУКА», 1972.

В деле познания исторического процесса у нас в течение длительного периода господствовали две крайности: философы, в том числе представители исторического материализма, удовлетворялись абстрактным уровнем познания исторической действительности; историки, наоборот, очень часто ограничивались эмпирическим материалом и, изучая детали, до обобщения материала они не доходили или, вернее, доходили, но повторяли давно известные формулировки. К счастью, в последнее время, в связи с развитием исторической мысли, ситуация меняется. Часть историков уже не ограничивается традиционным путем и старается философски обобщить конкретный материал. Конечно, их результаты не всегда впечатляющи: иногда дело с их стороны кончается только постановкой проблемы, а иногда просто неверным решением. По сравнению с историками еще реже можно встретить попытки философов, исходящих в исследованиях из глубокого знания конкретной действительности, так что в этом отношении гуманитарные науки по сравнению с естествознанием меньше становятся объектом интереса философов.

На фоне вышесказанного выход в свет книги «Принцип историзма в познании социальных явлений» нам кажется примечательным событием. Пафос книги можно достаточно четко осознать по такому заявлению авторов: «Грош цена любым надисторическим философским или социологическим схемам, которые навязываются действительной истории... Грош цена тому конкретно-историческому анализу (разумеется, мы не имеем в виду анализ явлений частного, единичного порядка, не претендующий по своему характеру на особые обобщения), который не стремится воспроизвести изучаемое явление в теоретически осмысленной форме, не стремится сделать предмет своего критического рассмотрения и социологическую теорию в тех или иных ее существенных пунктах и тем самым усовершенствовать, развить ее» (стр. 169).

Нет нужды распространяться о том, в чем заключается сущность принципа историзма, какие требования этот принцип ставит в деле познания действительности. Общая формулировка принципа одно, но другое — его применение в конкретном изучении действительности, овладение на его основе эмпирическим материалом. Совершенно правы авторы, когда пишут: «Однако простота и ясность этого требования (историзма Г. К.) отнюдь не равнозначны простоте его применения в конкретном анализе. Реализация этого принципа в конкретном исследовании превращается в проблему поистине гигантской сложности, когда мы начнем рассматривать конкретное общество на каком-нибудь определенном этапе его развития, например, общество, вступившее в фазу капитализма» (стр. 5).

Самая значительная статья в книге — «Наследие Карла Маркса и некоторые методологические проблемы исследования докапиталистических обществ и генезиса капитализма» (авторы Ю. М. Бородай, В. Ж. Келле, Е. Г. Плимак). Как видно из заголовка. в статье рассматриваются взгляды Маркса на общественно-экономические формации. Они (эти взгляды) авторами рассмотрены как органическая часть понимания Марксом политэкономию капитализма. Всестороннее понимание капитализма, как указывают авторы, наравне с пониманием этого социального организма как системы, включало и осознание проблемы генезиса этой системы и притом не только из

предшествовавшего ей общества, т. е. феодализма. Великая заслуга автора «Капитала», его огромное преимущество перед представителями классической буржуазной политэкономии (некоторое исключение в этом направлении составляют Дж. Стюарт и Р. Джонс) заключается и в том, что принцип историзма в познании общества им был проведен до конца и наряду с изображением капитализма были даны предшествующие капитализму общественно-экономические формации. Фр. Энгельс в «Анти-Дюринге» писал: «Чтобы всесторонне провести эту критику буржуазной экономики, недостаточно было знакомства с капиталистической формой производства, обмена и распределения. Нужно было также, хотя бы в общих чертах, исследовать и привлечь к сравнению формы, которые ей предшествовали, или те, которые существуют еще рядом с ней в менее развитых странах. Такое исследование и сравнение было в общем и целом предпринято пока только Марксом, и почти исключительно его работам мы обязаны поэтому всем тем, что установлено до сих пор в области теоретического исследования добуржуазной экономики» (К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 20, стр. 154).

Из приведенной цитаты ясно, насколько К. Марксом (и разумеется Ф. Энгельсом) была разработана проблема докапиталистических формаций, насколько Ф. Энгельсом сознавалась завершенность разработки «в общем и целом» данной проблемы. Становится также ясным, какое актуальное значение приобретает изучение наследия классиков исторического материализма в решении проблемы докапиталистических формаций. Изучение вопроса, — к сожалению, с большим запозданием, — значительно продвинулось вперед (см. работы И. Б. Тер-Акопяна, М. А. Виткина, Ф. Токей, Э. Хобсбаума, Г. А. Багатуряна), но остаются отдельные моменты, ждущие уяснения. Вызывает удивление, что авторы не упоминают о других ученых, внесших значительную долю в дело разработки наследия К. Маркса и Ф. Энгельса на данную проблему. В книге, в частности, рассматриваются «Экономическо-философские рукописи 1844 года», «Немецкая идеология», «Критика политической экономии», «К критике политической экономии» и «Капитал».

Авторы пишут: «А то, что содержательный анализ может выявить исторические общественно-экономические образования» более крупного и более мелкого масштаба или показать, как в рамках одного «крупномасштабного» целостного образования развивались, сменяли друг друга или просто существовали самые различные, тоже целостные образования не столь крупного масштаба, — все это вряд ли вызовет сомнения, тем более, что именно Маркс и доказывал во всех без исключения своих работах, начиная с 40-х годов и до конца жизни» (стр. 67). В этом заявлении авторам нечего возражать. Действительно, в зависимости от угла зрения у Маркса встречается периодизация мирового исторического процесса по, так сказать, «большим» и «малым» формациям. Но членение всемирно-исторического процесса по «большим» формациям — это абстрактный уровень познания проблемы. Гораздо важнее конкретный уровень исследования, т. е. конкретизация формационного членения по «малым» формациям.

Исходя из анализируемых Марксовых работ, авторы дают следующую схему последовательности пройденных человечеством общественно-экономических формаций: первобытно-общинная, азиатская античная, феодальная, капиталистическая. Здесь нет места указывать на научность такой схемы, ее преимущество перед распространенной доколе четырехчленной схемой докуммунистической эволюции человечества. Вызывает сожаление, что на 70-ой странице авторы ступени эволюции человечества представляют по общепринятой у нас схеме и это никак не вяжется с так успешно разбираемыми авторами мыслями Маркса. На 69-ой странице авторы указывают, что антагонистическое общество Марксом разделяется на две «крупные формы»: «первичную», включающую в себя все докапиталистические общественные формы, уже основанные на принуждении к труду (рабство и крепостничество), и «вторичную», т. е. капитализм. Не говоря о том, что Маркс под «первичным» и «вторичным» обществами мыслил другое содержание (см. ответ на письмо В. И. Засулич), при таком делении азиатскому обществу не осталось места. Хотя на последующей странице марксовскую схему





периодизации всемирной истории авторы дают верно. На 82, 138 стр. означенный способ производства опять фигурирует как предшествовавший рабовладельческому. В книге упоминается также «раннеклассовые общества» (стр. 71, 74).

В конце исследования наследия Маркса по проблеме докапиталистических формаций ставится вопрос о диалектике производительных сил и производственных отношений. Рассуждение по данному вопросу характеризуется некоторой свежестью, ибо оно основывается на конкретном историческом материале и не обходит трудности, находящиеся на пути осмысления данной проблемы в условиях прежних формаций; но в целом дело кончается постановкой проблемы. В параграфе под названием — «Механизмы детерминации исторического процесса» читаем: «Реальность докапиталистических формаций такова, что при их анализе возникают методологические трудности, если экономика и политика (фактор власти, насилия) берутся только в плане противопоставления, если не учитывается проникновение политического элемента в действие экономических механизмов» (стр. 84). Но мы должны пойти еще дальше: понимание способа производства, экономики общества невозможно без уяснения роли географической среды, демографического фактора, исторического окружения общества. До сих пор эти факторы тоже давались и даются только в плане противопоставления экономики общества. Хотя экономическое движение общества решающий, «сквозной» момент, но без перечисленных моментов, повторяем, его сущность невозможно осознать, а также слишком упрощается исторический процесс. Это ярко бросается в глаза в свете проходящих дискуссий о докапиталистических формациях.

Во второй части той же статьи трактуется проблема генезиса капитализма. В начале изложения данной проблемы дается отношение авторов к структурно-системному подходу изучения исторической действительности. В отличие от восторженных сторонников и хулителей этого метода, авторы по отношению к нему занимают среднюю и, на наш взгляд, правильную позицию. Этот метод, как отмечают они, не является буржуазным, марксистская наука вполне может его использовать. Но наряду с показом исторической действительности, как система, структура, надо показать и генезис ее. Таким образом, вышеназванный метод надо дополнить генетическим. Иначе невозможно понять не только происхождение этой системы, но и отдельные элементы ее (напр. земельная рента и банковский процент при капитализме в области экономики, можно привести примеры из других сфер жизни). Блестящее сочетание обоих методов мы находим в «Капитале», что и хорошо показывается в книге.

Итак, по справедливому мнению авторов, принцип историзма универсальная методология социально-исторического знания и включает как системный, так и генетический методы исследования. В книге интересно показаны генезис капитализма, сложность исследования проблемы, роль различных факторов, — конечно, при решающем значении внутреннего, экономического, — в развитии этой общественно-экономической формации.

В статье «К вопросу о социально-психологических аспектах происхождения первобытнородовой общины» (автор Ю. М. Бородай) рассматриваются подход и осмысление данной проблемы Марксом, проблема экзогамии, тем самым происхождения рода, психоаналитическая концепция тотема, социальная функция оргиастических культов и т. д. Поставленная автором проблема остается без решения, здесь намечается только общий подход к ней. Впрочем, об этом прямо говорит и автор (см. стр. 174).

Последняя статья принадлежит Е. Г. Плимаку и носит название: «К характеристике некоторых закономерностей движения буржуазных революций». Со знанием конкретной истории западно-европейских буржуазных революций автор сравнивает их с русскими революциями, показывает подход и решение проблемы революции Н. Г. Чернышевским, Фр. Шлоссером, с одной стороны, классиками марксизма — с другой. Е. Г. Плимак показывает большое значение опыта прежних, — особенно французской, — революций, для В. И. Ленина, партии большевиков в период буржуазно-демократической революции 1917 года, при выработке политики НЭПа (опыт Термидор-анского переворота 1794 года).

Конечно, кроме отмеченных выше нами, можно было бы высказать и другие замечания. Так, например, при изучении наследия Маркса на проблему докапиталистических формаций наряду с рассмотренными в книге марксовскими произведениями, где данная проблема рассматривается схематически, можно было привлечь труды Маркса, где азиатское общество рассматривается более конкретно, на фоне истории Индии, Китая, Турции. Нам трудно согласиться с резким разграничением понятия социально-политической революции от понятия социальной революции (см. стр. 234). Но отмеченные обстоятельства ничуть не могут ослабить того положительного впечатления, которое книга оставляет на читателей. В ней много мест, не вызывающих возражений. Есть и места, порождающие потребность поспорить с авторами. А это мы тоже считаем плюсом книги, так как и в этом случае такие спорные мысли будят мышление на трудном пути движения к истине.

Г. КОРАНАШВИЛИ

### ლავრენტო ჯანაშია

## საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკა ეროვნული სახელმწიფოებრიობის მთავარი ფორმაა

საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის ფორმების ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო ხალხთა დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის მიერ ღრმა მეცნიერული სიზუსტით განსაზღვრული პრინციპი ერის თვითგარკვევის შესახებ მის სრულ გამოყოფამდე და დამოუკიდებელ სახელმწიფო ერთეულად ჩამოყალიბებამდე კი. აღნიშნული პრინციპი გახდა ნაყოფიერი ნიადაგი იმისა, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანაში თანმიმდევრულად შექმნილიყო და კონსტიტუციურ დონემდე დამკვიდრებულიყო ეროვნული სახელმწიფოებრიობის ისეთი ფორმები, როგორცაა: მოკავშირე რესპუბლიკა, ავტონომიური რესპუბლიკა, ავტონომიური ოლქი და ნაციონალური ოკრუგი.

საბჭოთა ეროვნულ სახელმწიფოებრიობაში იგულისხმება სსრ კავშირის ტერიტორიაზე კომპაქტურად მცხოვრები თვითეული ერის მიერ თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე შექმნილი პოლიტიკური ხელისუფლება, რომელიც საბჭოთა სახალხო სახელმწიფოს წინაშე დასმული საერთოპოლიტიკური, მეურნეობრივი და კულტურული ხასიათის ამოცანების გადაჭრასთან ერთად მოწოდებულია, შეასრულოს ერისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ამოცანებიც, დაკავშირებული თავისივე ხალხის ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის განვითარებასთან და ყოველივე ეს განუყოფელ მთლიანობაშია ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხების ნათელი მომავალის — კომუნისტური საზოგადოების შექმნის საერთო ამოცანების გადაჭრასთან.

საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის ზემოაღნიშნული ორიგინალური განმარტება ჩვენ მიერ შემუშავებულია სკკპ პროგრამისა და XXIV ყრილობის ისტორიული მასალების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, ამიტომ იგი გარკვეული შინაარსითა და ფორმულირებით განსხვავებულად არის წარმოდგენილი შედარებით ადრე არსებული იმ განმარტებებისაგან, რომლებიც გვხვდება საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში<sup>1</sup>. ამასთან ერთად, ისიც გვინ-

<sup>1</sup> А. В. Радви́гин. О понятии советской национальной государственности (на материалах Киргизской ССР), «Советское государство и право», 1966, № 7, стр. 132.

С. А. Раджа́бов. Доклад на Всесоюзной научной сессии — «Актуальные проблемы истории национально-государственного строительства в СССР», Душамбе, 1963, стр. 7.



და განვმარტოთ, რომ არ ვაცხადებთ პრეტენზიას აღნიშნული დეფინიციის სრულყოფილ და საბოლოო ხასიათზე, არამედ მადლობის გრძნობით მივიღებთ გულისხმიერი და ობიექტური ხასიათის შესწორებებსა და დაზუსტებებს, რაც დაკავშირებული იქნება ჩვენი განმარტების გაუმჯობესებასთან.

ეროვნული სახელმწიფოებრიობის ცნების განსაზღვრასთან დაკავშირებით, გვინდა შევხვით თვით ტერმინების — **სახელმწიფოებრიობისა** და **სახელმწიფოს** შინაარსის გარკვევასაც. ზოგ შემთხვევაში, საზოგადოებრივი მეცნიერების დარგთა ლიტერატურაში, — არც თუ ისე იშვიათად, — მოცემულ ტერმინებს ხმარობენ ერთი და იმავე მნიშვნელობით, რაც არასწორად მიგვაჩნია. ამ საკითხთან დაკავშირებით, სავსებით ვეთანხმებით იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის კ. კორკმაროვას აზრს იმის შესახებ, რომ თავისი შინაარსის მიხედვით, ზემოაღნიშნული ტერმინები იდენტურნი არ არიან, რომ **სახელმწიფოებრიობა** უფრო ფართო ცნებაა, ვინემ — **სახელმწიფო**<sup>2</sup>. მართლაც, სახელმწიფოებრიობა განსაზღვრავს სახელმწიფო წყობილების რთულ ხასიათს, ამა თუ იმ სახელმწიფოს აუცილებლად ფედერაციულ ბუნებას, მის შემადგენლობაში სუვერენული და არასუვერენული ეროვნული სახელმწიფოებისა და ეროვნული სახელმწიფოებრივი ერთეულების არსებობას. ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, აუცილებელი „სახელმწიფომაგვარი წარმონაქმნების“ არსებობას. ბუნებრივია, რომ აღნიშნულ ტერმინში ვ. ი. ლენინი გულისხმობს არა მარტო სუვერენულ სახელმწიფოს, არამედ — არასუვერენულ ავტონომიურ ერთეულებსაც, რომლებიც სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ ყველა ატრიბუტს არ შეიცავენ, მაგრამ ითვლებიან გარკვეული უფლებებითა და ფუნქციებით აღჭურვილ პოლიტიკურ ერთეულებად და საბჭოთა სახელმწიფოებრიობის სისტემაში შედიან როგორც ავტონომიური რესპუბლიკა, ავტონომიური ოლქი და ნაციონალური ოკრუგი.

საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკა, ავტონომიური ოლქი და ნაციონალური ოკრუგი, — მართალია, — ერთმანეთისაგან გარკვეული ნიშნებით განსხვავებული პოლიტიკური ხელისუფლების ფორმებს წარმოადგენენ, მაგრამ მათ შორის ბევრი რამ მაინც საერთოა: ისინი ეროვნული სუვერენიტეტის უფლებით არიან აღჭურვილნი და ავტონომიის ორი ფორმით არიან წარმოდგენილნი. პოლიტიკური ხელისუფლების აღნიშნული ფორმების უფლებამოსილებათა რეგულირება ხდება თვითეული მათგანის სამართლებრივი სტატუსის, უმრავლეს შემთხვევაში, ერთნაირი ხასიათის ნორმებით. რაც შეეხება საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკას, იგი ტიპური სუვერენული ეროვნული სახელმწიფოებრივი ერთეულია, რომლის შემადგენლობაშიაც, ზოგიერთ შემთხვევაში, გვხვდება ყველა ფორმის ავტონომიური ერთეულებიც კი (რსფსრ, საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ და სხვა) და ყველა ნიშნით წარმოგვიდგება როგორც ეროვნული სახელმწიფოებრიობის მთავარი ფორმა.

საბჭოთა სახელმწიფოებრიობის ეროვნულ-პოლიტიკური ხელისუფლების ფორმების მიზნებისა და ამოცანების ერთიანობის მიუხედავად, რაც განპირობებულია საერთო-სახალხო სახელმწიფოს არსებობითა და ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის წარმოშობით, მაინც არსებობს განსხვავება აღნიშნული ფორმების საქმიანობის სამართლებრივი ურთიერთობე-

2 კ. კორკმაროვა, ეროვნული საკითხისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის შესახებ სსრ კავშირში, „საბჭოთა სამართალი“, 1969, № 3, გვ. 28-29.



ბის მარეგულირებელი აქტების შინაარსში; ამასთან ერთად, განსხვავება არსებობს არა მარტო სხვადასხვა ფორმის ეროვნულ-პოლიტიკური ხელისუფლების ცალკეულ ერთეულებს შორის, არამედ — ერთნაირი ფორმის ეროვნულ-პოლიტიკური ხელისუფლების ერთეულებს შორისაც კი. მაგრამ ეს განსხვავება მდგომარეობს არა მათს იურიდიულ უფლებამოსილებაში, არამედ — მოცემული ეროვნული სახელმწიფოებრივი ერთეულების ტერიტორიების სიდიდეში, მათი ისტორიული წარმოშობის სპეციფიკურობაში; ეროვნულ კულტურის დონის განვითარებაში; სახალხო მეურნეობის განვითარების თავისებურებაში; მოსახლეობის რაოდენობასა და დასახლების სიმჭიდროვეში; ენის, ადათებისა და წესების სხვადასხვაობაში და მთელ რიგ სხვა ფაქტორებში. სწორედ ამაში გამოიხატება საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის ფორმათა არა თუ შაბლონური არსებობის, არამედ შემოქმედებითი, მრავალმხრივი განვითარების შინაარსი და მათი მოქნილი, სრულყოფილი ბუნება.

ილუსტრაციისათვის შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ დამახასიათებელ კონკრეტულ მომენტზე. ცნობილია, რომ საბჭოთა ქვეყანაში სხვადასხვა სახის ეროვნული სახელმწიფოებრივი ფორმების ჩამოყალიბება მოხდა გარკვეული ხასიათის ისტორიულ პირობებში. ზოგიერთი საბჭოთა ავტონომიური ერთეული ჩამოყალიბდა ისეთ პრეცედენტში, რომ ხალხებს, რომლებმაც საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ავტონომიის შექმნის უფლება მოიპოვეს, ოქტომბრის რევოლუციამდე არა ჰქონდათ გავლილი კაპიტალისტური განვითარების გზა და იმყოფებოდნენ გვაროვნულ-პატრიარქალური საზოგადოებრივი განვითარების საფეხურზე (მაგალითად: ბაშკირეთში, ყირგიზეთში, ყაზახეთში, ჩრდილო კავკასიის ზოგიერთ ხალხში და სხვა). ამ გარემოებამ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წინაშე რთული ამოცანა დააყენა გადასაჭრელად, — საჭირო გახდა ისეთი ქმედითი ხასიათის ღონისძიებანი, რითაც შესაძლებელი გახდებოდა დაჩქარებული ტემპებით ამაღლება ჩამორჩენილ ხალხთა საერთო განვითარების დონისა. სწორედ ასეთი ღონისძიების გატარებამ განაპირობა ის, რომ კომპაქტურად მცხოვრები მცირე ხალხების ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარება სხვადასხვა დონის გამო ჩამოყალიბდნენ ეროვნული სახელმწიფოებრიობის სხვადასხვა ფორმები. აღნიშნული ხალხების განვითარების დონის შესატყვისი ეროვნული სახელმწიფოებრიობის სხვადასხვა ფორმების შექმნამ აღნიშნული კურსით გადაწყვიტა ეროვნული საკითხი და უზრუნველყო მათი სწრაფი ტემპებით განვითარება. თვალსაჩინოებისათვის მივმართავთ მხოლოდ ერთ მაგალითს: უდმურტეთის ავტონომიური ოლქი, — რომელიც 1920 წელს, სრულიად რუსეთის ცაქისა და საკომსაბჭოს დეკრეტით, ჯერ ვოტეთის ხალხების ავტონომიური ოლქის სახელწოდებით შეიქმნა, — 1934 წლის დეკემბერში, სრულიად რუსეთის ცაქის დადგენილებით, უდმურტეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაიქმნა იმ შესაძინევი წარმატებების გამო, რასაც აღნიშნული ოლქების ხალხებმა მიაღწიეს სულ ერთნახევარი ათეული წლის განმავლობაში.

საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის სხვადასხვა ფორმების თავისებურებას ისიც წარმოადგენს, რომ ზოგჯერ ერთი ფორმის ეროვნულ სახელმწიფოებრივ ერთეულში არიან არა მარტო კომპაქტურად მცხოვრები ერთი ერის ხალხები, არამედ რამოდენიმე ერისა და ეროვნების კომპაქტურად მცხოვრები ხალხებიც.

ასე, მაგალითად: იაკუტიის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოსახლეობის ძირითადი მასა იაკუტები, ხოლო ჩუვაშეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში — ჩუვაშები, ასეთი ფორმის ავტონომიები ითვლებიან ერთი ერის პოლიტიკურ ერთეულად, ამის საპირისპიროდ, დაღისტნის ავტონომიური რესპუბლიკა ითვლება რამდენიმე ერისა და ეროვნების შემკავშირებელ პოლიტიკურ ერთეულად, რადგან აქ კომპაქტურად ცხოვრობენ ზუნძურ, ანდიურ, დიდოურ, ლეზგიურ, დარგუულ, ლაქურ, აზერბაიჯანულ და სხვა ენებზე მოლაპარაკე ხალხები, რომელ-

თაც აქვთ საკუთარი სპეციფიკური ზნე-ჩვეულებანი. ბაშკირეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ცხოვრობენ: ბაშკირები, რუსები, თათრები და სხვა ერის ხალხები.

მეტად თავისებურია ნაციონალური ოკრუგების მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, — ეს თავისებურება გამოიხატება მასში, რომ ნაციონალური ოკრუგების უმრავლესობაში ცხოვრობენ სხვადასხვა ერისა და სხვა ეროვნებების ხალხები.

გამონაკლის წარმოადგენს მხოლოდ კომი-პერმელთა ნაციონალური ოკრუგი. აქ ცხოვრობენ მხოლოდ კომელები და პერმელები; დანარჩენ ნაციონალურ ოკრუგებში კი, მაგალითად, კორიაკის ნაციონალურ ოკრუგში ცხოვრობენ: კორიაკები, ჩუკჩები, იტელმენები და ლამუტები; ჩუკოტის ნაციონალურ ოკრუგში კი ცხოვრობენ: ჩუკჩები, ესკიმოსები, ევენები, კორიაკები, იუკაგირები და ა. შ.

ერთნაირი ფორმის ავტონომიური ერთეულების სპეციფიკურობა იმაშიც გამოიხატება, რომ ტერიტორიის, მოსახლეობის რაოდენობის, მათი დასახლების სიმჭიდროვის მიხედვით ისინი მეტად არათანაბარნი არიან.

ასე, მაგალითად: ბაშკირეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოსახლეობის რაოდენობა 21-ჯერ მეტია ნახჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობაზე. ტერიტორიის ოდენობის მიხედვით იაკუტიის ავტონომიური რესპუბლიკა 1034-ჯერ მეტია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაზე, მაგრამ მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა 490-ჯერ მეტია იაკუტიის ავტონომიურ რესპუბლიკაზე.

საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის ფორმების თავისებურება იმაშიც მდგომარეობს, რომ ზოგ შემთხვევაში, ერი ან ეროვნება, რომლის სახელსაც ატარებს მოცემული ავტონომიური ერთეული, შეიძლება შეადგენდეს აღნიშნული ავტონომიური ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობასაც და უმცირესობასაც.

ასე, მაგალითად: ჩუვაშეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩუვაშები შეადგენენ მთელი მოსახლეობის 70 პროცენტს, ხოლო უდმურტეთის ავტონომიური რესპუბლიკაში 56,8 პროცენტი უდმურტები; თავისებურია აჭარის როგორც ავტონომიური რესპუბლიკის მდგომარეობა, — აჭარლები როგორც ერი არ არსებობს, აჭარა ეს კუთხის სახელწოდებაა, ამიტომ იქ მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ქართველები შეადგენენ; მარეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მარელები შეადგენენ მოსახლეობის უმცირესობის 43 პროცენტს, რუსები კი 48 პროცენტს, ხოლო ხაკასეთის ავტონომიურ ოლქში ხაკასები შეადგენენ მოსახლეობის მხოლოდ 12 პროცენტს, რუსები კი — 77 პროცენტს; მორდეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მორდელები შეადგენენ მოსახლეობის 36 პროცენტს, რუსები — 59 პროცენტს.

მიუხედავად ზემოაღნიშნული განმასხვავებელი ფაქტორებისა, რომლებიც არსებობენ საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის სხვადასხვა ფორმებს შორის, ისინი მაინც, იურიდიული უფლებამოსილებისა და სამართლებრივი სტატუსის მიხედვით, ერთმანეთის თანასწორნი არიან, მოქმედებენ ერთნაირი პრინციპებით და რაიმე პრივილეგიური მდგომარეობა ან უპირატესობა არცერთ მათგანს ერთიმეორის მიმართ არ გააჩნიათ. ეს ფაქტორები მეტყველებენ მხოლოდ საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის ფორმების მრავალფეროვნებაზე, მათს შემოქმედებითსა და მოქნილ ხასიათზე. **მიზანი კომუნისტუ-**

3 Национальная государственность союзных республик, М., 1968, стр. 28—29.

4 დასახ. ნაშრომი, გვ. 27-29.

5 დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

რი პარტიისა და საბჭოთა მთავრობისა, როდესაც საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის სხვადასხვა ფორმებს აყალიბებდნენ, ის იყო, რომ შეექმნათ მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების განვითარება-განმტკიცებისა და აყვავებისათვის, რათა ისინი ჩამოყალიბებულიყვნენ გათანაბრებულ სოციალისტურ ერებად. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ეს მიზანი მიღწეული იქნა. საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის განსხვავებული ფორმების მშენებლობის პროცესში ეკონომიურად, პოლიტიკურად და კულტურულად განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფ ერებს შესაძლებლობა მიეცათ, სრული რელიეფით განეხორციელებინათ საკუთარი თვითგამორკვევის უფლება ცხოვრების ისტორიული პირობების შესაბამისად. საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის სხვადასხვა ფორმების ჩამოყალიბებით გამოიკვეთა ის ძირითადი ნიშნები, რომლებიც ერთნაირად იყო დამახასიათებელი ეროვნული სახელმწიფოებრიობის ყველა ფორმისათვის; ეს ნიშნებია: ეროვნული კომპაქტურობა, სახელმწიფო; კულტურულ დაწესებულებებში, ორგანიზაციებში და საწარმოებში საქმის წარმოება ადგილობრივი ხალხის ენაზე და ტერიტორიულ-ეკონომიური მთლიანობის ხელშეუხებლობა.

საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოებრიობის ფორმათა პერსპექტიულობა გაპირობებულია სოციალიზმის შემოქმედებითი ბუნებით, მისი შინაარსით, — რათა ყოველი ნაციონალური ერთეული, საკუთარი ისტორიული გამოცდილებისა და მოძმე ერებთან მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში, ვითარდებოდეს თანამედროვე პროგრესული კაცობრიობის დიადი მიზნის — კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზით. მაგრამ ერთიანი საბჭოთა ქვეყნის ერებისა და ეროვნებათა რევოლუციამდელი განვითარების უთანაბრობამ სოციალიზმის მშენებელ სახელმწიფოს დაუტოვა ამ ერებისა და ეროვნებების ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების არათანაბარი დონე, — ამიტომაც საჭირო გახდა აღნიშნულ დონეთა თანდათანობით დაახლოება, ამავე დროს, საზოგადოებრივი განვითარების დონეთა ეს მიახლოება ზდებოდა არა თუ საშუალო დონის მიმართ, არამედ იმ მოძმე ერების დონესთან, რომელთა ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული დონე ყველაზე მაღალი იყო და ასევე მაღალი იყო მათი შემდგომი განვითარების ტემპებიც. ცნობილი ფაქტია ისიც, რომ მოძმე ერებსა და ეროვნებებს მხოლოდ საუკეთესო მონაპოვარი შეჰქონდათ და შეაქვთ ერთიან ოჯახში და სწორედ ამან განაპირობა საბჭოთა ქვეყნის ნაციონალური ფორმა და სოციალისტური შინაარსი. საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის ფორმათა პროგრესულობით აიხსნება ის, რომ შედარებით დაბალი ფედერაციული დაქვემდებარების ბევრი სუბიექტი გადაიქცა უმაღლესი ფორმის — სსრ კავშირის უშუალო სუბიექტად — საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.

ასე, მაგალითად: უზბეკეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთის და ყირგიზეთის მოკავშირე რესპუბლიკები, რომლებიც ადრე ავტონომიური ერთეულების სახით საბჭოთა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შედიოდნენ; საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკები, რომლებიც ადრე ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენლობაში შედიოდნენ და მოლდავეთის საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც ადრე უკრაინის სსრ-ში შედიოდა, — თავიანთი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული დონის სწრაფი ტემპებით გაზრდისა და განვითარების შედეგად სრულიად დამახურობულად გახდნენ სსრ კავშირის უშუალო სუ-

ბოქტები. ასეთივე პერსპექტიული მომავალი ელოდებათ სხვა დანარჩენ ავტონომიურ რესპუბლიკებს და, შესაბამისად, ავტონომიურ ოლქებს, რომელთა ყოველწივი განვითარებაც ამჟამად გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ საერთო-სახალხო სახელმწიფოს ერთიან სისტემაში. მათი ასეთი პერსპექტიული განვითარების საწინდარია ის ფაქტი, რომ რსფსრ-ს შემადგენლობაში ამჟამად არსებული 16 ავტონომიური რესპუბლიკიდან 11 წარმოშობილია ავტონომიური ოლქების გარდაქმნის შედეგად.

**საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის დასრულებულ და მთავარ ფორმას წარმოადგენს მოკავშირე რესპუბლიკა.** საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკების ფორმასა და შინაარსში ბევრი რამ არის საერთო: ისინი სუვერენული სახელმწიფოებია ერთნაირი სახელმწიფოებრივი წყობილების პოლიტიკური ფორმით და ერთნაირი ეკონომიური, პოლიტიკური და იურიდიული უფლებებით სარგებლობენ სსრ კავშირის შემადგენლობაში; ისინი ერთნაირად არიან დანტერესებულნი საერთო-სახალხო სახელმწიფოს — სსრ კავშირის შემდგომ განმტკიცებასა და გაძლიერებაში, ერთნაირად ზრუნავენ მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფის საქმისათვის და საერთო ძალებით აგებენ კაცობრიობის ნათელი მომავლის — კომუნისტური საზოგადოების საიმედო საყრდენებს. მიუხედავად ასეთი პრინციპული ერთიანობისა და თანასწორობისა, ისინი მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; სწორედ ამაში გამოიხატება თვითეული ერისა და ეროვნების თავისუფალი განვითარების საბჭოური დედაარსი: ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ისტორიული წარსულით, ამ ისტორიული განვითარების მანძილზე შემუშავებული ზნე-ჩვეულებებითა და კულტურით, ყოფაცხოვრების თავისებურებებით; ეროვნული შემადგენლობით, ეკონომიური განვითარების დონითა და სპეციფიკურობით; ტერიტორიის სიდიდითა და ბუნებრივი პირობებით, მოსახლეობის რაოდენობითა და სიმჭიდროვით და მთელი რიგი სხვა ფაქტორებით.

ასე, მაგალითად: რსფსრ ტერიტორია 17 მილიონზე მეტი კვადრატული კილომეტრია, რომელზედაც ცხოვრობს 135 მილიონზე მეტი კაცი, ხოლო სომხეთის სსრ 29.800 კილომეტრია და მასზე ცხოვრობს 3 მილიონამდე კაცი; უკრაინის სსრ ტერიტორია 603.700 კვ კილომეტრია, რომელზედაც ცხოვრობს 48 მილიონზე მეტი აცი, ხოლო ესტონეთის სსრ — 45.000 კვ კილომეტრია და მასზე ცხოვრობს 1,5 მილიონამდე კაცი. დედაარსი ასეთი შედარებისა იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ რსფსრ-ს ტერიტორია სომხეთის სსრ-ზე 573-ჯერ მეტია, ხოლო მოსახლეობის რაოდენობით კი 58-ჯერ აჭარბებს, ისინი მაინც პოლიტიკური, ეკონომიური და იურიდიული უფლებებით ერთმანეთის თანასწორნი არიან სსრ კავშირის შემადგენლობაში.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკა წარმოადგენს სრულყოფილ სუვერენულ სახელმწიფოს და საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის უმაღლეს ფორმას, — ეს იმას ნიშნავს, რომ ისტორიულად დამკვიდრებული მისი ეროვნული ტერიტორიის შეცვლა არავის ძალუძს; მას როგორც ეროვნულ სახელმწიფოებრივ ერთეულს აქვს თავისი სპეციფიური ნიშნების გამოხატველი კონსტიტუცია, რომელშიც საკანონმდებლო წესით არის განმტკიცებული ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სისტემა, — იმ ორგანოებისა, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში განუხრელად გამოხატევენ მოკავშირე რესპუბლიკის ხალხების ნებასა და ინტერესებს. ამასთან ერთად, თვითეულ მოკავშირე რესპუბლიკას აქვს თავისი სასამართლო და პროკურატურის ორგანოები, რომლებიც მტკიცედ იცავენ თავიანთ საქმიანობაში სოციალისტური კანონიერებისა და საბჭოთა მართლმსაჯუ-





ლებს ლენინურ პრინციპებს; თვითეულ მოკავშირე რესპუბლიკას აქვს მოქალაქეობა, ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში, — რომელშიაც შედის ავტონომიური რესპუბლიკები. — არსებობს კიდევ ავტონომიური რესპუბლიკის მოქალაქეობაც.

თვითეული მოკავშირე რესპუბლიკის ერთმანეთისადმი თანასწორობა განმტკიცებულია იმ პრინციპითაც, რომ ისინი ნებაყოფლობისა და თანასწორობის დაცვის საფუძველზე გაერთიანდნენ სსრ კავშირის შემადგენლობაში და მათ, ამავე დროს, დაიტოვეს კონსტიტუციური უფლება, რომ თავისუფლად გამოვიდნენ სსრ კავშირის შემადგენლობიდან, უკეთეს ისინი ამას მოისურვებენ და საჭიროდ ჩათვლიან. თვითეული მოკავშირე რესპუბლიკა თანასწორი რაოდენობით გზავნის დეპუტატებს სსრ კავშირის კანონმდებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში — ეროვნებათა საბჭოში. ყველა მოკავშირე რესპუბლიკას აქვს ერთი და იგივე კომპეტენცია. ერთმანეთისადმი თანასწორობა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის იმაშიაც ვლინდება, რომ თვითეული მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ერთ და იმავე დროს ითვლება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ; მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, თანამდებობის მიხედვით, შედის სსრ კავშირის მთავრობის შემადგენლობაში; ხოლო მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, თანამდებობის მიხედვით, შედის სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში. მოკავშირე რესპუბლიკებს შორის არსებული თანასწორობა აგრეთვე იმაშიაც ვლინდება, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის 46-ე მუხლის შესაბამისად მათ უფლება აქვთ მოითხოვონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიის მოწვევა; უფლება აქვთ, აგრეთვე, მოითხოვონ სრულიად სახალხო გამოკითხვის (რეფერენდუმის) ჩატარება.

მთავარი ნიშანდობლივი თვისება რაც განსაზღვრავს საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკის როგორც ეროვნული სახელმწიფოებრიობის მთავარი ფორმის არსს, ეს არის მისი სუვერენობა. არც ერთ სხვა ეროვნულ სახელმწიფოებრივ ერთეულს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი არ გააჩნია. ასეთი ზომით ავტონომიური რესპუბლიკა, მართალია, ითვლება სახელმწიფოდ, მაგრამ არასუვერენულია იმის გამო, რომ იგი არ შეიცავს ყველა იმ ატრიბუტს, რაც აუცილებლად დამახასიათებელია ყოველმხრივ სრულყოფილი სახელმწიფოსათვის. **ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო სუვერენიტეტის მატარებლად ითვლებიან სსრ კავშირი და მასში შემავალი მოკავშირე რესპუბლიკები.** ისტორიულ და იურიდიულ ლიტერატურაში არც თუ იშვიათად ვხვდებით მსჯელობას იმის შესახებ, რომ, რესპუბლიკების გაერთიანებით სსრ კავშირის შემადგენლობაში, შეიზღუდა მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტი; ჩვენ ასეთი მსჯელობა არ მიგვაჩნია სწორად შემდეგი მოსაზრების გამო: სუვერენიტეტი არის სახელმწიფოს უმაღლესობისა და დამოუკიდებლობის გამომხატველი თვისება, იგი შეუზღუდველია სხვა რომელიმე სახელმწიფოს ხელისუფლებისაგან. ვაყოფილი ან შეკვეცილი სუვერენიტეტი არ არსებობს ისე, როგორც არ არსებობს ნახევარი უმაღლესი ხელისუფლება. ჩვენს ქვეყანაში სსრ კავშირის შემადგენლობაში მოკავშირე რესპუბლიკების გაერთიანებით მოხდა არა თუ ასეთი სუბიექტების სახელმწიფო სუვერენიტეტის შეზღუდვა, არამედ — მხოლოდ თვითეული რესპუბლიკის ზოგიერთი კომპეტენციის დაქვემდებარება მოძმე რესპუბლიკების

ერთიანი ინტერესებისადმი, ე. ი. მოხდა ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ზოგიერთი ფუნქციის შეზღუდვა იმ ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით.

სახელმწიფო სუვერენიტეტის შეზღუდვა დამახასიათებელია კაპიტალისტური ქვეყნებისათვის, სადაც ეკონომიურად დამოკიდებული სახელმწიფოები აუცილებლად პოლიტიკურადაც დამოკიდებულნი ხდებიან ეკონომიურად ძლიერ სახელმწიფოებზე; ამის გამო მსხვილი კაპიტალისტური სახელმწიფოები არა თუ თავისუფლად ერევიან მათზე დამოკიდებული სახელმწიფოების შინაგან საქმიანობაში, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც განკარგავენ ისინი დამოკიდებული ქვეყნების პოლიტიკურ ურთიერთობას სხვა სახელმწიფოებთან. ჩვენს სამშობლოში როგორც სსრ კავშირის, ისე მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტი დაფუძნებულია მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიურ სიძლიერეზე, რაც განპირობებულია მეურნეობის სოციალისტური სისტემით და წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრებით. ასეთი სისტემით ეკონომიკის მართვა კი ქმნის უზარმაზარ შესაძლებლობებს იმ მატერიალური დოვლათის შესაქმნელად, რომელიც ეკუთვნის მთელ საბჭოთა ხალხს, სახელმწიფო და სახალხო სუვერენიტეტის დამცველ ერთადერთ მძლავრ ძალას; მთელი საბჭოთა ხალხი კი შემდგარია ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკების ხალხთა გაერთიანებით ერთ მეგობრულ და ძმურ კავშირში. ამიტომ აქ სსრ კავშირისა და მასში შემავალი სუბიექტების სუვერენიტეტების გაყოფა ან ერთმანეთისადმი დაპირისპირება წარმოუდგენელია, არ არსებობს. პირიქით, ყოველი მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტი დაკავშირებულია და ჰარმონიულ შესაბამისობაშია სსრ კავშირის სუვერენიტეტთან მოკავშირე რესპუბლიკების იმ სოციალისტური ბუნების გამო, რაც დაედო საფუძვლად სსრ კავშირის შექმნას.

სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპები საკანონმდებლო წესით ფაქტირებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებში, ამიტომ მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციათა შესაბამისობა სსრ კავშირის კონსტიტუციასთან თავისთავად განსაზღვრავს და აკანონებს მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტის შესაბამისობას სსრ კავშირის სუვერენიტეტთან. შესაბამისობა კი არ ნიშნავს ერთი სუვერენიტეტის დამორჩილებას მეორის მიმართ. მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტი დატულია სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-15 მუხლის შესაბამისად. საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჩვენი სამშობლოს მიმართ მტრულად განწყობილი ქვეყნები ექებენ აგრესიული მიზნების განხორციელების შესაძლებლობებს და სსრ კავშირის წინააღმდეგ ამზადებენ სამხედრო თავდასხმას. ისინი ცდილობენ ძირგამომხრელი დაზვერვითი საქმიანობის გაჩაღებას ჩვენს რესპუბლიკებში; პირდაპირსა და არაპირდაპირ ყველა მომენტს იყენებენ იმისათვის, რათა ჩაერიონ საბჭოთა რესპუბლიკების შინაურ და საგარეო საქმეებში; მათ უნდათ, რომ გაამწვავონ ე. წ. „ცივი ომის“ პოლიტიკით დაძაბულობა. მტრულად განწყობილი სახელმწიფოების სწორედ ასეთი მავნე ზრახვების განხორციელებისაგან იცავს სსრ კავშირი ჩვენს მოძმე რესპუბლიკებს და მათს სუვერენიტეტს. რსფსრ-ს ირგვლივ დარაზმული ყველა მოკავშირე რესპუბლიკა — ე. ი. მთელი საბჭოთა კავშირი — ერთსულოვნად გამოდის საბჭოთა ხალხის თავისუფლებისა და მათი სახელმწიფოებრივი ხელშეუხებლობის დასაცავად. სწორედ ამ მთავარ ფაქ-

ტორში მდგომარეობს სსრ კავშირისა და მოძმე რესპუბლიკათა სუვერენიტეტების ერთობლივი განხორციელება და მათი ინტერესების ურთიერთშესაბამისობა.

საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკის დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოებრიობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ იგი აღტურვილია სრულყოფილი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ყველა უფლებამოსილებით, რომელიც აძლევს მას შესაძლებლობას, რათა განახორციელოს სახელმწიფოს ფუნქციები: მოკავშირე რესპუბლიკების როგორც სუვერენიტეტი, ისე კომპეტენცია განსაზღვრულია მათივე კონსტიტუციებით. მოკავშირე რესპუბლიკა როგორც საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის უმაღლესი ფორმა და როგორც დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო ამტკიცებს რესპუბლიკის სახალხომეურნეობრივ გეგმას, სახელმწიფო ბიუჯეტს და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს; იგი იღებს რესპუბლიკის კონსტიტუციას და შეაქვს მასში ცვლილებები; დასამტკიცებლად წარუდგენს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს ახალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების შექმნას; ადგენს მხარეების, ოლქების, რაიონების, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების საზღვრებს და ქმნის ახალ სამხარეო, საოლქო, რაიონულ, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოებს; გამოსცემს კანონებს, კანონთა კოდექსებსა და სახელმწიფო მმართველობის აქტებს; აწესებს, სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადებს, გამოსაღებებსა და არასაგადასახადო შემოსავალს; განაგებს საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობასა და მშენებლობას, რესპუბლიკური დაქვემდებარების ბანკებს, მრეწველურ, სოფლისმეურნეობრივ, სამშენებლო და სავაჭრო, აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებსა და ორგანიზაციებს; ადგენს მიწით, ტყით, წყალმეურნეობითა და წიაღისეულით სარგებლობის წესებს; წარმართავს შრომის, საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობებს, ჯანმრთელობის დაცვას, სოციალურ უზრუნველყოფას, დაზღვევისა და სამეცნიერო საქმეებს; ქმნის სასამართლო ორგანოებს; ანიჭებს რესპუბლიკის მოქალაქეობას; ახორციელებს რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების მიერ მსჯავრდადებულ პირთა ამნისტიისა და პატიების უფლებას; ხელმძღვანელობს რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს; ამყარებს რესპუბლიკის წარმომადგენლობას საერთაშორისო ურთიერთობაში, ე. ი. უფლება აქვს დაამყაროს უშუალო ურთიერთობა უცხოეთის სახელმწიფოებთან, დადოს მათთან შეთანხმებანი და გაცვალოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლები; ადგენს რესპუბლიკის გასამხედროებულ ფორმირებათა შექმნის წესს.

ზემოჩამოთვლილ უფლებამოსილებათა გარდა, მოკავშირე რესპუბლიკებს აქვთ კიდევ სხვა სახის კომპეტენციები, რომლებიც ერთხელ კიდევ ადასტურებენ მათი როგორც ეროვნული სახელმწიფოებრიობის ფორმის ამადლებას. სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში, მოკავშირე რესპუბლიკები მუდამ მაღალი პასუხისმგებლობითა და ეფექტური მაჩვენებლებით ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს და პირველხარისხოვან როლს თამაშობენ საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებაში.

ახლა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მძლავრი ტემპით განვითარების ეპოქაში, როდესაც სკკპ XXIV ყრილობამ დასახა ახალი გრანდიოზული პოლი-

ტიკური და მეურნეობრივი ხასიათის ამოცანები, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოკავშირე რესპუბლიკების მხრივ თავისი უფლებამოსილების ფართო მასშტაბით განხორციელებას. სწორედ მოკავშირე რესპუბლიკაა ის ძირითადი სახელმწიფოებრივი მექანიზმი, რომლის ხელმძღვანელობას ექვემდებარება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ვაჭრობისა და, საერთოდ, სახალხო მეურნეობის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე სხვა წამყვანი დარგებისა და ობიექტების მმართველობა. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ზემოხსენებული დარგების მძლავრი ამოქმედებით, მიღწეული იქნას საბჭოთა ქვეყნის ხალხების მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა სულ უფრო სრული დაკმაყოფილება. ამჟამად მოკავშირე რესპუბლიკების მთელი უფლებამოსილებანი მიმართულია სწორედ ამ ამოცანების გადასაწყვეტად. ფრიად მნიშვნელოვანი ხასიათის აღნიშნულ უფლებამოსილებასთან ერთად მოკავშირე რესპუბლიკას აქვს ფართო უფლებები სახელმწიფოებრივი მშენებლობის ხაზითაც. მოკავშირე რესპუბლიკა არა თუ აყალიბებს ახალ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქებს და წარუდგენს მათ დასამტკიცებლად სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, არამედ, ამავე დროს, ამტკიცებს მათ კონსტიტუციებსა და დებულებებს.

სსრ კავშირის შემადგენლობაში გაერთიანებული 15 მოკავშირე რესპუბლიკიდან 13 რესპუბლიკაში ცხოვრობს იმ ერის აბსოლუტური უმრავლესობა, რომელი ერის სახელწოდებითაც არსებობს მოცემული მოკავშირე რესპუბლიკა. მაგალითად, რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში რუსი ერი შეადგენს მოსახლეობის 83,3 პროცენტს, უკრაინის სსრ-ში 76,8 პროცენტი უკრაინელებია, ესტონეთის სსრ-ში 74,6 პროცენტი ესტონელებია, საქართველოს სსრ-ში 64,3 პროცენტი ქართველებია და ა. შ.<sup>6</sup>

მოკავშირე რესპუბლიკებში ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოები აირჩევიან ძირითადი ერის წარმომადგენლებისაგან, აღნიშნულ ორგანოებში მუშაობა წარმოებს ძირითადი ერის ენაზე და მტკიცედ ხორციელდება იქ როგორც სახელმწიფოებრივი, ისე ეროვნული სუვერენიტეტი. ამჟამად, კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ხანაში სკკპ დიდ მზარუნველობას იჩენს საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შემდგომი პრაქტიკული განვითარებისა და აყვავებისათვის, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რათა კიდევ უფრო მძლავრნი გახდნენ მოკავშირე რესპუბლიკები თავიანთი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარებით. ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ანგარიშგებითს მოხსენებაში პარტიის XXIV ყრილობაზე აღნიშნა: „გასულ წლებში პარტიის ხელმძღვანელობით გადაიდგა ახალი ნაბიჯები ყოველი მოამე საბჭოთა რესპუბლიკის ყოველმხრივი განვითარების გზაზე, ჩვენი ქვეყნის ერთა და ეროვნებათა შემდგომი თანდათანობითი დაახლოების გზაზე. ეს დაახლოება მიმდინარეობს ეროვნულ თავისებურებათა გულდაგულ გათვალისწინების, სოციალისტურ ეროვნულ კულტურათა განვითარების პირობებში. როგორც მთელი ჩვენი კავშირის საერთო ინტერესების, ისევე მასში შემავალი თვითეული რესპუბლიკის ინტერესების მუდმივი გათვალისწინება — ასეთია პარტიის პოლიტიკის არსი ამ საკითხში“<sup>7</sup>.

<sup>6</sup> Итоги Всесоюзной переписи населения 1959 года СССР (сводный том), М., 1962, стр. 202, 206—208.

<sup>7</sup> სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971, გვ. 97.



ამრიგად, საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის განვითარება საერთო-სახალხო სახელმწიფოს არსებობის პირობებში კიდევ უფრო ახალ შინაარსს ღებულობს და მისი ახლებურად განვითარების გზები სავსებით გასაგები პერსპექტივებით ჩამოყალიბებულია სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში. თვითეული საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკის შემდგომი განვითარება უზრუნველყოფს საერთო-სახალხო სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის კიდევ მეტ გაძლიერებას, საბჭოთა ხალხის სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილებას, სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფას, მშრომელი მასების სახელმწიფო მმართველობაში უფრო ფართოდ ჩაბმას და მთელი სახელმწიფო აპარატის მუშაობის ამაღლებას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის ბრძოლის თანამედროვე ეპოქაში.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ბოქორაძე  
 Ответственный секретарь Г. Г. Бочорадзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19  
 Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19  
 ტელეფონი 37-24-07 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7.11-73; შეკვ. № 2367; ანაწყოების ზომა  $7 \times 11^{1/2}$ ; ქალაქის ზომა  $7 \times 108/1_{16}$ ; ნაბეჭდი თაბახი 16.98; საალრიცხო-საგამომცემლო თაბახი 15.43; უე 00822; ტირაჟი 600.  
 ფასი 1 მან.

\*  
 გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
 Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19.

\*  
 საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19.  
 Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ფასი 1 ჰან.

Индекс 76 196

